ე. დუგროვინი

ექსპერიმენტი „იდეალური ადამიანი"

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი. 1982

Р 2
891.71—3
ფ 868

წიგნში შესულია საბჭოთა მწერალ-სატირიკოსის ევგენი დუბროვინის იუმორისტული მოთხრობები „ექსპერიმენტი „იდეალური ადამიანი“ და „სოკოები ასფალტზე“. ორივე მოთხრობა მიძღვნილია ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებისადმი.

თ ა რ გ მ ნ ა ᲝᲖᲐ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔᲛ

Д $\frac{70302-017}{М601(08)-82}$ 376—82

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“, 1982

ზრუნვა სულისათვის

ზუსტად ცნობილია, რამდენ დღეს იარსებებს უპმელ-უსმელი ადამიანი. მაგრამ რამდენ საათს გაძლებს თითოეული ჩვენთაგანი ისე, რომ არ გაიღიმოს? არა მგონია, დიდხანს მოითმინოს!

თუ ადამიანი იცინის, მაშასადამე, დარწმუნებულია საკუთარ თავში, სულით ძლიერია, მზადაა აიტანოს ყოველგვარი გაჭირვება და უსიამოვნება.

იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებაზედაც. თუ საზოგადოება იცინის, მაშასადამე, იგი ჯანსაღია, სიცოცხლისუნარიანი, თავის თავში დარწმუნებული. სიცილი ნაკლოვანებებთან ბრძოლის ერთ-ერთი უძლიერესი საშუალებაა, ბოროტების აღმოფხვრის, სამართლიანობის, ჯანსაღი აზროვნების დამკვიდრების საშუალება.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან შეიარაღდა სიცილით, სატირით. გაიხსენეთ მაიაკოვსკი, ბედნი. მათი ლექსები ზოგჯერ ზარბაზნებზედაც კი ძლიერია.

ახლა ჩვენ სხვას ვუმიზნებთ. მაგრამ საბჭოთა სატირიკოსები და იუმორისტები ისევე თამამად და ზუსტად ისვრიან, როგორც მათი გამოჩენილი წინამორბედები. მათ გეზს აძლევს და მხარში უდგას პარტია და მთავრობა. ამაში გამოიხატება ზრუნვა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ სიმრთელეზე, ზრუნვა იმაზე, რათა განვამტკიცოთ ჩვენი მონაპოვარი, აღმოვფხვრათ ის, რაც გვიშლის წინსვლას, ადამიანის სულის დახვეწას.

ჩემი აზრით, სატირიკოსებისა და იუმორისტების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ზრუნვა ადამიანის სულზე.

მწერალ-სატირიკოსის ევგენი დუბროვინის შემოქმედება ამ მხრივ გვახარებს თავისი მიზანმიმართულებით, იგი მთლიანად გამსჭვალულია სწორედ ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანის სულზე ზრუნვის სულისკვეთებით.

თავის პირველ მოთხრობაში „სოკოები ასფალტზე“ ევგენი დუბროვინი მახვილგონივრულად დასცინის ჩვენში სამწუხაროდ ჯერ კიდევ არსებულ ისეთ ნაკლოვანებებს, როგორიცაა შემგუებლობა, მუქთახორობა, კარიერიზმი, მომხვეჭელობა, გულგრილობა, ამავე დროს მოგვიწოდებს ადამიანების მიმართ სიკეთისა და ადამიანურობისაკენ. მეორე მოთხრობაში „ექსპერიმენტი „იდეალური ადამიანი“ იგი სატირის საშუალებით გვიჩვენებს და ამხილებს ისეთ მშობლებსა და პედაგოგებს, რომლებიც უგუნურად ეკიდებიან ბავშვის აღზრდის უფაქიზეს საქმეს, შემდეგ კი, მოგვიანებით, თვითონ-

ვე უკვირთ, საიდან გაჩნდნენ ამქვეყნად ზნეობრივად მახინჯი გოგოები და ბიჭები.

კრიტიკოსების საქმეა გააანალიზონ ევგენი დუბროვინის საინტერესო და მხიარული მოთხრობების იდეურ-მხატვრული სტრუქტურა, მე კი მხოლოდ ის მინდა, რომ მკითხველის ყურადღება შევაჩერო მის სიუჟეტურ გამომგონებლობაზე. მისი ორივე მოთხრობის სიუჟეტი ცინცხალი, ორიგინალური და ძეტად თანამედროვეა. ეს კი ბევრს ნიშნავს და ძვირად ფასობს!

ს. მიხალკოვი

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ახლა თითქმის ყველა ადამიანს აქვს ჰობი. როგორღაც სათაკილოც კია, თუ კაცს ჰობი არა აქვს. ასეთი ადამიანი თითქოს თვალთმაქცობს, რაღაცას მალავს — გამოუცნობი პიროვნებაა.

ამ სტრიქონების ავტორი, ვაი, რომ ვერ დაიკვეხნის ორიგინალობით. მასაც აქვს ჰობი. ავტორი აგროვებს აღზრდის თემაზე დაწერილ წიგნებს, სტატიებს, გაზეთიდან ამონაჭრებს.

უნდა ითქვას, ეს საკმაოდ ხელსაყრელი ჰობია, ვინაიდან ნება-უნებურად იგი აღზრდის სფეროში თეორეტიკოსი ხდება და შეუძლია არხეინად უყუროს პატარა ყაჩაღანების ყოველგვარ ოინბაზობას, რამეთუ თეორეტიკოსები ყოველთვის უფრო გულმშვიდნი არიან, ვიდრე პრაქტიკოსები.

მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა.

ერთხელ ბედმა გამიღიმა და შევიძინე ერთი პედაგოგ-თეორეტიკოსის წიგნი ბავშვების ბუნებრივი მიდრეკილებების განვითარებისა და მოზრდილების მიერ მათი ჩახშობის შესახებ. თავს არ ვიდებ ვიმსჯელო ამ წიგნის სამეცნიერო ღირებულების შესახებ, ვინაიდან, მიუხედავად აღზრდის სფეროში დიდი ცოდნისა, ჩემს თავს მოცემულ საკითხში მაინც დილეტანტად ვთვლი, მაგრამ წიგნმა დიდად დამაინტერესა.

საქმე ისაა, რომ ამ სტრიქონების ავტორი ოდესღაც იცნობდა ზემოხსენებულ პედაგოგ-თეორეტიკოსს და კარგად იცის ის შემთხვევა, რომელიც მოყვანილია მის წიგნში უარყოფითი მაგალითის სახით: თუ როგორ ჩაახშო ვინმე კრასინმა საკუთარი შვილის ბუნებრივი მიდრეკილებები.

თავს ვერც იმის უფლებას მივცემ, გავაბათილო მეცნიერის შეფასება, როცა მან გენადი კრასინის ექსპერიმენტს „ადამიანის არსის შებილწვა" უწოდა, მაგრამ, ვინაიდან მე თვითონ ვიყავი უნებური მოწმე კრასინების ოჯახში მომხდარი შემთხვევისა, გადავწყვიტე ობიექტურად მომეთხრო მთელი ამბავი. ასე იშვა ეს მოთხრობა.

დასასრულ, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ მკითხველი, რომელიც კრასინის ექსპერიმენტს უზომოდ სასტიკად ჩათვლის, ხოლო თვით ექსპერიმენტატორს მეტისმეტად ექსცენტრულ პიროვნებად, დაე, მკაცრად ნუ გააკრიტიკებს მეცნიერს. კრასინის განზრახვა გულწრფელი იყო.

გულწრფელ ადამიანებს კი ჩვენ ბევრს ვაპატიებთ.

P. S. რასაკვირველია, ყველა გვარი, ქალაქის, ქუჩის, დაწესებულების სახელწოდება სრულიად შეცვლილია. დაე, მკითხველი ნურც იმას შეეცდება, მოქმედ პირთა შორის გაარკვიოს ავტორის პიროვნება.

ბავშვის აღზრდის დროს შეეცადეთ გახდეთ მისი თანატოლი, ამხანაგი, მაგრამ არც ის დაუშვათ, რომ მან გირტყათ.

გ ა ზ ე თ ი დ ა ნ

ბავშვის აღზრდის დროს ყველაზე მთავარია დაიცვათ დისტანცია, იყოთ მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ არ შეიძლება სცემოთ ბავშვი.

გ ა ზ ე თ ი დ ა ნ

- გახსოვდეთ — იდეალური ბავშვები არ არიან.

გ ა ზ ე თ ი დ ა ნ

ექსპერიმენტი

„იდეალური ადამიანი“

სრულიად მართალი ამბავი უცვეულო ექსპერიმენტისა,
რომელიც ჩაატარა ახალგაზრდა მეცნიერმა გენადი კრასინმა
ცოცხალ ადამიანზე.
იმ არაჩვეულებრივ სიძნელეებსა და გაჭირვებებზე, რაც
გადაიტანეს მან და მისმა უახლოესმა თანაშემწეებმა
ამ საოცარი ექსპერიმენტის დროს.
კრასინის ზოგიერთი თანამებრძოლის მოღალატეობაზე,
სიმხდალესა და სულმდაბლობაზე.
დანარჩენი თანამებრძოლების კეთილშობილებაზე,
ერთგულებასა და თავგანწირულებაზე.
ცდის მოულოდნელ, დრამატულ შედეგებზე.
აგრეთვე სხვა დანარჩენ თავგადასავლებზე,
სიძნელეებსა და ფათერაკებზე, რაც შეიძლება
წილად ხვდეს ადამიანს.

ნაწილი პირველი

ექსპერიმენტის დასაწყისი

თავი პირველი,

რომელშიც გადმოცემულია მოკლე დახასიათება კრასინების ოჯახის წევრებისა, აგრეთვე აღწერილია ძალების განლაგება ოჯახში ექსპერიმენტის დასაწყისში

გენადი ონუფრიევიჩ კრასინი, ოჯახის უფროსი. 40 წლის თმაშეთხელებული, შავგვრემანი კაცი, ბეცი, ატარებს ძლიერ გამადიდებელ სათვალეს, მეცნიერებათა კანდიდატია, მუშაობს პედაგოგიურ ინსტიტუტში უცხო ენების კათედრაზე.

მგზნებარე, გატაცების ამყოლი ადამიანია, ერთგვარად მეოცნებე-იდეალისტი. ამხანაგები ხუმრობით ჟან ჟაკ რუსოს ეძახიან. მეტად დაბნეულია, ვინაიდან გამუდმებით რაღაცაზე ფიქრობს. ერთხელ ჩაფიქრებული თავისი ავტობუსის მაგიერ დონის როსტოვში მიმავალ ექსპრესში ჩაჯდა და ორი დღე მოუნდა როსტოვიდან სახლში დაბრუნებას.

ირინა კრასინა, გენადი ონუფრიევიჩის ცოლი, ქერა, სიმსუქნისადმი მიდრეკილი ქალი. დიასახლისი, კეთილი, ცოტა სანტიმენტალური. საერთოდ თავისი ცხოვრებით კმაყოფილია, მაგრამ უნდა ერთხელ კიდევ იცხოვროს სხვანაირად.

ვერა კრასინა, გენადი ონუფრიევიჩის უფროსი ქალიშვილი. ამ დღეებში 16 წელი შეუსრულდება. სწავლობს მეცხრე კლასში. მოდური, მხიარული, სიმპათიური გოგონაა. მისი აზრით, ყოველი დღე უნდა იყოს დღესასწაული. თუკი არის, მაგალითად, მაღაროელის დღე, მეთევზის დღე, მაშინ რატომ არ შეიძლება იყოს ღიმილის დღე (ქუჩაში ვიღაც წვეროსანმა გაიღიმა), ზღარბის დღე (გაზონზე ზღარბი იპოვეს). სწავლობს საშუალოდ, ვინაიდან „ყველა საგანი მოსაწყენია“. მშობლებსა და ბებია-ბაბუას რატომღაც თხისრქიანებს ეძახის.

კ ა ტ ი ა კ რ ა ს ი ნ ა, ენაჭარტალა კატკა, გენადი ონუფრიევიჩის უმცროსი ქალიშვილი. 12 წლის. მეხუთე კლასში სწავლობს. ჯიუტი და ზარმაცია. იოლად გადის სამი ფრაზით: „მერე რატომ?“ „მერე რა?“ „ფეხებზედაც არა მკიდია“. ოცნებობს სრულწლოვანებაზე. („წავიდოდი ოროთახიან ბინაში და ვიცხოვრებდი მარტო, ჩემს საქმეში ცხვირი რომ არავინ ჩაყოს“). ძალიან ცუდად სწავლობს.

ო ნ უ ფ რ ი ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი ჩ კ რ ა ს ი ნ ი, გენადი ონუფრიევიჩის მამა. 70 წლის. მხნე, მოძრავი მოხუცი, ზურგიდან ახალგაზრდას ჰგავს. შთამომავლობით გლეხია, თუმცა, შვილთან და შვილიშვილებთან ახლოს რომ იყოს, სოფლიდან ქალაქში გადმოსახლდა, სახლი კი მოაგარაკეებზე გააქირავა. ქალაქში ცუდად როდი გრძნობს თავს. ხელმარჯვე ოსტატია — შეუძლია აღვირის გაკეთება, სახნისის გამოჭედვა, ტირიფის კალათების დაწვნა და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ მისი საყვარელი საქმიანობა უღლის დამზადებაა. აქვს სანუკვარი, თითქოსდა აუხდენელი ოცნება: დაიყოლიოს რომელიმე შვილიშვილი, გადასახლდეს მასთან ერთად სოფელში და გადასცეს ხალხური ხელობის ზოგიერთი საიდუმლოება. მგზნებარე თაყვანისმცემელი „პორტვეინ-72“-ისა, რომელიც უბედურებად მოევლინა ქალაქს.

ვ ა რ ვ ა რ ა ი გ ნ ა ტ ი ე ვ ნ ა კ რ ა ს ი ნ ა, გენადი ონუფრიევიჩის დედა. შთამომავლობით გლეხი. 66 წლის. მაგარი, ნებისყოფიანი დედაკაცი. ქალაქი არ უყვარს. შვილთან ცხოვრობს მხოლოდ იმისათვის, რომ ფეხზე დააყენოს ეს „ენაჭარტალა კატკა“.

ძ ა ლ ე ბ ი ს გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა:

გენადი ონუფრიევიჩი — თავისთვის.

ირეჩკა კრასინა — თავისთვის.

ვერა კრასინა — თავისთვის, მაგრამ უყვარს ბებია, ბაბუა, დედა ნაკლებად.

კატია კრასინა — ძალიან თავისთვის.

ონუფრი სტეპანოვიჩი შვილს პატივს სცემს, თუმცა მისი არაფერი გაეგება. რძალი ებრალება — „არც ალერსი მეცნიერი ქმრისაგან, არც არაფერი სხვა სიკეთე“. შვილიშვილებისადმი თითქმის გულგრილია, ვინაიდან იცის, რომ თავის ხელობას მათ

ვერ გადასცემს. ოცნებობს ჰყავდეს შვილიშვილი ბიჭი. ცოლის ცოტა ეშინია.

ვარვარა იგნატიევნას შვილი უყოყმანოდ უყვარს, რძალს დღემდე უნდობლად უყურებს („გეუბნებოდი, ნუ ითხოვ ქალაქელ ქალს — როგორ მოირთოს, მარტო იმაზე ფიქრობს. წვნიანსაც ვერ მოგიხარშავს. ახლა ელოდე ამ ქალაქელებისაგან რაიმე სისაძაგლეს. მეტისმეტად ჭკვიანები გახდნენ. აი, ნახავ, თუ სატირლად არ გაგიხადოს საქმე“). ქმარს მკაცრად ექცევა, მაგრამ თვალს ხუჭავს ზოგიერთ მის სუსტ მხარეზე, ქალაქში რომ შეიძინა: „პორტვეინი-72“, „კოლოების ჭყლეტა“ სადილის შემდეგ.

შვილიშვილები სძულს. „გოგოები რა შვილებია. უზომოდ თავგასულები არიან. ვაჟიშვილი უნდა გაეჩინათ“.

საერთოდ კი, აღწერილ შემთხვევამდე, კრასინების ოჯახური მდგომარეობა ასატანი იყო. არც კარგი და არც ცუდი, ვიდრე სხვა ოჯახებშია. როგორც ზღაპარშია ხოლმე ნათქვამი — ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად.

მანამდე, ვიდრე გენადი ონუფრიევიჩ კრასინმა არ წარმოთქვა საბედისწერო სიტყვები.

თავი მეორე.

რომელშიც გენადი ონუფრიევიჩ კრასინი წარმოთქვამს საბედისწერო სიტყვებს.

197 ... 8 სექტემბერს დილის ჩაიზე გენადი ონუფრიევიჩი ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ დაბნეულმა ტორტი აჩიჩქნა, ანგარიშმიუცემლად გაილოკა თითი და თქვა:

— აი, რა... ჩვენ უნდა გვყავდეს ბავშვი.

მოულოდნელობისაგან ირეჩკას ჩაით სავსე ჭიქაში კოვზი ჩაუვარდა და ქათქათა სუფრაზე მოყვითალო ლაქა გაჩნდა. სხვა დროს წესრიგის მოყვარული ირეჩკა აუცილებლად აქოთქოთდებოდა, მაგრამ ამჯერად გენადი ონუფრიევიჩის მეუღლემ ლაქას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

— მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ორი გვყავს, — შეახსენა ირეჩკამ და ოდნავ გაწითლდა.

— საჭიროა კიდევ მესამე, — მტკიცედ თქვა გენადი ონუფ-

რიევიჩმა და ცოლს ნიკელისჩარჩოიანი, ძლიერი ტელესკოპური სათვალიდან მიაჩერდა. გეგონებოდათ, თუ ამ სათვალეში მზის სხივებს გაატარებდით, იგი ცეცხლს გაუჩენდა ნებისმიერ აალებად საგანს.

მაგიდასთან მსხდომი მოხუცები გაყუჩდნენ.

— შენ, რასაკვირველია, ხუმრობ, — თქვა ირორჩკამ. — ნახე რაღა დრო და ადგილი. — ირორჩკამ ნაძალადევად გაიცინა.

— მე სრულიადაც არ ვხუმრობ, — გენადი ონუფრიევიჩი არ აცილებდა ცოლს მომნუსხველ ტელესკოპურ მზერას. — ჩვენ მართლაც გვჭირდება ახალი ბავშვი.

მძიმე პაუზა ჩამოვარდა.

— ბიჭი, — ჩაურთო პაუზაში ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— სულ ერთია, — შენიშნა გენადი ონუფრიევიჩმა და გაურკვევლად დაუმატა: — ოღონდ ჩვილი ბავშვი.

— ოღონდ ბიჭი! — მხურვალედ აუბა მხარი მეუღლეს ვარვარა იგნატიევნამ. — გააწყალეს გული ამ... ერთი ბიჭი მაინც იქნება ოჯახში. პურზე ვერავინ გაგიგზავნია. სახლი ხალხით არის სავსე, პურს კი არავინ მოგიტანს.

— არა! — ნერვულად წარმოთქვა ირორჩკამ. — მე ორიც ყელში მყავს ამოსული. აღარ ვიცი, თავს როგორ ვუშველო.

— მესამე იდეალური იქნება, — შენიშნა ქმარმა.

— საიდან იცი?

— ვიცი...

— ყველა იდეალურია.

— ამაზე პასუხს მე ვაგებ... — გენადი ონუფრიევიჩმა, როგორც იქნა, აარიდა ცოლს საშინელი მზერა და ისევ აჩიჩქნა ტორტი.

დაბღვერილმა ირორჩკამ ქმარს შეხედა. რაღაც ჯერ კიდევ გაურკვეველმა აზრმა გაუელვა თვალებში.

— თუ შენ ბინის გამო წუხხარ, ჩვენ შეგვიძლია სოფელში წავიყვანოთ. სუფთა ჰაერზე. — ფრთხილად ჩაურთო ონუფრი სტეპანოვიჩმა და თვალები დახარა, რათა მათი ხარბი ელვარება დაეფარა. — მაგარი გაიზრდება. სოფელში ამ... რა ჰქვია... უცხოურ ვირსებზე... თავის სიცოცხლეში არაფერი გაუგიათ.

— ახალმოწველილი რძე და ცხელ-ცხელი პური. აქ როდის-როდის ფხვნილის რძეს თუ მოიტანენ. ცოტაც და, მოიწამლება

ბავშვი, — ასევე ფრთხილად, უჩვეულოდ ტაქტიანად წარმოთქვა ვარვარა იგნატიევნამ. — მხოლოდ ეცადეთ ბიჭი იყოს.

მაგრამ ახალგაზრდა ქალს მაცდურების შემპარავი სიტყვები არ ესმოდა. უცებ მოღუშული სახე გაუბრწყინდა.

— აა... აი, თურმე რატომ ამბობს ამას, — თქვა იროჩკამ. — მაშინვე როგორ ვერ მიგიხვდი. ახლა უკვე ვიცი, რატომ მოუნდა ბავშვი!

— აბა, რატომ? — თვალი აარიდა „ჟან ჟაკ რუსომ“.

— ჩემი დამონება გინდა — აი, რატომ! ძლივს წელში გავიმართე, სული მოვითქვი, თავიდან მოვიშორე ღამის ქოთნები და ბავშვის სახვევები, მინდოდა მეცხოვრა ჩემებურად, შენ კი ისევ... მე, სხვათა შორის, მალე ორმოცის გავხდები! როდისღა უნდა ვიცხოვრო? არც რიგიანი ქურქი მაქვს, არც სამკაულები...

— მე გიყიდი ქურქს, — სწრაფად მიუგო გენადი ონუფრიევიჩმა.

— ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ვიყავი თეატრში! სირცხვილით ვერ მითქვამს — აქამდე „გედის ტბა“ არ მინახავს.

— „გედის ტბაზეც“ წავალთ...

— ჩემი ხნის ქალები, — სულმოუთქმელად აგრძელებდა იროჩკა, — ექსკურსიებზე დადიან. ჩვენმა მეზობელმა მთელი ქვეყანა მოიარა.

— ეს რომელი მეზობელია? ხუჭუჭთმიანი ხომ არა?

— დიახ! ხუჭუჭთმიანი!

— ის ხომ გაუთხოვარია.

— ჰოდა მეც მინდა, ბოლოს და ბოლოს, გაუთხოვარივით ვიცხოვრო!

— კარგი, კარგი, — გენადი ონუფრიევიჩმა მოუთმენლად აათამაშა თითები მაგიდაზე. — ჩვენც წავალთ სადმე... საით გინდა? გინდა კიჟიში წავიდეთ?

— კიჟი... გიჟი! აი, რას უნდა ველოდე შენგან! გიცნობ, რა ძუნწიცა ხარ! ო, რა ვერაგი კაცი ხარ! იცის, დადგა დრო, როცა უნდა გამისწორდეს იმისათვის, რომ ბავშვები გავზარდე... დროა, შევიცვალო ცხოვრების პირობები... ჩავიცვა, როგორც საჭიროა. დახე, ეკონომიის გულისათვის რა მოუფიქრებია! კი-

დევ ერთი ბავშვი უნდა მომიგდოს! იცოდე, ეს არ მოხდება, ვიდრე ცოცხალი ვარ!

— სწორედაც, ვიდრე ცოცხალი ხარ, — მეცნიერი შეეცადა ეხუმრა, მაგრამ ცოლმა ჯეროვნად ვერ შეაფასა მისი ოხუნჯობა.

— თუ გინდა, შენ თვითონ შობე და თვითონვე გაზარდე!

— აი, მეც ეგ მინდა, — გამოცოცხლდა გენადი ონუფრიევიჩი. — მე თვითონ გავზრდი მას. სახვევებსაც გამოვუცვლი და ქოთანსაც გავიტან.

ამ მნიშვნელოვანი, როგორც შემდეგ გაირკვა, სიტყვებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება.

— ჩვენ დაგეხმარებით, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — თქვენ ოლონდ პატარა გვაჩუქეთ.

— მე ერთ მკითხავს ვიცნობ, — თქვა ვარვარა იგნატიევნამ. — ბალახებით აწესრიგებს. თუ ერთ ბალახს დალევ — გოგო გაგიჩნდება, თუ მეორეს — ბიჭი. ხვალვე წავალ მასთან სოფელში ბალახის გამოსართმევად, თქვენ კი მანამდე დამიცადეთ.

— არა! არა და არა! ისევ ათი წელი მონობა! ან მიგატოვებ, ან თავს ჩამოვიხრჩობ!

— უმჯობესია, გაიქცე, ვიდრე თავი ჩამოიხრჩო, — გაისმა წკრიალა, სიცოცხლით სავსე ხმა. — ეს ხომ უფრო საინტერესოა!

მოულოდნელობისაგან ყველა შეკრთა. „გოგონათა კოშკის“ კარებში ვერა და კატია იდგნენ. გაცხარებულ კამათში ყველას დაავიწყდა, რომ დღეს კვირაა და ბავშვები შინ არიან. თმაგაჩეჩილი, პიჟამებში გამოწყობილი გოგოები იდგნენ და დიდი ინტერესით ისმენდნენ დისკუსიას.

— თუ საკითხს კენჭს ვუყრით, მე აქტიური მომხრე ვარ, — გააგრძელა ვერამ. — ამ სახლში ცხოვრება იქნებ უფრო გამხიარულდეს. — გოგონა საბაზანოში შევიდა და იქიდან დაიყვირა: — ისეთი მოწყენილობაა, გული გადაგველია! ყველა ისეთი ჭკვიანია, განსწავლული, ყველამ ყველაფერი იცის. ბინა კი არა, პოლიტგანათლების სახლია! აურზაური მაინც ატყდება, რაღაც შემთხვევა მოხდება. (ო, რა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ეს სიტყვები!). ეკატერინა გენადიევნაც მომხრეა. რას იტყვი, ეკატერინა, ჰა?

— ფეხებზედაც არა მკიდია, — ზანტად უპასუხა „ენაჭარტალა კატკამ“ და ხუთივე თითი შეიყო ხუჭუჭა თმაში.

— წადი დაივარცხნე, უსირცხვილო, — აბუზღუნდა ბებია. — თერთმეტამდე სძინავთ. სად გაგონილა, შენოდენა გოგოებს შუადღემდე ეძინოთ? სახლი ხალხით არის სავსე და პურზე ვერავინ გაგიგზავნია.

— მერე რა?

— წადი, შენი ლოგინი გაასწორე.

— მერე რატომ?

— დილიდანვე დაიწყე?

— როგორ მომაბეზრეთ ყველამ თავი! — ჩაიბუტბუტა „ენაჭარტალამ“ და დაამთქნარა. — ახლა ამ ღლაპს გადაყვებიან. გაჩნდება ვინმე აბეზარი... დაიწყებს წესრიგის დამყარებას... ღმერთო, მალე გავიზრდებოდე, დაგაღწევდეთ ყველას თავს...

„ენაჭარტალა“ ლოგინის გასასწორებლად წაფრატუნდა.

— აი, რა, — უთხრა გენადი ონუფრიევიჩმა ცოლს. — წავიდეთ, საძინებელში გავაგრძელოთ საუბარი... უხერხულია ბავშვების თანდასწრებით...

— მე კი ბალახის ჩამოსატანად გავემგზავრები, — სამზადისს შეუდგა ვარვარა იგნატიევნა. — ბერიკაცო, როდის გადის მატარებელი?

თავი მესამე.

რომელიც არსებითად პირველი უნდა ყოფილიყო, რამეთუ იგი იძლევა მთელი მოთხრობის გასაღებს.

ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, უცხო ენების კათედრაზე, სადაც გენადი ონუფრიევიჩი მუშაობდა, მოხდა ერთი შემთხვევა, თავისთავად უმნიშვნელო, შეიძლება ითქვას, ჩირის ფასადაც არ ღირდა, მაგრამ მან დიდად განაპირობა მთელი ჩვენი ამბის შემდგომი მსვლელობა.

შემთხვევა ასეთი იყო. კათედრის გამგე ოლეგ ბორისოვიჩ ნუკლიევი სამსახურში ჩალურჯებული მარჯვენა თვალით მოვიდა. ოლეგ ბორისოვიჩი, უნუგეშო მარტოხელა კაცი, ზომიერად სვამდა და საეჭვო ნაცნობობას გაურბოდა. დალილავებული თვალით სამსახურში მისი გამოჩენა ყველასათვის დიდად მოულოდნელი ამბავი იყო.

ბუნებრივია, ასეთი დალურჯებული სახით ლექციის წაკითხვა უხერხული იყო. სცადეს კიდეც მარჯვენა თვალი შეეხვიათ, მაგრამ უფრო უარესი გამოვიდა — თვალშეხვეული კათედრის გამგე კაპიტან ფლინტის გემის მეკობრეს დაემსგავსა.

მეტი რა ჩარა იყო, ლექცია გადადეს. ნირწამხდარმა ოლეგ ბორისოვიჩმა ყველა, ვინც თავისუფალი იყო — გენადი ონუფრიევიჩი და უმცროსი ლაბორანტი სენეჩკა — კაფეში დაპატიჟა. ტაქსში ჩასხდნენ და ქალაქგარეთ გასწიეს, ვინაიდან ქალაქში სამუშაო საათებში დალევა როგორღაც უხერხული იყო.

გზად ერთი ბოთლი წითელი ღვინო და ლუდი შეიძინეს. ჩამომჭკნარ, გათელილ ნაძვებს შორის მიკარგულ სასაუზმე „ნიავში“ მოეწყვნენ და ოლეგ ბორისოვიჩმა თავისი ნაღვლიანი თავგადასავლის მოყოლა დაიწყო.

— გესმით, ძმებო, გუშინ ჩემთან ძმა და ძმისშვილი ჩამოვიდნენ. ძმისშვილი ექვსი წლისაა. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს...

დაე, მკითხველს ნუ შეაცბუნებს კათედრის გამგის მიერ წარმოთქმული სიტყვა „ძმებო“. უნდა ითქვას, რომ კათედრა, რომელსაც ოლეგ ბორისოვიჩი ხელმძღვანელობდა, პატარა, მეგობრული კოლექტივი იყო და კათედრის შედუღაბებაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვოდა თვით ოლეგ ბორისოვიჩს. უპრიანი იქნება, რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიოთ „ნიავში“ მჯდარი თითოეული მათგანი.

ოლეგ ბორისოვიჩ ნუკლიევი, 43 წლის. ტანადი, სიმპათიური (თვალის ჩალურჯებამდე), გულღია, უნუგეშო მარტოხელა კაცი, ვინაიდან მიაჩნია, რომ ქალები მოაზროვნე კაცობრიობის გზაზე ბუნების მიერ დაგებული ხაფანგები არიან. „მოაზროვნე კაცობრიობაში“ ოლეგ ბორისოვიჩი თავის თავსაც გულისხმობდა. აქვს „ჟიგული“, ზაფხულობით მოგზაურობს, თავისი სამუშაო უყვარს, თანამდებობით ამაყობს, მაგრამ ფიქრობს, რომ შეეძლო უფრო მეტისთვის მიეღწია კარგი იდეისა და გარემოებათა კეთილი თანმთხვევის პირობებში.

ლექციაზე პრინციპულად სპორტულ კოსტიუმს იცვამს, შესვენებებზე სტუდენტებთან პინგ-პონგს თამაშობს. სტუდენტებს უყვართ. ჰყავს ბევრი ფარული მოშურნე, ერთ-ერთი მათგანია

დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ფედორ ივანოვიჩ კურდიუკოვი, მეტსახელად ნახევარშეფი.

ს ე ნ ე ჩ კ ა რ ა ს ტ ო რ გ უ ე ვ ი, 25 წლის. ასპირანტი, კაფანდარა, თმაგაბურძგნილი, მაგრამ მიმზიდველი, განსაკუთრებით მასავით გალეულებისა და თმაგაბურძგნილებისათვის. კათედრაზე შემთხვევით მოხვდა, საქმით თავს არ იწუხებს და, როგორც ჩანს, საკანდიდატოს, როგორც საკუთარი ყურების დანახვას, ვერც ეღირსება. მიუხედავად ამისა, კათედრაზე სენეჩკა უყვართ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მეტოქედ მას არავინ თვლის, მეორეც, თავაზიანია. ყოველთვის მზად არის გაიქცეს სიგარეტის თუ ძეხვის მოსატანად.

ფ ე დ ო რ ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ კ უ რ დ ი უ კ ო ვ ი „ნიავში“ არ არის, მაგრამ უშუალო მონაწილეა შემდგომ მომხდარი ამბებისა.

დირექტორის მოადგილე და კათედრის კურატორი. 61 წლის. სპეციალობით ხელმოცარული არქეოლოგი. მთელი სიცოცხლე ეძებს ადამიანის უძველეს სადგომს სოფელ სინიუშინოს ქვეშ, მაგრამ მხოლოდ ერთი თიხის დოქი იპოვა, რომელსაც გაურკვეველი წარწერები აქვს. დამწერლობა იმდენად იდუმალია, რომ დღემდე ვერ შეძლეს ვერც ერთი მისი ნიშნის გაშიფვრა. ფედორ ივანოვიჩი ამტკიცებს, რომ ამ ნიშნებს რაღაც საერთო აქვთ ლურსმულ დამწერლობასთან, და თუ ეს ასეა, დოქის აღმოჩენა მთელ რევოლუციას მოახდენს არქეოლოგიაში. მაშასადამე, სკვითები ეგვიპტელებთან ვაჭრობდნენ? ან იქნებ ეს რაღაც სხვა, მეცნიერებისათვის უცნობი ცივილიზაციაა?

თიხის დოქისა არავის სჯერა, და კურდიუკოვი ეძებს სადგომს თავის ვაჟიშვილთან ერთად. უფრო სწორად, ეძებდა შვილთან ერთად, რამეთუ შვილი მუშაობდა გაჯოხვის შიშით და, სრულწლოვანი გახდა თუ არა, გაიქცა და ავეჯის მაღაზიაში მტვირთავად დადგა. იქ სამუშაო უფრო იოლი იყო და ნიშნებიც (იგულისხმება ფულის ნიშნები) უფრო გასაგები, ვიდრე ლურსმული, და, რაც მთავარია, მათ უფრო ხშირად პოულობდა, ვიდრე დოქებს მიწაში.

მაგრამ ფედორ ივანოვიჩი იმედს არ კარგავს, რომ იშოვის მოხალისეებს უძველესი სინიუშინოელი ადამიანის სადგომის გასათხრელად. იგი თავისი თეორიის პროპაგანდას ლექციებზე

ეწევა, წერს პოპულარულ სტატიებს გაზეთებსა და ჟურნალებში. მაგრამ ვაი, რომ სოფელ სინიუშინოს გათხრების მსურველები არ ჩანან, და ყოველ ზაფხულს ფედორ ივანოვიჩის ეული ფიგურა ძველ ფეტრის შლაპაში, გრძელ შავ ტრუსებსა და მზეზე გახუნებულ მაისურაში გამოწყობილი, აცვიფრებს შემთხვევით გამვლელებს. საუკუნეთა წყვდიადიდან ამოყურყუმელავებული განძის მაძიებელი ხომ არ ჰგონიათ იგი?

მაგრამ უკანასკნელ ხანს ფედორ ივანოვიჩმა შესამჩნევად იწყო ნერვიულობა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მისი პენსიაზე გასვლის შესახებ დაირხა ხმები. ნახევარშეფი უმიზეზოდ უყვიროდა ხელქვეითებს, ტუქსავდა მათ, ერთთავად ახალგაზრდების დაბალ კულტურაზე ლაპარაკობდა, რამეთუ მაღალი კულტურის ნიშანია წარსულის პატივისცემა, ეს პატივისცემა კი სტუდენტებს არ გააჩნიათ. ისინი უფრო ისწრაფვიან მომავლისაკენ, სწავლობენ ფუტუროლოგიას, სოციოლოგიასა და სხვა მოდურ რაღაცეებს, იმ დროს, როცა საჭიროა ხშირად მიიხედონ უკან, რამეთუ მხოლოდ წარსულით ამოიხსნება მომავალი.

ნუკლიევი ზურგსუკან დასცინოდა მოხუცს. იქნებ ამის გამო, ან შეიძლება უფრო იმიტომ, რომ ოლეგ ბორისოვიჩს ყველაფერში ხელი ემართებოდა, წარმატებას განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე აღწევდა, ნახევარშეფმა შეიძულა ნუკლიევი და მასთან ერთად მთელი უცხო ენების კათედრაც. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, თითქოს კურდიუკოვს სამინისტროში პროექტი შეუტანია, რათა უცხო ენების კათედრა გაეუქმებინათ, ხოლო მის ადგილზე კი ლურსმული დამწერლობის კათედრა შეექმნათ.

არანაკლებ აბოროტებდა ფედორ ივანოვიჩს ოჯახური მდგომარეობაც. ერთ ზაფხულს, როცა კურდიუკოვი უძველესი ადამიანის სადგომს ეძებდა სოფელ სინიუშინოსთან, მისი ცოლი ტურისტულ ლაშქრობაში წავიდა და აღარ დაბრუნდა. შვილიც ამწარებდა მამას. იმის მაგიერ, რომ მამამისის მთელი ცხოვრების საქმე გაეგრძელებინა და მოეძებნა იდუმალი ცივილიზაციის უნიკალური კვალი, მას ზურგით გადაჰქონდა უნიფიცირებული გაპრიალებული ავეჯი, ხოლო როცა „ფულის ნიშნები“ არ ყოფნიდა ქალიშვილების საჩუქრებისათვის და დასალევად, მამას ურცხვად ქურდავდა და ჩუმად დაათრევდა საკომისიო მა-

ღაზიებში მამისეული წიგნებისა და უძველესი ნივთების კოლექციებს. ერთხელ უძვირფასესი სინიუშინური დოქის მოპარვაც კი მოახერხა, მაგრამ საბედნიეროდ, საკომისიო მაღაზიაში მას გროშიც არ მისცეს.

ერთი სიტყვით, ჩვენი მოთხრობის დასაწყისში ფედორ ივანოვიჩი გაბოროტებული, უბედური და უკეთური ენერგიით აღსავსე ადამიანი იყო, რამაც დიდად განაპირობა კრასინის ექსპერიმენტის ბედი.

კათედრის დანარჩენი თანამშრომლები ამ ამბავში არ მონაწილეობენ და მათზე მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. მხოლოდ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ეს იყო შედუღაბებული კოლექტივი, უყვარდა თავისი კათედრის გამგე და სრულებით ვერ იტანდა კინკლაობას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კრასინების ოჯახში მომხდარი დრამატული შემთხვევის დროს კოლექტივს ნეიტრალური მხარე ეჭირა, არსად არ წერდა ანონიმურ წერილებს, არც მორალური სახის განხილვა მოუწყვია და ამის წყალობით არც მთელი ეს ამბავი გახმაურებულა.

მაშ ასე, სამი მეგობარი სასაუზმე „ნიავში“ იჯდა, სვამდა და მსჯელობდა ოლეგ ბორისოვიჩ ნუკლიევის თავგადასავალზე.

შემთხვევა უმნიშვნელო იყო, მაგრამ გულსატკენი. ექვსი წლის ძმისშვილი, რომელთანაც ოლეგ ბორისოვიჩს საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა, მეორე პროგრამით ჰოკეის მატჩს უყურებდა. პირველი პროგრამით „კინომოგზაურობის კლუბს“ უჩვენებდნენ. ოლეგ ბორისოვიჩს ძალიან უნდოდა „კლუბის“ ყურება, რამეთუ თვითონაც მოგზაური იყო და უდიდეს პატივს სცემდა ამ გადაცემას, მაგრამ ვერასგზით ვერ დაითანხმა ძმისშვილი, ტელევიზორი სხვა არხზე გადაერთო. მტკიცებას, რომ „კინომოგზაურობის კლუბი“ ადამიანის გონებას უფრო მეტს აძლევდა, ვიდრე ისეთი სანახაობა, როგორც ჰოკეის მატჩი, თანაც ასეთი უხალისო და უინტერესო, პატარა ჯიუტი აინუნშიც არ აგდებდა.

ოლეგ ბორისოვიჩს ძმის მთელი ოჯახი უჭერდა მხარს, ამიტომ იგი ადგა და ტელევიზორი მეორე პროგრამიდან პირველზე გადართო. ძმისშვილმა მაშინვე ისევ პირველზე დააყენა. გაჩაღ-

და კამათი, მას პატარა ცემა-ტყეპაც მოჰყვა, მაგრამ მაინც უფროსებმა გაიმარჯვეს და ტელევიზორის ეკრანზე ისევ „კინომოგზაურობის კლუბი“ გამოჩნდა.

მაშინ ძმისშვილმა, რომელთანაც ოლეგ ბორისოვიჩს ყოველთვის საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა, ვაზიდან უზარმაზარი მაროკოს ფორთოხალი აიღო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ესროლა თვალში საკუთარ ბიძას, ამასთან ელეგანტური, ფრანგული წარმოების პენსნეც გაუტეხა.

აი, რა შეემთხვა: ოლეგ ბორისოვიჩმა თხრობა დაამთავრა და ახლა თანაგრძნობას ელოდა, ვინაიდან მისი საუკეთესო გრძნობები შელახული იყო. სიკეთის გარდა, ძმისშვილისთვის მას სხვა არაფერი გაუკეთებია, და ესეც შენ, ინებეთ, მადლობის მაგიერ — ფორთოხალი თვალში.

გენადი ონუფრიევიჩი მხურვალედ თანაუგრძნობდა უმიზეზოდ დამახინჯებულ ბიძას. საუბარი, ბუნებრივია, ბავშვების აღზრდას შეეხო.

გენადი ონუფრიევიჩის აზრით, რადგან მშობლებს აღარ სცალიათ, მთავარი აღმზრდელები ბებიები და პაპები გახდნენ. და ვინაიდან თავიანთი გონების სტრუქტურით ისინი ახლოს დგანან ბავშვებთან, სხვას ვერაფერს ასწავლიან მათ, გარდა თავხედობის, სიზარმაცის, ეგოიზმისა, ესე იგი იმ თვისებებისა, რომლებიც თვით ბუნების მიერ არის ჩადებული პატარა არამზადებში. მათ არ შეუძლიათ, უფრო სწორად, ძალა არ შესწევთ, აღმოფხვრან ეს თვისებები.

სენეჩკა კი ჭკუის ძალდაუტანებლად წუხდა აღზრდის ისეთი მძლავრი ბერკეტის დაკარგვის გამო, როგორიცაა გაწკეპვლა, და წყევლიდა ტელევიზიას, მშობლებს ის უკანასკნელი საათები რომ წაართვა, რომლებიც შეიძლებოდა ბავშვების აღზრდისათვის გამოეყენებინათ.

ოლეგ ბორისოვიჩი საგნებს ფართოდ უყურებდა. მას მიაჩნდა, რომ აღზრდის საქმეში საერთოდ არ იყო ერთიანი სისტემა. თითოეული ზრდიდა ისე, როგორც მოესურვებოდა და ავიწყდებოდა, რომ მნიშვნელოვანია არა თვით აღზრდის პროცესი, არამედ საბოლოო შედეგი. მერედა როგორია საბოლოო შედეგი?

საბოლოო შედეგი — ზრდილი ადამიანია.

მერედა როგორია ზრდილი ადამიანი?

ზრდილი ადამიანი, ეს პირველ ყოვლისა, არის ადამიანი, რომელმაც სრულყოფილად იცის თუნდაც ერთი უცხო ენა; მეორეც, მისდევს სპორტს; მესამე, ერკვევა ხელოვნებაში, და, მეოთხე, აქვს კარგი მანერები. აი, როგორი უნდა იყოს ზრდილი, შეიძლება ითქვას, იდეალური ბავშვი. გვყავს კი ასეთები? შეიძლება პირდაპირ ითქვას — არა!

ნუკლიევი გაცხარდა, როცა იდეალურ ბავშვს აღწერდა. რაც უფრო ბევრს ლაპარაკობდა ამ სრულყოფილებაზე, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ასეთი ბავშვი, მართლაც, არ არსებობს და წარმოუდგენელია, რომ მას ოდესმე შექმნიან, რამეთუ არა აქვთ მისი შექმნის მეთოდიკა.

სენეჩკა მეორე ბოთლის მოსატანად გაიქცა. იდეალური ადამიანის შექმნის მეთოდიკა იმდენად ნათლად აისახა, რომ სენეჩკა ჩაფიქრდა და წამოროშა:

— ბიჭებო, ექსპერიმენტი ხომ არ დაგვეყენებინა? ჰა? ასე ვთქვათ, დაგვეწყო ბავშვის აღზრდა პირველივე საათიდან მკაცრი მეცნიერული პროგრამით! არ მიგვეშვა მასთან არც ბებია, არც პაპა და თვით დედაც კი!

კრასინი და ნუკლიევი გაშტერებული შეჰყურებდნენ სენეჩკას. ასეთი რამ მათ აზრადაც არ მოსვლიათ.

— მართალია! — დაიყვირა ნუკლიევმა. — ყოჩაღ! — ოლეგ ბორისოვიჩმა მხრებზე ხელი დაჰკრა უმცროს ლაბორანტს. — დაბადების პირველივე წუთიდან მოთოკილი უნდა გვყავდეს ეს საძაგელი! თანაც სისტემურად, სისტემურად ვზარდოთ! ვნახოთ, მაშინ თუ ესვრის ფორთოხალს თვალში საკუთარ ბიძას! ამის გაფიქრებაც კი თავზარს დასცემს. ხუთი-ექვსი წლისას მას ეცოდინება ენა, სპორტი, ხელოვნება, დაუფლებული იქნება კარგ მანერებს. ჩვენ კი... ჩვენ, ძმებო, — ნუკლიევი უცებ გარინდდა, ისეთი აზრი მოუვიდა თავში... — ჩვენ, ძმებო, ამაზე სადოქტოროს დავიცავთ ... ან შეიძლება!.. მთელ მეცნიერებას აღზრდის შესახებ თავდაყირა დავაყენებთ! ჩვენ ვიქნებით იდეალური ბავშვის პირველი შემქმნელები! სენია, გაიქეცი, კიდევ ერთი ბოთლი მოიტანე!

გენადი ონუფრიევიჩსა და სენეჩკას იდეა ძალიან მოეწონათ. უმცროსი ლაბორანტი ღვინის მოსატანად გაქანდა. შესვეს ექსპერიმენტის სადღეგრძელო. მაგრამ სად ვიშოვოთ ბავშვი?

— ჰო, — ოლეგ ბორისოვიჩმა კეფა მოიფხანა. — სხვის შვილს ვერსად ვიშოვით... არავინ მოგვცემს... ყველანი კონსერვატორები არიან, საზიზღრები. მაშასადამე, გამოსავალი ერთია... ბავშვი რომელიმე ჩვენგანმა უნდა დაბადოს... ჩემს კანდიდატურას წინასწარვე უარვყოფ, ვინაიდან გრძელი ამბავი გამოვა... ვიდრე შეათვალიერებ ვინმეს, ვიდრე ითხოვ, ვიდრე ეს, ვიდრე ის... თანაც არავინ მყავს შერჩეული, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არავინ მყავს... თავს ვიქცევ მხოლოდ...

— მეც არ შემიძლია, — თქვა სენეჩკამ, — მე თავქარიანი ვარ და ნედლი... მოცემულ მომენტში მე არავინ წამომყვება... შეიძლება, ცოტა მოგვიანებით.

— გიპოვით! — გადაჭრით გადააქნია თავი ნუკლიევმა.—შენ ახალგაზრდა ხარ. თქვენ, ახალგაზრდები, ყველაფერს სწრაფად ახერხებთ. ერთი-ორი და მზადაა. არ მოგეწონება — მაშინვე შეიძლება განქორწინება. თქვენთვის ეს იოლია.

— არა... — ხელები გაასავსავა სენეჩკამ. — ოჯახური ცხოვრებისათვის არ გამოვდგები... ბავშვის სახვევები... საწოვარები... ბოთლები... ჩავაგდებ ექსპერიმენტს...

— ეს მართალია, — ნუკლიევი ჩაფიქრდა, ლოყით ხელისგულს დაეყრდნო, — შენ ვერ გაუძლებ... წყალწყალა ხარ... მაშასადამე, დარჩა კრასინი...

— მე უკვე ორი მყავს, — სწრაფად მიუგო გენადი ონუფრიევიჩმა, — მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე... რათა კაცობრიობა არ გადაშენდეს, უნდა გააჩინო ორი...

— კაცობრიობა უნდა იზრდებოდეს, ერთ ადგილს კი არ უნდა ტკეპნიდეს, — დაბეჯითებით შენიშნა ნუკლიევმა. — მსოფლიო ოკეანე ჯერ კიდევ არ არის ათვისებული. ასტეროიდებზედაც, აი, გაზეთებშიც წერენ, ქალაქები უნდა ააშენონ, მერე სად იშოვიან ადამიანებს?

— ცოლი არ დამეთანხმება.

— დაიყოლიე. წაულას ბეწვის ქურქს შეპირდი.

— ქურქის ფული არა მაქვს...

— დაპირდი, შემდეგ კი საკითხს გაყინავ.. .გესმის, შენ ყოველმხრივ შესაფერისი ხარ: გამოცდილება გაქვს, სერიოზული კაცი ხარ, პუნქტუალური... გახდები დოქტორი, აკადემიკოსი, სკოლის მამამთავარი, შრომებს გამოსცემ, საზღვარგარეთ

ივლი, — ახარბებდა ოლეგ ბორისოვიჩი. — ჩვენც, ბუნებრივია, არ დაგვივიწყებ... სენია, გავარდი, კიდევ ერთი ბოთლი მოიტანე!

— არა, — თავს აქნევდა გენადი ონუფრიევიჩი. — ცოლს ვერ დავითანხმებ. ძლივს ავუთავდით ყველაფერ ამას... კინაღამ საიქიოს გაგვისტუმრეს... უმცროსი ჯერ კიდევ ყველაზე მძიმე ასაკშია... უფროსსაც თვალყურის დევნება უნდა... საპატარძლოა... ათასგვარი თეორიები უტრიალებს თავში: „ყველა დღე დღესასწაულია...“ მოფიქრება ხომ უნდა... „კეფირის დღე...“ მთელი დღე მარტო კეფირს სვამს და ბედნიერია...

— ჩვენ? — აწვებოდა აგზნებული ნუკლიევი და ჩალურჯებულ თვალს აბრიალებდა. — ჩვენ დაგავიწყდით? ჩვენ ამ დროს სად ვიქნებით? ჩვენ მხარში ამოგიდგებით! შენ ენაში ამეცადინებ, მე — სპორტში, სენეჩკა ხელოვნებას და კარგ მანერებს კისრულობს! გაგვიჭირდება, რასაკვირველია. სამაგიეროდ მადლიერი კაცობრიობა ძეგლს დაგვიდგამს!

— ვკეტავთ! აბა, აიბარგეთ! — ოფიციანტმა ქალმა მაგიდიდან დასვრილი ჭურჭლის ალაგება დაიწყო. — დამიხედეთ, როგორ აყვირდნენ! სამუშაოსთვის არ სცალიათ — დედაკაცებს ჭორავენ, აქ კი თათბირი გამართეს.

სხვა სასაუზმეში წავიდნენ. იქ კრასინი, როგორც იქნა, დათანხმდა გაებედნიერებინა კაცობრიობა — შეექმნა იდეალური ბავშვი. ნუკლიევსა და სენეჩკას უნდოდათ ხელში აეყვანათ და ჰაერში შეესროლათ იგი, მაგრამ სკამების გადაყირავება მოახერხეს მხოლოდ.

კაფედან მეგობრები გამოაპანღურეს. ისინი აღფრთოვანებულნი გაემართნენ, რათა ადგილი გამოეძებნათ იმ ძეგლისათვის, რომელსაც დროთა განმავლობაში დაუდგამდათ მადლიერი შთამომავლობა. გზად თავისთავად იშვა ძეგლის პროექტი: მაღალ კვარცხლბეკზე ერთმანეთს გადახვეული სამი ჩაფიქრებული ადამიანი დგას, მათ ფერხთით კი თავი მოუყრია აღელვებულ კაცობრიობას.

პროექტი ყველას ძალიან მოეწონა, მაგრამ გაჩაღდა ბრძოლა ადგილისათვის ამ კომპოზიციაში. ცენტრალური ადგილი უდავოდ კრასინს ეკუთვნოდა, რომელსაც ყველაზე დიდი სიმძიმე დააწვებოდა, მისგან ხელმარჯვნივ დგომა კი ორივე მის

თანამებრძოლს ერთნაირად უნდოდა. სენეჩკა დაჟინებით მოითხოვდა თავის კანდიდატურას, ვინაიდან იგი იყო ექსპერიმენტის იდეის ავტორი. ნუკლიევი ყოველივე დანარჩენს თავის თავს მიაწერდა. ბოლოს და ბოლოს ძეგლის კომპოზიციის შეცვლა გადაწყვიტეს. გული რომ არავის დასწყვეტოდა, ყველა წრეში უნდა ჩამდგარიყო ერთმანეთთან ხელიხელჩაკიდებული.

ძეგლისათვის შესაფერისი ადგილი ბავშვთა პარკში იპოვეს პლანეტარიუმის მოედანზე, სადაც გაუქმებული დაჟანგული მილი იდგა, ალბათ, ყოფილი ტელესკოპი. გადაწყდა, მილი დაუყოვნებლივ მოეშორებინათ, რათა ძეგლისათვის ადგილი გაეთავისუფლებინათ. ეს სასარგებლო საქმიანობა მათ მილიციელის სასტვენის ხმამ შეაწყვეტინა.

დილით სამსახურში სამივე მოთენთილი და მოღუშული გამოცხადდა. ამჯერად ნუკლიევი უფრო წინდახედული აღმოჩნდა და ჩალურჯებული თვალის შესანიღბად შავი სათვალე გაიკეთა, რის გამოც პირქუში და თითქოს თვალბედითი იერიც კი ჰქონდა.

გუშინდელს არ იხსენებდნენ. როგორც სიმთვრალეში შობილი ყველა პროექტი, იდეალური ადამიანის შექმნის პროექტიც მდუმარედ დასამარდა.

მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი ერთმანეთთან საოცრადაა გადაჯაჭვული. ნუკლიევის შავი სათვალე, როგორც არ უნდა ვაგიკვირდეთ, საბედისწერო ფაქტორი აღმოჩნდა გუშინდელი იდეისათვის.

საქმე ისაა, რომ, როდესაც შავსათვალიანი ნუკლიევი ლექციაზე მიიჩქაროდა, მას თვალი მოჰკრა თავის საქმეზე მიმავალმა ფედორ ივანოვიჩ კურდიუკოვმა — ნახევარშეფმა. სწავლულებმა ერთმანეთს თავი დაუკრეს და დასცილდნენ.

„დარბის, ყველაფერს ათვალიერებს, რას დაასოს კბილი“, — გაიფიქრა ოლეგ ბორისოვიჩმა.

ფედორ ივანოვიჩმაც დაძრახა გუნებაში კოლეგა: „პიჟონი, გაუკეთებია შავი სათვალე. სულ აიშვა თავი“.

ოლეგ ბორისოვიჩმა მალე დაივიწყა ეს შეხვედრა, კურდიუკოვი კი სულ უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე.

ფედორ ივანოვიჩის გაღიზიანება გასაგები რომ გახდეს, რაც ნუკლიევის შავი სათვალის დანახვამ გამოიწვია, უნდა ვი-

ცოდეთ ერთი პატარა დეტალი: იმ კაცსაც, რომელმაც კურდიუკოვს ცოლი მოსტაცა ტურისტულ ლაშქრობაში, შავი სათვალე ეკეთა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როდესაც ჯგუფი მიემგზავრებოდა, ამ დონჟუანს თეთრი ქუდი ეხურა, ლურჯი სპორტული შარვალი ეცვა და შავი სათვალე ეკეთა. იგი დანახვისთანავე არ მოეწონა ფედორ ივანოვიჩს — თამამი მანერები, დაჟინებული მზერა, თავხედური მიხრა-მოხრა. მას შემდეგ ფედორ ივანოვიჩს ინსტინქტურად სძულდა ლურჯ შარვალში გამოწყობილი შავსათვალიანი მამაკაცები.

კურდიუკოვი საქმიანობდა, მაგრამ ერთთავად თვალწინ ედგა კათედრის გამგის გამომწვევსათვალიანი სახე. უფრო მეტიც, ფედორ ივანოვიჩმა გაიხსენა, რომ შეხვედრისას ნუკლიევმა ზიზღით ჩაიფრუტუნა, გაიხსენა მისდამი უპატივცემულო დამოკიდებულების სხვა შემთხვევებიც და დაასკვნა, რომ ნუკლიევი მას დასცინოდა.

გააკეთა თუ არა ასეთი დასკვნა კურდიუკოვმა, მაშინვე დამშვიდდა და გადაწყვიტა უცხო ენათა კათედრის საქმიანობის მოულოდნელი რევიზია ჩაეტარებინა. ფედორ ივანოვიჩმა არ დააყოვნა, კათედრაზე მაშინვე დარეკა და თავისთან ნუკლიევი მოიწვია.

კათედრის გამგე მაშინვე არ გამოცხადებულა და ამ გარემოებამ უფრო განუმტკიცა კურდიუკოვს ეჭვი, რომ ხელქვეითი მას არაფრად აგდებდა. (ოლეგ ბორისოვიჩი კი, იმის შიშით, რომ გუშინდელი ღვინის სუნი კიდევ ექნებოდა, ბუფეტში გაიქცა მწვანე ხახვის სალათის შესაჭმელად). იმ ფაქტმა, რომ ნუკლიევმა მაინც არ მოიხსნა კადნიერი შავი სათვალე, საბოლოოდ მოთმინებიდან გამოიყვანა დირექტორის მოადგილე.

— აბა, როგორ მიდის საქმეები? — ჰკითხა კურდიუკოვმა, თან ყველანაირად ცდილობდა კეთილგანწყობილების იერი შეენარჩუნებინა. — რა ისმის ახალი? რაზე მუშაობენ უცხოელები?

ნუკლიევმა უპასუხა. ლაპარაკის დროს ცდილობდა მოშორებით ესუნთქა და ნაკლებად გაეღო პირი, რათა გამცემ სუნს უფროსის ნესტოებამდე არ მიეღწია. ფედორ ივანოვიჩს კი მოეჩვენა, რომ ნუკლიევი კბილებში გამოცრით ელაპარაკებოდა და თან თვალს არიდებდა.

კურდიუკოვმა გულკეთილობას თავი ანება და დაიწყო მისი დატუქსვა. იგი აწვებოდა ყველა სამეცნიერო კოლექტივის სუსტ ადგილს — ადამიანები თითქმის არ იზრდებიან, კვალიფიკაციას არ იმაღლებენ, შემოქმედებით ძიებას ზერელედ ეკიდებიან. მთელი ამ ხნის განმავლობაში კათედრამ ვერც ერთი მეცნიერების დოქტორი ვერ გამოზარდა.

ნუკლიევი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ მის შეგნებამდე მხოლოდ გაურკვეველი გუგუნი აღწევდა: გუ-გუ-გუ... კათედრის გამგეს თავი უსკდებოდა, როგორც დედამიწის ქერქი წინაისტორიულ პერიოდში მთების წარმოქმნის დროს. ნუკლიევს უნდოდა გულისყურით ესმინა, მაგრამ თვალწინ ედგა ლუდის „მოსკოვური ორიგინალურის“ თორმეტიოდე ბოთლი, რომლებიც სენეჩკამ ამ დილას ზოოლოგიური კაბინეტის მაცივარში შეტენა დასპირტულ ქვეწარმავლებიან ქილებს შორის, და რომელთა დალევასაც მეგობრები ლექციების შემდეგ აპირებდნენ.

ოლეგ ბორისოვიჩს გულწრფელად სურდა საყვედურის აზრს ჩასწვდომოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ერეოდა თავს შეორთქლილი ყავისფერი ბოთლების მირაჟის გამო, რომლებიც, ვინ იცის, ისე გაიყინებოდნენ ახლა მოდურ ზოოლოგიურ მაცივარში, რომ გახსნისას მხოლოდ სუსტ ბათქს გამოსცემენ და ბოლსაც ოდნავ გაუშვებენ, როგორც უხმო დამბაჩა გასროლის დროს. (ოლეგ ბორისოვიჩს არასოდეს გაუსვრია უხმო დამბაჩიდან, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი სწორედ ასე ხდებოდა). ნუკლიევმა თავი გააქნია, ზმანება გაფანტა და ყურადღება ნახევარშეფის სიტყვაზე გაამახვილა.

— ... არც ერთი მეცნიერებათა დოქტორი... ყველა კათედრა მუშაობს ამ მიმართულებით.

— იდეალური ადამიანი... — თავისდა უნებურად თქვა ნუკლიევმა.

— რა? — შუა სიტყვაზე კურდიუკოვს ენა დაება.

— ჩვენც ვმუშაობთ სადოქტორო დისერტაციაზე, — ოლეგ ბორისოვიჩი გაოცებული ისმენდა თავის დამაჯერებელ, მკაფიო ლაპარაკს. — მთელი ჯგუფი მუშაობს უნიკალურ თემაზე.

ნახევარშეფი თვალებგადმოკარკლული უსმენდა.

— მე რატომ არაფერი ვიცი?

— ამოცანა იმდენად ფართოა, რომ, რადგან პირველი შე-

დეგები არ გვქონდა, ვერ გავბედეთ თქვენი შეწუხება... — ოლეგ ბორისოვიჩმა მთელი ყურადღება მაგმასავით მოთუხთუხე თავზე გადაიტანა, ენა კი ამ დროს აგრძელებდა: — როგორც კი საიმედო მონაცემებს მივიღებდით, გვინდოდა...

— რა ეწოდება დისერტაციას?

— „ენობრივი ეაკუუმის აბაზანა როგორც საუკეთესო საშუალება დაწყებითი სალაპარაკო ჩვევების შესაქმნელად", — წარბშეუხრელად მიახალა ნუკლიევმა. — ესე იგი ჩვენ დაბადების მომენტიდან შვიდ წლამდე ბავშვს ველაპარაკებით მხოლოდ ინგლისურად და შვიდი წლისამ მან უკვე სრულყოფილად უნდა იცოდეს ენა. მაგრამ ეს საქმის ნახევარია. ჩვენ ამოცანა უფრო ფართოდ გვესმის...

და ოლეგ ბორისოვიჩმა დაიწყო თხრობა იდეალურ ადამიანზე. ნახევარშეფი სულ უფრო დიდი ყურადღებით უსმენდა, თან თითებს ნერვულად უკაკუნებდა მაგიდაზე.

— ჰო, ეს კარგად მოგიფიქრებიათ, — თქვა ჩაფიქრებულმა საუბრის დასასრულს და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად შეხედა სიმპათიით ნუკლიევის შავ სათვალეს, — დაუყოვნებლივ დამიწყვეთ მაგიდაზე გეგმები, ანგარიშები, ცდის სქემა...

... მეგობრები ნუკლიევს კაბინეტთან უცდიდნენ. სენეჩკა საიდუმლო ნიშნებს აძლევდა, რაც ნიშნავდა, რომ ლუდი უკვე ელოდათ.

— ეს-ეს არის, გამოვიღე, — აცნობა უმცროსმა ლაბორანტმა ჩახლეჩილი ხმით და ფიქალივით გახეშეშებული ენა გააწკლაპუნა. — სულ ლოლუები ჰკიდია...

ნუკლიევმა ხელი ჩაიქნია.

— ეჰ, ხათაბალაში გავებით, ძმებო. უკან დასახევი გზა აღარა გვაქვს. გენა, დაიწყე ექსპერიმენტი... თორემ დავიღუპეთ...

აი, რა ამბები უძღოდა წინ ჩაის სმისას გენადი ონუფრიევიჩის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომლებმაც თავდაყირა დააყენა კრასინების ოჯახის მთელი ცხოვრება.

მაგრამ, რასაკვირველია, არც ირონჩკამ, არც კრასინთაგან სხვა რომელიმემ ამ ამბების არც თავი იცოდა და არც ბოლო.

თავი მეოთხე,

რომელშიც აღწერილია შურიკ-სმიტ კრასინის სიცოცხლის პირველი საათები დედამიწაზე

ზუსტად ცხრა თვის შემდეგ, რაც ირეჩკა და გენადი ონუფრიევიჩი ოთახიდან გავიდნენ, რათა ურთიერთობა გაერკვიათ, ქვეყანას კრასინების ოჯახის ახალი წევრი მოევლინა.

მთელი ამ თვეების განმავლობაში კრასინების ოჯახში დაძაბული ვითარება სუფევდა. გაცხარებული კამათი იყო გამართული, რა სახელი უნდა რქმეოდა მომავალ კრასინს. ოჯახი ორ ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს დედა — ირეჩკა იდგა. მას უნდოდა შვილისთვის შურიკი დაერქმია საყვარელი მწერლის შარლ დე კოსტერის (შარლ-ალექსანდრ-შურიკი) პატივსაცემად. ბიჭი რომ დაიბადებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ვინაიდან ირეჩკა საღამოობით მუდამღღე სვამდა მკითხავი დედაკაცის ბალახებს.

ბარიკადების მეორე მხარეს აქტიურად აღმართულიყო ონუფრი სტეპანოვიჩი, რომელიც ჭკუის ძალდაუტანებლად ოცნებობდა იმაზე, რომ მომავალი შვილიშვილისათვის საკუთარი თავის პატივსაცემად ონუფრი დაერქმია. ვარვარა ივნატიევნა ქმარს მხარს უჭერდა, რადგან ფიქრობდა, რომ ონუფრი სჯობია ალექსანდრეს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება შარლად გადაიქცესო.

ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხში მხოლოდ მამას ეკავა საოცრად ნეიტრალური პოზიცია.

მაგრამ უფრო დიდ კამათს იწვევდა შურიკ-ონუფრის მომავალი.

დედა ფიქრობდა, რომ მისი შვილი იქნებოდა მაღალი, ტანადი, ქერა, გრძელთმიანი, ლამაზი ბიჭი, ბალეტში რომ იცეკვებდა.

ონუფრი სტეპანოვიჩს შვილიშვილი შაეთმიან, ჯან-ღონით სავსე ბიჭად წარმოედგინა, დილიდან საღამომდე რომ დაქროდა მინდვრებში კოლმეურნეობის „გაზიკით“. ვარვარა იგნატიევნაც ქმარს უჭერდა მხარს, რადგან მიაჩნდა, რომ ფეხის მოტეხვის ან ჯანმრთელობის დაკარგვის რისკი მინდორში გაცილებით ნაკლე-

ბი იყო, ვიდრე, ვინ იცის, რითი გაპრიალებულ საბალეტო იატაკზე.

მხოლოდ გენადი ონუფრიევიჩი ისევ და ისევ ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა.

მაგრამ მომავალმა გვიჩვენა, რა ანგარიშიანი, ვერაგი კაცი აღმოჩნდა ეს, ერთი შეხედვით, წყნარი, მორიდებული, მობეცო ინტელიგენტი, კეთილად რომ უყურებდა სამყაროს სქელშუშებიანი სათვალიდან. თურმე მას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული: საიდუმლო კლიტეც, ბავშვის ფაფის ფხვნილიც, პირასაკრავი ნიღაბიც, დეკლარაციაც...

თავდაპირველად ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც უნდა ყოფილიყო: ალიაქოთი სამშობიარო სახლში, ნათესავებით სავსე. ტაქსების კავალკადა, სადღესასწაულო სუფრის ირგვლივ ფუსფუსი... გენადის საქციელი არავითარ ეჭვს არ ბადებდა. როგორც ყველა მამა მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში, მან მხოლოდ ცალი თვალით დახედა ქორფა კრასინის სახეს, ერთი დაიმანჭა და აკოცა. სამშობიარო სახლიდან იგი უკანასკნელი ტაქსით წამოვიდა; ვაჟიშვილის აკვანში დამკვიდრების ცერემონიის დროს მამა მაგიდის ირგვლივ დაყიალობდა და საუზმეს თავისი სქელი გამჭოლი ლინზებიდან აკვირდებოდა.

და მხოლოდ მაშინ, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, გენადი ონუფრიევიჩმა პირველად გააკეთა ისეთი რამ, რაც შინაურებს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენათ. საძინებელში, სადაც ბავშვის საწოლი დადგეს, მან მაგიდა შეათრია, მაგიდაზე დააწყო სუფთა ქაღალდების დასტა, წვერწათლილი ფერადი ფანქრების კოლოფი. შემდეგ რაისშინა და ლოგარითმული სახაზავიც მოიტანა. გაურკვეველმა მოუსვენრობამ შეიპყრო დედის გული.

— რას აკეთებ? — ჰკითხა ირეჩკამ.

— ბავშვის ყვირილში უფრო კარგია მუშაობა, — უპასუხა მეცნიერმა მამამ და მაგიდაზე რაღაც ცნობარები დაახვავა. — რაისშინით კი ბუზებს მოვუგერიებ.

ირეჩკას პასუხი არადამაჯერებლად მოეჩვენა, მით უმეტეს, რომ ოთახში ბუზები არ იყო.

— იცი რა, — უთხრა მან, — წადი სასტუმრო ოთახში და შენი საქმეები აკეთე, მე კი ჩემს საქმეს მივხედავ.

გენადი ონუფრიევიჩმა დაუჯერა და წელში მოხრილი გავიდა გაცვეთილი ფაჩუჩების ფრატუნით.

დამშვიდებულმა დედამ ბავშვის სახვევები აიღო და სამზარეულოსკენ გასწია, კრასინი კი უცებ შემობრუნდა, შემზარავად იელვა სათვალის სქელმა მინებმა, და უკან გამოექანა. ვერავინ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე გაუჩინარდა საძინებელში. გაიჩხაკუნა კარის ზედა ნაწილში დატანებულმა საიდუმლო კლიტემ. გაოცებული და შეშფოთებული ირინა კართან მივიდა.

— გენა, რა მოხდა? გააღე!

დუმილი.

— გენა, რა დაგემართა? გემუდარები, გააღე! — დედის შეშფოთება სულ უფრო იზრდებოდა. ჭკუიდან ხომ არ შეიშალა ქმარი?

დუმილი.

— თუ არ გააღებ, გარკვევით მაინც ამიხსენი, რა მოხდა?

— ვაკუუმის აბაზანა! — ყრუდ შემოესმა საძინებლიდან.

ირინას გააჟრჟოლა.

— რის აბაზანა, რა აბაზანა! — იკითხა და ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

— ექსპერიმენტი დაიწყო! — ახალგაზრდული და ბედნიერი ხმით დაიყვირა საძინებლიდან მისმა მეუღლემ, — მე იდეალურ ბავშვს აღვზრდი! ინგლისურად მოლაპარაკე იდეალურ ბავშვს!

— იდიოტი! გადარეული იდიოტი! — აღმოხდა ახალგაზრდა დედას. — დაუყოვნებლივ დამიბრუნე ბავშვი.

ახლაღა მიხვდა, რომ ბავშვი მის ქმარს სამეცნიერო მიზნებისათვის ესაჭიროებოდა.

— აბაზანა! აბაზანა! აბაზანუკა! აბაზანუკა! — გაისმა კარსუკან და ამას ფეხების ბაკაბუკიც მოჰყვა. მომავალი მეცნიერებათა დოქტორი და კაცობრიობის მწყალობელი სიხარულისაგან ცეკვავდა.

— გააღე!

— მეტი საქმე არა მაქვს!

— დედა! მამა! ეს სულელი სულ შეიშალა თავის ინსტიტუტში. რაღაც უნდა გაუკეთოს შურიკს! მოდით ჩქარა!

მოხუცებმაც მოირბინეს. იქვე, კართან, სწრაფად შეიკრიბა საოჯახო საბჭო.

— ერთ საათსაც ვერ გაძლებს, — დაამშვიდა ვარვარა იგნატიევნამ. — სად გააშრობს სახვევებს?

— მე მათ არ გავაშრობ, — შემოესმათ ჭუჭრუტანიდან გამარჯვებული ჩურჩული. — სამოცდაჩვიდმეტი ცალი მოვიმარაგე! სველებს კი ფანჯრიდან გადავყრი!

— კარგი, მაგრამ ბავშვის კვება? იქნებ მთელი ცისტერნა რძე მოიმზადე? — ცბიერად იკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— ორი ვედრო ფაფის ფხვნილი! ცხელ წყალს კი თქვენ დამიდგამთ კართან. გარდა ამისა, ღამის ქოთანიც მჭირდება, სულ გადამავიწყდა.

— ღმერთო ჩემო, — ამოიკვნესა ირეჩკამ. — ეს რა ხდება...

— და კიდევ, აი, რა! მიყიდეთ ჩხრიალა! ვერ მოვიფიქრე, რომ დამჭირდებოდა.

— არა! — შესძახა ირეჩკამ. — მილიციას გამოვიძახებ! ეს კაცი გაგიჟდა და საჭიროა მისი იზოლირება!

ირეჩკა ტელეფონს მივარდა, მაგრამ დაიყოლიეს, რომ ჯერ-ჯერობით აყალმაყალი არ აეტეხა. ვარვარა იგნატიევნას სჯეროდა, რომ დიდი-დიდი ორი საათის შემდეგ მისი შვილი თეთრ ბაირაღს გამოკიდებდა. ონუფრი სტეპანოვიჩი ფიქრობდა, რომ მამაკაცს შეუძლია უფრო ხანგრძლივ გამოცდას გაუძლოს, მაგრამ მაინც იმედოვნებდა, რომ კაპიტულაცია დილით მოხდებოდა.

ირეჩკა დანებდა. სამზარეულოში წავიდნენ ჩაის დასალევად. ამ დროს გენადი ონუფრიევიჩის საქციელს სერიოზულად ჯერ კიდევ არავინ უყურებდა. ყველაფერს მის მეგობრებს აბრალებდნენ.

— ეს ყველაფერი ნუკლიევის ოინებია, — ამბობდა ირეჩკა და ცრემლებს იწმენდავდა. — დიდი მეცნიერი ჰგონია თავისი თავი. შეხეთ, რა გადაუწყვეტია — იდეალური ადამიანის გაზრდა... გაეჩინა თავისი და რამდენიც უნდოდა ეწვალებინა. ასე არ გამოვა... მონახეს რაღა დოყლაპია... ტვინი აურიეს... მე კი სულელი ვარ! სულელი! როგორ დავუჯერე! ახლა კი ვერ მოგართვით, რადგან გავაჩინე, არავითარი ექსპერიმენტისათვის არ გავიმეტებ. გაზრდიან ვიღაც შიზოფრენიკს და ეწამე მერე მთელი ცხოვრება!

— გაუვლის ხუშტური, — ამშვიდებდა რძალს დედამთილი. — ვერც ერთი მამაკაცი ბავშვთან დიდხანს ვერ დარჩება. აი, ნახავ — მიაფურთხებს ყველაფერს... ვერ ეღირსებიან ამ... იდეალურ ადამიანს. ჩვენ გვინდა... ჩვენ ცელქი გვირჩევნია... ბიჭი ცელქი უნდა იყოს.

— სწორეა... ჩვენ უბრალო უფრო გვირჩევნია, — მხარი დაუჭირა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — იდეალური ულელს არ დაგიმზადებს. ვერც ცხენებთან გაჩერდება, დასვრისა შეეშინდება... ჩვენ სოფლელი გვინდა...

— თქვენ უკვე ცხენებთან მიუჩინეთ ადგილი, — ტუჩები აიბზუა ირონიკამ. — ჩემი შვილი ბალეტში იცეკვებს.

— გაიზარდოს და ვნახოთ, — გადაწყვიტა ბებიამ.

ორი საათის შემდეგ გენადი ონუფრიევიჩი არ ჩაბარდათ. არც საამისო ნიშანს იძლეოდა. ოჯახი რიგრიგობით ყურს ადებდა კლიტის ჭუჭრუტანას, მაგრამ საძინებლიდან არც მამის მოსალოდნელი წყევლა-კრულვა ისმოდა, არც შურიკის ნერვული ტირილი.

ბავშვი მშვიდად იყო. ისმოდა მხოლოდ გენადი ონუფრიევიჩის ბუტბუტი ინგლისურ ენაზე. აშკარა იყო, მან უკვე ჩააყურყუმელავა შურიკი თავის ვაკუუმის აბაზანაში.

— მე ვიცი, რატომაც არ ყვირის. — გამოთქვა თავისი მოსაზრება ვარვარა იგნატიევნამ, — საბრალო განცვიფრებულია. რუსეთის მიწაზე დაიბადა და უცხო ენაზე ჩასჩიჩინებენ...

— მალე დაიყვირებს, — დაამშვიდა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — მას ახლა ჰგონია, რომ დედა კრებაზე ან სადღაც არის წასული.

— ოღონდაც გააღოს, — ჩაიჩურჩულა ირონიკამ. — იმ სწავლულ გოგრაზე მთელ რაისშინას გადავამტვრევ.

გოგონები სკოლიდან დაბრუნდნენ: სახლში პირველი უფროსი — ვერა შემოვარდა.

— აბა, სად არის? მაჩვენეთ ჩქარა! საძინებელში? რატომ არის კარი დაკეტილი? რა მოხდა, თხისრქიანებო? ასე მოღუშულები რატომ ხართ? ავად გახდა?

— იქ... მასთან... მამაა, — თქვა ვარვარა იგნატიევნამ. — შენ კი, ვერა, წადი, იმეცადინე.

— როგორ თუ „იმეცადინე“? — შესძახა გოგონამ. — ასეთ

დღეს განა შეიძლება მეცადინეობა? დღეს ხომ დღესასწაულია! დედამიწაზე გაჩნდა ახალი ადამიანი! მშვიდობა მის მობრძანებას! მე ვაწესებ ახალი ადამიანის დღეს! ტორტი, შამპანური, ცეკვები! ახლა ჩემი მეგობრებიც მოვლენ! თხისრქიანებო, საქმეს მიხედეთ! თხისრქიანო ბერიკაცო, მაღაზიაში გაიქეცი, თხისრქიანო დედაბერო, ტორტი გამოაცხვე! რატომ დუმხართ? რას აკეთებს იქ მამაჩემი?

ვერამ ჩანთა კუთხეში მიაგდო და ხელი ჰკრა საძინებლის კარს.

— საოცარია... დაკეტილია. მამა, მანდა ხარ? გააღე, პატარას დავხედავ!

— სანახავი არაფერია! — გაისმა საძინებლიდან. — შენს საქმეს მიხედე.

— რაო?! ასეთ დღეს! გააღე, უბედურო თხისრქიანო!

უფროსმა გოგომ მუშტები დაუშინა კარს. დუმილით უპასუხეს.

— თავი დაანებე, — თქვა ირეჩკამ. — მამაშენი ახალშობილთან ექსპერიმენტს ატარებს.

— ექს-პე-რი-მენ-ტს? — გაოცდა ვეროჩკა. — ცოცხალ ბავშვზე? ეგ რა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალა?

— იდეალურ ადამიანს ზრდის.

— იდეალური ადამიანი? რა საჭიროა? ეს ხომ საშინლად მოსაწყენი იქნება! — ვეროჩკამ გაიცინა. — ალბათ, სიხარულს ველარ გაუძლო, არა? აი, ჩერჩეტი — ძმის სანახავად არ მიშვებს. გესმის, თხისრქიანო, გამიშვი ვნახო ჩემი ძმა!

— შენი საქმე აკეთე, თორემ ცემით გაგხეთქავ! — ისევ ყრუდ გაისმა საძინებლიდან.

— ცხადია — გალეშილია. — ვერამ სწრაფად გამოიცვალა ტანსაცმელი. — კარგი. დღესასწაული ხვალისთვის გადავდოთ. თხისრქიანებო, კინოში წავედი. გვიან დავბრუნდები.

— გაკვეთილები? — მექანიკურად იკითხა ირეჩკამ.

— ტროლეიბუსში ვისწავლე.

შემდეგ კატია მოვიდა. როგორც ყოველთვის, მოღუშულმა, კარიდან პირდაპირ ტელევიზორისკენ გასწია.

— ძმა შეგეძინა, — უთხრა ბებიამ. — იქნებ წასულიყავი და გენახა, საძინებელშია. — ვარვარა იგნატიევნამ ცოტა იეშმაკა,

იმედი ჰქონდა, რომ მამა უმცროს ქალიშვილს საძინებელში შეუშვებდა.

— მერე რა, რომ შემეძინა, — აბუზღუნდა კატკა.

— გრცხვენოდეს. რას როშავ?

— ფეხებზე არა მკიდია?!

— კატკა!

— ღმერთო ჩემო, თავი მომაბეზრეთ ყველამ, — წაიბუზღუნა უმცროსმა, მაგრამ საძინებლის კართან მაინც მივიდა და მიაწვა.

— დაკეტილია.

— იქ მამაშენია, სთხოვე გაგიღოს.

— ეი, გესმის! გააღე! — დაიყვირა „ენაჭარტალამ". — გამიშვი მაგ მახინჯს დავხედო! ალბათ გოგრასავით თავი აქვს!

— საქმეს მიხედე! — ისევ მოისმა კარსუკან.

— სიამოვნებით, — უმცროსმა კრასინამ მხრები აიჩეჩა. — ასი წელიც რომ გავიდეს, მე არავითარი საქმე არ მექნება მაგასთან! წადით, თხისრქიანებო, სადმე, მე ტელევიზორს უნდა ვუყურო. ახლა მულტფილმს აჩვენებენ.

— გაკვეთილები? — ჩვეულებისამებრ იკითხა ირეჩკამ.

— გაკვეთილები შესვენებაზე ვისწავლე.

გენადი ონუფრიევიჩი არც საღამოს დანებდათ. შურიკმა ერთი კი წამოიტირა, მამამ ინგლისურად დაუღრიალა და შეშინებული ბავშვი გაჩუმდა. შემდეგ რაღაც ღრაჭუნი გაისმა, სვეღლის მშრალზე ტყაპუნი და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

ირეჩკა გაფითრდა.

— შეიძლება ბავშვი დაახრჩო და ახლა კვალს შლის? — გამოთქვა მან საშინელი აზრი.

ახალგაზრდა დედა შეარცხვინეს. ონუფრი სტეპანოვიჩმა შემთხვევით გაიხედა ფანჯარაში და დათოვლილ ასფალტზე რაღაც გართხმული სხეული შენიშნა. პაპამ შეჰყვირა.

— იქ... — წაიჩურჩულა მან და ფანჯარაზე მიუთითა. ყველა ფანჯარას ეცა.

— სახვევი! — წამოიყვირა ირეჩკამ. — აი, სულელი! სახვევებს ყრის!

იგი მივარდა კარს და მუშტები დაარტყა:

— შეწყვიტე სახვევების გადაყრა! კუთხეში დაალაგე!

— ღამის ქოთანი! — გაისმა ყრუ ხმა საძინებლიდან. — მაშინ შევწყვეტავ!

— კარგი. მიიღებ ქოთანს. კარი გააღე.

— ო, მაგას კი ვერ ვიზამ! მე არც ისეთი სულელი ვარ. ქოთანი კართან დადგით, თქვენ კი ოთახიდან გადით.

— შენ სულ... — დაიწყო ირონჩკამ, მაგრამ ვარვარა იგნატიევნამ პირზე ხელი დააფარა და ყურში რაღაც უჩურჩულა. ახალგაზრდა დედას სახე გაუბრწყინდა.

— თანახმა ვართ! — ხმამაღლა უპასუხა მან. ოთახში მყოფებმა გადაწყვიტეს ჩასაფრებოდნენ. სწორედ ეს ვერაგი აზრი მოუვიდა თავში ვარვარა იგნატიევნას.

ჩასაფრდა ონუფრი სტეპანოვიჩი. იგი უნდა დამალულიყო კარადის უკან და როდესაც კარი გაიღებოდა, თავისკენ უნდა გამოეწია. ვიდრე ისინი იბრძოლებდნენ, მეორე ოთახიდან ქალებიც მოუსწრებდნენ.

— გაებმება, როგორც თაგვი სათაგურში, — წინასწარ ზეიმობდა ვარვარა იგნატიევნა.

მაგრამ არც შვილი ჩამოუვარდებოდა დედას.

— ყველანი სამზარეულოში წადით და იქიდან რიგრიგობით დაიყვირეთ, — ბრძანა მან, როდესაც ქოთანი კართან დადგეს.

ამას არავინ მოელოდა.

— როგორ არა გრცხვენია, — სცადა დედამ შვილის დანამუსება, მაგრამ იგი შეუვალი იყო.

— რისკს ვერ გავწევ, — მოისმა მეცნიერის ჯიუტი ხმა. — როგორც ნათქვამია, ენდე და შეამოწმეო.

სხვა რა გზა ჰქონდათ, უკანდახეულები სამზარეულოში უნდა წასულიყვნენ და იქიდან ჯარისკაცებივით ეყვირათ:

— ვარ!

— ვარ!

— ვარ!

მალე საძინებელში ხმამაღალი ტირილის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან, მიუხედავად მრისხანე ინგლისური შეძახილებისა, ჩაბჟირებულ კივილში გადაიზარდა.

— ბავშვს შიმშილით მოკლავს! — ატირდა ირონჩკა. — ფაფის ფხვნილს ტენის.

ალბათ, ეს მართლაც ასე იყო, იმიტომ რომ ინგლისურ სიტყვებთან ერთად ზოგჯერ რუსულიც გაისმოდა:

— დალიე! ისეთია, როგორც ნამდვილი რძე!

საბრალო დედის გულმა ვეღარ გაუძლო. იგი მივარდა საძინებლის კარს და მუშტები დაუშინა:

— ეი, გესმის! საზიზღარო სწავლულო! შემოგვიშვი! ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართ, რასაც მოითხოვ! გვითხარი, რა გავაკეთოთ!

გაისმა ფეხის ხმა. შემდეგ კარის ჭუჭრუტანაში ქაღალდის ფურცელი გამოჩნდა. ირონიკამ მაშინვე ხელი სტაცა. ქაღალდზე დაბეჭდილი იყო — ესეც კი გაეთვალისწინებინა წყეულს — შემდეგი:

დეკლარაცია

მე, ქვემოხელისმომწერი, საზეიმოდ ვფიცავ:

1. რადგან ვიცი, რომ ცდა ინგლისურ ენაზე ტარდება, არასოდეს, არავითარ გარემოებაში, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე არ დავილაპარაკებ ბავშვის თანდასწრებით რუსულად, აგრეთვე სხვა რომელიმე უცხო ენაზე ან სსრ კავშირის ხალხთა ენაზე.

2. იმის გამო, რომ სახელი შურიკი ძნელად წარმოითქმება ინგლისურად, პირობას ვიძლევი მომავალში ახალშობილს ვუწოდო, ვიდრე შვიდი წელი შეუსრულდებოდეს, სმიტი.

3. რადგან ვიცი, რომ პირველ ხანებში განსაკუთრებით გამიძნელდება აღნიშნული დეკლარაციის I პუნქტის შესრულება, ვალდებულებას ვიღებ სმიტთან ყოფნისას პირზე გავიკეთო ხმისგაუმტარი ასაკრავი.

4. არც პირადად, არც წერილობით, არც ტელეფონით, არც სხვა რაიმე საშუალებით არ გავუმხილო იმ პირთ, რომლებსაც ხელი არა აქვთ მოწერილი აღნიშნულ დეკლარაციაზე, ექსპერიმენტის მიზანი, მეთოდი და არსი.

5. იმ შემთხვევაში, თუ დავარღვევ აღნიშნული დეკლარაციის თუნდაც ერთ პუნქტს, მე ვეღარასოდეს ვიხილავ სმიტს.

ხელისმოწერა:

— ჰოო... — პირველი გონს მოეგო ონუფრი სტეპანოვიჩი. — სერიოზული ქაღალდია...

— მე თანახმა არა ვარ... როგორ... სმიტიო... — ვარვარა იგნატიევნა ზიზღით დაიპრანჭა. — სისაძაგლეა... თუ არ იშლის, ისევ შარლი ჯობია, თითქმის შარიკი.

ამ დროს შურიკ-სმიტი უჩვეულო ხმით აყვირდა.

— სად არის კალამი? — იყვირა ირონჩკამ. — მე თანახმა ვარ ხელი მოვაწერო რასაც გინდა! ის ხომ გიჟია! განა ვერ ხედავთ, რომ გიჟია? ოღონდაც კარი გააღოს! ჩვენ მას ფსიქიატრთან წავიყვანთ!

— ბევრს ნუ უბედობთ, — გაისმა მეცნიერის ხმა კარის ჭუჭრუტანიდან. — ბავშვს ჭამა უნდა. რძის ფხვნილი რატომღაც შეიძულა. ცოტაც და, იძულებული ვიქნები მივმართო ხელოვნურ კვებას შლანგიდან. შლანგიც შევიძინე. კვება წნევის ქვეშ სრულიად უვნებელი მეცნიერული მეთოდია.

ყველამ რიგრიგობით მდუმარედ მოაწერა ხელი დეკლარაციას და კარის ჭუჭრუტანიდან უკანვე დაუბრუნეს.

გასაღებმა გაიჩხრიალა და კარის ზღურბლზე ექსპერიმენტატორი გამოჩნდა. თმა აბურძგნოდა, სახელოები აეკაპიწებინა, სათვალის შეორთქლილი შუშების მიღმა თვალები ისე ხტოდნენ, როგორც გათოშილი ბეღურები ფანჯრის წინ. ახალგაზრდა მეცნიერს ხელზე რეზინნარევი დოლბანდის პირსაკრავები ჰქონდა გადაკიდებული.

— რიგრიგობით მოდით, — თქვა გენადი ონუფრიევიჩმა დაღლილი ხმით. — მაგრამ ფოკუსები არ იყოს...

— ჩემო პატარა, ჩემო ძვირფასო! — ირონჩკას დეკლარაცია გადაავიწყდა და ყვირილით გაექანა თავისი შურიკისკენ. მაგრამ გენადი ონუფრიევიჩი ფხიზლად იყო. მან სწრაფად და მოხერხებულად წამოაცვა ცოლს პირსაკრავი და საბრალო დედის ხმა გაურკვეველ ხიხინში გადაიზარდა.

ასევე მარჯვედ (გამორიცხული არ არის, რომ მეცნიერი ადრეც ვარჯიშობდა თავის კოლეგებზე) დაუმაგრა ახალგაზრდა კრასინმა მშობლებს ტუჩებზე ხმის მხშობები, როგორც მათ შემდეგ უწოდეს, და მხოლოდ მაშინ გაათავისუფლა გზა.

პროცესია, ოპერაციის დროს ნიღბიან ექიმებს რომ მოგაგონებდათ, საძინებელში შევიდა.

ироჩკამ, როგორც კი დაინახა თავისი მრავალტანჯული პირმშო, პირდაპირ მისკენ გაექანა, თან გაუგებარ ბგერებს გამოსცემდა ხმის მხშობიდან. ბებია და პაპა გარსშემოერტყნენ საწოლს და ცდილობდნენ შურიკ-სმიტთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ. მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა, ვინაიდან პირსაკრავიდან ჩვილამდე არც ერთი მათი სიტყვა არ აღწევდა, არც ღიმილი ჩანდა. ბუნებრივია, რომ შურიკ-სმიტი, ხედავდა რა მხოლოდ ერთ ადამიანურ სახეს, მამისაკენ მიიწევდა.

— ბუ-ბუ-ბუ-ბუ, — ამბობდა ის ჯერჯერობით გაუგებარ ენაზე.

პატარა კრასინის ძუძუს ჭმევის დროს ერთი პატარა ინციდენტი მოხდა. ироჩკამ უცებ მოიგლიჯა ხმის მხშობი და დაიყვირა:

— მეტი აღარ შემიძლია! შეკარით ეს მტარვალი! მილიციაში წაიყვანეთ!

მაგრამ ექსპერიმენტატორს ესეც გათვალისწინებული ჰქონდა.

— ტელეფონი გამოთიშულია, — თქვა მან მშვიდად. — მე შეიარაღებული ვარ. — გენადი ონუფრიევიჩმა ჯიბიდან მოზრდილი ფორთოხალი ამოიღო... — და ვინაიდან შენ დეკლარაციის პირველი პუნქტი დაარღვიე...

— არა, არა! — შეშინებულმა ироჩკამ სიტყვა შეაწყვეტინა მტანჯველს. მხოლოდ ეს არა... მაპატიე. ეს ნერვული თავშეუკავებლობაა. როგორც დედას, ხომ მაქვს ნერვული თავშეუკავებლობის უფლება?

— არა გაქვს, — მკაცრად უპასუხა ექსპერიმენტატორმა. — მაგრამ, კარგი... — მოლბა იგი. — მეც ადამიანი ვარ, ამჯერად გაპატიებ... ან, იქნებ, კიდევ ვინმეს უნდა ჩემი გათოკვა? — ახალგაზრდა მეცნიერმა კეთილმოსურნედ შეხედა მშობლებს. შეშინებული ონუფრი სტეპანოვიჩი და ვარვარა იგნატიევნა თხის წვერებივით აცანცარებდნენ თეთრ პირსაკრავებს.

— გეყოფათ ლაყბობა, — გააფრთხილა მეცნიერმა. — თორემ ცდის სიწმინდეზე პასუხს აღარ ვაგებ. რუსულად ლაპარაკის პროცენტმა ისედაც შეცოდების ნორმას ათი სალაპარაკო ქულით გადააჭარბა.

— განა არსებობს ასეთი პროცენტი? — თავი ვერ შეიკავა დედამ. — ნუთუ შენ ესეც გაითვალისწინე?

— აბა, როგორ, — თვითკმაყოფილებით ჩაილაპარაკა გენადი ონუფრიევიჩმა. — მე ხომ მესმის, რომ ცოცხალ ადამიანებთან მაქვს საქმე. და საერთოდაც, ქიმიურად ყველაზე სუფთა ნივთიერებაშიც კი არის მინარევები.

— მაშასადამე, ჩვენ მინარევები ვართ? — ჰკითხა ირინკამ.

— დიახ. მინარევები ხართ. — ექსპერიმენტატორმა ცოლს ხმის მხშობი პირსაკრავი წამოაცვა და მაგრად შეუკრა. — მორჩა! ახლა წადით დასაძინებლად. ირა, შენ გოგოებთან დაიძინებ. მე აქ დავრჩები. თუ დამჭირდებით — გამოგიძახებთ. მაგრამ არ დაივიწყოთ — აუცილებლად პირაკრულები შემოხვალთ ყოველთვის, თან იქონიეთ ისინი.

გენადი ონუფრიევიჩმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა: ვერ მოიფიქრა დეკლარაციაზე ხელი მოეწერინებინა თავისი ქალიშვილებისათვის. მან ვერ შეაფასა ბავშვის საზრიანობა, ან, უფრო სწორად, უბრალოდ არ უფიქრია ამაზე — ხომ არ შეიძლება ადამიანმა ყველაფერი გაითვალისწინოს.

საღამოს, როდესაც ვერა და კატია კინოდან დაბრუნდნენ, აზრი აღარ ჰქონდა დაემალათ მათ არყოფნაში მომხდარი სამარცხვინო ამბები: კაპიტულაცია, დეკლარაციაზე ხელის მოწერა, შურიკის დათმობა სმიტის სასარგებლოდ, პირსაკრავი ხმის მხშობები...

ექსპანსიურ ვერას მშვიდად მოსმენა არ შეეძლო. იგი ხან დასცინოდა უფროსებს, გამარჯვებულის მოწყალებას რომ დაენდვნენ, ხან ემუქრებოდა გადარეულ მამას, ხან მოუწოდებდა დაუყოვნებლივი იერიშით აეღოთ საძინებელი. გოგონას ძლივს შეაგონეს, დილამდე მოეცადა. დილას კიდევ ერთხელ უნდა ეცადათ ბედი, მშვიდად მოლაპარაკებოდნენ ექსპერიმენტატორს. იქნებ ვაკუუმის აბაზანა ნახევარვაკუუმად შეეცვალა? (რა უცნაურად არის ადამიანი მოწყობილი. სულ რამდენიმე საათის წინ ახალშობილზე ცდის ჩატარების აზრიც კი ყველას საზარელ ბოდვად ეჩვენებოდა, ახლა კი კრასინების ოჯახი უკვე თანახმა იყო ნახევარცდაზე).

უმცროსმა კი მხოლოდ ესღა წამოიძახა: „აი, ცოტასაც მოვიცდი და გავიქცევი აქედან... საგიჟეთია ნამდვილი...“

ღამემ მოუსვენრად ჩაიარა. ხან ირეოჩკა, ხან მოხუცები წამოხტებოდნენ ხოლმე და ყურს უგდებდნენ ყოველგვარ ფაჩუნს, საძინებლიდან რომ მოისმოდა. უბედური დედა რამდენჯერმე ფეხშიშველი გამოვარდა დერეფანში, ყური მიადო კარს, სადაც მის საყვარელ შურიკს ეძინა, იმ იმედით, რომ რაღაც სასწაული მოხდებოდა: უცბად პატარა ადამიანის ხმით დაუძახებდა თავისთან, ბარბაროსი ვერ გაუძლებდა, გული მოულბებოდა, მაგრამ სასწაული არ მომხდარა, და ახალგაზრდა დედა ძლივს ეღირსა გათენებას.

დილამ არ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. გენადი ონუფრიევიჩმა გვიან გაიღვიძა. მართალია, შურიკ-სმიტთან ყველა მსურველი მიუშვა („პირსაკრავები მაგრად და სწრაფად, სწრაფად“), მაგრამ თვითონ მოღუშული, ჩაფიქრებული იყო და არავითარ დისკუსიაში არ ებმებოდა.

უფროს ქალიშვილს, რომელსაც უნდოდა მამა ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა, მეცნიერმა უყვირა, რაც არასოდეს გაუკეთებია, და ნაწყენი გოგონა თვალცრემლიანი გაიქცა სკოლაში.

„ენაჭარტალა კატკამ“, ის იყო, დაიწუწუნა, დროა დამთავრდეს „ეს დავიდარაბა“, ამქვეყნად ცხოვრება ისედაც გულისამრევია, „სული გაგძვრება ამ უცნაურ სახლშიო“, რომ მამამ მაგრად აუწია ყური, რაც აგრეთვე უჩვეულო ამბავი იყო. „ენაჭარტალა“ წამოენთო, კბილები გააღრჭიალა და არაფერი უპასუხია, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა.

უფროსმა კრასინებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ გადაწყვიტეს, ჯერ არავითარი მოლაპარაკება არ დაეწყოთ მეცნიერთან იმის იმედით, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა.

თერთმეტი საათისათვის მოვიდნენ ექსპერიმენტ „იდეალური ადამიანის“ დანარჩენი მონაწილეები — ოლეგ ბორისოვიჩი და სენეჩკა. მათ კმაყოფილი, გაბრწყინებული სახეები ჰქონდათ.

ირეოჩკა აქამდე იმედოვნებდა, რამენაირად მოკავშირეებად გაეხადა ისინი, მაგრამ მეცნიერთა გამარჯვებულმა იერმა თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა.

მეგობრებმა მოიტანეს ყვავილები, შამპანური, ტორტი. სხვა

გზა აღარ იყო, საზეიმოდ გააწყვეს ჩაი. ნუკლიევმა და სენეჩკამ ჯერ ირონჩკას მიულოცეს, საკადრისი მიაგეს მის ჯანსაღ გარეგნობას, მაგრამ მერე ახალგაზრდა დედა დაივიწყეს და საუბარი მთლიანად ექსპერიმენტზე გადაიტანეს. კრასინებმა გაიგეს, რომ თემა დამტკიცებულია ნახევარშეფის მიერ, რომ გენადი ონუფრიევიჩს ორწლიანი აკადემიური შვებულება ეძლევა (ო, ღმერთო! მათ კი იმედი ჰქონდათ, რომ დღეს ის სამსახურში წავიდოდა და შურიკი მათ განკარგულებაში დარჩებოდა!).

კრასინები დაღონდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ საქმე უფრო სერიოზული იყო, ვიდრე ფიქრობდნენ.

გამოთხოვებისას ნუკლიევმა საჩვენებელი თითი ასწია და მოხუცებს უთხრა:

— იამაყეთ! თქვენი შვილიშვილი მეცნიერული მეთოდიკით შექმნილი პირველი იდეალური ადამიანი იქნება მსოფლიოში. თქვენს შვილს კი ძეგლს აუგებენ.

გენადი ონუფრიევიჩმა მდაბლად დახარა თვალები.

— მაგრამ შეიძლება... — დაიწყო ირონჩკამ.

— ყველა „შეიძლება“ უკან დარჩა!

— მე მინდა ვთქვა...

— ახლა ის ილაპარაკებს, — სენეჩკამ თავი გაიქნია საძინებლისაკენ. უმცროს ლაბორანტს თავი ძალიან მედიდურად ეჭირა, თითქოს უკვე მეცნიერებათა დოქტორი იყო.

— ფუი! — მიაფურთხა ვარვარა იგნატიევნამ, როგორც კი სტუმრებს უკან კარი მიიხურა,—გაგეჩინათ თქვენი და გაგეზარდათ კიდეც... ეს „იდეალური“ ეშმაკები!

ასე გაიარა რამდენიმე დღემ. ცდა გრძელდებოდა და ოჯახი მისი შეწყვეტის ვერავითარ შესაძლებლობას ვერ ხედავდა. საძინებლიდან განუწყვეტლივ ისმოდა უცხოური სიტყვები, კლასიკური მუსიკის ჰანგები (მამა უვითარებდა შვილს ესთეტიკურ მიდრეკილებებს), ტკაცუნობდა პროექტორი (აჩვენებდნენ სპეციალურად შერჩეულ სამეცნიერო-პოპულარული ფილმების პროგრამას ხუროთმოძღვრებაზე, ცხოველებზე, ხელოვნებაზე), ხან ლომის ღრიალი მოისმოდა, ხან ბულბულის გალობა, ხან ამოხეთქილი ვულკანის გუგუნი.

კრასინები ნირწამხდარები დადიოდნენ, აკრთობდათ საძინებლიდან გამოსული უჩვეულო ხმები.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ყველაზე გაუსაძლისი სპორტში მეცადინეობა იყო. დიახ, დიახ... მამა უკვე ცურვას ასწავლიდა შვილს. იგი აბაზანას წყლით ავსებდა, ჩაიკეტებოდა შურიკ-სმიტთან ერთად და თავზარდაცემულ ოჯახს სააბაზანოდან ესმოდა სპორტული ბრძანებები ინგლისურ ენაზე.

— Forward![1]

შხაპუნი, ყვირილი...

— Back![2]

ყრუ ამოძახლი...

— აბა... J swim the crawl stroke![3]

ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გულამოსკვნილი კვნესა...

— Breast![4]

დუმილი, საშინელი დაუსრულებელი დუმილი... შემდეგ სულშემხუთველი ხველა, ასთმური სუნთქვა.

— Butterfly![5]

ირეჩკამ ვეღარ გაუძლო, გაიქცა ოთახში, ყურებში თითები გაიკეთა და ბალიშში თავჩარგული აქვითინდა.

მოხუცები ცდილობდნენ გონს მოეყვანათ შვილი:

— ეგრე ხომ დაახრჩობ! ჩვენ მაინც შემოგვიშვი, ფეხებით დავიჭერთ!

შვილი არ პასუხობდა. როგორც კი ვარჯიშს დაამთავრებდა, გენადი ონუფრიევიჩი მსხვერპლს პირსახოცში გაახვევდა, მდუმარედ წაიყვანდა საძინებელში და ჩაიკეტებოდა.

საღამოს ჩაიზე კრასინები ნაღვლიანად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ნუთუ ასე გასტანს უსასრულოდ შვიდ წელიწადს? ნუთუ გამოსავალს ვერ იპოვიან?

გამოსავალი ვერამ იპოვა. ერთხელ, როცა ჩაის სვამდა, თქვა:

— მისმინეთ, რა მოვიფიქრე, თხისრქიანებო! ჩვენ უნდა დავიწყოთ კონტრცდა. შურიკს ვასწავლოთ რუსული!

ირეჩკა და მოხუცები გოგონას შეაჩერდნენ:

— რუსული ვასწავლოთ?

---

[1] წინ! (ინგლ.)

[2] უკან! (ინგლ.)

[3] მე ვცურავ კროლით! (ინგლ.)

[4] ბრასით! (ინგლ.)

[5] ბატერფლაით! (ინგლ.)

— რასაკვირველია! ეს ხომ ჩვენს მეცნიერს მთელ გეგმებს ჩაუშლის! წარმოიდგინეთ, ინგლისურ სიტყვებთან ერთად შურიკი დაიწყებს რუსულად ლაპარაკს! ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ვაკუუმის აბაზანას წყალი გაეპარა და ექსპერიმენტის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს. ეს გიჟები, — იგი ექსპერიმენტატორებს გულისხმობდა,—იმ დასკვნამდე მივლენ, რომ მინარევი ნორმაზე მეტი აღმოჩნდა, და ცდას შეწყვეტენ. ნამდვილად შეწყვეტენ! მე მათ ვიცნობ. არც ერთი მეცნიერი არ იმუშავებს დაჭუჭყიანებულ მასალასთან! მხოლოდ უნდა მოვახერხოთ საძინებელში შეპარვა.

ეს ისე ჭკვიანურად იყო მოფიქრებული, რომ სამი მოზრდილი ადამიანი პასუხად მხოლოდ ატირდა.

მაგრამ კონტრაცდის განხორციელება უჩვეულოდ რთული აღმოჩნდა. ადვილი სათქმელია — შეიპარო საძინებელში. გენადი ონუფრიევიჩი სამსახურში არ დადიოდა და შეეძლო დღეღამის განმავლობაში შინიდან არ გასულიყო. ოთახში შეპარვის ერთადერთი შესაძლებლობა იყო 8.00 და 17.00, როცა მეცნიერი თავისუფლად უშვებდა საძინებელში ყველა მსურველს, რასაკვირველია, პირსაკრავებით. ამ დროს გენადი ონუფრიევიჩი იპარსავდა, იბანდა, უსმენდა რადიოს, ტელევიზორს — ეს აპარატები საძინებელში არ იყო — ცდის სისუფთავე! — და, საერთოდ, ისვენებდა მეცნიერული მოღვაწეობისაგან. მაგრამ რა უნდა გაეკეთებინათ ამ მცირე დროში, მით უმეტეს, რომ ვერა დილით სკოლაში იყო? და კიდევ მხედველობაში ისიც უნდა მიეღოთ, რომ გენადი ონუფრიევიჩს ცუდი ჩვეულება დასჩემდა, ფეხაკრეფით მიეპარებოდათ ხოლმე, რათა შეემოწმებინა, ხომ არ დაარღვია რომელიმემ დეკლარაციის პირველი პუნქტი?

მაშინ ისევ ვერას დაებადა აზრი, გამოეყენებინათ საძინებელში მდგარი კარადა. ამ უზარმაზარ ტანსაცმლის კარადას ნახევარი ოთახი ეკავა და თითქმის ცარიელი იყო.

თუ შეძვრები მასში, ვთქვათ 17.00, ხოლო ღამე, როცა ექსპერიმენტატორს სძინავს (ისე სძინავს, ზარბაზანიც რომ ისროლო, ვერ გააღვიძებ), დაანაგვიანებ ცდას სალაპარაკო მინარევით, 8.00 შეიძლება მშვიდად გაიპარო. მარტო ვერას, რასაკვირველია, ყოველღამ ასეთი სამუშაოს ჩატარება გაუჭირდება, მაგ-

რამ რიგრიგობით დედასთან ერთად შეიძლება დაიწყონ მასირებული სისტემატური შეტევა ინგლისურ ვაკუუმის აბაზანაზე, ერთი წლის შემდეგ კი, ექსპერიმენტატორის განსაცვიფრებლად, ახალგაზრდა კაცი, იმის მაგიერ რომ დამახინჯებულად წარმოთქვას ინგლისური სიტყვები, თავისუფლად ალაპარაკდება რუსულად.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კონტრცდის ჩატარების გეგმა მთელმა ოჯახმა მოიწონა. (იგი არ გაანდეს მხოლოდ „ენაჭარტალა“ კატკას მისი იდეური მოუმწიფებლობის გამო). ცდამ მიიღო სახელწოდება „რღვევა“ (ესეც ვერამ მოიფიქრა) — მხედველობაში ჰქონდათ ვაკუუმის აბაზანის რღვევა.

კრასინების ოჯახში მომხდარ შემდგომ ამბებს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „თავგადასავალი ტანსაცმლის კარადაში“.

ნაწილი მეორე

თავგადასავალი ტანსაცმლის კარადაში

თავი პირველი,

რომელშიც კრასინების ოჯახი იწყებს კონტრცდა „რღვევას"

გადაწყდა, ოპერაცია „რღვევა" დაუყოვნებლივ დაეწყოთ. ვიდრე გენადი ონუფრიევიჩი ტელევიზორს უყურებდა, ოჯახმა სწრაფად ჩაატარა ღამის კონტრცდის სამზადისი. მოხუცები შვილის უკან ჩასაფრდნენ, ხოლო ირინჩკამ და ვერამ სასწრაფოდ გადაიტანეს ტანსაცმლის კარადაში ლეიბი, ბალიში, საბანი, სანოვაგის ორდღიანი ავარიული მარაგი და სხვა აუცილებელი რამ ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. კარადაში პირველი ვერა შეძვრა...

როდესაც გენადი ონუფრიევიჩი ფეხაკრეფით კარს მიეპარა და უცებ გამოაღო, მან მხოლოდ იდილიური სურათი დაინახა: ახალგაზრდა დედა, დეკლარაციის ყველა პუნქტის თანახმად პირსაკრავაფარებული, შურიკ-სმიტს ძუძუს აწოვებდა და კრინტს არ ძრავდა.

ნორჩი საცდელი კრასინის ჭმევის შემდეგ ირინჩკა ასევე უდრტვინველად განერიდა იქაურობას. გენადი ონუფრიევიჩმა ცოლს მშვიდობის ღამე უსურვა, პირსაკრავზე აკოცა, კარი ჩაკეტა, მაგიდის ნათურა ჩართო და რაღაც ანგარიშებს ჩაუჯდა.

ასე გაიარა ნახევარმა საათმა. ვერა ღრიჭოდ დატოვებული კარადის კარებიდან კარგად ხედავდა მამას, ნათურით განათებულ მის ზეშთაგონებულ სახეს, აწეწილ, შუბლზე ჩამოშლილ ქოჩორს...

„მამა ფანატიკოსი გახდა, — გაიფიქრა გოგონამ. — აქ თუ წამასწრო..."

მალე გენადი ონუფრიევიჩი სკამის ზურგს მიეყუდა და ცოტა ხანს ასე იჯდა, თან ძლივგასაგონად რაღაცას ბუტბუტებ-

და. ვერას სმენამდე მოაღწია სიტყვებმა „ინტერპრეტაცია“, „კვადრატი კოსინუსიდან“ თუ რაღაც ამდაგვარმა.

შემდეგ ფანატიკოსმა მეცნიერმა საათს შეხედა, რაისშინა აიღო და მძინარე შურიკ-სმიტის საწოლთან მივიდა. მან ფრთხილად გადახადა პატარას საბანი, რაისშინით გაზომა ბიჭი და სქელ რვეულში გულმოდგინედ ჩაიწერა გაზომვის შედეგები. ამის შემდეგ ექსპერიმენტატორმა ბავშვს წვალება დაუწყო, იღლიებში უღიტინებდა და ყურებს უწევდა.

უფროსი ქალიშვილი შეშფოთებული უთვალთვალებდა მამას.

„თუ შემდგომშიც ასე გააგრძელებს, — გაიფიქრა მან, — ვეღარ მოვითმენ... შეიძლება ვივისექციაც კი გაუკეთოს“.

მაგრამ ექსპერიმენტატორმა შურიკ-სმიტს ვივისექცია არ გაუკეთა. მან ბიჭი გააღვიძა და ინგლისურად ლაპარაკი დაუწყო, თან სხვადასხვა საგანს აჩვენებდა და ასახელებდა.

მეცნიერმა ამ საქმიანობას ნახევარი საათი მოანდომა, შემდეგ ბავშვს საბანი დაახურა, ისევ მიუჯდა მაგიდას და რაღაცის წერა დაიწყო. აშკარა იყო, რვეულში ღამის გაკვეთილის შედეგებს იწერდა.

გენადი ონუფრიევიჩი მხოლოდ თორმეტ საათზე დაწვა. ძილის წინ ლოცვასავით ზეპირად წარმოთქვა რაღაც ინგლისურად. ალბათ ხვალინდელი გაკვეთილისთვის ემზადებოდა.

ხუთი წუთის შემდეგ მომავალი მეცნიერებათა დოქტორი და კაცობრიობის მწყალობელი ხვრინავდა.

უფროსმა ქალიშვილმა ნახევარი საათი კიდევ მოიცადა, შემდეგ უხმაუროდ გამოვიდა კარადიდან (ანჯამებს წინასწარ მზესუმზირას ზეთი წაუსვეს) და ძმას მიუახლოვდა. უცხოური სიტყვებით თავგამოტენილ შურიკ-სმიტს მშვიდად ეძინა, მხოლოდ ხანდახან დააწკლაპუნებდა ხოლმე ტუჩებს და ინტერნაციონალურ ბგერებს გამოსცემდა.

— შურიკ... ჩემო საბრალო შურიკ, — წაიჩურჩულა ვერამ და ცრემლები მოიწმინდა. — გინდა, იავნანა გიმღერო?

ძმა რომ არ გაეღვიძებინა, დამ ჩუმად დაიწყო მის ყურთან იავნანას სიმღერა. განა დადგენილი არ არის, რომ მძინარე ადამიანი უფრო კარგად ითვისებს ცოდნას, ვიდრე ფხიზელი.

ამგვარად იმ ღამეს ცდა კონტრცდას შეეჯახა.

შემდგომმა ღამეებმა ყოველგვარი თავგადასავლების გარეშე ჩაიარა. გენადი ონუფრიევიჩი საღამოს გაკვეთილს ატარებდა, ინგლისურად კითხულობდა ღამის „ლოცვას“ და მაშინვე იძინებდა. ნახევარი საათის შემდეგ კარადიდან გამოდიოდა ირეჩკა ან ვერა და ცდილობდნენ ინგლისური ცნებები რუსულით განედევნათ.

დილის 8.00 მეცნიერი კბილებს იხეხავდა და საუზმობდა. საძინებელში შესვლის უფლება ეძლეოდა „მინარევებს“. პირაკრულები, გაუგებარი სიტყვების ბუტბუტით ისინი ლანდებივით შეილალებოდნენ ხოლმე ოთახში. ამ დროს შეიძლებოდა კარადიდან შეუმჩნევლად გამოძვრომა.

თუმცა ზოგჯერ ნუკლიევი ხელს უშლიდათ. კათედრის გამგე ხშირად მოინახულებდა ხოლმე კოლეგას და ხანდახან გვიანობამდეც რჩებოდა, რის გამოც კარადაში შეძრომას ვეღარ ახერხებდნენ. თუ ოლეგ ბორისოვიჩი თან ბოთლსაც მოიტანდა, მეცნიერები საძინებელში გათენებამდე ლაქლაქებდნენ (ინგლისურად, რასაკვირველია, ვერაფერს გააწყობ), და კათედრის გამგე ღამეს კრასინებთან ათენებდა. ცუდად ეძინა და, ცხადია, ეგონა, რომ საკუთარ სახლში იყო, ოთახებში დაბორიალებდა, რაღაც წამლებს ეძებდა, ერბოკვერცხს იწვავდა, ვიღაცას ტელეფონით ურეკავდა და ღამე მშვიდობისას უსურვებდა, ერთხელ კი რატომღაც მამალივით დაიყივლა. უდავოა, თავს იჩენდა მარტოხელა კაცის ჩვევები.

ერთხელ მთელი საქმე ბეწვზე დაეკიდა. კონტრცდა კინაღამ ჩავარდა. საბრალო დედას, როცა ღამით შვილის საწოლს მიუახლოვდა, რაღაც დაემართა, თითქოს გონება დაებინდაო...

ირეჩკა დაიხარა შურიკ-სმიტისკენ, ცრემლებს ძლივს იკავებდა, გულში იხუტებდა, კოცნიდა. შეშინებულმა ბავშვმა გაიღვიძა და ყვირილი მორთო. ექსპერიმენტატორი საწოლში გადაბრუნდა. დედას უნდოდა შვილი დაემშვიდებინა და ყურში ნაზ სიტყვებს უჩურჩულებდა, მაგრამ ბავშვი უფრო შეშინდა, როცა ქუჩიდან შემოსულ მკრთალ სინათლეზე უცხო სახე დაინახა (მას არასოდეს ენახა დედა პირსაკრავის გარეშე), და უფრო ძლიერ აღრიალდა.

მამამ ბალიშიდან თავი წამოსწია. ირეჩკა კარადას ეცა. გზად სკამს გამოედო და იგი ბრახუნით დავარდა იატაკზე.

— რა მოხდა? ვინ არის აქ? — წამოხტა შეშინებული გენადი ონუფრიევიჩი. მისი გაბურძგნილი თავი მკაფიოდ გამოისახა ფანჯრის ფონზე. იგი წააგავდა სილუეტს, მხატვარი-კუსტარები შავი ზღვის კურორტებზე პირდაპირ ხალხის თანდასწრებით რომ ჭრიან.

ირეჩკა გაშეშდა. სხეული მოუდუნდა, გული გაუჩერდა, ეგონა, ყველაფერი დაიღუპაო.

მაგრამ მაშინვე უძველესი დედური ინსტინქტი ამოქმედდა. სხეულს უცბად მოქნილობა დაუბრუნდა, მოძრაობა უხმაურო გაუხდა, სუნთქვა გაუჩერდა, თვალებმა სიბნელეში დაინახეს. შავი, უხმო ელვასავით მიაწყდა კარადას. ჩუმად დაიხურა კარი — დაზეთილმა ანჯამებმა არ უმტყუნეს.

— ეი! მანდ ვინა ხარ? — ისევ იკითხა მეცნიერმა, მაგრამ ახლა უკვე გაუბედავად.

გენადი ონუფრიევიჩი ცოტა ხანს ეჭვით იყურებოდა სიბნელეში, შემდეგ ადგა, მუხლისთავების ტკაცუნით (გარეთ სველი თოვლი მოდიოდა, გენადი ონუფრიევიჩს კი სინესტეში ყოველთვის მუხლისთავები უტკაცუნებდა) მთელი ოთახი შემოიარა, კარს მიაწვა, შეამოწმა, დაკეტილი იყო თუ არა.

ჯერ კიდევ აღელვებულმა ექსპერიმენტატორმა რატომღაც ღამის ქოთანს თავი ახადა, შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და ჩაფიქრებულმა მინაზე დაკაკუნა. მერე ფეხაკრეფით, ალბათ ჩვეულებისამებრ, ბავშვის საწოლს მიუახლოვდა, მოულოდნელად მუხლებზე დაეცა და საწოლის ქვეშ შეიხედა.

იმედგაცრუებული, მაგრამ უწინდებურად შეშფოთებული მეცნიერი ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა. რაღაც ქვეცნობიერი გრძნობა უკარნახებდა, რომ ოთახში ვიღაც იყო.

ირეჩკა განაბული იჯდა კარადაში, ფანჯრის მინას დამამშვიდებლად უკაკუნებდა სველი თოვლი, მშვიდად ფშვინავდა შურიკ-სმიტი და გენადი ონუფრიევიჩიც დასაძინებლად დაწვა.

მაგრამ დილით მაინც გულდასმით დაათვალიერა ოთახი. შეამოწმა კლიტე, შეიხედა ტახტის ქვეშ, რომელზედაც თვითონ ეძინა, კვლავ შეამოწმა, დაკეტილი იყო თუ არა კარი.

ყველაზე საშიში მომენტი მაშინ დადგა, როდესაც ფიქრმორეული კარადის წინ შეჩერდა. გაეღო თუ არა? ექსპერიმენტატორმა უკვე გასაღებსაც მოკიდა ხელი, მაგრამ ისევ გადაი-

ფიქრა. კარადა ისეთი შინაურული, უწყინარი, მყუდრო იყო... გარდა ამისა, კარადა ანეკდოტების მოქმედების კლასიკურ ადგილად ითვლებოდა და იქ ვიღაცის ძებნა მისთვის დამამცირებელი იყო.

გენადი ონუფრიევიჩმა გასაღებისკენ გაწვდილი ხელი ჩამოუშვა და პირის დასაბანად წავიდა. გულგახეთქილი, აკანკალებული, მუხლმოკვეთილი ირეჩკა კარადიდან გამოძვრა, თავის საწოლამდე მილასლასდა და უღონოდ დავარდა.

თავი მეორე

რომელშიც მოთხრობილია იმაზე, როგორ გაიგონა ირეჩკამ სიტყვა „თავის ქალა“ და რა მოჰყვა ამას

ერთხელ, საძინებელს რომ ჩაუარა, ირეჩკა შეჩერდა. კარს იქით მისი ქმარი და ნუკლიევი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

— ობიექტს ყოველდღე ზომავ? — ეკითხებოდა კათედრის გამგე.

— ყოველდღე ერთი მთელი და ექვსი მეათედი მილიმეტრით იზრდება, — უპასუხა ქმარმა.

დედამ ჯერ ვერ გაიგო, რა ობიექტზე ლაპარაკობდნენ, შემდეგ მიხვდა, რომ „ობიექტი“ მისი შურიკი იყო... „ო, ეს არამზადები“, — წაიჩურჩულა ირეჩკამ. ბოლმა ყელში მოებჯინა.

— ძალიან კარგი. შესაძლოა, ზრდა მეტყველების მახასიათებელზეა დამოკიდებული... — გრძელდებოდა საუბარი კარს იქით.

— ნამდვილად დამოკიდებულია.

— თავის ქალა თუ გაუზომე?

— არა, თავის ქალა არ გამიზომია.

— ეს შეცდომაა! დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო თავის ქალას გაზომვა. იქნებ თავის ქალას მოცულობაც მეტყველების მახასიათებელზეა დამოკიდებული?

— ჰო, მაგრამ მაშინ... ეს...

— მსოფლიო სენსაციაა!

— სწორედ!

სიტყვამ „თავის ქალა“, მის საყვარელ შურიკთან დაკავში-

რებით რომ წარმოითქვა, რატომღაც საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან ახალგაზრდა დედა. მან კარს მუშტების ბრახუნი დაუწყო.

— გააღეთ, მტარვალებო! კაციჭამიები, აი, ვინა ხართ თქვენ! გააღეთ, თორემ ფსიქიატრიულ დახმარებას გამოვიძახებ! მე თქვენ გაჩვენებთ „თავის ქალას“!

კარი გაიღო. ზღურბლზე გამოჩნდა ნუკლიევი ფრანგული წარმოების ელეგანტური პენსნეთი.

— შ-შ-შ! — წაისისინა მან საშინელი ხმით. — თქვენ არღვევთ ცდის სიწმინდეს!

— სიწმინდეს? — ხმა ჩაუწყდა საბრალო დედას.

— დიახ, სიწმინდეს. ძალიანა გთხოვთ, ნუ ჩაგვიგდებთ ცდას, — უთხრა სამეცნიერო ხელმძღვანელმა თავაზიანად და თანდათან დამშვიდდა. — თორემ...

— თორემ რა?

ოლეგ ბორისოვიჩი დუმდა. ალბათ არც კი იცოდა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ირიჩკა ცდას ჩააგდებდა.

— თქვენ დედობის უფლებას ჩამოგართმევენ! — წამოროშა ბოლოს. ეს სულელური სიტყვები იყო, გაცხარების წუთებში ნათქვამი, მაგრამ ამ უკანასკნელმა წვეთმა უბედურ დედას მოთმინების ფიალა აუვსო.

— ეს აღარ გინდა? — უცბად აღმოხდა ირიჩკას და სამეცნიერო ხელმძღვანელს თავში სდრუზა ვარდისფერი პლასტმასის ტაშტი, რომელიც იატაკის მოსარეცხად მოეტანა. ფრანგული წარმოების მწვანეჩარჩოიანი ელეგანტური პენსნე იატაკზე დავარდა და დაიმსხვრა. სამეცნიერო ხელმძღვანელი დაიხარა და ნამტვრევებს ნაღვლიანად დაუწყო თვალიერება. ქალი მაინც ქალია. ირიჩკას დაენანა ძვირფასი ნივთი, დაიჩოქა და შუშები მოკრიფა.

— ჩარჩო მთელია, — თქვა მან პრაქტიკული ხმით. — შუშები კი შეიძლება ახალი ჩაედგას. ოცდაათი კაპიკი ღირს. გინდათ, მე გავაკეთებინებ?

ოლეგ ბორისოვიჩმაც ჩაიჩოქა.

— არა, — თქვა მან გაბუტული ბავშვის ხმით. — არავითარ შემთხვევაში! შუშებსაც მე მოვკრიფავ! მომაშორეთ თქვენი ხელები!

— მე გავტეხე, მევე მოვალე ვარ გავაკეთო.

— არა!

— ჰო!

მათი ხელები ერთმანეთს შეეხო. სამეცნიერო ხელმძღვანელი შეკრთა. ირეჩკაც ცოტა დაიბნა.

— ცოლი გყავთ? — ჰკითხა მან ცოტა ხნის უხერხული დუმილის შემდეგ.

— არა, — წაიბუტბუტა კათედრის გამგემ.

— საყვარელი ქალი?

— ისე... საერთოდ... შეიძლება ითქვას, არა. მერე რა? რა დამოკიდებულება აქვს ამასთან?

— გაფიცებთ! — მხურვალედ წაიჩურჩულა ირეჩკამ. — თქვენი მომავალი ცოლისა და მომავალი ბავშვების სახელით! დამიბრუნეთ შურიკი!

— რომელი შურიკი? — გაუკვირდა ოლეგ ბორისოვიჩს.

— ჩემი შურიკი... — ცრემლები მოადგა თვალებზე დედას. — ან, როგორც მას ეძახით, სმიტი...

— აი, თურმე ვისზე ლაპარაკობთ... ჰო... სმიტზე... რათა ის...

— მე თუ ახლა... ახლა გაკოცებთ, დამიბრუნებთ... სმიტს?

— რას იზამთ? — ვერ გაიგო სამეცნიერო ხელმძღვანელმა.

— გაკოცებთ.

— მაკოცებთ? რატომ? — გაოცდა ოლეგ ბორისოვიჩი.

— რაო, თქვენთვის არასოდეს უკოცნიათ? — ირეჩკამ თვალები დახარა და შუშის ნატეხები მარჯვენა ხელისგულზე მოიგროვა.

— დავუშვათ... ისე... საერთოდ... მაინც რა მნიშვნელობა აქვს ამას? — ნუკლიევს თავგზა აებნა.

— ოჰ, შე სწავლულო ვირთხავ! — უცბად შესძახა ირეჩკამ. — კოცნაც კი არ შეუძლია! ესეც შენ! მიიღე! — და სათვალის ნამტვრევები მომავალ საქვეყნოდ სახელგანთქმულ პიროვნებას პირდაპირ შუბლში მიაყარა.

როგორი არაჩვეულებრივი შესაძლებლობები მოგვცა ბუნებამ! ასეთი, თითქოსდა, მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანი, ნიჭიერი, შეიძლება ითქვას, გენიალური მეცნიერი, ელვის სისწრაფით უეცრად შემობრუნდა ას ოთხმოცი გრადუსით, და

მკვირცხლად, როგორც ნამდვილი ორანგუტანგი, დაოთხილი კარისაკენ გაიქცა. ურდულმა გაიჩხაკუნა, გასაღები გადატრიალდა.

ხმაურზე ვარვარა იგნატიევნამ მოირბინა.

— გვიშველეთ! — დაიყვირა ირიჩკამ და კარს ეცა. — წავართვათ ამ მტარვალებს ბავშვი! როდემდე უნდა აწვალონ ამ გადარეულებმა ჩვენი შურიკი?

არაფერი ისე არ აღაგზნებს ადამიანს, როგორც აფექტურ მდგომარეობაში მყოფი მეორე ადამიანი.

— ოჰ, თქვე მტარვალებო! აბა, გვიფრთხილდით! — წამოიძახა დედამთილმა და გაქანებულმა მუხლი ჰკრა კარს. ფიცრები აჭრიალდა.

— რა? ვინ? რატომ? — დერეფანში თავი გამოყო შეშინებულმა და ნამძინარევმა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— მოდი კარი შევამტვრიოთ, რას წამოგორებულხარ, ბებერო ეშმაკო! — უბრძანა ცოლმა.

— ხანძარია? — ჩახლეჩილი ხმით იკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა, რომელიც ჯერაც გონს ვერ მოსულიყო.

— ხანძარიო!.. შენ მარტო ბაღლინჯოებს უნდა ჭყლეტდე.

ონუფრი სტეპანოვიჩმა ერთი ამოიხვნეშა და კარს მიაწვა. კარმა დაიჭრიალა, მაგრამ გაუძლო. ონუფრი სტეპანოვიჩმა უკან დაიხია, სადამდეც ადგილი ეყოფოდა, და მხრით უბიძგა. ჩამოცვივდა ბათქაშის ნამტვრევები, მაღლა თაროზე დაწყობილმა ცარიელმა მინის ქილებმა დაიჩხრიალა. მაგრამ ასეთი საშინელი დარტყმის მერეც კარი არ დაიმტვრა.

შემჩნეულია მშენებლების უცნაური ჩვევა. შესასვლელ კარს რატომღაც თხელი ფირფიცრისაგან აკეთებენ, ვერაფრით რომ ვერ დაგიცავს ქურდებისა და ავაზაკებისაგან (ფრთხილი ადამიანები მერე ზედ აკრავენ თხელ ჯავშანს, უკეთებენ სამ-სამ კლიტეს), შიგნითა კარს კი განსაკუთრებით გამძლე ფიცრისაგან ამზადებენ.

— ფრთხილად მანდ! — გაისმა ალყაშემორტყმული ოთახიდან. — კედლებს დაანგრევთ!

— დავცხოთ სამივემ ერთად! — გასცა განკარგულება ვარვარა იგნატიევნამ.

ალყაშემორტყმულები აქოთქოთდნენ. გაისმა აჩქარებული

ფეხის ხმა, იატაკზე გაცურებული ავეჯის გრიალი. ცხადია, სასწრაფოდ ბარიკადებს აგებდნენ.

— ერთი! ორი! ავიღოთ!

დარტყმა სუსტი გამოდგა, რადგან ირეჩკა და ვარვარა იგნატიევნა ერთმანეთს დაეჯახნენ, რიკოშეტით ონუფრი სტეპანოვიჩისაკენ გაექანენ, იგი მარჯვნივ გადაქანდა და წირთხლის მაგიერ შუა კარს დაეჯახა. მიუხედავად ამისა, კარზე მაინც გაჩნდა გრძელი დაკლაკნილი ნაპრალი.

საოცარია, მაგრამ ამ ნაპრალმა გამოაფხიზლა თავდამსხმელები, პირველ რიგში, ქალები.

— არ ღირს კარის დამტვრევა, — თქვა ირეჩკამ. — მერე სადღა იშოვი?

— მართალია, — დაეთანხმა ვარვარა იგნატიევნა, — უმჯობესია, შიმშილით არაქათი გამოვაცალოთ, დავაწესოთ მორიგეობა, სათითაოდ ვურტყათ თავში ტაფა, ვიდრე თრიებივით არ დავარეტიანებთ. ბოლო უნდა მოეღოს ამ დომხალს!

შეტევის დამთავრებით გახარებულმა ონუფრი სტეპანოვიჩმა გაპარვა სცადა, ძილი რომ გაეგრძელებინა, მაგრამ მეუღლემ ქეჩოში ხელი სტაცა.

— პირველი შენ იმორიგეევებ, ზარმაცო კატა! კართან ქვეშაგებს დაგიგებ. თუ გამოსვლას დააპირებენ, დაგვიძახე დასახმარებლად, შენ კი ურტყი, აი, ამ ტაფით, — ვარვარა იგნატიევნამ მოიტანა გრძელტარიანი ალუმინის ტაფა.

— ვერსად ვერ გაიპარებიან სულიკოები.

ონუფრი სტეპანოვიჩი მორჩილად წამოწვა სადარაჯოზე. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ დილით გამოირკვა, რომ ოლეგ ბორისოვიჩი გაქრა. ამის შესახებ კარიდან გამარჯვებულის ხმით აცნობათ მისმა თანამებრძოლმა.

— როგორ თუ გაქრა? — არ დაიჯერა ვარვარა იგნატიევნამ.

— აი, ასე! ფანჯრიდან! ზეწარიც კი კიდია! მარტო მე კი ქოთნისა და საპმლის მარაგი მთელი კვირა მეყოფა! თქვენ მხოლოდ ბავშვის სავალალო მდგომარეობაზე იფიქრეთ!

რასაკვირველია, არავინ დაიჯერა, რომ ნუკლიევი გაიქცა, და ვარვარა იგნატიევნა ჩავიდა ეზოში, რათა პირადად შეემოწმებინა, ეკიდა თუ არა იქ ზეწარი.

მართლაც, მერვე სართულიდან მეშვიდემდე მსხვილად დაგ-

რეხილი ზეწარი ეკიდა. ბუნებით ურწმუნო ვარვარა იგნატიევნას არ დაეზარა და კრასინების ქვევით ბინისკენ გასწია.

ორმოცდამეთვრამეტე ბინაში მცხოვრები ახალგაზრდული შესახედაობის, ხუჭუჭა სელისფერთმიანი მოხუცი ქალი დიდხანს არ ტყდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოუყვა, რომ სამ საათზე მას შემოესმა საეჭვო ფაციფუცი აივანზე. „შეიძლება, მტრედები ფრთხიალობენ?“ — გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ ამ დროს ფანჯარაში ფრთხილი კაკუნი გაისმა. ამან საბრალოს თავზარი დასცა. ტელეფონი არ ჰქონდა, ამიტომ კიბისკენ გაქცევა დააპირა, რომ მეზობლები საშველად დაეძახა.

— დედილო, არ ჩაიდინოთ ეს! — გაისმა ყრუ ხმა. — დედილო, ღვთის გულისათვის, გთხოვთ — არ ჩაიდინოთ ეს! მე არც ქურდი ვარ, არც მკვლელი, არც ავაზაკი. მე ერთი უბედური ადამიანი ვარ! შემომიშვით და ყველაფერს გიამბობთ!

შიშისაგან აკანკალებულმა მოხუცმა ფანჯარაში გაიხედა და ქუჩის ფარნის შუქზე მაისურსა და ტრუსებში გამოწყობილი გამხდარი, აკანკალებული ფიგურა დაინახა.

ორმოცდამეთვრამეტე ბინის დიასახლისმა აივანზე გამავალი კარი გააღო. ოთახში სწორედ რომ შემოვარდა ფერდაკარგული, შიშისა და სიცივისაგან აცახცახებული არსება. ამ არსებას ეცვა დასვრილი, ორ ადგილას გახეული მაისურა, ქარაფშუტული ტრუსები მულტფილმის „აბა, დამაცადეს“ სცენებით და ქალის საშინაო ჩუსტები.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — ცივად ჰკითხა მოხუცმა.

— იცით რა... — სხაპასხუპით, შეშინებულმა, ვაითუ შემაწყვეტინონო, თქვა უცნობმა. — საქმე ისაა, რომ მე, ა'ეე ვთქვათ... კლასიკური არშიყი ვარ კლასიკური ანეკდოტიდან...

— ქმარი გაემგზავრა მივლინებაში, შემდეგ კი მოულოდნელად დაბრუნდა?

— სწორედ ასეა, — კბილები გააკრაჭუნა „კლასიკურმა არშიყმა“.

— ეს ვისთან იყავით? — ცნობისმოყვარეობა ვეღარ დაფარა ქალმა. — მოხუცთან თუ ახალგაზრდასთან?

როგორც მოხუცთა უმრავლესობა, ისიც სახლის ყველა ბინადარს იცნობდა.

— რასაკვირველია ახალგაზრდასთან... იმასთან... რა ჰქვია...
— ტურფასთან?
— დიახ...
— ირა ჰქვია.
— იცით რა... — ჩაიბუტბუტა ახალგაზრდა კაცმა. — ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.
— ესეც თქვენი თანამედროვე ახალგაზრდობა, — ვეღარ შეიკავა თავი მოხუცმა, მორალი რომ არ წაეკითხა, მაგრამ ხელმოცარულ არშიყს ცაცხვის თაფლი მაინც დაალევინა, მისცა თავისი ყოფილი ქმრის შარვალი, ტროლეიბუსისთვის ოთხი კაპიკი და ურჩია დაქორწინებულიყო.
— რატომ? — ურცხვად უპასუხა უცნობმა. — რატომ უნდა დავქორწინდე, თუ კი მეზობელი ცოლიანია?
ამ უხამსი სიტყვების შემდეგ არშიყი გაუჩინარდა და მასზე მეტი აღარაფერი სმენია, მაგრამ ფიქრობს, თუ ის წესიერი ადამიანია, შარვალს ფოსტით გამოუგზავნის.
სულელი, გამოშტერებული ბებრუცუნას ნაამბობმა ვარვარა იგნატიევნა გააცეცხლა.
— ეს რა ჩაგიდენიათ? — დაიყვირა მან. — რა საჭირო იყო, ამ ვიგინდარას თაფლს რომ ასმევდით? შარვალიც მიგიციათ? სარეცხის თოკით უნდა შეგეკრათ და კრასინების ბინაში ამოგეთრიათ.
— როგორ უნდა ამომეთრია? — გაიოცა მოხუცმა. — თანაც შემეცოდა...
— ფუი! — მიაფურთხა წასვლისას ვარვარა იგნატიევნამ. — ალბათ შენც დაგიდიან საყვარლები, ამიტომ სხვისიც გეცოდება?! პარიკი გაუკეთებია, ბებერი ჩერჩეტი! — ვარვარა იგნატიევნამ ყოველთვის თავშეუკავებელი ლაპარაკი იცოდა.—უნდა ეგ პარიკი მოგაძრონ და ღინღლი დაგაგლიჯონ!
— რა პარიკი? რა ღინღლი? — ეწყინა მოხუც ქალს. — აი! — მან თავისი თმა მოქაჩა. — სულ ჩემია!
მაგრამ ვარვარა იგნატიევნა უკვე აღარ უსმენდა. სახლში გარბოდა, რათა შეეტყობინებინა, რომ საძაგელი ნუკლიევი არა მარტო გაიქცა, არამედ თავლაფი დაასხა მათ ოჯახს.
მაგრამ ოლეგ ბორისოვიჩის გაქცევამ შეამსუბუქა ვითარება. ახლა ძალთა თანაფარდობა აშკარად კრასინების ოჯახისაკენ

იხრებოდა. თამამად შეეძლოთ საძინებლის იერიშზე გადასულიყვნენ, კარი მოეგლიჯათ, თვით ექსპერიმენტატორი კი სარეცხის თოკით შეეკრათ როგორც საშიში ბოროტმოქმედი და ასეთ მდგომარეობაში ჰყოლოდათ, ვიდრე გონს არ მოვიდოდა.

კრასინების ოჯახი ისევ განლაგდა საძინებლის წინ საბრძოლო წესით, მაგრამ ამ დროს შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა.

თავი მესამე,

რომელშიც აღწერილია, როგორ გაჩნდა კრასინების ბინის კართან ვორონცოვის სასახლის ლომი

I

— ეს ის არამზადაა! — წამოიძახა ვარვარა იგნატიევნამ. — ისევ არ გამომეცხადა! მე თვითონ შევამკობ კარგად მაგ საზიზღარ მელაკუდას.

ამის თქმაზე ვარვარა იგნატიევნამ თავისი რძლის მძიმე, სქელპლატფორმიანი ჩექმა აიღო და კარის გასაღებად წავიდა.

კართან უსახური ცხვირდაწითლებული კაცუნა იდგა, თავზე კურდღლის ბეწვის გაქუცული ქუდი ეხურა.

— აგური სად გადმოვცალოთ, ქალბატონო? — იკითხა მან საქმიანად და ჭუჭყიან სახელოზე ცხვირი შეიხოცა.

— რა აგური? — გაოცდა ვარვარა იგნატიევნა.

— რომელიც შეუკვეთეთ.

— არავითარი აგური ჩვენ არ შეგვიკვეთია.

კაცი წამით ჩაფიქრდა.

— ეს ას ექვსია?

— ას ექვსია.

— სახლი თვრამეტი? კორპუსი ორი?

— ნამდვილად.

— მაშასადამე, არ შევმცდარვარ. — მან კვლავ შეიხოცა ცხვირი სახელოზე. — გრიპმა გამაწამა. — აუხსნა მან. — ყველას დარია ხელი. მეღა დავრჩი. მთელი ტრესტის მაგიერ ვმუშაობ. მაშ, სად დავყარო აგური?

— არავითარი აგური არ ვიცი! აქ რაღაც გაუგებრობაა! — ვარვარა იგნატიევნას უნდოდა კარი დაეხურა, მაგრამ კაცმა მარჯვედ ჩადგა კირით დათხუპნილი ჩექმა კარის ღრიჭოში.

— ე, არა! ასე საქმე არ გამოვა. აგური შეუკვეთეთ? შეუკვეთეთ. ფული გადაიხადეთ? გადაიხადეთ.

— რომელი ფული? — ისევ გაოცდა ვარვარა იგნატიევნა.— მე არავითარი ფული არ გადამიხდია.

— თქვენ თუ არა, მაშინ თქვენმა ქმარმა გადაიხადა. ასი მანეთი ბე.

— ჩემს ქმარსაც არ მოუცია.

— არ ვიცი, ვინ. მე ეს საქმე, ქალბატონო, არ მეხება. მითხრეს: მიიტანე, სემიონიჩ, ერთი თვითსაცლელი აგური, მეც მოვიტანე. აი, გაიხედე — ეზოში დგას. მითხარი ჩქარა, ქალბატონო, სად დავყარო, თორემ თვითსაცლელი ტყუილად სცდება. იმან კიდევ ხუთი გზა უნდა გააკეთოს. ტრესტში გაახსენდებათ და შეუძლიათ თავში წამომარტყან. ჩვენთან ტრესტში უფროსობა ძალზე მკაცრია.

— მომწყდით თავიდან შენცა და შენი აგურიც! — ვარვარა იგნატიევნამ მოულოდნელად მარჯვე, ზუსტი დარტყმით კირით დათხუპნილი ჩექმა ნაპრალიდან ამოაგდო და ღონივრად მიიჯახუნა კარი.

მერე ფანჯარასთან მიირბინა. ეზოში მართლაც იდგა აგურით დატვირთული თვითსაცლელი და ბოლის ლურჯ ბოლქვებს ისროდა. მძღოლი მოუთმენლად იყურებოდა კაბინის ფანჯრიდან. მალე მასთან აჩქარებით მივიდა დათხუპნილჩექმებიანი კაცუნა და რაღაცაზე დაუწყო ლაპარაკი. თვითსაცლელი ადგილიდან დაიძრა, საბავშვო მოედანს მიუახლოვდა და იქვე გადმოცალა თეთრი აგური. ავარდა მტვრის კორიანტელი.

— გიჟები არიან ვიღაცეები, — წაიბუტბუტა ვარვარა იგნატიევნამ. — არ იციან, სად წაიღონ აგური!

მალე შემოსასვლელში კვლავ გაისმა ზარის ხმა. ამჯერად ვარვარა იგნატიევნას წინაშე სოლიდური, კარგად ჩაცმული მამაკაცი იდგა, რომელსაც ჭაღარა, პროფესორის თავი ჰქონდა და ხელში სქელი პორტფელი ეჭირა.

— გამარჯობათ, მადამ, — უთხრა მან თავაზიანად. — შეიძლება დავათვალიერო თქვენი საძინებელი?

— თქვენ სახანძროდან ხართ?

— დაახლოებით, — მოწყალედ გაიღიმა მამაკაცმა.

ვარვარა იგნატიევნამ შინ შეუშვა.

მეხანძრე აუჩქარებლად შევიდა სამზარეულოში, პორტფელიდან ბლოკნოტი, ფლომასტერი და რულეტი ამოიღო. მერე გულმოდგინედ გაზომა საძინებლის კარი. ამის შემდეგ ასევე თავაზიანად დაუკაკუნა გენადი ონუფრიევიჩს.

— ვინ არის? — გაისმა ოთახიდან მრისხანე ხმა.

— ჭერის თაობაზე ვარ.

— კარი სწრაფად გაიღო და „პროფესორი“ საძინებელში გაუჩინარდა. იქ დიდხანს არ დარჩენილა. გამოვიდა და საქმიანად ჩაიწერა ბლოკნოტში რაღაც ციფრები.

— როგორ გავხვრიტოთ, მადამ? გარედან თუ შიგნიდან?

— ვინ უნდა გახვრიტოთ? — გულის ფანცქალით იკითხა ვარვარა იგნატიევნამ, რომელიც გუმანით მიხვდა, რომ რაღაც არასასიკეთო საქმე ხდებოდა.

— ჭერი.

— მერედა რატომ უნდა გახვრიტოთ? — ჰკითხა ვარვარა იგნატიევნამ აკანკალებული ხმით.

„პროფესორი“ მას მიაშტერდა.

— მაშ, თქვენ არაფერი იცით?

— ა-რა...

— როგორ, მან არაფერი გითხრათ? მადამ, ჩვენ მივიღეთ შეკვეთა — აგურით ამოვაშენოთ საძინებლის კარი, ხოლო სახურავზე გასასვლელი ჭერიდან გავიყვანოთ. აი, ახლა გეკითხებით: საიდან უნდა გავხვრიტოთ გასასვლელი? შიგნიდან თუ სახურავიდან? თუ სახურავიდან კოშკურა ამწე უნდა დავამონტაჟოთ. ეს იაფია, მაგრამ გაჭიანურდება. ვიდრე მოვიტანთ, ვიდრე დავამონტაჟებთ. საძინებლიდან უფრო სწრაფად იქნება, სამაგიეროდ ძვირიც დაჯდება, ვინაიდან აგური ეზოდან ხელით უნდა ამოვზიდოთ, ხარაჩოებიც ოთახში უნდა დავდგათ. მაგრამ ამ შემთხვევაში სამ დღეში მოვათავებთ. მაშ როგორ მოვიქცეთ, მადამ?

— სტეპანიჩ, სტეპანიჩ! — დაიყვირა გაოგნებულმა ვარვარა იგნატიევნამ. — მოდი, მოუსმინე, რა გადაუწყვეტიათ ამ დარტყმულებს! ბავშვი ცოცხლად უნდა ამოქოლონ!

მოვარდა შეშინებული, ნამძინარევი ონუფრი სტეპანოვიჩი. იგი, ის-ის იყო, მიწვა დასაძინებლად ნასადილევს ჭიქა პორტვეინის შემდეგ.

— რა, სად? — იკითხა მან და წინ გამოეჭიმა ჭაღარა „პროფესორს“. — ამან?

— ჩვენი ხომ სულ გადაირია: ჭერი უნდა გახვრიტოს, გასაძრომი გააკეთოს სახურავიდან, ეს კარი კი აგურით ამოაშენოს.

— ოჰ! — ესღა მოახერხა თავზარდაცემულმა მოხუცმა.

„პროფესორმა“ საგულდაგულოდ ჩაალაგა პორტფელში ბლოკნოტი, ფლომასტერი, რულეტი და თქვა:

— ეს თქვენი შინაურული საქმეა. მე ბე მივიღე, მასალა მოვიტანე, მუშები დავიქირავე და ეს საქმე სწრაფად უნდა გავაკეთო. მარტო თქვენ არა მყავხართ.

„პროფესორმა“ ესა თქვა და წავიდა. ვარვარა იგნატიევნამ, ონუფრი სტეპანოვიჩმა და ხმაურზე შემოსულმა ირინჩკამ მეცნიერის კარზე ბრახუნი ატეხეს, არ დაუშურებიათ არც წყევლა-კრულვა, როგორიც კი არსებობს, მაგრამ გენადი ონუფრიევიჩი სამარესავით დუმდა.

პირველად დედის გული წავიდა დათმობაზე.

— რაც გინდა, ის ჰქენი, მტარვალო! — დაიყვირა მან. — მხოლოდ კარს ნუ ამოქოლავ! ყველაფერზე თანახმა ვარ!

— დანარჩენებიც თანახმა არიან? — იკითხა საძინებლიდან ყრუ ხმამ.

— თანახმანი ვართ! — ერთხმად უპასუხეს კრასინებმა.

— კარგი! — გენადი ონუფრიევიჩმა კარი გააღო. — მჯერა. მაგრამ თუ...

— არა, არა! — შეშინებულმა შეჰკივლა ირინჩკამ. — ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა. ბავშვს უნდა ვაჭამო.

ოჯახში შეიარაღებული მშვიდობა დამყარდა. კარის ამოქოლვა და ჭერის გახვრეტა ყველამ დაივიწყა, მაგრამ საღამოს ბინაში ზარის რეკვა ატყდა.

ვარვარა იგნატიევნამ კარი გააღო. მის წინ სამი ახალგაზრდა იდგა, სამივეს ხელში საქაღალდე „დიპლომატი“ ეჭირა. ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე უფროსი, შავწვერიანი იყო.

— ას ექვსია?

— დიახ...

— ჩვენ ბინის გადაკეთების თაობაზე ვართ.

— დაიგვიანეთ, ახალგაზრდებო, ჩვენ გადავიფიქრეთ.

წვეროსანი მოიღუშა.

— ჩვენ ასე არ ვმუშაობთ, ქალო, — ცივად თქვა მან. — თუ ფული წინასწარ ავიღეთ, სამუშაოს ვასრულებთ, რაც არ უნდა მოხდეს. სწრაფად და ხარისხიანად. ეს ჩვენი პრინციპია.

— მაგრამ ჩვენ გადავიფიქრეთ.

— ძალიან ცუდია.

— ჩვენ... ჩვენ უარს ვამბობთ ავანსზე.

წვეროსანმა თავი გადააქნია.

— ეს ჩვენ წესებს ეწინააღმდეგება, ქალო. სამშენებლო ტრესტი კი არა ვართ. ჩვენ სოლიდური ფირმა გვაქვს, და ძალიანაც ვუფრთხილდებით მის სახელს. ჩვენ სამათხოვრო არაფერი გვჭირს.

— მაგრამ ეს რა მათხოვრობაა... უბრალოდ, შეიცვალა მდგომარეობა...

— უკვე მოვიტანეთ აგური, დავამონტაჟეთ კოშკურა ამწე, მალე მოვა ელექტროშედუღება. რა უნდა ვუთხრათ ხალხს? არა! — კაცმა, ხელში საქაღალდე „დიპლომატი“ რომ ეჭირა, გადაჭრით გაიქნია თავი. — ჩვენი ვალია სამუშაო შევასრულოთ.

— მაგრამ ხომ გითხარით... — ვარვარა იგნატიევნამ ისარგებლა მომენტით, როცა შავწვერიანი თავს აკანტურებდა, და სწრაფად მიიჯახუნა კარი.

ხუთი წუთის შემდეგ შემოსასვლელში კვლავ დარეკეს.

ახლა სამ ახალგაზრდა კაცთან ერთად „პროფესორიც“ იყო. უკან უღიმღამო გარეგნობის ათამდე კაცი ჩამწკრივებულიყო, მათ ხსნარით სავსე ვედროები, ქაფჩები ეჭირათ და მხრებზე მოკიდებული ჰქონდათ ალბათ აგურით სავსე მძიმე ტომრები.

— მე ხომ გითხარით! — დაიყვირა ვარვარა იგნატიევნამ. — გადავიფიქრეთ! გა-და-ვი-ფიქ-რეთ! ფული შეგიძლიათ დაიტოვოთ.

ღიმილი გაუკრთა „პროფესორს“ ჯიშიან სახეზე.

— მოითმინეთ, მადამ, ნუ ცხარობთ. ზოგჯერ ასეც ხდება, რომ კლიენტი გადაიფიქრებს, მაგრამ მინდა სწორად გამიგოთ, მადამ. ჩვენი ფირმა მეტად უფრთხილდება თავის მარკას. გესმით? ძალიან! ამიტომ სამუშაო, რაც არ უნდა მოხდეს, უნდა შესრულდეს, დაე, თუნდაც სხვა სამუშაო იყოს. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ თქვენი ბინის დაგეგმარება, სადაც საჭიროა, კედ-

ლები ფილებით მოვაპირკეთოთ, ჭერი მოვხატოთ, ქურა გადავაადგილოთ. განა ცოტაა გასაკეთებელი...

— მასალა მოპარულია? — სწრაფად იკითხა ვარვარა იგნატიევნამ.

ჭაღარა „პროფესორი“ არ დაიბნა.

— ეს წარმოების ნარჩენებია, მადამ. — ცივად მიუგო მან.— თქვენ ეს ნუ გადარდებთ. უფლებას მოგვცემთ შემოვიდეთ, მადამ?

— სამუშაო მიატოვეთ და ყალთაბანდობთ?

— არც მთლად აგრეა, მადამ. ნამუშევარი დღეების ხარჯზე დაგვითხოვეს.

— რას გადამეკიდეთ, ეშმაკის მსახურნო! — ვარვარა იგნატიევნამ ცხვირწინ მიუხურა „პროფესორს“ კარი.

კრასინების ოჯახი ხელახალ დარეკვას ელოდებოდა, მაგრამ ზარი აღარ განმეორებულა. საღამოს კიბის ბაქნიდან ესმოდათ რაღაც ფაციფუცი, კაკუნი, ყრუ ხმები, მაგრამ კრასინები არ გასულან — კარის გაღებისა ეშინოდათ.

შუაღამისას ვარვარა იგნატიევნამ მაინც გაბედა და გარეთ გაიხედა. იმან, რაც თვალწინ წარმოუდგა, გულის სიღრმემდე შეძრა. კიბის ბაქანზე მტრედისფერი ფილები დაეგოთ, საღებავაცვენილი რკინის მოაჯირი მუხის გაპრიალებული მოაჯირით შეეცვალათ. მაგრამ ყველაზე გადასარევი იყო საფეხურები. ისინი მუქი რუხი, თითქმის ცისფრად მოელვარე მარმარილოსი გაეკეთებინათ. პირველ საფეხურზე კრასინების მეზობელი იდგა. მას ფეხი მეორე საფეხურზე აედგა, მაგრამ გადაბიჯებას ვეღარ ბედავდა.

დილაადრიან კრასინები მძლავრი სატვირთო მანქანების გუგუნმა გააღვიძა. ვარვარა იგნატიევნა, ონუფრი სტეპანოვიჩი და ირინა ფანჯრებს ეცნენ. ოთხი გიგანტური სატვირთო ავტომანქანა ჩამწკრივებულიყო მათი სახლის წინ. რაღაც მასიური კოჭებით, ამწეებით დატვირთული მანქანების გარშემო ადამიანების ჯგუფი ფუსფუსებდა.

საძინებლიდან ხმაურზე გამოსულმა გენადი ონუფრიევიჩმა ცერებით გაატკაცუნა აჭიმი და ავტორიტეტულად განაცხადა:

— ეს დაშლილი კოშკურა ამწეა.

— რომელი ამწე? — შეშინდა ვარვარა იგნატიევნა. — რაში

გვჭირდება კოშკურა ამწე? ოჰ, ეს ყალთაბანდები! მილიციაში უნდა განვაცხადოთ!

— ფული ჩვენ გადავიხადეთ. — წაიბურტყუნა გენადი ონუფრიევიჩმა. — პასუხსაც ჩვენ გვაგებინებენ.

— ო, შე სულელო... — ის იყო, წამოიწყო ვარვარა იგნატიევნამ, მაგრამ უმალ ხმა გაკმინდა, ვინაიდან მეცნიერმა მაშინვე ამოიღო ჯიბიდან პირსაკრავი.

შუადღისას ამწე დამონტაჟებული იყო. კაბინაში ახალგაზრდა კაცი შეძვრა და სახურავზე რაღაც მასალის აზიდვა დაიწყო. სახურავიდან ისმოდა ფეხების ბაკუნი, რაღაც მძიმე საგნის რახუნი, ადამიანის ხმები.

საღამოს ამწე დაშალეს და იმავე ოთხი სატვირთო ავტომანქანით წაიღეს.

კრასინების ფანჯრებთან უსაქმურებს მოეყარათ თავი. გენადი ონუფრიევიჩის გარდა, რომელიც ექსპერიმენტს ვერ მიატოვებდა, ყველა იმის სანახავად გაიქცა, თუ რა მოიმოქმედა ამწემ.

ნაწილი სახურავისა, სწორედ კრასინების ბინის თავზე, ეკლესიის გუმბათივით ოქროსფრად ბრწყინავდა!

მეორე დღეს „პროფესორი“ ისევ გამოცხადდა.

— როდის მოედება ამას ბოლო? — კარის გაღებისთანავე წუწუნს მოჰყვა ვარვარა იგნატიევნა. — აბა, რა? კიდევ რა გინდათ ჩვენგან? იქნებ გსურთ ჭერზედაც ოქრო გააკრათ? მაშ, გააკარით! გააკარით!

— მადამ, — თავაზიანად მიუგო „პროფესორმა“, — ჯერ ერთი, ის ოქრო კი არა, თითბერია, მეორეც, ჩვენ დაგვრჩა კიდევ თქვენი ფულიდან ოცდაოთხი მანეთი და სამოცდაჩვიდმეტი კაპიკი.

— მერე რა? — დაიყვირა საცოდავმა ქალმა. — დაიკარგეთ თქვენი ფულიანად! დალიეთ! იყიდეთ „სოლნცედარი“ და დალიეთ!

— ჩვენ „სოლნცედარს“ არ ვსვამთ, — ნაწყენმა „პროფესორმა“ ტუჩები აიპრუწა, — ჩვენ საერთოდ ცოტას ვსვამთ, და თუ ვსვამთ, მხოლოდ ვისკის „თეთრი ცხენი“.

— ო, ღმერთო! მერე ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენ არავითარი ცხენი არა გვყავს: არც თეთრი, არც შავი!

— ჩვენ არც არაფერს გთხოვთ. პირიქით. მე თქვენ უკვე აგიხსენით: დაგვრჩა თქვენი ფული — ოცდაოთხი მანეთი და სამოცდაჩვიდმეტი კაპიკი. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, კიდევ რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

— არაფერი! მომწყდით თავიდან, ეშმაკსაც წაულიხართ! წყეულიმც იყავით!

ჭალარა კაცმა წყევლა-კრულვას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

— ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ მარმარილოს ლომი. — „პროფესორმა" ხმას დაუწია. — ნამდვილად მეთვრამეტე საუკუნისაა.

— ჯანდაბამდის გზა გქონიათ შენცა და შენს ლომსაც!

— ვორონცოვის სასახლიდანაა.

— მოპარული ლომები არ გვჭირდება!

— ეს მოპარული ლომი არ არის.

— ესეც წარმოების ნარჩენებია? — გესლიანად იკითხა ვარვარა იგნატიევნამ.

— არა, — არ დაიბნა „პროფესორი". — სარესტავრაციო სამუშაოებთან შეუთავსებლობა. ტყუილად ამბობთ უარს, მადამ. თუ ლომს ვინმე საქმის მცოდნე გადაეყრება, იგი ხუთას მანეთსაც არ დაიშურებს, მაგრამ ჩვენ გვინდა ანგარიში ბოლომდე გაგისწოროთ.

— არ გვინდა ლომი!

— დაფიქრდით, მადამ. მეთვრამეტე საუკუნეა. ცხვირში სპილენძის რგოლი აქვს გაყრილი. ფაფარიც ნამდვილს მიუგავს. მართალია, მარჯვენა უკანა თათი მოტეხილი აქვს, მაგრამ სამოცდაათ მანეთად ჩვენ შეგვეძლო...

ვარვარა იგნატიევნამ გაშმაგებულმა მიუკეტა კარი.

გვიან ღამით, როდესაც ვარვარა იგნატიევნას ნაგვის ვედრო გამოჰქონდა, დერეფანში შეეჩეხა თეთრ, უზარმაზარ, ხახადაფჩენილ ცხოველს, რომელსაც ცხვირში რგოლი ჰქონდა გაყრილი.

ეს იყო ვორონცოვის სასახლის ლომი!

თავი მეოთხე,

რომელშიც მოულოდნელად ექსპერიმენტ „იდეალურ ადამიანს“ ვერაგულ, გამანადგურებელ დარტყმას აყენებენ

კრასინების ოჯახში ცხოვრება ნელ-ნელა მეტ-ნაკლებად ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, თუ შეიძლება ნორმალური ეწოდოს იმას, რომ დედა პირსაკრავაფარებული აწოვებს ძუძუს შვილს, ბებია და პაპა შვილიშვილს დღე-ღამეში მხოლოდ რამდენიმე წუთით ხედავენ, მამა კი ყოველღამე ახალშობილს „ბრასის“ სტილით აცურავებს აბაზანაში.

მაგრამ კარის ამოქოლვის განზრახვამ და ყალთაბანდების შემოსევამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, რომ ექსპერიმენტისადმი აშკარა წინააღმდეგობა ჩახშობილ იქნა. მართალია, საიდუმლო მაინც დარჩა — კონტრცდა „რღვევა“ გრძელდებოდა და, როგორც ვერა არწმუნებდათ, წარმატებითაც; მას ეჩვენებოდა, რომ, როდესაც შურიკი ლუღლუღებდა, რუსული ბგერები ჭარბობდა ინგლისურს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერთი წლის შემდეგ ბავშვი ალაპარაკდებოდა თუ არა, მეცნიერები, როგორც კი აღმოაჩენდნენ გამოუსწორებელ მინარევებს, ექსპერიმენტზე ხელს აიღებდნენ.

მხოლოდ „ენაჭარტალა კატკა“ ვერ ამჩნევდა ვერაფერს. ძმასთან ურთიერთობის დამყარებას არც კი ცდილობდა და სახე ემანჭებოდა, როდესაც შურიკ-სმიტის ტირილი ან მის შესახებ ლაპარაკი ესმოდა.

— მთელი ბინა ამ ღლაპით არის სავსე, პირდაპირ სუნთქვაც აღარ შეიძლება. — ბურტყუნებდა იგი. — ტელევიზორსაც არ გვაყურებინებენ.

— გირჩევნია, გაკვეთილები მოამზადო, — ურჩევდა ბებია.

— მერედა რატომ? — ეკითხებოდა „ენაჭარტალა“.

— უვიცი დარჩები — აი, რატომ.

— მერე რა?

— ის, რომ ვინ შეგინახავს? ან იქნებ მთელი სიცოცხლე მშობლების კისერზე აპირებ ჯდომას?

კატკა ფრუტუნებდა.

— მე რომ დედაშენი ვიყო, — ჯავრობდა ვარვარა იგნატიევნა. — გახტუნავებდი ჩემს ჭკუაზე! ზარმაცი! პურზეც არ გაგეგ-

ზავნება! სახლი სავსეა ახალგაზრდებით, პურზე კი მე დავდივარ! წადი ახლავე მაღაზიაში!

— ოჰ, ეს ღლაპი! — ბრაზობდა კატკა. — მის გამო ყველა გადაირია! რა კარგად ვიყავით უმისოდ! თავზე არ დაგვაჯდა! მაინც რა ოჯახმა შეიყარა თავი!

და „ენაჭარტალა“ ბუზღუნითა და წუწუნით მაღაზიაში მიჩანჩალებდა.

ნუკლიევი, სენეჩკა და გენადი ონუფრიევიჩი კმაყოფილები იყვნენ — ექსპერიმენტი ნორმალურად მიმდინარეობდა, სამივე ენთუზიაზმით მუშაობდა. ოლეგ ბორისოვიჩსა და უმცროს ლაბორანტს ახალ-ახალი ფირფიტები და დიაფილმები მოჰქონდათ, ფსონით იყიდეს იაპონური მაგნიტოფონი. მთელი საღამო ცისფრად კიაფობდა საძინებლის ფანჯარა, ისმოდა მუსიკა, ნადირთა ღმუილი. ბავშვს აღარ ეშინოდა აბაზანის. თუ შურიკ-სმიტი მთლად იდიოტი არ იყო, რამდენიმე თვის შემდეგ უკვე უნდა გამოემჟღავნებინა იდეალური ადამიანის პირველი ნიშნები.

მაგრამ ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ერთხელ, შუადღისას, სახლში ნუკლიევი შემოიჭრა. იგი მთლად გაფითრებულიყო.

ოლეგ ბორისოვიჩმა საძინებლის კარზე დააკაკუნა (რამდენს არ ცდილობდნენ კრასინები მოესმინათ ეს კაკუნი, მაგრამ უშედეგოდ, იგი მეტად ჩუმი და რთული იყო) და მომავალი იდეალური ადამიანის ოთახში გაუჩინარდა. რაზე ილაპარაკეს იქ მეცნიერებმა — გაუგებარი დარჩა, მაგრამ იქიდან ორივენი მოღუშულები გამოვიდნენ და კრინტი არ დაუძრავთ.

შემდეგ მოირბინა სენეჩკამ ლუდით სავსე პორტფელით. სამეული საძინებელში ჩაიკეტა და აგზნებულები დიდხანს ლაპარაკობდნენ ინგლისურად. ყველაზე ხშირად ისმოდა სიტყვა „No!“[1] განსაკუთრებით ხმამაღლა ყვიროდა „No!“-ს ოლეგ ბორისოვიჩი.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ირონჩკამ ყურმილი აიღო.

— სთხოვეთ, თუ შეიძლება, გენადი ონუფრიევიჩს, — გაისმა მბრძანებლური ხმა.

— ვინ კითხულობს?

---

[1] არა! (ინგლ.).

— ინსტიტუტიდან ვართ.

კრასინმა ყურმილი აიღო და დიდხანს მდუმარედ უსმენდა. შემდეგ თქვა:

— ეს გამორიცხულია. არა... ამას მე არასოდეს ჩავიდენ. რაც გინდათ, ის გააკეთეთ... თქვენი ნებაა. არა... ჩვენ არაფერი გვაქვს სალაპარაკო... დიახ, მე ერთი წუთითაც არ შემიძლია თავის დანებება... არა. არაფერი გამოგივათ... მხოლოდ სცადეთ... თქვენი საქმე არ არის — ვიცხოვრებ როგორმე... ნახვამდის...

გენადი ონუფრიევიჩმა ყურმილი დადო და ყველას — ამ დროს ტელეფონთან მთელმა ოჯახმა და კრასინის თანამებრძოლებმა მოიყარეს თავი — არაფრისმთქმელი თვალებით შეხედა.

— ის იყო? — იკითხა ნუკლიევმა.

— ის იყო...

— მერე რაო?

— იგივე გაიმეორა...

— რა არაშზადაა!

კრასინი გაჩუმდა. მხოლოდ ყვრიმალები შეეფაკლა.

— მერე რა გადაწყვიტე?

— არავითარ შემთხვევაში.

— ყოჩაღ. თუ ფულის მხრივ გაგიჭირდება — დაგეხმარებით. ის ვერ გაგვტეხავს.

— მე შემიძლია ნახევარი ხელფასი გაძლიო, — თქვა სენეჩკამ. — მე მინიმალური მაკმაყოფილებს. ძველმანები ახლა მოდაშია — იაფი ღირს, რაც ცუდია, მით უკეთესია; გოგოები კონიაკს პორტვეინს ამჯობინებენ...

— ჩვენ ყოველდღე მოვალთ სამუშაოს შემდეგ, — თქვა ნუკლიევმა. — უკიდურეს შემთხვევაში, მანქანას გავყიდი.

კრასინმა ხელი ჩამოართვა თანამებრძოლებს.

— ვმადლობთ, მეგობრებო, მე არაფერი არ მინდა.

— არა, არა! იდეა საერთოა — სიძნელეებიც საერთო უნდა იყოს, — თქვა ნუკლიევმა. — ჩვენ რა მეგობრები ვიქნებით, თუ გაჭირვებაში მიგატოვებთ!

— ნო პასარან! — დაიყვირა სენეჩკამ და მუშტი ზეციოთ ასწია.

გენადი ონუფრიევიჩს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— მე არასოდეს დავივიწყებ... რასაკვირველია, ცდა ძველებურად კოლექტიური რჩება...

— შენი საქმეა, — თავმდაბლად დახარა თვალები ნუკლიევმა. — ჩვენ ახლა ძალით მოტმასნებულები ვართ.

— საერთოა. არც ისე დიდი დრო დარჩა. ექვსი წელი და ცხრა თვე.

— სისულელეა. — თქვა ნუკლიევმა.

— მე შემიძლია მთელი ხელფასი მოგცეთ, — განაცხადა სენეჩკამ. — სულაც არა ვარ დიდი მოთხოვნილების. ლუდსა და ტარანზე, რამდენ ხანსაც გინდა, შემიძლია ვიარსებო. გოგოები... ისინი თვითონაც ბლომად შოულობენ.

— მეგობრებო! — წამოიძახა გენადი ონუფრიევიჩმა. — ამას არასოდეს დავივიწყებ! მე მზად ვარ პირველობის პალმა მივცე... მე შემიძლია სადმე მოშორებითაც კი დავდგე...

— რა გაქვს მხედველობაში? — ჰკითხა ნუკლიევმა.

— ძეგლი.

— შენ ერთგული, ჭეშმარიტი მეგობარი ხარ, — წამოიძახა ოლეგ ბორისოვიჩმა, — როდესაც ყველაფერი დამთავრდება, მე შენს შესახებ წიგნს დავწერ. მოგონებებს. შენი შვილი, რასაკვირველია, იდეალური ადამიანი იქნება, მაგრამ შენ უკვე ხარ იდეალური ადამიანი!

— ეს კი მეტისმეტია, — წაიბუტბუტა გულაჩუყებულმა გენადი ონუფრიევიჩმა.

— დიახ! შენ უდიდესი ადამიანი ხარ! შენ ჟან ჟაკ რუსო არა ხარ! ვინ გიწოდა ჟან ჟაკ რუსო? შენ გალილეო გალილეი ხარ! აი, შენ ვინა ხარ!

— მეგობრებო...

— კვირაობით ვაგონების გადმოტვირთვაზე ვიმუშავებ, — თქვა სენეჩკამ. — გოგოები კი... წყალსაც წაუღია!... ცოტა ხანს როგორმე უგოგოებოდაც გავძლებ...

— გამავრდი! გახსოვდეს, რომ მარტო არა ხარ! — ნუკლიევი გადაეხვია მეგობარს.—აბა, გავიქეცით, აქტივი გვაქვს... აი, კიდევ რა... ის ფანატიკოსი იმუქრებოდა, თუ არ დათანხმდები, უკიდურეს ზომებს მიმართავს...

— რა აქვს მხედველობაში?

— არ ვიცი, მაგრამ მისგან ყველაფერს უნდა ელოდე.

— მე არავისი არ მეშინია, — ამაყად თქვა გენადი ონუფრიევიჩმა.

— ეს ყველაფერი ასეა... მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. უმჯობესია, შინ არ შემოუშვათ. ალბათ პირადად გამოგეცხადებათ. — ნუკლიევი მიუბრუნდა ჯალაბობას. ისინიც პირდაღებულები, შიშითა და გაოცებით ისმენდნენ მეცნიერების გაუგებარ საუბარს. — თუ აქ მოვა პატარა ტანის, შექანებული კაცი... ფედორ ივანოვიჩ კურდიუკოვი... კინწისკვრით გააგდეთ. გესმით?

— იმან დარეკა ახლა? — ჰკითხა ირიჩკამ.

— იმან.

— რა მოხდა?

ნუკლიევმა ხელი ჩაიქნია.

— ყველაფერი რიგზეა, ნუ ღელავთ. გახსოვდეთ, რომ ჩვენ ყოველთვის თქვენთან ვართ. აბა, ნახვამდის! თუ ფული დაგჭირდებათ... ან ფიზიკური დახმარება...

ირიჩკა გაფითრდა.

— ნუთუ... ნუთუ... რაღაც სერიოზული საფრთხე გველის? გთხოვთ...

— მეუღლე მოგიყვებათ.

კრასინის მეუღლემ სტუმრები გააცილა. კიბის ბაქანზე მან ოლეგ ბორისოვიჩი შეაჩერა.

— ნუკლიევ, — თქვა მან. — თქვენ ერთადერთი გონიერი კაცი მგონიხართ. გულახდილად მითხარით, რა მოხდა? მხოლოდ გულახდილად...

— თქვენი ქმარი...

— ჩემი ქმარი გარკვევით არაფერს მეტყვის. თქვენ ხომ იცნობთ მას... საძინებელში ჩაიკეტება და გაჩუმდება... გემუდარებით...

ოლეგ ბორისოვიჩმა შეხედა ირიჩკას, ოდნავ შეყოყმანდა და შემდეგ მიუგო:

— სიმართლე რომ ითქვას, აქ დასამალი არაფერია. ადრე თუ გვიან თქვენ მაინც გაიგებდით. საქმე ისაა, რომ... რომ... თქვენი ქმარი... გაათავისუფლეს...

— გაათავისუფლეს? — ვერ გაიგო ირიჩკამ. — საიდან?

— ინსტიტუტიდან, — მხრები აიჩეჩა ოლეგ ბორისოვიჩმა.

— რაზე? — გაოცდა კრასინის მეუღლე.

— ნუ... მკაცრად რომ ვთქვათ, კი არ გაათავისუფლეს, თვითონ წამოვიდა, მავრამ ეს ერთი და იგივეა. მას შესთავაზეს თემა შეეცვალა, ესე იგი შეეწყვიტა ექსპერიმენტი და რაიმე სხვა აეღო. ჯერ კი ევლო სამსახურში და წაეკითხა ლექციები.

— მერე ვინ არის ის?

— დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. სწორედ ის, ახლახან რომ ელაპარაკეთ. თქვენმა ქმარმა, ბუნებრივია, უარი განაცხადა თემის შეცვლაზე.

— ეს ისე მოულოდნელია, — თქვა ირეჩკამ.

— ჩვენთვისაც. ვერაგული საქციელია. ბერიკაცმა გვაცალა, სანამ ყველანი ექსპერიმენტში ჩავებმებოდით, მერე კი მოულოდნელი დარტყმა მოგვაყენა.

— მერე რატომ?

ოლეგ ბორისოვიჩმა მხრები აიჩეჩა.

— ყველაფერი გასაგებია. მას თანაავტორობა სურს.

— მერე გაიხადეთ თანაავტორად! — აღმოხდა ირეჩკას.

კათედრის გამგემ ჩაიცინა.

— იგი მოითხოვს მთელი ექსპერიმენტის პროგრამის გადახედვას. სურს პროგრამაში შეიტანოს ლურსმული დამწერლობის სწავლება, თანაც როგორც წამყვანი საგნისა.

ლურსმული დამწერლობა! ო, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ირეჩკამ. — ესღა გვაკლდა! უმჯობესია ისევ ინგლისური! ეს ახლა მოდურიც კია.

— სწორედაც. შემდეგ, მას უნდა, რომ ხელოვნების შესწავლის დროს დავაწვეთ სკვითებისა და ძველი ეგვიპტის კულტურას. ერთი სიტყვით, ეს მეტად რთულია. თქვენ სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით, — ნუკლიევმა მაგრად ჩამოართვა ხელი ახალგაზრდა დედას. — იდეალურ ბავშვს, სულ ერთია, მაინც აღვზრდით. ლურსმულის გარეშეც! გარწმუნებთ — ადამიანი შეიძლება იყოს იდეალური და არ იცოდეს ლურსმული დამწერლობა.

ერთ საღამოს კრასინების ოჯახში ზარმა დარეკა.

— ნეტა ვინ უნდა იყოს? — გაუკვირდა ვარვარა იგნატიევნას.

— ნუთუ დეპეშაა?

კართან ჩია კაცი იდგა.

— გამარჯობათ, — თქვა ქონდრისკაცმა და შემოვიდა, თან წინ ჩემოდანს მიათრევდა, რომელშიც რაღაც ჩხარუნებდა. ქონდრისკაცს ტურტლიანი პალტო ეცვა, აქა-იქ შემორჩენილი ყარაკულის საყელოთი, თავზე წინაფრამოგლეჯილი კარტუზი ეხურა.

— მოითმინეთ, ახალგაზრდავ, ვინ გინდათ?

— სკმ-დან ვარ, — თქვა ქონდრისკაცმა. — მილების ინსპექტორი.

— რა მილების? — პირქუშად ჰკითხა ვარვარა იგნატიევნამ.

— საერთოდ...

— გაზის ხომ არა? ახლახან შეგვიმოწმეს.

— ძირითადად წყლის მილების. ბუყბუყი ისმის?

— ისმის, — ჩაიბურტყუნა ვარვარა იგნატიევნამ.

— ცუდია, — თქვა სკმ-ს წარმომადგენელმა და მოიღუშა.

— მაგრამ ყოველთვის არა, — სწრაფად გამოასწორა მდგომარეობა ვარვარა იგნატიევნამ, — იბუყბუყებს, იბუყბუყებს და გაჩერდება.

— მით უარესი, — თქვა ქონდრისკაცმა. პალტო გაიხადა, საყელოზე ყარაკული აქა-იქ რომ შემორჩენოდა, და საკიდზე ჩამოკიდა. იქვე მოათავსა დახეული კარტუზიც.

სკმ-დან მოსული კაცი მაშინათვე არ მოეწონა ვარვარა იგნატიევნას. ჯერ ერთი, საერთოდ რაღაც ნერვული ჩანდა, მეორეც, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, მესამეც, წყალსადენის ოსტატს ნამდვილი პროფესორის წვერი ჰქონდა. სწორედ ამ წვერმა აღუძრა პირველი ეჭვი ვარვარა იგნატიევნას. მაგრამ სკმ-ს მუშაკმა ისე მარჯვედ გახსნა ჩემოდანი, საქმის ისეთი ცოდნით ააღრიალა მოსახსნელი გასაღები, რომ მოხუც ქალს შერცხვა თავისი ეჭვებისა და ჯუჯა ოსტატი სამზარეულოში წაიყვანა. სამზარეულოში ხელოსანმა მოსახსნელი გასაღები რატომღაც ისევ ჩემოდანში ჩადო, შემდეგ საქმიანად საბაზანოსკენ გაეშურა, გულმოდგინედ დაიბანა ხელები საპნით, უტიფრად გაიწმინდა ახალ ხაოიან პირსახოცზე და საძინებლისაკენ გაემართა.

— ეი! — დააკაკუნა მან კარზე. — გენადი ონუფრიევიჩ გაიღეთ. ეს მე ვარ, ფედორ ივანოვიჩი.

— რომელი ფედორ ივანოვიჩი? — უხეშად იკითხა ოთახიდან ახალგაზრდა მეცნიერმა.

— მე ვარ, სხვა ვინ უნდა იყოს?

ოთახში ალიაქოთი ატყდა, სკამი წაიქცა. ანაზდად ვარვარა იგნატიევნა გონს მოეგო. ეს ხომ ის არის, ვისზედაც ნუკლიევი აფრთხილებდათ. არამზადა, წყალსადენის ოსტატად გამოეცხადათ!

მოხუც ქალს ელდა ეცა. გენადი ონუფრიევიჩთან ახლა სწორედ ოლეგ ბორისოვიჩი იყო.

— ახლავე გავაღებ.

საძინებელში კვლავ ვიღაცამ სწრაფად გაირბინა, ისევ წაიქცა სკამი.

— მისმინეთ, — თქვა ვარვარა იგნატიევნამ. — ჩვენი მილები ყველა წესრიგშია. ასე გადაეცით თქვენს სკმ-ში.

ვითომდა წყალსადენის ოსტატმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს. იგი მოუთმენლად ეჯაჯგურებოდა კარის სახელურს.

— მე ხომ გითხარით, — ვარვარა იგნატიევნამ თავხედს სახელოში სტაცა ხელი. — ჩვენთან ყველაფერი მოწესრიგებულია. ნახვამდის!

— მომშორდი, ბებრუხანა! — უტიფრად უპასუხა „წყალსადენის ოსტატმა“ და მოუთმენლად დაარტყა მუშტი კარს.

— სტეპანიჩ! სტეპანიჩ! — დაიყვირა ვარვარა იგნატიევნამ.

— რა მოხდა? მოვდივარ! — გაისმა ნამძინარევი, შეშფოთებული ხმა. ონუფრი სტეპანოვიჩი, დიდი ხანია, ჭიქა „პორტვეინ-72“ გადაკვრის შემდეგ ისვენებდა.

ვარვარა იგნატიევნა ქმრის მოსვლას აღარ დაელოდა, საკუთარი ძალებით ამოიიღლიავა ქონდრისკაცი და შესასველელი კარისაკენ წაათრია.

„წყალსადენის ოსტატი“, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაეჭიდა კარის სახელურს. მიუხედავად სუსტი ორგანიზმისა, საოცრად მჭიდე თითები აღმოაჩნდა.

მაგრამ ძალები არათანაბარი გამოდგა, როდესაც დასახმარებლად ონუფრი სტეპანოვიჩმა მოირბინა. უკითხავად იგი უხმოდ ეცა ნახევარშეფს. მეცნიერი მაშინვე მოგლიჯეს მაშველ სახელურს და, გლეხკაცის ღონიერი ხელებით გაჭაჩული, ნელა

დაძრეს კარისაკენ. ამ დროს დირექტორის მოადგილე ნამდვილი წყალსადენის ოსტატივით იგინებოდა.

ამ კრიტიკულ მომენტში საძინებლის კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა გენადი ონუფრიევიჩი.

— გთხოვთ, ფედორ ივანოვიჩ, შემობრძანდით, — თქვა ახალგაზრდა მეცნიერმა თავაზიანად. — მომიტევეთ, მაშინვე რომ ვერ გაგიღეთ, უკვე მეძინა. ხელი გაუშვით ფედორ ივანოვიჩს!

ღონიერი ხელები პარალიზებული გველებივით მოეშვნენ. შეფმა თავი გააქნია და ამაყად გაჰყვა საძინებელში. კარი დაიხურა, კლიტემ გაიჩხაკუნა. ვარვარა იგნატიევნა კარის ჭუჭრუტანას აეკრა.

— ოლეგ ბორისოვიჩი ოთახში არ არის! — განცვიფრებულმა წამოიძახა მან.

— ნეტა რა იქნა? — გაოცდა ონუფრი სტეპანოვიჩი, განზე გასწია მეუღლე და თვითონაც ჭუჭრუტანაში შეიხედა.

ნათურით განათებულ მაგიდასთან, რომელზედაც დახვავებული იყო ანგარიშები და გრაფიკები, გენადი ონუფრიევიჩი და ნახევარშეფი იდგნენ. ნუკლიევი მართლაც არ იყო ოთახში. ნუთუ საწოლქვეშ შეძვრა?

საუბრის დასაწყისი მოხუცებს გამოეპარათ.

— თუ გინდათ, თქვენს წინაშე დავიჩოქებ, — მოესმათ გაოცებულ მშობლებს დირექტორის მოადგილის სიტყვები.

— მე არ მჭირდება თქვენი მუხლები, ფედორ ივანოვიჩ. თქვენ სანქცია მიეცით ექსპერიმენტს, ახლა კი აუქმებთ. ეს კარგი არ არის, ფედორ ივანოვიჩ, უპატიოსნება და უსინდისობაც კია, — უპასუხა გენადი ონუფრიევიჩმა.

ნახევარშეფი სკამზე ჩამოჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

— გამიგონეთ, კრასინ. ჩემთვის ეს უკანასკნელი შანსია. თუ ვინმეს არ გავუღვივებ სიყვარულს სოფელ სინიუშინოს გათხრებისადმი, მაშინ მთელ ჩემს ცხოვრებას ფუჭად ჩაუვლია.

— თქვენ ვაჟიშვილი გყავთ, ჰოდა, იმას გაუღვივეთ.

— ვაჟიშვილი... თქვენ ხომ იცნობთ თანამედროვე ახალგაზრდობას... ბავშვობაში ხელიდან გავუშვი მომენტი, ახლა კი... მას, ოღონდ ეს დღე გადააგოროს და მორჩა, მეტი არაფერი უნდა. ზოგჯერ უქმე დღეებში მეგობრებთან ერთად მეხმარება

ხოლმე გათხრებში. რაღა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ. დავუდგავ ყუთით არაყს... როგორც ძველად ვაჭრები... თქვენ უნდა მოუსმინოთ, როგორ დასცინიან გათხრებსა და იმ დოქს, რომელიც ჩემდა საბედნიეროდ ვიპოვე. მათ არც ვადანაშაულებ. ეს მათი უბედურებაა და არა დანაშაული. ჩვენ ვერ შევძელით მათთვის ბავშვობაშიც ჩაგვენერგა წარსულის სიყვარული. ახლა კი უკვე გვიანაა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ვერც მოწაფეები გადმოვიბირე. ყველას ინჟინრობა, ჟურნალისტობა, კოსმონავტობა უნდა, ხოლო ძვლები და თავის ქალები აღარავის აინტერესებს... მერე ლურსმული დამწერლობა ხომ... ეჰ, რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი! იცით, მსოფლიოში რამდენმა ადამიანმა იცის ლურსმული დამწერლობა? მხოლოდ ერთეულებმა... ისეთები კი, აკვნიდანვე რომ იცოდნენ, არ არიან... გესმით, კრასინ, არ არიან! თქვენი შვილი პირველი იქნება! პირველი მას შემდეგ, რაც გადაშენდნენ უძველესი ეგვიპტელები! გადაწყვიტეთ, კრასინ!

— არა, — თქვა გენადი ონუფრიევიჩმა.

ფედორ ივანოვიჩი სკამიდან წამოხტა და ოთახში სირბილი დაიწყო.

— მე თქვენგან ბევრს არ მოვითხოვ, კრასინ. სამი წელი უფლება მომეცით ვამეცადინო ვაკუუმის აბაზანაში. სამი წელი და მერე, რაც გინდათ, ის გააკეთეთ. მხოლოდ სამი წელი, კრასინ, და მას ხუთი თითივით ეცოდინება ლურსმული! ინგლისური კი არსად გაგექცევათ. რას წარმოადგენს ჩვენს დროში ინგლისური? ახლა ყველგან იზუთხავენ მას: სკმ-ს წრეებში, საბავშვო ბაღებში, ლოგინს მიჯაჭვული ავადმყოფებიც კი... ისე დაგვატყდა თავს, როგორც გრიპი...

— ჩემი მიზანი ინგლისური არ არის.

— ვიცი, ვიცი, იდეალური ადამიანია! შესანიშნავი მიზანია, კრასინ. მაგრამ, მითხარი, განა ცუდი იქნება, თუ იდეალურ ადამიანს ლურსმული დამწერლობა ეცოდინება და წარსული ეყვარება? ცუდია? მითხარი? დუმხარ? შენ იცი, რომ ლურსმული იდეალური ადამიანის კიდევ ერთი წახნაგია.

— არა, — თქვა კრასინმა. — თქვენ შეგიძლიათ საუკუნეთა სიღრმეში გაიყოლიოთ იგი.

ფედორ ივანოვიჩმა თვალები დააკვესა, მაგრამ მაშინვე

დახარა, რათა თავი არ გაეცა. ცხადია, გენადი ონუფრიევიჩმა მიზანში მოარტყა.

— არა, არა, იგი თქვენთან დარჩება აწმყოში. მაგრამ მე დამშვიდებული სინდისით მოვკვდები — ჩემ შემდეგ ვიღაც გააგრძელებს გათხრებს. ეს ხომ ყველაზე მთავარია, კრასინ, რომ ვიღაც გააგრძელებს შენს საქმეს. ჩვენ ამისათვის ვცოცხლობთ.

— აი, მეც მინდა დავტოვო ჩემ შემდეგ იდეალური ადამიანი ყოველგვარი ახირების გარეშე...

— მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ ლურსმული დამწერლობა ახირებაა.

— ერთგვარად...

— იცი რა! — ნახევარშეფი უფრო სწრაფად მოჰყვა ოთახში სირბილს, — ეს შენი საბოლოო სიტყვაა?

— დიახ.

— ხვალვე გავცემ ბრძანებას თქვენი თემის დახურვის შესახებ. თუ სამუშაოზე არ გამოხვალ, ავტომატურად გაირიცხები.

— რა ვუყოთ...

— რითი იცხოვრებ?

— ეს ჩემი საქმეა.

ფედორ ივანოვიჩი კართან მივიდა და სახელურს ხელი მოკიდა. მოხუცები მოწყდნენ კარის ჭუჭრუტანას.

— ძალიან კარგი, — თქვა ნახევარშეფმა მუქარით. — მე, სულ ერთია, ჩემსას მაინც გავიტან. არაფერს ვკარგავ — მალე პენსიაზე გავალ, ამიტომ წინასწარ გაფრთხილებ, კრასინ, რომ არაფრის წინაშე არ დავიხევ, რათა მასალა ხელთ ვიგდო.

— რას გულისხმობთ სიტყვა „მასალაში“?

— შენს შვილს.

— აი, თურმე რა... მაშასადამე, მოიპარავთ?

— უკანასკნელად გეკითხებით. თანახმა ხართ ლურსმულზე?

— არა.

ნახევარშეფი ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან, რომ ვარვარა იგნატიევნამ ძლივს მოასწრო სამზარეულოში გაქცევა. ფედორ ივანოვიჩმა ჩაიცვა თავისი პალტო, საკიდიდან წინაფრამოგლეჯილი კარტუზი ჩამოაგდო და ზიზღით ამოჰკრა მარჯვენა ფეხი. კარტუზი ზემოთ ავარდა და უკუღმა დაეხურა ონუფრი სტეპანოვიჩს, რომელსაც ვერ მოესწრო დამალვა. ონუფრი

სტეპანოვიჩი ოცდაათიანი წლების ფილმების ძველ ბიჭს დაემგვანა.

ფედორ ივანოვიჩმა სარკასტულად ჩაიცინა და კარებში გაუჩინარდა.

ის იყო, კურდიუკოვის უკან კარი მიიხურა, რომ საძინებლიდან ბარბაცით გამოვიდა ოლეგ ბორისოვიჩი. სახე ჩამომჭკნარი ჰქონდა, გაფითრებული, თვალების ქვეშ ლურჯი პარკები გასჩენოდა.

— დამაძინეთ, — ამოიხრიალა მან. — სადმე ლოგინი გამიშალეთ და მომეცით ცოტა ხორცი, ჭიქა ჩაიც.

ვიდრე ნუკლიევი უხალისოდ, რაღაცაზე დაფიქრებული, ხორცს ღეჭავდა და ჩაის სვამდა, გამოჩნდა გენადი ონუფრიევიჩი. კრასინი, პირიქით, მხიარულად და ხალისიანად გამოიყურებოდა.

— მოხერხებულად მოვიშორე თავიდან ეს ხოჭო, — მან კმაყოფილებით მოისრისა ხელები. — დახეთ, რა მოინდომა! ლურსმულით უნდა ჩვილს ტვინი გამოუჭედოს. გვაშინებს კიდეც! აქეთ არ შევაშინოთ! არა, ოლეგ ბორისოვიჩ?

— ჰო, — უხალისოდ უპასუხა ნუკლიევმა, თან მუქუქს ღეჭავდა.

— ოღონდ პირველი შედეგები მივიღოთ, არა, ოლეგ ბორისოვიჩ?

— ჰო...

— მართლა, ეგ სადღა დამალე? — ჰკითხა შვილს ვარვარა იგნატიევნამ.

— ხა-ხა! ვერასოდეს მიხვდები, — გადაიხარხარა გენადი ონუფრიევიჩმა. — ტანსაცმლის კარადაში.

მოხუცებს ფერფური წაუვიდათ. ტანსაცმლის კარადაში საღამოს ხომ ირეჩკა შეძვრა.

— ხომ არ გაიგუდე? — მიმართა გენადი ონუფრიევიჩმა კოლეგას.

— არა, — წაიბუტბუტა ოლეგ ბორისოვიჩმა, თან თავი არ აუწევია.

— დიდ ამბავში კი იყავი იქ. მეშინოდა, ამ ტიპს არ მოეხელთებინე.

— გამიჭირდა დგომა... ფეხები დამიბუქდა...

— დამჯდარიყავი.

— ვჯდებოდი...

— საერთოდ კი, რასაკვირველია, ძნელია ტანსაცმლის კარადაში ყურყუტი. როგორც კლასიკურ ანეკდოტში! ხა-ხა-ხა! ჩემი ცოლიცა აკლდა. იმას რომ დაენახე, საცობივით გამოვარდებოდი კათედრიდან. მაგრამ ყოჩაღ შენ, გაუძელი.

— ჰო...

— მართლა, იროჩკა სად არის? — კრასინი ძალიან გამოცოცხლებული ჩანდა, ეტყობოდა, ყოფილ უფროსთან საუბრის შედეგით კმაყოფილი იყო.

— საბაზანაში. (გლეხური საზრიანობა — ვარვარა იგნატიევნამ აბაზანაში წყალი გაუშვა). გეჭამა რამე, შვილო.

— დიდი სიამოვნებით, — დაეთანხმა გენადი ონუფრიევიჩი, რომელმაც იყნოსა მუჟუჟის სუნი. — მხოლოდ საძინებელში არ შეხვიდეთ, სმიტმა ახლახან ჩაიძინა.

— დაე, იძინოს, — სასწრაფოდ მიუგო ვარვარა იგნატიევნამ.

მეცნიერები მუჟუჟს დააცხრნენ, ვარვარა იგნატიევნა საძინებლისაკენ გაქანდა და კარადა გააღო.

— გამოდი. თავისუფალია. — უჩურჩულა მან.

დაჭმუჭნილხალათიანი, ფერმიხდილი, თმააჩეჩილი იროჩკა ბარბაცით გამოვიდა.

— ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა! მე თუ კიდევ დაეეთანხმო ამაზე...

— შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენა? — შეშფოთებულმა იკითხა ვარვარა იგნატიევნამ.

— რას ამბობთ... როდესაც კარადაში შემოძვრა და მე შემეჩეხა, გრძნობა დაკარგა. ისე შევშინდი... ვიფიქრე, მოკვდამეთქი... მიეყუდა კედელს, ხრიალებს, მერე ძირს დავარდა. კარგია, რომ ჯიბეში ვალიდოლი მქონდა...

— მერე?

— არაფერი... ჩემს ლოგინზე დავაწვინე, მე კი მთელი ღამე კუთხეში მუხლებზე დაჩოქილი ვიდექი. პულსს ვუსინჯავდი... კარგი ადამიანია, სხვათა შორის... ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ...

— როგორ მოახერხეთ ლაპარაკი?

— ყურში ეუჩურჩულებდით ერთმანეთს.

— წამოდი ჩემს ოთახში, — წაუჩურჩულა ვარვარა იგნატიევნამ. — — აქ საშიშია.

გზად ვარვარა იგნატიევნამ საბაზანოში ონკანი დაკეტა.

— გამოგიტყდებით, ადრე მძულდა, — თქვა ირონიკამ და საკარძელში ჩაეშვა. — საკუთარ თავში შეყვარებული ფანატიკოსი მეგონა. სინამდვილეში კი... იგი უბედური ადამიანია... თვითონ ირეცხავს წინდებს. წინდების გასარეცხად ჩაბარება ხომ სირცხვილია, ამიტომაც თავად ირეცხავს. წარმოგიდგენიათ — კათედრის გამგე წინდებს რეცხავს!

თავი მეხუთე.

რომელშიც მოთხრობილია, თუ რა საფრთხე იმალება ჰოლანდიური ტიტას მტვერში

შეუმჩნევლად მოიპარა გაზაფხული. მტრედები ფანჯრებიდან და აივნებიდან მოედნებსა და სკვერებში გადაბარგდნენ. გაზაფხულის მზით გამთბარ წყალსადენის მილებს ოხშივარი ასდიოდათ და გაბმით ზმუოდნენ. გაგულისებული მეეზოვეები ზამთრის განმავლობაში მარილისაგან გაქვავებულ ყინულს ამტვრევდნენ და სუფთა, ასე სანატრელი ასფალტის ნაპრებს აჩენდნენ, ხოლო გრძელ ლურჯ ხალათებში გამოწყობილი ადამიანები ბულვარებში ლატნებით არბევდნენ სულელი ჭილყვავების ბუდეებს, მოსეირნე მოქალაქეები რომ არ დაესვარათ და თავიანთი საგაზაფხულო გნიასით არ შეეწუხებინათ ისინი. მილიციელებიც კი თითქოს გადასხვაფერებულიყვნენ — ისე აღარ ავიწროებდნენ „ჟიგულების“ საბრალო მფლობელებს, საპესთან მჯდომნი შუშის თვალებით რომ იყურებოდნენ, და თუ მაინც კბილს დაასობდნენ, ჯერ თავაზიანად სალამს აძლევდნენ.

კრასინების ოჯახში ცხოვრება ასე თუ ისე მშვიდად მიმდინარეობდა. ექსპერიმენტი გრძელდებოდა, მაგრამ შესამჩნევი წარმატებები ჯერჯერობით არ შეინიშნებოდა. არც კონტრცდა იძლეოდა რაიმე გარკვეულ შედეგს. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთი და ვერც მეორე მხარე ვერ ეღირსა შურიკ-სმიტისაგან რაიმე საგულისხმო სიტყვის გაგონებას, თუმცა, რასაკვირველია, ახალშობილი ბავშვის ალაპარაკება ჯერ კიდევ ნაადრევი იყო.

გენადი ონუფრიევიჩი ინსტიტუტიდან გარიცხეს. ცხოვრობდნენ ძირითადად დანაზოგითა და ონუფრი სტეპანოვიჩის მოულოდნელი შემოსავლით. საქმე ისაა, რომ მოხუცი უსაქმურობის გამო და თანაც, კვალიფიკაცია რომ არ დაეკარგა, დროდადრო ტყეში დადიოდა, ხეებს ჭრიდა და ცხენის უღლებს ამზადებდა. შემოსასვლელსა და აივანზე ტევა აღარ იყო და ვარვარა იგნატიევნა პერიოდულად აიძულებდა ონუფრი სტეპანოვიჩს უღლები სანაგვეში გადაეყარა.

ერთხელ, როდესაც მოხუცი კისერზე უღელგადაკიდებული სანაგვისაკენ მიჩანჩალებდა, იგი შეაჩერა ჯინსის კოსტიუმში გამოწყობილმა, ენერგიული სახის მამაკაცმა, რომელსაც ინტელიგენტური სათვალე ეკეთა.

— რამდენად ყიდი? — ჰკითხა მან.

— რას? — ვერ გაუგო ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— თავს ნე ისულელებ, — შუბლი შეიკრა სათვალიანმა.

— ათად, — გაიხუმრა მოხუცმა.

— ყველაში ერთად მეოთხედს მოგცემ. თანახმა ხარ?

— ყაბულსა ვარ, — წაიბუტბუტა გაოგნებულმა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

ინტელიგენტმა ფული გადაიხადა, უღლები კისერზე გადაიკიდა და სწრაფად წავიდა.

ამ შემთხვევამ მოხუცი განაცვიფრა. ნუთუ არის კიდევ ვინმე. ვისაც მისი უღლები სჭირდება? ონუფრი სტეპანოვიჩი რამდენჯერმე დაუდარაჯდა იმ მყიდველს სანაგვესთან, მაგრამ სათვალიანი აღარ გამოჩენილა. მაშინ მოხუცმა საცდელად ხუთი უღელი სხვადასხვაფრად შეღება, დაკიდა ზედ ეჟვნები (თვითნაკეთი, თუნუქისა) და ცენტრალურ პროსპექტზე, მაღაზია „სეეენირებისაკენ“ გაემართა. უღლები შეუეაჭრებლად ათ წუთში დაიტაცეს. მყიდველები მეტად კმაყოფილები მიდიოდნენ:

— რა მშვენიერია...

— დივანთან დავკიდოთ — ძალიან ორიგინალურია.

— მე კი აგარაკზე, ჭიშკართან მიეაჭედებ.

— ნათესავი მყავს ახალ ზელანდიაში...

ერთი უღელი ჭაღარა აწოწილმა უცხოელმა იყიდა და ონუფრი სტეპანოვიჩს მიაჩეჩა ფული, რომელზეც უცნობი

პორტრეტი იყო გამოსახული. მოხუცმა ანგარიშმიუცემლად ჩაიდო ფული ჯიბეში, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს დოლარიანები იყო, და თუმცა სიცოცხლეში დოლარები არასოდეს ენახა. შეეშინდა. გაყიდა თუ არა თავისი საქონელი, ფული ბანკს ჩააბარა. მოხუცს სამაგიეროდ ოცდახუთიანი მისცეს.

მას შემდეგ ონუფრი სტეპანოვიჩმა საქმიანობა უფრო ფართოდ გაშალა. ამას კი ნაკლები შემოსავალი როდი მოჰქონდა, ვიდრე შვილის საკანდიდატო ხარისხს.

თავდაპირველად ნუკლიევსა და სენეჩკას უნდოდათ ირონჩკასათვის ფული მიეცათ, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა, მაშინ ისინი სხვადასხვა დღესასწაულის, იუბილეს, დაბადების დღისა და ა. შ. საბაბით ყიდულობდნენ ხილს, შამპანურს, ტორტებს. შემდეგ „იდეალური ადამიანისათვის“ გაღებული „წილის“ მოცულობა თანდათან შემცირდა და საბოლოოდ კვირაობით მოტანილ ლუდით სავსე პორტფელზე დავიდა. ისე რომ მატერიალურად ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიდიოდა.

მაგრამ ნათქვამია, ერთ უბედურებას მეორე მოსდევსო. როგორც კი გენადი ონუფრიევიჩი ინსტიტუტიდან განთავისუფლების შემდეგ წელში გაიმართა, მან ახალი დარტყმა მიიღო სრულიად მოულოდნელი მხრიდან. შორეული, პატარა ჰოლანდიის მხრიდან.

ეს მოხდა 12 აპრილს. იმ დღეს თითქოს არაფერი იუწყებოდა უბედურების მოახლოებას. დილა ჩვეულებრივად დაიწყო. ვერა და „ენაჭარტალა კატკა“ სკოლაში გაიქცნენ, ვარვარა იგნატიევნა გასტრონომში წავიდა. ონუფრი სტეპანოვიჩი „სუვენირებისაკენ“ გაემგზავრა უღლების გასაყიდად. დოლარებს უკვე აღარ იღებდა — ბანკში ეჭვით დაუწყეს ყურება. თუ უცხოელი მაინც ძალით მიაჩეჩებდა ვალუტას, მოხუცი ჭმუჭნიდა და უახლოეს ურნაში ყრიდა.

ირონჩკა კი, რომელიც საყვარელ შვილს დააცილეს და არ იცოდა, რა გაეკეთებინა, თავისი ჩვეულებრივი მარშრუტით სასეირნოდ გაემართა: სახლი — კინოთეატრი „ზარია“ — კაფე-სანაყინე — საიუველირო მაღაზია — ატელიე „ბეწვეული“ — „საშოკოლადე“ — სახლი.

ვიწრო, ჩახუთული კინოთეატრის ფოიე ყოველთვის სავსე იყო მამაკაცებით, სამაგიეროდ სრულიად ცარიელ დარბაზში

(„ზარიაში“ დილაობით კულტურული გართობისათვის კი არ მოდიან, არამედ ლუდის დასალევად), იგი უყურებდა ყველა ფილმს, რასაც კი აჩვენებდნენ, თუნდაც მთელი კვირის განმავლობაში ფილმი არ შეეცვალათ. ზოგჯერ ირორჩკა უბრალოდ თვლემდა თვალდახუჭული. სეანსის შემდეგ მიდიოდა უახლოეს პატარა, სუფთა, ტიულის ფარდებჩამოფარებულ კაფე-სანაყინეში, რომელიც დილაობით ასევე სრულიად ცარიელი იყო. ერთ ულუფა პლომბირს შეჭამდა და საიუველირო მაღაზიაში მიდიოდა 40 ათასად ღირებული ბრილიანტის სანახავად. საიუველირო მაღაზიაში ტროლეიბუსით უნდა წასულიყო, რომელიც ორჯერ უნდა გამოეცვალა. ამ მარშრუტზე ყოველთვის ბევრი ხალხი იყო, მაგრამ ირორჩკა მაინც მიდიოდა.

ბრილიანტთან, როგორც ყოველთვის, ხალხს მოეყარა თავი. ისინი მჭიდროდ იდგნენ, მდუმარედ მხრებმიბჯენილნი, თითქოს მორიდებულნი, დაბეჩავებულნი, შეიძლება ითქვას, დამცირებულნიც კი. რა საოცრად არ შეესაბამებოდა ერთმანეთს ორი სიდიდე: ხავერდის შავ ბალიშზე დადებული პატარა, ბრჭყვიალა ქვა და გვერდით ციფრი 40 ათასი მანეთი.

— ჰო-ო... — იტყოდა ზოგჯერ რომელიმე, უფრო ხშირად მამაკაცი, და ხალხის ნაწილი ამის შემდეგ იშლებოდა, მაგრამ განთავისუფლებულ ადგილს მაშინვე სხვები იკავებდნენ.

ირორჩკა გზას გაიკლევდა დახლისაკენ, გაურკვეველი შიშით დახედავდა ბრილიანტს და შემდეგ ფეხით გაემართებოდა ატელიესაკენ „ბეწვეული“. იგი მოკრძალებით შევიდოდა უზარმაზარ გეჯებში ჩადგმული ფიკუსებით დამშვენებულ, ერთიანად მწვანეხავერდაკრულ მდიდრულ შენობაში, სადღაც კუთხეში, თავისუფალ სავარძელში ჯდებოდა და უყურებდა, ქალები როგორ უკვეთავდნენ, იზომავდნენ, მიჰქონდათ ქურქები. ბეწვი სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ ძირითადად ძვირფასი. ერთი ქურქი ვიღაცას არ მოერგო და იყიდებოდა. ქურქი მიმღები ქალის ზურგსუკან სპეციალურ საკიდზე ეკიდა, მსუბუქი, ჰაეროვანი, ელექტრონის ნათურის შუქზე ათასფრად აელვარებული. მაგრამ ქურქი არავის აინტერესებდა, არც კი ეკითხებოდნენ მიმღებს, რა ბეწვია და რა ღირს.

ირორჩკას ძალიან უნდოდა გაეგო, რა ბეწვი იყო და რა ღირდა, მაგრამ მიმღები ქალის ერიდებოდა. ქედმაღლური გარეგ-

ნობის ქალს თითები ძვირფასი პეჭდებით აეჩონჩხა, ხოლო მარჯვენა ხელის მაჯაზე ფართო, მასიური ოქროს სამაჯური ეკეთა.

ზოგჯერ მიმღები ირეჩკასაკენ, როგორც მას ეჩვენებოდა, ეჭვით გამოიხედავდა ხოლმე. ირეჩკა ერთიანად მოიკუნტებოდა, ცდილობდა სავარძელში უფრო ღრმად ჩამძვრალიყო, რათა ნაკლებშესამჩნევი ყოფილიყო მისი ნახმარი, ნაცრისფერი წაულას ბეწვის გაქუცულაყელოიანი პალტო.

ზოგიერთი ქალი საკუთარი ავტომობილით მოდიოდა. მსუბუქად და ლაღად გადმოდიოდნენ, დაუდევრად კეტავდნენ გასაღებით მანქანას და ატელიეში შემოდიოდნენ. მიმღებ ქალს მთელი ქედმაღლობა მაშინვე სადღაც უქრებოდა, თითქოს ნაწილებად იშლებოდა არამკვიდრად ნაკეთები თიხის ნიღაბი. მიმღები ამ ქალების დანახვაზე დგებოდა, საქმიან-თავაზიან იერს იღებდა, ხმას უდაბლებდა და სავარძლიდან, სადაც ირეჩკა იჯდა, ვერ გაიგებდი, რაზე ლაპარაკობდნენ...

მერე ირეჩკა ბულვარზე მიდიოდა; ეს იყო ფართო ბულვარი, სადაც ახლო-ახლო იდგა სკამები და ძალიან ბებერი ხეები. ცხადია, ბულვარს ჰქონდა რაღაც ოფიციალური სახელწოდება, მაგრამ მას ყველა რატომღაც კაპუცინების ბულვარს უწოდებდა. შეიძლება იმიტომაც, რომ ერთ ადგილას ბულვარს ესაზღვრებოდა არც თუ მაღალი, ძველი ნაგები კედელი — ალბათ, რომელიმე მონასტრის ნანგრევები.

ირეჩკას ძალიან უყვარდა ეს ბულვარი. იგი ჯდებოდა რომელიმე სკამზე — თუ მზე იყო, მზიან მხარეს — და მოსეირნეებს ათვალიერებდა. ძირითადად ესენი იყვნენ მოხუცები და ბავშვის ეტლებით მოსეირნე დედები. მოხუცები აკაკუნებდნენ თავიანთ ხელჯოხებს და ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდნენ ირეჩკას, დედები თეთრ ჩვრებში გამოხვეული ბავშვებით იყვნენ გართული. ზოგჯერ ბავშვის ეტლებით მოსეირნე დედებია დანახვისას, თუ ახლომახლო არავინ იყო, ირეჩკა უჩუმრად ტიროდა, თან ცდილობდა არ გაეფუჭებინა შეღებილი წამწამები.

ერთხელ ირეჩკას გვერდით მამაკაცი ჩამოჯდა, რომელსაც ხელში ტიტების თაიგული ეჭირა.

ნისლიანი დღე იყო, ბარდნიდა და ტიტების თაიგული თოვ-

ლში მეწამულისფრად გიზგიზებდა. ირორჩკას არ დაუნახია, როგორ დაჯდა მამაკაცი. მან უბრალოდ მოძრაობა შეამჩნია, თავი მოატრიალა და კინაღამ თვალთ დაუბრმავდა.

ასაკოვანი მამაკაცი იყო, კარგად ჩაცმული და ცოტა ნასვამი. თამბაქოსა და ღვინის სასიამოვნო სუნი სცემდა მისგან. მამაკაცი რუსი კი არა, ქართველი იყო.

— ასეთი ლამაზი ქალი და მარტო, რაშია საქმე? — მსუბუქი აქცენტით ჰკითხა მამაკაცმა.

ირორჩკა მიბრუნდა, თავი ისე დაიჭირა, ვითომ კითხვა არც გაუგია.

— ეს თქვენ, — ქართველმა ირორჩკას ტიტები გაუწოდა.

— მე?.. — დაიბნა ირორჩკა. — არა... არა... მე არა მჭირდება...

— არ გინდათ ტიტები? — გაოცდა კაცი. — განა არის დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელსაც არ უნდა ტიტები?

— არის, — უპასუხა ირორჩკამ.

— ტყუილია, — ქართველი თავისი ასაკისათვის მოულოდნელად სხარტად დაიხარა და ტიტები ირორჩკას მუხლებზე დაუდო.

ახალგაზრდა ქალმა ინსტინქტურად გაიწია და ორი ტიტა თოვლზე დავარდა.

— ვაი-ვაი-ვაი! — ყვედრებით თქვა მამაკაცმა. — ისინი ხომ გაცივდებიან. — იგი დაიხარა, ყვავილები აიღო და თაიგულს ზევიდან დაადო.

ირორჩკამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამდგარიყო და წასულიყო? მაშინ ტიტები დაცვივდებოდა. აეღო ყვავილები?

— თქვენ არ იფიქროთ, რომ ვინმე თავხედ ან ვიგინდარასთან გაქვთ საქმე, — თქვა ქართველმა. — მე მეტად წესიერი და, წარმოიდგინეთ, მორიდებული ადამიანიც კი ვარ. უბრალოდ, დღეს ბედნიერი დღე მაქვს, ვიყიდე ყვავილები და გადავწყვიტე: ამ ბულვარზე პირველსავე მარტოხელა ლამაზ ქალს ვუძღვნი-მეთქი. პირველი მარტოხელა ლამაზი ქალი თქვენ აღმოჩნდით.

— კარგად გაყიდეთ მანდარინი? — გესლიანად ჰკითხა ირორჩკამ. მან თვითონაც არ იცოდა, ეს რატომ უთხრა. შეიძ-

ლება იმიტომ, რათა სამაგიერო გადაეხადა, რომ არ ადგა და წავიდა, როცა მამაკაცმა მუხლებზე ყვავილები დაუდო.

— ვაი-ვაი-ვაი, — ისევ საყვედურით თქვა ქართველმა. მას სრულიადაც არ სწყენია. — ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ანჩხლი. არა, მე მანდარინი არ გამიყიდია, მანდარინს დედაჩემი ყიდის. შეიძლება თქვენ დედაჩემის წინააღმდეგიც ხართ? დედაჩემი ოთხმოცი წლისაა, იგი უვლის ბაღს და უფლებაც აქვს გაყიდოს მანდარინი. ხომ ასეა? ჰა, ანჩხლო ლამაზო ქალო? თუმცა ახლა მანდარინის გაყიდვის სეზონი არცაა.

— მაშინ რა გიხარიათ?

— ისე, მე მხიარული კაცი ვარ. გარდა ამისა, ერთი საათის წინ დამნიშნეს კაპიტნად.

— კაპიტნად? — გაოცდა ირეჩკა.

— დიახ. განა არ ვგავარ კაპიტანს?

— თქვენ სულ ტყუით.

— დამიხედეთ ამას! გაჩვენოთ ნიშანი?

— რა ნიშანი?

— კაპიტნის.

— მე რისთვის მჭირდება? — მხრები აიჩეჩა ირეჩკამ.

— როგორ თუ რისთვის? მე ვაპირებ ცოლად გითხოვოთ.

ირეჩკამ გაიღიმა.

— აი, დაიწყო. თქვენ ორიგინალური არ ხართ.

— სცდებით. კინოში მართლაც დამკვიდრდა ასეთი ტრაფარეტი. მივლინებული მამაკაცი ჩამოდის დიდ ქალაქში, თხოულობს ქალს და მიყავს ტაიგაში. ცხოვრებაში კი ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის, დამიჯერეთ. მაშ, წამომყვებით? სამი საათის შემდეგ თვითმფრინავი გადის. ჭორწილს როსტოვში გადავიხდით.

— რატომ როსტოვში?

— მე იქ რესტორნის დირექტორს ვიცნობ. ვიქირავებთ მთელი ღამით დარბაზს, მხოლოდ ორნი ვიქნებით. დავლევთ და ვიცეკვებთ.

— მერე?

— მერე ადლერში გავფრინდებით დედასთან.

— მერე?

— მერე მე გემით ვიცურავებ, თქვენ კი დამელოდებით. მე

პატარა გემი მაქვს. ერთი კვირა ზღვაში, ერთი კვირაც შინ. შემოვივლით მთებს, ვივლით სტუმრად. მე ბევრი მეგობარი მყავს...

— მერე?

— მერე?.. მერე გავზრდით წყვილ ვაჟიშვილს. მათთან ვივლით სტუმრად. კიდევ რა გინდათ?

— დისერტაცია?

— რომელი დისერტაცია?

— ჩვეულებრივი. ახლა ყველა დისერტაციას წერს.

— ცხის დისერტაცია მე არ მჭირდება. მე უდისერტაციოდაც ბედნიერი ვარ. თქვენთან ერთად კი უფრო ბედნიერი ვიქნები.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— თქვენ კარგი სახე გაქვთ. მე შემიძლია ცუდი ადამიანები კარგისაგან გავარჩიო. ვიდრე გემზე მემანქანეობას დავიწყებდი, გამომძიებლად ვმუშაობდი.

— აი, რაში ყოფილა საქმე...

— დიახ.

— თქვენ ყველაფერი შეამჩნიეთ, გარდა ერთისა. მე გათხოვილი ვარ.

— მე ამასაც მივხვდი. ბეჭდით. მაგრამ ქმართან ბედნიერი არა ხართ.

— რატომ გგონიათ? — ერთი ყვავილი ძირს დავარდა, ირონჩკამ აიღო, დადო ადგილზე და თაიგულს ხელი მოუჭირა.

— ძალიან სევდიანი ხართ. არც თქვენ თავს აქცევთ ყურადღებას. არამოდური ჩექმები გაცვიათ და მარჯვენა ხელთათმანი გახეული გაქვთ. მაშასადამე, თქვენ არავის არ გინდათ მოეწონოთ.

ირონჩკამ ფრთხილად მოუყარა თავი ყვავილებს, სკამზე დადო და წავიდა. მამაკაცმა არ დაუძახა მას.

შურიკის ჭამამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, მას კი „საშოკოლადეშიც“ უნდა შეევლო. თვითონაც არ იცოდა, რატომ დადიოდა აქ ყოველდღე. მას სრულებით არ უნდოდა არც ჭამა, არც სმა. ალბათ აქაური გარემო მოსწონდა მხოლოდ. როგორც სხვა კაფეებში, აქ არ იყვნენ მოუსვენარი ადამიანები, გამალებით რომ ღეჭავენ და დაგრეხილი ალუმინის ჩანგლებით რკინის თეფშებს უკაკუნებენ. „საშოკოლადეში“ მინიატურული ფინ-

ჯნებიდან სვამდნენ აკურატულად, ნება-ნება, სიამოვნებით. ფუნთუშებიც აქ აკურატული, ახალი, ლამაზი იყო.

ირორჩკა შოკოლადს სვამდა, სხვა სტუმრებს ათვალიერებდა და რაღაც საიდუმლო საზოგადოების, დახვეწილი ბუნების ადამიანთა საზოგადოების თანამონაწილედ მიაჩნდა თავი.

მაგრამ შურიკ-სმიტის ჭამის დრო ახლოვდებოდა. ირორჩკა დალევდა შოკოლადს, ყველას თვალს შეავლებდა, თითქოს ეთხოვებაო, მასაც ასევე შეხედავდნენ, — მერე კი მეტროთი შინ მიდიოდა.

სახლში პირსაკრავს იკეთებდა და ქმრის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ბიჭს ძუძუს აჭმევდა.

... იმ დღესაც, 12 აპრილს, ირორჩკამ, როგორც ყოველთვის, „ზარიაში“ რაღაც ფილმი ნახა, ტროლეიბუსში ჩაჯდა და საიუველირო მაღაზიაში გაემგზავრა, რათა ბრილიანტისთვის დაეხედა.

იმ ადგილას, სადაც ქვა იდო, ხალხი კვლავ შეკრებილიყო და მდუმარედ იდგა. ირორჩკა პირველ რიგში ჩადგა და კინაღამ ცუდად გახდა. ბრილიანტი აღარ იყო. არც მოოქროვილასოებიანი ფირფიტა ჩანდა — 40 ათასი მანეთი. ბრილიანტის ადგილას საყურე იდო და გვერდით დაჭმუჭნილ ქაღალდზე დაუდევრად, მკრქალი მელნით ეწერა: „1 მან. 27 კაპ“.

— ჰო-ო, — თქვა ვიღაცამ, — მაინც უყიდიათ, — და ნაწილი ხალხისა წავიდ-წამოვიდა. მათ ადგილზე მაშინვე სხვები გაჩნდნენ.

ირორჩკა ქუჩაში გამოვიდა. გული ისე ჰქონდა დამძიმებული, ისე საძაგლად გრძნობდა თავს, თითქოს უტიფრად და ვერაგულად მას წაართვა ბრილიანტი ვიღაც მკაცრმა, ძლიერმა, საკუთარ თავში შეყვარებულმა ადამიანმა.

„ბეწვეულის ატელიეში“ ირორჩკა აღარ წასულა. თავი სტკიოდა და ახალგაზრდა ქალი კაპუცინების ბულვარისკენ გაემართა.

ბულვარზე დღეს ხალხმრავლობა იყო. ირორჩკამ ძლივს იპოვა თავისუფალი სკამი (მას მარტო უყვარდა ჯდომა). თბილოდა, მზე აცხუნებდა. თოვლი თითქმის სულ გადნა, მხოლოდ აქა-იქ ხეების ქვეშღა შემორჩა ყავისფერ ფოთლებთან ერთად. პატარა გუბეებში, ასფალტის ბილიკების კიდეებში გამოცოცხლე-

ბული ბეღურები ფართხალებდნენ. გუბეები ღრმა იყო და მათში ალვის ხის ფოთლებივით დაცურავდა ღრუბლის ნაგლეჯები.

ირორჩკამ თავი სკამის ზურგს მიაყრდნო, სახე მზეს მიუშვირა და მოჭუტული თვალებით ახლად გაღვიძებულ სამყაროს ყურება დაუწყო.

კაცი მიდიოდა, თავის ფეხებს დაჰყურებდა და რაღაცაზე ფიქრობდა. იგი პირდაპირ გუბეებში აბოტებდა. მარჯვენა ხელში უზარმაზარი წითელი და ყვითელი ტიტების თაიგული ეჭირა, მარცხენათი გულზე ქაღალდის ბაწარგადაკრული ტორტის კოლოფი მიეხუტებინა. კაცს დაშმუჭნილი ყავისფერი ლაბადა ეცვა და დასრესილი მწვანე შლაპა ეხურა. ირორჩკამ იცნო ნუკლიევი.

— ნუკლიევ! — დაუძახა მან.

კაცი შეკრთა და მოიხედა.

— ნუკლიევ, საით მიიჩქარით?

— თქვენა ხართ? — გაოცდა ოლეგ ბორისოვიჩი. — რა მოულოდნელია... სწორედ თქვენთან მოვდიოდი... აი, ტიტები და ტორტი მომქონდა.

— რის აღსანიშნავად?

— დღეს ხომ დღესასწაულია.

— დღესასწაული? რომელი?

— კოსმონავტიკის დღე.

— ჰო, კოსმონავტიკის დღე...

— დიახ. ეს თქვენ, — ოლეგ ბორისოვიჩმა ირორჩკას ტიტების თაიგული გაუწოდა. — ჰოლანდიურია... ნამდვილი. ეს-ესაა, ამსტერდამიდან ჩამოიტანეს.

— ხომ არ ტყუით, ნუკლიევ?

— მე თვითონ ამოვიკითხე ყუთებზე დღევანდელი რიცხვი და, წარმოიდგინეთ, დილის 9 საათი ეწერა. ალბათ რეაქტიულით ჩამოიტანეს.

ირორჩკამ თაიგული სახესთან მიიტანა, შიგ ჩაიმალა.

— მტვრის სუნი აქვს. აი ისეთი, იცით, მშრალი ტრამალების... ბეგქონდარას, აბზინდის... როგორც დონბასში... მე თვითონ დონბასიდან ვარ, ნუკლიევ.

— ეს იმიტომ, რომ ჰოლანდიაში უკვე ზაფხულია, — თქვა

ოლეგ ბორისოვიჩმა და ირობჩკას გვერდით ჩამოჯდა, არც ძალიან შორს, მაგრამ არც ძალიან ახლოს.

— ნუთუ ზაფხულია?

— თითქმის... სწორედ ამ დროს ვიყავი იქ... ტურისტად... გავფრინდით მოსკოვიდან — ზამთარია, თოვს, ჩავფრინდით ამსტერდამში — ცხელა, ყვავილებია... თქვენ ტირით?

— არა.

— აი, ცრემლი.

— ეს ტოტიდან წვეთი ჩამოვარდა. ალბათ, წვენია.

ირობჩკამ ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ფრთხილად მოიწმინდა მარჯვენა თვალი, შემდეგ კი მექანიკურად სარკეში ჩაიხედა.

— საღებავი არ გამდნარა, — უთხრა ოლეგ ბორისოვიჩმა.

— ნუკლიევ, — უთხრა ირობჩკამ, — რატომ გაქვთ ასეთი საძაგელი ლაბადა და ასეთი მახინჯი შლაპა?

— ნუთუ? — გაუკვირდა კათედრის გამგეს, — მე კი კარგი მეგონა, ელეგანტურიც კი.

ირობჩკამ თაიგული ისევ სახესთან მიიტანა.

— ნუკლიევ, ფული რამდენი გაქვთ?

— რა გაინტერესებთ? — ვერ გაიგო ოლეგ ბორისოვიჩმა.

— წიგნაკზე... და საერთოდ...

მეცნიერი შეყოყმანდა.

— მხოლოდ არ იცრუოთ, ნუკლიევ.

— წიგნაკზე... ხუთი ათასი. რისთვის გჭირდებათ?

— სულ ეს არის?

— ობლიგაციები... ათასი მანეთის... დედისეული ძვირფასი ნივთებიც დამრჩა... არ ვიცი, რა ღირს... ალბათ, ათას ხუთასი... გარდა ამისა, მაქვს მანქანა... თქვენ სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციასთან ბრძოლის განყოფილებაში ხომ არ დაიწყეთ მუშაობა?

— ეს ცოტაა, ნუკლიევ. მე მჭირდება ორმოცი ათასი.

— რისთვის?

— ბრილიანტი მინდა ვიყიდო. არის ერთი ბრილიანტი — ორმოცი ათასი ღირს. ახლახან ვიღაცამ იყიდა. ალბათ, ვინმეს აჩუქა დაბადების დღეზე. მაგრამ შეიძლება კიდევ ერთი გამოიტანონ... მაშინ მიყიდით?

მეცნიერმა მხრები აიჩეჩა.

— თქვენ დღეს რაღაც უცნაურ ხასიათზე ხართ.

— ცოლად მითხოვეთ, ნუკლიევ.

— ეს როგორ? — გაშტერდა კათედრის გამგე. — რანაირად?

— ისე, ჩვეულებრივად. ახლა ჩვენ ჩავჯდებით ადლერისაკენ მიმავალ თვითმფრინავში. გზად როსტოვში გავჩერდებით. იქ ერთი რესტორნის დირექტორი ჩემი ნაცნობია. ჩვენ ვიქირავებთ ცალკე დარბაზს და გადავიხდით ქორწილს. მხოლოდ ორნი ვიქნებით, ვიცეკვებთ ცარიელ დარბაზში. მითხოვეთ, ნუკლიევ, არ ინანებთ. ხომ მოგწონვართ. ასეა ხომ?

— ასეა, — თქვა ოლეგ ბორისოვიჩმა ჩახლეჩილი ხმით და ნერწყვი ჩაყლაპა. — მაგრამ თქვენ ხომ გათხოვილი ხართ...

— ოჰ, ნუკლიევ, რა ჩამორჩენილი ხართ. მომეცით თქვენი ხელი... დამსკდარია... რომელი ფხვნილით რეცხავთ?

— „თრლიათი“...

— ეს ძალიან ცუდი ფხვნილია, ნუკლიევ...

ზოგჯერ ირეჩკა საღამომდე ივვიანებდა: წააწყდებოდა გასაყიდ ბანანს, ბატისტს ან ოთახის ჩუსტებს. ამიტომ მაინცდამაინც არავინ შეშფოთებულა, როდესაც იგი შურიკ-სმიტის ჭამის დროს არ მოვიდა. სხვა გზა არ იყო, ბავშვს საწოვარათი დაალევინეს რძე. მაგრამ ექვსი საათისათვის ვარვარა იგნატიევნა უკვე აფორიაქდა.

— სად შეიძლება იყოს? ნუთუ დაავიწყდა? შურიკი მშიერია.

— რაღაც ჩვრის გულისათვის დგას ალბათ რიგში, — აზრი გამოთქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა, რომელიც გატაცებით მუშაობდა: მის საქონელზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდებოდა.

ვარვარა იგნატიევნამ შვილს დაუკაკუნა და თავისი შეშფოთება აუწყა, მაგრამ იგი რაღაც ანგარიშებში იყო თავჩარგული და დედა თავიდან მოიცილა.

— სისულელეს ნუ აიკვიატებ, დედა. ქათამი ხომ არ არის, დაიკარგოს.

რვა საათზე ოჯახმა აღარ იცოდა, რა ექნა: მილიციაში დაერეკათ, თუ მორგში?

მაგრამ ამ დროს ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა. მოხუცმა ქალმა სწრაფად აიღო ყურმილი.

— 231—85—16? — იკითხა ქალის უსიამოვნო ხმამ.

— დიახ.

— უპასუხეთ როსტოვს.

— რომელ როსტოვს? — გაოცდა ვარვარა იგნატიევნა.— ჩვენ შეკვეთა არ მიგვიცია...

მაგრამ ყურმილში რაღაცამ გაიტკაცუნა და ვარვარა იგნატიევნამ აშკარად იგრძნო უზარმაზარი მანძილი თავის ყურთან. იგი შეშფოთებული ელოდა, როგორც ყოველთვის უცდიან სხვა ქალაქიდან მოულოდნელ დარეკვას.

— ვარვარა იგნატიევნა ხართ?

— მე ვარ! მე! — გაუხარდა ვარვარა იგნატიევნას, რომელმაც თავისი რძლის ხმა იცნო. — სად დაიკარგე? შურიკს უნდა აჭამო...

— მე ვერ ჩამოვალ, დედა... — ირინჩკამ პირველად უწოდა დედამთილს დედა. — ხელოვნურ კვებაზე გადაიყვანეთ.

— რა სისულელეა! ჩამოდი დაუყოვნებლივ! სად ხარ? რატომ ჩაერთო საქალაქთაშორისო? ავტომატიდან რეკავ?

— როსტოვიდან...

— გეყოფა ხუმრობა!

— მე გავთხოვდი, დედა...

— გათხოვდი კი არა! — გაოგნდა ვარვარა იგნატიევნა.— შენ ხომ უკვე გათხოვილი ხარ.

— ყველაფერი დამთავრდა. მე ახალ ცხოვრებას ვიწყებ! გადაეცით ეს გენადის... მე მეტი აღარ შემიძლია... მარტო ცხოვრება... ნახვამდის... ყურადღება მიაქციეთ შურიკს...

— მოიცადე! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა ვარვარა იგნატიევნამ. — ნუ დადებ ყურმილს! გენას დავუძახებ!

ვარვარა იგნატიევნა კარს მივარდა და მუშტების ცემა დაუწყო.

— ჩქარა! ჩქარა! ტელეფონთან!

— რა მოხდა? — გამოვარდა საძინებლიდან მეცნიერი, თან ხელით სათვალეს იჭერდა.

— ტელეფონთან! ირინჩკამ მიგვატოვა!

იგი ტელეფონს მივარდა და სკამი გადააყირავა.

— რა? — ჩაყვირა მან ყურმილში. — ვინ? ეი! ვინ ლაპარაკობს? არავინაა... ზუმერია...

— მომეცი აქ! — ვარვარა იგნატიევნამ ყურმილი ხელიდან გამოგლიჯა შვილს.

— ალო! ალო! მორჩა... ნომერიც კი არ დატოვა...

კრასინი მხოლოდ ახლა მოვიდა გონს.

— რა მოხდა? რაზე ატეხეთ აურზაური? იროჩკას ხომ არაფერი შეემთხვა?

— შეემთხვა! გათხოვდა! აი, რა შეემთხვა! ბოსტნის საფრთხობელა ხარ ნამდვილი. — დაუყვირა დედამ.

— ვის გაყვა? იგი ხომ ჩემი ცოლია... — დაბნეულმა ჩაილაპარაკა გენადი ონუფრიევიჩმა.

— ო, შე ბედოვლათო! — ჩაიქნია ხელი ვარვარა იგნატიევნამ. — ხომ მიიღე საკადრისი! სულმთლად დაკარგე გონება ამ ექსპერ... ფუი!

უღლით ხელში ონუფრი სტეპანოვიჩმაც მოირბინა.

— ა? ყალთაბანდები?

— წადი, ბერიკაცო, უღლებს მიხედე. შენი ჭკუის საქმე არ არის. შვილი ვერ გაგიზრდია.

— არ იტყვი, რა მოხდა?

— იროჩკამ მიგვატოვა! გათხოვდა. ახლა როსტოვიდან დარეკა.

— რატომ ადრე არ მითხარით? — ეწყინა ონუფრი სტეპანოვიჩს. — კოლოფონს დავაბარებდი, ამბობენ როსტოვი სავსეაო.

— რა კოლოფონი, ბებერო ჩერჩეტო! გათხოვდა! მიგვატოვა!

— გათხოვდა? რატომ? — გაიოცა მოხუცმა.

— მას ჰკითხე.

ონუფრი სტეპანოვიჩმა პირი დააღო და ანგარიშმიუცემლად გაუშვა ხელი თოკს, უღლის ორივე ბოლოს რომ ამაგრებდა. თოკი გაიხსნა, ხელნა გაიშალა და მთელი ძალით დაეტაკა ტრიუმოს. გარშემო სარკის ნამსხვრევები გაიფანტა.

— ოჰ, შე რეგვენო! შე ბებერო ჩერჩეტო! — ვარვარა იგნატიევნამ ნატეხების მოკრეფა დაიწყო, მერე კი ანგარიშმიუცემლად ალაგებდა მათ ხის ჩარჩოში.

გენადი ონუფრიევიჩმა თავი გააქნია.

— არაფერი მესმის, — თქვა გაჯავრებულმა. — ჩემი ცოლი გათხოვდა, როსტოვი, რაღაც კოლოფონი. ამიერიდან, გთხოვთ, უმიზეზოდ ნუ გამაცდენთ და ნურც იხმაურებთ. სარკე რატომღა გატეხეთ. ისე ყვირით, რომ კედლები ზანზარებენ. თქვენ ცდას მინაგვიანებთ. გესმით? ცდას მი-ნა-გვი-ა-ნებთ! — მეცნიერი წავიდა და კარი მიიჯახუნა. ონუფრი სტეპანოვიჩმა იტრიალა, იტრიალა და, ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ისევ თავის უღლებს მიუბრუნდა.

ვერამ, როცა ეს ამბავი გაიგო, ერთი კი წამოიტირა, მაგრამ მალევე შეიმშრალა ცრემლი და თქვა:

— თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო. აბა, რა ცხოვრება ჰქონდა... მის ადგილზე მეც გავიქცეოდი... არაფერია, ვივლით ხოლმე დედასთან როსტოვში, დონში ვიბანავებთ. დაამთავრებს თუ არა მამა ექსპერიმენტს, დედა ისევ დაგვიბრუნდება. ახლა ეს უბრალო ამბავია.

უმცროსმა კი, „ენაჭარტალა კატკამ“, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— ო, რა ოჯახია, — თქვა მან. — დღე არ გავა, ახალი ამბავი არ მოხდეს. ვერ მოიწყენ. მალე მაინც მეღირსოს ცალკე ბინა. დავისვენებდი თქვენგან ყველასგან.

და მხოლოდ სენეჩკა იყო სულის სიღრმემდე შეძრწუნებული, როდესაც ექსპერიმენტ „იდეალური ადამიანის“ იდეური სულის ჩამდგმელის ვერაგული ღალატი შეიტყო. მან თვითონ მოიტანა ახალი ამბავი: ნუკლიევმა გაასწორა ანგარიში და უცნობი მიმართულებით გაემგზავრაო.

უმცროსმა ლაბორანტმა მხრებზე ხელი გადახვია თავის კოლეგას:

— არა უშავს რა, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: შეიძლება ეს უკეთესიც იყოს. სჯობს, მაშინვე გაიგო, ვინ არის მოყვარე და ვინ მტერი, ვიდრე შემდეგ. ორის მაგიერ ვიმუშავებ. გოგოებთან საბოლოოდ ვწყვეტ კავშირს. არ გჯერა? აი! — სენეჩკამ დიდი ამბით გაიხადა განიერტოტებიანი ჯინსი, რომელსაც უკან საკერებლები ედო და დაბლა ეჟვნები ეკიდა (ონუფრი სტეპანოვიჩის საჩუქარი), დანა აიღო და ნაკუწ-ნაკუწ აქცია. — აი, ესეც თქვენ! წარსულთან ანგარიში გავასწორე! გოგოები ხომ

ძირითადად ჩემს შარვალზე პრაწავდნენ თვალებს. მე თვითონ დიდი არაფერი ბიჭი ვარ... ოღონდ რაიმე შარვალი მომეცი, ტრუსებით ხომ ვერ გავალ გარეთ...

დედის რძე ხელოვნურით შეცვალეს (გამოადგათ ორი ვედრო ბავშვის საკვები). ირორჩკას ნივთები გარდერობიდან გამოიღეს და ბოღჩა შეკრეს იმ შემთხვევისათვის, თუკი ირორჩკა მათ მოითხოვდა. მაგრამ ყოფილი დედა არაფერს თხოულობდა. მეტად აღარც დაურეკია, აღარც წერილი მოუწერია. მხოლოდ ერთხელ ვარვარა იგნატიევნას სახელზე ადლერიდან ამანათი მოვიდა, რომელშიც მანდარინი და ხურმა იყო.

კრასინების ოჯახის ცხოვრება ესოდენ ძლიერი ზიგზაგის შემდეგ სულ მალე ჩვეულებრივ კალაპოტს დაუბრუნდა.

თავი მეექვსე

რომელშიც აღწერილია გაზაფხულის საღამოები კრასინების ოჯახში, აგრეთვე მოთხრობილია ამ ოჯახში მომხდარი სამარცხვინო, უჩვეულო ამბავი

მიუხედავად იმისა, რომ დედა გაიქცა, საოჯახო საბჭოზე გადაწყდა გაეგრძელებინათ კონტრცდა „რღვევა". ვერა ყოველ საღამოს ტანსაცმლის კარადაში ძვრებოდა, ღამით გამოდიოდა და ძმას ყურში რუსულ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ზოგჯერ ჩურჩულის დროს შურიკ-სმიტი იღვიძებდა და, როგორც გოგონას ეჩვენებოდა, განცვიფრებული ისმენდა მისთვის უჩვეულო სიტყვებს: „დედა", „მამა", „ფაფა".

— იქნებ ვაჯობოთ კიდეც, — ოხრავდა ჩაის სმის დროს ვარვარა იგნატიევნა. — რაც არ უნდა იყოს, რუსია და არა უცხოელი. ჩვენი პირმშოა. სისხლმა უნდა გაიღვიძოს.

ალბათ სულ რამდენიმე თვეღა იყო დარჩენილი, ვიდრე შურიკ-სმიტი პირველ სიტყვებს წარმოთქვამდა, აი, მაშინ კი გაირკვეოდა, ვინ გაიმარჯვა: მეცნიერებმა მთელი თავიანთი მეთოდიკითა და აპარატურით, თუ უბრალო ადამიანებმა, რომლებმაც ესოდენ გულუბრყვილო მეთოდი აირჩიეს — მშობლიური სიტყვების ყურში ჩურჩული. მაგრამ ამ დროს ერთი ამბავი მოხდა, რამაც კრასინების ოჯახში ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ყველაფერი ძალიან პროზაულად და ჩვეულებრივად დაიწყო. სენეჩკამ ფოტოაპარატი იყიდა.

არავინ იცის, რამ გადააწყვეტინა აპარატის ყიდვა. შეიძლება ვერას სიტყვებმა, ერთ საღამოს ჩაის სმის დროს რომ განაცხადა (სენეჩკა ახლა ხშირად იჯდა ხოლმე მათთან ერთად სამზარეულოში და სიამოვნებით შეექცეოდა ხენდროსმურაბიან ჩაის):

— ღმერთო, რა მოწყენილობაა... ირგვლივ ყველა ასეთი ჭკვიანია. სკოლაში ყველა ჭკვიანი, ქუჩაში — ჭკვიანები, კინოში — ჭკვიანები, სახლშიც ჭკვიანები... თხისრქიანებო, რაიმე ანეკდოტი მაინც მოყევით, ან ჩარლსტონი იცეკვეთ!

შეცბუნებული მოხუცები ჩაახველებდნენ ხოლმე: მათ არ იცოდნენ არც ერთი ანეკდოტი, ჩარლსტონის შესახებ კი სრულიად არაფერი გაეგონათ.

— ან თუნდაც თქვენ, სენეჩკა... რა დადებითი ხართ, მართალი. არავითარი ნაკლი არა გაქვთ...

— ნაკლი მაქვს, — მაშინვე მიუგო უმცროსმა ლაბორანტმა. — მე მიყვარს ლუდი და გოგოები.

— ეს ღირსებაა და არა ნაკლი, სენეჩკა. აი, თქვენ რომ ვინმე ახირებული იყოთ... ოინბაზი ჰქვია, თუ რა... მაშინ გაგვამხიარულებდით... მოიგონეთ რამე, სენეჩკა! სახლში ყველაფერი თავდაყირა რომ დადგეს, ერთი ალიაქოთი ატყდეს...

— მერე რატომ? — იკითხა აქამდე გაჩუმებულმა „ენაჭარტალა კატკამ“.

— იმიტომ, რომ სისხლი აგიდუღდეს, აი, რატომ. შენ ამას ვერ გაიგებ, ლენჩი ხარ!

— ფეხებზედაც არა მკიდია.

— მართლაც, რომ ფეხებზე გკიდია.

— ღმერთო, როდის დაგაღწევთ თავს! — „ენაჭარტალამ“ თავზე ხელები იტაცა. — ისედაც საგიჟეთია, ახლა კიდევ ფოკუსებიც მოუნდა! ეს ღლაპიც ერთთავად ხან ტუალეტში ზის, ხან აბაზანაში ჭყუმპალაობს! ნეტა მალე გავიზრდებოდე!

— რაღაცას მოვიფიქრებთ, — აღუთქვა სენეჩკამ.

უმცროსმა ლაბორანტმა ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა ფოტოაპარატის ყიდვა.

როგორც ყველა ადამიანი, ფოტოაპარატს პირველად რომ ეუფლება, სენეჩკამაც მაშინვე ფიცხელი მუშაობა გააჩაღა. იგი

სურათს ულებდა ყველას და ყველაფერს. ერთი კვირის თავზე სასტუმრო ოთახში ვარვარა იგნატიევნას, ონუფრი სტეპანოვიჩის, ვერას, კატიას, კატა მიშკას სურათები ეკიდა, მხოლოდ გენადი ონუფრიევიჩმა განაცხადა კატეგორიული უარი გადაღებაზე. როდესაც ყველა ცოცხალი ობიექტი გამოიყენა, სენეჩკა ნატურმორტებზე გადავიდა: გაყინული იმპორტული ბატი, „პორტვეინ-72“-ის ბოთლი, მაროკოს ფორთოხლები და ა. შ.

უმცროსმა ლაბორანტმა სასტუმრო ოთახი რაღაც ასარეკლი ეკრანებით, შტატივებით აავსო, ყველგან ეკიდა საშინელი სიმძლავრის ნათურები, რომლებიც ირგვლივ ყველაფერს ფერფლად აქცევდნენ.

როდესაც ფოტოაპარატი ყველას მოსწყინდა, უმცროსმა ლაბორანტმა მოიტანა პორტატიული მაგნიტოფონი, რომელზედაც ჩაწერილი იყო სიმღერები ბოროტმოქმედთა ცხოვრებაზე. ამან სენსაცია მოახდინა. აღფრთოვანებული, სახეგაბრწყინებული სენეჩკა მაგნიტოფონს მაგიდაზე დგამდა, კრასინები ირგვლივ შემოუსხდებოდნენ და ჩახლეჩილი ხმა გულდათუთქული მღეროდა, თუ რა კარგია თავისუფალი ცხოვრება და რა ცუდია ციხეში. კაცი მღეროდა ალალად, გრძნობით, ხანდახან ტიროდა კიდეც, და ყველას ძალიან ეცოდებოდა საკუთარი სისულელის გამო დაღუპული, განადგურებული მისი სიცოცხლე. ვარვარა იგნატიევნა ჩუმ-ჩუმად ცრემლებსაც იმშრალებდა.

— რატომ გეცოდებათ? — ცდილობდა სიმღერის დისკრედიტირებას ონუფრი სტეპანოვიჩი. — ნუ მოიპარავდა და არც ჩასვამდნენ. აი, მე არც ვქურდობ და არც არაფრის მეშინია.

— მაინც საცოდავია, — ეწინააღმდეგებოდა ვარვარა იგნატიევნა. — შეცდა კაცი. ყველა შეიძლება შეცდეს.

— მეც რომ შევცდე? — ცბიერად ეკითხებოდა მოხუცი. — მაგალითად, ამ მაგნიტოფონის გამოისობით?

მაგრამ მომღერალი ისევ იწყებდა ქვითინს და მოხუცს აღარავინ უსმენდა.

შემდეგ ლაბორანტმა კინოკამერა იყიდა, ეს უკვე საინტერესო იყო. აბა, ვინ გაუძლებდა კინოკამერის ცთუნებას? ვერავინ. ასეთი ადამიანი არ არსებობს. მით უმეტეს, სენეჩკამ განაცხადა, რომ იგი აპირებდა „ჩვენი თანამედროვის“ სახელწოდებით გამართულ მოყვარულთა ფილმების კონკურსში მიეღო მონაწილეობა.

„ჩვენი თანამედროვე“ უნდა ყოფილიყო ვერა. ვერა სკოლაში, ვერა სეირნობისას, ვერა თეატრში, ვერა ოჯახურ წრეში. ფილმს ასევე ეწოდებოდა: „ჩვენი ვერა“. დამამთავრებელი კლასის მოსწავლე სარკის წინ ტრიალებდა, სასწრაფოდ გადაიკეთა დედამისის კაბები, და უღლების გაყიდვით აღებული ფულით კი ახლები იყიდა. საღამოობით და უქმე დღეებში კრასინების ოჯახში ერთი ალიაქოთი იდგა. სენეჩკა მედიდურად, შარვლის წკრიალ-წკრიალით (ეჟვნები მაინც დაიკიდა) და კინოკამერა „კვარცით“ ხელში ხან კარადის უკან დამალული იღებდა, ხანაც ტუალეტიდან ისმოდა აპარატის ზუზუნი. ამას „ფარული კამერით გადაღებას“ უწოდებდა.

ახლა სენეჩკა თითქმის აღარ აკითხავდა გენადი ონუფრიევიჩს, მაინცდამაინც არც მას სჭირდებოდა ლაბორანტის დახმარება. მართალია, ზოგჯერ მეცნიერი საძინებლიდან გამოვარდებოდა, ოთახს უაზროდ მოათვალიერებდა და იტყოდა:

— ბავშვს სახვევები გამოუცვალეთ... ეშმაკმა... ყველაზე უდროო დროს. — ან გაღიზიანებული უცებ დაიყვირებდა: — ვინ ადგენს დიაფონოგრამას? ნუკლიევ! (კრასინმა უკვე ყველაფერი დაივიწყა). სენეჩკა! სადა ხართ?

უმცროსი ლაბორანტი დარცხვენილი საძინებელში მირბოდა.

მოყვარულთა ფილმების კონკურსზე ფილმმა „ჩვენი ვერა“ დიდი მარცხი განიცადა. ვერა ამრეზილი და შეურაცხყოფილი დაიარებოდა.

— სენეჩკა, რა ბედუკუღმართი ხართ... ყველაფერი ხელიდან გეცლებათ. ვერაფერს მოიფიქრებთ... ფოტოაპარატი, მაგნიტოფონი, კინოკამერა... ყველაფერი ეს ორდინარულია... საჭიროა დღესასწაული, სენეჩკა. გამოგონების დღესასწაული! აბა, თავს ძალა დაატანეთ, სენეჩკა!

და სენეჩკამაც თავს ძალა დაატანა.

ერთ კვირა საღამოს ხვნეშითა და ქაქანით კრასინების ოჯახში „ამპირის“ სტილის ძველი, დაშლილი ხის მაგიდა მოათრია.

— არც ერთი ლურსმანი არა აქვს. სულ წებოთია გაკეთებული, — ამაყად აცნობა უმცროსმა ლაბორანტმა და მაგიდა ოთახის შუაგულში დადგა.

ყველა დაბნეული შეჰყურებდა.

— მერე რა? — პირველი გონს მოეგო „ენაჭარტალა კატკა“.

— მოვაწყოთ სპირიტიზმის სეანსი. სულები გამოვიძახოთ. ყველა გაშტერდა.

— აკრძალულია, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— რატომ? — ჰკითხა სენეჩკამ.

— ანტიმეცნიერულია.

— მერე რა? — ფილოსოფიური აზრი გამოთქვა უმცროსმა ლაბორანტმა. — ყველაფერი ოდესღაც ანტიმეცნიერული იყო. გალილეიც ანტიმეცნიერულად ითვლებოდა. კოპერნიკიც, თუ არაფერს ვიტყვით დარვინზე. დარვინი რომ არა, ჩვენ დღემდე გვეგონებოდა, რომ ღმერთების შთამომავალნი ვართ და არა მაიმუნისა, და ძნელი სათქმელია, რა გამოვიდოდა აქედან. სხვათა შორის, ასპროცენტიანი გარანტიაა. ნაცნობებმა ძლივს გაიმეტეს. ისინი ახლა საფრანგეთს გადიან. უკვე ყველა ლუდოვიკოსთან ჰქონდათ საუბარი. რევოლუციამდე მივიდნენ. მე რობესპიერზე შევაწყვეტინე.

— ვაშა! — დაიყვირა ვერამ. — ყოჩაღ, სენეჩკა! აი, ახლა ფანტაზიით მუშაობთ!

— მე მინდა ნაპოლეონს მივცე შეკითხვა, — განაცხადა უცბად „ენაჭარტალა კატკამ“.

— ნურას უკაცრავად, პირველი მე ვარ! სენეჩკა, ანა კერნთან მალაპარაკეთ! გამომიძახეთ ანა კერნის სული!

— ახალგაზრდობაში ხშირად ვმკითხაობდი, — ამოიოხრა ვარვარა იგნატიევნამ. — ზოგჯერ სწორად გამოდიოდა... აი, მაგალითად, ონუფრისთან... გადავაგდე ფეხსაცმელი, ვხედავ, ვიღაც მთვრალი მოდის და აიღო. ვკითხე, რა გქვია-მეთქი. „ონუფრიო“, — მიპასუხა. „დამიბრუნეთ ფეხსაცმელი“, — ვეუბნები მე. არ მაძლევს. ესაო, ისაო — და დავქორწინდით...

— რატომაც არა, ვიმკითხაოთ. ამით არაფერი დაშავდება, — საერთო ენთუზიაზმი გადაედო ონუფრი სტეპანოვიჩსაც. — გამიგონია ულურსმო მაგიდების შესახებ. შეიძლება ტყუილად ყბედობენ, რომ მკვდრებთან ლაპარაკი შეიძლებაო, მაგრამ იქნებ მართალიც არის. ჩემს მეზობელს, ხუთი წლის წინ რომ გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს, ვკითხავ, სად წაიღო ჩემი ნაჯახი. წაიღო და აღარ დამიბრუნა. რა მაგარი ნაჯახი იყო! როგორ გამომადგებოდა ახლა.

სენეჩკამ მაგიდა შუა ოთახში დადგა ისე, რომ არ ექანავა, ამოიღო ჯიბიდან სტეარინის სანთლების შეკვრა და მაგიდის გარშემო საგნებზე დაალაგა. შემდეგ უმცროსმა ლაბორანტმა თქვა:

— მომეცით მუყაო და ფაიფურის ლამბაქი.

ვერამ მოიტანა მუყაო, მაკრატელი, ლამბაქი, ფანქარი და სენეჩკა საქმეს შეუდგა. მალე ყველაფერი მზად იყო: ალფაბეტიანი წრე, ლამბაქი, რომელზედაც ისარი დახატეს.

სინათლე ჩააქრეს. აანთეს სანთლები. დაბნელდა, მაგიდასთან მსხდომნი შიშმა აიტანა. გოგონები აშკარად ნერვიულობდნენ. ვარვარა იგნატიევნამ მალულად პირჯვარი გადაიწერა. ონუფრი სტეპანოვიჩმა, ეტყობა, თავისი დაკარგული შესანიშნავი ნაჯახი გაიხსენა, ღრმად ამოიოხრა და ოთახი „პორტვეინ-72“-ის მძაფრი და მძიმე სუნით აივსო, თითქოს აქაურობას ჯოჯოხეთის მკვიდრმა გადაუფრინაო.

— გთხოვთ ყველამ ხელები ლამბაქზე დააწყოთ, — გასცა ბრძანება სენეჩკამ. — სიჩუმე, ზედმიწევნით ყურადღებით იყავით! არავითარი სხვა აზრები! შეკითხვები დაიწყეთ. ვინ არის პირველი?

— მე! — შესძახა „ენაჭარტალამ“.

— კარგი, შენ დაიწყე, — სულგრძელად დაუთმო ვერამ.

— ვის იძახებთ? — იკითხა სენეჩკამ.

ოთახში დაძაბულმა სიჩუმემ დაისადგურა. ისმოდა, როგორ წვეთავდა სააბაზანოში წყალი. იქ სენეჩკას ფირი შრებოდა.

— ნაპოლეონი... — წაიჩურჩულა „ენაჭარტალამ“.

— სახელდობრ, რომელი? და ხმამაღლა.

— აი, ის... ყველაზე... მთავარი...

— ო, შე უვიცო... — თავი ვერ შეიკავა ვერამ.

— ნაპოლეონ ბონაპარტე! — ხმამაღლა, დამარცვლით თქვა სენეჩკამ. — თქვენ გიძახებთ ეკატერინა კრასინა. გესმით ჩემი ლაპარაკი, ბონაპარტე?

ყველა გაინაბა. ბოლავდა და ტკაცუნობდა სანთლები. მძიმედ სუნთქავდა ონუფრი სტეპანოვიჩი. ყველა დაძაბული უყურებდა ლამბაქს.

და უცბად ლამბაქი შეინძრა. მასზე დაწყობილი ხელები ინსტინქტურად დაიჭიმა, თითქოს მათში დენი გაატარესო.

— წყნარად! — წაისისინა სენჩკამ, — ხელები არ აიღოთ.

ყველამ ისევ ფრთხილად დაადო ხელები ლამბაქს.

— ნაპოლეონ ბონაპარტე! გესმით ჩემი ლაპარაკი? — კვლავ იკითხა უმცროსმა ლაბორანტმა.

ახლა აშკარად ხედავდნენ, როგორ გასრიალდა ისარი წრეში, ჯერ ასო „კ"-თან შეჩერდა, შემდეგ „ი"-ზე გადაინაცვლა.

— კი! — საზეიმო ხმით განაცხადა სენჩკამ, — ნაპოლეონი ხაზზეა. ჰკითხეთ, კატია, რა გინდოდათ?

— თქვენ... სრულიად... სრულიად არა ხართ ცოცხალი? — ჰკითხა „ენაჭარტალამ".

„დიახ", — უპასუხა ლამბაქმა.

— გცივათ?

„არა".

— სადაც თქვენა ხართ... ლამაზია?

„როგორ გითხრათ".

ახლა ლამბაქი უკვე მკვირცხლად დარბოდა წრეში. ყველა ნელ-ნელა შეეჩვია.

— შეწყვიტე შენი სულელური კითხვები, — თქვა გაჯავრებულმა ვერამ. — დაუსვი არსებითი კითხვა და მე გადმომეცი.

მაგრამ ყოველთვის შეუპოვარმა „ენაჭარტალამ" მღელვარებისაგან ნაპოლეონს უკვე ვერაფერი ვეღარ ჰკითხა და, გამოძახებულ სულთან საუბარი რომ დაემთავრებინათ, შეკითხვა მისცა სენჩკამ.

— ხომ არ ნანობ, თავს რომ დაგვესხი 1812 წელს?

„კი"..

— თავისუფალი ხარ. ვინ არის შემდეგი? ვერა? ვინ გინდათ გამოიძახოთ?

— კერნი...

— ანა კერნ! თქვენ გიძახებთ ვერა კრასინა. გესმით ჩვენი ლაპარაკი?

სიჩუმე. ლამბაქი ერთხანს უძრავად იდგა, შემდეგ მსუბუქად შეირხა, თითქოს წაიჩურჩულაო.

„დიახ".

— თქვენ ძალიან გიყვარდათ პუშკინი? — ჩუმად ჰკითხა ვერამ.

„დიახ".

— მითხარით, ანა კერნ, — აღელვებული ვერა ლამბაქისკენ დაიხარა. — რატომ აღარ არის ახლა ისეთი ძლიერი სიყვარული, როგორც თქვენს საუკუნეში იყო? რატომ არიან ჩვენი მამაკაცები რაღაცნაირად მხდალები, უხამსები...

„ყველა არა“.

— მე მეჯმის, რასაკვირველია, რომ ყველა არა... მაგრამ მაინც... წინათ ისინი მთელ დროს უთმობდნენ ქალებს, სიყვარულს, ამაღლებულ საუბარს, ახლა კი მანქანებს, კრებებს, მარკებს, ლუდს. ზოგიერთები კოფთებსაც კი ქსოვენ.

„ყველა არა“.

— ჩემს კითხვაზე პირდაპირ არა მპასუხობთ. ოღონდ არ მითხრათ: „სხვა საუკუნეა“, „ემანსიპაცია“, ყველაფერი ეს მეც ვიცი. მიპასუხეთ გულწრფელად და გარკვევით.

„ქალები გადასხვაფერდნენ“.

— ტყუილია!

„მამაკაცები იმას აკეთებენ, რაც ქალებს სურთ“.

— მაშასადამე, დამნაშავე ქალები არიან?

„დიახ. ისინი განთავისუფლდნენ...“

— ისინი განთავისუფლდნენ და აღარ სჭირდებათ სიყვარული, რომანტიკა?

„მათ სხვა საზრუნავი გაუჩნდათ“.

— რა საზრუნავი?

„სამსახური, ძალაუფლება. ეს უფრო საინტერესოა, ვიდრე სიყვარული. მომიტევეთ, მე დავიღალე“.

— კიდევ ერთი წუთი! რას... რას მისურვებთ მე?

„გიყვარდეთ და თქვენც უყვარდეთ. მშვიდობით“.

ლამბაქი გაჩერდა, თითქოს ძალა გამოელიაო.

— გეყოფათ სიყვარულზე, — ჩაიბუზღუნა ვარვარა იგნატიევნამ. — თქვენთვის ჯერ ადრეა სიყვარულზე ლაპარაკი, თქვე თხებო...

— მართლაც რომ, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — უმჯობესია, ნაჯახზე ვკითხავ. კარგი ნაჯახი იყო...

ონუფრი სტეპანოვიჩმა ღრმად ამოიხვნეშა. მის სუნთქვაზე მოპირდაპირე მხარეს მდგარი სანთელი აციმციმდა და ჩაქრა.

— კარგი, — თქვა სენეჩკამ. — ვინ გინდათ გამოიძახოთ?

— მეზობელი.

— გვარი, სახელი, მამის სახელი.

— კარპოვი... ივან ტიმოფეევიჩ კარპოვი. მარჯვენა ლოყაზე ხალი აქვს. ენა ებმევა, როცა დალევს.

— ნიშნები საჭირო არ არის. კარპოვ ივან ტიმოფეევიჩ... მაპატიეთ, რა სოფელია?

— ნიკიტოვკა.

— კარპოვ ივან ტიმოფეევიჩ, სოფელ ნიკიტოვკადან! თქვენ გიწვევთ ონუფრი სტეპანოვიჩ კრასინთან სასაუბროდ. გესმით ჩემი ლაპარაკი?

„დიახ".

— დაიწყეთ, ონუფრი სტეპანოვიჩ.

ონუფრი სტეპანოვიჩი ლამბაქისკენ დაიხარა და ამოიხრიალა:

— შენ, ტიმოფეევ, სად წაიღე ჩემი ნაჯახი? ჰა?

სიჩუმე. უფროსი კრასინის მოწამლულმა სუნთქვამ მეორე სანთელიც ჩააქრო.

— ჰა, ტიმოფეევ! რას გაჩუმებულხარ?

ლამბაქი არ განძრეულა.

— პასუხის გაცემა არ სურს, — აუწყა სენეჩკამ.

— როგორ თუ არ სურს? — აღელდა ონუფრი სტეპანოვიჩი. — ვაიძულებთ. უფროსები ხომ ჰყავთ? შემაერთეთ მაგათ უფროსობასთან.

— ვაი, რომ არ ვიცი, ვინ არის მაგათი უფროსი. ჰკითხეთ კიდევ ერთხელ.

— ტიმოფეევ, ღვთის გულისათვის, გთხოვ, მომეცი ნაჯახი. შენ რაში გჭირდება? შენ ხომ მზამზარეულზე ცხოვრობ.

ლამბაქი არ განძრეულა.

— დამაცადე, ტიმოფეევ. შეიძლება როდისმე შევხვდეთ ერთმანეთს, — მუქარით უთხრა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— ფუი! ფუი! ბებერო ჩერჩეტო! — აწრიალდა ვარვარა იგნატიევნა. — ვინ ლაპარაკობს ასე?

— აბა როგორ... საქმემ მოითხოვა.

— მაშ რაღას ჩქარობთ? ისაუბრეთ კიდევ.

— კარგი, — ხმა აღიმაღლა სენეჩკამ. — არ უნდა, მისი საქმეა. აბა, კიდევ ვინ არის? ვარვარა იგნატიევნა, იქნებ თქვენ გსურთ ვინმესთან ისაუბროთ?

მოხუცი ქალი ერთი წუთით დაფიქრდა.

— არა, არა, — თქვა მან. — არავისთან... მეგობრები უკვე დავივიწყე, მშობლები კი არ მინდა შევაწუხო, დაე, მოისვენონ... საკმარისად იშრომეს საცოდავებმა თავის დროზე.

— მაშინ მე შეეკითხები, — საზეიმო კილოთი თქვა სენეჩკამ. — ვიძახებ ინსტიტუტის დირექტორს, მარკ ისიდოროვიჩ იგნატიუკს! (შარშანწინ მოკვდა. კარგი კაცი იყო!). მარკ ისიდოროვიჩ, გესმით? სენია გაწუხებთ. გახსოვართ? მე უმცროსი ლაბორანტი ვარ უცხო ენებიდან.

„დიახ", — იმავ წუთს დატრიალდა ლამბაქი.

— რა შეხედულების ხართ კრასინის ცდაზე?

„დადებითი".

— სწორია, მარკ ისიდოროვიჩ. მეც ასეთივე აზრისა ვარ. როგორ აფასებთ მის უახლოეს თანამშრომლებს? მაგალითად, მე?

„კარგი სპეციალისტი, კარგი ადამიანი".

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის, მარკ ისიდოროვიჩ... — დაიმორცხვა სენეჩკამ.

ამ დროს საძინებლიდან გენადი ონუფრიევიჩი გამოვიდა და საბაზანოსკენ გაემართა. ხელები კაზეინის წებოთი ჰქონდა დასვრილი. ცხადია, გენადი ონუფრიევიჩი რაღაც თვალსაჩინოების ხელსაწყოებს აწებებდა. მაგიდას რომ ჩაუარა, შეჩერდა, უაზროდ შეხედა სულებთან მოთამაშეებს, რომელთა თითებქვეშ ლამბაქი დასრიალებდა. სანთლები ენთო და ოთახში სტეარინის სუნი ტრიალებდა...

— ხომ არავინ მომკვდარა? — იკითხა გენადი ონუფრიევიჩმა. — ან იქნებ ახალი წელია?

მას არავინ უპასუხა. ახალგაზრდა მეცნიერი საბაზანოში შევიდა.

— მითხარით, მარკ ისიდოროვიჩ... — დაიწყო სენეჩკამ.

უცბად საბაზანოდან ველური ღრიალი გაისმა. ეს იყო დაჭრილი ნადირის ბღავილი. ყველა გაქვავდა.

კარიდან ბარბაცით გამოვიდა გენადი ონუფრიევიჩი. მხრებზე, კისერზე, ხელებზე სენეჩკას შავი ფოტოფირები შემოხვეოდა. ფირები ირხეოდნენ და გველებივით სისინებდნენ.

— ნუკლიევ! — საშინელი ხმით დაიყვირა ახალგაზრდა კრასინმა. — ნუკლიევ!

— დიახ! — ნელა წამოდგა სენეჩკა. — გისმენთ, გენადი ონუფრიევიჩ. რა მოხდა? ნუკლიევი ჯერ არ მოსულა...

— ნუკლიევ, — ახლა უკვე ჩურჩულით თქვა გენადი ონუფრიევიჩმა. — წადი ნახე...

მხოლოდ ახლაღა მოვიდნენ გონს, აფუსფუსდნენ. სენეჩკამ კრასინთან მიირბინა.

— რა მოხდა ბოლოს და ბოლოს?

— გაგვცეს...

— გაგვცეს? ვინ? როგორ?

გენადი ონუფრიევიჩი აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა. მას შრიალ-შრიალით ჩამოსცვივდა ლენტები და გორგლებად დაეხვია. მარჯვენა ლოყაზე მეცნიერს ცრემლი ჩამოუგორდა.

— ვიღაც გარეწარმა ყველა ჩვენი შედეგი ფირზე აღბეჭდა.

— რა?!

— დიახ... ყოველი გვერდი... კინოკამერით კი სმიტს იღებდა... რამდენჯერაც ბავშვი პირს დააღებდა... აი, შეხედე...

— მე არ გადამიღია, — გაფითრდა სენეჩკა. — პატიოსნებას გეფიცებით.

— უსინდისო! უსინდისო! — უცბად აყვირდა გენადი ონუფრიევიჩი, კედლებზე დაკიდებულ პორტრეტებს მივარდა, ჩამოგლიჯა და ფეხებით დაუწყო თელვა. მერე დივანზე დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ატირდა. მთელი ოჯახი შემოეხვია, აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ. ონუფრი სტეპანოვიჩი მექანიკურად, ძველი გლეხური ჩვეულებისამებრ საგულდაგულოდ ახვევდა ლენტებს. ვერა დამტვრეული ჩარჩოებიდან თავის სურათებს იღებდა და მაგიდაზე ასწორებდა...

— ეს მე არ ჩამიდენია, — ამტკიცებდა სენეჩკა. — პატიოსნებას გეფიცებით... მე ბოლომდე ერთგული ვარ...

— ჩვენ შორის მოღალატეა, — თქვა გენადი ონუფრიევიჩმა. — იგი კურდიუკოვმა გადაიბირა...

— მე არა, — თავისას იმეორებდა სენეჩკა.

ყველა უმცროს ლაბორანტს უყურებდა.

— მოიცადეთ, — წამოიძახა ვერამ, — მე დავინახე, როგორ აიღო კატკამ კინოკამერა.

— მერე რა? — ზანტად იკითხა „ენაჭარტალამ“.

— შენ იღებდი?

— მერე რა?

ყველა ერთხმად აყაყანდა. „ენაჭარტალას“ შემოეხვივნენ.

— გამოტყდი!

— ფეხებზე არა მკიდია...

— მოგისყიდეს?

— მერე რა? ვიღაც ბიძამ კანფეტის კოლოფი მომცა და მასწავლა, სად უნდა დამეჭირა თითი. ფეხებზე არა მკიდია! თავი მომაბეზრა ამ ღლაპმა! ჩხავილი, დორბლები, ტუალეტში და საababაზანოში ვერ შეხვალ.

— გაიტყიპოს! — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა და შარვლიდან ქამარი გამოიძრო.

— ფეხებზე არა მკიდია! დიდი სიამოვნებით! მაგრამ თქვენ თვითონ ჩემზე უარესები ხართ. კარგად დაეინახე, ეს თქვენი სენეჩკა როგორ ატრიალებდა ლამბაქს. ანა კერნი... ნაჯახი... ნაპოლეონი... რა სეირია! ღმერთო, როდის დავაღწევ თავს ყველაფერ ამას?

— მიტყიპე, პაპა, — წამოიძახა ვერამ. — მოღალატე ხარ! იუდა! ერთ კოლოფ კამფეტზე იყიდები! კატკა, რეიტუზი გაიხადე!

— დაანებეთ თავი, — ჩაილაპარაკა დაღლილმა გენადი ონუფრიევიჩმა და საძინებელში შეეიდა.

კლიტემ გაიჩხაკუნა.

თავი მეშვიდე,

რომელშიც მოთხრობილია, როგორ წაიღო ფედორ ივანოვიჩ კურდიუკოვმა ვაშლები ქალაქ კურსკში და რა მოჰყვა ამას

მოგვიანებით „ენაჭარტალას“ დაწვრილებით გამოჰკითხეს მისი მოღალატეობის ამბავი. ერთხელ ქუჩაში გოგონასთან ფოტოხელსაწყოებით დატვირთული, სასიამოვნო გარეგნობის მოხუცი მივიდა, თავი ისტორიის მუზეუმის თანამშრომლად გააცნო და სთხოვა დახმარებოდა საიდუმლო საქმეში: თითქოსდა მუზეუმში უდიდესი ექსპერიმენტისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდის მოწყობას აპირებდნენ, მაგრამ ეს ამბავი საიდუმლოდ

უნდა დარჩენილიყო, რადგან მუზეუმის თანამშრომლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სიურპრიზი გაეკეთებინათ კრასინების ოჯახისათვის.

— ფეხებზე არა მკიდია, რად გინდათ ფოტოსურათები, — უპასუხა „ენაჭარტალამ“. — მზადა ვარ, ეს ღლაპი თუნდაც მთვარეზე გადავისროლო.

— აი, ეს შესანიშნავია, — გაუხარდა მოხუცს. — მე კი ერთ კოლოფ კანფეტებს მოგცემ.

— კანფეტები — აი, ეს ღირს, — შენიშნა კატკამ.

— მაშინ ასე მოვიქცეთ... — აჩქარდა „ისტორიის მუზეუმის თანამშრომელი“. — ჩუმად აიღებ ლაბორანტ სემიონის ფოტო-და კინოაპარატს... სად და როგორ უნდა დააკირო, ახლავე გასწავლი. რა უნდა გადაიღო, გეტყვი... მერე, როდესაც ის ფირებს გამოამჟღავნებს, აიღებ და მე გადმომცემ. წამოდი, მერხზე ჩამოვჯდეთ...

— მე მაშინვე მივხვდი, რომ ის არავითარი მუზეუმის თანამშრომელი არ იყო, არამედ იყო ის, ვისიც ყველას გეშინიათ, — განაცხადა კატკამ დაკითხვაზე, — და გაგყიდეთ არა კანფეტებზე, არამედ იმიტომ, რომ მე პრინციპული წინააღმდეგი ვარ ამ ღლაპისა... ყველა თავს დასტრიალებთ... უქნარა, ეშმაკის ფეხი! მცემეთ ჩქარა, თორემ დრო არა მაქვს. მალე მულტფილმი დაიწყება.

კატკას არ სცემეს, მაგრამ არც მულტფილმს აყურებინეს და ნაწყენი „ენაჭარტალა“ თავის ოთახში ჩაიკეტა, სასჯელი უმართებულოდ მკაცრად მიიჩნია.

დაძმარებულმა ოჯახმა სენეჩკასთან ერთად (საძინებლიდან გენადი ონუფრიევიჩიც კი გამოვიდა) მომხდარი ამბავი განიხილა.

— არ მესმის, — მხრებს იჩეჩავდა უმცროსი ლაბორანტი, — რაში დასჭირდა ყოველივე ეს?

გენადი ონუფრიევიჩმა გაკვირვებით შეხედა თავისი მწველი სათვალიდან.

— როგორ თუ რატომ! მას უნდოდა დარწმუნებულიყო, რას მივაღწიეთ... რომ ვაკუუმის აბაზანა მუშაობს... მას სურდა გაეგო, რაზე შევჩერდით, ჩვენი მეთოდიკა...

— რატომ?

— იმიტომ, რომ შემდგომ უკვე თვითონ გაეგრძელებინა.

— ესე იგი, შენ ფიქრობ...

— დიახ, მას უნდა მოგვპაროს სმიტი. ახლა ეს უკვე ცხადია. ამ დღეებში ელოდე სტუმრებს...

— გეყურება, ბერიკაცო, — თქვა ვარვარა იგნატიევნამ. — ერთი უღელი არ გაყიდო, მე გამომადგება.

— მაშინ შეუღებავი აიღე, — შენიშნა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — შენთვის ხომ სულ ერთია.

— სულ ერთია, — დაეთანხმა ქალი. — ისე დავუხვდები სულიკოებს... სამუდამოდ დამიმახსოვრებენ!

მოგვიანებით გაირკვა, რომ „ენაჭარტალა კატკამ“ საოჯახო დაკითხვაზე ყველაფერი როდი თქვა. იმის შიშით, რომ სხვა მულტფილმებსაც არ აყურებინებდნენ, მან დამალა, რომ „მუზეუმის თანამშრომლის“ თხოვნით შემოსასვლელისა და საძინებელი ოთახის გასაღებების ანაბეჭდები გააკეთა.

ამგვარად, მაშინ, როდესაც საოჯახო საბჭო თათბირობდა, ნახევარშეფს უკვე მზად ჰქონდა კრასინების ბინის გასაღებები. ვარვარა იგნატიევნა უღელმომარჯვებული, კვლავ ელოდა უცხო, ნიღაბაფარებულ კაცს, ფედორ ივანოვიჩი კი საკუთარი სახით მოვიდა და თანაც ღამით.

ნახევარშეფი დაელოდა, როდის ჩაქრებოდა კრასინებთან სინათლე (ფედორ ივანოვიჩმა არ იცოდა, რომ საძინებელში გენადი ონუფრიევიჩთან ერთად სენეჩკა იჯდა და კედელზე ფერად დიაპოზიტივებს აპროექტებდა), და უზარმაზარი ჩემოდნით ხელში უხმაუროდ გააღო გასაღებით შემოსასვლელი კარი, სპეციალური კაუჭით მოხსნა ჯაჭვი, ფეხზე გაიხადა, ფეხაკრეფით მიიპარა საძინებლის კართან, გასაღები გაუკეთა და გადაატრიალა.

ამ დროისათვის ფედორ ივანოვიჩი კარგად იყო ნავარჯიშევი სხვისი კარების გაღებაში. ღამღამობით დაცარიელებულ ინსტიტუტში მეცნიერი გასაღებების, სახვრეტელების, საღებების ჩხრიალით დერეფნებში დადიოდა და აღებდა კარებს. ერთი კვირის შემდეგ უკვე ისე დაოსტატდა, რომ სეიფების გამტეხ ქურდებსაც კი არ ჩამოუვარდებოდა.

კურდიუკოვმა საძინებლის კარს სწრაფად მოარგო გასაღები. მეორე მხრიდან გაკეთებული გასაღები ადვილად გადაბრუნდა ბუდეში და გამოვარდა.

სენეჩკა და გენადი ონუფრიევიჩი უცბად წამოხტნენ. კლიტეში ფრთხილი ფხაჭუნის ხმა გაისმა.

— ის არის, — წაიჩურჩულა კრასინმა. — კარადაში დაიმალე!

სენეჩკა კარადას ეცა. უმცროსმა ლაბორანტმა აკანკალებული ხელებით გახსნა კარი და დაკიდებულ ტანსაცმელში ჩაიმალა. გარედან გასაღები გადაატრიალეს — გენადი ონუფრიევიჩმა თავისი ამხანაგი ჩაკეტა.

სენეჩკამ კარადის სიღრმისაკენ გაიწია, რათა უფრო მოხერხებულად მოწყობილიყო, და უცებ რაღაც ცოცხალს, რბილსა და თბილს შეეჩეხა. მოულოდნელობისა და შიშისაგან გაოგნებული, ის იყო, ბავშვივით აბღავლებას აპირებდა, რომ ვიღაცამ მძლავრად დააჭირა პირზე ხელი.

— წყნარად! ჩუმად იყავი და არ გაინძრე! — ჩაუჩურჩულეს ყურში.

უმცროს ლაბორანტს ცისფერი ბურუსი გადაეკრა თვალებზე. იგი რბილად ჩაჯდა კარადის ძირზე.

ამ დროს საძინებლის კარი გაიღო და ოთახში თავისი უზარმაზარი ფანერის ჩემოდნითურთ კურდიუკოვი შემოიძურწა. ფედორ ივანოვიჩი ისე იყო გართული ჩემოდნის კარებში შემოტანით და ისე იყო დარწმუნებული თავის მოხერხებულობაში, რომ უცბად ვერც კი შეამჩნია მის გვერდით მდგომი გენადი ონუფრიევიჩი.

— გამარჯობათ, ფედორ ივანოვიჩ, — ჩუმად თქვა კრასინმა.

შეფი შეკრთა, ყბა ჩამოუგრძელდა, უზარმაზარი ჩემოდანი ხელიდან დაუვარდა.

— გაუმარჯოს, — ანგარიშმიუცემლად წაიბურტყუნა მან.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორი ამინდია გარეთ? — იკითხა კრასინმა.

— თბილი საღამოა.

— ღამეა...

— ჰო, მართლა, ღამეა...

— დაჯექით, ფედორ ივანოვიჩ. — კრასინმა სავარძელი მოუჩოჩა. — სადგურისკენ გაგიწევიათ?

შეფი სავარძელში ჩაჯდა. თანდათან გონს მოეგო.

— სადგურში? რატომ იფიქრეთ? არა... თუმცა ჰო... კურსკში მივემგზავრები, ნათესავებთან...

— კურსკში?

— დიახ, იქ დეიდა მყავს. უკვე ღრმად მოხუცებულია...

— დეიდა?

— დიახ... თვითმფრინავის გასვლამდე კი...

— მატარებლის გასვლამდე.

— ჰო... მატარებლის გასვლამდე კიდევ ორი საათია. ვიფიქრე, მოდი, შევიღლი, ვნახავ-მეთქი... მითუმეტეს, მეგონა, ახლა საღამოა...

— გასაგებია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ მასთან ვაშლი მიგაქვთ? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა გენადი ონუფრიევიჩმა.

— ვაშლი? — გაიკვირვა ფედორ ივანოვიჩმა. — საიდან მოიტანეთ?

— თქვენი ჩემოდანი დახვრეტილია.

— ჰო, მართალია... ძალიან დაკვირვებული ყოფილხართ... ვაშლი მიმაქვს.

— ვაშლი კურსკში?

— რასაკვირველია... მაგრამ საერთოდ თქვენ მართალი ხართ. ვაშლი კურსკში — სასაცილოა. მე მინდოდა მეხუმრა. გოჭი მიმყავს.

— გოჭი?

— ჰო, რა, ძუძუს გოჭი. დეიდას ძალიან უყვარს გოჭები. აი, ამიტომ აქვს ჩემოდანს ნახვრეტები.

— ლოგიკურია.

— რასაკვირველია, ლოგიკურია. — ნახევარშეფმა ხმაურით ამოისუნთქა ჰაერი. მას წინანდებური თავდაჯერებულობა დაუბრუნდა.

— მერე რატომ არ ჭყვიტინებს?

— რატომ უნდა იჭყვიტინოს? სძინავს, ჭამა, დალია. რძე პაკეტიდან დავალევინე. ჰო, ახლა კი წავედი, თორემ მატარებელი გამასწრებს.

— გზა მშვიდობისა.

— გმადლობთ.

მეცნიერებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— მაშასადამე, ყველაფერი ნორმალურად მიდის?

— უმაღლეს დონეზე.

— მოხარული ვარ.

— მეც.

— ნახვამდის.

კურდიუკოვმა და გენადი ონუფრიევიჩმა ისევ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

— იზრდება, ყაჩაღანა? — ფედორ ივანოვიჩმა შურიკ-სმიტის საწოლისაკენ გაიხედა.

— სხვა რა დარჩენია?

— ენა ხომ არ ამოიდგა?

— ჯერ ადრეა.

— აღუს ხომ ამბობს?

— აღუს ამბობს.

— რომელ ენაზე?

— ჯერ გაურკვეველია.

— კარგით, წასვლის დროა.

— კარგად იყავით.

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

მეცნიერებმა უკანასკნელად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ნახევარშეფმა ჩემოდანი აიღო და კარისკენ წაათრია. ჩემოდანი სავარძელს გამოედო. კურდიუკოვმა მოქაჩა. ძველმა ფანერის ჩემოდანმა ჯაჯგურს ვერ გაუძლო და დაიშალა. იატაკზე დაცვივდა რაღაც ჩვრები, ბოთლები, თოკები, ბამბის ნაგლეჯები...

ფედორ ივანოვიჩი იატაკიდან წამოდგა და გამომწვევად ჩააშტერდა გენადი ონუფრიევიჩს. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. ფეხებთან ეგდო ნამდვილი კონტეინერი შურიკ-სმიტის მოსაპარავად.

— ნებით მომეცი, — უთხრა კურდიუკოვმა მუქარით.

გენადი ონუფრიევიჩმა რაისშინისაკენ გაიწია. ფედორ ივანოვიჩმა არც აცივ-აცხელა, ჩემოდანს ხელი დასტაცა და მოკურცხლა.

— ინანებ! — ესღა მიაძახა საბრალო მამას. — ძალიან ინანებ!

გენადი ონუფრიევიჩმა მოკრიფა ბამბის ნარჩენები და ჩვრები (ეს თვითნაკეთი სახვევები აღმოჩნდა) და ყველაფერი სარკმლიდან გადაყარა. შემდეგ ტანსაცმლის კარადა გააღო და თქვა:

— სენეჩკა, გამოდი.

მოისმა რაღაც ჩოჩქოლი, ჩურჩულის ხმა.

— ეი, ხომ არ დაგეძინა მანდ?

— მოვდივარ, გენადი ონუფრიევიჩ... ახლავე.

კარადიდან თმაგაბურძგნილი სენეჩკა გამოძვრა, თან შეცბუნებულმა ჩაახველა.

— ცოტა ჩამთვლიმა...

— გესმოდა?

— რაღაც-რაღაცეები მესმოდა.

— იმ უწმინდურს სმიტის მოპარვა უნდოდა.

— არამზადა...

— ჩემოდნით მოვიდა. ნახვრეტების მიხედვით მაშინვე მივხვდი. იცი, ისეთი, ვაშლის ამანათებზე რომ აკეთებენ.

— ვიცი...

— კლიტე უნდა გამოვცვალოთ.

— ახლა აზრი აღარა აქვს. კურდიუკოვი ის კაცი არ არის, რომ კიდევ გაიმეოროს. ახლა რაღაცას გამოიგონებს. მოულოდნელობებისათვის უნდა მოვემზადოთ.

— სენია, ოღონდ ნუ მიმატოვებ.

— მშვიდად იყავით, გენადი ონუფრიევიჩ. სამარემდე თქვენი ერთგული ვიქნები.

მაგრამ სენეჩკა მხოლოდ ივლისამდე დარჩა ერთგული. 18 ივლისს, სამშაბათს, გენადი ონუფრიევიჩმა თავის მაგიდაზე სქელი კონვერტი ნახა. დილიდან მაგიდაზე არავითარი პაკეტი არ ყოფილა. გაკვირვებულმა კრასინმა აიღო იგი და წაიკითხა:

ბ. ო. კრასინს

პირადად საკუთარ ხელში

მეცნიერმა წინასწარ იგრძნო, რომ წერილი სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო, მოუთმენლად გახსნა კონვერტი და ორი

ფურცელი ამოიღო. ერთზე აჩქარებული და გაურკვეველი ხელით ეწერა:

„პატივცემულო გენადი ონუფრიევიჩ!

მომიტევე, თუ შეიძლება. ადამიანი სუსტი არსებაა და მე გამონაკლისი არა ვარ. ყველას არა აქვს იმხელა შეუპოვრობა და ვაჟკაცობა, რამდენიც შენ. მე, უბრალოდ, არ გამოვდგები ისეთი ტიტანური საქმისათვის, რომელსაც შენ შეეჭიდე.

ახლა მე ბედნიერი ვარ... შენ უნდა გამიგო. შენც ხომ თავისებურად ბედნიერი ხარ, ეს საოცარი გრანდიოზული ექსპერიმენტი რომ წამოიწყე.

ვერაზე ნუ იდარდებ. გეფიცები, შევეცდები, რათა ისიც ბედნიერი იყოს...

გაუმარჯოს ბედნიერებას!

ნუ გვეძებ. ეს უაზრობაა. თუმცა შენ არც დაკარგავ ამაზე დროს, შენ ხომ მეტისმეტად დაკავებული ხარ.

აბა, აბა, შუბლს ნუ შეიკრავ, მომეცი თათი. ყველაფერი კარგად იქნება, ო' კეი,

ს ე ნ ი ა“.

მეორე წერილი დაწერილი იყო კალიგრაფიული ხელით. კრასინმა მაშინვე იცნო ქალიშვილის ხელნაწერი.

„ძვირფასო მამა!

რომ იცოდე, რა მშვენიერია ყველაფერი! რა გახარებული ვარ! ხვალ მე და სენია უკვე შორს, შორს ვიქნებით. ჩვენ ვნახავთ ბაიკალს, ამურს, სახალინს, კამჩატკას... შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ შემძულდა ჩვენი სახლი, გაუთავებელი ლაპარაკი მეცნიერებაზე, მეცნიერებაზე, მეცნიერებაზე... როგორ მესმის დედაჩემის! ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იძულებული იყო შინ მჯდარიყო, უარი ეთქვა ყველაფერზე, რაც ქალს იზიდავს: გართობა, მორთულობა, უბრალოდ, ყურადღება...

შეიძლება ეს შეურაცხმყოფელიც იყოს, მაგრამ მე ძალიან გამიხარდა, როცა დედამ შეძლო მიეტოვებინა ჩვენი უფერული, ლოკოკინასავით მცოცავი ცხოვრება...

ახლაც კი, როცა დედა უკვე ამდენი ხანია ჩვენთან აღარ არის, შენ თითქმის არც გაგონდება იგი. მე მგონია, შენ გიხარია

კიდეც — ტირილითა და საყვედურებით ხელს აღარავინ გიშლის ექსპერიმენტის ჩატარებაში.

მე ვიცი — ჩემს წასვლასაც ადვილად გადაიტან. უფრო სწორად, რამდენიმე დღის შემდეგ დამივიწყებ. რას იზამ, შენგან არც მწყინს. შენ საქმეს მიაგენი, იპოვე შენი მოწოდება. მეც ვეცდები, ვიპოვო ჩემთვის იგივე. თუ ვერ შევძლებ, რა ვქნა, დაე, მეც მერგოს მარადიული „დედაკაცის ხვედრი“ — ვზარდო და მიყვარდეს შვილები. (რასაკვირველია, ყოველგვარი ექსპერიმენტის გარეშე!).

შენ ერთხელაც არ დაინტერესებულხარ, რას ვაპირებდი ათწლედის დამთავრების შემდეგ. ჩვეულებრივ, მამებს ეს საკითხი მეტად აღელვებთ. მაშ ასე, ჯერჯერობით არაფერს. მოვივლი სენიასთან ერთად ქვეყანას, ალბათ საჩემო საქმესაც ვიპოვი.

ჩემ მაგიერ აკოცე შურიკს (თუმცა დამავიწყდა — ამან შეიძლება დაარღვიოს ცდის სიწმინდე!).

ნუ გაჯავრდები სენიაზე, იგი უბრალოდ ადამიანია. როგორც ყველას, მასაც თავისი სუსტი მხარეები აქვს. ამიტომაც შემიყვარდა.

გკოცნი, მიყვარხარ, მუხლს ვიყრი შენ წინაშე, გემუდარები მაპატიე.

ვ ე რ ა“.

გენადი ონუფრიევიჩმა აკურატულად ჩადო წერილები კონვერტში, გავიდა სასადილოში და რამდენიმე წუთს შუა ოთახში გაუნძრევლად იდგა.

— ხომ არაფერი მოხდა, შვილო? — შეშფოთებულმა იკითხა ვარვარა იგნატიევნამ.

— აი, — კრასინმა უხმოდ გაუწოდა წერილები.

— ონუფრი! — დაიყვირა ვარვარა იგნატიევნამ. — ონუფრი, მოიტანე შენი სათვალე!

სამზარეულოში დავარდა და გაგორდა უღლის დასამზადებელი ხე. მოირბინა შეშინებულმა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— რა? სად?

— სათვალე მოიტანე-მეთქი!

ვიდრე მოხუცები სქელ კონვერტში ჩადებულ წერილებს

კითხულობდნენ, მეცნიერი ფანჯარასთან მივიდა და თითებით მინაზე კაკუნი დაიწყო, თან ეზოში იყურებოდა.

წერილის აზრს პირველი ვარვარა იგნატიევნა ჩაწვდა.

— გაიქცა! — დაიყვირა მან. — იმ ლაწირაკ ბიჭს გაპყვა! დედის კვალზე წავიდა! კვიცი გვარზე ხტის!

ონუფრი სტეპანოვიჩმა ბოლომდე ვერ გაიგო.

— ვინ გაიქცა? ვისთან?

— ვერკა სენკასთან ერთად გაიქცა! ო, ღმერთო ჩემო. გული მიგრძნობდა, რომ ისინი პირს შეკრავდნენ. სულ გარშემო უტრიალებდა, ეკვნებს აწკრიალებდა. მილიციაში უნდა დავრეკოთ! ონუფრი! რას უდგეხარ? დარეკე მილიციაში! ო, ღმერთო, წინათ ასეთი საქციელისთვის გოგოების ჭიშკარზე კუპრს უსვამდნენ, ახლა კი სადღაა ჭიშკრები. ამიტომაც გავიდნენ თავს. ონუფრი! რაა დაგიღია პირი? დარეკე!

ონუფრი სტეპანოვიჩი ტელეფონს მივარდა.

— 01?

— რომელი 01? შენ რა, სულ გამოშტერდი, ბერიკაცო? 01 სახანძროა, 02 დარეკე! მილიციაში!

— თავი დაანებე, დედა! — თქვა გენადი ონუფრიევიჩმა, რა საჭიროა ყოველივე ეს! სრულწლოვანია! მილიცია ვერაფერს გვიშველის...

— ეს რა ხდება დედამიწის ზურგზე! — აქვითინდა ვარვარა იგნატიევნა. — ცოლი გაიქცა, შვილი გაიქცა. საბრალო ჩემო ბიჭო!

ვარვარა იგნატიევნა მივარდა შვილს, კისერზე მოეხვია.

— ჩემო საყვარელო, ძვირფასო ბიჭო! რა ცოდვებს გამო ისჯები ასე? რა დააშავე? ჭკვიანი ხარ, თვალადი, არ სვამ, პაპიროსს არ ეწევი... ღმერთო! ეს რა დედაკაცები გაჩნდნენ ახლა? ნეტა რა უნდათ ასეთი? სულ დარბიან, კუდი ყავარზე გაუდვიათ. კარგმა ცხოვრებამ გადარიათ! აი, რა! რომანტიკა და წაულას ბეწვის ქურქები ნებავთ. „მანსიპაცია“ — გაზეთებში წერენ და ტელევიზორით ყურს აყრუებენ. აი, ესეც შენი „მანსიპაცია“. ყველგან მხოლოდ ცოლ-ქმრის გაყრაა გაიგებ. ძველად დედაკაცები მორჩილებაში ჰყავდათ. ასე სჯობდა კიდეც. რაღაცას შეამჩნევდნენ — ურტყამდნენ და ურტყამდნენ მათრახებს! ნუ სულელობ, ნუ გატუტუცდები! ოჯახიც მტკიცე იყო,

შვილებიც ბლომად ჰყავდათ! ახლა? ბავშვის გაჩენა აღარ სურთ — აი, სადამდე მივედით! გაზეთებშიც კი იცოდებენ საბრალოებს, აქაოდა, ბევრი იმუშავა და სახლში სავსე ჩანთას ძლივს მოათრევს ტანჯული. მე კი გეტყვით — სამსახურში მთელი დღე ქაქანებს, შინ მოვარდება, ჩაისა და ბუტერბროდებს დაამზადებს — ასე ჰგონია, ოჯახი დააპურა. წვნიანის მოხარშვას გადაეჩვივნენ! აი, რას მივაღწიეთ!

ძველად ქალი დილიდან საღამომდე მინდორში იყო, მერე გათენებამდე ოჯახში ტრიალებდა. აი, როგორ იყო. მერე როგორი მაგარი დედაკაცები იზრდებოდნენ! რა ფერხორციანები იყვნენ! ახლა? შარვალს ამოიცვამს, ღმერთო მაპატიე, უკანალის მაგიერ ორ ჯოხზე დგას, ცხენის ძუას თავზე დაიხვევს, პაპიროსს პირში გაიჩრის და ეძებე დილამდე. ხომ მართალს ვამბობ, ონუფრი?

— მართალი ხარ, მართალი,—ჭაღარა თავი დაუქნია ქმარმა.

— გახსოვს, მე რომ დამდევდი, როგორი ვიყავი? ნაპერწკლები მცვიოდა ხელებიდან. როგორ ვეფერებოდით ერთმანეთს—მთელი ღამე ნამიან ბალახზე დავდიოდით... ახლა... აუწევიათ ქვედა კაბა... — ვარვარა იგნატიევნა დივანზე დაჯდა და ატირდა, დიდი ნაჯაფი ხელები მუხლებზე დაიწყო და ყვითელი, დანაოჭებული სახე აუკანკალდა.

— მოვლენ კიდევ, საძაგლები... მოვლენ... სახლში ფეხს არ შემოვადგმევინებ, ვიდრე ცოცხალი ვარ...

— გეყოფა, დედა, — გენადი ონუფრიევიჩმა მხრები შეანძრია, თითქოს რაღაც ჩამოიბერტყაო. — სმიტის ჭამის დროა. ბოთლში რძე ჩამისხი...

კიპენინგი

თავი პირველი.

რომელშიც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაირეკა კრასინების ბინაში ტელეფონის ზარი, რა საუბარი შედგა, რა მოჰყვა ამას, აგრეთვე გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ, საბედნიეროდ, ეს შემთხვევა მოხდა ჩვენთან, პიონერთა პარკში და არა სადღაც ამერიკაში, მაგალითად, ჩიკაგოში

დის გაქცევა რომ გაიგო, „ენაჭარტალა კატკამ“ თქვა:

— ძალიანაც კარგი. ერთი არანორმალურით ნაკლები იქნება. ამ ღლაპსაც რომ როგორმე მოვიშორებდე, მაშინ კიდევ შეიძლება ცხოვრება.

— გაჩუმდი, ღვთისმგმობელო! — დაუტატანა ვარვარა იგნატიევნამ. — ახლა მაინც მოგივლი! იატაკსაც მორეცხავ და პურზეც წახვალ!

— მერე რატომ?

— იმიტომ, რომ ჩახეთქვა გინდა! არ წახვალ და ვერც ჩახეთქავ. ჩანთა აიღე და ახლავე მაღაზიაში მოუსვი!

მაშ ასე, მთელი ძალაუფლება ოჯახში ახლა ვარვარა იგნატიევნამ აიღო, და მოხუცმაც მალე გამოამჟღავნა უნარი, რომელსაც ადრე უნებურად ფარავდა — ოჯახის დიასახლისის ტალანტი.

კატკა ჯერ აიმრიზა, მას ახალი წესრიგი მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა, მაგრამ ბებიამ მოხერხებულად გამოიყენა იარაღად მულტფილმები, ტკბილეული, პარკში გასეირნება, კინოფილმები და თავნება „ენაჭარტალა“ იძულებული გახდა გულის კანკალით დამორჩილებოდა.

კონტრცდა „რღვევა“ თავისთავად შეწყდა. ვარვარა იგნატიევნა ახლა მშვიდად ვეღარ უყურებდა ბედუკუღმართ ტანსაცმლის კარადას — ამდენი უბედურების წყაროს.

ცდის სიწმინდის ჩაშლას ზოგჯერ მხოლოდ ონუფრი სტეპანოვიჩი ახერხებდა. როდესაც ოჯახი სამზარეულოში საჭმელს შეექცეოდა, იგი ხან საღებავს, ხანაც წებოს მოიმიზეზებდა, საძინებელში შეეიდოდა და შვილიშვილს ელაპარაკებოდა.

— ეს ჯოხია, — ამბობდა ონუფრი სტეპანოვიჩი და აჩვენებდა საუღლე მასალას. — ეს კი უღელი... მე კი შენი პაპა ვარ... ონუფრი... აი, გაიზრდები, წაგიყვან სოფელში, გასწავლი დურგლობას, ზეინკლობას, მიწის ხვნას...

შურიკ-სმიტი უაზროდ აპაჭუნებდა შავ თვალებს.

— ახლა კი ნახვამდის. ნიხტ გუდბაი, ნიხტ აუფიდერზეინ, არამედ „ნახვამდის". (პაპა ომის დროს პარტიზანად იყო და ცოტა გერმანულიც იცოდა). ახლა კი მოდი გაკოცებ.

პაპა, რათა შვილიშვილი „პორტვეინ-72"-ის გოგირდმჟავასავით მძაფრი სუნით არ მოეწამლა, სუნთქვაშეკრული კოცნიდა ვარდისფერ ლოყაზე.

და კვლავ კრასინების ცხოვრება ნელა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ჩადგა თავის კალაპოტში. „დრო ყველაფრის მკურნალიაო", — ამბობს ხალხური სიბრძნე. და მართლაც, ირინჩკას და ვერას სახეები ნელ-ნელა გაუფერულდა დანარჩენი კრასინების მეხსიერებაში; დედისა და შვილის უგუნური მოქმედებით გამოწვეული ტკივილი მიყუჩდა. როგორც ყოველთვის, მიმდინარე ცხოვრებამ თანდათან გაიმარჯვა, მოგონებებს მახვილი კუთხეები ჩამოათალა.

— არა უშავს, ჩემო შვილო, — ოხრავდა ვარვარა იგნატიევნა და თავჩაქინდრულ შვილს ხელს უსვამდა. — ყველაფერი მოგვარდება. ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაზე საშინელი. ადამიანებს ამაზე უარესიც ემართებათ და მაინც ცოცხლობენ. ვინ იცის, შვილო, რას გვიმზადებს კიდევ ბედი...

ბედმა დიდხანს არ ალოდინათ. 29 ივლისს, 14 საათზე კრასინების ოჯახში ტელეფონმა დაიწკრიალა. ყურმილი ვარვარა იგნატიევნამ აიღო.

— ალო! — გაისმა მამაკაცის ხმა. — ალო! კრასინების ბინაა?

ხმა ჩახლეჩილი, მოგუდული იყო, თითქოს ადამიანს, რომელიც ლაპარაკობდა, ყელზე ხელს უჭერენო.

— დიახ. ის არის, — უპასუხა ვარვარა იგნატიევნამ.

— ოჯახის უფროსი მოვიდეს. სასწრაფოდ.

— რა მოხდა? — აღელდა ვარვარა იგნატიევნა.

— სწრაფად! — მოუთმენლად გაიმეორა ხმამ.

— შვილო! — დაუძახა მოხუცმა. — ტელეფონთან გთხოვენ!

გენადი ონუფრიევიჩი არაფრისმთქმელი გამომეტყველებით საძინებლიდან გამოვიდა, თან წებოთი დასვრილ თითს ილოკავდა...

— გისმენთ...

უაზრო გამოხედვა თანდათან გაქრა გენადი ონუფრიევიჩის სახიდან. უცბად თვალებში მძვინვარება ჩაუდგა, წამოჭარხლდა.

— ო, თქვე არამზადებო! — ჩასძახა მეცნიერმა ყურმილში.

შემდეგ კრასინი გაფითრდა და ისე მაგრად იკბინა ტუჩზე, რომ სისხლი გამოუვიდა. გენადი ონუფრიევიჩმა კიდევ რაღაც ლანძღვა-გინება ჩაიბურტყუნა და ყურმილი დააგდო. მერე მეცნიერი ფანჯარასთან მივიდა და მდუმარედ აათამაშა თითები ფანჯრის მინაზე. ვარვარა იგნატიევნა შეშფოთებული ადევნებდა თვალს შვილს.

— ვინ დარეკა? — ჰკითხა მან. — ვერასგან ხომ არ იყო?

ექსპერიმენტატორმა არაფერი უპასუხა. ტუჩიდან ნიკაპზე სისხლის წვრილი ნაკადი მოსრიალებდა. ვარვარა იგნატიევნა საოჯახო აფთიაქს ეცა, იოდი და ბამბა მოიტანა.

— მომეცი, მოგწმენდავ, შვილო...

გენადი ონუფრიევიჩმა ვერ გაიგო, შემობრუნდა და საძინებელში შევიდა, საიდანაც ამ დროს შურიკ-სმიტის ჭირვეული ყვირილი გაისმა.

შეშფოთებული დედა ონუფრი სტეპანოვიჩთან გაიქცა. დაუცხრომელი ოსტატი ახალ უღელს ამზადებდა და ჭიქიდან მუქ სისხლისფერ „პორტვეინ-72“ წრუპავდა.

— ისევ ყლურწავ, ბებერო ლოთო! — ეცა ვარვარა იგნატიევნა. — არაფერი არ გაინტერესებს! წადი ბიჭთან, ათქმევინე, ვინ დაურეკა. იქნებ ღვინით გაუმასპინძლდე. ღმერთო, ეს რა ოჯახია? შვილი პირს არ აკარებს, მამა კი მეეტლესავით ყლურწავს.

— ახლა ასე ამბობენ: „სვამს, როგორც სკმ-ის ზეინკალიო“, — ჩაიბურდღუნა პაპამ, მაგრამ მაინც მორჩილად დადო უღელი და შვილისაკენ წაჩანჩალდა, თან ჭიქა და „პორტვეინ-72“-ის ბოთლი გაიყოლია. ცოლი უკან მიჰყვა.

ბებია და პაპა დერეფანში შევიდნენ თუ არა, კვლავ დარეკა ტელეფონმა. ვარვარა იგნატიევნამ სწრაფად სტაცა ხელი ყურმილს.

— ალო! ალო!

— კრასინი! — თქვა იმავე მოგუდულმა ხმამ.

— ვინ კითხულობს? — გაბედა კითხვა ვარვარა იგნატიევნამ.

— შენი ჭკუის საქმე არ არის, — უხეშად უპასუხა ხმამ. — ახლავე დაუძახე შენს შვილიკოს. მოსაფიქრებლად ხუთი წუთი მივეცი.

ვარვარა იგნატიევნა შეშინდა. ასე კადნიერად და უხეშად თავის დღეში ჯერ არავინ დალაპარაკებია.

— ახლავე... ახლავე...

იგი საძინებელში გაიქცა და წაიჩურჩულა:

— შვილო... ისევ რეკავენ... შენ გკითხულობენ... რაღაც ხუთი წუთიო...

მეცნიერმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაფითრებული ტუჩები უფრო მაგრად მოკუმა.

— მაშ რა ვუპასუხო?

— ჯანდაბამდე... — გენადი ონუფრიევიჩმა აღარ დაასრულა, მაგრამ ის, რაც წამოსცდა, ამან ერთიანად შეძრა დედა. მის შვილს დედის თანდასწრებით ჯერ არასდროს შეუგინებია.

— შეიძლება მაინც...

— ნუ მიშლი, დედა. მე ვმუშაობ! — შვილს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომ ვარვარა იგნატიევნა ოთახიდან გამოიძურწა და ძუნძულით მივარდა ტელეფონს.

— ალო! ალო!

— სად არის? — ამოიხრიალა ხმამ.

— მას... მას არ უნდა ლაპარაკი...

ყურმილი დადუმდა.

— არ უნდა? — მუქარით ამოიხრიალა ხმამ. — რას ვიზამთ... სამწუხაროა. მაშინ დაემშვიდობეთ თქვენს კატკას.

— რო... რომელ კატკას? — გაოცდა ვარვარა იგნატიევნა.

— რამდენი კატკა გყავთ?

ვარვარა იგნატიევნას მუხლები მოეკვეთა და ძლივს მოასწრო ტელეფონის მაგიდასთან მდგარ სკამზე ჩამოჯდომა.

„ენაჭარტალა" დაახლოებით საათ-ნახევრის წინ რძისა და პურის მოსატანად წავიდა და, დიდი ხანია, უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ვარვარა იგნატიევნა მაინცდამაინც არ წუხდა, რადგან დარჩენილი ხურდით გოგონას ნაყინით პირის ჩატკბარუნება უყვარდა ხოლმე მათი სახლის წინ კაფეში და ზოგჯერ იგვიანებდა.

— რა... რა დაემართა კატკას? — იკითხა ბებიამ უცებ შეცვლილი ხმით.

— კიპენინგი! გაიგე?

— არა...

— ოჰ, უმეცრებავ. ბავშვების მოტაცება. როგორც ამერიკაშია, მაგალითად, ჩიკაგოში. გაზეთები უნდა იკითხო. ჩვენ მოვიტაცეთ თქვენი კატკა.

საბრალო ქალს გული გაუჩერდა.

— რატომ?

— პატარაში გასაცვლელად. გაიგე, დედაბერო? მოგვცემთ ბავშვს — კატკას უკან დაგიბრუნებთ.

— რ... რომელი ბავშვი?..

— აი, ის... სმიტი თუ შურიკი, როგორც თქვენ ეძახით. მე უკვე ვუთხარი შენს შვილიკოს. დღეს 18.00 საათზე, პიონერთა პარკში, დადებთ ბავშვს შესასვლელიდან ხელმარჯვნივ მესამე სკამზე და მაშინ ერთ საათში თქვენი შვილიშვილი სახლში მოირბენს. შურიკს კი სამი წლის შემდეგ დაგიბრუნებთ. გაიგეთ? შეაგნებინე შენს შვილიკოს, როგორც წესი და რიგია. მაგრამ არ გაბედოთ მილიციაში განცხადება. თქვენი ტელეფონი სპეციალურ აპარატთან შევაერთეთ და ვისმენთ, სახლს ვყარაულობთ, თუ რაიმე საეჭვოს შევნიშნავთ — კიჭი-კიჭი და აღარ არის თქვენი კატკა. გინახავს ალბათ საზღვარგარეთული ფილმები? კიპენინგი. გესმის, დედაკაცო? ახლა კი, როგორც ამერიკაში ამბობენ, გუდ ბაი. სკამთან შეხვედრამდე!

ყურმილში გაბმული ზუმერი გაისმა. ცოტა ხნით ვარვარა იგნატიევნამ გრძნობა დაკარგა. მერე გონს მოეგო, მაგრამ გულ-

მა შემოუტია, საბრალო ქალმა ხალათის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ვალიდოლი ამოიღო და ენის ქვეშ დაიდო...

ტკივილი ნელ-ნელა მოეშვა, მაგრამ გული არათანაბრად, წყვეტილად სცემდა. ვარვარა იგნატიევნა ბარბაც-ბარბაცით გაემართა საძინებლისაკენ.

მამა-შვილი მაგიდას შემოსხდომოდნენ და „პორტვეინ-72“ სვამდნენ.

გენადი ონუფრიევიჩის წინ ცარიელი ჭიქა იდგა, გაფითრებული შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დასცვაროდა.

— ესეც მაგათ, — ამბობდა ენადაბორკილი შვილი და ფანჯრისკენ ვიღაცას ბრანწს უჩვენებდა. — ვერაფრით მომერევიან. ხელ-ფეხიც რომ მომჭრან, მაინც ვერ მომერევიან.

— მაშ გოგოს რაღა ეშველება? — ეკითხებოდა მამა და შვილს არ უსმენდა. — რა ეშველება, ჰა?

— სმიტი მოითხოვეს... დახეთ, რა მოუნდათ!

მეცნიერი კანკალებდა, თვალებიდან ცრემლები სცვიოდა. სხვისი ტანჯვა ქალებს ყოველთვის ძალას ჰმატებს. ვარვარა იგნატიევნამ ხელი გამოსდო შვილს და ტახტზე დააწვინა, სადაც მას ჩვეულებრივ ეძინა ხოლმე.

— დაისვენე, შვილო... ექვსამდე კიდევ დროა. იქნებ რაიმე მოვიფიქროთ...

— არ მივცემ! — წაიბურტყუნა მეცნიერმა. — დედა, კანაფი მომიტანე, იქ, მაგიდაშია... ახლა შეაბი სმიტს ფეხზე... ბოლო აქ მომეცი...

გენადი ონუფრიევიჩმა თოკის ბოლო ხელზე შემოიხვია, დამშვიდდა და მაშინვე ჩაეძინა. მოხუცები სამზარეულოში გავიდნენ მოსათათბირებლად, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

სამი გზა იყო:

1. შურიკი მიეცათ, სამაგიეროდ კატია მიეღოთ.

2. არ მიეცათ შურიკი, კატია დაეკარგათ.

3. განეცხადებინათ მილიციაში. გაეწირათ კატიას სიცოცხლე.

ამ სამიდან არც ერთი არ ვარგოდა.

ამ დროს ონუფრი სტეპანოვიჩმა მეოთხე გზა მოიფიქრა.

მეოთხე გზა ავანტურული და საკმაოდ საშიში იყო, მაგრამ

მეტი გამოსავალი აღარ ჩანდა. მოხუცებმა გეგმის ყველა დეტალი განიხილეს და ბოლოს და ბოლოს ამაზე შეჩერდნენ.

დრო არ ითმენდა. პიონერთა პარკში შეხვედრამდე დაახლოებით ორი საათიღა იყო დარჩენილი და ბებიამ და პაპამ გაცხარებით იწყეს მზადება გამტაცებლებთან შესახვედრად.

გაგანია ზაფხული იყო, მაგრამ შორს, ძალიან შორს, მდინარეებსა და ველებს გადაღმა უკვე იგრძნობოდა შემოდგომის სუნთქვა. შუადღის ცხელი მზით გალივლივებულ პიონერთა პარკში ზაფხულის სურნელება ტრიალებდა: ცაცხვებქვეშ გამხმარი ბალახის, გამოფიტული, მტვრიანი ხის ქერქის, გავარვარებული ასფალტის და ლაქვარდი ცის სუნი. ცხელი ნიავი ხეივნებში დანავარდობდა და ხან აძლიერებდა, ხან კი ახშობდა ქალაქის ხმაურს, მოუხმობდა ჩამსხდარიყვნენ ელექტრომატარებელში და გაექროლათ გავარვარებულ, აქა-იქ უკვე მომკილი ზვინებით მოფენილ მინდვრებში, სადაც მწყრები დაშლიგინებენ, ანდა მწკლარტე სუნით გაჟღენთილ პურის ყანებში; გაენავარდებინათ აშოლტილ, თითქოს აგუგუნებულ, ათასნაირი მცოცავი ჩრდილებით დასახლებულ ფიჭვნარში, ებანავათ მდინარის ანკარა წყალში, პურის ყანებსა და ბალახებში რომ ჩაკარგულიყო...

მაგრამ ამასთან ქარმა უკვე დაბერა და ცივი ღამეების, დამპალი ნეკერჩხლის ფოთლების, კვრინჩხის მტრედისფერ ბუჩქებზე გაბმული ობობას ქსელის სურნელება მოიტანა...

მოხუცები შემოსასვლელიდან მარჯვნივ, მესამე სკამზე ჩამოსხდნენ, გვერდით მოიდეს ბოხჩა, რძიანი ბოთლი, ჩხრიალები და გაყუჩდნენ.

დიდი ხანია, აღარ მსხდარან ასე ჯუფთად, ერთმანეთის გვერდით... დიდი ხნის წინათ იყო, შორეულ სიჭაბუკეში... როცა შრიალებდა ზაფხულის სურნელებით გაჟღენთილი ნიავი, მათ ზემოთ კი ლაქვარდოვანი ცა კამკამებდა...

— ეჰ, ბებრუხანა, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — ცხოვრებამ უკვე ჩაიარა... მაგრამ სიკვდილი არ მინდა... აი, ასე ვიცხოვრებდი და ვიცხოვრებდი კიდევ ას წელს. ოღონდ სოფელში, შინისკენ მიმიწევს გული... ტყეში მირჩევნია სიკვდილი, უკიდურეს შემთხვევაში, ბოსტანში მაინც.

— აბა, აბა, ბერიკაცო, ვითომ რატომ წამოიწყე სიკვდილზე ლაპარაკი? მე ჯერ კიდევ არაფერი მიგრძვნია. როგორც კი ვიგრძნობ, მაშინვე წავიდეთ სოფელში და იქ მოვკვდეთ. რაღა აქ განვუტევოთ სული? აქ კუბოს შემოტანაც კი არ უნდათ ოჯახში. მორგში აუგებენ ანდერძს, მერე კი პირდაპირ... სასაფლაოსკენ... ფუი! ქალაქიდან ეს კილომეტრზე არც ხეა და არც სკამი. როგორც მინდორი... საფლავების მინდორი. საფლავის მონახულება თუ მოუნდებათ, ვერც გაბედავენ — ერთი დღე უნდა იქ მისვლას.

— კმარა, დედაკაცო, ნუ დაიწყე შენებურად! მოდი დავსხდეთ, გავჩუმდეთ. კარგია ასე.

— შვილიშვილი ხომ ფეხზე უნდა დავაყენოთ. იქნებ ქორწილშიც ვიქეიფოთ.

— ოღონდაც ჩვენებური გაიზარდოს.

— გაიზრდება... ჩვენი სისხლია...

— მივაწევთ ქორწილამდე, ბებრუხანა?

— რა მოხდა? იქნებ მივაწიოთ კიდეც...

უცბად იგრძნეს, რომ მათ ზურგს უკან ვიღაც იდგა.

— მიაწევთ, თუ მე დამიჯერებთ.

ორივემ ერთად მიიხედა. მათ უკან იდგა კარგად ჩაცმული მამაკაცი, საზაფხულო ღია ფერის კოსტიუმსა და თეთრ მოდურ ქუდში გამოწყობილი, რომელზედაც ოქროს ღუზა ებნია. მამაკაცის სახე და ხმა ეცნო ვარვარა იგნატიევნას. მან მეტი ყურადღებით დაუწყო თვალიერება.

ეს ნახევარშეფი იყო.

— ვხედავ, საქონელი მოგიტანიათ? — კურდიუკოვმა შეკრულას გახედა.

— დიახ...

— მშობლის თანხმობით, თუ მოიპარეთ?

— მოვიპარეთ.

— მაინც როგორ მოახერხეთ?

— დავათვრეთ.

— დამიხედეთ ამათ, — შეფი კმაყოფილი დარჩა, — ყოჩაღ თქვენ.

ფედორ ივანოვიჩმა სკამს შემოუარა, თან ხელებს იფშვნეტდა, ცხადია, გადაწყვეტილი ჰქონდა სწრაფად აეღო და წაეყვანა

შურიკ-სმიტი, მაგრამ ონუფრი სტეპანოვიჩმა მკაცრად მოუჭრა გზა.

— ერთი წუთით, ახალგაზრდავ, გოგონას რა ეშველება?

— როგორც შევთანხმდით, გოგონა სახლში ერთი საათის შემდეგ მოვა.

— რომ არ მოვიდეს?

— დამიხედეთ ამას, სიტყვას გაძლევთ.

— ბანდიტის სიტყვა?

ნახევარშეფმა ჩაიქირქილა.

— კიპენინგი ურთიერთნდობას ემყარება. მაგალითად, ამერიკაში... ჩიკაგოში.

— ეს ჩიკაგო არ გეგონოს. და მადლობა ღმერთს, თორემ შენ ცოცხალი არ გადარჩებოდი. მაშ, ასე, შენ მოგვიყვან შვილიშვილს და მიიღებ შურიკს. აქვე, ამ ადგილას.

— გოგონა რომ წაიყვანოთ და არც ჩვილი მომცეთ? ჩხუბს ხომ არ აგიტეხავთ.

— თავად გადაწყვიტე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თანახმა არა ვართ.

ფედორ ივანოვიჩი დაფიქრდა.

— კარგით. ასე იყოს. მოგიყვანთ გოგონას. მხოლოდ ის სკვერის იმ ბოლოში დაჯდება, ჩვილი კი ამ ბოლოში იქნება. ჩვენ შუა ადგილას შეეხვდებით, მერე ერთმანეთს დავცილდებით და თითოეული თავისას წაიყვანს. კაბულსა ხართ?

— კაბულსა ვართ, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— სამი წლით მიგყავს? — ჰკითხა ვარვარა იგნატიევნამ.

—სამი წლით. უვნებლად შევინახავ, ეპვი არ შეგეპაროთ. საგანგებო მოვლა ექნება.

— რუსულად ხომ ილაპარაკებს? — ჰკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

შეფმა თავი გადააქნია.

— არა. მხოლოდ ძველეგვიპტურად, ეცოდინება ლურსმული დამწერლობა.

— ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, — ამოიხვნეშა ვარვარა იგნატიევნამ.

— ამას ნუ ამბობთ, ნუ, — უცებ აენთო ფედორ ივანოვიჩი. — ძველეგვიპტურის და ლურსმულის სწავლა სამ წელი-

წადში... გარწმუნებთ... ამას ყველა, თუნდაც ძველი ეგვიპტელიც კი, ვერ შეძლებდა.

— რა ეშმაკად... — დაიწყო ვარვარა იგნატიევნამ, მაგრამ ქმარმა სახელოზე მოქაჩა.

— ეს მათი საქმეა... მე სხვა რამ მინდოდა მეკითხა. ხელწერილი ხომ უნდა მოგვცეთ, ახალგაზრდავ.

— არავითარი ხელწერილი! — შესძახა ფედორ ივანოვიჩმა. — ყველაფერი ურთიერთნდობას ემყარება. ნუ დაგავიწყდებათ — კიპენინგი! მაგალითად, ჩიკაგოში...

— გიხაროდეს, ჩიკაგოში რომ არა ხარ.

— ბავშვი, როგორც ჩანს, წყნარია. სულ სძინავს...

— რატომ არ უნდა იძინოს? გაკვეთილები ისწავლა, რძე დალია და იძინოს, ღმერთმა შეარგოს.

— ჭკვიანია... მაშ, გოგონას მოსაყვანად წავედი. აქვეა, შორიახლოს.

— წადი, ძვირფასო, წადი.

— შეიძლება დავხედო? — შეფი, ეტყობა, ვეღარ ითმენდა. ახლავე, აქვე, უნდოდა ძველეგვიპტურისა და ლურსმულის სწავლება დაეწყო.

— რას უნდა დახედოთ? — წაიბურტყუნა ვარვარა იგნატიევნამ. — რომ გაიღვიძოს... ცდის სისუფთავეს დაარღვევ... ვაკუუმის აბაზანას გახვრეტავ. გაგიგონია ასეთი რამ? შენც ხომ არ გინდა, რუსული ისწავლოს?

— დიახ, მართალი ხართ...

ფედორ ივანოვიჩმა ოქროსღუზიანი ქუდი გაისწორა.

— ყურმილში ვინ ხრიალებდა? — ვეღარ მოითმინა, რომ არ ეკითხა ვარვარა იგნატიევნას.

— ჰო, იქ... ერთი... — ენა დაება კურდიუკოვს.

— უხეშად ლაპარაკობდა.

— ეს შემჩნეული გვაქვს... უხეშია...

— რაღაც საძაგელი ხმა ჰქონდა...

— გაცივდა. ბევრი ნაყინი ჭამა... აბა, მე წავედი.

— ღმერთი შეგეწიოს.

ნახევარშეფი გაუბედავად გაუყვა ხეივანს, მერე მოიხედა, თითქოს ყოყმანობდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო, მაგრამ მალე თავს მოერია და გასასვლელისაკენ გასწია.

მოხუცები კვლავ სკამზე ჩამოსხდნენ. შეკრულა სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა.

— როგორ ფიქრობ, რაიმეს ხომ არ მიხედა? — ჰკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— თითქოს არა, ამისი თავი არა აქვს. სიხარბისაგან ლოთივით კანკალებს...

ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ სკვერის მეორე ბოლოში ფედორ ივანოვიჩი გამოჩნდა. გვერდზე საზაფხულო კაბაში გამოწყობილი გოგონა მოჰყვებოდა. მოხუცებმა ბატებივით დაიგრძელეს კისრები და თვალებმოჭუტულები გასცქეროდნენ მათკენ მომავალთ:

— კატკა! — წამოიძახა ვარვარა იგნატიევნამ.

— ის არის! — დაემოწმა ონუფრი სტეპანოვიჩი.

ნახევარშეფმა გოგონა სკამზე დასვა, თვითონ კი სწრაფი ნაბიჯით მოხუცებისკენ გაემართა.

— შუაში გამოდით! — დაიყვირა ისეთი ხმით, როგორც ალბათ წინათ ყვიროდნენ: „დუელში გიწვევთ!“.

მოხუცები ტუსტუსით გაჰყვნენ ბილიკს და სკამზე დატოვეს შურიკ-სმიტი, რძიანი ბოთლი და ჩხრიალა. ისინი ხვნეშა-ხვნეშით ასცდნენ ასევე აქაქანებულ კურდიუკოვს — მაშინვე იგრძნობოდა კაბინეტის კაცი.

ყოველი მხარე ცდილობდა, რაც შეიძლება, სწრაფად მიეღო თავისი.

ნახევარშეფმა სიჩქარეს უმატა და, რაკი უფრო ახალგაზრდა იყო, ნადავლთან პირველმა მიირბინა. სირბილი არ შეუწყვეტია, შურიკ-სმიტს ხელი სტაცა, გულზე მიიხუტა და გასასვლელისაკენ გაქანდა. ნახევარშეფმა ძირს დავარდნილ რძიან ბოთლს ფეხი გამოსდო, მაგრამ ვერც კი შეამჩნია, ბოთლი გატყდა და ლურსმულის მცოდნეს რძე შარვალზე შეესხა.

მოხუცები რაც უფრო უახლოვდებოდნენ გოგონას, მით უფრო უცნაურად ეჩვენებოდათ მისი ქცევა. გოგონა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მოღიმარ ბებიასა და პაპას, შორიდან ხელებს რომ უქნევდნენ. უფრო მეტიც, ისიც კი მოეჩვენათ, რომ იგი გაკვირვებული უყურებდა მათ. შემდეგ კი, როცა ვარვარა იგნატიევნამ და ონუფრი სტეპანოვიჩმა ბილიკიდან გადაუხვიეს და შვილიშვილისაკენ გაეშურნენ, გოგონა შეშინებული წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა.

მხოლოდ ახლაღა მიხვდნენ მოხუცები, რომ ისინი მოატყუეს. გოგონა კატიაზე მაღალი იყო, სხვანაირი მიხრა-მოხრა ჰქონდა და კაბაც სხვა ფერისა ეცვა. უმტყუნათ წყეულმა სიბეცემ!

— ო, არამზადა! — წამოიძახა ონუფრი სტეპანოვიჩმა და შეჩერდა, სულს ძლივს ითქვამდა.

— საკენკით მოგვიტყუა ბებერი ჩერჩეტები! — ვარვარა იგნატიევნამ ძლივს მიაღწია სკამამდე და მძიმედ დაეცა ზედ.

ამ დროს სკვერის შორეული ბოლოდან ხმამაღალი კივილი მოისმა. მოხუცები გამარჯვებული ღიმილით შესცქეროდნენ, ლურსმულის სპეციალისტმა როგორ აქცია ნაკუწ-ნაკუწად შეკრული, სულ ცოტა ხნის წინ ფრთხილად რომ იხუტებდა გულში, და ურნაში ისროლა.

— საზიზღარო მატყუარებო! — გაიგონეს მოხუცებმა მეცნიერის გინება.

შემდეგ ნახევარშეფმა ხელი ასწია და მუშტი მოუღერა ვარვარა იგნატიევნასა და ონუფრი სტეპანოვიჩს.

— აბა, დამაცადეთ! — დაიყვირა ზუსტად ისევე, როგორც მგელმა ამავე სახელწოდების კინოფილმში.

შემდეგ იგი ფოტოაპარატებით შეიარაღებული ტურისტების ჯგრომ დაფარა.

— წავიდეთ, მოვკრიფოთ სახვევები და ხის მასალა, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — სულ ტყუილუბრალოდ კი გავაოხრებინე ამ არამზადას ორი უღელი.

ასე უშედეგოდ დამთავრდა გულმოდგინედ მოფიქრებული ოპერაცია. თითოეულ მხარეს კვლავ თავ-თავისი საზრუნავი დარჩა.

დღის ბოლომდე დანაღვლიანებული მოხუცები ტელეფონთან ისხდნენ. მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ნახევარშეფი დარეკავდა.

მალე მართლაც გაისმა ტელეფონის ზარი.

— ალო! — სტაცა ხელი ყურმილს ვარვარა იგნატიევნამ.

— შენა ხარ, ბებერო როკაპო? — გაისმა წინანდებური მოგუდული, საძაგელი ხმა. — ჩვენთან კატათაგვობანას თამაში გა-

დაწყვიტეთ? აი, ახლა თქვენი კატკასაგან... დაკეპილ კატლეტს გავაკეთებ. გესმის? მერე კი, რაც დარჩება, მდინარეში გადავუძახებ. გაიგე, ბებერო კუდიანო? ერთი ღრმა ორმო ვიცი...

უსიცოცხლო ხელებით, მეტი რომ აღარ მოესმინა საშინელი სიტყვები, ვარვარა იგნატიევნამ ყურმილი დადო. მაგრამ ტელეფონმა კვლავ დარეკა. მოხუცმა ძლივს მოახერხა ყურმილის აღება. ამჯერად კურდიუკოვი რეკავდა.

— მომიტევეთ, ღვთის გულისათვის, ვარვარა იგნატიევნა,— დაიწყო ლურსმულის სპეციალისტმა თავაზიანად. — წეღან ჩემმა თანაშემწემ თავი ვეღარ შეიკავა. იგი მეტად ნერვიულია. მარცხმა გადარია. თქვენგან ასეთ ვერაგობას არ მოელოდა. შეც, მართალი გითხრათ, არ მეგონა, ამხელა ფანტაზიას თუ გამოამჟღავნებდით. დავიბენი კიდეც, ღმერთს გეფიცებით. ყოჩაღ თქვენ! ასეთი... სუფთა განგსტერული საზრიანობა. ალბათ საზღვარგარეთული ფილმები ბევრი გინახავთ? რა გაეწყობა, რაც იყო, იყო. ხელიდან გავუშვი — თვითონ ვარ დამნაშავე. მართალია, უმოძრაო შეკრულამ მაშინვე დამაეჭვა, მაგრამ თქვენმა დაბეჩავებულმა შესახედაობამ გამაბრიყვა. სწორედ ისე მოიქეცით, როგორც პროფესიული განგსტერები. ქება და დიდება თქვენ. მომიტევეთ, ვერაფრით ვერ დავმშვიდებულვარ. ეს რომ ჩიკაგოში მომხდარიყო, თქვენ, დიდი ხანია, მორგში იქნებოდით.

კარგი, გვეყოფა, მოდით, ახლა საქმეზე მოვილაპარაკოთ. გოგოზე ნუ იდარდებთ. იგი ცოცხალია, მას ბევრი გასართობი აქვს, საცურაო აუზი და ასე შემდეგ. გოგონა აღტაცებულია. მეტად ორიგინალური ბავშვია, სხვათა შორის.

ღვთის გულისათვის, ოღონდ სისულელე არ ჩაიდინოთ — მილიციაში ნუ განაცხადებთ. მე თვითონ ძალადობის მომხრე არა ვარ, მაგრამ ჩემი თანაშემწე... იგი საზღვარგარეთულ დეტექტივებზეა გაზრდილი... ხომ გესმით ჩემი? მე წინასწარ ვერც ვიტყვი, რას ჩაიდენს, თუ მილიციის შესახებ შეიტყობს. იგი ფხუკიანია. ისე რომ, უმჯობესია, ეს არ გააკეთოთ. კარგი?

პატარას, სულ ერთია, მოვიპარავ. როგორ? ჯერჯერობით არ ვიცი, როგორ, მაგრამ რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებ. რაიმე ფანტასტიკურს, მაგრამ ამჯერად ნაღდს. გესმით ჩემი? პირველად მე თქვენი შესაძლებლობები ვერ შევაფასე და ამი-

ტომ მეტად პრიმიტიულად ვმოქმედებდი. ახლა კი... ესე იგი ჩათვალეთ, რომ ახალშობილი არც გყოლიათ.

იმაზეც ვიფიქროთ, თქვენ რას მოიგებთ, რა არის ხელსაყრელი თქვენთვის და რა არა? ახლა თქვენ გოგონა დაკარგეთ, მალე აღარც ბიჭი გეყოლებათ. იმიტომ, რომ თავიდანვე უგუნურად მოიქეცით. თუ გონივრულად მოიქცევით, ორ საათში გოგონა თქვენთან იქნება, ხოლო სამი წლის შემდეგ ბიჭიც დაგიბრუნდებათ. მერე როგორი შვილიშვილი! რომელსაც ეცოდინება ძველეგვიპტური ენა და ლურსმული დამწერლობა!

ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ თხუთმეტი წლისა უკვე პროფესორი გახდება, ოცი წლისა — აკადემიკოსი! გესმით ჩემი? მერე რა არის სამი წელი? არაფერი! ფუი! უნდა გიხაროდეთ, ასე რომ დატრიალდა საქმე.

მე არ დაგაჩქარებთ, მოფიქრებისათვის დროს მოგცემთ. ალბათ, იმასაც ფიქრობთ, რომ გოგონა რამენაირად დაგვიძვრება ხელიდან, ან შიმშილობას გამოაცხადებს, ან თქვენზე დარდით მოკვდება, ან კიდევ სხვა ამგვარი რამ. მაშ, იცოდეთ: მსგავსი არაფერი მოხდება. გარწმუნებთ. ჩემთან თავს ცუდად არ გრძნობს, არც შინ ეჩქარება. არ გჯერათ? მალე დაიჯერებთ. ტელეფონით დაგალაპარაკებთ. თანაც არაერთხელ. ვგრძნობ, როგორ გამოცოცხლდით, თავშიც ათასნაირი გეგმა გიტრიალებთ. იცოდეთ, არაფერი გამოგივათ! პარალელური აპარატი მაქვს და ყოველ თქვენს სიტყვას მოვისმენ. უფლებას გაძლევთ ელაპარაკოთ ყველაფერზე, გარდა ორი მომენტისა. პირველი: არ სთხოვოთ შვილიშვილს სახლში დაბრუნება. მეორე: ნუ შეეცდებით მისი ადგილსამყოფელის გაგებას. ძნელი ხომ არ იქნება ამის დახსომება? თუნდ ერთი სიტყვაც რომ გავიგო ამ თემის ირგვლივ, მაშინვე შეგაწყვეტინებთ საუბარს და თქვენ უკვე ვეღარასოდეს გაიგებთ თქვენი ძვირფასი შვილიშვილის ხმას. ხომ გაიგეთ, რასაც გეუბნებით?

მე არაფერს არ გიმალავთ. სულ იმის ფიქრში ვარ, როგორ მოვიპარო თქვენი ძვირფასი შვილიშვილი. ამჯერად გოგონას არ დაგიბრუნებთ. გამიგეთ? მე მას ვიშვილებ და წავიყვან. ხომ კარგად გამიგეთ?

არ გირჩევთ, ეს რთული გეგმა თქვენს შვილს გაანდოთ. სულ ერთია, თავისი ნებით სმიტს არ მომცემს, მე მას ვიცნობ. ამი-

ტომ მოიფიქრეთ ყველაფერი და, თუ თანახმა იქნებით, დამეხმარეთ სმიტის მოტაცებაში. თქვენს შვილიშვილს ტელეფონით ლაპარაკის დროს უთხარით შემდეგი ფრაზა: „გადაეცი ძიას, რომ ჩვენ თანახმა ვართ მივყიდოთ სლავური კარადა". გამიგეთ? ახლა კი, როგორც ამერიკელები იტყვიან, გუდ ბაი!

ყურმილში გაბმული ზუმერი გაისმა.

— რაო? — მოუთმენლად იკითხა იქვე მდგომმა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— წავიდეთ, ბერიკაცო, მოვიფიქროთ, — თქვა დაღლილმა ვარვარა იგნატიევნამ. — ო, ღმერთო, ეს ხომ იმაზე საზარელია, ჯაშუშების ფილმებში რომ გვინახავს!

მათ მაინც გადაწყვიტეს დილით ყველაფერი შვილისათვის ეამბნათ. როდესაც მეცნიერი ჩაფიქრებული საუზმობდა და დაბნეული ძეხვს კარაქს უსვამდა, ვარვარა იგნატიევნამ გაბედა და თქვა:

— იცი, გენოჩკა, აი, რა მოხდა. ჩვენი კატენკა...

— ჰო, მართლა, — შეაწყვეტინა მეცნიერმა, — სად არის ახლა? ნუთუ ჯერ არ ამდგარა? ბევრი ძილი მავნებელია.

გაოცებული მოხუცები შვილს მიაჩერდნენ. მაშასადამე, მას არც კი ახსოვდა, რა მოხდა გუშინ!

— ახლავე გააღვიძეთ, — მკაცრად თქვა გენადი ონუფრიევიჩმა, — დაუყოვნებლივ წავიდეს რძეზე. რძე გამითავდა.

ვარვარა იგნატიევნამ და ონუფრი სტეპანოვიჩმა ერთმანეთს გადახედეს. რა აზრი აქვს უამბო ეს ყველაფერი კაცს, რომელსაც შვილის მოტაცება არც კი ახსოვს.

— ბარემ წებოც იყიდოს. წებო მითავდება, — დაამატა მეცნიერმა. — თქვენ რას მიკეთებთ? რძე არ არის, წებო არ არის, გოგოს ათ საათამდე სძინავს.

მეცნიერი სუფრიდან ადგა, საძინებელში შევიდა და კარი მოიჯახუნა. ამიერიდან მათ მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა ჰქონოდათ.

თავი მეორე.

რომელშიც ონუფრი სტეპანოვიჩი ადგება განგსტერობის მოლიპულ გზას. ალკოპოლიკებთან ურთიერთობა. სახედრით გამგზავრება მმაჩის ბიუროში. სროლით დადევნება. ფედორ ივანოვიჩი დანაპირებს ასრულებს

ნახევარშეფმა არ მოატყუათ. სრულ 18.00 ტელეფონის ზარმა დარეკა. ვარვარა იგნატიევნა აპარატს მივარდა და ყურმილა ხელი სტაცა.

— ალო! ალო!

— სალამი, თხისრქიანო!

— კატკა ხარ?

— აბა, ვინ ვიქნები?

— როგორა ხარ?

— ნორმა! ყოჩაღ, თხისრქიანებო, რემონტის დროს ამ... თქვენს ნაცნობებთან რომ გამომაგზავნეთ.

— რომელი რემონ... — დაიწყო მოხუცმა ქალმა, მაგრამ ენაზე იკბინა. — ჰო... ჰო... რემონტი დავიწყეთ...

— მიშკამ მითხრა, რომ დიდხანს გაგრძელდება.

— რომელმა მიშკამ?

— აი, იმ აყლაყუდამ... თქვენმა ნაცნობმა.

— ჰო... რასაკვირველია, დიდხანს გაგრძელდება.

— როგორც იქნა, თქვენ ჩემგან მოისვენეთ, მე კი თქვენგან.

— კატკა, რას როშავ?

— ამათთან აგარაკზე ისე კარგია! ბაღიც არის—ულრანი ტყეა პირდაპირ. ბაღში გარეული ირემიც კი ჰყავთ. რასაკვირველია, მთლად გარეულიც არ არის. მე მას ხელით ვაჭმევ პურს. მომაშორეთ ეგ თქვენი არტეკი! არ წავალ იქ! ყელში ამომივიდა! მე აქ მირჩევნია!

— ჩვენ შენთან ჩამოვალთ და მაშინ მოვილაპარაკოთ. შენთან როგორ უნდა...

ყურმილში ვიღაცამ გამაფრთხილებლად ჩაახველა.

— აბა, ნახვამდის, თხისრქიანებო! ირემი ფანჯარაში იყურება. მომიკითხე პაპა! ᲮᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, აქ პურზე არ მაგზავნიან! მაშ ასე, თხისრქიანებო!

— მოიცადე... ძია მიშა გაცივდა?

— გაცივდა. ვინ გითხრა? ბევრი ნაყინი მიირთვა...

— ხმა ისეთი მოგუდული ჰქონდა.

— სწორედ... როგორც მარტორქ...

ტკაცუნი. ზუმერი.

ვარვარა იგნატიევნამ მკერდზე ხელი დაიდო, თითქოს უნდოდა აჩქროლებული გული დაეშოშმინებინა.

— ონუფრი! ონუფრი!

— ჰა! რა? სად? — ნამძინარევმა ონუფრი სტეპანოვიჩმა შეშინებულმა მოირბინა. თხელ აბურძგნილ თმაში ბუმბული გაჩხეროდა.

— გავიგე, კატკა სად ყოფილა! იმ არამზადასთან აგარაკზე! მთელმა ბინძურმა ოჯახმა იქ მოიყარა თავი, ის ხრინწიანიც იქ არის... ახლა ვიცი, რაც ჰქვია — მიშკა. მისი შვილია ალბათ, ავეჯის მტვირთავი! წყეული თაღლითები! ბანდიტები! ახლავე მოემზადე. ინსტიტუტში წავიდეთ, გავიგოთ, სად არის მისი აგარაკი და ღამით კატკა მოვიტაცოთ!

ონუფრი სტეპანოვიჩმა შარვალი აიწია და აღტაცებულმა თქვა:

— აი, მესმის, დედაკაცი! ყოჩაღ! ეს რამ მოგაფიქრებინა!

— წავიდეთ! ოღონდ დაფნის ფოთოლი დაღეჭე: როგორც ღვინის კასრს, ისეთი სუნი გიდის. გესმის, სად მივდივართ — ინსტიტუტში.

მკვეთრად დაიწკრიალა ტელეფონმა.

— ალო! — ყურმილს ხელი სტაცა ვარვარა იგნატიევნამ.

— გინდათ გეტყვით, რაზე ლაპარაკობთ ახლა, — გაისმა ყურმილში კურდიუკოვის ხმა. — ინსტიტუტში წასვლას აპირებთ, რათა ჩემი აგარაკის მისამართი გაიგოთ. ხომ გამოვიცანი? მაშ, მისმინეთ. თქვენი ბებერი ფეხები მეცოდება, ამიტომაც დავრეკე. თქვენი შვილიშვილი ჩემს აგარაკზე არ არის. თუ გინდათ, შეგიძლიათ შეამოწმოთ. გკარნახობთ მისამართს. ჩაიწერეთ. ფანქარი გაქვთ? ჩემი აგარაკის მისამართია: სადგური ბერიოზოვკა, სამხრეთის ქუჩა, სახლი 18. იქ ახლა რემონტია. თქვენი შვილიშვილი კი ჩემს ნაცნობებთან არის აგარაკზე. მე, სხვათა შორის, 367 ნაცნობი მყავს. გამიგეთ? მაშინ დაფიქრდით.

ტკაცუნი, ზუმერი.

ონუფრი სტეპანოვიჩი დახლის თაროზე გაზეთს გაშლიდა, ამოიღებდა ჭიქას, საუზმეს. ვიდრე ის ფუსფუსებდა, რომელიმე ლოთთაგანი კბილებით მოუთმენლად ამოაძრობდა ბოთლიდან საცობს და აკანკალებული ხელებით ასხამდა ჭიქაში.

— აბა, ბიჭებო, დავიწყოთ.

— დავიწყოთ!

დინჯად საუზმობდნენ და სინანულით უყურებდნენ ცარიელ ბოთლს.

— ეჰ, რატომ ორი ბოთლი არ წამოიღე? — ამუნათებდნენ ლოთები ონუფრი სტეპანოვიჩს.

— როდისღა გააღებს? — ლუდის დუქნისკენ იხედებოდა პაპა.

— როცა მოუნდება, — პასუხობდნენ უხალისოდ. — ახლა ვერსად იშოვი.

შერე საუბარი აბსტრაქტულ თემაზე გადადიოდა.

— რა მიგაქვს? — ეკითხებოდა ლოთი ცხენის მოსართავზე.

— უღელი.

— ვა! ცხენისთვის ხომ არა?

— არა, ისე. ერთი კაცისთვის. აგროვებს.

— აჰა, ჰობი, — საზრიანი თავს აქნევდა. — ახლა რაღას არ აგროვებენ. კარგად იძლევა?

— ოცდაათს.

— ვაჰ... — ლოთები პატივისცემით გადახედავდნენ უღელს.

— გუშინ მოვილაპარაკეთ, — ცრუობდა ონუფრი სტეპანოვიჩი. — მითხრა — ჩემთან მოდი სახლშიო, მისამართის მოცემა კი დაავიწყდა. მითხრა — ოცდაათს მოგცემ და მაღარიჩიც იქნებაო.

— მართლა? — გამოცოცხლდებოდნენ ლოთები, — რა გვარია?

— ასეთ საქმეებში გვარს არც ამბობენ. ვიცი მხოლოდ, რომ კარგი აგარაკი აქვს. აუზით. ირემიც კი ჰყავს.

ლოთები ძაბავდნენ დახშულ მეხსიერებას.

— აუზი? ირემი? არა... ასეთი არ უნდა იყოს... ერთს თხა ჰყავს. სულ ეს არის...

— შაშ, წავსულვარ, ძმობილო, — ამბობდა ონუფრი სტეპანოვიჩი. — ალბათ სადგური შემეშალა.

მოხუცი ელექტრომატორებელზე ჯდებოდა და შემდეგი აგარაკისაკენ მიემგზავრებოდა.

ორ საათში, ვიდრე ლუდის ფარდულები გაიხსნებოდა (მერე უკვე აზრი აღარ ჰქონდა ძებნას, რადგან „პორტვეინი-72“ კარგავდა თავის მაგიურ ძალას), ონუფრი სტეპანოვიჩი სამი-ოთხი სადგურის გადაჩხრეკას ასწრებდა.

ერთხელ ერთ სააგარაკო დასახლებაში მას ფათერაკი შეემთხვა. ლუდის ფარდულთან ლოთებმა აცნობეს, რომ ამ სოფელში მართლაც არის სახლი დიდი ბაღით, ბეტონის აუზით ხეების მოსარწყავად და ჰყავთ სახედარი, რადგან სახლის პატრონი სასადილოში მუშად მუშაობს და პროდუქტები სახედრით გადაქვსო. მაგრამ ახლა იმ სახლში მისვლას აზრი არა აქვს, უთხრეს ლოთებმა, ვინაიდან იქ უკვე სამი დღეა დიდ ქორწილს იხდიანო.

— არა უშავს, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა, კისერზე უღელი ჩამოიკიდა და აუზიანი სახლის საძებნელად წავიდა. აუზიან სახლში მართლაც დიდი ქორწილი გაეჩაღებინათ. უზარმაზარი აგურის სახლის წინ სახედაჯირჯვებული და გაწითლებული ადამიანები ცეკვავდნენ. იქვე იდგა ორთვალაში შებმული სევდიანი სახედარი. ორთვალა ლენტებით იყო მორთული და წინ თოჯინა ჰქონდა მიკრული.

კისერზე უღელგადაკიდებული ონუფრი სტეპანოვიჩი დაუბრკოლებლად შევიდა ეზოში, ბაღი დაათვალიერა (ჟანგისფერი წყლით სავსე ბეტონის აუზი მართლაც იყო, შიგ ფოთლები დაცურავდნენ), შემდეგ კიბეზე ავიდა და ფართო ნათელ აივანზე მოხვდა. აივნის შუაგულში სუფრა გაეშალათ. მაგიდები პრერიას წააგავდა, ახლახან ბიზონების ჯოგმა რომ გადაურბინა: წაქცეული ბოთლები, დამტვრეული თეფშები, აქა-იქ დაყრილი ვინეგრეტი. ზოგ სტუმარს მაგიდაზე ჩამოსძინებოდა, ზოგი სვამდა, ზოგიც ვინეგრეტს შეექცეოდა, თან მაგიდას ჩანგლებს უკაკუნებდა. არავის გაკვირვებია ონუფრი სტეპანოვიჩის გამოჩენა.

ონუფრი სტეპანოვიჩმა უღელი მოიხსნა და მაგიდის კიდესთან ჩამოჯდა. გვერდით მჯდომმა ჩალისქუდიანმა, ჩასხმულმა მთვრალმა კაცმა, გადამდგარ სამხედროს რომ ჰგავდა, მკაცრად ჰკითხა:

— შენ სად იყავი?

— იქ, — გაურკვეველი პასუხი მისცა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— დამაცადე! — ჩალისქუდიანმა თითი დაუქნია. — ალბათ გაპარვა გინდოდა? ქვესკნელში მოგძებნი.

— რას ბრძანებთ... — წაიბუტბუტა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— მაშინ დალიე! — გადამდგარმა სამხედრომ ონუფრი სტეპანოვიჩს ჭიქა არყით აუვსო და თეფში მიუდგა, რომელზედაც ლურჯი დამჭკნარი კიტრები ეწყო.

ვიღაც აყლაყუდა ბიჭიც მოვიდა, დაასლოკინა და ონუფრი სტეპანოვიჩს ამღვრეული თვალებით ჩააცქერდა.

— ეს სულ გაძრომაზეა, — განაცხადა ბიჭმა.

გადამდგარ სამხედროსთან ერთად მან ბოლომდე დააცლევინა ონუფრი სტეპანოვიჩს არყის ჭიქა.

— ვიპოვეთ! — დაიღრიალა უცბად ბიჭმა.

მძინარე სტუმრები გამოცოცხლდნენ. მეზობელი ოთახიდან რამდენიმე აჩრდილი გამოვიდა ბარბაცით.

— ეს ის არ არის, — თქვა ვიღაცამ უნდობლად.

— როგორ თუ ის არ არის? — აღშფოთდა აყლაყუდა. — ქაჩალია და ცხვირიც აპრეხილი აქვს.

— ის არ არის! — ჯიუტად განაცხადეს კარებიდან.

— აბა ეს რა არის? — აყლაყუდამ უღელი აიღო და ზევით ასწია. — ვირის უღელი!

სახედრის უღელმა ყველა დაარწმუნა. კომპანია აყაყანდა, ონუფრი სტეპანოვიჩს კოცნა დაუწყეს, კიდევ ერთი ჭიქა დაალევინეს, შემდეგ ხელი გამოსდეს და სადღაც წაიყვანეს. ონუფრი სტეპანოვიჩი სუსტ წინააღმდეგობას უწევდათ. სიმთვრალე თავში აუვარდა, ენა დაება.

— მე ის არა ვარ, — ბუტბუტებდა მოხუცი, მაგრამ მას ალარავინ უსმენდა.

მოიყვანეს გარმონისტი, სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს რომ იდგა. მან ტუში დასცხო. ტუშის დაკვრით, სიმღერითა და ყვირილით ონუფრი სტეპანოვიჩი ქუჩაში გამოიყვანეს. სახლის წინ მოცეკვავე ხალხი აღტაცებული მიესალმა პროცესიას.

— ვიპოვეთ! ვაშა-ა-ა!

— დამიხედეთ — ორი დღე იმალებოდა!

— ეშმაკის ფეხია!

— ფული ჩაიჯიბა და აითესა!

— სად იპოვეთ?

— საპირფარეშოში იჯდა.

— ახლავე ორთვალაში!

ონუფრი სტეპანოვიჩმა შენიშნა, რომ ორთვალას გვერდით ახლა ავტომობილი „ჩაიკა“ იდგა, ისიც ბაფთებით მორთული, რადიატორზე კი თოჯინა დაესვათ.

ონუფრი სტეპანოვიჩი ორთვალაზე დასვეს, დანარჩენები კი „ჩაიკაში“ ჩაიჭყლიტნენ.

შემდეგ ხელკავით მოიყვანეს თეთრ კაბაში გამოწყობილი მთვრალი სქელი ქალი და ონუფრი სტეპანოვიჩს გვერდით მოუსვეს. ვიღაცამ თავზე დაჭმუჭნილი, ღვინით დალაქავებული საქორწინო ლეჩაქი დაახურა.

კოფოზე გადამდგარმა სამხედრომ მოიკალათა და სადავე მოქაჩა.

— ნაბიჯით იარ!

ხალხი ორთვალას გაეკიდა. გამწარებული გუგუნით „ჩაიკა“ ადგილიდან დაიძრა. ყველაზე უკან აყლაყუდა მორბოდა. კისერზე უღელი ჩამოეკიდა და ტლინკებს ცხენივით ისროდა.

— სირბილით იარ! — უბრძანა გადამდგარმა სამხედრომ საზედარს.

ვირი ჩორთით დაიძრა. ხალხმაც ფეხს აუჩქარა, თან ცეკვავდნენ და შაირობდნენ.

მშვენიერი მზიანი დილა იყო, გრილი ნიავი ქროდა. ეს გრილი ნიავი რომ არა, ძნელი იყო თქმა, რითი დამთავრდებოდა ონუფრი სტეპანოვიჩის თავგადასავალი, მაგრამ ნიავმა ოდნავ გამოაფხიზლა განგსტერის დაბინდული გონება, და ონუფრი სტეპანოვიჩს უცბად თავში გაუელვა, რომ იგი მმაჩის ბიუროში მიჰყავდათ ხელის მოსაწერად და რომ გვერდით მჯდომი ძილმორეული მთვრალი ქალი მისი საცოლე იყო.

ამ საშინელი აღმოჩენის გამო ონუფრი სტეპანოვიჩმა ცოტა ხანს გრძნობა დაკარგა. როდესაც საბრალო მოხუცი გონს მოვიდა, სახედარი უკვე მიჩაქჩაქებდა რაღაც ბუჩქნარის გასწვრივ, რომლის იქითაც მოჩანდა მინდორი და მდინარე, აქა-იქ დილის ბურუსის ნაფლეთები რომ გადაკვროდა.

ონუფრი სტეპანოვიჩის დაბინდულ გონებას ჯერ ვერც მოესწრო განთავისუფლების რაიმე გეგმის მოფიქრება, რომ სხეული უკვე ორთვალას დაბალ ძგიდეს გადაევლო, ფეხებმა თავისთავად გადაირბინეს ბუჩქნარი, მინდორი და ხელმოცარულმა განგსტერმა ცივ მდინარეში მოადინა ზღართანი. უკანიდან ესმოდა ყვირილი, ფეხების ბაკუნი, ერთხელ ონუფრი სტეპანოვიჩს სროლის ხმაც კი მოეყურა.

სველმა, აკანკალებულმა მხოლოდ სადილობისას მოაღწია სახლამდე და მთელი კვირა ლოგინიდან აღარ ამდგარა: გადატანილი ელდის შემდეგ საბრალო მოხუცს ფეხებმა უმტყუნა.

ცბიერი კურდიუკოვი მართალი გამოდგა. „ენაჭარტალა“ დღითი დღე სულ უფრო ცოტას ლაპარაკობდა ტელეფონით და უფრო და უფრო უხალისოდ.

კვირის ბოლოს, არამზადა ნახევარშეფის დაპირებისამებრ, ბანდეროლი მოვიდა, რომელშიც მაგნიტოფონის კასეტი იდო. მოხუცებმა ერთი საათით სთხოვეს შვილს მაგნიტოფონი (მეცნიერს ჰქონდა ოთხი მაგნიტოფონი, ორი ფირსაკრავი და რადიოლა). გაწაფული ხელით მეცნიერმა სწრაფად ჩადო კასეტი და მაგნიტოფონი ჩართო. გაისმა წყლის შხაპუნი, შემდეგ გოგონას წკრიალა ხმა:

— ირემო, ირემო, მოდი ჩემთან! მოდი, ზარმაცო, თორემ ინანებ!

მამაკაცის ხრინწიანი ხმა:

— წყალში არ ჩამოვა, კატენკა.

— მე მინდა, რომ ჩამოვიდეს!

გენადი ონუფრიევიჩმა ყურები ცქვიტა და მაგნიტოფონისკენ დაიხარა. მას ჯერ კიდევ არ ესმოდა, რაში იყო საქმე. მოხუცები გაქვავებულები ისხდნენ.

მამაკაცის ხმა (მისი პატრონი, როგორც ჩანს, ირემს უბიძგებდა):

— წადი, წადი, სულელო, იცურავე...

გაისმა გაჯიუტებული ცხოველის ჩლიქების ბაკუნი და ყრუ ბღავილი.

კატიას ხმა:

— აი, ჩერჩეტი!

გენადი ონუფრიევიჩი ისე შეირხა, როგორც ძაღლმა იცის ბანაობის შემდეგ, მაგნიტოფონთან მივიდა და მიაყურადა.

მამაკაცის ხმა:

— აი, ასე... ყოჩაღ... ნუ კანკალებ, საშიში არაფერია... ახლა კი, კატენკა, შემოაჯექი ზურგზე.

წყლის ჩქაფუნი, ბღავილი, წამოკივლება.

მამაკაცის ხმა:

— შესანიშნავია. ყურადღება! აქეთ იყურე! ნამდვილი ამორძალი ხარ!

კინოკამერის ჩხაკუნი.

— დღეს ვერა ბებიასთან და ონია პაპასთან წავალთ და ფილმს ვაჩვენებთ.

— დღეს? ჩვენ ხომ მდინარეზე გვინდოდა ლაშქრობა მოგვეწყო!

მამაკაცის ხმა:

— ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, ლაშქრობა... მაგრამ მამა, ბებია და პაპა ხომ უნდა მოინახულო...

— ო... იმათ ისედაც თავი მომაბეზრეს. მთელი დღე მარტო ეს გესმის: „აბა, პურზე გასწი“, „გაკვეთილები ისწავლეო“. უჩემოდაც გაძლებენ.

ტკაცუნი. ფირის შრიალი. გათავდა.

გენადი ონუფრიევიჩმა გაოცებით შეხედა მშობლებს.

— ეს რა, არტეკშია, თუ სადმე სხვაგან?

ბუნდოვანი მოგონების ჩრდილი გაუკრთა სახეზე მეცნიერს.

— დამაცადეთ... ის ხომ მოიტაცეს... ჰა? კატია ხომ მოიტაცეს! — დაიყვირა გენადი ონუფრიევიჩმა, — რას უზიხართ! მილიციაში უნდა დავრეკოთ! ჰო, რასაკვირველია, ის ხომ იმ არანორმალურმა მოიტაცა! ახლა ნათლად გამახსენდა! გამახსენდა! კურდიუკოვმა მოიტაცა! მე ცდით გავერთე და დამავიწყდა. თქვენ რაღას დაგიჭყეტიათ თვალები? ეჰ, თქვენც ბებია-პაპა გქვიათ! შვილიშვილი თვალსა და ხელს შუა მოსტაცეს, ესენი კი დამსხდარან და ჩაის შეექცევიან!

ახალგაზრდა მეცნიერი ტელეფონს მივარდა, მაგრამ ვარვარა იგნატიევნამ შვილს გზა გადაუღობა:

—რას ცხარობ, სულელო? დიდი ხანია, არტეკშია. ფე-

დორ ივანოვიჩმა გაუშვა. შენ თვითონ არ გააცილე ავტობუსზე. დაგავიწყდა?

— ავტობუსზე?

— აბა, რა. ჩემოდანი ხომ შენ გეჭირა...

— ჩემოდანი? ნახვრეტებიანი?

— რა ნახვრეტებიანი?

— ნახვრეტებიანი. გამახსენდა, — გეწადი ონუფრიევიჩი დამშვიდდა. — ჰო... ჰო... მახსოვს... ნახვრეტებიანი ჩემოდანი... ეშმაკმა დალაჯვროს ეს ცდა, მალე ჭკუას დამაკარგვინებს... თუმცა... მაცალეთ, — შავმა ჩრდილმა გადაურბინა გენადი ონუფრიევიჩს სახეზე, შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ ამ დროს საძინებლიდან გაღვიძებული ბიჭის წრიპინი გაისმა, მეცნიერმაც ყველაფერი დაივიწყა და იქით ეცა.

დუმილი ჩამოვარდა. ვარვარა იგნატიევნამ წინსაფრით ცრემლი მოიწმინდა.

— ესეც ესე... დაგვივიწყა „ენაჭარტალამ“.

ონუფრი სტეპანოვიჩმა მხარზე ხელი მოუთათუნა.

— დაწყნარდი, ბებრუხანა. ძველთაგანვე ცნობილია — თვალი შორს და გულიც შორსო. არამზადამ იცის ეს კანონი და ამით ისარგებლა... ის კი ჯერ ბავშვია... რას ერჩი... მაგრამ მე მას ვიპოვი. აი, ნახავ. მე მგონია, მის კვალს უკვე მივაგენი.

თავი მესამე.

რომელშიც ონუფრი სტეპანოვიჩმა ბანდიტების კვალს მიაგნო. დახეულპერანგიანი მამაკაცი. ღამის საქმიანობა. მახე.

კვალი, რომელსაც ონუფრი სტეპანოვიჩმა მიაგნო, ერთი ლოთის სიტყვებს გულისხმობდა, თითქოს მალაია ოზეროვკაში იყო ორსართულიანი აგარაკი, რომელსაც ბეტონის გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ზევიდან ეკლიანი მავთული გასდევდა. იქიდან გამუდმებით ისმოდა ქოფაკის ყეფა და ყრუ კვნესა, რომელიც შეიძლებოდა ირმის ბღავილად მიგეჩნიათ.

ონუფრი სტეპანოვიჩი დაუყოვნებლივ გაემგზავრა მალაია ოზეროვკაში, მიუხედავად იმისა, რომ „სახედრიან აგარაკზე“ მომხდარი ამბის შემდეგ, როგორც თვითონ უწოდებდა, ჯერ არ მომაგრებულიყო.

ლოთის ნაამბობი მართალი გამოდგა. აგარაკს, მნიშვნელოვან თავდაცვით ობიექტს რომ წააგავდა, პატარა შესახვევის მეოთხედი ნაწილი ეჭირა. რკინით შეჭედილი ხის ჭიშკარი პირდაპირ მოშორებით მდგარ ლუდის ფარდულს უყრებდა. ისე რომ შეიძლებოდა კაცს ლუდი ესვა, აგარაკისთვის ეთვალთვალა და არც არავისი ეშვი აღეძრა. ონუფრი სტეპანოვიჩი ასეც მოიქცა: ორი საათი იყურყუტა ფარდულთან, მაგრამ ამ დროის მანძილზე აგარაკზე არც არავინ შესულა და იქიდანაც არავინ გამოსულა. ონუფრი სტეპანოვიჩს სხვა გზა არ ჰქონდა, აგარაკზე როგორმე „ლეგალურად“ უნდა მოხვედრილიყო.

კისერზე უღელგადაკიდებული დაუღალავი კვალმაძიებელი „თავდაცვით ობიექტთან“ მივიდა და ჭიშკრის სახელური გადაატრიალა, მაგრამ კარი არ გაიღო. მოხუცი მხრით მიაწვა ჭიშკარს. ჭიშკარი მაინც არ დანებდა.

მოხუცმა ახლოა შენიშნა ზარის ღილაკი. თითი დააჭირა. სადღაც ძალიან შორს, ძლივგასაგონად გაისმა ზარის წკრიალი. ონუფრი სტეპანოვიჩი ხანგრძლივი მოლოდინისათვის მოემზადა, მაგრამ უცბად იქვე, მის თავს ზემოთ, რაღაცამ გაიჩხაკუნა და ფოლადისებურმა ხმამ იკითხა:

— რა საქმეზე მოსულხართ?

ონუფრი სტეპანოვიჩი შეკრთა, თავი ასწია და ბადეაკრული პატარა მოგრძო სარკმელი დაინახა.

— აი... — ჩაიბუტბუტა მან და თან ფანჯარას შეხედა. — უღელს ვყიდი.

— რა უღელს? — ხმაში გაკვირვება გაისმა.

— აი... უღელს... ცხენის უღელს!

— ცხენის უღელს?

— ჰო...

სარკმელი გაჩუმდა. კისერზე უღელგადაკიდებული ონუფრი სტეპანოვიჩი უაზროდ მისჩერებოდა ფანჯარას.

— ქხ... — ჩაახველა სარკმელმა. — გაიწიეთ ცოტა მარჯვნივ. შეჩერდით. მარცხნივ. ისევ მარჯვნივ. კარგი, გაჩერდით. ნუ ცმუკავთ, წყნარად იდექით!

ონუფრი სტეპანოვიჩი გაშეშდა.

მის თავს ზემოთ რაღაცამ ორჯერ გაიჩხაკუნა და გუგუნი გაისმა. კვალმაძიებელი მიხვდა, რომ მას ათვალიერებდნენ.

— მართლა უღელია... მაგრამ რატომ ყიდით?

— ფერადი ტელევიზორით მიყურებთ, თუ შავ-თეთრით?— იკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— ჰმ... დავუშვათ, შავ-თეთრით.

— ამას ათასნაირი ნაყში აქვს... ყვავილები. ძალიან ლამაზია, თუ საწოლთან ჩამოკიდებთ. ეჟვნებიც აქვს. — ონუფრი სტეპანოვიჩმა ეჟვნები გააწკარუნა. — იაფად მოგცემთ.

— მყიდველები თუ გყვანან?

— მერე რამდენი! უცხოელები რიგში დგანან, — ონუფრი სტეპანოვიჩმა თავი ვერ შეიკავა, რომ არ დაეტრაბახა. — დოლარებს მაჩეჩებენ, მაგრამ მე არ ვიღებ. ვალუტით მოვაჭრე არ გახლავართ.

სარკმელში ჩურჩული გაისმა. როგორც ჩანს, კიდევ ვიღაც მოვიდა.

— რაშია საქმე?

— ვიღაც დარტყმულია. უღელს ყიდის.

— რა უღელია?

— ცხენის.

— კინწისკვრით გააგდე.

— იქნებ გვეყიდა? ლამაზია.

— გააგდე!

— ჰეი, ბერიკაცო! წადი აქედან, ჩვენ უღლებს არ ვყიდულობთ.

ონუფრი სტეპანოვიჩმა ეჟვნებს დაბმა დაუწყო.

— მართლა! ბერიკაცო, რა გვარისა ხარ?

— რად გინდა? — შეეშინდა ონუფრი სტეპანოვიჩს.

— არაფერი, ისე.

— ივანოვი.

— აბა, წადი აქედან, ივანოვ, წადი.

დინამიკმა გაიჩხაკუნა, გუგუნი შეწყდა და მოხუცმა გაიგონა, როგორ შრიალებდნენ ხეები დიდ ბაღში ბეტონის გალავანს იქით. მან კისერზე უღელი ჩამოიკიდა და ბაღს გარშემო შემოუარა. კედელი ყველგან მაგარი იყო, ახალი, მაღალი, სამი წყება ეკლიანი მავთულით შემორაგული. არსად ნაპრალი, არსად შვერილი.

უცებ შიგნიდან ბღავილი მოისმა. ძროხის ბღავილს ჰგავდა,

ოღონდ უფრო მკაცრი, უფრო მომთხოვნი იყო. მოხუცს გულმა რეჩხი უყო. „ირემია“, გაიფიქრა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

ჯერ კიდევ არ სჯეროდა თავისი ბედნიერებისა, ცივი ბეტონის გალავანს მიეყრდნო. ონუფრი სტეპანოვიჩს ჩაცვენილი ლოყები აუვარდისფრდა, მუხლები მოეკვეთა.

— მივაგენი... — წაიჩურჩულა საბრალო მოხუცმა. — მადლობა ღმერთს, მივაგენი...

ონუფრი სტეპანოვიჩმა ბეტონის გალავანს შემოუარა და ლუდის ფარდულისკენ გაეშურა. „შუაღამემდე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ეგება, ვინმე გამოჩნდეს, — ფიქრობდა კვალმაძიებელი. — შეიძლება კატენკა გამოვიდეს სასეირნოდ. ვტაცებ ხელს და ჰერი ელექტრომატარებლისაკენ...“

ონუფრი სტეპანოვიჩმა ორი კათხა ლუდი აიღო და ფარდულის გვერდით ოროვანდებში ჩაჯდა. ოროვანდი იმდენად მაღალი იყო, რომ ბარდებიდან მხოლოდ განგსტერის თავი მოჩანდა.

დღე გაცრიატდა. ცაზე აუჩქარებლად დაცურავდნენ მკვრივი ჩაქუფრული ღრუბლები, მსუბუქი, თბილი ნიავი ქროდა. სოფლის ბაღებიდან წვიმის წინ გაშლილი ყვავილების სურნელება მოდიოდა. ხალხი ნაკლებად იყო. ელექტრომატარებლის ბაქანზე, იქვე, ოროვანდით დაფარული უშენი ადგილიდან რომ ჩანდა, ორი-სამი კაცი თუ გამოვიდოდა. მატარებლები ყოველ ათ წუთში გრუხუნით მიაქროლებდნენ მათ.

საღილობისას გაწვიმდა, მაგრამ წვიმა წვრილი, თბილი, სასიამოვნოც კი იყო, და ონუფრი სტეპანოვიჩს თავისი სათვალთვალო ადგილი არ მიუტოვებია.

ორ საათზე ფარდულში შესვენება დაიწყო.

— ეი, ბერიკაცო! დაგეძინა, თუ რა არის? — დაუყვირა გამყიდველმა ქალმა. — მოიტა კათხები!

ონუფრი სტეპანოვიჩი, ის იყო, ოროვანდიდან წამოდგომას აპირებდა, რომ სახლის ჭიშკარი, მისი სათვალთვალო ობიექტი, უცებ გაიღო და ქუჩაში კაცი გამოვიდა. კაცს ყავისფერი ლაბადა ეცვა და თვალებზე შლაპა ჰქონდა ჩამოფხატული. ონუფრი სტეპანოვიჩი უნებლიეთ ისევ ოროვანდში ჩაეშვა, მაგრამ კაცს არც კი გამოუხედია მისკენ. იგი სწრაფად გაუყვა გალავნის გასწვრივ ბილიკს საპირისპირო მიმართულებით.

— ბერიკაცო! დიდხანს უნდა გელოდო? კათხები!

ონუფრი სტეპანოვიჩმა კათხები დაუბრუნა, თან კაცს არ აშორებდა თვალს. ახლა უნდა გადაეწყვიტა: ამ კაცს გაყოლოდა თუ სადარაჯოზე დარჩენილიყო. კვალმაძიებელმა იფიქრა და დარჩენა არჩია. ონუფრი სტეპანოვიჩმა თავი მოიმთვრალა, ფარდულს მიეყრდნო და სახლის თვალთვალი გააგრძელა.

უცბად უკანიდან ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა:

— აბა, ვთვლემთ, ძიაკაცო?

ონუფრი სტეპანოვიჩი შეკრთა და მოიხედა. გვერდით მხარბეჭიანი ყმაწვილი ედგა, გრძელი, გაურკვეველი ფერის თმა თავზე მიწებებოდა. მკერდთან გახეული და ქინძისთავით დამაგრებული ჭრელი, ჭუჭყიანი პერანგი ეცვა.

— აი... დაკეტა... ნაბახურებზე დალევა აღარ მაცალა, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა და წაბარბაცდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ყმაწვილი მთვრალს მალე დაეხსნებოდა.

მაგრამ ყმაწვილი წასვლას არც ფიქრობდა, ონუფრი სტეპანოვიჩისაკენ დაიხარა და ყურში უთხრა:

— მე ხომ შენზე ყველაფერი ვიცი, ძიაკაცო.

— რა? — შეკრთა საბრალო მოხუცი.

— არ გეტყვი.

— მითხარი.

— არა.

— როგორც გინდა... — ონუფრი სტეპანოვიჩმა დაასლოკინა და კიდევ უფრო მეტად მოიმთვრალა თავი. — მარუსკა-ა-ა-ა, ჩე-მო მა-რუს-კა-ა-ა... — დაიწყო საძაგელი ხმით სიმღერა.

— მანეთი გაქვს? — საქმიანად ჰკითხა ჯმუხამ.

— მაქვს... — ონუფრი სტეპანოვიჩმა ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო, რომელსაც პურის ნამცეცებიც ამოჰყვა, და თვლა დაუწყო: — ოცი და ხუთი — ოცდახუთი...

— კარგი, — გააწყვეტინა ყმაწვილმა. — გეყოფა კომედიის თამაში. არც ისეთი მთვრალი ხარ. წამო, „მერცხალში“ მოვილაპარაკოთ. საქმე მაქვს.

დაინტერესებული და, ცოტა არ იყოს, შეშინებული ონუფრი სტეპანოვიჩი ჯმუხას გაჰყვა.

კაფე „მერცხალში“, სადგურის შორიახლო, სივიწროვე და ხალხმრავლობა იყო. აქ ვაჭრობდნენ ღორისქონიანი ბუტერბროდებით, გამომშრალი კატლეტებითა და ჩამოსასხმელი ვერ-

მუტით. ზოგი დახლზე სვამდა, ზოგი ფანჯრის რაფაზე, ზოგნიც შუა ოთახში ფეხზე იდგნენ. ჩახუთული და ნესტიანი ჰაერი იდგა, აბეზარი ბუზები დაფრინავდნენ.

ჯმუხამ ონუფრი სტეპანოვიჩს ხელისგულიდან პურის ნამცეცები გადაუბერტყა, მანეთი გადაითვალა, თავისი დაჭმუჭნილი ფულიც დაამატა; ხალხში გაძვრა, ურიგოდ აიღო „ცეცხლმქროლი“, ჭიქები და ორი კატლეტი.

— უმჯობესია, ქუჩაში გავიდეთ, — თქვა მან. — თორემ აქ ღვინის ორთქლისაგან აფეთქება მოხდება და უსახელოდ დავიკარგებით.

კაფედან გავიდნენ და ბებერი არყის ხის ქვეშ სკამზე მოეწყვნენ. წვიმდა, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა — არყის ხის ქვეშ სიმშრალე იყო. ჯმუხამ დაასხა თითო ჭიქა შავი სითხე, წამლის სუნი რომ დაჰკრავდა, და ორივემ გადაჰკრა.

— დაიწყე, — უთხრა ონუფრი სტეპანოვიჩმა და კატლეტის რეზინისებური მასის ღეჭვას შეუდგა.

— მე, დიდი ხანია, თვალს გადევნებ, ძიაკაცო, — თქვა ჯმუხამ, ხმას დაუწია და იქაურობა მოათვალიერა, — სხვა სადგურებშიც შეგხვედრივარ ამ შენი უღლით... თავს ისულელებ. ვითომ, ძმობილო, უღლის მყიდველს ეძებ... აგარაკი აუზითა და ირმით და ასე შემდეგ. ჩვენ ასეთ ფრაერებს ვიცნობთ, ძიაკაცო. რას შეჰყურებ იმ სახლს მთელი დღე, ა? თავს ამთვრალებ, სულ კი ორი ჭიქა ლუდი გაქვს დალეული. შენ ვიღაცის მოგზავნილი იქნები, ძიაკაცო! ახლა მითხარი, ვისთვის მუშაობ, რამდენი ხართ?

— მარტო ვმუშაობ, — უთხრა ონუფრი სტეპანოვიჩმა. ჯმუხამ ამოიხვნეშა.

— მარტო ძნელია, ძიაკაცო. მაგრამ ეს შენი საქმეა. მხოლოდ, აი, რას გეტყვი, ფრაერო. ამ სახლს მარტო შენ ვერ გასწვდები, გესმის?

— რომელ სახლს? — ვითომდა გაიკვირვა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— კარგად იცი, რომელსაც. შენი უღლიანად ხომ მიხვედი ახლოს, ხომ ნახე, როგორი სიგნალიზაციაა.

„მერცხლის“ კარი გაიღო. კაფედან ბუღი გამოვარდა და უტიფრად გაინავარდა ბალახზე, მაგრამ მახლობელი ტყიდან

მოდენილ ოზონისა და წვიმის სუფთა ნაკადს ვერ გაუძლო, შავ რკალად დაგორგლდა და გაქრა.

— ეს რა სახლია? — ვითომ სხვათა შორის იკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

კიდევ გადაჰკრეს. წვიმამ იმატა. წყლის წვრილმა ნაკადმა გაარღვია არყის ხის ვარჯი და პირდაპირ ჯმუხას ჭიქაში ჩაჩხრიალდა. მან უნებლიეთ ჭიქას ხელისგული დააფარა.

— შენი საკბილო არ არის, ბერიკაცო, ხომ გითხარი. თუმცა დოვლათი იქ თავზესაყრელია. მეცნიერი ცხოვრობს. არ ვიცი, მეატომეა თუ მერაკეტე. ერთი სიტყვით, საიდუმლო ობიექტია. გასაგებია? რასაკვირველია, დოვლათიც უხვადაა. ოქრო აუცილებლად მოიძებნება.

— აუზი თუ არის?

— არის. მაგრამ აუზი რად გინდა? თავის დახრჩობას ხომ არ აპირებ?

— საიდან იცი, რომ აუზია?

— ერთხელ ვიყავი... მანქანიდან აგურის გადმოცლაში ვეხმარებოდი.

— ირემიც არის?

— რაშია საქმე, ძიაკაცო, სულ აუზზე და ირემზე რომ ღელავ? შეგატყვე, სხვა სადგურებშიც სულ ამაზე ლაპარაკობდი. კარგი, ნუ გაჯავრდები, შენი საქმეა, არის ირემიც და აუზიც.

— ნამდვილად? — სუნთქვა შეეკრა ონუფრი სტეპანოვიჩს.

— უფრო მართალი რაღა გინდა.

— გოგონა... პატარა გოგონა ხომ არ შეგიმჩნევია?

— გოგონა? — ჯმუხა ჩაფიქრდა. — დამაცადე, დამაცადე... კი იყო... ათი წლის. მერე რა?

— ქერა?

— ნამდვილად! გოგონა რად გინდა, ბერიკაცო... აი, როგორ ყოფილა საქმე... — ყმაწვილმა დაუსტვინა. — აი, შენ თურმე რა საქმიანობას ეწევი, მამილო. ბავშვებს იტაცებ... აი, მესმის!.. მე კი მეგონა, შენ წვრილმანზე დადიხარ. — ჯმუხამ ონუფრი სტეპანოვიჩს პატივისცემით შეხედა. — ეს უკვე, როგორც იტყვიან, დიდი ბიზნესია. თხუთმეტწლიანია.

ჩაიგრიალა ელექტრომატარებელმა. ჯმუხამ მერხზე მოიფხანა ზურგი.

— მისმინე, ძიაკაცო, — თქვა მან, — მოდი, ჩვენ ორმა ერთად ავიღოთ ეს სახლი, კარგი? — შენ — გოგონა, მე ყველაფერი დანარჩენი.

ონუფრი სტეპანოვიჩმა თვალები დახუჭა. ნუთუ ყველაფერი ეს ცხადია?

— შენ... უკვე... აგიღია? გამოცდილება გაქვს? — ჰკითხა მან.

— ორჯერ ხუთ-ხუთი წელი ვიჯექი, ერთხელ—ოთხი,—ამაყად თქვა ჯმუხამ. — ახლა ხელფეხშეკრული ვარ, მაგრამ, როცა მინდა, ავიხსნი, ვინაიდან მაყუთი გამითავდა. ყაბულსა ხარ?

— ყაბულსა ვარ, — თქვა მოხუცმა ხრინწიანი ხმით.

ბოლოს და ბოლოს თვითონ აიღებს თავის კანონიერ კუთვნილებას, დანარჩენთან კი რა ესაქმება. გაუხარდება კიდეც. დაე, შეაფუცხუნოს ჯმუხამ ეს ბავშვების გამტაცებლები.

— როგორ ავიღოთ? — ჰკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა, როცა ვერმუტის ბოთლი ბოლომდე დაცალეს.

ჯმუხამ გადააფურთხა:

— რასაკვირველია, მიწისქვეშა ხვრელით. ყველაზე საიმედოა. მე ვიცი ერთი ადგილი. გალავანი თითქმის ტყეს ემიჯნება. სწორედ იქიდან დავიწყოთ თხრა. შენ, ძიაკაცო, ახლა შინ გაემგზავრე, გამოიძინე, ღამის პირველ საათზე კი აქ დაგელოდები. მაღაზიაში ნიჩაბი იყიდე, სასანგრე ხელსაწყოები არა მაქვს.

...ონუფრი სტეპანოვიჩი შინ შეზარხოშებული დაბრუნდა, მხიარულ გუნებაზე იყო. ბორშჩით გამოძღა და დასაძინებლად დაწვა. ვარვარა იგნატიევნას კი უთხრა:

— დილას შვილიშვილის შესახვედრად მოემზადე. ოღონდ ჯერ ნიჩაბი მჭირდება. წადი, იყიდე...

— ნუთუ იპოვე? — გაიოცა მოხუცმა ქალმა. — რად გინდა ნიჩაბი?

„მერე რა? — ბუტბუტებდა ძილმორეული ონუფრი სტეპანოვიჩი. — თუ რაიმე მოხდა, ალბათ დამიჭერენ კიდეც. შენი სისხლისა და ხორცის გულისთვის ციხეში ჩაჯდები კი არა...“

ღამე ბნელი, ქარიანი იყო და ეს მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა ონუფრი სტეპანოვიჩისა და მისი თანამზრახველისა-

თვის. სახლის გალავანს ტყე ეკვროდა: მათ შორის ოდნავ შესამჩნევი ბილიკი გადიოდა, რომლითაც, თუ გაუთელავი ბალახის მიხედვით ვიმსჯელებდით, იშვიათად თუ დაიარებოდა ვინმე. მაგრამ ჯმუხამ მაინც გადაწყვიტა, რომ ჯობდა რიგრიგობით ეთხარათ — ერთი გათხრიდა, მეორე კი უყარაულებდა.

პირველმა ჯმუხამ დაიწყო. მან ჯიბიდან ბუდეში ჩასმული სანადირო დანა ამოიღო, გვერდით დაიდო, მერე ხელისგულებზე დაიფურთხა და ნიჩაბი მიწაში ჩაასო ზუსტად კედლის საძირკველთან.

— დანა რად გინდა? — ჰკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— მინდა, — პირქუშად უპასუხა ქურდმა.

— სისხლიან საქმეზე არ წამოგყვები, — აღელდა მოხუცი.

ჯმუხამ საეჭვოდ ჩაიცინა.

— გეყოფა, ნუ დაფრთხები, ძიაკაცო. ყოველი შემთხვევისათვის.

— დანაზე თანახმა არა ვარ, — გაჯიუტდა ონუფრი სტეპანოვიჩი.

— ჩუმად, მძორო! — წაისისინა ჯმუხამ. — თორემ ახლავე გაგიყრი და „ვერავინ გაიგებს, სად არის საფლავი შენი". მდინარე აქვეა. გესმის?

— მაგრამ...

— ხმა ჩაიკმინდე. ახლა ერთი თოკითა ვართ გადაბმულები. სისხლიანი საქმე იქნება — ორივეს ჩამოგვახრჩობენ. არ დაგიდევენ, ვინ რას წარმოადგენს. უმჯობესია, ოთხი თვალი გამოისხი. თუ რაიმე შენიშნო — დაუსტვინე.

ჯმუხამ ენერგიულად დაიწყო მიწის თხრა. თხრიდა როგორც ექსკავატორი. ონუფრი სტეპანოვიჩმა მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ კედელქვეშ უკვე დიდ ორმოს დაეღო ხახა.

— მიწა რბილია... კარგად მიდის, — ჯმუხა გასწორდა და ხელისგულით ოფლი მოიწმინდა. — ახლა შენ ჩაუნისკარტე, ძიაკაცო!

ონუფრი სტეპანოვიჩმა მესანგრის ნიჩაბი აიღო. ხის ტარი ჯერ კიდევ ცხელი იყო. მოხუცს უსიამოდ აჟრჟოლებდა. რითი დამთავრდებოდა ეს ყველაფერი? შეიძლება სახლის ბინადრებმა უკვე გაიგეს მათი ფაცაფუცი და პისტოლეტებით ხელში ელოდებიან? ონუფრი სტეპანოვიჩმა თავის თავს სიტყვა მის-

ცა, პირველსავე საეჭვო ხმაურზე ყველაფერი მიეტოვებინა და უკანმოუხედავად გაქცეულიყო.

ახლა კიდევ ჯმუხაც დასჩხავის:

— თუ რაიმე მოხდა და დაგვიჭირეს, ძიაკაცო, არავითარ შემთხვევაში არ გამოტყდე, ვინა ხარ და საიდან. თქვი, თითქოს უგვარტომო მაწანწალა ხარ, ივანი ხარ, შენი წარმოშობა კი არ გახსოვს. გაიგე? პასპორტი არა გაქვს, სცადონ გაიგონ. ადრე ნასამართლევი არა ყოფილხარ და რაკი ნასამართლობა არა გაქვს, მაშინ ხელისგულზე უნდა ამოიკითხონ. ამას ქირომანტია ეწოდება. ჩვენ ორასი მილიონი ვართ. რამდენიც უნდათ, იკითხონ. შემთხვევით, შენს ბებრუხანასთან ხომ არ წამოროშე, სად მიდიოდი?

— არა... ვუთხარი საერთოდ, რომ საქმეზე მივდივარ, მაგრამ სად, არ მითქვამს.

— აი, ყოჩაღ. ბებერი დედაკაცი ყველაზე ყბედი მწერია. მომე, ახლა მე ამოვთხრი, ძიაკაცო.

ერთი საათის შემდეგ თხრილი მზად იყო. ამ ხნის მანძილზე კაციშვილს არ ჩაუვლია და არც კედლის იქითა მხრიდან არ გაუგიათ ჩამიჩუმი.

პირველი ჯმუხა ჩაძვრა. დანა თან წაიღო.

— მომყევი, ძიაკაცო, — მოესმა ჩურჩული მეორე მხრიდან. — თავისუფალია.

ონუფრი სტეპანოვიჩი ხვნეშით ჩაძვრა ხვრელში. უკანასკნელ წუთს კინაღამ დაფრთხა და მოკურცხლა, მაგრამ შვილიშვილის უბედურებისაგან ხსნის სურვილმა გაიმარჯვა.

ეზოში ბნელოდა, მხოლოდ შორს, სახლთან, მძლავრი ნათურა ენთო. მძარცველები ფრთხილად მიდიოდნენ ბილიკზე სველი, ქარისაგან ახმაურებული ხეების ქვეშ.

უცბად სულ ახლოს ქოფაკის ყეფა გაისმა და მავთულის ჟღრიალით მათკენ უზარმაზარი ძაღლი გამოექანა.

„ყველაფერი გათავდა“, — გაიფიქრა ონუფრი სტეპანოვიჩმა და თვალები დახუჭა იმის მოლოდინში, ძაღლი როდის ჩაასობდა ყელზე ეშვებს, მაგრამ წინ მიმავალმა ჯმუხამ ჩუმად დაუსტვინა:

— ციც, შარიკ... ციც... წყნარად...

ძაღლმა დაუჯერა და გაჩუმდა, თან ფეხებზე ელაქუცებოდა

ავაზაკს. ონუფრი სტეპანოვიჩს ძალიან გაუკვირდა. სად გაგონილა, რომ ძაღლები მძარცველებს ელაქუცებოდნენ?

— მე ძაღლის ჰიპნოზი ვიცი, — გზაში განუმარტა ჯმუხამ. ქოფაკი უკან მოჯეებოდათ ჯაჭვის ყელრიალითა და წკმუტუნით.

ამ განმარტებამ არ დააკმაყოფილა ონუფრი სტეპანოვიჩი. რაღაც ცუდმა წინათგრძნობამ გაკენწლა გულში. მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ისინი ფრთხილად მიდიოდნენ ბილიკზე. გამოჩნდა დიდი, პირქუში, ერთი მხრიდან მძლავრი ნათურით განათებული სახლი.

— მაშასადამე... — თქვა ჯმუხამ. — სარდაფიდან ავძვრებით. იქიდან სამზარეულოშია შესასვლელი.

„საიდან იცის შესასვლელი?“ — ისევ გაუელვა თავში.

თითქოს მის აზრებს კითხულობსო, ჯმუხამ განუმარტა:

— აქ რამდენჯერმე აგური გადმოვცალე და შევამჩნიე.

არც ამ განმარტებამ დააკმაყოფილა ონუფრი სტეპანოვიჩი. განა შეიძლება იცოდეს ადამიანმა, რომელმაც რამდენჯერმე გადმოტვირთა აგური, რომ სარდაფიდან სამზარეულოში შესასვლელია? მაგრამ ამ ორ საოცარ გარემოებაზე ფიქრის დრო აღარ იყო: ისინი უკვე სარდაფის კართან მივიდნენ.

კარი ოდნავ შეღებული იყო.

„საოცარია, — გაიფიქრა ონუფრი სტეპანოვიჩმა. — რატომ არ დაუკეტიათ?“

— ჯერ შენ შეძვერი, — უთხრა ჯმუხამ.

— რატომ მე? — ჰკითხა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— მე აქ ყარაულად დავდგები.

— ეგებ უმჯობესი იყოს...

— შეძვერი, შეძვერი, — მძარცველმა მოხუცს ზურგში უბიძგა. — ნუ გეშინია, მანდ საფეხურებია.

— „საიდან იცის?“—ისევ გაუკვირდა ონუფრი სტეპანოვიჩს, თან ფეხით საფეხურს დაუწყო ძებნა.

უცბად ძლიერმა დარტყმამ წელს ქვევით საბრალო მოხუცი შავ უფსკრულში გადაისროლა. ონუფრი სტეპანოვიჩმა ორ მეტრზე გადაიქროლა, თან ფეხებით რაღაც მახვილ საგნებს ედებოდა, ალბათ საფეხურები იყო. შემდეგ თავი კედელს მიარტყა და გრძნობა დაკარგა.

„მახე... ო, შე ბებერო სულელო...“ ამის გაფიქრებაღა მოასწრო მოხუცმა.

მთელი ღამე გათენებამდე ვარვარა იგნატიევნას თვალი არ მოუხუჭია, ქმრისა და შვილიშვილის დაბრუნებას ელოდა. კატლეტები შეწვა, მოხარშა იმპორტული ინდაურის შესანიშნავი ბორშჩი, თავისი მარაგიდან მოხუცისათვის მაცივარში ღვინო ჩააცივა. მერე გარეცხა შვილიშვილის მთელი საცვლები, სახლი დაალაგა, მაგრამ დრო საშინლად ნელა გადიოდა და, თუმცა ონუფრი სტეპანოვიჩმა გააფრთხილა, რომ დილამდე ვერ დავბრუნდებითო, იგი მაინც ყოველ წუთს დარბოდა დერეფანში და ყურს უგდებდა — ფეხის ხმა ხომ არ გაისმისო.

დილის შვიდი საათისათვის ვარვარა იგნატიევნა აფორიაქდა. მან ისიც კი არ იცოდა, სად ეძებნა მოხუცი. „საქმეზე" წასვლისას ნახევრად მძინარე, შეზარხოშებული ონუფრი სტეპანოვიჩი კითხვაზე, სად მიდიოდა, მხოლოდ ამას ბუტბუტებდა:

— ვინ იცის, დავბრუნდები თუ არა, ბებრუხანა... სამხედრო საიდუმლოებაა...

და მსგავსი აბდაუბდა.

ვარვარა იგნატიევნამ გადაწყვიტა ათ საათამდე დაეცადა, მერე კი დაერეკა ყველა საავადმყოფოსა და მორგში.

ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე ტელეფონის ზარი გაისმა.

— ალო! — მივარდა აპარატს საბრალო ქალი. — ალო!

— ეს მე ვარ, ბებერო კუდიანო, — გაისმა ყურმილში ნაცნობი საზიზღარი ხრინწიანი ხმა. — შენი სულელი ქმარი ჩვენს კლანჭებშია. გაიგე? იმ ლეკვს თუ მოგვიყვან, მაშინვე დაიბრუნებ უკან ორივეს ერთად, ოღონდ სისულელეების გარეშე. კარგად მოიფიქრე, ხუთი წუთის შემდეგ კიდევ დავრეკავ. არ გაბედო და მეძებრებს არ შეატყობინო, თორემ შენს ბებრუცუნას კიჟი-კიჟის ვუზამთ. იცი, რა არის კიჟი-კიჟი? ძალიან მტკივნეულია. აი, ასეა! ჯერჯერობით!

ხუთი წუთი გონმიხდილი იყო საბრალო ქალი. თვალწინ შავი და თეთრი ლაქები უტრიალებდა, მაგრამ როდესაც ტელეფონმა კვლავ დარეკა, მაინც მოახერხა ყურმილის აღება.

— ალო... — წაიჩურჩულა ვარვარა იგნატიევნამ. — ალო...

ახლა სხვა ხმა ლაპარაკობდა, შემპარავი, თავაზიანი — ეს ნახევარშეფი იყო.

— გვაპატიეთ, ღვთის გულისათვის, ეს ჩემი თანაშემწე იყო... ასეთი უზრდელია... მისმინეთ. თქვენ, ალბათ, მიხვდით,

რომ ჩვენ დროს ტყუილად არ ვკარგავთ. ვიდრე თქვენი ქმარი, თავი დიდ კვალმაძიებლად რომ წარმოიდგინა, ქალაქის შემოგარენში დაწანწალებდა, ჩვენ ხაფანგი მოვაწყვეთ და ახლა იგი ჩვენს ხელთაა. არა გჯერათ? ინებეთ, ყურმილს მას გადავცემ. მხოლოდ გაფრთხილებთ: ადგილსამყოფელის გაგებას ნუ შეეცდებით, თორემ კავშირს გაგიწყვეტავთ.

სიჩუმე. შემდეგ მძიმე, ხრინწიანი სუნთქვა.

— ალო! — თქვა ვარვარა იგნატიევნამ. — ონია, შენა ხარ?

— ჰო... ვარია...

— ცუდადა ხარ?

— არა... არა მიშავს რა...

— გცემეს?

— არა... მე თვითონ ჩამოვვარდი...

— ეს როგორ დაგემართა, ონია?..

— ძალიან ეშმაკური სვლა გააკეთეს... ფიქრადაც არ მოგივიდოდა... ვიღაც ბოროტმოქმედს გადამკიდეს... ეს კი თურმე მისი შვილი, მიხაილი, ყოფილა, მიხაილი... ავეჯის მტვირთავი...

— გამოვრთავ! — მაშინვე გაისმა სისინა ხმა.

— ონია! ონია!

— ჰო... აქა ვარ, ვარია...

— ახლა რა უნდა ვქნათ, ონია?

— არ ვიცი, ვარია... მხოლოდ შურიკს მაინც ნუ მისცემ. გაიგე? არავითარ შემთხვევაში! ჩვენ უკვე დავბერდით და ჩვენი წილი ცხოვრებაც მოვჭამეთ... რას ვკარგავთ? მილიციაშიც არ განაცხადო, ვარია... თორემ ეს არამზადები მართლა რაღაცას აუტეხავენ გოგოს...

— ონია!

— აქა ვარ, ვარია...

— ონია! ეს რა მოხდა?

— ნუ ტირი, ვარიუშა... ნახვამდის... ჩვენ იმდენი კარგი...

— ნახვამდის, ონია... რაც არ უნდა მოხდეს, იცოდე, რომ ყოველთვის მიყვარდი და მიყვარხარ...

— კმარა, — ყურმილში კვლავ ნახევარშეფის ხმა გაისმა. — გეყოფათ პესიმიზმი. ყველაფერი კარგად იქნება. მაშ ასე, „იმავე ადგილას, იმავე დროს“. ველით პატარას, მხოლოდ ამჯერად, მოდით, პატიოსნად მოვიქცეთ. გარანტიას გაძლევთ,

რომ, როგორც კი ბავშვს ხელში ავიყვან, ტყვეებიანი მანქანა მაშინვე გაემართება თქვენი სახლისაკენ. მაშასადამე, ექვსამდე! იგივე პარკი, იგივე სკამი. ხომ გაიგეთ?

— გავიგე! — უაზროდ წაიბუტბუტა ვარვარა იგნატიევნამ.

საღამომდე კიდევ მთელი დღე იყო. გრძელი, მცხუნვარე დღე, ან კი საღამო რას მოიტანდა? არაფერს... ვარვარა იგნატიევნამ ჩვეულებისამებრ სახლი დაალაგა, მაღაზიაში წავიდა რძისა და პურის მოსატანად. შვილს საუზმე მოუმზადა.

გენადი ონუფრიევიჩი სუფრაზე მხიარული, გამოცოცხლებული დაჯდა, როგორც ჩანს, საქმე კარგად მიდიოდა.

— რა მოხდა, დედა, ცხვირი რაზე ჩამოგიშვია? — ხელი დაჰკრა მხარზე ვარვარა იგნატიევნას. — ყველაფერი მიდის ო'კეი! კიდევ ერთი, უკანასკნელი გაბრძოლება და ჩემი მატიანეც დასრულებული იქნება. გაიგე? ოჰო, ერბოკვერცხი! გაუმარჯოს ერბოკვერცხსა და ყავას — ჩვენს ერთგულ დილის თანაშემწეებს. მამა სად არის? სძინავს, თუ ისევ თავის უღლებს უკირკიტებს?

— აღარ არის მამაშენი... — ვარვარა იგნატიევნა ძალიან ცდილობდა თავის შეკავებას, მაგრამ მაინც აქვითინდა.

— მერე და სად არის? ხომ არ გამობრუჟულა?.. ო, მამა, მამა... ქალაქში ცხოვრება მაგას სიკეთეს არ დააყრის.

დიდი ხანია, დედას შვილი ასეთი გამხიარულებული აღარ უნახავს.

— წავიდა მამა...

— სად წავიდა? მოიცა, მოიცა... — გენადი ონუფრიევიჩმა შუბლი შეიკრა. — ისევ იმ ლურსმულის მცოდნის ოინები ხომ არ არის? ნუ დამიმალავ, დედა, სიმართლე მითხარი.

ვარვარა იგნატიევნას ტუჩები აუკანკალდა. საბრალო ქალმა ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, მაგრამ მაინც თავს მოერია და გაიღიმა.

— არა... ტყეში წავიდა... მასალის მოსაჭრელად...

— გაიჩინა საქმე მოხუცმა... მალე მთელ ქვეყანას უღლებით აავსებს. შენ ურჩიე, კასრების კეთებას მოკიდოს ხელი, კასრები უფრო გამოადგება ხალხს, უღლები კი ისე, ხუშტურია...

— ჰობია, — მიუგო თვალცრემლიანმა ვარვარა იგნატიევნამ.

— ეს მართალია. რას იზამ, ჰობი თუ არ გასვენებს. კატიამ წერილი თუ მოიწერა არტეკიდან?

— მოიწერა... შენ, შვილო, ნუ ღელავ... შენს საქმეს მიხედე... ჩვენ არა გვიჭირს რა... ყველაფერი რიგზეა...

მოხუცი ქალი სწრაფად წამოდგა, წყალთან მივიდა და ჭურჭლის რეცხვა დაიწყო, რათა ხმაურით ჩაეხშო ქვითინი.

თავი მეოთხე.

> **რომელშიც ლაპარაკია უკანასკნელ მძიმე გამოცდაზე, ბედმა კრასინებს რომ არგუნა. „Happy end“, — წარმოთქვა გენადი ონუფრიევიჩმა**

რვის თხუთმეტ წუთზე ტელეფონმა დაიწკრიალა. როგორც ჩანს. მთელი ამ ხნის მანძილზე შანტაჟისტები იმედს არ კარგავდნენ, რომ ვარვარა იგნატიევნა ამ მუხანათურ საქმეს ჩაიდენდა.

მოხუცმა ქალმა მაგრად დახურა კარი, რათა შვილს არაფერი გაეგო, და ყურმილი აიღო.

— შენა ხარ? — იკითხა უტიფრად ხრინწიანმა ხმამ.

— მე ვარ! მე, წყეულო ბანდიტო! — დაიყვირა ვარვარა იგნატიევნამ. — აგრემც ნაწლავები გადაგეგრიხოს, აგრემც დიზენტერია დაგემართოს, შე ნაძირალა!

— წყნარად, დედაბერო! გაცოფდი, თუ რა არის! — წაისისინა ხრინწიანმა ხმამ, მაგრამ ვარვარა იგნატიევნა ყვირილს განაგრძობდა:

— რატომ შენ თვითონ არ მოხვალ, პირუტყვო? გეშინია? შენ მოდი! საჩუქარი მოგიმზადე! მე მაგ საძაგელ სიფათზე გოგირდმჟავას შეგასხამ!

ვარვარა იგნატიევნამ ყურმილი დააგდო. გული გამალებით უძგერდა. დიდი ხანია, მოხუცი ასე არ გაცხარებულა.

მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ დაშოშმინდა და ინანა კიდეც, რომ ნერვებს აჰყვა. ეგებ ერთხელ კიდევ ელაპარაკებინათ ქმართან...

სწორედ ამ დროს, თითქოს ბანდიტები შესანიშნავად

ერკვევიანო ფსიქოლოგიაში, კვლავ დარეკა ტელეფონმა. ამჯერად ნახევარშეფი რეკავდა.

— მე ძალიან ვწუხვარ, ვარვარა იგნატიევნა, ასეთი გაუგებრობა რომ მოხდა, მაგრამ ჩემი თანაშემწე ისეთი უხეშია, ისეთი თავშეუკავებელი. ზოგჯერ მეც გამოვყავარ მოთმინებიდან თავისი ლაპარაკით... მაგრამ თქვენ უნდა გაგვიგოთ... რამდენი ხანია, თქვენ გამო ვჯახირობთ... ამასთან, გახსოვდეთ, ჰუმანური მეთოდებით... მხოლოდ ჰუმანურით.

— ჰუმანურით! — სუნთქვა შეეკრა ვარვარა იგნატიევნას.

— დიახ. ჰუმანურით. განა არ გინახავთ ფილმები ნამდვილ კიპენინგზე? განგსტერები ხომ...

— თქვენ განგსტერებზე უარესი ხართ! — დაიყვირა ვარვარა იგნატიევნამ. — ისინი დიდხანს არ აწვალებენ მაინც. თქვენ კი...

— აი, რა, — შეფის ხმას სიმკაცრე შეეპარა. — უკანასკნელ ვადას გაძლევთ. საღამოს ათი საათი. თუ თქვენ თანხმობას არ განაცხადებთ სმიტის მოტაცებაზე, ჩვენ უკანასკნელ დაბრკოლებასაც მოვიშორებთ გზიდან — ესე იგი თქვენ. გამიგეთ? მაშინ დავრჩებით ერთი ერთზე, მე და თქვენი შვილიკო.

— ო, ვერა, ბანდიტებო, მე ვერ მომიშორებთ! იცოდეთ, წყეულებო, გოგირდმჟავიანი ბოთლი ყოველთვის თან დამაქვს. ბინაში ვერ შემოძვრებით, კარი დენზე მაქვს ჩართული, იცოდეთ, ახლავე გაფრთხილებთ. ქუჩაში კი ბოთლი თან დამაქვს, ხომ გაიგეთ?

— ეს უკვე, დედილო, თქვენ არ გეკითხებათ, რანაირად მოგიშორებთ. როგორც იტყვიან, სწავლულს ნუ ასწავლიო. მაშ ასე, ოცდაორსა და ნოლ-ნოლამდე.

ზუსტად ათ საათზე ზარი დაირეკა.

— ალო, შენა ხარ? — იკითხა ნაცნობმა ხრინწიანმა ხმამ. — თანახმა ხარ?

— არა, მურტალო განგსტერო!

— აბა, აბა... ცოტა დაუწიე, ღვთის მონა. თერთმეტზე გაიგებ შენს განაჩენს.

— მომწყდი, საზიზღარო!

ვარვარა იგნატიევნამ ყურმილი დადო. ხელები უკანკალებდა, მაგრამ თავს მშვიდად გრძნობდა. ახლა საქმე მხოლოდ მას

ეხებოდა. მერე რა, ყველაფერს აიტანს, რაც არ უნდა მოიმოქმედონ ამ თავზე ხელაღებულმა მანიაკებმა.

როცა თერთმეტ საათზე ტელეფონმა დარეკა, ვარვარა იგნატიევნამ ყურმილი არ აიღო. ახალს რას ეტყოდნენ? ისევ უნდა ელანძღა ეს ბანდიტები? ისინი ხომ ლანძღვის ღირსნიც არ იყვნენ.

ჩვეულებისამებრ, ვარვარა იგნატიევნამ ძილის წინ ორი ჭიქა თაფლიანი ცხელი რძე დალია (იგი ყოველთვის საღამოობით თაფლიან რძეს სვამდა — ეს ძილსაც აუმჯობესებდა და ნერვებსაც აწყნარებდა) და ლოგინის გაშლას შეუდგა...

ტელეფონი კი რეკავდა და რეკავდა. ბოლოს ვარვარა იგნატიევნამ ვეღარ მოითმინა და ყურმილი აიღო, თან გადაწყვიტა მაშინვე დაედო, თუ ვერაფერს ახალს ვერ გაიგებდა.

— ვარია... — მოესმა შორიდან ყრუ ხმა. — ეს მე ვარ, ონია... გეძინა?

— არა... შენ სადა ხარ? — საბრალო ქალს გული აუძგერდა. იმედმა მთელი სხეული აუთრთოლა. — შენ მოახერხე...

— მე ისევ იმათთანა ვარ... — ქმარი უნიათო, უღიმღამო ხმით ლაპარაკობდა. — მაგრამ შენ ჩემზე ნუ ჯავრობ. მაჭმევენ და კარგადაც მექცევიან. ვარია, ძილის წინ რძე დალიე?

— რა დროს რძეა? უმჯობესია, შენზე ილაპარაკე...

— ვარია, დალიე?

— როგორც ყოველთვის.

— ორი ჭიქა?

— რა სისულელეებს მეკითხები? მითხარი, გოგონას ნახვა თუ მოახერხე?

— ვარია, უნდა გითხრა... ვარია... მე ვარ ყველაფერში დამნაშავე... მაგრამ არ ვიცოდი... ბრიყვივით წამოვროშე... რომ შენ... რომ შენ ძილის წინ რძეს სვამ...

ონუფრი სტეპანოვიჩს ხმა უწყდებოდა, მოხუცი ძლივძლივობით ლაპარაკობდა, თითქოს ყლაპავდა სიტყვებს, თანაც დიდი გაჭირვებით.

— ჰოდა, ახლა... ახლა... — ყურმილში ყრუ ქვითინი გაისმა.

— ონია, მთვრალი ხარ?

— არც ერთი ყლუპი... არც ერთი ყლუპი...

— ცუდადა ხარ?

— მისმინე, ვარია... ვარეჩკა...

რა ხანია, ო, რა ხანია, ცოლისთვის ვარეჩკა არ დაუძახია! ეგებ მას შემდეგ, ცხოვრების განთიადზე ბალახს რომ თიბავდნენ და ერთმანეთი შეუყვარდათ. ის თიბვა სამუდამოდ შემორჩა მის ხსოვნას, და ამაზე უკეთესი არც არაფერი ყოფილა მის ცხოვრებაში. უზარმაზარი მთვარე ჩაქუფრულ ტყეს და იქვე ტბასავით მოლივლივე ნამკალის თავზე; თივის ბულულების გამაბრუებელი სურნელება, გაჩერებული სათიბელას გვერდით ცხენის ფრუტუნი; მარწყვის სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი, მახლობელი მდინარიდან მოდენილი შლამის სუნი... და მისი ტუჩები, ცხელი, ვნებიანი... „ვარიუშა... ვარეჩკა“...

— მითხარი ახლა, რა მოხდა?

— რძე მოწამლული იყო...

თავდაპირველად მან ვერ აღიქვა მისი სიტყვები, ვერ გაიგო მათი მნიშვნელობა.

— რომელი რძე? რატომ იყო მოწამლული?

— მე არ ვიცი, როგორ მოახერხეს. ალბათ პაკეტი შემოგატყუეს, როცა თვითმომსახურების მაღაზიაში ყიდულობდი... ან როცა პურისთვის შეხვედი და ჩანთა კონტროლში დატოვე... ჰო, ჰო, ალბათ მაშინ... უსათუოდ მაშინ... მათ მათქმევინეს, რომ შენ ყოველდღე ძილის წინ რძეს სვამ... ო, სულელი ჩემი თავი, შენ რომ ათ საათზე დახმარებას დაპირებოდი, ეს ენიც გეტყოდნენ, რომ რძე მოწამლულია... ვარია! ჩქარა გამოიძახე „სასწრაფო“! გესმის? დაუყოვნებლივ! მანამდე კი იქნებ აღებინო. ჭამე რამე, რომ გაღებინოს... ან თითი ჩაიყავი პირში... მაცალეთ, კიდევ ერთი წუთი... გემუდარებით... არ გამოეთხოვებივარ... გესმის, ვარია? მშვიდ...

კავშირი გაწყდა. ვარვარა იგნატიევნას დიდხანს ეჭირა ხელში მოწრიპინე ყურმილი, მერე ფრთხილად დადო ბერკეტზე. ხუთი წუთი მოიცადა, ელოდა, იქნებ კიდევ დარეკოსო ტელეფონმა, მაგრამ ზარი აღარ განმეორებულა.

ვარვარა იგნატიევნა სამზარეულოში გავიდა და გაჩერდა, თავის თავს აკვირდებოდა. არსად არაფერი არ სტკიოდა, მხოლოდ მუცლის ქვევით რაღაც უსიამოვნო გრძნობა ჰქონდა.

შემდეგ ვარვარა იგნატიევნამ სანაგვე ყუთიდან ცარიელი რძის პაკეტი ამოიღო და დაათვალიერა. ჩვეულებრივი პაკეტი იყო. დღევანდელი რიცხვით... ვარვარა იგნატიევნამ უსუნა. მოეჩვენა, რომ შიგნიდან რაღაც წამლის სუნი უდიოდა.

უცებ მოხუცმა წამოიყვირა და მწვავე ტკივილისაგან მოიკუნტა. ჯერ მუცელი ასტკივდა, მერე ტკივილი მთელ სხეულს მოედო და გულსაც მისწვდა. დამთავრდა. მოხუცმა ქალმა იგი იმ ელვისებურ ზიგზაგად წარმოიდგინა, მაღალი ძაბვის ხაზზე რომ გამოსახავენ.

ფრთხილად, ახალი შეტევა რომ არ გამოეწვია, ვარვარა იგნატიევნა საწოლთან მილასლასდა და გულაღმა დაწვა. მაშასადამე, მასაც მისწვდნენ... ვარვარა იგნატიევნას არ ეშინოდა. იგი ფიქრობდა შვილზე, ქმარზე, შვილიშვილებზე. უცბად მოულოდნელმა აზრმა გაუელვა თავში. ამას ხომ გამოძიება მოჰყვება...

ვარვარა იგნატიევნა ჩქარობდა, თან აკვირდებოდა, რა ხდებოდა მის მუცელში. იგი მაგიდასთან მივიდა, ქაღალდი, ფანქარი აიღო და სწორედ აქ მოუსწრო მეორე შეტევამ. ამჯერად ტკივილმა მუცელში გაუარა და ქვევით გაჩერდა, როგორც გორგალივით დახვეული გველი. ვარვარა იგნატიევნამ აცალა, ვიდრე გველი მოხერხებულად მოეწყობოდა, და მსხვილი. უსწორმასწორო ასოებით დაწერა: „მე თვითონ ჩავიდინე. გთხოვთ არავის დააბრალოთ“.

ხელი მოაწერა და ქაღალდი გადააბრუნა. შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ, ისე, რომ გველი არ შეეშფოთებინა, საწოლთან მივიდა და დაწვა. გველი თითქოს ამ მომენტს ელოდაო. გრძელ-გრძელ რკალებად იკლაკნებოდა, თან მუცელში ურტყამდა. ვარვარა იგნატიევნა საწოლზე დაწვა და თვალები დახუჭა...

...მან არ იცოდა, რამდენ ხანს იწვა ასე, შეიძლება ხუთი წუთი, იქნებ ერთი საათიც. შვილის ყვირილმა გამოაფხიზლა.

— დედა! სად დაიკარგე! სად არის სუფთა შარვლები? (შურიკ-სმიტი გაიზარდა და უკვე შარვალჩაცმულს ეძინა).

ვარვარა იგნატიევნას ადგომა უნდოდა, მაგრამ ხელები და ფეხები აღარ ემორჩილებოდა. უნდოდა შვილისთვის ეპასუხა, მაგრამ ხმაც აღარ ჰქონდა.

— დედა, დაგეძინა თუ რაშია საქმე? — გენადი ონუფრიე-

ვიჩი გამოვიდა ოთახში, სახე ზიზღით დამანჭოდა, გაშვერილ ხელში სველი შარვალი ეჭირა.

— არა... შვილო... არ მძინავს, — წაიჩურჩულა საბრალო ქალმა.

— ავადა ხარ? — დედამ პირველად შენიშნა შვილის სახეზე შიში.

— არა... არაფერია...

— რა გტკივა?

— უკვე გამიარა...

ტკივილმა მართლა გაუარა, მაგრამ სხეული გაუშეშდა, სრულიად ვეღარ გრძნობდა მას, თითქოს უცებ უსხეულო გახდაო. საკმარისი იყო ნებისყოფა დაეძაბა და იგი შეძლებდა ეფრინა კიდეც ოთახში. ეფრინა სწრაფად, მკვირცხლად, ისე, ოდესღაც ახალგაზრდობაში რომ დაქროდა, სხეული კი იქ, საწოლში დარჩებოდა, ბებერი, ყვითელი, დაჭმუჭნილი გარსი...

— დედა, გესმის ჩემი?

— კი...

— „სასწრაფოს“ გამოვიძახებ.

— არ გინდა... მერე...

— რას ნიშნავს მერე?

ვარვარა იგნატიევნას არ უნდოდა ელაპარაკა, რაიმე აეხსნა.

— გული გაწუხებს? კორვალოლი მოგცე?

დედამ თვალები დახუჭა. შვილმა გაუბედავად დაადო შუბლზე ხელი. მას ცხელი, ძლიერი ხელი ჰქონდა... რამდენი ხანია, არ მიკარებია მას... მთელი საუკუნეა... დიახ... დიახ... გაიხსენა... არ მიკარებია დედას ბავშვობის მერე... შვიდი წლის რომ გახდა, მას მერე... შვიდი წლის შემდეგ ძილის წინ აღარ ეხვეოდა და კოცნიდა. როდესაც ჯარიდან დაბრუნდა, უხერხულად მიიხუტა და ტუჩებით შეეხო ლოყაზე. მაგრამ ეს არ იყო მშობლიური შეხება, ეს იყო უცხო ადამიანი... და აი, ახლა შუბლზე ადევს მისი ალერსიანი, მზრუნველი ხელი...

— გეჭიროს ასე...

მას სიამოვნებდა ფიქრი იმაზე, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, სრულებით არ აშინებდა, შვილის შეხების სასიამოვნო შეგრძნების ბუნებრივ გაგრძელებად მიაჩნდა.

— შენთან ხომ ყველაფერი რიგზეა, შვილო?

— ჯერ კიდევ არ ვიცი, დედა... უკანასკნელ ხანს ეჭვი მიღრღნის გულს. მას დღემდე არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. წარმოგიდგენია, არც ერთი სიტყვა. მხოლოდ ზმუის. ისე კი, დიდი ხანია, დროა დაილაპარაკოს.

— ზოგჯერ ასეც ხდება, შვილო... დუმს, დუმს და მერე უცბად ალაპარაკდება. შეიძლება რცხვენია...

— რცხვენია? — გაოცდა გენადი ონუფრიევიჩი. — რისი?

— რა ვიცი... რუსია და... უცხოურად უნდა ილაპარაკოს.

— მერე რა იცის, რომ რუსია? იტყვი რაღაცას, დედაჩემო! ეს ხომ სიტყვიერი ვაკუუმია. თანაც ამის მოსაზრების თავი სადა აქვს.

— მერე სისხლი, შვილო? სისხლი ხომ უსიტყვოდ ლაპარაკობს.

— ო, ეს კი ანტიმეცნიერულია, დედა, — შვილმა დედის შუბლიდან ხელი აიღო.

— შენ ნუ იდარდებ, — აღელდა დედა. — შენ მხოლოდ ორი წლისამ დაიწყე ლაპარაკი. ეშმაკი იყავი. დიდი ხანია, ყველაფერი გესმოდა, მაგრამ დუმდი. ასე ხომ უფრო ხელსაყრელია. ნერვებს ნაკლებად აიშლი. მე თვალებზე გატყობდი, რომ გესმოდა. კარგი, ნუ ილაპარაკებ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. მერე ერთხელ ძალიან მოგინდა ჩხრიალა, ველარ მოითმინე და ენაც ამოიდგი...

— არამეცნიერულია, დედა, — ამოიოხრა მეცნიერმა.

— ძველად ხომ არავითარი მეცნიერება არ იყო, შვილო, ადამიანები კი მაინც იბადებოდნენ და ლაპარაკიც იცოდნენ. მახსოვს, პაპაჩემი...

ვარვარა იგნატიევნამ წინადადების დასრულება ვერ მოასწრო. მკვეთრმა, გაბმულმა ზარმა წინკარში ორივე შეაკრთო. ვარვარა იგნატიევნამ სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ შეძლო, მხოლოდ თავის წამოწევა მოახერხა.

— შვილო, არ გააღო, — წაიჩურჩულა მან. — ისინი არიან...

— ვინ ისინი?

— ბანდიტები...

— რომელი ბანდიტები?

— შურიკი უნდათ... პაპაც... მე არ გეუბნებოდი...

— პაპა... რა დაემართა პაპას?

— მერე...

მეორე ზარი პირველზე უფრო ხანგრძლივი და დაჟინებული იყო.

— დამშვიდდი, დედა, მე ვკითხავ, ვინ...

— ჩამრაზი... საკიდს უკან ჩამრაზი გამორთე... კარი დენ-ზეა...

გენადი ონუფრიევიჩი დერეფანში გავიდა, სინათლე აანთო და გაოცებული კარს მიაჩერდა. რამდენიმე დღეა შინიდან არ გასულა და ახლა ვეღარ იცნო თავისი კარი. მას სამი საკეტი ჰქონდა, ურდული, ორი ჯაჭვი, გარდა ამისა, კარი შეჯავშნული იყო. გადაკრული ჰქონდა ფოლადის სქელი ფურცელი. ფოლადზე ნაპერწკლები გაკრთებოდა ხოლმე. ზოგჯერ რომელიმე ადგილას ნაპერწკლები თავს იყრიდა და იქ ცისფერი ალი ციმ-ციმებდა. ისმოდა თანაბარი მძლავრი გუგუნი.

— ეს ფირმა „ზარიამ"... გააკეთა... ჩამრაზი, — მოესმა ოთახიდან დედის ჩუმი ხმა. — სამას სამოცი ვოლტია...

შეშინებული გენადი ონუფრიევიჩი საკიდისკენ გაემართა, თან თვალები კარისკენ გაურბოდა. უცებ მხრით საკიდს დაეჯა-ხა, მისი ჭილის ქუდი ჩამოვარდა, კარს მოხვდა და ალმა იფეთქა. მეცნიერი ეცა და ქუდს ფეხებით დაუწყო ჩაქრობა.

ისევ დარეკეს. გენადი ონუფრიევიჩმა, როგორც იქნა, მოა-ხერხა ქუდის ჩაქრობა. ჩამრაზი გამორთო: გუგუნი შეწყდა. კარი ტკაცუნ-ტკაცუნით ნელდებოდა.

— ვინ არის? — იკითხა გენადი ონუფრიევიჩმა.

— სასწრაფო დახმარებაა! — მოესმა გარედან.

მეცნიერმა გაკვირვებულმა გაიხედა ოთახისაკენ, სადაც დე-დამისი იწვა.

— დედა, „სასწრაფო დახმარება" შენ გამოიძახე?

— ეს მე... ეს მე... — ვარვარა იგნატიევნა წამოიწია, უნ-დოდა დაეყვირა, მაგრამ ხმამ უღალატა და საბრალო ქალმა მხოლოდ ამოიხრიალა.

ახლა უკვე მუშტებს უბრახუნებდნენ კარს.

— გააღეთ ჩქარა! მოწამვლაა!

— თქვენ ვინ გამოგიძახათ? რა მოწამვლა?

— ვარვარა იგნატიევნა კრასინა აქ ცხოვრობს?

— დიახ...

— მას მწვავე მოწამვლა აქვს! ჩქარა! მწვავე მოწამვლა... — გენადი ონუფრიევიჩს ხელები ეწვოდა, მაგრამ სწრაფად ატრიალებდა გასაღებს, ებღაუქებოდა ჯაჭვს...

წინკარში თეთრხალათიანი ადამიანების მთელი ბრიგადა შემოიჭრა. ორ მათგანს საკაცე ეჭირა.

— სად არის ავადმყოფი?

— იქ...

და უცბად გენადი ონუფრიევიჩი გაქვავდა. უკან თეთრ ხალათში გამოწყობილი, საკვოიაჟით ხელში იდგა ნახევარშეფი. რამდენიმე წუთი მეცნიერი თავზარდაცემული უყურებდა თავის მასწავლებელს, მერე გონს მოეგო და საძინებლისკენ გაქანდა.

— დედა! — დაიყვირა შეშინებულმა, როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე. — დედა!

„სანიტრები" ფეხების ბაკუნით უკან მიჰყვნენ.

— მარჯვნიდან მოუარე! — ნერვულად გასცა ბრძანება ნახევარშეფმა. — ფეხი, ფეხი დაუდეთ!

ვიღაცამ გვერდიდან ჯარისკაცის მძიმე ჩექმა გამოსწია. გენადი ონუფრიევიჩმა ზედ გადახტომა დააპირა, მაგრამ ფეხით გამოედო, უნებლიეთ ხელი მოხვია გვერდით მიმავალ „სანიტარს" და ორივე იატაკზე გაიშხლართა. საძინებლის გზა თავისუფალი იყო.

— წინ! — დაიყვირა კურდიუკოვმა.

ამ დროს დაუჯერებელი რამ მოხდა. პარალიზებული მოხუცი ქალი საწოლიდან წამოხტა, ხელი სტაცა ბროლის მძიმე ლარნაკს, საძინებლის კარისკენ გაექანა და თავისი სუსტი სხეულით გზა გადაუღობა.

— არ მომეკაროთ! — მძიმედ სუნთქავდა იგი. — აბა, ვინ გაბედავს!

თავდამსხმელები შეჩერდნენ.

— რას უყურებთ? დედაკაცის შეგეშინდათ? — დაიყვირა ფედორ ივანოვიჩმა წვრილი ხმით. — მომ-ყე-ვით! — ნახევარშეფმა ყველა მიყარ-მოყარა და წინ გაიჭრა, მაგრამ იატაკზე დავარდნილმა გენადი ონუფრიევიჩმა მოასწრო და ფეხში ხელი სტაცა. ყოფილი უფროსი მის წინ გაიშხლართა. „სანიტარმა", ნახევარშეფს უკან რომ მოჰყვებოდა, ფეხი წამოკრა

თავისი წინამძღოლი'ს სხეულს, ზევიდან დაეცა და შუბლი განჯინას მიარტყა. გაისმა საშინელი ჩხრიალის ხმა: განჯინაში ვარვარა იგნატიევნა კეფირის ცარიელ ბოთლებს ინახავდა, მაგრამ თავდამსხმელმა ეს ხომ არ იცოდა, იფიქრა, შუბლი გავიტეხეო, თავზე ხელი იტაცა, ჩუმად ამოიკვნესა და გრძნობა დაკარგა. შეიქნა ერთი ზედახოცვა. ვარვარა იგნატიევნა ბროლის მძიმე ლარნაკს იქნევდა და ავაზაკებს 'საძინებლიდან ერეკებოდა.

— სინათლე! სინათლე ჩააქრე! — ყვიროდა ნახევარშეფი და ლამობდა მასზე გადამხობილი გულწასული „სანიტრის" ქვეშიდან გამომძვრალიყო, რათა პირადად ეხელმძღვანელა საბრძოლო მოქმედებისათვის, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან გენადი ონუფრიევიჩი ძლიერად ჩასჭიდებოდა ფეხში.

„ზედახოცვამ" შუაზე გადატიხრა დერეფანი. ერთი ბანდიტი საკაცით ხელში, ამ აურზაურში დანარჩენები'საგან მოწყვეტილი რომ აღმოჩნდა, დაბნეული წინკარში აქეთ-იქით აწყდებოდა, რადგან 'საშუალება არ ჰქონდა საბრძოლო მოქმედებაში მიეღო მონაწილეობა.

ორნი მონუსხულებივით შეჰყურებდნენ ვარვარა იგნატიევნას, რომელიც მათ ცხვირწინ ატრიალებდა ბროლის ლარნაკს. ერთ-ერთმა, როგორც იქნა, გაიგონა ნახევარშეფის მოწოდება და დაბნეული ეძებდა გამომრთველს, მაგრამ ამ დროს გენადი ონუფრიევიჩმა მარჯვედ ესროლა ტანსაცმლის ჯაგრისი და პირდაპირ თვალებ'ს შუა მოარტყა. თავდამსხმელი უხმოდ ჩაიკეცა იატაკზე.

— გადააგდე ლარნაკი, დედაკაცო! — ხრინწიანი ხმით შესძახა გადარჩენილმა ბანდიტმა, თან ნელ-ნელა უახლოვდებოდა ვარვარა იგნატიევნას. — გადააგდე, ღვთის მონა, ვის ვეუბნები, თორემ თავს ვეღარ შევიკავებ და მოგაკერებ! არ მინდა ცოდვა ავიკიდო!

მოხუცი ქალი წამით გახევდა. მან იცნო ხმა, ტელეფონით რომ ელაპარაკებოდა. თავდამსხმელმა მისი დაბნეულობით ისარგებლა და წინ გაიჭრა.

— დასცხეთ, ძმებო! — შესძახა საძაგელი ხმით.

მაგრამ ბანდიტი მიშკა შეცდა. იგი თავისმა ხრინწიანმა ხმამ გასცა. საძულველი ხმი'ს გაგონებამ ძალ-ღონე შემატა საბრალო ქალს.

— არ მომიახლოვდე! გესვრი! — დაიყვირა მან და უფრო ძლიერად მოიქნია ლარნაკი.

ბანდიტმა უკან დაიხია.

სასწორი ნელ-ნელა სახლის პატრონების მხარეზე გადაიხარა. ორი თავდამსხმელი უგონოდ ეგდო, სამი ბლოკირებული იყო.

მაგრამ ამ დროს მოხდა შემთხვევა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

კართან მდგომმა გამოლენჩებულმა მტვირთავმა, ერთ ადგილს უაზროდ რომ ტკეპნიდა, როგორც იქნა, მონახა გამოსავალი, თუ როგორ დახმარებოდა ამხანაგებს. მან „ზედახოცვას“ ბრეზენტის საკაცე გადააგდო და ზედ გაცოცდა ერთი ხვნეშითა და ვაი-ვაგლახით. ყველაზე ქვევით მოხვედრილ გენადი ონუფრიევიჩს საშუალება არ ჰქონდა ან დაერტყა, ან ფეხზე ხელი ეტაცა მისთვის. ბანდიტმა წარმატებით გადაიარა „ზედახოცვაზე“, საგულდაგულოდ დაახვია საკაცე, კედელზე მიაყუდა და თავისი ჰიპნოზირებული ამხანაგის დასახმარებლად გაეშურა.

საბრალო ქალი უკვე დაიღალა ლარნაკის ქნევით. რხევის ამპლიტუდა სულ უფრო მცირდებოდა, მის შემცირებასთან ერთად ჰიპნოზირებული მიშკაც სანტიმეტრ-სანტიმეტრ უახლოვდებოდა ვარვარა იგნატიევნას. საბოლოოდ, როდესაც დასახმარებლად მოსული აქაქანებული ამხანაგის მოახლოება იგრძნო, მან ლარნაკის ჯადო მოიშორა, თავი დახარა და საძაგელი ხრინწიანი ხმით დაიყვირა:

— აბა, ღვთის მონა, გამაგრდი! ხელიდან გეცლება შენი ლეკვი!

— შენ თვითონ ხარ ფსუტიანი ძაღლი! — დაიყვირა გაშმაგებულმა ვარვარა იგნატიევნამ და ბანდიტს ლარნაკი ესროლა.

სიშმაგე ცუდი მრჩეველია. მთელი ძალ-ღონით, მაგრამ მეტად აჩქარებულად, ამიტომაც არაზუსტად გატყორცნილმა ლარნაკმა მტრის თავს ჩაუქროლა, კედელს მოხვდა და უწვრილეს ნამსხვრევებად გაიფანტა. ბანდიტმა უტიფრად გადაიხარხარა. ბრძოლის ბედი გადაწყდა. შეუიარაღებელი მოხუცი ქალი ორი მაგარი შუბლის პირისპირ იდგა.

ბანდიტები ჯიქურ გაემართნენ ვარვარა იგნატიევნასაკენ.

მაგრამ ამ დროს კიდევ ერთი ამბავი მოხდა, რამაც რამდენიმე ხნით შეაყოვნა საძინებელი ოთახის აღება.

ნახევარშეფმა, რომელსაც ფეხებზე აწვა ვიღაც გონმიხდილი კაცი, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და ხვნეშა-ხვნეშით მთელი ეს დრო უკირკიტებდა. გენადი ონუფრიევიჩს თითქოს ასანთის კოლოფზე გაკვრის ხმა მოესმა და გოგირდი'ს სუნიც იყნოსა, მაგრამ ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია — ალბათ აღელვებულ ფედორ ივანოვიჩს მოწევა მოუნდაო.

მაგრამ ნახევარშეფმა ამასობაში მაინც რაღაცის გაკეთება მოახერხა, მარჯვენა ხელი გაითავისუფლა, გაშალა, რამდენადაც შეეძლო და საძინებელში რაღაც საგანი ისროლა. გაისმა შიშხინის ხმა და ბინა მყრალი ყვითელი კვამლით აივ'სო.

ეს საკვამლე კოჭა იყო!

თავდამსხმელებმა, საძინებელი ოთახის იერიშზე რომ მიდიოდნენ, როგორც კი ზურგსუკან შიშხინი გაიგონეს, მოიხედეს და გაკვირვებით მიაჩერდნენ იატაკზე მხოხავ კოჭას. გენადი ონუფრიევიჩიც, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ნახევარშეფს ფეხზე ხელი გაუშვა. მხცოვანმა მეცნიერმა დრო იხელთა და ხელიდან დაუსხლტა, წამოხტა და დაიყვირა:

— ჩქარა, საძინებელში! იერიშზე! გამოიყვანეთ პატარა!

ამ ხმამ ჯაგრი'ის დარტყმით დარეტიანებული ბანდიტიც კი გამოაფხიზლა, ბარბაცითა და თავის კანტურით ფეხზე წამოდგა. წამოდგა ისიც, განჯინას წელან შუბლი რომ მიარტყა. ახლა უკვე მთელმა ხროვამ მოიყარა თავი.

რამდენიმე წამში ყველა საძინებლის კართან შეგროვდა. გენადი ონუფრიევიჩმა მუხლებზე წამოიწია და თვალები დახუჭა. ყველაფერი დასრულდა.

სწორედ ამ დროს მოხდა საგანგებო შემთხვევა. საძინებლის კარმა გაიჭრიალა და ნელა გაიღო. ხველებითა და ცემინებით ზღურბლზე გადმოალაჯა ყავისფერ შარვალსა და ჭრელ კოფთაში გამოწყობილმა პატარა არსებამ.

ე'ს შურიკ-სმიტი იყო!

— How do you do?[1] — იკითხა მან.

---

[1] როგორ ბრძანდებით? (ინგლ.).

ყველა გაირინდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ კოჭას შიშხინი ისმოდა, ბინას შხამიანი კვამლით რომ ავსებდა.

— Goddam you![1] — ენისმოჩლექით თქვა შურიკ-სმიტმა და დააცემინა, თან ხელით კვამლს ფანტავდა.

თავდამსხმელები თავზარდაცემულები უყურებდნენ ბავშვს.

პირველი გენადი ონუფრიევიჩი მოეგო გონს. გაფითრებული, აცახცახებული შვილისაკენ გაექანა, თავდამსხმელები მიყარ-მოყარა და ბიჭი გულში ჩაიხუტა.

— ო, ღმერთო! როგორც იქნა! ჭეშმარიტად happy end![2]

მრავალტანჯულ მამას თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა.

— როგორა ხარ, ჩემო პატარა? გაგაღვიძეს ხომ? წავიდეთ საწოლში, — ბუტბუტებდა გენადი ონუფრიევიჩი რუსულად. მას დაავიწყდა, რომ ბიჭს მისი ლაპარაკი არ ესმოდა.

— მა-მა... — უცბად დამარცვლით თქვა პატარამ რუსულად. (აი, ისიც, კონტრაცდის შედეგი!).

— რაო? არა, არა, მე მამა არა ვარ. მე ვარ father[3]. საიდან მოიტანე ეს სიტყვა? ინგლისურად ილაპარაკე, გესმის?

— Big bear[4], — თქვა პატარამ და იქვე მდგარი ბანდიტისკენ გაიშვირა თითი.

ბანდიტი თვალებდაჭყეტილი უყურებდა და ვერაფერი გაეგო.

მერე შურიკ-სმიტმა საკუთარ ბებიაზე უჩვენა.

— Meat bird[5].

ამის შემდეგ ექსპერიმენტის ნაყოფი დადუმდა, თვალებით მოძებნა გაფითრებული ფედორ ივანოვიჩი და თქვა:

— Blue jay[6].

ნახევარშეფს ფერი ეცვალა. ოთახი ყვითელი მყრალი სუ-

---

[1] წყეული! (ინგლ.).
[2] ბედნიერი დასასრული (ინგლ.).
[3] მამა (ინგლ.).
[4] დიდი დათვი (ინგლ.).
[5] ხორციანი ჩიტი (ინგლ.).
[6] ცისფერი ჩხიკვი (ინგლ.).

ნით ივსებოდა, მაგრამ აღარავინ აქცევდა ამას ყურადღებას. ერთხანს ყველა თითქოს გონწასული იდგა.

უცბად კურდიუკოვმა მხრები აიჩეჩა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ყელში გაეჩხირა, დაიჯღანა და პირი მიაბრუნა.

— წავედით, ბიჭებო. — როგორც იქნა, ამოილუღლუღა. — ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება.

ნახევარშეფი თავის მეტოქესთან მივიდა, აიღო მისი მოდუნებული ხელი და მოუჭირა.

— შენ გაიმარჯვე. მომილოცია.

— გმადლობთ, — წაილუღლუღა გენადი ონუფრიევიჩმა.— Well[1].

— Huskies[2], — თქვა პატარა კრასინმა და ბანდიტებზე მიუთითა.

თავდამსხმელები ფეხების ბაკუნით წინკარში გაილალნენ, თან პატარას თვალს ვერ აცილებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კოჭა აიღო და ფრთხილად გაისროლა სარკმლიდან.

— ბოდიშს მოვითხოვთ... აქაურობას კვალი დავამჩნიეთ, — წაიბუტბუტა დარცხვენილმა.

— პაპასა და შვილიშვილს ახლავე მოგიყვანენ, — თქვა ნახევარშეფმა. მან თეთრი ხალათი გაიხადა, დაახვია და ცდილობდა შარვლის ჯიბეში ჩაეტენა.

— მე რაღა მეშველება? — იკითხა დაბნეულმა ვარვარა იგნატიევნამ. — მე ხომ მოწამლული ვარ...

— მოწამლულები არ იბრძვიან... ულაყებივით, — თქვა ფედორ ივანოვიჩმა და ხელი ჩაიქნია. — ყველაფერი სისულელეა... ჩვენ არავინ მოგვიწამლავს.

— მაგრამ მუცელი...

— ფსიქოლოგიური შეტევა, ბებიკო, — წაიბურტყუნა ფედორ ივანოვიჩმა. — თვითშთაგონება... გაივლის.

თავდამსხმელები წავიდნენ. კარი დაიხურა.

— ჯავშანი ჰქონიათ... — გარედან მოესმათ კრაპინებს მოწიწებით ნათქვამი სიტყვები.

— ძაბვაზეა ჩართული. მაშინვე შევატყვე.

---

[1] კეთილი (ინგლ.).

[2] ძაღლები (ინგლ.).

— დავნახშირდებოდით.

— ძალიან კი...

— ოღონდაც, ძვირფასი ბავშვია. ნახეთ, ინგლისურად როგორ სხაპასხუპით ლაპარაკობდა. მე კი ორი წელია სახელმძღვანელოში ცხვირი მაქვს ჩარგული და არაფერი გამომდის.

— მეცნიერება...

— ახლა მაღარიჩის საქმე როგორ იქნება?

— უნდა დაგვიდგას... ჩვენი რა საქმეა... დაპირება ფულზე ძვირი ღირს... ყუთი უნდა დაგვიდგას... გესმის, მიშკა, მამაშენმა ყუთი მაინც უნდა დაგვიდგას... ეს უფრო გაგვიჭირდა, ვიდრე პიანინოთი მერვე სართულზე სირბილი.

— ბალღი რატომ არ წამოიყვანა?

— ინგლისელი გამოდგა. დიპლომატიური ხელშეუხებლობა.

— მერე რა? ცოტაა...

— საერთაშორისო ურთიერთობა. შეიძლება რომელიმე ელჩისგანაა...

ხმები მიწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ღმერთო ჩემო! ბოლი... ბოლი... — ვარვარა იგნატიევნა სარკმლის გასაღებად გაიქცა. მერე წინსაფრით ყვითელი კვამლის გადენა იწყო. ამ საქმიანობას რომ მორჩა, მოხუცი ქალი მაგიდასთან ჩამოჯდა და ატირდა. გულამოსკვნილი ქვითინისაგან მხრები უცახცახებდა.

— ნუთუ ყველაფერი მორჩა... ღმერთო... ნუთუ დამთავრდა? — ბუტბუტებდა იგი.

თანდათან მოხუცმა ქალმა თავს სძლია და საძინებელში შევიდა, რათა შვილისთვის ეკითხა, ხომ არაფერი ესაჭიროებოდა. გენადი ონუფრიევიჩს ტახტზე ეძინა, ფეხები მოეკეცა და შურიკ-სმიტი ჩაეხუტებინა. მეცნიერს დაბერებული, ნაწამები სახე ჰქონდა. დედამ მამა-შვილს ფრთხილად გადააფარა საბანი და პირჯვარი გადასახა. გენადი ონუფრიევიჩი შეინძრა და უფრო მაგრად მიიხუტა პატარა სხეული.

ეპილოგი

ᲘᲛᲔᲓᲘ

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

რომელშიც კვლავ ეხვდებით ჩვენს ძველ ნაცნობებს, და საუბარი, ბუნებრივია, ეხება ბავშვების აღზრდას

აღწერილი ამბების შემდეგ ხუთი წელი გავიდა. მოხუცი კრასინები თავიანთ ას ორმოცდაათი წლისთავს აღნიშნავდნენ (ონუფრი სტეპანოვიჩის სამოცდაჩვიდმეტი პლუს ვარვარა იგნატიევნას სამოცდაცამეტი). ამ დროისათვის ისინი კვლავ სოფელში გადაბარგდნენ, მამაპაპეულ სახლში. მოხუცების იუბილეს აღსანიშნავად მრავალმა ნათესავმა და ნაცნობმა მოიყარა თავი.

აქ იყვნენ ზემოაღწერილი ამბების მონაწილეებიც. შემოიარეს შორეული კავკასიიდან საკუთარი „ჟიგულით“ კარელიისაკენ მიმავალმა ნუკლიევებმა: ოლეგ ბორისოვიჩმა, იროჩკამ და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მათთან მცხოვრებმა „ენიჭარტალა კატკამ“. იგი მაღალი ჭორფლიანი ქალიშვილი გამხდარა, რომელსაც აცვია დაჭმუჭნილი ჯინსები და კოვბოური ქამარი უკეთია.

ციმბირიდან გადმოფრინდნენ რასტორგუევები: ვერა, სენეჩკა და მათი ხუთი წლის ქალიშვილი ლორა. რასტორგუევებს, დიდი ხანია, აპატიეს დანაშაული და კრასინების ოჯახთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. ისინი ცხოვრობდნენ ახალ ქალაქში, რომელსაც რუკაზე ვერ იპოვით და რომლის სახელწოდებაც ვერავინ ვერაფრით ვერ დაიხსომა.

სენეჩკასაგან მეცნიერი არ გამოვიდა. იგი მუშაობდა გაზსადენის მშენებლობაზე ცვლის ოსტატად. („მერე რა? მისი ხელფასი ყველა კანდიდატს შეშურდება!“). ვერამაც მიაგნო თავის მოწოდებას: იგი კულტურის სასახლეს განაგებს („ხელფასი

დიდი არა მაქვს, სამაგიეროდ დღე და ღამე ყველაფერი თავდაყირა დგას! ერთია ცუდი — ლორკასთვის დრო აღარ მრჩება. მთელი დღე ჩემთანაა — რეპეტიციებზე ათასგვარი სისულელე შეითვისა“).

იუბილეზე ნახევარშეფიც ჩამოვიდა, ამჟამად უკვე პენსიონერი. ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინც მოიცალა ფედორ ივანოვიჩმა უძველესი ადამიანის სადგომის გათხრებისათვის სოფელ სინიუშინოსთან (სულ ახლახან მან მეორე დოქიც იპოვა, პირველის წყვილი, რამაც სინიუშინოელ ბიჭბუჭებში გარკვეული სენსაცია გამოიწვია). ყოველივე მომხდარის შემდეგ, ფედორ ივანოვიჩი ძალიან დაუმეგობრდა ონუფრი სტეპანოვიჩს, თითქმის ყოველ კვირას ჩადიოდა ელექტრომატარებლით მოხუცებთან სოფელში, დადიოდა სათევზაოდ, სოკოების საკრეფად, მიეჩვია „პორტვეინ-72“ და ონუფრი სტეპანოვიჩს უღლების დამზადებაშიც კი ეხმარებოდა (უღლებს რაიონის ბაზრებზე იტაცებენ — ახლა უკვე პირდაპირი დანიშნულებისათვის, ვინაიდან ცხენებმა უფრო დიდხანს გაძლეს, ვიდრე მათი მოსართავების ოსტატებმა).

თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, უხერხული მდგომარეობა შეიქნა ირეჩკას ჩამოსვლის გამო, რომელიც, უნდა ითქვას, არავის მოუწვევია — დაპატიჟეს მხოლოდ „ენაპარტალა“, რათა სოფელში გაეტარებინა არდადეგები.

არავინ იცოდა, როგორ დაეჭირათ თავი ყოფილ კრასინასთან, ამჟამად ნუკლიევასთან, მაგრამ ირეჩკამ თავად სწრაფად აუღო ალღო ვითარებას და ისე იქცეოდა, ვითომც არაფერი მომხდარა, თითქოს მხოლოდ ცოტა ხნით იყო შინიდან წასული და, ეს-ეს არის, დაბრუნდაო.

ირეჩკას მაშინვე აუბა მხარი ოლეგ ბორისოვიჩ ნუკლიევმაც, ამჟამად დიდმა მეცნიერმა. ამ დროისათვის ის უკვე გახლდათ ბავშვების აღზრდაზე დაწერილი მრავალი წიგნის ავტორი. მასვე ეკუთვნოდა პედაგოგიურ თემაზე შექმნილი ერთი მხატვრული ნაწარმოებიც. ნუკლიევმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარიყოს.

დედასთან შეხვედრით შეცბუნებულ ვერასაც მოეწონა ირეჩკას აპეთი ნაბიჯი. ორივე ლტოლვილმა ლაპარაკი დაიწყო

კავკასიისა და ციმბირის ჰავაზე, ფლორასა და ფაუნაზე, სურსათის ფასებზე და უხერხულობაც სწრაფად გაქრა.

მხოლოდ „ენაჭარტალა კატკა“ არ გრძნობდა არავითარ უხერხულობას. მას თამამად ეჭირა თავი და ყველას ჯიქურ ათვალიერებდა თავისი უტიფარი შავი თვალებით.

მორცხვი, ტანწვრილი ირეჩკა ტანსრულ ქალად გადაქცეულიყო, მას იმდენი ოქროს სამკაული ამშვენებდა, რომ ყოველ შერხევაზე მათ წკრიალ-წკრიალი გაუდიოდა. ხმაც კი შეცვლოდა ყოფილ კრასინას; დაბოხებოდა, უფრო დამაჯერებელი გახდომოდა.

ქალაქიდან გენადი ონუფრიევიჩისა და შურიკის ჩამოსვლას ელოდებოდნენ, მანამდე კი, ვიდრე ზეიმი დაიწყებოდა და ამინდზეც სალაპარაკო უკვე აღარაფერი ჰქონდათ, (ჰიდრომეტცენტრი ახლა საკმაოდ ზუსტ ცნობებს გადმოსცემს ამინდის შესახებ) ბავშვების აღზრდაზე დაიწყეს საუბარი.

— ბავშვები ცხოვრებას არ უნდა მოვწყვიტოთ, — ლაპარაკობდა ირეჩკა (ქმრის წიგნების აშკარა გავლენა). — ჩვენი გოგონა იზრდება მეთოდით „ადამიანი ზღვაში“, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი უნდა გადააგდოთ ცხოვრების ოკეანეში. დაე, გაცურონ დამოუკიდებლად, საკუთარი თვალით ნახონ დელფინები და ზვიგენები. ჩვენ მანდარინის პატარა ბაღი შევიძინეთ... ეს ბაღი მთლიანად ბავშვებს გადავეცით... იქ იკრიბებიან, კამათობენ, ინფორმაციას უზიარებენ ერთმანეთს.

— ალბათ ამ ზვიგენებმა მთელი მანდარინი გადაჭამეს, — აზრი გამოთქვა ვერამ.

— ხილის მწიფობის დროს მათ ბაღში ვერ ნახავთ, — განუმარტა ირეჩკამ. — ისინი მთაში იკრიბებიან, ტბასთან... მღერიან, ცეკვავენ, დისკუსიებს აწყობენ... ასე ვთქვათ, თვითაღზრდა... უკუკავშირი. დაე, თვითონ გაერკვენ, რა არის, რისთვის არის. ხომ მართალია, კატენკა?

„ენაჭარტალამ“ მარჯვენა თვალი მოჭუტა და არაფერი უპასუხა.

— თავი და თავი კომპლექსების განთავისუფლებაა, — შენიშნა ნუკლიევმა. — ბავშვმა თავისი გრძნობები არ უნდა შებოჭოს, თორემ მონად გაიზრდება. მან უნდა გააკეთოს ის, რაც მის შინაგან ორგანიზაციას სურს. სწორს არ ვამბობ, ეკატერინა?

კატკამ მარჯვენა თვალი გაახილა და ახლა მარცხენა მოჭუტა.

— მე კი დამარილებული ხეკი მინდა, — უცბად განაცხადა ლორამ, რასტორგუევების ქალიშვილმა.

— მოგშივდა? — შეწუხდა ვერა.

— არა, მაგრამ ხეკი მინდა!

— ჩვენ მოხარშული ქათამი გვაქვს, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— ფუ-ფუ... — ჩაიფრუტუნა გოგონამ, — მოხარშულ ქათამში ვიტამინები არ არის.

— ვიტამინები აფთიაქში იყიდება, — შენიშნა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— და ქათამს მოვაყაროთ?

— რასაკვირველია.

— შენ, პაპაჩემო, ურევ, — გაიცინა გოგონამ. — ძალიან ბნელი ხარ.

— ლორა, გაჩუმდი! ასე არ შეიძლება უფროსებთან ლაპარაკი! — შეუყვირა დედამ. — იგი მიეჩვია ხეკის ჭამას ჩვენს ბუფეტში და ამიტომ ჭირვეულობს, — განმარტა ვერამ. — გული გაგვიწყალეს ამ თევზით.

— ეს უფროსი კი არ არის, პაპაა! მალე ასი წლის გახდება!

— ლორა!

— დიახ! ბებერი, ღარიბი და ბნელია!

— ლორა!

— ჩვენ კი სალაროს წიგნაკზე ორი ათასი გვაქვს! მაშ! ჩემი მზითევია!

— ლორკა, — თქვა მამა სენეჩკამ, — ახლა მიგტყეპავ.

— ვერ მიმტყეპავ! მე შენი არ მეშინია. შენ კეთილი ხარ. დადექი უკანა თათებზე!

— ლორა, როგორ იქცევი? — სენეჩკა მოიღუშა, რაც სულ არ უხდებოდა. — ნუ მარცხვენ ამდენ ხალხში. ბავშვს იშვიათად ვხედავ, სულ ტრასაზე ვარ, ეს კი სულ თავს გავიდა, — თავის მართლება დაიწყო სენეჩკამ.

— დადექი უკანა თათებზე! ბებიამ და პაპამ უნდა შეგხედონ, თორემ ამათ დათვი არც უნახავთ. აქ დათვები არ არიან.

— ლორა, გაჩუმდი!

— დადექი, ვის ვუბრძანებ! — ბავშვს ცრემლები მოერია. — აბა, გამიგონე, მამიკო!

სენეჩკა შეეცადა ხუმრობაში გაეტარებინა.

— მე სადა მაქვს უკანა თათები.

— გაქვს.

პატარა რასტორგუევამ ტირილი დაიწყო. ლოყებზე მსხვილი, გამჭვირვალე ცრემლები ჩამოუგორდა, ზუსტად ისეთი, როგორიც მულტფილმის ნიანგს.

— სენია, — საყვედურით უთხრა დედა ვერამ. — ბავშვი გთხოვს...

— მას არ ესმის თხოვნა, — თქვა ლორამ, რომელიც არავითარ ზომებს არ მიმართავდა, ცრემლები რომ შეეჩერებინა.

— ჰო, კარგი, კარგი... — წაიბუტბუტა მამა სენიამ. მან ფეხები ნახევრად მოხარა და ხელები ისე ჩამოყარა, როგორც ცირკის დათვმა იცის ხოლმე, როცა მოწყალებას თხოულობს. მამა მეტად დარცხვენილი ჩანდა.

თვალცრემლიანმა გოგონამ გაიღიმა.

— სენია, იდექი! — ხელი ხელს შემოჰკრა მან. — ასე იდექი! ცხვირი მაღლა! კიდევ მაღლა. ყოჩაღ! მომეცი თათი, — ლორამ მამას ხელი ჩამოართვა. — ახლა კი ყველანი თრიებად გადაიქეცით!

— ეს რაღას ნიშნავს? — იკითხა ნუკლიევმა.

— ეს იმას ნიშნავს, რასაც ნიშნავს! — გამოაჯავრა ლორამ. — აბა, ახლავე! თორემ სურას გავტეხავ! — პატარა მომთვინიერებელმა ხელი სტაცა მაგიდაზე მდგარ ბურახით სავსე სურას და გულზე მიიხუტა.

— აი, ასე უნდა გავაკეთოთ... — აჩქარებით დაიწყო დედამისმა. — ჯერ წელში უნდა გავიჯგიმოთ... — ვერამ ხელები გვერდებზე შემოიკრა. — შემდეგ დავუსტვინოთ. — დედამ წაისისინა. — აბა, დაუსტვინეთ, რა...

ვარვარა იგნატიევნა მისწვდა ლორას თავს და თმაზე ხელი გადაუსვა.

— გატეხე, გენაცვალე, ჩვენ კიდევ ვიყიდით.

— სწორედაც გავტეხავ! — პატარა რასტორგუევამ სურა მოიქნია, მაგრამ უცბად არეულ-დარეული სტვენა გაისმა. ყვე-

ლას დაენანა ბროლის სურა. ნახევარშეფიც კი უსტვენდა. ნუკ-ლიევი სწორედ რომ ყაჩაღივით უსტვენდა. სტუმრების ხათ-რით მოხუცებიც ფშვინავდნენ, მაგრამ ეს სტვენა არ იყო.

მხოლოდ „ენაჭარტალამ“ აიბზუა ზიზღით ტუჩები.

— ასე არა! — დაიყვირა დაუნდობელმა მომთვინიერებელ-მა. — არ ვარგა! არ ჰგავს თრიებს! მუხლებზე უნდა დადგეთ! დედა, აჩვენე!

ვერამ მორჩილად დაიჩოქა, მაგრამ მეტისმეტად ვიწრო კა-ბას ვერაფერი მოუხერხა. დანარჩენები გაუბედავად შეჰყუ-რებდნენ ერთმანეთს.

— დაიჩოქეთ! — გაისმა კატეგორიული ბრძანება. წაქცე-ული სურიდან ბურახი იღვრებოდა, მაგრამ ექსპანსიური მომ-თვინიერებელი ამას ვერ ამჩნევდა.

— როგორი თავისუფალი ბავშვია, — აღფრთოვანებულმა ნუკლიევმა მძიმედ გაადინა იატაკზე ზღარბთანი, თან მისი გაუ-ვარჯიშებელი სახსრები ტკაცუნი გაისმა.

— უბრალოდ გონება არაფრით აქვს დასაქმებული, — თავისთვის ჩაილაპარაკა ფედორ ივანოვიჩმა, — ეს რომ ლურ-სმულს სწავლობდეს...

— მეცნიერო პაპა, შენც დაიჩოქე! — დაუყვირა ლორამ.

— დაიჩოქეთ, ღვთის გულისათვის, — ურჩია ქვევიდან მწერალმა ნუკლიევმა. — ხომ ხედავთ, ბავშვი გადარეულია. თქვენ აღიზიანებთ მის კომპლექსებს. იცით ამას რა მოყვება? თუ ყოველთვის დავამუხრუჭებთ ბავშვის კომპლექსებს, იგი გარეგნულად მორჩილი გაიზრდება, სინამდვილეში კი ეშმაკი და გაიძვერა იქნება.

— თუ ადამიანი დაკავებული არ არის, — ნახევარშეფი ქა-ქანით დაეშვა მუხლებზე. — უსაქმურ კაცს თავში სულელური აზრები უტრიალებს. მაგალითად, ლურსმული დამწერლობა... ადამიანი, რომელიც ლურსმული დამწერლობითაა გატაცებუ-ლი, თითქოს ორ განზომილებაში ცხოვრობს, დღევანდელსა და გუშინდელში. მას დრო აღარ რჩება სურების გასატეხად.

— ლურსმული დამწერლობა გონების საშინელი დამონე-ბაა, — თავისი ადგილიდან შეეხმიანა ნუკლიევი. — ამაზე უარესი ხომ აღარაფერია, თვით ინგლისურისა ან მუსიკის ჩიჩინიც კი. მუსიკაც ძალიან ცუდია. იგი ექვსი წლის ბავშვს უკვე კაცთ-

მოძულედ აქცევს. მუსიკა სანაგვეზე ბოთლების მტვრევაა ჰგავს — პირდაპირ საშინელებაა. ბალეტი კი...

— მაშასადამე, თქვენ საერთოდ აღზრდის წინააღმდეგი ხართ? — ჰკითხა ფედორ ივანოვიჩმა.

— მე კომპლექსების განთავისუფლების მომხრე ვარ.

— თქვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ არაფერი არ უნდა ვაკეთოთ?

— არა, ამას არ ვამბობ. უბრალოდ, ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ კომპლექსებს და ფრთხილად გავათავისუფლოთ ისინი. ალბათ რაღაცას მივაღწევთ.

— მაგრამ ვერაფერს რომ ვერ მივაღწიოთ?

— ეს შეუძლებელია. ყოველი ადამიანი განუმეორებელი სამყაროა. არ უნდა დავამახინჯოთ ეს სამყარო ნაძალადევი პირობითობით. ვერა, თქვენი გოგონა მუსიკას სწავლობს?

— დიახ, — ამაყად თქვა ვერამ. — მუსიკასაც, ბალეტსაც, ინგლისურსაც და ქარგვასაც სწავლობს.

— აი, ამისათვის იძიებს თქვენზე შურს.

— რა ვუყოთ. ის ჯერ პატარაა. გაიზრდება და მადლობელი დამრჩება.

— დალევა არ მოგინდათ? — მორიდებით თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— ყველა! ყველა მუხლებზე დადექით! სამამდე ვითვლი! — შესძახა ლორამ, რომელსაც მეცნიერული კამათის მოსმენა მობეზრდა. — ერთი! ორი!

— ისროლე, შვილო, ისროლე! — უთხრა ვარვარა იგნატიევნამ. — თორემ ხელი გიკანკალებს.

— სამი!

ბაჰ! სურა დაიმსხვრა. ნამსხვრევები მუხლებზე დაჩოქილ თეორეტიკოსებს მოხვდა. აქაფებულმა ბურახმა კომპლექსების განთავისუფლების მომხრისაკენ გაიკაფა გზა. ნუკლიევი ცქვიტად წამოხტა.

„ენაჭარტალა კატკამ“ ჩაიცინა.

თავი მეორე,

რომელშიც კვლავ კამათობენ აღზრდის შესახებ

უცებ კარმა გაიჭრიალა და ოთახში გენადი ონუფრიევიჩი შემოვიდა. მას ხელმოკიდებული მოჰყავდა ფერმკრთალი ბიჭი, რომელსაც კრიმპლენის რუხი კოსტიუმი, ჭვინტიანი ლაქის ფეხსაცმელი და მაქმანის პერანგი ეცვა. ბავშვის მორთულობას ავსებდა ლურჯი ჰალსტუხი და პიჯაკის ჯიბიდან ამოშვერილი თეთრი ცხვირსახოცი.

— რა ხდება აქ? — გაოცდა გენადი ონუფრიევიჩი.

— Good afternoon![1] — თავაზიანად წარმოთქვა ნორჩმა ჯენტლმენმა და აკურატულად შეკრეჭილი თავი დახარა.

ყველა თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ახალშემოსულთ.

— ჩვენ ცოტა შეგვაგვიანდა, — გენადი ონუფრიევიჩმა ფრთხილად ასწია ფეხი და ბურახის ნაკადი ფედორ ივანოვიჩის მხარეს გაუშვა. — მატარებელმა დაგვაღალატა. თქვენ უკვე ჭურჭელსაც ამტვრევთ?

ფედორ ივანოვიჩი იატაკიდან წამოდგა და შარვლის მუხლისთავებს გაწურვა დაუწყო.

— ტყე'ს კაფავენ — ნაფოტები ცვივა, — რატომღაც რუსული ხალხური ანდაზით უპასუხა მან.

— ბავშვს დამარილებული ხეკი უნდა, — თქვა ვერამ და ისიც ფეხზე წამოდგა.

— რა ხეკი, არაფერი მესმის, — თავი გააქნია გენადი ონუფრიევიჩმა. — სმიტ, please take your seats[2]. აბა, ქალბატონებო და ბატონებო, დროა დავიწყოთ. — მეცნიერმა სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოცით გაიწმინდა.

— ახლავე, ოღონდ იატაკს მოვწმენდავ, — აფუსფუსდა ვარვარა იგნატიევნა.

ირორჩკა თავის' ყოფილ ქმართან მივიდა და ხელი გაუწოდა:

— გამარჯობა, გენა... მშვენივრად გამოიყურები... — გენადი ონუფრიევიჩმა თვალებმოჭუტულმა შეხედა თავის ყოფილ ცოლ'ს.

---

[1] გამარჯობათ! (ინგლ.).

[2] სუფრასთან მობრძანდით (ინგლ.).

— ოჰ, შენც აქა ხარ, — თქვა დაბნეულად.

— თქვენი სათვალე ბინოკლს ჰგავს, — თქვა ლორამ. — სათვალეში კიბოს ჰგავხართ.

— მართლა? — გაოცდა გენადი ონუფრიევიჩი. — კიბოს? ჩემთვის ეს ჯერ არავის უთქვამს.

— იმათ ეშინიათ. მე კი არავისი მეშინია.

— ლორა!

— და კიდევ თმაში ბუმბული გაქვთ. რაშია საქმე, ნუთუ არავინა გყავთ, ბალიში რომ დააკეროს? უცოლო ხართ?

— რა ᲗᲘᲗᲐᲛᲐᲛᲔᲐ! — გაისმა ნუკლიევის აღტაცებული ჩურჩული. ღვაწლმოსილი მეცნიერი ყოფილ კოლეგასთან მივიდა და ხელკავი გამოსდო. — მოდი, დავივიწყოთ ყველაფერი?

კრასინმა სათვალე გაიკეთა.

— თქვენც აქა ხართ?

ამ დროს ირიჩკა გაუბედავად მიუახლოვდა შვილს.

— შურიკ... გამარჯობა... ხომ გახსოვარ! მე შენი დედა ვარ... ღმერთო ჩემო... რამხელა გაზრდილა... უკვე დიდი ბიჭია... მოდი მოგეხვიო... მოდი ჩემთან, ჩემო ძვირფასო...

— მას რუსული არ ესმის, — ამოიოხრა გენადი ონუფრიევიჩმა.

— არ ესმის? — გაოცდა ირიჩკა. — ჰო, მართლა... შენი ექსპერიმენტი... მაგრამ განა არ დაამთავრე უკვე?

— დიდი ხანია. უკვე რუსულს ვასწავლი, მაგრამ საქმე ცუდად მიდის. ენების შესწავლის ნიჭი არ აღმოაჩნდა. ახლა რუსულ სკოლაში მოვაწყვე ინგლისურ საავჭრო წარმომადგენლობასთან.

— აუხსენი, რომ მე დედა ვარ მისი! შურიკ, ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს შენა ხარ, ჩემი სისხლი და ხორცი?

ირიჩკა ატირდა. გენადი ონუფრიევიჩმა რაღაც უთხრა შვილს ინგლისურად. შურიკ-სმიტმა თავაზიანი ღიმილით გაუწოდა დედას ხელი.

— Pleased to meet you[1].

— შურიკ! მე ხომ დედა ვარ შენი! მოდი ჩემთან!

ნორჩი კრასინი მამას მიუბრუნდა:

---

[1] მოხარული ვარ, რომ გაგიცანით (ინგლ.).

— What was it she said?[1]

— შურიკ! — დედა შვილს მივარდა და გულში ჩაიკრა. — ჩემო საყვარელო შურიკ! როგორ გაზრდილხარ!

შურიკ-სმიტმა ცოტა უკან დაიხია:

— We should like to have an interpreter. Speak: slower, please. What languages do you know?[2]

— ღმერთო ჩემო, ნამდვილი უცხოელია! კატია, კატენკა! მოდი აქ! შურიკ, ეს შენი დაა! კატია, შენმა ძმამ რუსული არ იცის. უთხარი რამე ინგლისურად. შენ ხომ სწავლობ ინგლისურს.

„ენაჭარტალამ" ჩაიცინა.

— Hello... Kid[3]... — ამოღერღა მან და თან არც განძრეულა.

შურიკ-სმიტი გამოცოცხლდა.

— O! Do you understand me?[4]

კატკამ ისევ ჩაიცინა.

— Three[5], — თქვა მან. — რეგვენი! — კატკამ ზურგი შეაქცია.

— What does it mean?[6] — იკითხა შურიკ-სმიტმა.

მას არავინ უპასუხა. მოვიდა ონუფრი სტეპანოვიჩის ნაცნობი, უკვე საკმაოდ შეზარხოშებული.

— მე მქვია... პიოტრ... პიოტრ სემიონოვი... რას ნიშნავს ეს, თქვენი აზრით?.. Allow me to introduce myself[7]. მე ომის დროს არხანგელსკში ვიყავი კაპიტნად... ვხვდებოდი თქვენს კონვოის... რას ნიშნავს ეს, თქვენი აზრით? ღმერთო გამახსენე... I have wanted to visit England[8].

---

[1] რა თქვა? (ინგლ.).

[2] ჩვენ თარჯიმანი გვჭირდება. თუ შეიძლება, ნელა ილაპარაკეთ. რა და რა ენები იცით? (ინგლ.).

[3] გამარჯობა... ბიჭო... (დამახინჯ. ინგლ.).

[4] ო, თქვენ გესმით ჩემი ლაპარაკი? (ინგლ.).

[5] სამი (ინგლ.).

[6] რას ნიშნავს ეს სიტყვა? (ინგლ.).

[7] ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი თავი... (ინგლ.).

[8] მე, დიდი ხანია, მინდოდა ინგლისში წავსულიყავი (ინგლ.).

— რა შუაშია ინგლისი? ის ხომ რუსია, — თქვა გენადი ონუფრიევიჩმა.

— რუსი? — გაოცდა ყოფილი კაპიტანი. — რატომ არ ლაპარაკობს რუსულად?

— ასე მოხდა.

— სა-ინ-ტე-რე-სოა... — წაიბურტყუნა პიოტრ სემიონოვმა. — მაშასადამე, მან ინგლისური იცოდა... ჯერ კიდევ იქ...

— თითქმის.

— ჰო-ო... — მიუგო განცვიფრებულმა კაპიტანმა, განზე გადგა და ჩაფიქრდა, თან პირში თითი ისე ჩაიდო, როგორც პატარა ბავშვმა.

— I am thirsty. Cold water, please[1]. — თქვა ნორჩმა კრასინმა.

— ეგებ საქმეს შეეუდგეთ? — იკითხა გენადი ონუფრიევიჩმა და სათვალე გაისწორა. — ბავშვს თავისი რეჟიმი აქვს.

— მართლა, რას გაჩუმებულხართ? — აფუსფუსდა ვარვარა იგნატიევნა. — მოდი, შურიკ, დაჯექი...

— We gladly accept your invitation[2], — ანგარიშმიუცემლად გასცა პასუხი ფიქრებში წასულმა მეცნიერმა.

— პირდაპირ არისტოკრატების კლუბი გეგონება პიკადილი-სტრიტზე, — წაიბუტბუტა ნუკლიევმა.

ყველა მაგიდას შემოუსხდა. ირორჩკა ყოფილ ვაჟიშვილსა და ყოფილ ქმარს შუა დაჯდა: იგი აშკარად ღელავდა. ქალს ლოყები უხურდა. ფიქრებს დაეღარა მისი მოღუშული შუბლი. ირორჩკა სულ ცდილობდა დალაპარაკებოდა ღვიძლ შვილს, მაგრამ თავაზიან, ცივ მზერას რომ წააწყდებოდა, მაშინვე ჩუმდებოდა. ამასთან ერთთავად თავგზას უბნევდა შექეიფიანებული გენადი ონუფრიევიჩი. მეცნიერმა ადღეგრძელა მშობლები, ზედიზედ ორი დიდი სირჩა არაყი დალია და შეთვრა. გენადი ონუფრიევიჩი უფრო მეტად დაიბნა და დაავიწყდა, რომ ირორჩკა უკვე, დიდი ხანია, მისი ცოლი აღარ იყო.

— სად იკარგები წარამარა? — ეუბნებოდა მეცნიერი და თან ურჩ სოკოს ჩანგლით დასდევდა. — სმიტის მოვლამ არაქათი

---

[1] მწყურია. მომეცით, თუ შეიძლება ცივი წყალი (ინგლ.).

[2] სიამოვნებით მივიღებთ თქვენს წინადადებას (ინგლ.).

გამომაცალა. მისი არავის ესმის... საბავშვო ბაღში ერთთავად გაუგებრობებია... მაღაზიაში ვერ გააგზავნი... ეზოში არავინ ეთამაშება, დაცინვით ჯონ ბულს ეძახიან... კარგია, რომ, როგორც იქნა, რუსულ სკოლაში მოვაწყვე... ინგლისურ სავაჭრო წარმომადგენლობასთან... მაგრამ იქ ზერელე ცოდნას აძლევენ...

— მე, დიდი ხანია, შენი ცოლი აღარა ვარ, — ცდილობდა ირეჩკა ჩაეგონებინა თავისი ყოფილი ქმრისთვის. — უკვე რამდენიმე წელია, რაც ნუკლიევის გვარს ვატარებ.

— ცოლი არა ხარ? ეს როგორ... საოცარია, — მეცნიერმა გაისწორა ცხვირზე ჩამოვარდნილი სათვალე. — ძალიან მიკვირს... კარგი, კარგი, ამას არა აქვს მნიშვნელობა... მე შენ როგორც ყოფილ ცოლს ისე გეტყვი... ბავშვს სუსტი ნერვული სისტემა აქვს... ინგლისურ სკოლაში კი, იცი, რუსულს როგორ აწვებიან! ძილშიც კი რუსულ სიტყვებს ყვირის. ძირითადად უწმაწურს. ალბათ ბავშვებმა ასწავლეს. უცხოელები კი ჰქვიათ...

მეცნიერი გრაფინს მისწვდა და კიდევ ერთი ჭიქა დალია.

— და კიდევ... საიდუმლოდ გეტყვი... როგორც ყოფილ დედას... შენ მხოლოდ არავის... ამ სკოლაში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ მანერებს. მეტისმეტად თავაზიანი გახდა... ადგომა უნდა, ნებართვას ითხოვს... დაჯდომა უნდა, ნებართვას ითხოვს... ტუალეტში მიდის, ბოდიშს ვიხდი, ნებართვას ითხოვს...

— ღმერთო ჩემო, შენ როგორი არაამქვეყნიურიც იყავი, ისეთივე დარჩი... ჩვენს დროში ასეთ ბავშვს ოქროს ფასი აქვს. მასზე უნდა ილოცო!

— მოდი, დედაბერო, დავლიოთ, რაღაც თავს ცუდად ვგრძნობ. ძნელია, დიდ ენერგიას ვხარჯავ... ეტყობა, დავიღალე.

— გაჩერდი, — ირეჩკამ მოიცილა მისი ხელი. ქალს სახე წამოუჭარხლდა, ეტყობოდა, რაღაცაზე გაცხარებული ფიქრობდა.

— მა-მა... Can have a veal cutlet?[1] — შურიკ-სმიტი თავაზიანად შეეხო მამის იდაყვს.

---

[1] შეიძლება მომცეთ ხბოს კატლეტი? (ინგლ.).

— რა? ჰო, კატლეტი? დედა, გვაქვს კატლეტი? ოღონდ ხბოს კატლეტი.

ვარვარა იგნატიევნა დამნაშავესავით ხან ერთ საჭმელს ეცა, ხან მეორეს.

— ხბოს კატლეტი? შვილო... რატომ წინასწარ არ გაგვაფრთხილე? ქათამი, აჰა, ინებეთ... შემწვარი ცხვრის ხორცი...

— ო! — მიხვდა ნორჩი კრასინი. — ცხვარი... კარგია... Give one portion mutton[1].

— აიღე, შვილო! აარჩიე, რომელი ნაჭერიც გინდა. ჭამე, ღმერთმა შეგარგოს.

— Thank you[2].

— პური გინდა?

— No. With my roast mutton I shall have mashed potatoes, carrots, french beans, cauliflower, peas[3].

— რას ამბობს, გენიუშა?

— მიდი, ყველაფერი ერთად დაახვავე. ამ სავაჭრო წარმომადგენლობის სკოლაში ათასნაირ სისულელეებს მიაჩვიეს... პარდონ... ათასგვარ საკაზმებს...

შურიკ-სმიტს თეფშზე დაუხვავეს ყველაფერი, რაც სუფრაზე იყო, და ისიც შეექცა ტაბლას. იგი ფაქიზად ხმარობდა დანა-ჩანგალს. არც ერთ ზედმეტ ხმას არ გამოსცემდა, მაშინ როცა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდარი ლორა ჭირვეულობდა, პირს აწკლაპუნებდა და ანცი გოჭივით აქეთ-იქით ისროდა საჭმელს.

სუფრასთან კი კვლავ აღზრდის შესახებ საუბრობდნენ — მეტისმეტად განსხვავებული ბავშვები ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ: ერთი მხრივ, ცივი, თავდაჭერილი, უკიდურესად თავაზიანი ჯენტლმენი, მეორე მხრივ — ტემპერამენტიანი, უკიდურესად უზრდელი გოჭუნა.

— შეხედეთ მათ და შეადარეთ, — თავის თეორიას ავითარებდა ნუკლიევი.—ერთს კომპლექსები მთლიანად დათრგუნუ-

---

[1] მომეცით ერთი ულუფა შემწვარი ცხვრის ხორცი (ინგლ.).

[2] გმადლობთ (ინგლ.).

[3] არა. შემწვარ ცხვრის ხორცთან ერთად მომეცით, გეთაყვა, აგლესილი კარტოფილი, სტაფილო, ფრანგული ლობიო, ყვავილოვანი კომბოსტო, ცერცვი (ინგლ.).

ლი აქვს. იგი მოქმედებს როგორც დაპროგრამებული ავტომატი. ყველა მისი სურვილი, აზრი, გრძნობა პირობითობის რკინის ნიღაბშია მომწყვდეული. დიახ, არ დაგიმალავთ — სასიამოვნოა მისი ყურება. მაგრამ ეს ხომ კარგია ჩვენთვის და არა თავად მისთვის. ის ხომ ბავშვია! მას უნდა სირბილი, ხტომა, ცელქობა! ის კი ფოლადის კორსეტითაა შებოჭილი.

— მაგრამ ის ზრდი-ლი-ა, — მხურვალე წინააღმდეგობას უწევდა მას ვერა. — ჩვენს დროში განა ხშირად შეხვდებით ზრდილობიან ადამიანებს? ბავშვებს ხომ — მით უმეტეს! შეხედეთ ჩემს ურჯულო შვილს! რატომ დააგდო საერთო ლანგარზე ძვალი? აბა, მითხარით, რატომ?

— მან ძვალი იმიტომ დააგდო, რომ ასე უნდოდა, მისი კომპლექსები სრულიად თავისუფალია. თავისუფლება ყოველივე მთავარის ბუნებრივი მდგომარეობაა. ამქვეყნად მხოლოდ ერთმა არსებამ დაივიწყა ეს. ადამიანმა!

— ხსნა წარსულშია, — თავისას გაიძახოდა ნახევარშეფი. — უძველესმა ადამიანებმა ყველაფერი იცოდნენ. ახალი არაფერია და არც იქნება. ჩვენ თუ ბოლომდე გავშიფრავთ ლურსმულს... მაგრამ ვინ მოჰკიდებს ამას ხელს? მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც იცის ლურსმული... გვჭირდება ცვლა, ის კი არ არის... კრასინის შეცდომა ისაა, რომ მან თავისი ექსპერიმენტი ლურსმულის სფეროში არ განახორციელა. ჩვენ რომ დაგვემტკიცებინა, რომ ადამიანს შეუძლია დაბადებიდანვე ფლობდეს ლურსმულს... ო! რას მოვიმოქმედებდით მაშინ! მსოფლიოს საოცარ ინფორმაციას მოვფენდით საუკუნეთა წყვდიადიდან! მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა ხელახლა გამოგვეგონებინა ველოსიპედი და აგვეგო რაკეტები. შესაძლოა, ჩვენი წინაპრები პლანეტათა შორის მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვით მოგზაურობდნენ. „სამყარო ჩვენშია“, — ამბობდნენ ძველი ადამიანები. რა მართლები იყვნენ ისინი!

— უღლები, — ამბობდა ონუფრი სტეპანოვიჩი, თან „პორტვეინ-72“-ით სავსე ჭიქას უყურებდა და არავის უსმენდა. — კარგი ყმაწვილია, მაგრამ უღლებს ვერც უხსენებ, ცხვირს ბზეკს. აი, მოკვდები, მაშინ უღლებს ვინდა დაამზადებს? მთელ რაიონში მარტო მეღა დავრჩი. სამარეში ჩავიტან ჩემს ხელობას...

— სახლი მაგაზე გავაფორმეთ, — კვერს უკრავდა ვარვარა იგნატიევნა. — მაგას კი არაფერში სჭირდება ჩვენი სახლი. ბაღიც და ბოსტანიც გავერანდება... ისე, კარგი ბიჭია, გულითადი. მხოლოდ ვერაფერს გაუგებ.

— ლექსიკონით თუ გააგებინებ რამეს, — თქვა ონუფრი სტეპანოვიჩმა.

— ლექსიკონით, რასაკვირველია...

გენადი ონუფრიევიჩი წამოდგა და წაბარბაცდა.

— სადღეგრძელო! მე მინდა სადღეგრძელო ვთქვა! I wish to propose a toast to... Mr. Chairman! Ladies and gentlemen![1] გთხოვთ დამიდასტუროთ! მე შტერი ვარ. იჰ ბინ შტერ!

მეცნიერი სკამზე დაებერტყა და ატირდა. მხრები უცახცახებდა. ყოფილმა ცოლმა თავზე ხელი გადაუსვა.

— დამშვიდდი, — წაუჩურჩულა მან. — ყველაფერი კარგად იქნება. იცი, რა ვქნათ? მოდი, ბავშვები გავცვალოთ. შენ შურიკი მომეცი, მე კი კატკას მოგცემ. ქმარსაც დავიყოლიებ... რად გინდა შურიკი? დისერტაცია უკვე დაიცავი და ახლა იგი ზედმეტი ბარგია შენთვის. მე კი ძალიან მომწონს. ყველა ნაცნობი შურით გასკდება. თანახმა ხარ, გენა? საქმეც შეგიმსუბუქდება. კატკა, რასაკვირველია, თაფლი და შაქარი არ არის, მაგრამ რუსული მაინც იცის.

გენადი ონუფრიევიჩი ისევ ტიროდა. ბიჭმა ჭამა შეწყვიტა და გაოცებული მთვრალ მამას შეჰყურებდა. მის თვალებში გაკიცხვას ამოიკითხავდით.

— მა-მა... — დამარცვლით თქვა მან. — Where is the gentlemen's lavatory here?[2]

— ტუალეტი კი არა, საპირფარეშო! სორტირი! გესმის? რამდენი უნდა გიჩიჩინო, ოხერო უცხოელო! სა-ჭი-რო ოთა-ხი! აი, რამდენი სახელწოდება აქვს! მამაკაცებისა და ქალების კი არა, საერთო! ბოსტანშია! ორი ნაბიჯი მარცხნივ, სამიც — მარ-

---

[1] მე მინდა შემოგთავაზოთ სადღეგრძელო... ბატონო თამადა! ბატონებო და ქალბატონებო (ინგლ.).

[2] სად არის მამაკაცების ტუალეტი? (ინგლ.).

ჯვნივ — იქ დაინახავ ფიცრულს. ადიუ! I am tired and sleepy![1]

— ჩვენ გავაცილებთ, — თქვა ირეჩკამ. — ნუკლიევ, გამოგვყევი, ფარნით გაგვინათე.

— I would like a drop of whisky[2]. ესე იგი არაყს! ეშმაკმა დალახვროს! მალე მეც გადავეჩვევი რუსულად ლაპარაკს.

გენადი ონუფრიევიჩი ბოთლს მისწვდა და ჯიქაში დაისხა.

— მაშ ასე, მაინ კლაინ გენოსე ბებრებო! Many happy returns of the day![3]

— წავიდეთ, შვილო, მე გაჩვენებ ტუალეტს, — ირეჩკამ შურიკ-სმიტს სახელოში მოჰკიდა ხელი.

თავი მესამე და უკანასკნელი.

რომელშიც გენადი ონუფრიევიჩ კრასინი მიდის კინოფილმის „სიყვარული თელებქვეშ“ საყურებლად

გენადი ონუფრიევიჩი ქუჩაში გამოვიდა. თბილი საღამო იყო. ვარსკვლავები ციმციმებდნენ. სიო ბაღში ფოთლებს აშრიალებდა... მოახლოებული წვიმისა და თივის სუნი ტრიალებდა.

მეცნიერმა ეზო გაიარა, ჭიშკარში გავიდა და ღობესთან მორზე ჩამოჯდა. შორს, სოფლის ცენტრში, გოგონები მღეროდნენ. გენადი ონუფრიევიჩი ღობეს მიეყუდა და თვალები დახუჭა. სურნელება და ხმები უფრო მკვეთრად და გარკვევით გაიგონა. გვერდით ახალგაზრდების ჯგუფმა ჩაუარა, გიტარაზე უკრავდნენ.

— შეხედე, კრასინები ქეიფობენ.

— ჰო...

— ეს ვინღა ზის? ბიძია, რა მარტო დამჯდარხარ? წამოდი ჩვენთან ერთად კინოში! — გენადი ონუფრიევიჩის წინ შარვლიანი, თმაგაშლილი ქალიშვილი შეჩერდა.

— რა გადის? — იკითხა მეცნიერმა.

---

[1] მე დავიღალე და მეძინება! (ინგლ.).

[2] მე დავლევდი ცოტაოდენ ვისკის (ინგლ.).

[3] გილოცავთ დაბადების დღეს (ინგლ.).

— „სიყვარული თელებქვეშ“.

— მე არ მინახავს.

— ჰოდა, წამოდით. თორემ ყველანი წყვილ-წყვილად არიან, მე კი მარტო ვარ.

კრასინი წამოდგა და გოგონას ხელკავი გაუკეთა.

— რა გქვიათ?

— მე? ნადია... ნადეჟდა...

— მე კი გენადი ონუფრიევიჩი... გენა...

— მე თქვენ გიცნობთ. თქვენ ვარია ბებიას შვილი ხართ. წავიდეთ?

— წავიდეთ, — თქვა მეცნიერმა.

სახლში ისევ ყვიროდნენ და დარბოდნენ, შემდეგ კარმა გაიჯახუნა, კიბეზე ვიღაც გამოვიდა.

— კრასინ, სადა ხარ?

ეს ნახევარშეფის ხმა იყო.

— კინოში მივდივარ, — თქვა გენადი ონუფრიევიჩმა. — ლამაზ ქალიშვილს შევხვდი და კინოში მივდივარ. ასე გადაეცი ყველას. „სიყვარული თელებქვეშ“ უნდა ვნახოთ.

— გისურვებ საპიამოვნო დროს ტარებას, — თქვა ლურსმულის მცოდნემ.

ისინი ღობეს მოცილდნენ. ქალიშვილს ნაზი და თბილი ხელი ჰქონდა.

— ჰეი! — უცბად მიაძახათ ნახევარშეფმა. — ოღონდ გახსოვდეს! კიპენინგი!

— რა თქვა? — ჰკითხა ქალიშვილმა.

გენადი ონუფრიევიჩმა იდაყვზე ხელი მოუჭირა და გაიცინა.

— არაფერი... რა ლამაზი სახელი გქვიათ!

1976, მაისი,
მოსკოვი

სოკოები ასფალტზე

ლირიკული ხასიათის სატირული მოთხრობა

გავრილ ნიკოლაევიჩ ტროეპოლსკის

ნაწილი პირველი

„მფრინავი ჰოლანდიელის“ ეკიპაჟი

ბაჯის ღამე

იატაკზე დავარდნილი სასაპნის ხმაურმა გამაღვიძა. იდაყვდაყრდნობილმა წამოვიწიე და დავინახე, რომ ფანჯარაში ვიღაც მოძვრებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე ნათლად გამოიკვეთა ადამიანის სილუეტი. უცნობი დაჩოქილი იდგა.. მის ხელებსა და ტანსაცმელს მკრთალი მოლურჯო ნათელი შემოსდგომოდა. საბანი ვისროლე და წამოვხტი.

ფანჯრიდან ღამის სიგრილე შემოდიოდა, თვალისმომჭრელად ციმციმებდნენ ვარსკვლავები, საწოლქვეშ ჭრიჭინა ჭრიჭინებდა. ყველაფერი რეალობა იყო, გარდა მანათობელი ადამიანისა ფანჯრის რაფაზე.

დაყვირებაც ვერ მოვახერხე, რომ მანათობელი არსება იატაკზე ჩამოხტა და ოთახის სიღრმისაკენ გასწია, თან მოციმციმე ნაკვალევს ტოვებდა. შემდეგ აუჩქარებლად გაიხადა და საწოლში ჩაწვა. ზამბარებმა უსიამოვნოდ გაიჭრიალა.

სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ შორიდან მოისმოდა ხეების

შრიალი. ანაზდად საზარელი ფიქრები ამეკვიატა უჩინარ ადამიანზე, მოჩვენებებზე, ვარსკვლავებიდან მოსულებზე. ოდესღაც ბავშვობაში წაკითხული, ფანტასტიკური, ზღაპრული, ერთბაშად ამოტივტივდა მეხსიერებაში. გამოუცნობისა და იდუმალის წინაშე დიდი ხნის მივიწყებულმა გამყინავმა შიშმა ერთიანად შემბოჭა. ის იყო, პირი დავაღე და მთელი სახლის გასაგონად ბავშვივით დაყვირება დავაპირე, რომ მოჩვენებამ დაამთქნარა და წარმოთქვა:

— ო, როგორ მომინდა ჩახეთქვა, ძმობილო! ერთი, ა'ე ოკკილოგრამიანი, ღორის ბარკალი ხომ არ გეგულება სადმე?

ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული ბალიშს მივეყრდენი. იდუმალი არსება ვაცლავ კობზიკოვი აღმოჩნდა.

— წადი დაიბანე, — ვუთხარი მე. — ისე ანათებ, როგორც სასწაულმოქმედი ხატი.

ვაცლავი პირსაბანთან ჭყუმპალაობდა და თან ქაქანებდა:

— მეც ვუყურებ და ვამბობ, ეს რა იდიოტიზმია! ჩვენი სახლი ბრდღვიალებს, თუმცა საშინელი უკუნეთია! მაშასადამე, ვფიქრობ ჩემთვის, სმას თავი უნდა დავანებო...

— როგორც ჩანს, ცარცში ფოსფორის მინარევი მოხვდა. ეგორ ეგორიჩმა რომელიღაც ქიმიურ არტელში იყიდა.

ჩუსტები ჩავიცვი და ქუჩაში გავედი. სახლი მართლაც ანათებდა. ისედაც უცნაური არქიტექტურული ნაგებობა ჯადოქრის კვერთხის ერთი მოქნევით თითქოს რაღაც ზღაპრულ მოჩვენებად გადაქცეულიყო. კოშკურები, კიბეები, მინაშენი და ვერანდები, რისგანაც ჩვენი საცხოვრებელი სახლი შედგებოდა, ტოტებგაშლილი მუხის ქვეშ შექუჩებულიყო, როგორც წიწილები კრუხის ფრთებქვეშ. გეგონებოდათ, გაიღება მრავალრიცხოვანი ფანჯრებიდან ერთ-ერთი და იქიდან თმაგაშლილი ალი გამოიხედავსო.

ამოვიოხრე. სახლში ალების გარდა ყველაფერი იყო.

ეგორ ეგორიჩი და მისი უჩვეულო სახლი სულ ახლახან აღმოვაჩინეთ. აპრილის ბოლოს ჩვენს საერთო საცხოვრებელში გაურკვეველი მიზეზების გამო ჭერი ჩამოინგრა და სტუ-

დენტებს შესთავაზეს დროებით კერძო ბინებში გადასულიყვნენ.

მთელი დღე მე და კიმი უშედეგოდ დავდიოდით ინსტიტუტის ახლომახლო ქუჩებში, მხოლოდ საღამო ხანს ერთმა მოხუცმა ქალმა გაგვანდო, რომ არსებობდა „ნოეს კიდობანი“.

„ყველას იღებენ, — გვითხრა მან. — იქ ყველა ჯურის ხალხია“.

ჩვენ ისე დაღლილები და მშივრები ვიყავით, რომ დიდი სიხარულით დავბინავდებოდით თუგინდ ჯოჯოხეთშიც კი, არამც თუ ჩვენი წინაპრის კიდობანში.

მაგრამ, როდესაც ეგორ ეგორიჩის ქოხმა თავისი ბრუტიანი ფანჯრებით შემოგვანათა, ერთბაშად მოვიხიბლე. მხოლოდ ბებია კუპრიანიხას საბავშვო ზღაპრების ილუსტრაციებზე თუ ნახავთ ამდაგვარ რამეს.

ჭრიალით გაიღო ჭიშკარი და მე და კიმი დიდ ეზოში აღმოვჩნდით, რომელშიც მრავალი პატარა პარმაღი დავინახეთ. მთელი ეზოს სიგრძეზე გაბმულ თოკებზე სარეცხი შრებოდა. სარეცხი იმდენად ბევრი იყო, რომ ირგვლივ მთელი სივრცე გვერდზე გადახრილ აფრებიან გემს მოგაგონებდათ. ჭიშკართან პალოზე ჯაჭვით მიბმული მწვანე მამალი იჯდა, რომელიც ჩვენს დანახვაზე გაბოროტებული წამოხტა. ამ ცერბერმა საბოლოოდ მომაჯადოვა.

ეზოს კუთხეში ვიღაც ადამიანები ორმოს თხრიდნენ. ჩვენ მივუახლოვდით.

— ვინ არის სახლის პატრონი? — იკითხა კიმმა.

ზოლიან მაისურში გამოწყობილმა, საკმაოდ ახალგაზრდული შესახედაობის მამაკაცმა, ლოყაზე ნაჭრილობევი რომ აჩნდა, ბარი მიწას დააჩო.

— ჩვენ რესპუბლიკა გვაქვს, — თქვა მან მხიარულად და მსხვილი ყვითელი კბილები დაკრიჭა. — ყველანი სახლის პატრონები ვართ.

— ჩვენ კი სტუდენტები ვართ. გასაქირავებელი ოთახები ხომ არ გექნებათ?

ყოფილმა მეზღვაურმა თანაგრძნობით შემოგვხედა:

— სტუდენტი ჩიტი არ არის, ხის ტოტზე რომ იძინოს. რას იტყვით, ბიჭებო? მივიღოთ ისინი?

„ბიჭებმა“ რაღაც გაურკვევლად წაიბურტყუნეს. კარგი სანახავი იყო ორმოსთან მდგარი ჯგუფი. ისინი ძალიან წააგავდნენ ინტელიგენტებს, სამხედრო კომუნიზმის დროს სიმაგრეებს რომ თხრიდნენ. განსაკუთრებით სასაცილოდ გამოიყურებოდა ოქროსპენსნეიანი, თხისწვერიანი კაცი, უხეიროდ რომ ჩიჩქნიდა მიწას ნიჩბით.

— თანახმა ხართ? მაშ, წინ, სრული სვლით! — წამოიძახა ზოლიანმაისურიანმა, — წადით და იცხოვრეთ!

— სად?

— სადაც გინდათ. მთელი კოლოფი თქვენია.

ჩვენ საგონებელში ჩავვარდით.

— რამდენი იქნება ბინის ქირა? — დავინტერესდი მე.

ყოფილმა მეზღვაურმა ხელი ჩაიქნია.

— რასაც მომცემთ, ავიღებ. სტუდენტებს რა მოეთხოვება! ოღონდაც ყველაფერი კარგად იყოს. საქმეს დავაწვეთ. ბიჭებო, თორემ მალე დაღამდება.

„ბიჭებმა“ ნიჩბებს ხელი მოჰკიდეს და ჩვენთვის უკვე აღარავის ეცალა.

— რაღაც ფანდი არ იყოს, — თქვა კიმმა, ცოტა რომ დავცილდით. — მეტისმეტად კეთილი ამხანაგია.

— მე კი მომეწონა.

ჩვენ ცოტა წავიკამათეთ, მაგრამ საბოლოოდ კიმის ეჭვების გაქარწყლება მაინც შევძელი.

სახლის ერთ-ერთ კუნჭულში თავისუფალ ოთახს მივაგენით და იმავე საღამოს გადმოვბარგდით.

რესპუბლიკა „ნოეს კიდობანი“ ოდესმე არსებულ რესპუბლიკებს შორის ყველაზე საოცარი აღმოჩნდა. მთელი მისი კონსტიტუცია ერთადერთი პარაგრაფისგან შედგებოდა, რომელიც აღიარებდა: „რაც გინდა, ის აკეთე!“ შეგეძლო მთელი ღამე სინათლე არ ჩაგექრო, ბოსტანში კიტრები გეკრიფა, გესარგებლა სახლის პატრონის ჩაიდნით, მოსულიყავი და წასულიყავი დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ბინის ქირა, როგორც ასეთი, არ არსებობდა. როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტს ფული დასჭირდებოდა, იგი სესხად თხოულობდა. ასეთ დროს ეგორ ეგორიჩი მეტად დარცხვენილი ჩანდა.

სახლის პატრონი საერთოდ მომწონდა. მუდამ მხიარული,

მოძრავი, ყოველთვის რაღაცით იყო დაკავებული. ეგორ ეგორიჩს კეთილი გული ჰქონდა და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი გაჭირვებულ ადამიანს არ დახმარებოდა. განსაკუთრებით უბინაო ადამიანები ებრალებოდა, „ადამიანი ჩიტი არ არის, ხის ტოტზე რომ გამოიძინოს. მას კუთხე სჭირდებაო“. ახალ-ახალი ოთახების მიშენება ეგორ ეგორიჩის სუსტი მხარე იყო. სახლი როგორც საფუარზე, ისე იზრდებოდა. მე კარგად ხანს ვერ ვახერხებდი მის ლაბირინთებში გზის გაგნებას. ყველა ოთახი უჩვეულოდ ჭარბად იყო დასახლებული, მაგრამ სახლს ყოველდღე მობინადრეების ახალი ტალღა აწყდებოდა. მათგან თავის დაღწევა მხოლოდ კარებზე ბარიკადების მოწყობით შეიძლებოდა.

ეგორ ეგორიჩი კი აშენებდა და აშენებდა. როდესაც ნატანჯი, მტვრიანი დაუღალავად შრომობდა, ჩვენ ძალიან გვრცხვენოდა და მუქთახორებად და უსაქმურებად მიგვაჩნდა თავი. განსაკუთრებულ უხერხულობას მაშინ ვგრძნობდით, როდესაც უფულობის გამო ქირას ვერ ვიხდიდით. მაშინ ყველა ცდილობდა, რითიც შეეძლო დახმარებოდა და ესიამოვნებინა სახლის პატრონი.

...მანათობელი სახლის ხილვით დამტკბარი ოთახში შემოვბრუნდი. ვაცლავი საწოლზე იწვა და პაპიროსს ეწეოდა.

ჩვენს ოთახში კობზიკოვის გამოჩენა იდუმალებით იყო მოცული.

ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძე და გაოცებულმა შევნიშნე, რომ ჩემ გვერდით მშვიდად ხვრინავდა შავ კოსტიუმში გამოწყობილი ფრანტი, რომელსაც ჰალსტუხი-ბაფთა ეკეთა და ლაქის ფეხსაცმელი ეცვა. თავხედი შევანჯღრიე. არისტოკრატმა გაკვირვებით შემომხედა.

— პარდონ, — თქვა მან. — აქ რას აკეთებ?

— შენ თვითონ რას აკეთებ?

— დათვრებიან და საკუთარ საწოლს ვეღარ აგნებენ, — წაიბურტყუნა უცნობმა და კვლავ დასაძინებლად მოემზადა.

— სწორედაც რომ.

მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა. კობზიკოვმა თავაზიანად მომიხადა ბოდიში და ნებართვა მთხოვა, ჩვენთან ეცხოვრა. თურმე იგი ზოოვეტინსტიტუტის საერთო საცხოვრებლიდან

გამოაპანღურეს. ვაცლავმა მიზეზი ბუნდოვნად განმარტა: „იმიტომ, რომ ტრუსების ამარა ავედი სახურავზე. რატომ — არ ვიცი. ეს მოხდა დღესასწაულის დღეს“.

კობზიკოვის თხოვნა მხოლოდ მა'ს შემდეგ იქნა დაკმაყოფილებული, როდესაც მას თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი შეუერთდა.

ასე გაჩნდა ჩვენ'ს ოთახში უცნაური პიროვნება.

ვაცლავ კობზიკოვის მთელი ცხოვრება პაემანებისგან შედგებოდა. ახალ მდგმურს მხოლოდ შუაღამისას ან დილით ადრე თუ ვხედავდით. ეს მოურჯულებელი დონჟუანი იყო, მაგრამ განსაკუთრებული დონჟუანი — თუ შეიძლება ა'ს ითქვას, დონჟუანი-ბიუროკრატი. ვაცლავს სქელი საბუხჰალტრო წიგნი ჰქონდა, რომელშიც იწერდა თავისი შეყვარებულები'ს სახელებს, ტელეფონის ნომრებს, სამუშაო ადგილს, მშობლების საქმიანობა'ს და სხვა ამოსავალ მონაცემებს. საწოლის თავზე მომავალმა ვეტექიმმა ნოხი'ს მაგიერ ფერადი ფანქრებით გაფერადებული ვატმანის ქაღალდი დაკიდა — „პაემანების განრიგი“.

გარდა ამისა, ახალ მდგმურს კიდევ სხვა ისეთი საგნებიც ჰქონდა, რითაც მკვეთრად გამოირჩეოდა ჩვეულებრივი მაცდურებისაგან. დურბინდი, ყელსახვევი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრი'ს გამოსახულებით, ქალაქი'ს სატელეფონო სადგურის აბონენტების წიგნი და ქალაქის გეგმა. ეს იყო მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი დონჟუანი.

მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ კობზიკოვი სრულიად არ ჰგავდა თავქარიან არშიყს, რომელიც დონჟუანობ'ს, ასე ვთქვათ, ხელოვნები'ს სიყვარულით. არა, ეს სავსებით სერიოზული დონჟუანი გახლდათ, რომლისთვისაც სიყვარული გართობა კი არა, არამედ მძიმე, მაგრამ აუცილებელი ,შრომა იყო. რატომ აკეთებდა ამას? აქ რაღაც საიდუმლოება იმალებოდა. ბევრჯერ ვეცადეთ მე და კიმი გაგვერკვია, მაგრამ კობზიკოვი უცვლელად ერთი და იმავე ფრაზით გვიშორებდა თავიდან:

— იქნებ ისიც გიამბოთ, 'სად დევს ეგვიპტის ფარაონის შუმია?

...წითელმა წერტილმა, საწოლის თავზე რომ მოჩანდა, წრე შემოხაზა, და პაპიროსი ფანჯრიდან გავარდა. გაისმა ვაცლავის ხმა:

— მეტად უსიამოვნო ამბავი გადამხდა თავს, ძმობილო. გადამდგარმა პოლკოვნიკმა დაჟანგული ხმლით ტრამვაიმდე მდია. მადლობა ღმერთს, მოვასწარი და გაქანებულ ტრამვაის შევახტი, თორემ ჩემი საქმე გათავებული იყო. მაგრამ, აი, ცალი ფეხსაცმელი კი მაინც გამაძრო იმ ბებერმა. როგორ ფიქრობ, შეძლებს ფეხსაცმლით მიპოვოს?

— ისტორიაში მსგავსი შემთხვევა უკვე ცნობილია. კონკიაც ხომ ასე იპოვეს. მას შემდეგ კრიმინალისტიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია.

ვაცლავმა ამოიოხრა.

— ყველაფერი კი წყეული ბატის ბრალია! შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა სურნელება აქვს ახალშემწვარ ბატს. ეს რაღაც საშინელებაა. კინაღამ ჰალსტუხზე თავი ჩამოვიხრჩვე კარადაში.

— რომელ კარადაში?

— რასაკვირველია, ტანსაცმლის. ვზივარ იქ, მაშასადამე, ისინი კი ბატის ძვლებს აკნატუნებენ და მსოფლიო პრობლემებზე მსჯელობენ.

— ვინ ისინი? ან კარადაში რატომ შეძვერი?

— ნუ მაჩქარებ! ჰოდა, ვზივარ იქ, სუნი კი ყველა ჭუჭრუტანაში ატანს. მუცელმაც, რასაკვირველია, ყურყური დამიწყო. რა აღარ ვქენი, მუცელიც მოვისრისე, კედელსაც მივეყრდენი, არაფერმა მიშველა. ის მამაძაღლი ისე ყურყურებს, თითქოს ზარბაზანი იყოსო. მესმის, პოლკოვნიკი ამბობს: „კატამ კარადაში ისევ თაგვი დაიჭირა. გამოუშვი ეს საძაგელი, დედილო". შემდეგ სკამის ჭრაჭუნი, თითქოს მძიმე ტომარა ასწიესო. მე, რასაკვირველია, აღარ ვაცალე, როდის წაუვიდოდა გული პოლკოვნიკის ცოლს ჩემი ცხვირ-პირის დანახვაზე, ავიღე და გამოვხტი კარადიდან.

კობზიკოვი გაჩუმდა, როგორც ჩანს, კვლავ განიცდიდა იმ შემთხვევის ყველა წვრილმანს, შემდეგ დაასკვნა:

— ყველაფერი კი იმ წყეული ბატის ბრალია, იმ ქვეყნად რომ არ ეღირსოს მონელება! ეჰ, რას არ მივცემდი ახლა თუნდ

ერთ ბარკალში — იცი, ერთიანად ყვითელ ქონში ტივტივებს, გვერდზე კი ჩაჭრილი აქვს და ზედ კამა მისწებებია. მოიცა. უკანასკნელად როდის ვჭამე ბატის ხორცი? რომელიღაც ქორწილში, ორი წლის წინ.

ვაცლავი ჩაფიქრდა. მეც დავიწყე ფიქრი, როდის ვჭამე ბატი, და კუჭმა წვა დამიწყო.

— მისმინე, გიყვარს არაჟანმოსხმული მოხარშული ხაჭოიანი ღვეზელა? ოღონდ ცომი ძალიან თხელი უნდა გაკეთდეს და აუცილებლად კარაქთან ერთად. არაჟანიც სქელი უნდა იყოს. ჩაადგებ, წყეულს, ჯამში, გადააბრუნებ და პირდაპირ პირისკენ გააქანებ! რა ნეტარებაა!

— მე უარაჟნოდაც შევჭამდი, — წაიბურტყუნა ვაცლავმა.

— იცი, კიდევ რა მიყვარს? ხორციანი ღვეზელი.

— ეგ რაღაა?

— როგორ? — გავოცდი მე. — შენ არ იცი, რა არის ხორციანი ღვეზელი? საბრალო! ეს ხომ ოცნებაა! ჭაა უდაბნოში! ვარდის სურნელება! დაცული დიპლომი!

მე მოვყევი ვაცლავისთვის უცხო ნუგბარი კერძის ქებას. საბოლოოდ ისე შევიჭერი როლში, რომ შევეცადე ტაფაზე მოშიშხინე ღვეზელის ხმა გამომეცა.

კობზიკოვმა ამოიკვნესა.

— აღარ შემიძლია! ივან-და-მარიას გავაღვიძებ.

ივანი იყო ცხრამეტი წლის ჭაბუკი, რომლის ეშხიან სახეს შავი კოხტაპრუწა ულვაშები ამშვენებდა. სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქარხანაში მუშაობდა. მთელი ჩვენი მეზობლებიდან მხოლოდ ის იყო ცოლიანი და ამის გამო ყველას ზიზღით გვიყურებდა. განსაკუთრებით მას შემდეგ გაყოყოჩდა, რაც ქალიშვილი შეეძინათ. ახალგამომცხვარი მამა აქეთ-იქით დაათრევდა მას. როცა რომელიმე ჩვენთაგანს შეხვდებოდა, ივანი ჩვეულებრივ ღილს დაუწყებდა წვალებას და მოჰყვებოდა ლაქლაქს მამობის ბედნიერებაზე, ოჯახური ცხოვრების უპირატესობაზე და ცოლქმრულ ერთგულებაზე. ამასთან ისეთ ძლიერ გამოთქმებს ხმარობდა, როგორიცაა: „ცოლი მეგობარია“, „შენ ვერ წარმოიდგენ, რა დიდი ბედნიერებაა შვილი“, „ოჯახი ეს დიდი პასუხისმგებლობაა“.

ერთი სიტყვით, ივანი მოთავებული კაცი იყო, ჩვენ მხო-

...წითელმა წერტილმა, საწოლის თავზე რომ მოჩანდა, წრე შემოხაზა, და პაპიროსი ფანჯრიდან გავარდა. გაისმა ვაცლავის ხმა:

— მეტად უსიამოვნო ამბავი გადამხდა თავს, ძმობილო. გადამდგარმა პოლკოვნიკმა დაჟანგული ხმლით ტრამვაიმდე მდია. მადლობა ღმერთს, მოვასწარი და გაქანებულ ტრამვაის შევახტი, თორემ ჩემი საქმე გათავებული იყო. მაგრამ, აი, ცალი ფეხსაცმელი კი მაინც გამაძრო იმ ბებერმა. როგორ ფიქრობ, შეძლებს ფეხსაცმლით მიპოვოს?

— ისტორიაში მსგავსი შემთხვევა უკვე ცნობილია. კონკიაც ხომ ასე იპოვეს. მას შემდეგ კრიმინალისტიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია.

ვაცლავმა ამოიოხრა.

— ყველაფერი კი წყეული ბატის ბრალია! შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა სურნელება აქვს ახალშემწვარ ბატს. ეს რაღაც საშინელებაა. კინაღამ ჰალსტუხზე თავი ჩამოვიხრჩვე კარადაში.

— რომელ კარადაში?

— რასაკვირველია, ტანსაცმლის. ვზივარ იქ, მაშასადამე, ისინი კი ბატის ძვლებს აკნატუნებენ და მსოფლიო პრობლემებზე მსჯელობენ.

— ვინ ისინი? ან კარადაში რატომ შეძვერი?

— ნუ მაჩქარებ! ჰოდა, ვზივარ იქ, სუნი კი ყველა ჭუჭრუტანაში ატანს. მუცელმაც, რასაკვირველია, ყურყური დამიწყო. რა აღარ ვქენი, მუცელიც მოვისრისე, კედელსაც მივეყრდენი, არაფერმა მიშველა. ის მამაძაღლი ისე ყურყურებს, თითქოს ზარბაზანი იყოსო. მესმის, პოლკოვნიკი ამბობს: „კატამ კარადაში ისევ თაგვი დაიჭირა. გამოუშვი ეს საძაგელი, დედილო“. შემდეგ სკამის ჭრაჭუნი, თითქოს მძიმე ტომარა ასწიესო. მე, რასაკვირველია, აღარ ვაცალე, როდის წაუვიდოდა გული პოლკოვნიკის ცოლს ჩემი ცხვირ-პირის დანახვაზე, ავიღე და გამოვხტი კარადიდან.

კობზიკოვი გაჩუმდა, როგორც ჩანს, კვლავ განიცდიდა იმ შემთხვევის ყველა წვრილმანს, შემდეგ დაასკვნა:

— ყველაფერი კი იმ წყეული ბატის ბრალია, იმ ქვეყნად რომ არ ეღირსოს მონელება! ეჰ, რას არ მივცემდი ახლა თუნდ

ერთ ბარკალში — იცი, ერთიანად ყვითელ ქონში ტივტივებს, გვერდზე კი ჩაკრილი აქვს და ზედ კამა მისწებებია. მოიცა. უკანასკნელად როდის ვჭამე ბატის ხორცი? რომელიღაც ქორწილში, ორი წლის წინ.

ვაცლავი ჩაფიქრდა. მეც დავიწყე ფიქრი, როდის ვჭამე ბატი, და კუჭმა წვა დამიწყო.

— მისმინე, გიყვარს არაჟანმოსხმული მოხარშული ხაჭოიანი ღვეზელა? ოღონდ ცომი ძალიან თხელი უნდა გაკეთდეს და აუცილებლად კარაქთან ერთად. არაჟანიც სქელი უნდა იყოს. ჩააგდებ, წყეულს, ჯამში, გადააბრუნებ და პირდაპირ პირისკენ გააქანებ! რა ნეტარებაა!

— მე უარაჟნოდაც შევჭამდი, — წაიბურტყუნა ვაცლავმა.

— იცი, კიდევ რა მიყვარს? ხორციანი ღვეზელი.

— ეგ რაღაა?

— როგორ? — გავოცდი მე. — შენ არ იცი, რა არის ხორციანი ღვეზელი? საბრალო! ეს ხომ ოცნებაა! ჭაა უდაბნოში! ვარდის სურნელება! დაცული დიპლომი!

მე მოვყევი ვაცლავისთვის უცხო ნუგბარი კერძის ქებას. საბოლოოდ ისე შევიჭერი როლში, რომ შევეცადე ტაფაზე მოშიშხინე ღვეზელის ხმა გამომეცა.

კობზიკოვმა ამოიკვნესა.

— აღარ შემიძლია! ივან-და-მარიას გავაღვიძებ.

ივანი იყო ცხრამეტი წლის ჭაბუკი, რომლის ეშხიან სახეს შავი კოხტაპრუწა ულვაშები ამშვენებდა. სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქარხანაში მუშაობდა. მთელი ჩვენი მეზობლებიდან მხოლოდ ის იყო ცოლიანი და ამის გამო ყველას ზიზღით გვიყურებდა. განსაკუთრებით მას შემდეგ გაყოყოჩდა, რაც ქალიშვილი შეეძინათ. ახალგამომცხვარი მამა აქეთ-იქით დაათრევდა მას. როცა რომელიმე ჩვენთაგანს შეხვდებოდა, ივანი ჩვეულებრივ ღილს დაუწყებდა წვალებას და მოჰყვებოდა ლაქლაქს მამობის ბედნიერებაზე, ოჯახური ცხოვრების უპირატესობაზე და ცოლქმრულ ერთგულებაზე. ამასთან ისეთ ძლიერ გამოთქმებს ხმარობდა, როგორიცაა: „ცოლი მეგობარია“, „შენ ვერ წარმოიდგენ, რა დიდი ბედნიერებაა შვილი“, „ოჯახი ეს დიდი პასუხისმგებლობაა“.

ერთი სიტყვით, ივანი მოთავებული კაცი იყო, ჩვენ მხო-

ლოდ ერთი რამ გვშურდა მისი: იგი დღეში სამჯერ ჭამდა. ჭამდა ყველაფერს: ცხვრისხორციან უკრაინულ ბორშჩს და კატლეტებს ჩახარშული კარტოფილით, ყველანაირ წვნიანს, დაწყებულ პრიმიტიული კარტოფილის შეჭამანდით და გათავებულს წვნიანთა მეფით — ხარჩოთი, შემწვარ თევზს, ციმბირულ პელმენებს, ხორციან ბლინებს და კიდევ ბევრ ისეთ რამეს, რაც ჩვენ არასოდეს გაგვეგონა. მისი ცოლი მარია ამ მხრივ საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული. როდესაც სქელი, ლოყებლაჟღაჟა მარია ქვაბების რახარუხით ეზოში დარბოდა, კაცი იფიქრებდა, რომ ივანისათვის საჭმლის დამზადება მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო.

კობზიკოვი მიფრატუნდა ახალდაქორწინებულთა კართან და ჭუჭრუტანიდან შესძახა:

— ივან... ივაშკ... გაიღვიძე... ივან! საქმე მაქვს!

მხოლოდ თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გაისმა უკმაყოფილო ბოხი ხმა:

— რა იყო, რა მოხდა, ეშმაკის ფეხო?

— ივაშკ, გადმომიგდე რამე ჩასახეთქი, — წაიჩურჩულა კობზიკოვმა. — დილიდან პირში ლუკმა არ ჩამიდია.

კარს იქით ნამძინარევი ხმები გაისმა: „სად?...“, „მაგიდის ქვეშ... პური კარადაშია“; შემდეგ, ეტყობა, ვაცლავს რაღაც მიაჩეჩეს ხელში, ვინაიდან ვეტექიმის კუჭმა ხმამაღლა იწყო ყურყური.

— წვნიანია. ისეთი სურნელოვანია, დაგბნიდავს, შეჭამ?

მე საწოლიდან ავდექი და ორივე მადიანად შევექეცით უგემრიელეს ბორშჩს. როდესაც კოვზები ფსკერს შეეხო, კიმი გადმობრუნდა.

— ან მესიზმრება, ან აქ ნამდვილად რაღაცას ჭამენ, — თქვა მან ნამძინარევი ჩახლეჩილი ხმით.

— შენ დაგესიზმრა, — არწმუნებდა კობზიკოვი.

— ეს უსინდისობაა. ხალხს სძინავს, ესენი კი ტყვრებიან.

— დიდი ამბავი, ერთი საცოდავი ბატი შევსანსლეთ, — ჩაიბურტყუნა ვაცლავმა.

კიმი წამოიწია:

— რომელი ბატი?

— ჩვეულებრივი. ფეხებიანი და ღვიძლიანი.

— სტყუი.

— ფარში არ ვარგოდა ოღონდ: ფლავი ფეტვისა იყო, მე კი ბრინჯისა მიყვარს.

— ეს უკვე ეშმაკმა იცის, რა არის! — განაწყენდა კიმი.

— გაჩერდი, — ვუთხარი ვაცლავს. — რას ჩააცივდი ამ ბატს.

— თავს ველარ ვიკავებ, — ამოიოხრა კობზიკოვმა. — ერთთავად თვალწინ მიდგას, მამაძაღლი. გვერდები შებრაწული აქვს, ზურგზე კი ოხრახუში ადევს.

— აბა, გეყოფა! — გავბრაზდი მე, თან ვგრძნობდი, როგორ მევსებოდა პირი ნერწყვით. — ეს უკვე მოსაბეზრებელი გახდა.

— ბატი არასოდეს მოგწყინდება, თუკი გემრიელად მოამზადებ. უნდა ჩადო დაფნის ფოთოლი, წიწაკა...

— მორჩი, — ამოვიხრიალე მე, — თორემ პასუხს არ ვაგებ, რითი დამთავრდება ყოველივე.

ყველამ ჩვენ-ჩვენს საწოლს მივაშურეთ. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ კუთხეში ჭრიჭინებდა ჭრიჭინა, ჭერში კი კოღოები ბზუოდნენ. ვიწექით და ბატზე ვფიქრობდით. მოულოდნელად ვაცლავმა ჩაცმა დაიწყო.

— იდიოტები, — ბუტბუტებდა იგი. — ვსხედვართ და ვაღიზიანებთ ერთმანეთს, ჩვენ გვერდით კი მამალია.

— სად? — ერთხმად ვიკითხეთ მე და კიმმა.

— ეგორიჩის მამალი! რითი ჩამოუვარდება ბატს?

— ეს კარგი საქმე არ არის, — დავიწყე ყოყმანი, თუმცა ცთუნება დიდი იყო, — თანაც ის ხომ შემწვარი არ არის.

— შევწვამთ. კეთილ საქმეს გავაკეთებთ. გუშინ ისე ჩამინისკარტა, ძვლამდე ჩაატანა. ეს მტაცებელი მალე ყველას მოგვიღებს ბოლოს.

ვიდრე ეზოს გადავივლიდით, სინდისი მქენჯნიდა. ერთი მხრივ, ეს ძალიან წააგავდა ქურდობას, მეორე მხრივ — მოცემული შემთხვევა შეიძლება განგვემარტა როგორც საზოგადოებისათვის საშიში მტაცებლის მოსპობა.

ეგორ ეგორიჩის მამალი მართლაც ბევრ უსიამოვნებას აყენებდა „ნოეს კიდობნის“ მობინადრეებს. იგი დილიდან საღამომდე თავის სიმღერებს გაჰყიოდა და ჩვენს ეზოში თავს უყრიდა მთელი ქუჩის ქათმებს; როცა პატრონი გასასეირნებ-

ლად აუშვებდა, გლეჯდა და აჭუჭყიანებდა სარეცხს, და, რაც მთავარია, არ გაუშვებდა არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას, რომ არ ჩაენისკარტებინა რომელიმე დოყლაპიასათვის. მთელ სახლს ერთსულოვნად ᲡᲫულდა მამალი. რამდენჯერმე უცნობმა ბოროტმოქმედებმა სცადეს მისი მოწამვლა, ორჯერ მეზობლის ნაგაზიც კი მიუქსიეს. ყველა ამ მტრულმა მოქმედებამ ფრინველი გააბოროტა და იგი კაცთმოძულე გახდა.

მამალს თუ შევჭამდით, ამით კეთილ საქმეს გავაკეთებდით.

პრეზიდენტი კი აღმერთებდა ამ მხეცს და საყვარელ ფრინველს „რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს“ უწოდებდა.

— მთავარია, ხელი თავში სტაცო, — ამბობდა კობზიკოვი და ნაჯახით ხელში მიიპარებოდა პატარა ნაგებობისკენ, რომელშიც მამალი ღამეს ათევდა. — ცოტა ჩუმად იარე, იგი ყველა ქოფაკზე უფრო მგრძნობიარეა!

ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, როცა საქათმეში გაისმა ბუტბუტი, შემდეგ კი მძლავრი ყივილი.

— ყიყლიყო!..

კობზიკოვმა შეიგინა:

— გაიგო, საზიზღარმა! ძიბ-ძიბ-ძიბ! ჯუგი-ჯუგი-ჯუგი! მე შენ ფეტვი მოგიტანე!

მაგრამ „რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა“ აინუნშიც არ ჩააგდო მლიქვნელური სიტყვები და ხელმეორედ დაიყივლა.

— მომყევით! — დაიძახა ვაცლავმა და წინ გაიჭრა.

საქათმეში შევვარდით და ხან მარცხნივ ვეცით, ხან მარჯვნივ. მამალი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

— ჯაჭვი მოქაჩეთ — გვირჩია ვეტექიმმა.

მე მოვქაჩე. გაისმა ფრთების ფრთხიალი, შემდეგ რაღაცამ ჩამკრა კეფაში.

— აქ არის! — დაიყვირა კობზიკოვმა. — დავიჭირე! ვაი! იკბინება, მამაძაღლი! თავში ᲡᲫტაცე ხელი! სად ჯანდაბაში მიძვრები? ვაი!

რაღაც უზარმაზარი ჩამოეფარა კარებში მოკიაფე ვარსკვლავებს.

— აიწყვიტა! დაიჭირეთ!

საქათმიდან გამოვვარდით.

გახურებულ დევნაში ვიყავით, რომ ‘ხვენის ფანჯარა გაიღო და იქიდან ჭიპამდე შიშველმა კაცმა გამოყო თავი.

— რა ხმაურია? — იკითხა ბოხმა ხმამ. — ეი! ბიჭებო! ქურდები ხომ არა ხართ?

— ქურდები ვართ!

— მაშინ ხელს ნუ გვიშლით, დაგვაძინეთ! ეს თავხედობაა!

— მოდი მოგვეხმარე, ბეჭხარგიდა! ეგორიჩის მამალი გვინდა შევწვათ! — დაუყვირა კობზიკოვმა.

კაცი, რომელსაც ბეჭხარგიდა დაუძახეს, გაჩუმდა, ეტყობოდა, ფიქრობდა.

— პური თუ გაქვთ? — იკითხა მან.

— არის. ოღონდ მარილი არა გვაქვს.

— მარილი მე უნდა მქონდეს.

ერთი წუთის შემდეგ ეზოში გამოჩნდა ქალაქის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ბორის დრიკინი, რომელსაც უფრო ბეჭხარგიდად იცნობდნენ. გრძელი და ბუნდოვანი სახელი უბრალოდ იშიფრებოდა: „ბეჭებზე ხომ არ გინდა დაგდო?“ — ეს იყო ბორისის საყვარელი გამოთქმა. ჩემპიონს პიჟამა და რბილი ფეხსაცმელი ეცვა. იგი ყირაზე დადგა, ხარისებრი კისერი მოხარა და ცნობისმოყვარედ იკითხა:

— ეგორიჩი შინ არის?

— პირადი ‘საქმეების გამო მივლინებაშია. მხოლოდ სადილობისას დაბრუნდება.

— მაშინ ჩემკენ გამოდენეთ!

ცნობილი პიროვნების მხარდაჭერით გამხნევებულებმა მამალს ყიჟინა დავეცით და ვცდილობდით ალყაში მოგვექცია. მამალი ვერ მიხვდა, რა განსაცდელიც ელოდა, ალბათ ფიქრობდა, ბეჭხარგიდა ჩვეულებრივი მოკვდავიაო, დიდხანს არ გვალოდინა და პირდაპირ ჩემპიონისაკენ მოკურცხლა. როდესაც ყირაზე გაჭიმულ ბორის დრიკინსა და „რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს“ შორის ერთ მეტრამდეღა რჩებოდა, ჩემპიონი ელვისებური ნახტომით დააცხრა საბრალო ფრინველს. „შეიარაღებულმა ძალებმა“ არაბუნებრივი ხმით დაიყივლა, ვარ‘კვლავებისაკენ აიჭრა და სახურავზე აღმოჩნდა. ერთიანად დამტვერილი ბორის დრიკინი წამოდგა, მას ორივე ხელში ბუმბულის ბღუჯა ეჭირა.

— მაშ, დამაცადე! — წაიბურტყუნა მან და ბუმბული გადაყარა. სულ ერთია, ბეჭებზე დაგდებ!

ჩემპიონმა გადააფურთხა და სახურავზე აბობღდა. მას ჩვენ მივყევით და დევნა განახლდა.

— წყალი ადუღდა! — ქვევიდან დაგვიძახა კიმმა.

— მარილი ჩააყარე! მარილი საწოლქვეშ არის კოლოფში! — უპასუხა ბეჭხარგიდამ.

ძალები დავძაბეთ. ვაცლავი, რომელსაც ღამით სახურავებზე ხოხვის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, წინ მიქროდა. ღუმელის მილთან მან იმარჯვა და მამალს ნახევარი ბოლო მოაგლიჯა. შემდეგი წარმატება დრიკინს ხვდა წილად. მან აგურით ფეხი დაუზიანა მტარვალს, თუმცა ამასთან საკუთარი ცხვირიც გადაიტყაცა.

შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის განიარაღება ბოლოს და ბოლოს განგვეხორციელებინა კიდეც, „ნოეს კიდობნის“ ბინადართ რომ არ გაღვიძებოდათ. ნამძინარევმა, გაოგნებულებმა ეზოში მოიყარეს თავი.

— წადით, დაიძინეთ, მოქალაქეებო, — არწმუნებდა კიმი, — აქ არაფერია საინტერესო. ეს მთვარეულები არიან.

მაგრამ სახლის ბინადარნი ბრაზობდნენ და იგინებოდნენ.

სახურავიდან დაკაწრულები და გაავებულები ჩამოვედით. შორს, ბაღებს იქით, განთიადი იფშვნეტდა თვალებს.

— ამიერიდან ღამით კიდევ ერთხელ ბატი თუ გიხსენებია — შენს თავს დააბრალე! — ვუთხარი ვაცლავს დაწოლის წინ. არისტოკრატმა არაფერი მიპასუხა, ბრაზმორეულმა მხოლოდ ამოიქშინა.

ზღვის ღაივაღება

ჩვეულებრივ, რესპუბლიკაში პირველი „შეიარაღებული ძალები“ იღვიძებდა. უკვე შუაღამისას ეზოდან მისი ლაღი ყივილი და კრიახი მოისმოდა. უცხო კაცს ეგონებოდა, ეზოში მთელი მეფრინველეობის ფერმა მოუწყვიათო.

მამალი მარიას აღვიძებდა. მის ოთახში იწყებოდა სკამების გადაადგილება, ცოცხის ფრატუნი, ქვაბების ჩხრიალი. ნახევრად ღია კარიდან ბუტბუტი ისმოდა: „ღმერთო ჩემო, ისევ

ჩამძინებია!“ მალე ჩვენი ოთახი შემწვარი ხორცის სუნით ივსებოდა. ივანს საუზმეს უმზადებდნენ.

შემდეგ თაროზე ციებცხელებიანივით კანკალს იწყებდა ჭურჭელი. ამას უერთდებოდა ფანჯრის მინები, სასაპნეები, ფინჯნები — ყველაფერი, რაც ხმას გამოსცემდა. ეს სარდაფის მკვიდრი, კბილის ექიმი, რომელსაც არალეგალურად ჰქონდა ბორმანქანა, ავადმყოფების მიღებას იწყებდა.

შვიდ საათზე მაღვიძარა საათები იღვიძებდნენ. ჯოჯოხეთური ღრიანცელი ტალღასავით გადაირბენდა ერთი ოთახიდან მეორეში, რაც ნახევარ საათს გრძელდებოდა. სახლი ხმაურით ივსებოდა, როგორც თუნუქის კოლოფი, რომელშიც ბღუჯა-ბღუჯა ჩაუყრიათ ხოჭოები.

რვის ნახევარზე ის ბედნიერები, რომლებმაც როგორღაც კიდევ მოახერხეს აქამდე ეძინათ, შეშინებული წამოვარდებოდნენ ხოლმე საწოლებიდან: იწყებოდა კანონადა. ჭერს საიდანღაც ეცემოდა ლაღმები. ჭერი, თითქოს დაპუდრულ ლოყებს ბერავსო, იღუნებოდა და იქიდან ბათქაში ცვიოდა. ეს ბეჭხარგიდა იღვიძებდა და დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ასრულებდა ორფუთიანი საწონებით.

რვის ნახევრიდან ცხრის ნახევრამდე სახლში წამდაუწუმ აჯახუნებდნენ კარებს, შემდეგ სიჩუმე ისადგურებდა. მაგრამ მე და კიმს ახლა რაღა დაგვაძინებდა. სასადილოში ვისაუზმებდით, მერე ინსტიტუტის პარკში მივდიოდით, შევარჩევდით მყუდრო, გრილ ადგილს და იქ გამოვიძინებდით ხოლმე.

ორი კვირა მე და კიმი ღამურებივით ვცხოვრობდით: დღე გვეძინა, ღამე ვმუშაობდით. ჩვენი სამუშაო დღე ჩვეულებრივ მაშინ იწყებოდა, როცა საღამოობით ცვარი მოეფინებოდა არემარეს, გზები ნამს შეისრუტავდა და მიწა გამკვრივდებოდა. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ირგვლივ ძე ხორციელი აღარ ჰაჰანებდა.

ამ ღამით ადრე დადო ცვარი და ჩვენ ქალაქგარეთ მაშინ აღმოვჩნდით, როცა მზისგან გახურებულმა ცამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გაგრილება. მის ფონზე ალვის ხის რტოები შავი ნაპრალებივით მოჩანდა. კიმმა იაბო შეაჩერა და თივა დაუყარა.

— წადი, დაზვერე აქაურობა, — მითხრა მან. — აი, იქ რაღაც საეჭვო ჩრდილი მოჩანს.

— მომბეზრდა მზვერავობა, — წავიბურტყუნე მე.

— მაშინ აგრეგატი მოამზადე.

— მომბეზრდა აგრეგატის მომზადება.

კიმმა მხარზე დამადო ხელი.

— ნუ სულელობ, — მითხრა მან. — ახლა ჩვენთვის ყოველი წუთი ძვირფასია.

ბალახზე გავცოცდი და ფერდობზე დავეშვი. მთვარე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კაბადონი, თითქოს მარლა გადაფარებიაო, ბუნდოვნად ციმციმებდა, აღმოსავლეთით კი დედამიწა უკვე წყვდიადს მოეცვა; მხოლოდ შორს, იქ, სადაც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ჰორიზონტი კიაფობდა. მძინარის სუნთქვასავით სუსტი ნიავი რიგრიგობით ხან ერთი მხრიდან დაუბერავდა, ხან მეორიდან. როდესაც დასავლეთიდან დაქროლებდა, მაშინ მესმოდა ტრამვაის წკრიალი, თბომავლების საყვირის ხმა და რაღაც გაურკვეველი ხმაური, თითქოს სადღაც მწერების დიდი გუნდი ემზადებოდა დასაძინებლად. აღმოსავლეთიდან კი ქარს მინდვრებიდან მოჰქონდა აბზინდასა და ცაცხვის თაფლის სურნელება, ბულბულის ხანმოკლე, სევდიანი გალობის ხმა. ვიცოდი, სადაც იყო ბულბულის ბუდე: ცოტა მოშორებით, ხევში, ასკილის ბარდებში, რომლებიც კიმს საეჭვო ჩრდილად მოეჩვენა. მტვრისაგან გადათეთრებული გზა ლენტივით მიიკლაკნებოდა მინდვრებში და სიბნელეში იკარგებოდა. გზა უკაცური იყო. „რა კარგია აქ პაემანზე მოსვლა, — გავიფიქრე მე, — ბულბულის გალობის მოსმენა. მას დიდი შავი თვალები უნდა ჰქონდეს, რომლებშიც ვარსკვლავები აირეკლება“.

— აბა, როგორ არის საქმე? — მოუთმენლად მკითხა კიმმა, როცა დავბრუნდი. — შეიძლება დავიწყოთ?

— ძე ხორციელი არ ჭაჭანებს, თუ, რასაკვირველია, არ ჩავთვლით შეყვარებულებს, მაგრამ მათი აღმოჩენა იოლი როდია.

— შეყვარებულებს აქ რა უნდათ? — წაიბურტყუნა კიმმა. — ახლა ყველანი კინოში და ცეკვებზე არიან.

— უბედური! მას ვერც წარმოუდგენია სიყვარული კინოსა და ცეკვების გარეშე. თინა, თქვენ არასოდეს ყოფილხართ ბუნების წიაღში?

თინა ჩემკენ შემობრუნდა. სიბნელეში მისმა სახემ ბუნდოვნად შემომანათა.

— არა.

— იქნებ არც გიკოცნიათ არასოდეს?

— ეს გადმონაშთად მიგვაჩნია.

— გეყოფა ყბედობა! — თქვა კიმმა. — წავედით!

მან ჩამრთველს თითი დააჭირა. ნათურა აინთო და სინათლის ყვითელი წრე დედამიწაზე დაეცა. თინამ მოამზადა წამმზომი. ვახსენე ეშმაკი და იაბოს შემოვაჯექი.

— არის? — მკითხა კიმმა.

— არის.

— გასწი.

ცხენს ფერდებში ფეხი მივარტყი. მან ერთი ამოიოხრა და ნაბიჯი გადადგა. ისევ მივარტყი. კიდევ ერთი ნაბიჯი.

— აჩუ! აჩუ! — დაიყვირა უკანიდან კიმმა და წნელი მოიქნია. მე შევხტი და ცხენს ყური მოვქაჩე, მაგრამ მან მხოლოდ თავი გააქნია. დარჩა უკანასკნელი საშუალება.

— კვნესოდა ისლი, ტყე ჭრიალებდა!.. — წამოვიწყე ყალბი ხმით.

— ღამე კი იყო ბნელი, ლუსკუმი! — დაიღრიალა უკან კიმმა.

— ...ღამე კი იყო ბნელი... — აგვყვა თინა.

ცხენმა უნდობლად მოიხედა და ძუნძულით გაუყვა გზას. „მფრინავი ჰოლანდიელი“ რახრახით დაიძრა.

— მარტოდენ ტრფობით აღსავსე წყვილი! — თავდავიწყებით ვყვიროდი მე.

— დასეირნობდა ციკრის ჟამამდე! — როდის-როდის მოისმა უკანიდან გაძლიერებულ ხმაურში.

როდესაც სიმღერა დავამთავრეთ, ცხენი მიქროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ამ ცნობილი სიმღერის საოცარი ზემოქმედება ჩვენს ძრავაზე შემთხვევით აღმოვაჩინეთ მეზობლის ქორწილის დროს. მაშინ იაბო, როგორც კი ხმაშეუწყობელი სიმღერა გაიგონა, გიჟივით დატრიალდა ეზოში. როგორც ჩანს, ისლის ხსენებამ მძიმე მოგონებები აღუძრა. მას შემდეგ ჩვენ ამ მოგონებებს ანგარების მიზნით ვიყენებდით. ეს, რასაკვირველია, პატიოსნებაში არ ჩაგვეთვლებოდა, მაგრამ რას

არ ჩაიდენ მეცნიერების გულისათვის: ჩვენ გვჭირდებოდა ოცი კილომეტრის სიჩქარე საათში.

— კურდღელი! კურდღელი! ესროლე! — დაიყვირა კიმმა არაადამიანური ხმით.

ამის გაგონებაზე იაბო მთლად გადაირია. წელი გაზნიქა და ოთხით მოკურცხლა. მე მახტუნავებდა და აქეთ-იქით მისროდა, თითქოს ქარიშხალში მოხვედრილი ხომალდი ვიყავი. თვალწინ წითელი ინტეგრალები მიტრიალებდა, გული მერეოდა.

შორიდან ეს ალბათ შემზარავი სანახაობა იყო. მიძინებულ მინდვრებს შორის საზარელი ყვირილით, ღრჭიალითა და გრუხუნით, მკრთალი სინათლით განათებული რაღაც უფორმო საგანი მიექანებოდა. ეს ან კუდიანები მიქროდნენ თემობაზე, ანდა ვაჭრები ღრეობდნენ.

უკან ბოლქვებად ადიოდა მტვერი. ციკლონის შუაგულში გასაღების ჩხრიალით აქეთ-იქით აწყდებოდა „მფრინავი ჰოლანდიელის“ კაპიტანი. მის გვერდით ქალის ნაზი ფიგურა მოჩანდა.

მე უკვე აღარაფრის თავი აღარ მქონდა, როცა კიმის ხმა გაისმა.

— შეჩერდი! კარგია!

ქანცგამოლეული იაბო შევაჩერე და ბალახზე უღონოდ დავეშვი. გული მერეოდა.

— ახლა სიჩქარეს უკვე არა უშავს, — თქვა კიმმა და აგრეგატის ბორბლების ქვეშ შეძვრა, — მაგრამ ეს გაპუტული ინდაური, მგონი, ისევ მოიშალა.

მე უფრო ის გამაკვირვებდა, რომ არ მოშლილიყო.

უცებ სუნამოს სურნელება დატრიალდა. თინა მოგვიახლოვდა ფეხაკრეფით. იგი ყოველთვის ფეხაკრეფით დადის და ყოველთვის კარგი სუნამოს ნაზი სუნი დაჰყვება. მის წითურ თმას სიბნელეში ფერფლისფერი დაჰკრავდა.

— შენი საქმრო ფანატიკოსია, — ვუთხარი გაგულისებულმა.

თინა დაჯდა. იგი კოხტა და ტანკენარი იყო.

— კიმი ჭკვიანია.

— ეს თვითონ გითხრა?

გულაღმა დავწექი და ბრაზმორეული ვარსკვლავებს მივა-

ჩერდი. წყეული სათესელა! ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, როცა მას გადავეკიდე!

ყველაფერი კი კრებაზე დაიწყო, რომელზედაც სადიპლომო პროექტების თემები ნაწილდებოდა. მე ავიღე „სიმინდის დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია კოლმეურნეობა „ლურჯ ლიპიაგებში“. კიმმა — „მზეს უმზირას“ დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია კოლმეურნეობა „ლურჯ ლიპიაგებში“. თინამ — ჭარხლის დამუშავება იმავე კოლმეურნეობაში. თავდაპირველად ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართა. „ლურჯი ლიპიაგები“ მოხერხებული იყო სტუდენტებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც, ვინაიდან ინსტიტუტის ახლოს მდებარეობდა და ნაცადიც იყო: სტუდენტების არაერთმა თაობამ დაიცვა დიპლომები მის შავმიწანიადაგიან მინდვრებში.

და უცბად, როდესაც „ლურჯ ლიპიაგებს“ მეცამეტე სტუდენტი იღებდა, ჩვენი ფაკულტეტის დეკანი ნაუმ ზახარიჩ გლიბკა, მეტსახელად მიკროლომონოსოვი, „დაიქოქა“. იგი მაგიდიდან წამოხტა და ყვირილი დაიწყო, რომ ჩვენ ზარმაცები და მუქთახორები ვართ, რომ ჩვენ არ გვინდა წინ წავწიოთ სოფლის მეურნეობის პროგრესი. რომ ჩვენ ჩალად არ გვეღირს ინსტიტუტის ღირსება. და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

ჩვენი დეკანი პირქუში და სიტყვაძუნწი კაცი იყო. მთელი დღეების განმავლობაში თავის კაბინეტში იჯდა და ფიქრობდა. თუ ასეთ დროს გლიბკას საკუთარი თავის სამსახურიდან განთავისუფლების განცხადებას შეუტანდნენ, ნაუმ ზახარიჩი, არც კი დაზედავდა, ისე მოაწერდა ხელს.

მაგრამ დროდადრო გლიბკა „დაიქოქებოდა“ ხოლმე და მაშინ სრულიად სხვა ადამიანად იქცეოდა. თვალები უბრწყინავდა, გონება ზუსტად, სხარტად მუშაობდა, მისი სხეულის ყოველი კვადრატული სანტიმეტრი თითქოს ენერგიას ასხივებდა. ასეთ დღეებში დეკანის ციებ-ცხელება მთელ ინსტიტუტს გადაედებოდა და განა მარტო ინსტიტუტს! მთელი ოლქი ნაუმ ზახარიჩზე იწყებდა ლაპარაკს.

ჩემს ხსოვნაში ორი ასეთი „დაქოქვა“ მოხდა. რამდენიმე წლის წინ გლიბკამ წამოაყენა „მინდვრის თვითხვნის“ იდეა, რომელსაც ნაუმ ზახარიჩის არაკეთილმოსურნეებმა „თხუნელებით ხვნა“ უწოდეს. იდეის არსი შემდეგში მდგომარეობდა.

გლიბკას წინადადებით მინდვრებზე უნდა მოემრავლებინათ თხუნელები, რომლებიც სოროების თხრის დროს მთელ მინდორს გადახნავდნენ. ისღა დარჩებოდა, რომ ბელტები დაეფარცხათ — და, აჰა, თესეთ რამდენიც გენებოთ!

გლიბკას მიმდევრები გამოუჩნდნენ. სასწრაფოდ გაუუქმეს საზაფხულო არდადეგები ჩვენი კურსის სტუდენტებს, ხოლო პედაგოგებს — შვებულება. ყველა თხუნელების დასაჭერად გავიდა. საცდელ ნაკვეთს ბადე შემოაკრეს. მღრღნელებს მიწაში უშვებდნენ კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

იდეამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღის შემდეგ საცდელი ნაკვეთი მოგაგონებდათ პლაცდარმს ატომური აფეთქების შემდეგ. ბელტებზე ბორძიკით დაეხეტებოდნენ ფოტოკორესპონდენტები და ადგილობრივი მთავრობა. გლიბკა მინდორზე აღამებდა და ათენებდა, წვერი გაეზარდა, გახდა.

მალე თხუნელები დაიხოცნენ, რადგან ფაციფუცში ექსპერიმენტატორებს დაავიწყდათ, რომ მათ კვება სჭირდებოდათ, ამასთან საკმაოდ საფუძვლიანიც. და, საერთოდ, თურმე ტრაქტორი უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე თხუნელა.

გლიბკა ისევ ჩაიკეტა საკუთარ თავში. დილიდან საღამომდე კაბინეტში იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. შემდეგ კი კვლავ დააყენა ინსტიტუტი თავდაყირა. ნაუმ ზახარიჩმა აღმოაჩინა, რომ თუ მთელ მინდორზე დადგამდნენ მძლავრ ვენტილატორებს და თვითმფრინავიდან სპეციალურ თვითმწებავ სინთეტიკურ ფხვნილს შეაფრქვევდნენ, მინდორს გადაეკვრებოდა საჰაერო ბოძებზე დაყრდნობილი გამჭვირვალე აფსკი. თესე, მოხანი, მომკე პური ყოველნაირ ამინდში!

გლიბკას სახელი კვლავ გაჩნდა გაზეთებში. მთელი ჩვენი კურსი დღე და ღამე საცდელ ნაკვეთზე ყურყუტებდა (ისევ იქ, იმ მრავალტანჯულზე) და ერთთავად ცას შეჰყურებდა აფსკის გამოჩენის მოლოდინში. ბოლოს და ბოლოს სახურავი მზად იყო, მაგრამ არსებობდა თუ არა იგი სინამდვილეში, ვეღარ გავიგეთ, ვინაიდან აფსკი არ ჩანდა, ზაფხული კი, ჯიბრზე, გვალვიანი იყო. გლიბკას ენდნენ, დაუჯერეს და სამი კილომეტრი ხელით ატარეს ინსტიტუტამდე. მინდორზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებამდე სტუდენტური უკარვრ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი მოაწყვეს.

ერთი კვირის შემდეგ წვიმები დაიწყო და მთელი გამაჯანსაღებელი ბანაკი გაცივდა, რადგანაც არავითარი აფსკი არ აღმოჩნდა.

მესამედ, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დეკანი „დაიქოქა" გამოსაშვები ჯგუფის სტუდენტების კრებაზე.

— ვერც ერთი ადამიანი ვერ გავა ჩემი უმაღლესი სასწავლებლის კედლებიდან, — განაცხადა მან, — ვიდრე რაიმეს არ გამოიგონებს. თუნდაც ველოსიპედს! მაგრამ — საკუთარს! განუმეორებელს! ორიგინალურს!

კამათი აღარ ღირდა. ჩვენ სამმა: კიმმა, მე და თინამ თავს ვიდეთ გამოგვეგონებინა ორიგინალური სათესელა.

მთელი სამი დღე გარშემო ვუარეთ ეზოში გაჩერებულ სათესელას და ვერავითარი ნაკლი ვერ აღმოვუჩინეთ, ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა.

— იქნებ მუხლუხა სვლაზე გადავიყვანოთ? — იხტიბარს არ იტეხდა კიმი. — ან ბორბლები ზემოდან გავუკეთოთ?

ხუმრობა იქით იყოს და, არაფერი საინტერესო თავში არ მოგვდიოდა. ჩვენი ამხანაგები დღეს და ღამეს ასწორებდნენ, ერთმა უკვე გამოიგონა ჩიტების საფრთხობელა, რომელიც ადამიანის ხმით ყვიროდა: „აქშა, საზიზღრებო!"

ყველა უდიდესი აღმოჩენა უმნიშვნელო რაღაცით იწყება. ერთხელ კიმს ლექციაზე აგვიანდებოდა და ავტობუსის კონდუქტორს უთხრა: „რა ურემივით მიჩანჩალებთო", „არ მოგწონს და ჩქარ მატარებელზე დაჯექიო", — მიუგო კონდუქტორმა. „ჩქარი მატარებელი... — გაიფიქრა კიმმა. — თუ კი არსებობს ჩქარი მატარებელი, რატომ არ შეიძლება იყოს ჩქაროსნული სათესელა?"

მე და თინას იდეა არ მოგვეწონა: ჯერ ერთი, გლიბკა ორდინარობას დაგვწამებდა; მეორეც, ამხანაგებისა გვრცხვენოდა. დიდი რამეა, ჩქაროსნული სათესელა... მე მომხრე ვიყავი ძიება გაგვეგრძელებინა. რითია ცუდი, მაგალითად, სამსართულიანი ბოსელი? ფართობი დაიზოგება და გარდა ამისა, სახურავზე შეიძლება მოეწყოს სალექციო დარბაზი ან საცეკვაო მოედანი.

მაგრამ კიმი ჯიუტი კაცი იყო. მან გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემუშავა სათესელას შექმნაზე. სულ მალე ჩემი მეგო-

ბარი გატაცებით დაათრევდა საერთო საცხოვრებლის დერეფნებში მოდელს, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ფორნის ძველი ბორბალი იყო. კიმის ეს გამოგონება საშინელ ხმაურს გამოსცემდა და ყველას სიძულვილს იმსახურებდა.

მე თანაგრძნობის გამო შევუერთდი კიმს. საქმე ისაა, რომ მოდელი თანდათან გართულდა: ბორბალს მალე სამოვრის მილი, ამანათის ყუთი და რადიატორი მიემატა. როდესაც კიმი ამ ჯოჯოხეთურ მანქანას მიათრევდა, მთელი სხეულით იკლაკნებოდა, როგორც დაჭერილი გველხოკერა. შუბლიდან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და იატაკზე კვალს ტოვებდა.

თუ კიმს საშუალებას მივცემდით შემდგომშიც მარტო ემუშავა სათესელას გამოგონებაზე, ეს ნიშნავდა, რომ მას სასიკვდილოდ გავწირავდით. მე ნებაყოფლობით ჩავები ამ საქმეში და მალე სამი კილოც დავიკელი. შემდეგ კი თავდაცვის ინსტინქტი ამუშავდა. მივხვდი, რომ თუ ურჩხულს არ გავამარტივებდი, ვერც მე და ვერც კიმი ვეღარ ვეღირსებოდით მშობლების ხილვას.

პირველ რიგში ბორბალი და სამოვრის მილი მოვაშორე და უფრო მსუბუქი ნაწილებით შევცვალე. მე მესამე თანრიგის ხარატი ვიყავი და ახლა გვარიანად გამომადგა. რასაკვირველია, კიმი მტრულად შეხვდა ჩემს ჩარევას. სათესელას კონსტრუქციაში რაიმე ცვლილების შეტანის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა. ჩვენ შორის ბრძოლა დაიწყო. კიმი ართულებდა — მე ვამარტივებდი. კიმი ასე აკეთებდა — მე — ისე. ცხადია, ამით ჩვენი პირმშო მხოლოდ იგებდა.

ჯოჯოხეთური მანქანა თანდათანობით ნამდვილ სათესელას ემსგავსებოდა.

არ ვიცი, რა მოყვებოდა ამას, სათესელა სამანქანო-სატრაქტორო პარკის ექსპლუატაციის კათედრის ახალ გამგეს დიმიტრი ალექსეევიჩ კრეტოვს, ან უბრალოდ ლექსეიჩს, რომ არ ენახა.

დიმიტრი ალექსეევიჩ კრეტოვი ჩვენი ინსტიტუტისათვის სრულიად შეუფერებელი ადამიანი იყო. კრეტოვი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და კათედრის გამგე საბედისწერო გარემოებათა წყალობით გახდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთი გარემოების შედეგად, კიდევ უფრო ზუს-

ტად თუ ვიტყვით, დიმიტრი ალექსეევიჩი საკუთარი ცნობის-მოყვარეობის მსხვერპლი გახდა.

ეს მოხდა ორი წლის წინათ. დიმიტრი ალექსეევიჩი, იმხანად უბრალო კოლმეურნეობის მექანიკოსი, სოფლტექნიკაში მივიდა, რათა სამკალი მანქანისათვის საკისრები „გამოეცინცლა". რასაკვირველია, მის გარდა იქ სხვებიც იყვნენ, და, რაღა თქმა უნდა, არც საკისრები დაუხვდათ. ბრაზმორეული მექანიკოსები ერთად უტევდნენ მთავარ ინჟინერს. ის კი მათ იგერიებდა: „გავაჩენ თქვენთვის, თუ რა? თიხისგან ხომ არ გავაკეთებ?"

კრეტოვის გარდა ამ სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. დიმიტრი ალექსეევიჩს კი, თავისდა საუბედუროდ, ეს ჭკუაში დაუჯდა. „აჰა, — გაიფიქრა მან, — რა იქნება, საკისარი თიხისგან რომ გაკეთდეს და თან ნამჯაც დაემატოს? მერე ღუმელშიც გამოიწვება. ერთ-ორ საათს ხომ იმუშავებს?"

რა შედეგი მოჰყვებოდა ამას, დიმიტრი ალექსეევიჩს არც უფიქრია, ისე შეუდგა ალიზის საკისრების დამზადებას. ყველასათვის მოულოდნელად, საკისრებმა ორი დღე იმუშავა, ვიდრე სოფლტექნიკიდან ნამდვილი საკისრები არ მოვიდა.

— იქნებ საქმე არც გართულებულიყო, კოლმეურნეობაში პენსიონერი სოფლკორი რომ არ ჰყოლოდათ. მანაც აღარ დააყოვნა და სასწრაფოდ გააგზავნა საოლქო გაზეთში კორესპონდენცია სათაურით „ხალხური ხელმარჯვე ოსტატი". რედაქციამ კორესპონდენციის გამოქვეყნება ვერ გაბედა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადააგზავნა შესამოწმებლად. იგი ხელში ჩაუვარდა გლიბკას.

გაცვეთილი შედარება რომ ვიხმაროთ, კორესპონდენციამ „ხალხური ხელმარჯვე ოსტატი" ნაუმ ზახარიჩზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ყუმბარის აფეთქებამ.

ხუმრობა ხომ არ არის — თიხისა და ნამჯისაგან გაკეთებულმა საკისრებმა ორი დღე იმუშავა! ახლა ლითონის ნახერხიც რომ დავუმატოთ? და გაუხშოებულ სივრცეში წნევის ქვეშ რომ მოვათავსოთ? მცენარეული ზეთითაც რომ გავჟღინთოთ?

დეკანის გონება ამუშავდა და, ვიდრე დიმიტრი ალექსეევიჩი, რომელიც ბაიბურში არ იყო, რა ხდებოდა, ალიზის შექმნაზე ოფლს ღვრიდა, სამანქანო-სატრაქტორო პარკის ექსპლუა-

ტაციის კათედრა ნაუმ ზახარიჩ გლიბკას თავმჯდომარეობით გამოანგარიშებას შეუდგა. სამი დღის განმავლობაში ურთულესი ფორმულებისა და დიაგრამების შემწეობით დამტკიცდა, რომ:

ა) დაპრესილი ალიზი საუკეთესო მასალაა სრიალის საკისრების დასამზადებლად. იგი გამძლეა, მსუბუქი, იაფი. დასამზადებლად იოლია და საიმედო მოსახმარებელია.

ბ) დაპრესილი ალიზის სრიალის საკისრებად გამოყენების პირველი ცდა ეკუთვნის რუს თვითნასწავლ გამომგონებელს ივანე სილინს 1676 წელს;

გ) დაპრესილი ალიზი ფართო გამოყენებას ჰპოვებს ჩვენს მანქანათმშენებლობასა და თვითმფრინავმშენებლობაში;

დ) დაპრესილი ალიზი ჩვენს ქვეყანას მისცემს 1 234 567 891,23 მანეთის ეკონომიას;

ე) N-ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამანქანო-სატრაქტორო პარკის ექსპლუატაციის კათედრა კისრულობს ორწლიან ვადაში დაამუშავოს ალიზის საკისრების დამზადების ტექნოლოგია, გამოსცადოს და დანერგოს წარმოებაში.

3) კათედრას ეჭვი არ ეპარება საქმის წარმატებაში, ვინაიდან მას ხელმძღვანელობს ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ზ. გლიბკა.

უკანასკნელი პუნქტი ნ. ზ. გლიბკამ წაშალა, რამეთუ თავმდაბალი კაცი იყო.

ამ დოკუმენტის ასლი გააგზავნეს მეცნიერებათა აკადემიაში, მინისტრთა საბჭოში, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების ყველა რედაქციაში, კოსმოსური სივრცის პირველ მკვლევართან გაგარინთან და კიდევ 378 სხვადასხვა ადგილას.

ამის შემდეგ კოლმეურნეობაში, სადაც კრეტოვი მუშაობდა, გაემგზავრა მთელი დელეგაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ზ. გლიბკას ხელმძღვანელობით. კომისიამ სავსებით დაადასტურა კათედრის დასკვნა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სპეციალურ სხდომაზე კრეტოვს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა და სამანქანო-სატრაქტორო პარკის ექსპლუატაციის კათედრის გამგედ დაინიშნა (ნ. ზ. გლიბკა აირჩიეს

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანად). გარდა ამისა, გამომგონებელს დააკისრეს საზოგადოებრივ საწყისებზე ეხელმძღვანელა დაპრესილი ალიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიისათვის, საზოგადოებრივ საწყისებზე-ვე აირჩიეს ადგილობრივი რესურსების ინსტიტუტის რექტორად და დაამტკიცეს ჟურნალის „რეზერვებს — დაწინაურება!“ ალიზის საკორესპონდენტო პუნქტის გამგედ.

პირველ ხანებში კრეტოვს თავსაყრელი სამუშაო ჰქონდა. მთელი დღეების განმავლობაში ხელს აწერდა რაღაც თავსატეხ გრაფიკებს, რთულ სამუშაო გეგმებს, ხელფასის უწყებას, ამტკიცებდა ხარჯთაღრიცხვებს, ხელს აწერდა განწესებებს თიხაზე, ნამჯაზე, კირზე, სპილენძზე, ზეთზე, ცარცსა და სოსისებზე. შესვენების დროს ინტერვიუს აძლევდა გაზეთებისა და ჟურნალების კორესპონდენტებს, თუ რას წარმოადგენდა ალიზი.

შემდეგ სამუშაომ იკლო. კორესპონდენტები გაქრნენ, გრაფიკებისა და გეგმების ნიაღვარი დაიშრიტა, აუარებელი განწესებებიდან მხოლოდ სოსისის განწესება მოდიოდა, კიდევ აკურატულად შემოდიოდა ხელფასის უწყისებიც.

კრეტოვი აღელდა, რცხვენოდა, რომ ბევრ ფულს იღებდა და არაფერს აკეთებდა. ალიზის გამომგონებელი დარბოდა დეკანთან, დარცხვენილი გეგმებს აჩვენებდა და ბოდიშს იხდიდა, რადგან გეგმები არ სრულდებოდა. ბოლოს და ბოლოს ნ. ზ. გლიბკას თავი მოაბეზრა (სწორედ მაშინ დეკანი ახალ იდეაზე ფიქრობდა).

— ალიზი! ალიზი! — თქვა გლიბკამ. — ნეტა რას ჩააცივდით? ალიზი განვლილი ეტაპია. საჭიროა პერსპექტიულად იაზროვნოთ. გაიგეთ, თურმე ნაკელიდან საპოხი ზეთი მიუღიათ? თქვენ კი „ალიზს“ გაიძახით...

დიმიტრი ალექსეევიჩმა მოიწყინა. იგი შეჩვეული იყო ხუთ საათზე ადგომას, სირბილს, ბოლოს უღებდა საგანგებო შემთხვევებს, აქ კი... კათედრა ათ საათზე იწყებდა მუშაობას, მერე, ო, რა საშინელი მოწყენილობა იყო! შეიძლება რომელიმე მაჩანჩალა სტუდენტი მოსულიყო სტიპენდიის სათხოვნელად; კარგია, თუ ლაბორანტს აუდიტორია შეეშლებოდა, მაშინ სტუდენტები მორბოდნენ ამბის გასარკვევად. მთელი დღეები

ლექსეიჩი გარაჟში იკარგებოდა, სადაც ტრაქტორები იდგა, ლაბორანტებს გარემონტებაში ეხმარებოდა. გამოძვრებოდა იქიდან ჭუჭყიანი, ზეთში ამოსვრილი და ასე პირდაპირ კათედრაზე გარბოდა. მასწავლებლები ზურგსუკან დასცინოდნენ.

ჩვენი სათესელა დიმიტრი ალექსეევიჩისათვის მაცოცხლებელი წყარო აღმოჩნდა. იგი თითქოს ხელახლა დაიბადა.

— ბიჭებო! — დაიყვირა კრეტოვმა, როგორც კი ჩვენი გამოგონებული მანქანა დაინახა. — ყოჩაღ თქვენ! მართლაც რომ ყოჩაღ! თქვენ ხომ დიდ საქმეს აკეთებთ!

კათედრის გამგე თითქმის მთელ თავისუფალ დროს ჩვენთან ატარებდა. აქ იგი თავის სტიქიაში იყო, გვეთათბირებოდა, მითითებებს გვაძლევდა და ჩვენც სიტყვის შეუბრუნებლად ვემორჩილებოდით, რამეთუ, სიმართლე უნდა ითქვას, იგი შესანიშნავი მექანიკოსი იყო.

კრეტოვმა ცოტაოდენი თანხა გამოგვიყო და პრორექტორს სამეურნეო ნაწილში ჩვენთვის იაბო სთხოვა. მალე სახელოსნოში მზად იყო ჩვენი სათესელას პირველი ეგზემპლარი. მანქანა საშინლად გრიალებდა და, სულელური ჩვეულება ჰქონდა, უბრალო წაბიძგებაზე იშლებოდა. ჩვეულებრივ, სათესელას გამოცდის საყურებლად ხალხი იყრიდა თავს. როდესაც გზას დავადგებოდით, უკან ყვირილითა და ყიჟინით მოგვდევდნენ ბიჭბუჭები. ცნობისმოყვარეთაგან თავის დასაღწევად ღამღამობით დავიწყეთ მუშაობა. აი, სწორედ მაშინ იყო, რომ სათესელას ინსტიტუტში „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეარქვეს.

ღამით მუშაობა იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ თავიდან ვიცილებდით მრავალრიცხოვან კორესპონდენტებს.

საქმე იმაშია, რომ გლიბკას მესამე „დაქოქვამ“ (სტუდენტურ ენაზე „ტვინის ღრძობამ“) უფრო დიდი რეზონანსი გამოიწვია, ვიდრე ადრინდელებმა. ერთია, როცა იდეას წამოაყენებს ერთი ადამიანი, და მეორე — როცა ამას აკეთებს ა'ს სამოცდათხუთმეტი კაცი, ამასთან სტუდენტები. საოლქო გაზეთში გაჩნდა სტატია „ას სამოცდათხუთმეტი ხალხური ხელმარჯვე ოსტატი“. ახალგაზრდულმა გაზეთმა სპეციალური რუბრიკა შექმნა — „ბობოქარი გონების ადამიანები“.

მასალას ამ რუბრიკისათვის კომკავშირის ქალაქკომის ინსტრუქტორი ივან ივანოვიჩ ბერეზკინი იძლეოდა. ჩემს ცხოვრება-

ში ამ ადამიანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და, რაღა თქმა უნდა, იმასაც იმსახურებს, რომ მის შესახებ განსაკუთრებულად ვილაპარაკო.

ცხოვრება და თავგადასავალი ივანივანოვიჩბერეზკინისა, მეტსახელად უფროსისა, რომელიც ოთხჯერ იყო ჯგუფორგი, ორჯერ — კედლის გაზეთის რედაქტორი, პასუხისმგებელი სანიტარული მდგომარეობისათვის და ჰქონდა აგრეთვე მრავალი სხვა წვრილმანი დატვირთვა, მაგრამ შემდგომში სახელი გაითქვა.

როდესაც ივან ივანოვიჩი ექვსი წლის იყო, ქუჩაში ბოშა ქალმა დაიჭირა, საყელოში სტაცა ხელი და წაიბუტბუტა:

— დიდი კაცი იქნები. სულ აბრეშუმის პერანგები გეცმევა. მოსკოვამდე მიაღწევ! ხელი დამიმშვენე, კარგო კაცო!

ამ უმნიშვნელო ეპიზოდმა დიდი გავლენა მოახდინა ბერეზკინის ბედზე. მისმა მშობლებმა (მამა ტბორის დარაჯი იყო, დედა — მწველავი) მოულოდნელად მკითხაობა დაიჯერეს. როგორც კი სიტყვა მოიტანდა, ამბობდნენ ხოლმე:

— ჩვენი ვანიუშა ისეთი ჭკვიანია, ისეთი ჭკვიანი, ჯერ სკოლაში არ დადის და ყველა ციფრი იცის. ბოშა ქალმა უმკითხავა — დიდი უფროსი იქნებიო.

ივანის ბავშვობამ უსიხარულოდ განვლო. ცოტას წაიცელქებდა — და მაშინვე:

— უფროს დამიხედეთ!

როდესაც ბერეზკინს ცხრა წელი შეუსრულდა, მშობლები და მათთან ერთად მთელი სოფელი მას ივან ივანოვიჩად იხსენიებდა.

მესამე კლასში კლასის სანიტარიული მდგომარეობის პასუხისმგებლად აირჩიეს (მაინც უფროსი უნდა გახდეს — დაე, აქედანვე მიეჩვიოსო!).

როდესაც ივან ივანოვიჩი წამოიზარდა, მას წარამარა ირჩევდნენ კლასში და სკოლაში პასუხსაგებ თანამდებობაზე. ზოგჯერ

ბერეზკინს ერთბაშად ხუთამდე „დატვირთვა“ უგროვდებოდა.

— ძნელია სწავლა — იოლია ბრძოლა, — ანუგეშებდნენ ივან ივანოვიჩს და კიდევ რაღაცას აჰკიდებდნენ ხოლმე.

თანდათან „უფროსი“ თავის ხვედრს შეეგუა. საკმარისი იყო გაეგო: „ახლა კი, ამხანაგებო, უნდა ავირჩიოთ. რა წინადადებები გექნებათ?“ — ბერეზკინიც თავისი ადგილიდან დგებოდა და აღარ უცდიდა, ვიდრე მის გვარს დაასახელებდნენ.

ივან ივანოვიჩი ადრეც არ გამოირჩეოდა კარგი ჯანმრთელობით, ახლა კი სულ ჩამოდნა. მისმა ლოყებმა ბავშვური ტრადიციული ვარდისფერი დაკარგა, ხმა გაღიზიანებული გაუხდა. ბერეზკინი ყვირილს შეეჩვია.

. მეათე კლასის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა შემთხვევა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბოშა ქალის წინასწარმეტყველება უბრალო ყბედობა არ იყო. ბერეზკინის მთელი „სასკოლო კარიერა“ ხომ ჯერჯერობით არაფერს ნიშნავდა. ბევრნი ათი წლის განმავლობაში „უფროსობენ“, შემდეგ კი ატესტატით ტრაქტორზე ამოყოფენ ხოლმე თავს.

აი, რა მოხდა: ივან ივანოვიჩს დედა ავად გაუხდა და იძულებული იყო ფერმაში მის მაგიერ ემუშავა. პირველ დღესვე „უფროსმა“ თითოეული ძროხისაგან ერთნახევარჯერ უფრო მეტი მოწველა, ვიდრე დედამისი წველიდა ხოლმე.

ბუნებრივია, ივანს არ დაუჯერეს. აღმრიცხველი დიდხანს აქნევდა თავს და ბიდონში რთულ ხელსაწყოებს ყოფდა. მაგრამ როდესაც მეორე დღეს ივანმა მონაწველი გააორკეცა, გაკვირვება გაოცებაში გადაიზარდა. რაიონიდან კორესპონდენტი ჩამოვიდა და მთელი საათი ცდილობდა მწველავისათვის „საიდუმლო“ დაეტყუებინა, ის კი მოკლედ პასუხობდა: „ეშმაკმა იცის... ალბათ ვუყვარვარ“. კორესპონდენტი უკმაყოფილო წავიდა, მაგრამ ბერეზკინის სახელით მაინც გამოაქვეყნა დიდი სტატია: „სწორი რეჟიმი, კარგი საკვები — ბევრი რძე“.

დედა ისევ ავადმყოფობდა და „უფროსი“ იძულებული იყო მისი საქმე ეკეთებინა. მონაწველი კატასტროფულად იზრდებოდა. ივან ივანოვიჩზე ალაპარაკდნენ, მისი სურათი საპატიო დაფაზე გაჩნდა, ხოლო თვით „უფროსი“ კოლმეურნეობის კრებაზე მაღვიძარა საათით დააჯილდოვეს.

ცოტა ხანში ბერეზკინი მომჯობინდა. ჩავარდნილი ლოყები

აუვარდისფრდა, აღარც ხმა ჰქონდა გაღიზიანებული. ორი თვის განმავლობაში ხომ არც არავინ გაუკრიტიკებია და არც არავისთვის უყვირია. აბა, ვის გააკრიტიკებდა — იქნებ ძროხებს?

მეათე კლასის დამთავრების შემდეგ ივან ივანოვიჩმა გადაწყვიტა ფერმაში ემუშავა მწველავად. დედა დღე და ღამე ტიროდა, მამა აღარ ელაპარაკებოდა. განა ამაზე ოცნებობდნენ?

მაგრამ ბოშა ქალმა თავისი საქმე კარგად იცოდა, როგორც იტყვიან, ბედს ვერ გაექცევიო.

ერთი კვირაც არ გასულა, რომ ივან ივანოვიჩი აირჩიეს კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, საბრძოლო ფურცლის რედაქტორად, ორი რაღაც კომისიის თავმჯდომარედ და ლექტორ-პროპაგანდისტად.

ძროხების მოწველის დრო ახლა სადღა იყო. საბოლოოდ ივან ივანოვიჩი შეურიგდა თავის ხვედრს. იგი სხდომებს ესწრებოდა, ტუქსავდა, არიგებდა. რაიონულ და საქალაქო თათბირებზე დაიარებოდა. ერთ-ერთ ასეთ თათბირზე „უფროსთან" მივიდა დიდი უფროსი, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ჩვენ მაგარი სასოფლო-სამეურნეო თავები გვჭირდება. წახვალ კომკავშირის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორად?

გახარებული მამა სოფლის მაღაზიაში გაიქცა და შვილს შავი პორტფელი უყიდა, რომელიც უხსოვარი დროიდან თაროზე იმტვერებოდა, და ომიდან ჩამოტანილი ნადავლი, თავისი საგარეო ქრომის ჩექმები აჩუქა.

ქალაქკომში ივან ივანოვიჩს კარგად შეხვდნენ, თუმცა შურით კი უყურებდნენ: ხუმრობა ხომ არ იყო, კაცი თვითონ წველიდა ძროხებს! ამიტომ მის ქრომის ჩექმებსა და შევიოტის კოსტიუმზე არავის გაუცინია. და როცა დაინახეს, რომ ბერეზკინი სულაც არ ცდილობდა შეძრომოდა განყოფილების გამგეს, ქალაქკომის საიდუმლოებებიც გაანდეს.

— ჩვენი გენერალური მდივანი ქალია, — უთხრეს მას, — ისეთია, უნდა ერიდო, თუ ყალთაბანდობაში გამოგიჭირა, ვერ გადაურჩები, ცეცხლს შეგინთებს, შენგან ძვლებიც აღარ დარჩება. დიდი გაქანების ქალია, მასშტაბები უყვარს, ამიტომ რაიმე იდეა უნდა გამოთხარო და ფართოდ გაშალო. უმჯობესია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაემგზავრო, ეს შენთვის ნაცნობი საქმეა, რაღაცას მიაგნებ. აი, კიდევ რა. არასო-

დეს მოატყუო, იმიტომ რომ მას ყოველთვის ყველაფერი სჯერა. ასეთი მეთოდი აქვს. გაიგე? ისე დაგიჯერებს, რომ მერე თვითონ სირცხვილით დაიწვები.

ასე გაჩნდა ივან ივანოვიჩ ბერეზკინი ჩვენს ინსტიტუტში.

მისი სამუშაო დღე ბუფეტში იწყებოდა. ივან ივანოვიჩი სამ მეორე თავ კერძს უკვეთავდა და მოღუშული ჭამდა. ამის შემდეგ პორტფელის სიმძიმისაგან წელში მოხრილი იდეის მაძიებელი პირქუშად დაიარებოდა საღამომდე ინსტიტუტის დერეფნებში, ათვალიერებდა ცხოველების შიგნეულობის ამსახველ სქემებსა და პლაკატებს.

ინსტიტუტი ბერეზკინზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ასობით ოთახი, დახლართული დერეფნები, მოქაქანე სტუდენტების ჯგრო ნთქავდა „უფროსის" მჭლე ფიგურას. ვერა და ვერ შეეჩვია უამრავ ლაბირინთს, ერეოდა კურსები, ჯგუფები, ქვეჯგუფები და ვერ სცნობდა ადამიანებს.

როდესაც შემხვდებოდა, ივან ივანოვიჩი წუწუნს იწყებდა:

— მეტისმეტად ბევრნი ხართ, პრიახინ (მას ვიღაც პრიახინში ვეშლებოდი). მთელი დღე — თავი — ფეხები, თავი — ფეხები, ათასობით...

— რვა ათასი, — ვუთხარი მე.

ბერეზკინი იღუშებოდა:

— მერედა, რა საჭიროა? მრეწველობაში ან სადმე სხვაგან, იქნებ საჭიროც იყოს. სოფელში კი... ძროხის მოწველას მეც გასწავლით. რამდენი ფერმა აშენდებოდა ამ ფულით...

— ამაში კი სცდებით, ივან ივანოვიჩ...

— რატომ ვცდები? სულ ერთთავად ზუთხავთ, ზუთხავთ, ცხოვრებას კი არ იცნობთ, ძროხის მოწველაც კი არ შეგიძლიათ. აი, მაგალითად, შენ თუ შეგიძლია?

— არა.

— აი, ხომ გითხარი! ფერმაში არაფრით არ მიგიღებდი.

ალბათ ამ ლაპარაკის შედეგი იყო, რომ ივან ივანოვიჩს აზრად მოუვიდა ჩვენი ინსტიტუტი კოლმეურნეობად გადაექცია. თავმჯდომარედ რექტორს დანიშნავდნენ, დეკანებს — ბრიგადირებად, სტუდენტები კოლმეურნეები იქნებოდნენ. დათესდნენ, მომკიდნენ, მოწველიდნენ და სხვა ამდაგვარები. სტუდენტი კოლმეურნეები მონაწილეობას მიიღებდნენ ყველა სა-

სოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და, გარდა ამისა, ლექციებსაც მოისმენდნენ.

გლიბკაც კი დააბნია ამ იდეამ. მაგრამ ივან ივანოვიჩს მოულოდნელად მხარი დაუჭირა გენერალურმა მდივანმა.

— უნდა მოვიფიქროთ, — თქვა მან. — ამაში არის რაციონალური მარცვალი. ინსტიტუტი მიწას დაეუკავშიროთ. ბერეზკინ, მოელაპარაკე მეცნიერებს და სტუდენტებს.

ივან ივანოვიჩმაც დაიწყო მოლაპარაკება. თვალის დახამხამებაში შექმნა რვა კომისია და ქვეკომისია, სამი ბიურო და რამდენიმე კომიტეტი. ერთი კვირის შემდეგ ეს ორგანოები გამრავლდა უბრალო უჯრედული გაყოფის მეთოდით. ჩვენი ინსტიტუტი შეფუცხუნდა. დაუსრულებლად მიდი-მოდიოდნენ შავი „ვოლგები", იერეოდნენ ჩალისქუდიანი სქელ-სქელი კაცები. შლეგიანებივით დაქროდნენ შიკრიკები. ყველაზე მეტად, რასაკვირველია, ბერეზკინი იშყლიტებოდა. დღემდე ჩემთვის საიდუმლოდ დარჩა, როგორ ახერხებდა ერთდროულად ათობით თათბირსა და სხდომას დასწრებოდა.

ინსტიტუტის დანარჩენ საქმიანობაში ივან ივანოვიჩი არ ერეოდა. დიპლომანტების შესახებ თავისი რეპორტაჟების მასალასაც კი გლიბკას კაბინეტში იღებდა. მათ ერთი შეხედვით მოეწონათ ერთმანეთი. რადგანაც მიკროლომონოსოვი ჩვენს სათესელას ალმაცერად უყურებდა, მას გაზეთის ფურცლებზე მეტად უმნიშვნელო ადგილი ეკავა.

კრეტოვის დახმარება რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა. მას მეტად შეუყვარდა „ჰოლანდიელი". კათედრის გამგემ სახარბიელო წინადადებაც კი მოგვცა, შევსულიყავით მასთან ასპირანტურაში, რათა გაგვეგრძელებინა სათესელაზე მუშაობა.

არ ვიცი, კიმი რას ფიქრობდა, მე კი, ცოტა არ იყოს, გავყოყოჩდი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სამოსანს ასპირანტურაში ეპატიჟებოდნენ. ჩვეულებრივ ხომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მხოლოდ ფრიადოსნებს ტოვებენ, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს. კურსზე ერთი ასეთი სტუდენტი გვყავდა — კოსარევსკი, პროფკავშირის თავმჯდომარე. რექტორიც კი ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა. კოსარევსკის ბედი ჯერ კიდევ მეოთხე კურსზე გადაწყდა, ამ ბოლო დროს კი იგი ლაბორანტად მუშაობდა გარაჟში.

კოსარევსკი გადიდგულდა. ერთი წელია, რაც აღარ გვესალმებოდა, მხოლოდ ოდნავ თუ დაგვიქნევდა თავს ან, გლიბკა'ს მიბაძვით, მოწყალედ ხელს დაგვკრავდა მხარზე. ასე გაამპარტავნებას, რა თქმა უნდა, არც ვაპირებდი, მაგრამ კოსარევსკი'ს საქციელი მაინც გასაგები იყო. ასპირანტურის დამთავრებისთანავე ინსტიტუტში დარჩენა — ფლავის ჭამა არ გეგონოთ!

'საკუთარი თავი იმაში დავიჭირე, რომ ლაპარაკი'ს დროს სიტყვებს კბილებში ვცრიდი, ხოლო ხელი თავისით მიიწევდა, ვიღაცისათვის მხრებზე რომ დამეტყაპუნებინა.

იმ ამბავმა, რომ მე ასპირანტურაში მტოვებდნენ, ჩვენი კოლმეურნეობის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უნდა ითქვას, რომ მშობლიურ სოფელში არც თუ სახარბიელო რეპუტაცია მქონდა. სკოლაში მაინცადამაინც კარგ მოსწავლედ არ ვითვლებოდი, ორჯერ სერიოზული უ'იამოვნება მომიხდა კოლმეურნეობი'ს ბაღჩის ყარაულთან. გარდა ამისა, ჩვენი კლასიდან მე პირველმა შევიძინე სოფლის მაღაზიაში წითელი კუბოკრული პიჯაკი. მერე ასეთი პიჯაკი ყველამ იყიდა, მაგრამ სიტყვა „კოკობზიკა" მხოლოდ მე მომეკერა.

ახლა თავმომწონედ ვუყვებოდი ყველას სათესელას გამოგონებისა და იმ ახალი ბინი'ს შესახებ, რომელსაც აუცილებლად მომცემდნენ ქალაქში. მოხუცები მოწიწებით მესალმებოდნენ.

მაგრამ მთავარი ი'ს იყო, რომ ასპირანტურა მათავისუფლებდა დამამცირებელი მდგომარეობიდან. ჯერ კიდევ მეოთხე კურსზე მე და დედაჩემმა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში ავიღებდი მიმართვას. დედაჩემის ნაცნობი კოლმეურნეობის თავმჯდომარე წინააღმდეგი არ იყო. მაგრამ წელ'ს მოულოდნელად თავმჯდომარედ დიმკა აირჩიეს, დიმიტრი ფედოროვიჩი, ჩემი ყოფილი მეგობარი და მეტოქე. დიმკას ქვეშევრდომად წავსულიყავი და მი'ათვის ასეთი სიამოვნება მიმენიჭებინა?! რათა მის ცოლს მერე შევცოდებოდი? არასოდეს! არასოდეს მოხდება ეს, ყინულის პრინცესა! შენ კიდევ ინანებ, დიმკაში რომ გამცვალე. აი, სათესელას სერიულ წარმოებაში რომ ჩაუშვებენ და კოლმეურნეობაში „ვოლგით" რომ ჩამოვალ...

იგი ჩვენ წინ იჯდა, ამაყი, ცივი, თითქოს ყინულის ლოდისაგან გამოუთლიათო. სირცხვილიც იყო მისთვის უკანიდან ქინძისთავი გვეჩხვლიტა ან თმა მოგვეწიწკნა, მაგრამ მეცხრე კლასში სიყვარულს სხვანაირად ვერ გამოხატავ. რას არ ვაკეთებდით მე და დიმკა, ოღონდ მისი ყურადღება მიგვექცია!

მერხში ცოცხალ ბაყაყებს ვუ'ვამდით, ყინულის პრინცეს'ას საყელოში ხოჭოებს ვუყრიდით, ფრიადო'ნის უზადო რვეულ'ს ვულაქავებდით, ქვიშას ვისროდით მისი ბინის ღია ფანჯრებში, ამპარტავან გოგონას ტბორში ვახრჩობდით.

ყველაფერი ამაო იყო. იგი ყურადღების ღირსადაც არ გვთვლიდა. არც კი წუწუნებდა. უბრალოდ არ გვამჩნევდა. ჩვენც გვესმოდა მი'ი, კატკას ადგილზე ალბათ ასევე ვიამაყებდით. მამამისი ჩვენი 'სამნეო ნაწილის გამგე იყო — ჩვენი ღმერთი და მეუფე. ჩვენი სკოლის ყველა ბიჭი მის ხელთ იყო. იგი გვსჯიდა და გვპატიებდა, იგი განსაზღვრავდა დასჯის ხარისხს· გატეხილი მინებისა და გაფუჭებული მერხები'ს გამო. დირექტორი მხოლოდ ბრმა იარაღი იყო სამნეო ნაწილის გამგი'ს ხელში. დირექტორი ისე იქცეოდა, როგორც ეშმაკი ინტრიგანი უკარნახებდა.

და რაღა მაინცდამაინც ამ საშინელი ადამიანის ქალიშვილი შეგვიყვარდა ორივეს. სამნეო ნაწილის გამგემ ალბათ მაშინვე იყნოსა ეს თავი'ი გრძელი ცხვირით, ვინაიდან სხვებზე მეტად აგვითვალწუნა. მეოთხედში მისი წყალობით ყოფაქცევაში „ოთხიანი" გამომაყოლეს, ხოლო დიმკა ერთთავად „ნიანგში" იყო გამოჭიმული.

მაგრამ ეჭვიანმა მამილომ რეპრესიებით ვერაფერს მიაღწია. პროცესი ნელი და გარდაუვალი იყო. იგი ყინული'ს ლოდივით მოძრაობდა, ანადგურებდა ყველაფერს, რაც გზაზე დახვდებოდა, მასთან ვერავინ ვერაფერს გააწყობდა. მე და დიმკა არასოდეს ვუზიარებდით ერთმანეთს საიდუმლოს, უფრო მეტიც, ყინულის პრინცესას უპატივცემლოდ ვიხსენიებდით, მაგრამ ერთიმეორეს კი ეჭვი'ს თვალით ვუყურებდით. ჩვენი მეგობრობა, გაუზიარებელი სიყვარულით შედუღაბებული, გრანიტივით მტკიცე გახდა. ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით. ორივე

ჩამოვხმით. „კარგოსნები“ სამოსნების ჭაობში ჩავცვივდით. მშობლებს უტიფრად ველაპარაკებოდით, გაღიზიანებული ვიყავით და ერთმანეთის უჩუმრად ლექსების წერაც კი დავიწყეთ.

მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს დასასრული აქვს. გაწყდა ჩვენი კვანძიც. სამნეო ნაწილის გამგის ოჯახმა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა გადაწყვიტა. კატია მიდიოდა! ო, უცბად როგორ შეგვიყვარდა სამნეო ნაწილის გამგე! როგორ გვეწადა გულით, რომ მას კვლავ გაეგრძელებინა ჩვენი წვალება! ოღონდაც არ წასულიყო! დღეში რამდენჯერმე მლიქვნელურად ვეალმებოდით კიდეც ჩვენს მწვალებელს, თითქოს ამას რაღაცის შეცვლა შეეძლო.

ვაგზალზე მატარებლის გასვლამდე დიდი ხნით ადრე მივედით. ჯიბეებში ხელებჩაყოფილი, დამოუკიდებელი იერით დავსეირნობდით პერონზე. უკეულმართი გოგონა ყურადღებასაც არ გვაქცევდა. დაჰკრა ზარმა. ჩვენ გულები გაგვიჩერდა. უცბად კატია ჩვენკენ გამოემართა. „ნახვამდის, ბიჭებო, — გვითხრა სხვათა შორის. — გენა, შეგიძლია წერილი მომწერო“.

მე და დიმკამ ფანქრები დავაძრეთ და მისამართი ჩავიწერეთ. უეცრად რაღაც წარმოუდგენელი მოხდა. ყინულის პრინცესა ბაგეებით შეეხო ჩემს ლოყას. დიმკამ ანგარიშმიუცემლად მიუშვირა ლოყა, მაგრამ კატია მიბრუნდა და წავიდა.

მე მაინც ვერ გავიგე, რატომ მოხდა ასე, დღემდეც ვერ გამიგია.

ამ ცოტა ხნის წინ მათთან ვიყავი — დიმკასთან და კატიასთან. სოფლის ბოლოში ცხოვრობენ, პატარა სახლში, ერთიანად ალვებში რომ ჩაკარგულა.

დიმკასთან მივედი, თავმჯდომარეობა რომ მიმელოცა. დიმკა არყის მოსატანად გაიქცა. საოცარია, მაგრამ იგი ისეთივე დარჩა, როგორიც უწინ იყო. მხოლოდ ღონიერი მოზვერიდან ნამდვილ გოლიათად გადაიქცა.

კატია უწინდელი ყინულის პრინცესა იყო. ოღონდ ოდნავ დასრულებულიყო, მიხრა-მოხრა ნელი გაუხდა, ხმა რბილი, გამოხედვა მშვიდი. გულახდილად ვერ ვისაუბრეთ, თითქოს რაღაც გვიშლიდა. იქნებ ის ბავშვური კოცნა, ან ის გარემოება, რომ მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, დიმკა კი უკვე დიმკა აღარ იყო, არამედ დიმიტრი ფედოროვიჩი. ან იქნებ ყველა-

ფერი ჩემი ახალი მოდური კოსტიუმის ბრალი იყო. უბრალო სოფლურ გარემოში ალბათ მეტისმეტად გაპრანჭული იერი მქონდა.

გამოთხოვებისას დიმკამ მაგრად მომიჭირა თითებზე ხელი. უნებურად დავიღრიჯე. მან დარცხვენილმა გაუშვა თათი ჩემს ხელს. ხელი ნიჩაბივით ფართო, უხეში, დაკოჟრილი ჰქონდა.

— მაპატიეთ, — ჩაიცინა მან, — სულ დამავიწყდა, რომ ქალაქელი ბრძანდებით. ჩვენ აქ ძველებურად, მამაპაპურად ვცხოვრობთ.

ყოფილი მეგობარი დაჟინებით „თქვენობით“ მომმართავდა.

— არაფერია, — წავიბუტბუტე მე.

— ბოდიშს ვიხდით,—ჩაეცინა ისევ.—გვინახულეთ ხოლმე.

— გვინახულე, — თქვა კატიამ და გრძელი წამწამები დახარა.

— ყველაფერი რიგზეა, — კიმი მოგვიახლოვდა, — თურმე ორი თესლგამტარი გაუჭედილა, მე კი მეგონა, კბილანა გატყდამეთქი.

მე უნაგირზე დავჯექი. ბარაქალა, „მფრინავო ჰოლანდიელო“! იმის მაგიერ, რომ კბილანა გაეტეხა, მას მხოლოდ და მხოლოდ თესლგამტარი გაუჭედია.

მუშაობა გვიან საღამოს დავამთავრეთ. როდესაც ძველი საბნისაგან გაკეთებული უნაგირიდან ჩამოვედი, ჩემ წინ ყველაფერი დატრიალდა. ყელში სრიალა ბურთივით რაღაც გამეჩხირა.

ეს იყო ნამდვილი ზღვის ავადმყოფობის შეტევა.

— დღეს ხუთი კილო დავთესეთ! — დამიყვირა კიმმა.

მთელი ხუთი კილო? არა, ცხოვრება მაინც მშვენიერია!

ვაცლავ კობზიკოვი აღსარებას ამბობს

სახლში ფანტასტიკური სანახაობა გველოდა.

საწოლზე იწვა ნახევრადშიშველი ვაცლავ კობზიკოვი და ბოთლიდან ლუდს წრუპავდა. მაგიდა სავსე იყო გემრიელი საჭმელებით: „ვირთევზას ნატურალური ღვიძლი ზეთში“, „მწვანე მუხუდოს“, „მოშუშული ბოსტნეულის“ კონსერვები და ლუ-

დის ბოთლები. ყველგან მობნეული იყო ძეხვის ნაფცქვენები და ყველის ნაფხვენები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჯერ კიდევ დილით ვეტექიმს გროშიც არ მოეძევებოდა, ხოლო სტიპენდიამდე კი ძალიან შორს იყო, გასაგები გახდება ჩვენი განცვიფრება.

— ბებია ხომ არ მოგიკვდა?

კობზიკოვმა ნამძინარევი, მილულული თვალებით შემომხედა და არაფერი მიპასუხა. იგი ძალიან მაგონებდა კარგად დანაყრებულ მახრჩობელა გველს და ისიც კი მომეჩვენა, თითქოს მის გამობურცულ მუცელში რაღაც მოძრაობდა.

— ეგვიპტის ფარაონის მუმია იპოვე?

— არა... ბყ... საქათმე ჩავაბარე.

— მე სერიოზულად გეკითხები.

— ვერ ხედავ, — მითხრა კიმმა, — კაცი გამომტყვრალია, ბოდავს.

მაგრამ კობზიკოვს გაბრაზება არ შეეძლო.

— არა, სერიოზულად, ბიჭებო... ბყ... სხვენზე „შეიარაღებული ძალების“ დისლოკაცია მოვაწყვე.

— დაწვრილებით მოგვიყევი, — ვთხოვე მე.

— ინებეთ. ესე იგი, ვზივარ კიბეზე და ვფიქრობ: ეგორიჩის საცვალი ხომ არ ავწაპნო, აი, აგერ, ჩემ ცხვირწინ რომ კიდია თოკზე? გავყიდი — ღვეზელებს მაინც ვიყიდი-მეთქი. უცბად გამოჩნდნენ ორნი. ბიჭი და გოგო. სულ ქორფები. „თქვენ ხომ არა ხართ სახლის პატრონი?“ — მეკითხებიან. „დავუშვათ, ვარ“, — ვპასუხობ ორჭოფულად. მაშინ ისინი უომედო ხმით მეუბნებიან: „ხომ არ გექნებათ გასაქირავებელი ოთახი. ჩვენ ახალშეუღლებული ვართ, სტუდენტები“. კიბიდან შევათვალიერე „ნოეს კიდობანი“ და ვუპასუხე: „არა. ყველა ოთახი დაკავებულია“. დაღონებულები შებრუნდნენ და წავიდნენ. მართალი გითხრა, ძალიან შემეცოდნენ. ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი ეგორიჩის ქოხმახს და უცბად გენიალური იდეა მომივიდა თავში. „მოიცადეთ! — დავუძახე. — გინდათ, ჯერჯერობით, აი, ამ ფარდულში დასახლდით? მამალს სადმე მოვათავსებთ“. ნეტა გენახათ, როგორ გაუხარდათ! მათთან ერთად მეც გავიხარე და ვერც კი შევამჩნიე, ბე როგორ შემომაჩეჩეს.

კობზიკოვმა ღრმად ამოისუნთქა და ლუდის ბოთლს სწვდა.

— მძარცველები ხართ შენც და შენი სახლის პატრონიც, — წაიბურტყუნა კიმმა. გამდნარი ყველის ნაჭერი შეჭამა და თინას გასაცილებლად წავიდა. რამდენი არ ვეცადე ანგარიშებს ჩაღრმავებოდი, საჭმელების სუნი მაინც მაღიზიანებდა. მექანიკურად ფუნთუშა მოვციცქნე.

— ჭამე, ჭამე, — შემპარავად მითხრა კობზიკოვმა.

დიდხანს აღარ ვახვეწნინე.

— შეგიძლია კონსერვებიც ჭამო.

ცოტა არ იყოს გაოცებულმა გავხსენი „ვირთევზას ნატურალური ღვიძლი ზეთში“ და ჭამას შევუდექი.

— იქნებ ლუდი გინდა? ნუ მოგერიდება.

ახლა კი ეჭვით შევათვალიერე კობზიკოვი. მეტისმეტად პურმარილიანი კაცის ცხვირ-პირი ჰქონდა.

— გამოტყდი, რა გინდა ჩემგან? — ვკითხე მე.

ვეტექიმმა ხელები გაასავსავა.

— რას ამბობ! რას ამბობ! ვხედავ, გშია. მაშ, რატომ არ უნდა გაგიმასპინძლდე. დღეს მე გიმასპინძლებ, ხვალ — შენ. ხელი ხელსა ბანსო. ამაზე ტრიალებს სამყარო. ვთქვათ საჭიროა ფეხსაცმლის მოსატანად წასვლა...

ჭამა შევწყვიტე და დავიძაბე:

— რა ფეხსაცმელი, რის ფეხსაცმელი?

— ისე, სათქმელადაც არ ღირს. სტუმრად ვიყავი და ფეხსაცმელი დამრჩა. ხომ მოგიყევი. ჩემი იქ მისვლა უხერხულია.

— მაშასადამე, მე უნდა წავიდე ფეხსაცმლის მოსატანად?

— ჰო, მიხვალ, აიღებ და წამოხვალ. რას ხედავ ამაში ცუდს?

საჭმელი განზე გავწიე.

— გმადლობთ. სიცოცხლე ჯერ არ მომბეზრებია.

— სულელო, — წამოხტა საწოლიდან კობზიკოვი. — აბსოლუტურად არაფერია საშიში! მე ყველაფერი გავიკითხე. პოლკოვნიკი და მისი ცოლი დღეს აგარაკზე არიან. შინ მხოლოდ ჩემი დულცინეაა. მიხვალ, ეტყვი: „გამარჯობა, დინოჩკა. ვაც-

ლავმა შემოგითვალა, ფეხსაცმელი დამიბრუნეო“. აი, სულ ეს არის. იგი დაგიბრუნებს, და შენც მაშინვე წამოხვალ.

— რატომ შენ არ გინდა წახვიდე?

— გატყობ, სულ უმეცარი ხარ სასიყვარულო საქმეებში. მაშინ მე ხომ იქ უნდა დავრჩე.

— შენც დარჩი რა. განა არ მოგწონს?

— მომწონს. მაგრამ არის ერთი გარემოება, ეგრეთ წოდებული დროის კრიტერიუმი.

— ეს რაღა ეშმაკია?

— იცი, რაშია საქმე... დღეს კიდევ ორი პაემანი მაქვს. როგორღა წავალ, თუ ცალი ფეხსაცმელი არ მექნება? რა ვქნა, გენ?..

— არა.

აღელვებულმა კობზიკოვმა ოთახში სირბილი დაიწყო.

— მისმინე! რაც მაგიდაზეა, ყველაფერი შენი იყოს!

— არა!

— გარდა ამისა, კიდევ ერთი ბოთლიც, — მთაფლავდა ვაცლავი.

— არა.

კობზიკოვი შეჩერდა.

— მისმინე. რესტორანში დაგპატიჟებ. გესმის? შეუკვეთავ იმას, რაც გინდა.

— რაც მინდა? — კითხვა გავუმეორე მე.

— რაც გინდა!

— ბატსაც?

— ბატსაც.

— კონიაკსაც?

— კონიაკსაც.

— მხოლოდ ერთი პირობით,—ვუთხარი მე.—უნდა მომიყვე შენი ბიოგრაფია. აღსარება უნდა მითხრა: ასეთი წუწკი რატომ ხარ და კიდევ სხვა დანარჩენი.

— ყაბულსა ვარ! — დამთანხმდა კობზიკოვი.

რესტორანი უკვე დაკეტილი დაგვხვდა.

— ნუ აწვებით, — თქვა შვეიცარმა, გამომწვევად გამოიშვირა მკერდი და ულვაშები აბზიკა.

ვაცლავმა მანეთიანი ჩაუდო და ულვაშებიც დაეშვა.

მაგიდები თითქმის ცარიელი იყო. ჩვენ ფანჯარასთან დავსხედით. მოვიდა ოფიციანტი, სახეზე დაღლილობა ეტყობოდა.

— რას ინებებთ, ბიჭებო?

— შემწვარი ბატი, ერთი ბოთლი კონიაკი, შამპანური ყინულში, დანარჩენი შენ იცი. — ვუთხარი დაუდევრად და სკამზე გავიშხლართე.

— ცხელი არაფერი გვაქვს.

— მაშინ შემწვარი ბატის მაგიერ საჩიერის წიგნი ჩაწერეთ.

ნახევარი საათის შემდეგ შემწვარ ბატს შევექცეოდით.

ბატის ხორცი ნაზი იყო, როგორც ველოსიპედის სალტე, მაგრამ კობზიკოვი სიამოვნებისაგან კრუტუნებდა: მას ისევ შიოდა.

— მაშ ასე, — ვთქვი მე. — დაიბადე ათას ცხრაას...

— შენ ამბობ, რომ თვალები სევდიანი ჰქონდა? — შემაწყვეტინა კობზიკოვმა, თან ძვალს წუწნიდა.

— დიახ... ათას ცხრაასს...

— და დაჩითული ხალათი ეცვა?

— დიახ, დაჩითული ხალათი ეცვა, საძაგელო დონჟუანო! მას სევდიანი, ნამტირალევი თვალები ჰქონდა, დაუნდობელო ადამიანო! და კიდევ, მას ჰქონდა მშვენიერი ოქროსფერი თმა და პაწაწინა ფეხები!

— მახსოვს, მახსოვს, — ამოიხვნეშა ვაცლავმა.

— ვერ გამიგია, კიდევ რა გინდა? გოგო კი არა, ნამდვილი ანგელოზია.

— ეჰ, გენა, გენა, — თავი გააქნია ვაცლავმა, — არაფერი გაგეგება! გულზე ცეცხლი მეკიდება, როცა მას ვიხსენებ. მაგრამ მდინარეს აღმა ვერ წაიყვან, ეგვიპტის ფარაონის მუმიას ვერ აიძულებ, ასი მეტრი გაირბინოს. კარგი, მისმინე... დავიბადე ათას ცხრაას ოცდათვრამეტ წელს, უნიჭო მუსიკოსის ოჯახში. ბავშვობა ჩვეულებრივი მქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ საძაგელ გარემოებას: მთელი სიცოცხლე ბედისწერა მდევს. მაგრამ ეს უბრალო ბედისწერა როდია. ამას კიდევ შეეგუება კაცი. ბევრ ადამიანს სდევს უბრალო ბედისწერა, მაგრამ ისინი არაფერს უჩივიან, ცხოვრობენ თავისთვის. მე კი ამეკვიატა რაღაც მოსულელო, უაზრო ბედისწერა. ერთი

შეხედვით თითქოს სასაცილოა, ისე კი ნამდვილი ტრაგედიაა. მაგალითად, ჯერ კიდევ ჩვილი ვიყავი, აკვნიდან გადმოვვარდი და ცხვირი გავიტეხე. რა ვუყოთ, გავიტეხე და გავიტეხე. ცხვირს ვინ არ იტეხავს. ცხადია, კეხიანცხვირიანი გავიზარდე. არც ეგ არის დიდი უბედურება. კეხიანი ცხვირი ბევრსა აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მე კეხიანი ცხვირი მაქვს, საპასპორტო მაგიდის გამგემ, რომელიც ჩემზე ძალიან გაბრაზებული იყო ერთი საქმის გამო, პასპორტის გრაფაში „ეროვნება“ ჩამიწერა „ბერძენი“. იდიოტური ამბავია. სხვა ჩემს ადგილას ორ დღეში მოაგვარებდა ყველაფერს: გამგეს დასჯიდნენ, მე ბოდიშს მომიხდიდნენ. მე კი დღემდე ბერძნად დავრჩი.

— კარგი ტყუილი იცი.

კობზიკოვმა ღრმად ამოიოხრა:

— ჩემი არავის სჯერა და არც შენ ხარ გამონაკლისი. აი კიდევ ერთი ამბავი. კანტატა დავწერე. რას იღრიჭები? ბავშვობაში ვუნდერკინდი ვიყავი. ყველა აღფრთოვანებულია — ეს რა ტალანტი გვყოლიაო! შევასრულე ერთხელ, მეორედ. გავიგე — განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ სკოლაში მიპირებენ მოწყობას. ოჰო, ვფიქრობ ჩემთვის, აი, კარიერაც. მამაჩემსაც ასე ეგონა, სხვებიც ასე ფიქრობდნენ. მერე ვიღაც სულელმა მამაჩემის ფილარმონიიდან აიღო და წამოროშა: „რაღაც ეს კანტატა ძალიან მაგონებს სკალანჩელისო“. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ყველა შეფუცხუნდა, აფუსფუსდა. დაიწყეს შემოწმება, ეს კანტატა ამ სკალანჩელის ხომ არ ავწაპნე. ალმაცერად დამიწყეს ყურება, ვითომდა, ასე არ ვარგა, ახალგაზრდავო. მერედა რა აღმოჩნდა? თურმე ეს სკალანჩელი არც არასოდეს არსებობდა. ყველა დაშოშმინდა, შაგრამ სკოლაში მაინც არ გამაგზავნეს, ამის შემდეგ კი ჩემს ყველა ნაწარმოებს გულმოდგინედ ამოწმებდნენ. სულელური ამბავია, მაგრამ მუსიკოსი ჩემში ჩაკვდა.

მე თანაგრძნობით ამოვიოხრე. ვაცლავ კობზიკოვმა სევდიანად წამოაგო ძეხვი ჩანგალზე.

— ჰოო. ახლა გავაგრძელოთ. იცი, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში როგორ მოვხვდი?

— ვხვდები. ბავშვობაში ძალიან გიყვარდა ცხოველები.

— რაც შეეხება ცხოველებს, ეს მართალია. ძალიან მიყვარს. ოღონდ შემწვარი. მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი კვების ინსტიტუტში მოხვედრაზე, მაგალითად, შემწვარი ძეხვები და სხვა რამეები. როგორც იქნა, ველირსე იმ დღეს, როცა სიმწიფის ატესტატი გადმოგვცეს. დავტაცე ხელი, მაშასადამე, ჩემს სიმწიფის ატესტატს და პირდაპირ აქეთ გამოვქანდი. გადმოვედი ვაგონიდან, მივიხედ-მოვიხედე, ვხედავ, მერხზე ქალიშვილი ზის, ნაყინს შეექცევა და თან ფეხით ფოქსტროტს ცეკვავს. „ლამაზო ქალო, — ვეკითხები, — სად არის აქ ღორიჭამიების ინსტიტუტი?“ — „წახვალ პირდაპირ, — მეუბნება, — შემდეგ მარცხნივ, შემდეგ ისევ პირდაპირ“,—თან იღიმება, ოხერი, ნურც ღირსებია გათხოვება. მაშასადამე, წავედი პირდაპირ, შემდეგ მარცხნივ და ისევ პირდაპირ. ვხედავ, უზარმაზარი შენობა დგას და აბრაზე წითელი ასოებით წერია: „მიმღები კომისია“. ჩავაბარე საბუთები, გამოცდებმა კარგად ჩაიარა. დაიწყო მეცადინეობა, ლექციები. აუდიტორიაში ხარები, ცხვრები მოყავთ, აი უყურეთ, ამ ნაწილს რქები ჰქვია, ამას — კუდიო... ვზივარ, ხმას არ ვიღებ, ვიწერ, კუდებს ვიხატავ, თან ვფიქრობ; მალე მაინც გვასწავლონ მათი შეწვა და მოხარშვა. მაგრამ გადის ერთი თვე, მეორე, ჩვენ კი ძველებურად ვსწავლობთ კუჭებს და შარდის ბუშტებს. წავედი დეკანატში და ვეკითხები: „მალე დავიწყებთ კატლეტების შეწვას?“ მიპასუხეს: „კატლეტების შეწვას გვერდით, კვების მრეწველობის ინსტიტუტში ასწავლიან. ჩვენ მხოლოდ ცხოველებს ვზრდით“.

გამოვვარდი ქუჩაში, შევხედე ფასადს და გავქვავდი. უზარმაზარი ასოებით წერია: „ზოოვეტერინარული ინსტიტუტი“. თვალთ დამიბნელდა, მინდოდა რექტორთან გავქცეულიყავი, მაგრამ განა დამიჯერებდა? ანეკდოტია ნამდვილი. სად გაიქცევი? მიღება ყველგან დამთავრებულია. აი, ასე დავრჩი იქ.

— ესეც შენი ღორიჭამია. აწი ვეღარ იოხუნჯებ.

— შენ რა გიჭირს, იცინე, — თქვა მოღუშულმა კობზიკოვმა. — მე კი მთელი სიცოცხლე ვეტექიმი უნდა ვიყო!

— არაფერია, შენს მოძმეებსაც მოუწევთ კატლეტების შეწვა. სად აიღე მიმართვა? წადი ხორციხა და რძის საბჭოთა მეურნეობაში.

კობზიკოვმა ჩანგალი მაგიდაზე დადო, ეპვით შეათვალიერა იქაურობა და ჩურჩულით მითხრა:

— გადავწყვიტე ეშმაკობაში ვაჯობო ჩემს მოსულელო ბედისწერას.

— როგორ? — მეც რატომღაც ჩურჩულით ვკითხე.

— მინდა ცოლი ვითხოვო. უკვე ორი წელია, საცოლეს ვეძებ. მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

უნდობლად შევხედე ბერძენს. ჩემ წინ იჯდა კარგად ნაკვები მოზვერი — თუგინდ ახლავე დაკეპე კატლეტებად. შეუძლებელია, რომ იგი სუსტ სქესს არ მოსწონდეს.

კობზიკოვმა თვალი თვალში გამიყარა.

— რასაკვირველია, უბრალო გოგოები თავზე საყრელია. თუ გინდა ახლავე დაიდგამენ საქორწინო გვირგვინს.

— შენ არაჩვეულებრივი გჭირდება? ქალიშვილი-გამოცანა? ქალიშვილი-სფინქსი? ეგვიპტის ფარაონის მუმია?

— მე მჭირდება მინისტრის ქალიშვილი.

— ვინ? მინისტრის ქალიშვილი? — გადავიხარხარე, მაგრამ შევხედე თუ არა ვეტექიმს, შევცბი. მას სერიოზული და პირქუში იერი ჰქონდა.

— რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერის შვილიშვილი არ გამოგადგება? — გესლიანად ვკითხე მე.

— უკიდურეს შემთხვევაში, — მიპასუხა ბერძენმა სრულიად სერიოზულად, — შეიძლება რაიაღმასკომის თავმჯდომარის ქალიშვილიც. დიდი გაჭირვებით იქნებ ქარხნის დირექტორის და ან ინსტიტუტის რექტორის ძმისშვილიც გამოდგეს. მაგრამ ჩემი იდეალი მაინც მინისტრის ქალიშვილია. მე მას უკვე ორი წელია ვეძებ. თვალნათლივ წარმოდგენილიც კი მყავს: გამხდარი, შავთვალა, გრძელი იხვისებური ცხვირით, საოცრად არასიმპათიური. ჩვენ ვეცნობით ერთმანეთს, და მე ვეკითხები— „სად მუშაობს მამათქვენი?“ — „მამაჩემი მინისტრია“, — მპასუხობს იგი. „ჰო, მინისტრი, — ვამბობ გულგრილად. — საშინლად არ მიყვარს მინისტრები. ისინი საოცრად ყოყლოჩინები არიან“. — „მამაჩემი ასეთი არ არის, ხვალვე წავიდეთ მასთან სამსახურში და ნახავთ, რომ ის ძალიან კარგია“.

კობზიკოვმა ამ სცენის ყველა წვრილმანი წარმოიდგინა.

თვალები ნაკვერცხლებივით აენთო, გამხდარი, ცხვირკეხიანი სახიდან სევდა გაუქრა და სიმკაცრე აღებეჭდა.

— აი, მაშინ გაიგებთ, ვინ არის ვაცლავ კობზიკოვი! მე ყელში ვეცემოდი ჩემს იდიოტურ ბედისწერას, შევანჯღრევდი როგორც ეკუთვნის და ვეტყოდი...

— ჩუმად! — უცბად შევაჩერე მეოცნებე ბერძენი. — თორემ გაიგებს ეგ შენი ბედისწერა...

— ...და ვეტყვი, — დააპრულა ვაცლავმა ჩურჩულით: — „დამტოვე ახლა ქალაქში და მომაწყვე სამმართველოს უფროსად, თორემ სულს გაგაფრთხობინებ“. და კიდევ სამოთახიან ბინას გამოვტყუებ და ავტომობილ „ვოლგასაც“.

— დასაწყისისთვის ურიგო არ არის, — ჩავურთე მე. — მაგრამ ორი წელი... ორი წელი დონჟუანობა, და ისიც არ იცი, რითი დამთავრდება საქმე. სწორ გზას კი ადგახარ?

— რასაკვირველია, — დარწმუნებით თქვა კობზიკოვმა. — ეს ისევე მტკიცედ მჯერა, როგორც ის, რომ დედამიწა ბრუნავს. აი, შენ კი არასწორ გზას ადგახარ. შენ გგონია, თუ სათესელას შექმნი, მაშინვე დიდი ადამიანი გახდები? როგორ არა, ვერ მოგართვეს! კათედრაზე დაგტოვებენ, მცირე პრემიას მოგცემენ და მთელი სიცოცხლე უბადრუკად იცხოვრებ, ვიღაცა კი შენს სათესელაზე კარიერას გაიკეთებს.

— ვინ გაიკეთებს?

— ვისაც ნაცნობობა ჰყავს. შეიძლება, ვინმე ბრიყვმაც. ამაზე პასუხს არ ვაგებ. მაგრამ ვიღაც აუცილებლად გაიკეთებს. რასაკვირველია, არა შენ, ვინაიდან მეტისმეტად პატიოსანი დრუნჩი გაქვს. არა, შენ იქით არ მიდიხარ, დროს ტყუილად კარგავ.

მე თავი გადავაქნიე:

— სწორ გზას კი ადგახარ, კობზიკოვ?

— სწორს! ოღონდაც მალე გამოჩნდებოდეს მინისტრის ქალიშვილი. საერთოდ კი, უნდა გითხრა, ჩვენს ქალაქში უფროსობას რატომღაც ქალიშვილები ნაკლებად ჰყავს. უფრო ხშირად ისეთი გოგოები მხვდებიან, ვისაც პარიკმახერი მამები ჰყავთ. მეორედ მოსვლაა სწორედ! ალბათ, ისევ საძაგელი ბედისწერა მიწყობს ამას.

— ერთი ამ ოფიციანტ ქალს ჰკითხე, მშობლები ვინა ჰყავს.

იქნებ მამამისი რესტორნების ტრესტის დირექტორია? მაშინ შეფ-მზარეულად მოგაწყობდა. შენს მდგომარეობაში არ შეიძლება გვერდი აუარო არც ერთ შესაძლებლობას.

— დარწმუნებული ვარ, პარიკმახერია.

— ბიჭებო, თქვენგან ოცდახუთი მანეთი მერგება. დაამთავრეთ, — დაღლილი სახის ქალიშვილი უხმაუროდ მოგვიახლოვდა, მაგიდაზე ბლოკნოტი დადო და სადღაც ზევით დაიწყო ყურება.

— მომიტევეთ, — ვუთხარი მე, — თქვენი მამა რესტორნების ტრესტში ხომ არ მუშაობს?

ოფიციანტმა ქალმა უცბად თვალი მკიდა და მიბრუნდა.

— მე სერიოზულად გეკითხებით. თქვენ ძალიან გავხართ...

ოფიციანტმა ქალმა ერთხელ კიდევ შეგვათვალიერა და ჩვენი სახეების შემხედვარემ დამყოლად თქვა:

— არა. იგი პარიკმახერია.

ბერძენს ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. მან იგი უცბად ბუზივით დაიჭირა მუჭაში, ხელი შარვალზე გაიწმინდა და წაიბუტბუტა:

— პარიკმახერები... ყველგან პარიკმახერები... ორი წელია მხოლოდ პარიკმახერები...

— უზრდელად თუ მოიქცევით—მილიციას გამოვიძახებ,— სხაპასხუპით თქვა დაღლილმა ოფიციანტმა ქალმა.

— პარიკმახერი! — დაიღრიალა უცებ კობზიკოვმა. — საითაც არ გაიხედავ — მხოლოდ პარიკმახერებია! სად არიან მინისტრები? სად არიან, შენ გეკითხები?

შვეიცარი მოვიდა და უსიტყვოდ წაავლო ხელი სახელოზე ხელმოცარულ სასიძოს. ოფიციანტები ჭურჭელს აჩხრიალებდნენ. მეზობელ მაგიდაზე საფერფლეში ცხვირჩაყოფილი მთვრალი კაცი რაღაცას ბუტბუტებდა.

— აბა, მოუსვით, ძაღლის ლეკვებო! — თქვა უმადურმა ულვაშა მცველმა.

როდესაც გარეთ გამოვედით, პროსპექტი სრულიად ცარიელი იყო. ალვის ხის ფოთლებში ბეღურებს ეძინათ. კობზიკოვი ტიროდა.

— გენა, გენოჩკა, — ბუტბუტებდა იგი, — შემიბრალე. ორი

წელია პარიკმახერების მეტს ვერავის ვხვდები! გაღარიბდა რუსეთის მიწა...

ვაცლავი ტრამვაიში ჩავსვი და ბილეთი ავუღე.

— თორმეტსა და ოცდაათზე პაემანი მაქვს. გოგოლის ქუჩა, ორმოცდა ცხრა, — უცბად სრულიად ფხიზელი ხმით თქვა მან.

მე მოპირდაპირე გაჩერებისკენ გავემართე. თავბრუ მესხმოდა. ქარი ყრუდ აშრიალებდა ხეებს.

ქარიანი ღამეები ყოველთვის მაღელვებს, როდესაც ირგვლივ ყოველივე სავსეა უცნაური ბგერებით და თბილი ქარი უხილავი ცოცხალი არსებასავით სახეზე, ყელზე, ხელებზე გელამუნება. მაშინ მეჩვენება, რომ გაცოცხლებულა ხეები, ღრუბლები, მოციმციმე ვარსკვლავები და სახურავზე გამოკიდებული მუქი დროშებიც. ასეთ ღამეებში ძილი არ მეკარება, თითქოს ვიღაც მეძახის. თითქოს ძალიან შორს დგას დიდრონ შავთვალება ნაზი ასული, ფერმკრთალი სახე ქარისათვის მიუშვერია და ჩემს სახელს ჩურჩულებს.

ზოგჯერ ეს ძახილი შორეული ოკეანის ყინულეთიდან მოქრის, ზოგჯერ კი ცხელი ყარაყუმის უდაბნოდან.

ასეთ ღამეებში სოსნოვკისაკენ მივეშურები.

ტრამვაი მიქროდა, მოსახვევებში ღრჭიალებდა, ღამის უკუნეთში ცისფერ ნაპერწკლებს ისროდა. მე ვიჯექი და ზურგით ცივ სკამს ვეყრდნობოდი. კონდუქტორ ქალს თავქვეშ ჩანთა ამოედო და თვლემდა. ტრამვაის ბიძგზე გამოფხიზლდა, გაბრაზებულმა შემომხედა და თქვა:

— ბოლო გაჩერებაა.

ნათელი, კაშკაშა ღამე იყო. პირდაპირ გაჩერებასთან ჭვავის ყანები იწყებოდა. სამი კილომეტრი მინდორ-მინდორ უნდა მეარა. ჩემკენ სუსტი შრიალით ნაცრისფერი მძიმე ტალღები მოგორავდა. ყოველ თავთავზე თითო შავი კოღო იჯდა. ისინი მხედრებივით მიირწეოდნენ.

მალე მინდორი დამთავრდა და ბილიკი მდინარისაკენ დაეშვა. მართალი რომ ითქვას, არავითარი მდინარე არც იყო. ზედ ჰორიზონტამდე ლელიანი გადაჭიმულიყო. მხოლოდ ოდნავ

შესამჩნევი წმინდა წყლის ზოლი ეკვროდა ნაპირს. ალბათ, ოდესღაც, ეს დიდი მდინარე იქნებოდა, მაგრამ ადამიანებმა, დრომ თავისი ქნეს. ახლა აქ ლელიანი'ა და ბაყაყების სამეფო გადაჭიმულიყო.

გამოჩნდა სახლების სილუეტები. საათს დავხედე. ორი იყო. შინ, რასაკვირველია, დიდი ხანია სძინავთ, მაგრამ სახლს მაინც გვერდი ავუარე, რათა კაშტანკას ყეფა არ აეტეხა და დედა არ გაეღვიძებინა.

ყინულის პრინცესას პატარა სახლი ალვის ხეებს შორის ისე ჩაკარგულიყო, როგორც ტყეში. ეზოში ნაკელისა და რძის სუნი ტრიალებდა. საჩეხეში დაბმული ძროხა ჩემკენ შემოტრიალდა და ამოიოხრა. მავთულის ჭიშკარი გავაღე და დიდ ბაღში შევედი. უზარმაზარ ბებერ მსხლებს ტოტები გადაეფარჩხათ და გზა გადაეღობათ, მაგრამ მე ვიცოდი, სად შეიძლებოდა გავლა.

...მას ხის საწოლზე ეძინა შავი ვარდების ბუჩქნარში. ამ საოცარი ყვავილების არომატი ხელებსა და ტანსაცმელს ისე ეკვროდა, როგორც ძვირფასი სუნამოს სურნელება. შავი ვარდები 'საოჯახო რელიკვია იყო. ყინულის პრინცესას პაპამ, ბოშამ, ყვავილის თესლი რომელიღაც ზღვისიქითა ქვეყნიდან ჩამოიტანა. შავ ვარდებთან რაღაც ლეგენდისმაგვარი ამბავი იყო დაკავშირებული. ფიქრობდნენ, რომ ის, ვინც იმ ვარდს მოწყვეტდა, ბედნიერებას ვერ ეღირსებოდა. მე არასოდეს მინახავს, ვინმეს შავი ვარდი მოეწყვიტოს. ი'ინი აყვავდებოდნენ და ჭკნებოდნენ ისე, რომ ადამიანის ხელი არ შეეხებოდა.

ხეებს შორის მოჩანდა, როგორ ამოდიოდა ჭანჭრობის ფ'აკერიდან ნისლი. ქარი ისე არხევდა მას, როგორც გიგანტურ ზეწარს. შორ'ს, ჰორიზონტთან, კოცონი ციალებდა.

საბანქვეშ ძლივს გაარჩევდი მის სხეულს. საწოლს ფრთხილად მივუახლოვდი და მუხლებზე დავიჩოქე. სახეზე მსხლის ფოთლების ჩრდილები და'თამაშებდა. მი'ს გრძელ წამწამებს ნიავი ოდნავ არხევდა. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დავიხარე და ბაგეებით მის ლოყას შევეხე. უცბად გავშეშდი. მომეჩვენა, რომ, აი, ახლა გაიღვიძებს-მეთქი. მაგრამ მან არ გაიღვიძა...

როდესაც სახლში ფეხით ვბრუნდებოდი, ჭვავი უკვე დილის ცვარს დაეფარა, ჰაერში ყველაფერი გარინდებულიყო, მძიმე

თავთავებდახრილი ღეროებიც უძრავად იდგნენ, ულვაშებში ცრემლივით გაბლანდოდათ გამჭვირვალე წვეთები. ცა უვარსკვლავო იყო, მტრედისფერი. მხოლოდ კვლავინდებურად, სადღაც შორს, ჰორიზონტზე კოცონი ციალებდა.

მუჩინავი უპრსხი

როდესაც პრეზიდენტი შემოვიდა, მე და კიმი ჩაის შევექცეოდით, ივან-და-მარიას საუზმის მონარჩენს.

— სალამი ალქიმიკოსებს! — თქვა ეგორ ეგორიჩმა. — მალე ისწავლით ოქროს კეთებას?

— ჯერჯერობით მხოლოდ მის თავიდან მოშორებას ვახერხებთ.

— ესეც საქმეა...

პრეზიდენტი ყოყმანობდა. მაშინვე მივხვდი, რომ იგი ფულის სასესხებლად იყო მოსული.

— ვერ დამეხმარებით, ბიჭებო? ხუხულა მინდა გადავაკეთო. კიდევ ორი ახალდაქორწინებული მთხოვს ბინას. კარგი ყმაწვილები არიან, სატყეო ტექნიკუმიდან.

ეგორ ეგორიჩს უტიფრად რომ ეთხოვა ბინის ქირა, მე, რასაკვირველია, არ მივცემდი, ვინაიდან მე და კიმს სულ ოცი მანეთი გვქონდა დარჩენილი. მაგრამ პრეზიდენტი წითლდებოდა, რაღაცას ლუღლუღებდა; ეტყობოდა, ძალიან რცხვენოდა თხოვნა. მე კი ვერ ვიტან, როცა ადამიანებს რცხვენიათ.

— კიმ, — ვუთხარი მე, — მომეცი ათი მანეთი.

— რატომ? — მკითხა კაპიტანმა ისე, რომ წიგნიდან თავი ზევით არ აუწევია.

— ეგორ ეგორიჩი ფართოვდება.

— გაფართოვდეს, მერე რა, — მშვიდად მომიგო კიმმა.

— ნუ შეწუხდებით, ბიჭებო! — ხელი ჩაიქნია სახლის პატრონმა. — არა გაქვთ და ნუ გაქვთ! სხვა დროს იყოს. — ეგორ ეგორიჩმა უკან-უკან დაიხია, საჯდომით კარი გააღო და გავიდა. ხუთი წუთი მდუმარედ ვისხედით.

— ღორი ხარ, კიმ!

— რატომ? — გაიკვირვა კაპიტანმა.

— ადამიანის დამცირება შეგიძლია.

— ე'ს გამომძალველი განა ადამიანია?

— როგორ არ გრცხვენია! ასეთი სახლის პატრონი, როგორიც ეგორ ეგორიჩია, სანთლით საძებარია! ბინის ქირას თითქმის სულ არ ვიხდით, სინათლეს იმდენს ვწვავთ, რამდენიც გაგვიხარდება!

კიმის მოგრძო სახეზე რაღაც ღიმილი'მაგვარმა გადაირბინა.

— ნამდვილი გაპუტული ინდაური ხარ! „ბინის ქირას არ ვიხდითო"... — „მფრინავი ჰოლანდიელის" კაპიტანმა კალამი აიღო. — რამდენი გესესხა ამ თვეში?

— ვთქვათ, ხუთი.

— მე შვიდი და ათი შაური გამომართვა. კობზიკოვს ექვსი. რამდენი გამოდის? თვრამეტი და ხუთი მეათედი? ახლა კიდევ ორი დღე ხომ ეხმარებოდი მიწის თხრაში? ეხმარებოდი. დიდი ვერაფერი მუშა ხარ, მაგრამ, დავუშვათ, დღეში ორი და ათი შაური გამოიმუშავე. იაბოთი სამჯერ მაინც ხომ მოუტანე ფიჩხი? ყველა ჩერჩეტი გამოართმევდა ამაში სამ მანეთს. მე ელექტროგაყვანილობა გავუკეთე და წყალი შემოვუყვანე. ე'ეც შენი თუმანი. ამას კიდევ ის ათი მანეთი დაუმატე, წეღან რომ უნდა მიგეცა.

— გამოაკელი მამლის საფასური, კინაღამ რომ არ შემოგვეჭამა.

მაგრამ კიმს ირონია არ აღიზიანებდა.

— ჩვენი გალიისათვის ეს არც ისე ურიგოა?! თუ ამ თანხას ბინების რაოდენობაზე გავამრავლებთ, მივიღებთ დაახლოებით ოთხას მანეთს. პროფესორის ხელფა'ს! ასეთი სახლის პატრონი მართლაც რომ საძებნელია.

— თუ ამ თანხას კვადრატში ავიყვანთ, შეიძლება უფრო განსაცვიფრებელ შედეგებს მივაღწიოთ.

— შენ შეძლებდი?

— შენზე უკეთესად.

— ჩემი აზრით, ეს შენს ძალ-ღონეს აღემატება.

— შენ თვითონ ხომ ორ სიტყვას ზედიზედ ვერ გადაბამ.

— ხომ არ გინდა 'სიფათში ჩაგაფარო?

— მინდა.

— მოდი რაღა, ჩაგაფარებ!

— შენ მოდი. ამას მე უკეთესად ვიზამ.

— გაპუტულო ინდაურო! ფრთებს აგლეჯენ, ეს კიდევ მადლობას უხდის.

— შენ უმადური ღორი ხარ!

— შენ კი მლიქვნელი ქოფაკი ხარ. სენბერნარი!

— გაიმეორე!

— სენბერნარი!

ფეხსაცმელი ვესროლე, მაგრამ ავაცდინე. კიმმა ბალიში მთხლიშა. ბუმბული გაიფანტა. ჩვენ ერთმანეთს ვეცით.

— რეგვენებო! — დაიღრიალა ვაცლავ კობზიკოვმა და მკერდით აეფარა ახალგაწმენდილ და გაუთოებულ კოსტიუმს. — შეიშალეთ? ორი საათი ვწმინდე და კიდევ უნდა ვწმინდო, თქვე ეგვიპტის ფარაონის მუმიებო?!

ამას წინათ ბედისწერამ ბერძენს კიდევ ახალი ოინი უყო. როგორც ჩანს, ამ ბედისწერამ მაინც მოკრა ყური ჩვენს საუბარს რესტორანში. კობზიკოვი მინისტრის ქალიშვილის გაცხარებულ ძებნაში იყო, როცა ბედისწერამ ვირუსული გრიპი დამართა. სამუდამო სიყრუისა და მენინგიტის შიშით ექიმმა მთელი კვირის მანძილზე აუკრძალა ვაცლავს გარეთ გასვლა.

ორი დღე ვაცლავი ოთახში აქეთ-იქით აწყდებოდა, როგორც ვეფხვი, გალიაში რომ მოამწყვდევენ სწორედ იმ წუთში, როცა, ის-ის არის, უნდა დააცხრეს ათრთოლებულ ფურირემს. შემდეგ ბერძენი ბედს შეურიგდა. მან მომთხოვა ქაღალდი, ქიმიური ფანქარი, ასლის გადასაღები ქაღალდი და კუთხეში განმარტოვდა. მე ცოდვილმა ისიც გავიფიქრე, კობზიკოვი დიპლომს ჩაუჯდა-მეთქი, მაგრამ ორი საათის შემდეგ ვაცლავმა მთხოვა, საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე გამეკრა შემდეგი შინაარსის განცხადება:

განცხადება

ნაპოვნია ქალის ტუალეტის საგანი
მიმართეთ: სტეპან რაზინის ქუჩა, 80

კოგზიკოვს

რა დროსაც გინდათ.

ამასთან ერთად ვეტექიმმა დაამატა:

— თუ ვირუსული გრიპის გამო მაპმადს არ შეუძლია მთასთან მისვლა, მთა თვითონ მივა მასთან.

— სისულელეა, — ვთქვი მე, როცა განცხადება წავიკითხე. — არაფერი გარკვეულად არ არის ნათქვამი: სად დაკარგა, რა დაკარგა და ვინ დაკარგა. მერე, ხომ შეიძლება, ერთი წლის მანძილზე არავის არაფერი დაუკარგავს.

— შენ ქალებს არ იცნობ, — ჩაიცინა ბერძენმა. — ისინი საშინელი ბენტერები არიან. მერე ფსიქოლოგია? შენ არ იცი ქალების ფსიქოლოგია. ქალმა რომც არაფერი დაკარგოს, სანახავად მაინც მოვა.

ვაცლავი უკვე ემზადებოდა პირველი მნახველის მისაღებად. მან გამოიძინა და ახლა საცვლების ამარა ოთახში დაბორიალებდა, ერთდროულად იპარსავდა, სახეზე მუწუკებს იჭყლეტავდა და კოსტიუმსაც იუთოებდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა შემოსულიყო გრძელცხვირა ქალიშვილი და ეთქვა: „მე დავკარგე ჩანთა. მამაჩემი მინისტრია“.

გაისმა კაკუნი.

— ჩემთან არიან! არ შემოუშვათ! — წამოიკნავლა ბერძენმა და კარადის უკან გაუჩინარდა.

შემოვიდა თინა. მან გაკვირვებით მოათვალიერა ოთახი.

— რა მოხდა, ბიჭებო? სწორედ რომ მამლაყინწებს წააგავხართ.

— სხვის შემოსავალს ვითვლით, — ჩავიბურტყუნე მე.

— ვისას?

— ეგორ ეგორიჩის.

თინამ გაიღიმა:

— აბა, რა შემოსავალი აქვს...

— ოთხასი მანეთი თვეში, აი, რა შემოსავალი, — უპასუხა კაპიტანმა, თან დაბღვერილმა ჩემკენ გამოიხედა.

— ოთხასი? — თინა დაინტერესდა. — საიდან? ის ხომ ღარიბად ცხოვრობს. ზოგჯერ მეცოდება კიდეც.

— საქმეც ეგაა. სიბრალული — მისი ძირითადი კაპიტალია. არ გამიკვირდება, თუ ამ სიხლისმსმელს შემსალაროს წიგნაკზე ხუთ ათასამდე აღმოაჩნდება.

თინამ ამოიოხრა.

— ნეტავი ჩვენი იყოს ეს ფული, კიმოჩკა, სერვანტს ვიყიდდით. დღეს საკომისიოში ვნახე. ჩეხურია. რა კარგია!

— სერვანტის მეტი არაფერი გვაკლია, — წაიბურტყუნა კაპიტანმა. — გეყოფათ ყბედობა! საქმეს შევუდგეთ!

— სულ საქმე... საქმე... საქმე... როდისმე მაინც წავალთ თეატრში? სწორედ ახლახან მოსკოვის თეატრი ჩამოვიდა. ჰა, კაპიტანო?

— რვაასი გამრავლებული ოცდათხუთმეტზე და პლუს თვრამეტი, — პასუხად წაიბუტბუტა კიმმა.

თინას ოდნავ შესამჩნევი, არ ვიცი, იასამნისა თუ შროშანას სურნელება უდიოდა, და მე ვერაფრით ვერ შევძელი გულისყურის მოკრება. დღეს თინა განსაკუთრებით ელეგანტურად გამოიყურებოდა. მას უზადოდ გაუთოებული, შესანიშნავად მორგებული სპილოსძვლისფერი კოსტიუმი და თეთრი წვრილქუსლებიანი ფეხსაცმელი ეცვა. მე იშვიათად მინახავს ისეთი ლამაზი ტანი, როგორც თინას ჰქონდა. პატარა, დაქანებული მხრები, წვრილი წელი, ოქროსფერი ბუსუსით დაფარული ლამაზი მაღალი ფეხები და კეფაზე მაგრად გაკრული ცეცხლისფერი თმა. შორიდან კიმის საცოლე ერთი ნახვით შეგიყვარდებოდა, მაგრამ ახლოდან მისი სახე გაგაოცებდათ. მას თავისებური გამომეტყველება ჰქონდა და პირველ დანახვაზე უჩვეულოდ მოქმედებდა — გიზიდავდა კიდეც და იმავე დროს უსიამო გრძნობასაც იწვევდა. ეს იყო ბრტყელი, მედიდური სახე წარმართთა ქალღმერთისა, ტრამალის ყორღანზე ათასეული წლები რომ მდგარა, და დროს მისთვის დაღი დაუსვამს. პირველ ხანებში ძრწოლის გარეშე ვერ ვუყურებდი თინას, მაგრამ მერე თანდათან მივეჩვიე და ისიც კი შევამჩნიე, რომ ქალი თავისებურად ლამაზიც იყო. ასევე გვაოცებს აყვავებულ ვე-

ლებში განმარტოებული მოშიშვლებული ფრიალო კლდის უეცარი დანახვა. შეიძლება სწორედ ამის გამოც იყო, მე და თინა რომ დავმეგობრდით.

საქმე ისაა, რომ მე მთელი თეორია მქონდა, რომლის მიხედვითაც გარეგნობა ადამიანის სულიერ სამყაროს თავისებურ დაღს ასვამს. ამიტომ ვიმედოვნებდი, რომ უძველესი ქალღმერთის სახის თანაკურსელში იშვიათ ორიგინალურ ჭკუას აღმოვაჩენდი და არც შევმცდარვარ. მე და თინა მოურიდებლად ვბაასობდით სრულიად განსხვავებულ თემებზე და ჩვენი აზრები იშვიათად ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ ეს არ გვაღიზიანებდა, პირიქით, სიამოვნებას გვანიჭებდა.

როდესაც კიმი გამოჩნდა, ჩემი და თინას დამოკიდებულება გაცივდა, რაც, რასაკვირველია, სავსებით ბუნებრივი იყო.

მე ვფიქრობ, კიმმა თავისი სიყვარულის ობიექტად სწორედ იმიტომ აირჩია თინა, რომ იგი ამჯერად იოლად ხელმისაწვდომი იყო (რამეთუ ჩემმა მეგობარმა მტკიცედ გადაწყვიტა დანიშნულების ადგილზე ცოლით წასულიყო). სხვა ვისიმე ძებნისათვის კი მას დრო არ გააჩნდა.

კიმის არშიყობა თინამ შეიფერა და, მე ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა. რასაკვირველია, ჩემი მეგობარი სილამაზით ვერ დაიტრაბახებდა. მას ტლანქი, მსხვილნაკვთებიანი სახე და უშნო ტანი ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ არავითარ მიდრეკილებას არ ამჟღავნებდა სპირტიანი სასმელებისადმი და ბავშვურად ალალი იყო. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ მის შრომისმოყვარეობასა და სიმტკიცეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კიმი ცხოვრებაში რაღაცას მიაღწევს.

დღეს სამნეო ნაწილის გამგე ჩვენი იაბოთი შეშის მოსატანად წავიდა და ჩვენც გადავწყვიტეთ მთელი დღე ანგარიშებისათვის მოგვეხმარებინა. მე კარადიდან ნახაზებისა და საქაღალდეების დასტა გამოვიღე. ვაცლავ კობზიკოვმა ჩვენს სახეებზე მტკიცე გადაწყვეტილება რომ ამოიკითხა, აღელდა.

— რას წამომსხდარხართ, ეგვიპტის ფარაონის მუმიებო? დღეს ოთახი მე მჭირდება! გასაგებია? მეც ხომ ვიხდი თუმანს? მოუსვით ახლავე სამკითხველო დარბაზში!

კიმმა მის ნერვულ კივილს დამცინავი დუმილით უპასუხა. მასა და კობზიკოვს შორის თავიდანვე „ურთიერთსიყვარულის“

მსგავსი რაღაც დამყარდა. ვაცლავი არასოდეს უშვებდა შემთხვევას, კაპიტანი რომ არ გაემწარებინა.

— პერანგები მაინც ჩაგეცვათ, ფარაონებო! — ყვიროდა ვეტექიმი. — ქალიშვილები უნდა მოვიდნენ, ამათ კი ფიზკულტურის პარადი მოუწყვიათ! კიმს უკან მაისურაზე ქონის ლაქა აქვს.

— რას მელაპარაკები? — დათაფლული ხმით უთხრა კიმმა. — უნდა გავიხადო. უხერხულია მინისტრის ქალიშვილის წინაშე.

მან მაისურა გაიძრო და საწოლზე დააგდო.

— მაშ, კარგი! სულ ერთია აქედან მაინც გაგისტუმრებთ! — აღგვითქვა ბერძენმა. — მე თქვენ ისეთ პირობებს შეგიქმნით!

და დაიწყო. ვაცლავი სტვენას მოყვა, სიმღერაც წამოიწყო, ავეჯს აქეთ-იქით სწევდა და საერთოდ საძაგლად იქცეოდა.

— მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის! — თქვა კიმმა. — რას იტყვით, ხალხნო?

მე და თინა დავეთანხმეთ. მართლაც რომ საძაგლობაა. ადამიანები სათესელას იგონებენ, აქ კი გოგოებმა უნდა იშლიგინონ.

ჩვენ ხმამაღლა დავიწყეთ ანგარიში, რაისშინით ბუზებს ვხოცავდით, მამალივით ვყიოდით.

ხელჩართული ბრძოლა გვქონდა, როდესაც კარზე კაკუნი გაისმა. ბერძენმა მუშტი მოგვიღერა, სახელოდან ბუმბული მოიშორა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარს. კაკუნი განმეორდა. ეტყობოდა, ქალი აკაკუნებდა.

კობზიკოვი საწოლისაკენ გადახტა.

— მობრძანდით, გეთაყვა, — წაისისინა მაცდური გველივით.

ჩვენ უნებურად გავინაბეთ. კიმმაც კი გადადო რაისშინა და კარს მიაჩერდა.

— შეიძლება? — გაისმა ხმა და ზღურბლზე რაღაც ჰაეროვანი არსება გამოჩნდა. ასე ვთქვათ, სათამაშო ფერია (მხოლოდ არა ცენტრალურ-შავმიწანიადაგიანი საბჭოთა მეურნეობის ნაწარმი).

ფერიამ პირველად მე შემომხედა — ჩემი ექსტრავაგანტური გარეგნობის გამო (კიმთან შეხლა-შემოხლის შემდეგ თმა ბუმბულით მქონდა სავსე, ხოლო გაკაწრული ცხვირიდან სისხლი მომდიოდა).

— მომიტევეთ, ვაცლავ კობზიკოვი აქ ცხოვრობს?

ქალიშვილის თვალებში ირონია არ შემიმჩნევია, მაგრამ ეს ალბათ მეტისმეტად ძნელი დასაფარავი იყო: არ შეიძლება არ გაცინებოდა ჩემი ცხვირ-პირის შემხედვარეს.

— აქ ცხოვრობს.

ფერიამ მე გამიღიმა. მეც გავუღიმე. შემდეგ მან კიმს გაუცინა. მე იმის მოწმე გავხდი, როგორ დაუდგა თმა ყალყზე კაპიტანს. ასეთი რამ ჯერ არასოდეს მინახავს. შემდეგ ქალიშვილი თინას მიუბრუნდა და მასაც არანაკლებ მომხიბლავი ღიმილი აჩუქა, მაშინ უძველეს ქალღმერთს ისე დაემანჭა სახე, თითქოს მკვახე ლიმონი ჩაეკბიჩოსო. ვაი, რომ ყველა თავისი ღირსების მიუხედავად თინა მხოლოდ და მხოლოდ ქალი იყო, ხოლო ქალებს არ უყვართ, როცა სხვა უკეთ აკეთებს იმას, რაც თვითონ არ გამოსდით. ამ ქალიშვილს ღიმილი მართლაც რომ კარგი ჰქონდა.

მომდევნო ღიმილი ვაცლავ კობზიკოვს ეკუთვნოდა. მაგრამ ბერძენი ოთახში არ აღმოჩნდა. მეტისმეტად გაოცებულმა აქეთ-იქით მიმოვიხედე და, როგორც იქნა, აღმოვაჩინე, რომ ვეტექიმი კარადის უკან დამალულიყო.

— ვაცლავ, — დავუძახე მე, — შენთან არიან.

მოღუშული კობზიკოვი უხალისოდ გამოვიდა.

— გამარჯობათ! — ჩაიბურტყუნა მან.

ჩვენ სახტად დავრჩით. წეღან ბერძენი ისე ბრწყინავდა, როგორც უჟანგავი ფოლადის ქვაბი. ახლა კი პროფკავშირის თავმჯდომარეს წააგავდა, საანგარიშო მოხსენების გამო რომ არის შეფიქრიანებული.

კობზიკოვის დანახვაზე ქალიშვილი გაიბადრა.

— მე თქვენ ვერ გიცანით! დღეს ისეთი...

„აჰა, აი, რაში ყოფილა საქმე! სასიყვარულო კონფლიქტი! ახლა გათამაშდება ტრაგედიისმაგვარი სანტიმენტალური სცენა“.

— როგორ ბრძანდებით?

— არა მიშავს.

„გაეთამაშა, არამზადა, ახლა კი „არა მიშავს“?! ასეთი სიმპათიური ქალიშვილი მიატოვა!“

— ქუჩაში მივდივარ და ვხედავ — განცხადებაა: „მიმართეთ კობზიკოვს“. მოდი, ვინახულებ-მეთქი... ლუნატიზმისაგან განიკურნეთ?

„რაო?!“

კობზიკოვს სუფთად გაპარსული ლოყები წამოუჭარხლდა.

— ამასწინათ პიოტრ ივანოვიჩს შევხვდი და თქვენი ამბავი ვკითხე. თურმე თქვენ იშვიათი ფორმა გქონიათ. იგი დიდხანს მიხსნიდა. სიმაღლის შიშთან უნდა იყოს რაღაც დაკავშირებული. ჩვეულებრივ მთვარეულებს ხომ არ ეშინიათ სიმაღლის?

კობზიკოვი წამოენთო როგორც მაგიდის ნათურა და ცდილობდა ჩვენკენ არ მოეხედა. ჩვენ პირდაღებულები ვუსმენდით. ნუთუ ყველა სიკეთესთან ერთად სამუდამო სასიძო მთვარეულიცაა? ო, ღმერთო!

მე ჯერ არასოდეს მენახა ვაცლავ კობზიკოვი დარცხვენილი. ასევე კიმსაც, რასაკვირველია. ვატყობდი, კაპიტანი ჭოჭმანობდა. გამოკრას სარმა ბერძენს, თუ არა? ცდუნება დიდი იყო. ალბათ კიმს თვალწინ წარმოუდგა ყველა წყენა, დაცინვა, ქირდვა, რასაც ვაცლავ კობზიკოვი მისთვის არ იშურებდა. ამავე დროს კი შურისძიება მეტისმეტად მკაცრი იქნებოდა. კაპიტანი სკამზე აწრიალდა. კაპიტანს მტანჯველი ფიქრები მოეძალა. შურისძიების წყურვილმა საბოლოოდ გაიმარჯვა.

— ხომ არ იცით, მთვარეულებს ცოლის შერთვის უფლება თუ აქვთ? — ერთბაშად თქვა მან.

— ცოლის შერთვის? მართალი გითხრათ, არ ვიცი... როგორ, განა კობზიკოვი აქამდე...

— დიახ.

ჩვენ ქალიშვილს შევაჩერდით. როგორ მიიღებს ამ დარტყმას?

ფერიას თვალები აენთო. მაგრამ მის მზერაში მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ამოვიკითხეთ. იქნებ თამაშობდა?

კაპიტანმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო. დადგა წუთი, რომელსაც ჩემი უფროსი უკვე დიდი ხანია ელოდა. ცხადი იყო, რომ კიმი ყველაფერს მოყვებოდა, ვინაიდან იგი მიხვდა:

დღევანდელი სტუმარი კობზიკოვის ცხოვრებაში პატარა როლს როდი ასრულებდა. იქნებ ეს ერთ-ერთი „საპატარძლოთაგანია?“ მით უკეთესი!

კიმი უბრალო ბიჭი იყო და, რასაც ფიქრობდა, ადვილად წაიკითხავდით მის მაღალ შუბლზე. ეტყობა, კობზიკოვმაც ყველაფერი წაიკითხა, იმიტომ რომ თავმოყვარეობას ანგარიში აღარ გაუწია და დაიწრიპინა:

— არ თქვა!..

— კონკრეტული საცოლე ჯერჯერობით არა ჰყავს, — წყნარად და დაბეჯითებით, როგორც სჩვეოდა ხოლმე, თქვა კაპიტანმა. — არის აბსტრაქტული მიზანი — მინისტრის ქალიშვილი.

— აი, თურმე რა ყოფილა!

— დიახ. ამას ეწირება მსხვერპლი და ერთ-ერთი მათგანი თქვენა ხართ. ნაპოვნი ქალის ტუალეტის საგანი არც დაკარგულა.

— ეს მართალია, კობზიკოვ? — ჰკითხა ცისფერთვალებიანმა ფერიამ.

კობზიკოვი ადგა და გაიჭიმა.

— არა, — იცრუა უტიფრად. — ესენი რაღაცას მიედ-მოედებიან. სათესელას აკეთებენ და ცოტა...

— მაშინ იცოდეთ, ერთი მეგობარი მყავს. მართალია, მინისტრის ქალიშვილი არ არის, მაგრამ ძმისშვილია. შემიძლია გაგაცნოთ.

— არა, არა! — შეშინდა ბერძენი. — ფიქრადაც არ გამივლია... — ვაცლავს ბეჩავი და საცოდავი შესახედაობა ჰქონდა. ფერიამ ხელი გამოსდო.

— ნახვამდის. ვაცლავი ცოტას გამაცილებს.

ისინი წავიდნენ.

— თავხედი! — თქვა თინამ, როდესაც კარი მიიხურეს. — ეგეც მასეთია, სიყვარულობანას თამაშობს!

ეჰ, თინა, თინა, ვერაფრით ვერ აპატია ღიმილი!

— რაღაც ჩაიდინა ალბათ, ახლა კი... ვერ გამიგია, მაინც რამ მოხიბლა? როგორ შეიძლება წარმატებას მიაღწიო ასეთი ვულგარული მანერებით?

— ერუდიცია, აგებულება, ინტელექტი.

— მეცა მაქვს ყოველივე ეს, — ეწყინა კიმს. — მაგრამ არავის ვუყვარვარ!

მე და თინამ ერთმანეთს გადავხედეთ. ჩვენი კაპიტანი ლირიკამ გაიტაცა! მოგიხდება, სხვებზე შურს ნუ იძიებ.

— მე, კიმოჩკა?

— არც შენ. მე ხომ ვხედავ. ერთთავად რიკოვი და რიკოვი გაკერია პირზე.

— ო, შე თავმოტვლეპილო ბრიყვო!

დაიწყეს ლაქუცი.

— გამიშვი! — ბურტყუნებდა კიმი და თინას იგერიებდა.— მე კი არ ვეჭვიანობ, გაფრთხილებ!..

კარი გაიღო. ოთახში სწრაფად შემოვიდა ვაცლავი. მე ჩხუბსა და აყალმაყალს ველოდი, ბერძენი კი ფანჯარასთან გაჩერდა და თითები მინაზე ააკაკუნა.

— ტა-რა-რა-რა! — საძაგელი ხმით წაიღიღინა, თან ჩაფიქრებული სურინჯიან ქილას ატრიალებდა ხელში.

არის წუთები, როდესაც ადამიანი უცბად შორსმჭვრეტელი ხდება.

— უფრთხილდი! — დავუყვირე კიმს და მკერდით გადავეფარე ნახაზს.

იმავე წამს ყურთან ქილამ ჩამიქროლა და საღებავის საზიზღარი სუნი დაატრიალა.

ვაცლავი ოთახში დაჯირითობდა.

ეს უკვე კობზიკოვი კი არ იყო, არამედ წითელკანიანთა ტომის ბელადი, საომრად რომ მომზადებულა. ჩვენკენ მოქროდა ჯაგრისები, პომიდორები, პური, წიგნები. პირველად, მძვინვარე და მოულოდნელი შეტევით გაოგნებული, მხოლოდ გვერდებსა და ზურგს ვუშვერდით, ნახაზებს ვიცავდით, მერე კი ჩვენ თვითონ გადავედით შეტევაზე. ათი წუთის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ საკიბო საბანში გავახვიეთ, სარეცხის თოკით შევკარით და საწოლზე დავდეთ.

— წყეულებო! ნიანგებო! პარაზიტებო! — გვთათხავდა განიარაღებული ვეტექიმი. — ცხვრებივით გაგპარსავთ ღამით!

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც კიმი დაემუქრა, პირში ჩვარს ჩაგტენიო, ბერძენი გაჩუმდა. ნახევარი საათი გაბრაზებით ქშინავდა და თავისთვის ბურტყუნებდა, მაგრამ მალე მიყუჩდა:

კობზიკოვი გულბოროტი ადამიანი არ იყო და წყენას მალე ივიწყებდა.

— კარგი, — თქვა მან. — გამხსენით. არ დაგიხევთ თქვენს კრეტინულ სათეატელაპ.

მუდმივი სასიძო გამოვხსენით და ანგარიშს ჩავუჯექით. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ვაცლავი სცემდა ბოლთას ოთახში. ყველანი თითქოს უხერხულობას ვგრძნობდით. მე ველარ მოვითმინე.

— გეყურება, მორჩი ბორიალს. უმჯობესია გვიამბე, ის გოგო ვინ იყო.

— კომკავშირის ქალაქკომის მდივანი, აი, ვინ!

— მორჩი!..

კობზიკოვი აიფოფრა.

— „მორჩი", „მორჩი"! ყეყეჩებო, ჯერ თქვენ უნდა დაგეჭირათ ენაზე კბილი. ლაქლაქით ხომ გული იჯერეთ! თქვენი კაიკაცობით კი მე ვიღუპები. შენ იცნობ ამ ადამიანს? არა? მე კი ვიცნობ! ბაფთები, ბავშვური ღიმილი, მარმაშები!.. დედას გოგოს თამაშობს. ხელი კი ვეფხვისა აქვს. თუ ჩაგავლო — წამოკნავლებასაც ვერ მოასწრებ.

უნებურად გამეცინა. ამ გოგონას და ვეფხვის ხელი?!

— იცინე, იცინე! პირველად ყველა იცინის. მეც ვიცინოდი. გიამბობთ, როგორ გამკურნა ლუნატიზმისაგან?

— მიდი, მოყევი!

ბერძენი საწოლზე ჩამოჯდა.

კობზიკოვის ნაამბობი, თუ როგორ იყო მთვარეული

— საიდან გამიჩნდა ეს დაავადება, არ ვიცი. შეიძლება ვიღაცამ გადამდო. ერთი სიტყვით, მესამე კურსზე აღმოვაჩინე. ერთხელ მე და ჩემმა ამხანაგმა ერთი ბოთლი დავლიეთ, ბუტერბროდებით ვისაუზმეთ, ასე ვთქვათ, კულტურულად, წესიერად. მერე მეგობარი გავაცილე და დასაძინებლად დავწექი. სიცივემ გამაღვიძა. ვხედავ, მაისურისა და ტრუსების ამარა (ეს ამბავი ზამთარში ხდება) საერთო საცხოვრებლის სახურავზე ვდგავარ და მილს ვებღაუჭები. ქარი სისინებს, ვარსკვლავები

კიაფობენ, მდინარის გაღმა ძაღლები სიცივისაგან ყმუიან. შიშმა შემიპყრო, სხვენის ფანჯრისკენ გავემართე — ვხედავ, მთელი სახურავი ნაფეხურებით არის აჭრელებული, ზოგან ზედ კიდეზეც კი უვლიათ... დიახ... სახლი კი, მხედველობაში მიიღე, ექვსსართულიანია. გული გამისკდა. ერიპა, ვაცა, სამუდამოდ დაღუპული კაცი ყოფილხარ-მეთქი. მთვარეული ხარ! ღვინის სმას თავი უნდა დაანებო, მოითმენ კი? ან გამოცდას ჩააბარებ, ან სტიპენდიას მიიღებ, ან კარგი მეგობარი გესტუმრება. სპეციალური თასმები გავიკეთე საწოლზე მისაბმელად: როგორც კი საწოლზე დავვარდები — ისინი თავისით შემომეხვევიან...

ჰოდა... მაგრამ ერთხელაც მიმტყუნა იმ წყეულმა: ძალიან ბევრი დავლიეთ: მეცნიერ მუშაკთა სახლის სახურავზე გამომელვიძა (როგორ მოვხვდი იქ, ეშმაკმა იცის, ჩვენი საერთო საცხოვრებლიდან სახურავებით მოკლეზე რომ გადახვიდე, ხუთასი მეტრი იქნება). დაღამებული ჯერ არ იყო. ქვეეით უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ტუტუცები, მე მომჩერებიან. ჩვენი დეკანიც მათ შორის. მე კი, ტრუსების ამარა, საკვამლურს აგურებს ვაცლი და დაბლა ვისვრი... როგორც კი ეს დავინახე, მუხლები მომეკვეთა და დავგორდი. კიდევ კარგი, წყლის ღარმა დამაკავა. შემდეგ — ჩვეულებრივი ამბავია. სტიპენდია მომიხსნეს, საერთო საცხოვრებლიდან გამომაგდეს და კომკავშირიდანაც მრიცხავდნენ.

„ბიჭებო, — ვეუბნები კომიტეტში, — ქალაქკომისა მაინც არ გეშინიათ?! ვის გაურიცხია ადამიანი კომკავშირიდან იმისათვის, რომ ის მთვარეულია?“

„შენთვის ეს პირველი შემთხვევა არ არისო“. — მპასუხობენ.

„რომელ მთვარეულს ემართება ეს ერთხელ?“ — ვეკითხები მე.

ჩემთან კამათი აღარ გააგრძელეს. პერსონალური დამიწესეს და ქალაქკომში გამაგზავნეს.

შევდივარ. გრძელი მწვანე მაგიდა დგას. მოღუშული ბიჭები შემოსხდომიან. მიბღვერიან. გეგონება, თავად არასოდეს დაულევიათ. მაგიდის თავში მდივანი ზის. შევხედე და სახტად დავრჩი. ზის რომელიმე, ვთქვათ, მერვე „ა“-დან. თვალები ცისფერი, ცხვირი პაწაწინა, ფუნთუშა ლოყები, მარჯვენაზე —

ხალი აქვს, თმაში ვარდისფერი ბაფთა უკეთია. გვერდზე იასამნის თაიგული და კანფეტი „ჩიო-ჩიო-სანი“ უდევს. თეთრი მარმაშის კაბა აცვია... მოწიწებით ვესალმები და ასე შემდეგ. პასუხად მიღიმის და სკამზე მანიშნებს. ნამდვილი პიონერთა ბანაკია და არა ქალაქკომის ბიურო.

„გეიამბეო, კობზიკოვ, როგორ მოხდა ყოველივე. მხოლოდ გულწრფელად. მე სიმართლე მიყვარს“.

მეც მიყვარს. მოვუყევი ყველაფერი დაწვრილებით თავიდან ბოლომდე. ვხედავ, ბიჭები ქირქილებენ. „შეხედეთ ამ მეტიჩარას!“ — ჩურჩულებენ.

რადგან იცინიან, მაშასადამე საქმე არც ისე ცუდადაა. ჯერ ერთმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, შემდეგ მეორემ. ჰიპნოზისა, რასაკვირველია, არ სჯერათ. „მკაცრი საყვედური მაგას ლოთობისა და მორალური გახრწნისათვისო“, — შემოაქვთ წინადადება. „გადავრჩი-მეთქი“, — ვფიქრობ.

უცბად ეს ხალიანი ფისუნია ფანქრით გრაფინს უკაკუნებს და დაახლოებით შემდეგს ამბობს: „ოი-ოი, ამხანაგებო, თქვენ ხომ ბიუროს წევრები ხართ! განა შეიძლება არ დავუჯეროთ ადამიანს?“ და ნახევარსაათიანი სიტყვა გამოაცხო პატიოსნებაზე, მოვალეობაზე, ნდობაზე — მოკლედ, მთელი მორალური კოდექსი პოპულარულად გადმოსცა. დასასრულ კი თქვა: „მე მჯერა ამხანაგი კობზიკოვის, რადგან ამბობს, რომ მთვარეულია, მაშასადამე ეს ასეც არის. წინადადება შემომაქვს, სასჯელი კი არ დავადოთ, არამედ დავეხმაროთ ადამიანს, რათა განიკურნოს“.

სიხარულით ცას ვეწიე. აი, მდივანიც ამას ჰქვია, გუნებაში ვამბობ. მე სულელი სამი წელი კომიტეტში კოჭს ვაგორებდი! მაშინვე აქ უნდა მოვსულიყავი. ვდგავარ, ვიღიმები... დიახ... ის კი პაწაწინა თითით ტელეფონს ატრიალებს: „პიოტრ ივანოვიჩ, — მიმართავს ვიღაცას, — მთვარეულები ისევ გაინტერესებთ? ჰო-ო? აი, ახლა აქ ჩემთან ერთი ზის. დიახ, დიახ, ძალიან საინტერესო შემთხვევაა. თავისებური... ეჭვი არ მეპარება, რომ მოარჩენთ. ახლავე გამოვაგზავნი თქვენთან“.

ელდა მეცა. მივხვდი, რა ხაფანგშიც გამაბა ამ ფერიამ. ესეც შენი ბავშვური უმანკოება!

მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლება. მეორე დღეს წავედი

იმ პიოტრ ივანოვიჩთან. მას თურმე მთვარეულების მთელი ჯგუფი ჰყოლია. დაუღიათ პირი და უსმენენ, რას ჩასჩიჩინებთ ეს ჭაღარა ბერიკაცი. მეცნიერულად დაგვისაბუთა ლუნატიზმი, რაღაც საზიზღარი წამლებით გაგვჭყიპა. მეც დანარჩენებივით ყველაფერს ვულაპავდი.

მერე დაღამდა. თავი მოვიმძინარე, თან გაფაციცებული თვალს ვადევნებ: აბა, ნამდვილი მთვარეულები რას იზამენ-მეთქი. როგორც კი თორმეტმა დაჰკრა, მთვარეულები მაშინვე სახურავზე აფორთხდნენ. მეც მათ მივყევი. ნამდვილი საგიჟეთია! სახურავი ირყევა, დაფეთებული კატები განზე გარბიან. ბერიკაციც ჩვენთან არის, ფარანმომარჯვებული დარბის, გვაკვირდება, რაღაცას ბლოკნოტში იწერს.

ვგრძნობ, სულ ჩემკენ იყურება და ბზუის. უკმაყოფილოა, ეტყობა, ბებერი ეშმაკი, სახურავის კიდეს ახლოს რომ არ ვეკარები, და ერთთავად ლამობს, მხრით მიბიძგოს, მე კი მუხლები ისედაც მიკანკალებს. შიშისაგან გავჭაღარავდი კიდეც. ღმერთმანი, არ გატყუებთ! მეორე დღეს სამი თეთრი თმა ამოვიგლიჯე! ან რა გასაკვირია: სახლი ხომ ხუთსართულიანია!

ერთი სახურავი მოიარეს — მეორეს მიაშურეს. დილისთვის უკვე ოთხი სახურავი გვქონდა მოვლილი. ნორმალური ჯანმრთელი მთვარეულის გეგმა კი ერთია. დიახ... ბერიკაცი კი, სულ ერთია, ჩემით მაინც უკმაყოფილოა. ალბათ ეგონა, რომ მოწყენილი ვიყავი ან სხვა რაიმე. ერთი სიტყვით, ვერ ავიტანე ასეთი ცხოვრება და მესამე დღეს ავითესე.

— შენ ახლაც მთვარეული ხარ? — შეშფოთებულმა ვკითხე მას.

— რა სისულელეა! ყველაფერმა უცბად გამიარა; ხუმრობა ხომ არ არის, ოთხი სახურავი! ახლაც სახურავს რომ ვუყურებ, კრიჭა მეკვრება, საძაგლობაა, გინდაც ნავთი გიყლაპია. აი, ასეა... თქვენ კი, ეშმაკის კერძებო, გამყიდეთ. ეგებ ყველაფერი შემრჩეს კიდევაც... ქუჩაში რომ გავედით, თითქოს დავარწმუნე კიდეც, რომ თქვენ ინსტიტუტში განთქმული ცრუპენტელები ხართ. თორემ, ვინ იცის, რას იფიქრებდა!

კარზე ისევ დააკაკუნეს. კობზიკოვი კარადას ეცა. მაგრამ მინისტრის ქალიშვილი არც ამჯერად მოსულა. ეს ინსტიტუტის შიკრიკი იყო. კრეტოვი გვიბარებდა.

...ინსტიტუტის პარკში გრილოდა. ბუჩქებში ჩიტები ჟივჟივებდნენ. აუზთან ბიჭები ომობანას თამაშობდნენ. ჯოხის ცხენებზე ამხედრებულები ერთმანეთს დასდევდნენ და ბილიკებზე ღრმა ნაკვალევს სტოვებდნენ, თან დიდის ამბით ერთმანეთს ჯოხებს ულერებდნენ. ბიჭები ბედნიერები იყვნენ, თუმცა ამას ვერც გრძნობდნენ. ინტეგრალური განტოლების ავბედით ჩრდილს ჯერ კიდევ არ გადაუფარებია მათზე თავისი ფრთები. ჟასმინის თაიგული მოვკრიფე და თინას მივაწოდე.

— მიიღე კიმისაგან.

— გმადლობთ, კიმოჩკა.

— არაფერს, — ჩაიბურტყუნა ჩემმა მეგობარმა. იგი ფიქრებში იყო გართული და ვერც კი გაიგო, რაზე ეუბნებოდნენ მადლობას.

ჩვენ რომ მივედით, კრეტოვი ლაბორატორიაში წყალსადენ მილს არემონტებდა. ქანჩის გასაღებით ხელში დიმიტრი ალექსეევიჩი ორ ტაბურეტზე იდგა და ქშენა-ქშენით რომელიღაც ქანჩს უჭერდა. ტაბურეტები ზეინკალს ეჭირა.

— სალამი, ბიჭებო.

კრეტოვი მსუბუქად ჩამოხტა იატაკზე და შარვალი ჩამოიბერტყა. ახლა ზეინკალი უფრო გავდა კათედრის გამგეს, ვიდრე კრეტოვი.

— როგორ მიდის საქმე?

— ნელ-ნელა, — თავშეკავებულად თქვა კიმმა. — გუშინ სამი კილოგრამი დავთე'ეთ.

— ეს ყველაფერი კარგია, ბიჭებო, მაგრამ თქვენს თავზე ცა იქუფრება. გუშინ სადიპლომო პროექტების ხელმძღვანელების თათბირი გვქონდა. ჩემი ანგარიში ნაუმ ზახაროვიჩს არ მოეწონა, ტყუილუბრალოდ ჩხირკედელაობთო. სათესელას სიჩქარის გაზრდა საათში ათ კილომეტრზე არაფერს ნიშნავს, გამოგონებაშიც არ ჩაგეთვლებათ და არც საკოლმეურნეო საქმეს არგებს რაიმესო.

ლექსეიჩმა მოულოდნელად თვალი ჩაგვიკრა:

— სოფელს, რასაკვირველია, თვითმავალი კაბინეტები სჭირდება. ერთი სიტყვით, ასეა, ბიჭებო. იგი თავის'თან გიბარებთ. ალბათ აგიტაციას გაგიწევთ, წყლიდან ბენზინის გამოხ-

და დაიწყოთ. აბა, თქვენ იცით, არ შეშინდეთ. მერე მოდით და მომიყევით.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის კაბინეტთან შევჩერდით. კარი თვალისმომჭრელად ქათქათებდა, მასიური მოოქრული სახელური ჰქონდა და ქირურგიულად სუფთა დაფაზე ეწერა: „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნაუმ ზახაროვიჩ გლიბკა“.

ჩვენთან არც ერთ დეკანს არ ჰქონდა საკუთარი კაბინეტი, ნაუმ ზახაროვიჩს კი ჰქონდა. პროორექტორებიც კი, პაპიროსი რომ ეყიდათ ბუფეტში, რიგში დგებოდნენ, ნაუმ ზახაროვიჩს კი ისე აძლევდნენ. რამეთუ დიდი და ძლიერი იყო ჩვენი დეკანი.

— გააღე! — მითხრა კიმმა.

მოოქრულსახელურიანი თეთრი კარი რატომღაც ყოველთვის მოკრძალებულ თრთოლას მგვრის.

— შენ თვითონ გააღე, — ვუპასუხე კიმს.

კაპიტანი გაჯიუტდა.

— ყველაფერი მე რატომ უნდა გავაკეთო პირველმა?

თურმე ეს კარი გულად კაპიტანზედაც კი მოქმედებდა.

— თქვენ კი რა გითხარით!—დაცინვით თქვა თინამ და თავისკენ მოსწია მოოქრული სახელური.

პირველი კლასის რესტორან „დონშიც“ კი არ მინახავს ასეთი დიდებული სანახაობა, როგორიც გლიბკას კაბინეტში იყო. ალისფერი დივანი, კასრებში ჩარგული პალმები, პარკეტი ყავისფრად ლაპლაპებდა. თინამ პირველმა გადააბიჯა უშიშრად ცივ ცეცხლში.

— თქვენ გვიბარებდით, ნაუმ ზახაროვიჩ?

მე და კიმი უკან ვიდექით და ყარყატებივით ხან ერთ ფეხს ავწევდით, ხან მეორეს, ვცდილობდით დაგვედგინა, ჩვენი ცოდვილი ფეხები კვალს ხომ არ ტოვებდნენ ამ არარეალურ იატაკზე.

— გიბარებდით! დიახ! გიბარებდით! — ხმა ისეთი ბოხი ჰქონდა, რომ ყურებში ღიტინი დამიწყო.

თვითონ ნაუმ ზახაროვიჩს ვერ ვხედავდით. თითქმის ერთი მეტრი სიმაღლის, მხარზე კალთადადგმული გოგონას ქანდა-

კება ეფარებოდა. კალათაში ცოცხალი ჟასმინი ეწყო, ხოლო კვარცხლბეკზე ეწერა „ჩვენს ძვირფას ლაურეატს კოლეგებისაგან“.

ყვავილებში გამოჩნდა უფერული, წითელჭორფლიანი თხელი ხელი და გოგონა მაგიდის კიდისკენ გასწია. თვალწინ ნაუმ ზახაროვიჩი წარმოგვიდგა.

გრძელი გამხდარი სახე, მელოტი თავის ქალა, ბრტყელი, ფართო ცხვირი და უზარმაზარი ცეცხლოვანი თვალები. ინსტიტუტში იშვიათად თუ ვინმე უძლებდა მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მზერას. მისი თვალები თითქოს საკუთარი, განსაკუთრებული, სხეულისაგან განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ისინი უმალვე ეცემოდნენ ადამიანს, ხელებს უგრეხდნენ. თავს გვერდზე მოუქცევდნენ, რაღაცას შეუსწორებდნენ, გადაუწევდნენ, დახვეწავდნენ, მექანიზირებას და ავტომატიზირებას ახდენდნენ. ადამიანის ორგანიზმში არასრულყოფილება, ეტყობა, მათ საშინლად აღიზიანებდათ. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ვფიქრობ, რომ საგნებიც იმავე მდგომარეობაში ვარდებოდნენ, როდესაც ნ. ზ. გლიბკა მათ უყურებდა. ინსტიტუტში მას მიკროლომონოსოვს ეძახდნენ.

— აჰა, — თქვა დეკანმა და ხელზე დამაშტერდა. — თქვენა ხართ ჩქაროსნული სათესელას გამომგონებლები?

მე სასწრაფოდ დავმალე ხელი ზურგს უკან. უცბად შემრცხვა, რომ ხელზე მხოლოდ ხუთი თითი მქონდა და არა ექვსი ან შვიდი.

— აბა, ჩვენ რა გამომგონებლები ვართ...

დეკანი შემობრუნდა და ფანჯარაში გაიხედა. ასე გაიარა ნახევარმა საათმა. ფეხები გამიჯირჯვდა, ყავისფერ ყინულზე გაუნძრევლად დგომა მეტად გამიჭირდა; ფეხსაცმლის ლანჩები მოულოდნელად აქეთ-იქით გაცურდა და დივანზე დავეცი. თინამ ჩაიხითხითა.

როგორც იქნა, გლიბკა ჩვენსკენ მობრუნდა. სულ სხვაგან ქროდა მისი გონება.

— მაშ, ვცუღლუტობთ, არა? — გვკითხა მოწყენილი ხმით. — სიძნელეებს თავს ვარიდებთ? ბაღლინჯოებს ვჭყლეტავთ? ბუზებს ვიჭერთ? სოფლის მეურნეობის პროგრესს

თვითდინებაზე ვუშვებთ? ინსტიტუტის ღირსებას თავლაფ'ვასხამთ? 'სახალხო ქონებას ვანიავებთ?

ჩვენ ვდუმდით.

— თვალს უხვევთ? — განაგრძობდა ნაუმ ზახაროვიჩი ისევე უხალისოდ, მხოლოდ თვალები აფრქვევდნენ ცეცხლს.— ვის უხვევთ? მე? არაფერი გამოგივათ. ერთი დამიხედეთ, რა ჭკვიანები არიან — ტიპურ სათესელა'ს ორი კბილანა დაუყენეს და ახლა დიპლომის დაცვაც მოინდომეს. არაფერი გამოგივათ.

— მაგრამ კრეტოვმა გვითხრა...

— კრეტოვი, კრეტოვი, — ამოიოხრა გლიბკამ და კვლავ ფანჯარაში გაიხედა.

— კი მაგრამ ოცი კილომეტრი! — უმტკიცებდა კიმი. — ეს ხომ გაცილებით მეტია, ვიდრე რვა — სათე'ი აგრეგატის სიჩქარე ახლა...

გლიბკა უცბად შემობრუნდა.

— მერე რა? განა ვის გააკვირვებთ ამით? რას გადაატრიალებთ? ვის ამხელთ, ან რას გამოააშკარავებთ? ჰა? თქვენ გეკითხებით! ნამდვილი მეცნიერი წვრილმანებში არ უნდა იქექებოდეს. ეს ხელოსნების საქმეა. ნამდვილმა მეცნიერმა უნდა გადაატრიალოს, დაამხოს, ააფორიაქოს! მხოლოდ მაშინ წასწევ'ს წინ პროგრესს! აი, რომ გეთქვათ სამასი, ხუთასი კილომეტრის სიჩქარით შეგვიძლია ვთესოთო, — ეს მესმის!

— მაშინ ეს 'სათესელა კი არა, თვითმფრინავი იქნებოდა, — ვთქვი მე.

შემდეგში ხშირად ვსაყვედურობდი საკუთარ თავს ამ ფრაზის წარმოთქმისათვის. არ უნდა მეთქვა. იქნებ მაშინ სულ 'სხვანაირად წარმართულიყო მთელი ჩემი ცხოვრება...

ნაუმ ზახაროვიჩს ისე აენთო თვალები, რომ მათი ყურება ტკივილს მგვრიდა. თაბაშირის გოგონაც კი ისე შეშინდა, რომ კალათიდან ყვავილი გადმოუვარდა. გლიბკამ ხელი სტაცა, სწრაფად დააგლიჯა ფურცლები, თვალებთან მიიტანა და გადაყარა.

— მფრინავი სათესელა, — წაიბუტბუტა მან, — დიახ... გვერდებზე ფრთები...

დეკანი ოთახში მოჰყვა სირბილს, თან გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა. მისი პიჯაკის მოფრიალე ბოლოები ქანდაკება'ს

გამოედო და კალათიანი გოგონა იატაკზე დაეცა. მაგრამ გლიბკას ეს არც კი შეუმჩნევია.

— მფრინავი კულტივატორი... — სულ უფრო უწევდა ხმა'ს. — მფრინავი გუთანი!.. ჩვენ გადავატრიალებთ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას! სოფლის მეურნეობის მანქანების ეს'კადრილიებს შევქმნით! — დეკანი უკვე შთაგონებით ყვიროდა: — კულტივატორების ესკადრილია! აბა? როგორ ჟღერს? ხვალვე შევუდგებით! არა, რატომ ხვალ? ახლავე! სად არის კრეტოვი?

ნაუმ ზახაროვიჩი ტელეფონს მივარდა. ხელები უკანკალებდა და გრძელი ყურები უთრთოდა.

— იქნებ ჯერ სათესელა დაგვემთავრებინა, — გაუბედავად წარმოთქვა კიმმა. — თორემ დაცვისთვის ვეღარ მოესწრება.

— ეშმაკსაც წაუღია თქვენი სათესელა! დაუყოვნებლივ შეუდექით მფრინავი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაპროექტებას! დავიწყოთ მფრინავი ფარცხით და დიპლომის გარანტიას მე გაძლევთ. ალო! ალო! კრეტოვი ხართ? კოსარევ'სკი! კოსარევსკი, სასწრაფოდ მიპოვეთ კრეტოვი! გესმით! ახლავე ჩემთან მოდით! ორივე! თქვენ რაღას უდგახართ? აბა, ჩქარა, ვატმანი და ფანქრები მოიტანეთ!

დეკანი მკერდით გვაწვებოდა. აფოფრილი და აგზნებული, გაბრაზებულ ბეღურას წააგავდა.

გაოგნებულები დიმიტრი ალექსეევიჩისკენ წავჩანჩალდით. ინსტიტუტში უკვე ციებ-ცხელება იწყებოდა. ტელეფონები წკრიალებდა, დარბოდნენ შიკრიკები. კოსარევსკი 'სადღაც პროპელერს მიათრევდა.

— ასეც ვიცოდი, რომ იგი თქვენი სათესელასაგან საპნის ბუშტს გააკეთებდა, — თქვა კათედრის გამგემ. — რა ვქნათ ახლა? სამუშაო'ს მიტოვება არაფრით არ შეიძლება. ეჰ, 'სამი დღით რომ მოგვცა ტრაქტორი, სათესელა თითქმის მზად გვექნებოდა. მაშინ კი შევუტევდით კიდეც.

— იქნებ რექტორთან წავსულიყავით? — აზრი მოგვაწოდა კიმმა.

— რექტორთან, რასაკვირველია, წასვლა შეიძლება, მაგრამ გლიბკამ ალბათ უკვე დაურეკა და ტვინიც აურია. ამას შესანიშნავად ახერხებს. კეთილი, ყმაწვილებო, შინ წადით, დაისვენეთ. ხვალ რაღაცას მოვიფიქრებთ.

კოსარევსკი აშკარად ყოყლოჩინობდა. ლურჯ ხალათში გამოწყობილი გარაჟში დასეირნობდა, გასალებების ასხმულას იქნევდა და პირველკურსელებს განკარგულებებს აძლევდა:

— ორმა გარეცხეთ ფილტრი! შენ, წითურო, ბორბალი გაწმინდე!

ჩემს დანახვაზე ლაბორანტი უფრო გაიბღინძა. რწევა-რწევით მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამკრა.

— როგორ არის საქმე, რიკოვ?

— არა უშავს. შენკენ? — ფეხისცერებზე შევდექი და მეც მხარზე დავკარი ხელი კოსარევსკის.

— ჩინებულად.

— ძალიან კარგი.

ისევ დავკარით მხარზე ერთმანეთს ხელი.

— მაშასადამე, მუშაობ? — ვკითხე მე.

— ვმუშაობ. გუშინ უფროს ლაბორანტად დამნიშნეს. — კოსარევსკი გაიფხორა.

— უფროს ლაბორანტად? — ვითომ გავიოცე მე.

— დიახ. ერთდროულად ასპირანტურაშიც ვისწავლი.

— შესანიშნავია! ბედი სწყალობს ზოგიერთს!

— დიახ... ხელფასი — ასი.

ყოყლოჩინობისაგან კოსარევსკი მთლად ქანდაკებას დაემსგავსა.

— მაგრამ სამუშაოც ბევრი გექნება, — თავი გავაქნიე მე.

— რასაკვირველია, ბევრი, — კბილებში გამოსცრა უფროსმა ლაბორანტმა.

— უნდა გაწმინდო, გარეცხო, გამართო ტრაქტორები... ალბათ ვერც ასწრებ. აი ეს „ბელორუსი“, მგონია სრულიად გაუმართავია.

— „გაუმართავიაო“! — ტუჩები აიბზუა კოსარევსკიმ. — თუ გინდა, ახლავე გაიყვანე მინდორში.

მე ეჭვით შემოვუარე ირგვლივ ახალთახალ ტრაქტორს.

— დაზეთილია? გამართულია?

— რასაკვირველია.

— ინსტრუმენტი ადგილზეა?

— რა თქმა უნდა.

— გამშვები შნურიც?

— ცხადია.

— არა, მართლაც ყოჩაღ შენ, კოსარევსკი! — წამოვიძახე მე. — მერედა ვინ ყარაულობს მთელ ამ სილამაზეს?

უფროსმა ლაბორანტმა თავმდაბლად აიჩეჩა მხრები.

— მე.

— ღამეც?

კოსარევსკი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

კუთხეში მოუთმენლად მელოდა კიმი.

— აბა, როგორ არის საქმე? — მკითხა მან, როგორც კი მივუახლოვდი.

— ყველაფერი რიგზეა. ოღონდ კლიტე აღარ ვარგა. ყარაულიც არა გვყავს, — ვუპასუხე მე.

კიმმა ხელები მოიფშვნიტა:

— შესანიშნავია. მზვერავის ნიჭი გქონია. დროს ნუღარ დავკარგავთ.

კრეტოვთან ერთად შემუშავებული ჩვენი გეგმა თამამი და მარტივი იყო: ღამით გარაჟიდან ტრაქტორი უნდა წაგვეყვანა და სათესელა გამოგვეცადა. გათენებისას ტრაქტორს შეუმჩნევლად თავის ადგილზე დავაყენებდით.

— როცა საბოლოო დამაჯერებელი შედეგი გვექნება, — თქვა დიმიტრი ალექსეევიჩმა, — მფრინავი ფარცხი აღარ შეგვაშინებს.

ჯერ კიდევ კარგად არ იყო დაღამებული, როცა ღამის ოპერაციის სამზადისს შევუდექით. ოპერაციას პირობითად „მფს“ ვუწოდეთ, რაც ნიშნავდა: „მფრინავი ფარცხის სიკვდილი“. სათესელა დავზეთეთ და საგულდაგულოდ მოვაწესრიგეთ. თესლი დავაკალიბრეთ. იაბოს ვაჭამეთ. „მფრინავი ჰოლანდიელის“ ძრავას ალიკაპი გავუკეთეთ—იმ შემთხვევისთვის, თუ დაჭიხვინებას მოინდომებდა, აგრეთვე მოვამზადეთ ფლოქვების შესახვევები. მე ყველას ვურჩევდი, შავი ნიღბები გაეკეთებინათ, მაგრამ კიმი ზედმეტი ეგზოტიკის წინააღმდეგი იყო.

ოპერაცია ზუსტად თორმეტ საათზე დაიწყო (ესეც ჩემი დაჟინებით, რამეთუ ყველა, დიდი თუ მცირე ოპერაცია მხოლოდ შუაღამისას იწყება). დამკვრელ რაზმს მე მივუძღოდი წინ

ღოჯითა და ჩაქუჩით შეიარაღებული, უკან კიმ'ა გაოცებული იაბო მოჰყავდა: საწყალს ვერაფრით გაეგო, რატომ აუკრეს ყბები თოკებით. ბოლოში თინა მოგვყვებოდა. მას ევალებოდა არაფერი გამოპარვოდა მხედველობიდან.

საქმე რამდენიმე წუთში მოგვარდა. მე სწრაფად ამოვაძრე კარიდან კავი, კიმმა იაბო გარაჟში შეიყვანა და საბუქსირო კაუჭს ღვედი წამოაცვა. თინა საჭეს მიუჯდა, მე კი ტრაქტორს მივაწექი. მერე ჩვენ ისევ დავხურეთ კარი და გასაღებით ჩავკეტეთ.

ინსტიტუტის ტერიტორიიდან რომ გამოვედით, იაბოს ყბები ავუხსენით და საძოვარზე გავუშვით, ჩვენ კი ტრაქტორი დავქოქეთ და დანიშნული ადგილისაკენ წავედით, სადაც კრეტოვი გველოდებოდა სათესელათი და თესლით.

— ყველაფერი რიგზეა?

— ყველაფერი.

— მაშ, დავიწყოთ.

მე მივუჯექი „ბელორუსის“ საჭეს. თინა გვერდზე მომიჯდა. სწრაფი სვლისაგან წითური თმა აეწეწა და ფარები'ს სინათლეზე გეგონებოდათ, ცეცხლი უკიდიაო. ვიწროდ ვიჯექით და მე თინას მუხლის სითბოს ვგრძნობდი. უკან, როგორც ფარეშები კარეტის 'საფეხურებზე, კიმი და დიმიტრი ალექსეევიჩი იდგნენ. კიმს რომ არ ეეჭვიანა, თინასაგან გავიწიე, მაგრამ მან მითხრა:

— ,ენკა, ნუ გაიწევი, მცივა.

— წინააღმდეგობას ვერ გაგიწევ. დღეს შენ უფრო 'იმპათიური ხარ, ვიდრე ოდესმე.

— შენ ალბათ ვერასოდეს მოახერხებ რიგიანი კომპლიმენტების თქმას.

— არა, სერიოზულად. ცოტა არ იყოს, მშურს კიდეც კიმი'ს. კოცნა მაინც შეუძლია? რას აკეთებთ პაემანზე, როცა ხვდებით?

— ვმსჯელობთ ჩქაროსნული თე'ვის პრობლემებზე.

— კიმის მხრივ არაგონივრულია. ოცდასამი წლის ქალიშვილს მარტო ეს არ ეყოფა.

— ნუ ხარ უზრდელი!

ორივე ვინჯღრეოდით და აქეთ-იქით ვეხეთქებოდით.

— გენა, — მითხრა თინამ, — შენ გჯერა ამ საქმის?

— რა საქმის?

— აი, სათეᲡელასი...

მე გაოცებით შევხედე კიმის საცოლეს. ეს რა ეᲬვები მოეძალა გამარჯვების წინ?

— მთავარია, რომ კრეტოვს სჯერა.

— ის არ გიფიქრია, რომ შეიძლება უდიპლომოდ დავრჩეთ?

— არც მიფიქრია და არც ვიფიქრებ. ჩვენ ზურგს უკან ხომ დიმიტრი ალექსეევიჩია.

— მე კი ვფიქრობ. თუ გლიბკას წინააღმდეგ წავალთ, არ დაგვინდობს და მუმლივით გაგვსრეᲡავს. და კრეტოვსაც. ის აქ არაფერს წარმოადგენᲡ.

— თუ ჩვენ საბოლოო შედეგი გვექნება...

— საბოლოო შედეგი არაფერს შეცვლის.

— რიკოვ! სიჩქარეს მოუმატე! — უკანიდან დამიძახა კიმმა.

მე გაზს მოვუმატე. ახლა უფრო მეტად გვანჯღრევდა. ერთ-ერთ ღრანტეში თინა ჩემკენ გადმოვარდა. მისი სახე სულ ახლო აღმოჩნდა.

— გენა, მოდი ფარცხი გავაკეთოთ...

— Ჩისულელეებს თავი დაანებე!

— მეშინია, გენა...

— ნუ გეშინია! — დავუყვირე, რათა დამეფაროა ქარის ზუზუნი და ტრაქტორის ხმაური. — წინ დიდება და წარმატებაა! წინ ბრწყინვალე მომავალია! გაუმარჯოს „მფრინავ ჰოლანდიელს!“

— შეჩერდი! — მოისმა უკანიდან. — შეჩერდი, გეუბნები! თესლგამტარი დავკარგეთ!

ტრაქტორი შევაჩერე. კიმი და კრეტოვი თესლგამტარის საძებნელად წავიდნენ. გაფითრებული თინა ძირს ჩახტა.

— მაპატიეთ, მეტი აღარ შემიძლია. მარტო იარეთ.

— აქ იჯექი. უკან დაბრუნებისას წაგიყვანთ.

ᲩათეᲡელას გამოცდა ჩინებულად მიდიოდა. ათიოდე წუთში ოცი კილოგრამი დავთესეთ. მარცვლები ზუსტად ორი-სამი ცალი ცვიოდა ბუდეში, არც ერთი არ აგვიცდენია. მაგრამ მეორე წუთზე ტრაქტორს ხმა შეუსუსტდა, ხოლო კარტერში საეᲬვო

კაკუნი და სტვენა გაისმა. მალე კაკუნი იმდენად აშკარა გახდა, რომ კიმმაც კი გაიგონა და დამიყვირა:

— ეი! გააჩერე! ტრაქტორს რაღაც დაემართა.

მე გაზს დავუწიე. კარტერში რაღაც ღრჭიალებდა. ზეთის მანომეტრის ისარი ბუზივით ნულს ეხეთქებოდა.

— ჩააქრე, რაღა, მოტორი, გაპუტულო ინდაურო! — დაიღრიალა კიმმა.

ტრაქტორი გაციებულ გვამს მოგაგონებდათ, მისი მუცლიდან წვრილ ნაკადად შავი სისხლივით ზეთი მოედინებოდა. ჭრილობასავით დაეღო პირი ნახვრეტს.

— საკისრები გამდნარა, — კიმმა უგერგილოდ შეიგინა. — დამდგარხარ და პირი დაგიღია! ტრაქტორს ბოლო მოუღე და...

— ენა გააჩერე, — ვუთხარი მე.

— დიახ, დიახ! ახლა ყველაფერი დამთავრდა!..

კიმი ბალახზე დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო. აფეთქების შემდეგ მას ყოველთვის საწინააღმდეგო რეაქცია ჰქონდა. თინა მიუახლოვდა კიმს და დამტვერილ თმაზე ხელი გადაუსვა:

— გეყოფა, დამშვიდდი. შეიძლება ჯერ კიდევ არ დამდნარა.

— თავი დამანებე.

— ნუ ჯავრობ, კიმოჩკა. ვინ არის დამნაშავე...

ჩვენ შორის მხოლოდ კრეტოვი იყო მშვიდად. მან ყოველი მხრიდან დაათვალიერა ტრაქტორი, შემდეგ საგულდაგულოდ ჩაგმანა ჩვრით ნახვრეტი და ძრავა მცირე სიჩქარეზე გადართო. შიგნით რაღაც გრიალებდა და ქოთქოთებდა.

— მართალია, — თქვა დიმიტრი ალექსეევიჩმა. — საჭიროა კაპიტალური რემონტი.

— ჩემი ბრალია! — წამოიყვირა კიმმა. — საცობი არ შეავამოწმე. ოჰ, რა ჩერჩეტი ვარ!

— ვის არ მოსვლია, — თქვა კრეტოვმა.

ჩვენი დაბრუნება დაკრძალვის პროცესიას მოგაგონებდათ. იაბო კატაფალკივით მიათრევდა ტრაქტორს. გარაჟთან დავიშალეთ. კიმს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— წადით სახლებში, ბიჭებო, — გვირჩია კრეტოვმა. — უნდა დაისვენოთ. მძიმე დღე მოგველის.

— ჩვენ არ გაგცემთ, დიმიტრი ალექსეევიჩ, — ვარწმუნებ-

დი მე. — ვიტყვით, რომ ჩვენით წავიღეთ. მართლაც ხომ ასე იყო.

კიმმა მხარზე შეახო ხელი კრეტოვს.

— გვაპატიეთ, დიმიტრი ალექსეევიჩ, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა. მაგრამ ჩვენ მართლაც არ ვეტყვით არავის. სიტყვას გაძლევთ.

კრეტოვმა ჩაიცინა:

— წადით, წადით, ყმაწვილებო. ეს უკვე თქვენი ჭკუის საქმე არ არის. მე უარესიც გადამხდენია.

დილით, როდესაც ინსტიტუტში გამოვცხადდით, ჩვენზე უკვე ჭორაობდნენ. დერეფნებში დაქროდა ფერმიხდილი, თვალებგაშტერებული კოსარევსკი, ყველას სახელოზე ებღაუჭებოდა და უმტკიცებდა, რომ დამნაშავე არ იყო. უფროს ლაბორანტს ყოყლოჩინობის ნატამალიც აღარ შერჩენოდა.

ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ, მაგრამ უმრავლესობა იმ აზრს იზიარებდა, რომ ეს აშკარა ღორობა იყო; ვიღაცამ, კოსარევსკის მტერმა ან მოშურნემ, ფანდი დაუგო მას. კოსარევსკიმ შეადგინა თავისი მტრების სია და სიით ხელში დარბოდა, თან ერთთავად წერდა და შლიდა გვარებს. იგი აპირებდა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში გადაეცა ეს სია. გლიბკა ჯერ არ იყო მოსული. არც კრეტოვი.

ზუსტი გეგმა, როგორ უნდა გვემოქმედა შემდგომში, არ გვქონდა. დეკანის მოსვლამდე გადავწყვიტეთ მოგვეთათბირებინა და ამ მიზნით სასადილოში წავედით.

დიდი დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. მზის კვადრატები დამტვერილი ლომის ტყავებივით მოფენილიყო იატაკზე. ჭაღზე ბეღურა იჯდა, ჭიკჭიკებდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა. იგი მეტად კმაყოფილი ჩანდა — ალბათ იმიტომ, რომ უფასოდ იკვებებოდა.

— მოდით, ჯერ კიმმა ილაპარაკოს, — ვთქვი მე.

კიმი სკამის ზურგს მიეყრდნო. ახლაღა შევნიშნე, რომ საოცრად გამხდარიყო. ისედაც გრძელი სახე უფრო ჩამოგრძელებოდა, ყვრიმალის ძვლები ამოსწეოდა და მხოლოდ თვალები, დიდრონი და წყლიანი, ავადმყოფურად უბრწყინავდა.

— პირველ ყოვლისა, კრეტოვს უნდა დავასწროთ. გლიბკასთან თვითონ წავიდეთ და ყველაფერი მოვუყვეთ.

— თანახმა ვარ, — ვთქვი მე.

— თანახმა ვარ, — თქვა თინამ.

— მეორე, საქმეში არ გავრიოთ კოსარევსკი. ბიჭმა შეიძლება ასპირანტურა დაკარგოს.

— თანახმა ვარ.

— თანახმა ვარ.

— მესამე, ვუთხრათ გლიბკას, რომ როგორც დამნაშავეები, ჩვენ პასუხს ვაგებთ, მაგრამ ისიც დამნაშავეა. რატომ გაჯიუტდა და ტრაქტორი არ მოგვცა? ჩვენ ხომ ჩვენთვის არ ვცდილობთ. სახელმწიფო მნიშვნელობის თემა გვაქვს!

— რა გაეწყობა, — ვთქვი მე, — შეიძლება გლიბკასაც შეეკამათო.

— მე თანახმა არა ვარ, — თქვა თინამ. — ეს ზედმეტია. არაფერს მოგვცემს.

— მეოთხეც, — წარბშეუხრელად განაგრძობდა კაპიტანი, — ვუთხრათ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, სათესელაზე მუშაობას არ შევწყვეტთ. ვიდრე გვაქვს საშუალება, იაბო უნდა გამოვიყენოთ. თუ კარგად ვკვებეთ, ოცდახუთ კილომეტრს გაუძლებს. სტიპენდიას ვწირავ.

— შეიძლება გკითხოთ? — ვთქვი მე.

— გისმენთ.

— გლიბკამ რომ არ დაგვიშვა დიპლომის დაცვაზე?

— ჯანდაბას! ცნობებით წავალთ სამუშაოდ. მომავალ წელს კი დავიცავთ ექსტერნად. სამაგიეროდ სათესელას დავამთავრებთ.

— მერე, ასპირანტურა?

— ეს არასოდეს იქნება დაგვიანებული.

— ყველაფერი თქვი?

— ყველაფერი.

— თინა, ილაპარაკე!

— კიმი გადაირია.

— შენი წინადადება?

— წავიდეთ გლიბკასთან და დავუჩოქოთ.

მე კეფა მოვიფხანე.

— ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. კომპრომისული გადაწყვეტილება მივიღე. ასე ვთქვათ, სტრატეგიული სვლა.

დავეთანხმოთ და ამ მფრინავ ფარცხზე ვიმუშაოთ. დიპლომიც და ასპირანტურაც ჩვენი იქნება. ჩუმ-ჩუმად კი „ჰოლანდიელს“ გამოვცდით.

— სისულელეა! — წამოიძახა კიმმა. — სისულელე! მაშინ „ჰოლანდიელს“ მოეხაზება.

მე უცებ გავბრაზდი. რა ჯიუტი ადამიანია! აუხირებია: „ჰოლანდიელი“, „ჰოლანდიელიო“!

— მოეხაზება და მოეხაზოს. ასეთი „ჰოლანდიელები“ ასობით შეგვხვდება, ოღონდაც ასპირანტურაში მოვეწყოთ. რა მოხდა, სამყარო მაგაზე ხომ არ ტრიალებს?

კიმმა, ის იყო, პირი დააღო — ალბათ თავისი „გაპუტული ინდაურის“ მსგავსი რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კრეტოვი მოგვიახლოვდა.

— აა! ამათ რა ენაღვლებათ, ვირთევზას მიირთმევენ, მე კი მათ მაგიერ პასუხი უნდა ვაგო!

— ჰო, ჩვენც გამოსავალს ვეძებთ, დიმიტრი ალექსეევიჩ,— ვუთხარი მე.

— არის გამოსავალი, ბიჭებო, — კათედრის გამგის მხიარულება საეჭვოდ მომეჩვენა, — ყველაფერი ისე მოეწყო, უკეთესს ვერც ინატრებ. ჩემს კოლმეურნეობაში ვბრუნდები და თქვენც თან მიმყავხართ „ჰოლანდიელთან“ ერთად. ერთი წელი ტრაქტორისტებად იმუშავებთ, სათესელას მოაწესრიგებთ, მერე კი — გზა მშვიდობისა, საითაც გინდათ, იქით წადით. პირობებს ისეთს შეგიქმნით, როგორც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშია. რიგიანად გამოეწყობით კიდეც. ჩემი ტრაქტორისტები იმდენს გამოიმუშავებენ — კარგად მეყოლეთ.

— თქვენ დეკანთან იყავით? — მივხვდი მე.

— ვიყავი.

— წარმოდგენილი მაქვს, იქ რა ხდებოდა!

— მნიშვნელოვანი არაფერი. უბრალოდ გულახდილად ვილაპარაკეთ. ვთქვით, ერთმანეთზე რასაც ვფიქრობთ. იგი, რასაკვირველია, მართალია: ჩემი ადგილი აქ არ არის.

— რას ბრძანებთ, დიმიტრი ალექსეევიჩ!..

— ასეა, ბიჭებო. აბა, რა ჩემი საქმეა მეცნიერება.

— ვითომ გლიბკა კი თავის ადგილზეა! — ჰკითხა კიმმა. —

ამ „გამომგონებლის“ ბრალია, ხანდახან სწავლა რომ აღარ მინდა, ხალისი მეკარგება.

— ჩვენ რას გვიპირებს? — ჰკითხა თინამ.

— დაცვაზე არ დაგიშვებთ და სტიპენდიასაც მოგიხსნით.

— ნამდვილი გაპუტული ინდაური! — შეუკურთხა კიმმა. თავზარდაცემულები ვიხსენდით. კარგი ამბავია!

— აბა, რას ფიქრობთ, ბიჭებო? წამოხვალთ ჩემთან?

— თქვენთან ერთად ყველგან წამოვალ, — დაუფიქრებლად უპასუხა კიმმა.

მე და თინამ ერთმანეთს გადავხედეთ.

— უნდა მოვიფიქროთ...

დერეფანში ივან ივანოვიჩ ბერეზკინი შეგვეფეთა და სახელოზე მომქაჩა:

— პრიახინ, სხდომაზე რატომ არა ხარ? იქნებ განსაკუთრებული მოსაწვეი გჭირდება? კვორუმი კი არა გვაქვს! ახლავე სამასმეჩვიდმეტეში გაიქეცი! ყველას უნდა სდიო!

— მე პრიახინი არა ვარ, — ვუთხარი მე.

შეფიქრიანებულმა ივან ივანოვიჩმა თავისი უზარმაზარი პორტფელი იატაკზე დადო.

— მაპატიე... სულ დავიბენი... სწორია, გამახსენდა, შენ პრიახინი არა ხარ... შენ ბელენკი ხარ. დიახ... მერვე ქვესაბჭოს მეექვსე საბჭოს თავმჯდომარე. მაცალე... კი მაგრამ, ახლა ხომ მეთორმეტე კომისიასთან ერთად უნდა გქონდეთ ერთობლივი სხდომა. აქ რაღას დაყიალებ? მუშაობას გვიშლი. საყვედური მოგენატრა?

— მე ბელენკი არა ვარ, — ვუთხარი მე.

ივან ივანოვიჩ ბერეზკინს გრძელი უღონო სხეული დაჭიმული სიმივით აცახცახდა. შუბლი ოფლით დაეცვარა, სადღაც ჩემ იქით იყურებოდა. ბერეზკინი თაგვს წააგავდა, რომელმაც მოულოდნელად მთა შობა და ახლა თავზარდაცემული იმას ელოდება, როდის გამჭყლეტსო.

ივან ივანოვიჩმა მოულოდნელად იფეთქა.

— პრიახინი, ბელენკი — რა განსხვავებაა? მე ვიცი, რომ შენ რომელიღაც საბჭოში ხარ! ყალთაბანდობ, ხომ? აი, ავდგები და ახლავე გლიბკასთან მიგიყვან!..

ინსტრუქტორმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პორტფელი მოიქნია და დერეფნის მოპირდაპირე მხარეს გაექანა.

თითქოს რაღაცამ მიბიძგაო, უცბად გამომეღვიძა. ქვიშაზე ბორცვებისგან განფენილი საოცარი ჩრდილები გაწოლილიყო. პლაჟი ცარიელი იყო. მხოლოდ შორიახლო ანკესით ხელში ერთი ბერიკაცი იჯდა. სიცივისაგან აცახცახებულმა ჩაცმა დავიწყე.

მწვანეში ჩაფლულ ქალაქს წინაისტორიული ხანის ფრინველივით თვითმფრინავი დასტრიალებდა თავს. ცაში ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული თეთრი ღრუბლები უძრავად ეკიდა, თითქოს ღმერთებს კარგი ამინდით უსარგებლიათ და თეთრეული გასაშრობად გამოუკიდიათო.

ჩავიცვი, ხიდზე გადავიარე და ქალაქისაკენ წავჩანჩალდი. თვალებანთებული ურჩხულებივით ელვისსისწრაფით ავტომობილები დაქროდნენ.

„როგორ მოვიქცე ახლა? — ვფიქრობდი მე. — რა ვქნა? ყველაფერი ერთბაშად ხუხულასავით დაინგრა, არც დიდება, არც წარმატება, არც ასპირანტურა, არც დიპლომი, დიახ, დიპლომიც კი არა მაქვს. კიდევ კარგი, გაფუქებული ტრაქტორის საფასური რომ არ გადამახდევინეს. არ ღირდა გლიბკასთან წასვლა და თავის დამცირება. რა ტყუილუბრალოდ ვისმინე ორი საათი დემაგოგიური ყბედობა!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა როგორ მოვიქცე? კრეტოვს გავყვე? თუ კოლმეურნეობაში წავიდე დედაჩემთან... ტრაქტორისტად? არა, ოღონდაც იქ არა! წარვსდგე ყინულის პრინცესას წინაშე როგორც ტრაქტორისტი? ვისმინო დიმკას ბრძანებები?“

პოეტის ძეგლთან ოცდასამი წუთი დავიგვიანე, მაგრამ თინა მაინც მიცდიდა. მას ბაფთიანი მოკლე შავი ქვედატანი და თეთრი კოფთა ეცვა. სკვერის ბინდბუნდში კიმის საცოლე მერვეკლასელ გოგონას ჰგავდა, პირველ პაემანზე რომ გამოსულა.

— თქვენი მოწყალება გამოცდილი დონჟუანი ყოფილა, ამდენ ხანს მაცდევინებთ, — თქვა თინამ და ხელი გამიყარა. — ცეკვებზე წავიდეთ.

დაჭმუჭნილ შარვალზე დავიხედე.

— უმჯობესია გავი'ეირნოთ.

ჩვენ მდუმარედ მივდიოდით მოზეიმე ხალხში. შავ კოსტიუმებში გამოწყობილი ჰალსტუხიანი ფრანტები გაოცებით მათვალიერებდნენ. შეჯგუფული მეშვიდეკლა'ელები ჩემ ზურგსუკან ხითხითებდნენ. ვიღაცამ თქვა: „ესეც კარგი ხვითოა“.

ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ დავუნიშნე პაემანი თინას, და უფრო მეტიც — რატომ მოვიდა.

კაფე-საკონდიტროდან შემწვარი ღვეზელების სუნი გამოდიოდა. უცბად ვიგრძენი, რომ ძალიან მშიოდა.

— შეეიდეთ?

— როგორც გინდა, — მორჩილად მიპასუხა თინამ.

კაფეს მოხატულობა ზღვის ფ'კერს ასახავდა. კედლებზე დაცურავდნენ ვარდისფერი, თვალებგადმოკარკლული თევზები. რადიატორიდან ზღვი'ს ზღარბი იჭყიტებოდა. შიმშერი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა აბრას: „სპირტიანი სასმელების სმა კატეგორიულად აკრძალულია“. იქვე ორი კაცი იჯდა, არაჟნის ქილებში არაყს ასხამდნენ. ღრიანცელი იდგა და იქაურობა კვამლით იყო 'ავსე. ოფიციანტი, წყალმცენარეს რომ წააგავდა, ბლოკნოტით ხელში მაგიდებს შორი'ს ირხეოდა. კუთხეში მოვკალათდით, სურათის ქვეშ, რომელზედაც, არ ვიცი, მეცხრე ტალღა თუ ნახევარი საზამთრო იყო დახატული.

— არ გეშინია, რომ დაგაბეზღებენ? — მკითხა თინამ.

— ვისთან და რაზე?

— შენს გოგოსთან. ეტყვიან — ვიღაც შეღებილ ქერა ქალთან ვნახეთო. მე ყველას შეღებილი ვგონივარ. ჩვენს საუკუნეში უაზრობაა უმტკიცო, რომ ბუნებრივი წითური თმა გაქვს.

— გოგო არა მყავს.

— მე კი გავიგე — გყავს. გათხოვილი.

— ჭორებია.

თინამ გაიცინა.

— 'ბწორია. შენ ნამდვილი რაინდივით იქცევი.

— ოფიციანტო! — დავიყვირე მე. — ორი ყავა!

— ბედნიერი ხარ. გათხოვილი ქალი'ს სიყვარული საიმედოც არის და საუკუნოც.

— აი, მოვუყვები კიმს, როგორი მაღალზნეობრივი შეხედულებები გაქვს და ცოლად აღარ გითხოვს.

— ისედაც არ მითხოვს.

— წაიჩხუბეთ?

— ისე... ეს დიდი ხნის ამბავია. ხასიათების შეუთავსებლობა, უფრო მეტი კი — შეხედულებების. სწორად მხოლოდ ის მიაჩნია, რასაც თვითონ აკეთებს. სხვების აზრი მისთვის არ არსებობს. კატეგორიულად მოითხოვა, კოლმეურნეობაში კრეტოვთან რომ გავყოლოდი. როდესაც უარი ვუთხარი — სცენა მომიწყო.

— უარი რატომ უთხარი?

— შენ გგონია, კოლმეურნეობისა მეშინია? არა, მე შემიძლია ქვეყნის დასალიერამდე გავყვე იმას, ვისიც მჯერა. კიმისა კი არ მჯერა. ის უიღბლოა. სამყარო ყოველთვის მკაცრი და დაუნდობელია უიღბლოების მიმართ და არც მე ვარ გამონაკლისი.

— ესეც შენ! — გავოცდი მე. — კაცმა ჩქაროსნული სათესელა გამოიგონა და უიღბლოაო!

თინამ შუბლი შეიკრა.

— „სათესელა!“ „სათესელა!“ პირდაპირ გული გამიწვრილდა. სათესელას გამოგონება, გენა, არ კმარა. საქმე ის არის, ხალხმა თქვას: „მას შეუძლია სათესელების გამოგონება“. კიმი მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ გამოიგონებს სათესელებს, მაგრამ მის სახელს არავინ ახსენებს. იგი იმ ადამიანებს ეკუთვნის, ვისაც ციგა გორაზე ააქვთ, მაგრამ ამ ციგით კი სხვები ციგაობენ.

— მეტისმეტად გაუგებარია მშიერ კუჭზე. ოფიციანტო, მოგვემსახურებით თუ არა, ბოლოს და ბოლოს!

— ნეტა შენ გგავდეს! აი, შენ სიამოვნებით გამოგყვებოდი. და ერთგული ცოლიც ვიქნებოდი.

თინა პურის ნამცეცებს აგორებდა მაგიდაზე და მე არ მიყურებდა.

— ეს საოცრად წააგავს სიყვარულის ახსნას, — ვთქვი მე.

— არა გსიამოვნებს?

— არა, რატომ... სასიამოვნოა.

— საერთოდ კი ყველაფერი სისულელეა. უბრალოდ რა-

ღაც ახირებაა, მეტი არაფერი. ჩხუბი ვაფლის გამო მოგვივიდა. ვაფლი ძალიან უყვარს, მე კი მეზიზღება. მაგრამ, ალბათ, უმჯობესია, ამ მიზეზის გამო დავცილდეთ ერთმანეთს, ვიდრე სათესელას დავაბრალოთ, ხომ მართალია? მისმინე, გენა, ძალიან მცხელა. წავიდეთ აქედან.

კართან მისულმა კალთაში ხელი ვტაცე ოფიციანტ-წყალმცენარეს.

— რა გვარი ხართ?

— რა შენი საქმეა? — გაიფხორა ოფიციანტი.

— მთელი ოცი წუთი ვიცადეთ.

— განა ვინ ბრძანდებით?

— ჩვენ „ვკირჩა'ანისიდან“ ვართ.

„წყალმცენარემ“ თვალები დააჭყიტა.

— მობრძანდით, გეთაყვა, — აფუსფუსდა იგი. — აი, თავისუფალი მაგიდა. ამწუთას...

— ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. — აღვუთქვი მე.

წვიმა წამოვიდა და ტროტუარებზე ლამპიონების სინათლის ანარეკლი თვალისმომჭრელად ალაპლაპდა. სველი ფოთლებისა და სოკოების სუნი დატრიალდა. ე'ს სუნი წვიმამ მოიტანა ტყიდან. თინას ხელკავი გამოვდე და თვალები დავხუჭე. უცბად უფრო ძლიერ დატრიალდა ეს სუნი, ალვის ხეების, სველი ფოთლების შრიალი უფრო ცხადად ჩამე'ამა და მომეჩვენა, რომ ჩვენ ტყეში ვიყავით. „რა მშვიდად და კარგად ვგრძნობ თავს თინა'სთან! — გავიფიქრე. — ის მართლაც...“

სველ ქუჩებს მივყვებოდით, ზევიდან კი წვიმა ცრიდა. ძალიან თბილოდა. ასფალტიდან მიწის შორეული სურნელი ატანდა. სახლების ფანჯრები გემის ილუმინატორებივით სიბნელეში სხვადა'სხვაფრად ციმციმებდა, ყველა ფერს მაინც ვარდისფერი ჭარბობდა — სიმყუდროვისა და ბედნიერების ფერი.

ჩვენ რომელიღაც ბნელ შუკაში შევჩერდით. აქ ა'ფალტი არ იყო და ატალახებულ მიწაზე ფეხი ცურავდა. სველი ბილიკები მკრთალად ბზინავდა. ხეებს ქოჩრებივით ჩამოეშალა'თ ტოტები მაღალ ღობეებზე. სიჩუმემ და სიმშვიდემ დაისადგურა უცებ, თითქოს სხვა სამყაროში ან 'ხვა საუკუნეში აღმოვჩნდითო.

— მე ერთიანად დავსველდი, — თქვა თინამ, — მაგრამ სულ არ მცივა — თბილი წვიმაა.

კოფთა ზურგსა და მკერდზე შემოეტმასნა.

— აქ რატომ მოვედით? — მკითხა თინამ.

— არ ვიცი.

— შეგიძლია მაკოცო, დანიშნული უკვე აღარა ვარ. თუ, რა'საკვირველია, არ გეზიზღები.

ლოყით შევეხე მის ცივ ბაგეებს.

— რატომ, თინა?..

— ჰო... მართლა... რატომ...

გალავანს იქით ძაღლი ჯაჭვს აჩხარუნებდა.

ეგორ ეგორიჩის სახლს ეძინა. დიდთავა, ბეხრეკი გვერდზე გადახრილიყო, მობეცო თვალები-ფანჯრები მიელულა და თითქოს ხვრინავდა კიდეც. კიბეზე ვაცლავ კობზიკოვი პაპიროსს ეწეოდა. გამიკვირდა: ჯერ მხოლოდ თერთმეტი საათი იყო და ვეტექიმი უკვე შინ დამხვდა.

— მოხვედი? — მკითხა ბერძენმა.

— ჰო. შენ?

— ახლა მოვდივარ. ვიღაც ტურფამ მოგაკითხა. მისმინე, არა ხარ შენ კარგი კაცი. ასეთ ქალებთან მეგობრობ და ჩუმადა ხარ. ქალი კი არა, ვარდია, როგორც ჩვენი სანტიმენტალური წინაპრები იტყოდნენ. ქმარი შემთხვევით დიდი კაცი ხომ არა ჰყავს?

— კი.

— დიდი კაცია?—გამოცოცხლდა ვაცლავი.—ხომ არ მომაწყობს სადმე სამუშაოდ?

— მოგაწყობს. სამანქანო-სატრაქტორო ფაბრიკაში.

— ფუი! ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთ ქალს ქმარი სოფლის მეურნეობის მუშაკი ეყოლებოდა.

— რასა იქმ? მინი'სტრის ქალიშვილის კვალს თუ მიაგენი?

— ჯერ არა. სამაგიეროდ სახალხო მეურნეობის საბჭოს სახლში ერთი ქალი აღმოვაჩინე. მამილოს სოციალური მდგომარეობა ჯერ არ არის გარკვეული, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ მას აქვს აგარაკი და „მოსკვიჩი“.

— ალბათ, დიდი ვინმეა.

— ყოველ შემთხვევაში, პარიკმახერი არ არის. საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ ქალიშვილს უკვე ჰყავს...

— მაშინ საქმე წაგებულია.

— იქნებ არც იყოს წაგებული. ოღონდ საჭიროა რაღაცით გავაოცოთ იგი. ქალებზე ეს ხერხი კარგად ჭრის. ერთი იდეა მაქვს. მართლაც გენიალური იდეაა, მაგრამ ამის შესასრულებლად დამხმარე დამჭირდება. შენ ხომ არ დამეხმარებოდი? კვირა დღეს, სულ ორი-სამი საათი... მომეხმარები, ხომ?

— მე ჩემი გასაჭირიც მეყოფა. დაცვაზე არ დამიშვეს.

კობზიკოვმა დაუსტვინა:

— ტყუი!

— ესეც შენი „ტყუი"!

— რა გეშველება ახლა?

— ალბათ ტრაქტორისტად წავალ კოლმეურნეობაში.

— გესმის, ბედი გქონია, რომ შენს გვერდით ვარ! გინდა სახალხო მეურნეობის საბჭოში იმუშაო?

— თავი დაანებე სისულელეებს.

— ერთი თვის შემდეგ სახალხო მეურნეობის საბჭოში იქნები, შე ფარაონის ფიტულო! გესმის, ენდე კობზიკოვის პატიოსან სიტყვას! მხოლოდ ამ კვირა დღეს გამიწიე სამსახური. დამეხმარები?

— კვირას ვნახოთ.

— ზუსტად მითხარი! მეც ხომ უნდა მოვემზადო! თეატრის კონსერვი მექნება და ლუდი „სენატორი".

— დაიფიცე!

— მინისტრის ქალიშვილს გეფიცები!

— ვიმედოვნებ, შენს გენიალურ იდეას არაფერი ექნება საერთო ქალის ტუალეტის საგნებთან?

— არა! არა! — დამარწმუნა ვეტექიმმა.

— და სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება?

— მშვიდად იყავი.

— კარგი... ახლა მაინც საქმე არაფერი მაქვს.

ვაცლავმა პაპიროსი ჩააქრო და სერიოზული გამომეტყველებით ლეკურის მსგავსად ჩამოუარა.

— ნახე, როგორ გაგაწბილებთ, არიფო! — შესძახა მან.

— ყიყლიყო-ო! — შეეხმიანა საქათმიდან მამალი.

ოთახში შევედი.

კიმი ბალიშში თავჩარგული იწვა. ჩემს საწოლს საბანი გადავაძრე. ქაღალდის ფურცელმა გაიშრიალა. ასანთის მოციმციმე სინათლეზე უსწორმასწორო სტრიქონებმა ხტუნვა დაიწყეს. გეგონებოდათ, გაცოცხლებულან და სუნთქავენო.

„ქალაქში ვიყავი. შენთან შემოვიარე, მაგრამ არ დამხვდი. ძალიან ვწუხვარ. დღეს სიზმარში გნახე, ისე ცხადად...

რატომ არ ჩამოდიხარ ს.-ში?“

დავწექი, ზეწარი დავიფარე და გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს.

ჩინგისხანის შთამომავალი

დილიდან წვიმდა. კიმი და კრეტოვი ქალაქის ბიბლიოთეკაში წავიდნენ. მე კი შემინულ წინკარში ვიჯექი, რომელსაც შუშაბანდს ვუწოდებდით, რითაც ჭეშმარიტების წინაშე ვცოდავდით. სინდისის დასამშვიდებლად წინ სუფთა ქაღალდი მედო და არაფერს არ ვაკეთებდი. გარეთ წვიმა შმაგობდა. წვრილი შიშველი ფეხებით დაბაკუნებდა და ხან ვის ხმას აჯავრებდა, ხან ვისას. აივნის დამტვერილ მინებზე შერჩენილი წვეთები ბრჭყვიალებდა და მეგონა, რომ ეზოს მხრიდან ფანჯარას მოკვრია და შემომყურებს ვიღაცის ნამტირალევი სახე.

რატომღაც სევდა მომეძალა... მინდოდა, როგორც ბავშვობაში, ავცოცებულიყავი ფართო ღუმელზე, გულაღმა დავწოლილიყავი და მეცქირა შებოლილი, დამსკდარი ჭერისათვის, რომელზედაც ძილისმომგვრელი ზუზუნით შავი ბუზები დაცოცავდნენ. ვწოლილიყავი და მეფიქრა, რომ ველად ახლა მოქუფრულია, გრილა და გვალვისაგან გასავათებული მიწა ხარბად ისრუტავს, სვამს ტენს, როგორც მშიერი მოზვერი. მერე სამუშაოდან დაბრუნდება დედა. იგი ერთიანად დასველებულია, დაღლილი, თავსაფრიდან თმის კულული ჩამოშლია. ოთახი მაშინვე წვიმისა და სველი ბეწვის სუნით ივსება. ქოხში სიგრილე და სიმყუდროვე ისადგურებს. მე ვიკუნტები და ღუნღულა შალში ვეხვევი. გარეთ კი გაუთავებლად ცრის და ცრის შემოდგომის წვიმა. ასე გგონია, დაუსრულებლად იწვიმებს, მაგრამ მე ვიცი, რომ ხვალ დილით სველ, მზეზე მოხასხასე

ბალახზე ვირბენ, მახლობელ ტყეს მივაშურებ, ახლახან მიწიდან ამოხეთქილი ლიპლიპა 'ოკოების დასაკრეფად.

რამდენი ხანია სახლში არ მიმიწერია?

ქაღალდს წავეპოტინე, მაგრამ ამ დროს კარი ხმაურით გაიღო და შუშაბანდში შხაპუნა წვიმის ხმა შემოიჭრა. ზღურბლზე კატია იდგა. სახესა და ხელებზე წყლის ნაკადი სდიოდა.

— გამარჯობა, — მითხრა მან. — არ მელოდი?

— გამარჯობა.

— მარტო ხარ?

— მარტო ვარ...

— ქალაქში მერხებისათვის გამომგზავნეს. მოდი, შევიელიმეთქი, გავიფიქრე. გუშინ დედაშენი შემხვდა, შემომჩივლა, არც ჩამოდის და არც არაფერს მწერ'ო.

— ვმუშაობ. დაჯექი რა...

კატიამ კაპიუშონიანი გამქვირვალე ლაბადა გაიხადა, სკამის ზურგზე დააგდო, შემდეგ ფეხთ გაიხადა და მომიახლოვდა, პატარა და ფეხშიშველი...

— მიმართვა უკვე მიიღე?

— კი. ასპირანტურაში მტოვებენ.

— მაშასადამე, ჩვენთან არ გინდა?

მე მხრები ავიჩეჩე.

— რასაკვირველია, ახლა გაიბღინძები...

ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, ოთახში ახლა ვინმე არ შემოსულიყო, მაშინ ვერსად გაექცეოდი მითქმა-მოთქმას.

— დიდი ხნით ჩამოხვედი?

— მაგდებ? — ჩაიცინა კატიამ.

— არა... მალე დიპლომი უნდა დავიცვა. საშინლად ბევრი სამუშაო მაქვს.

— მაშინ წავალ.

კატიამ ლაბადა და ფეხსაცმელი ჩაიცვა, მაგრამ წასვ'ლას არ აპირებდა. მისი თვალები დაჟინებით შემომყურებდნენ.

— ამ ცოტა ხნის წინ, ბაღში რომ მეძინა, სიზმარი ვნახე, — თქვა მან. — შენ დამესიზმრე, თითქოს ჩემს საწოლთან იდექი, მერე დაიხარე და შუბლზე მაკოცე...

— საოცარი სიზმარია.

— ძალიან... და იცი, უკვე მესამედ ვნახე ეს სიზმარი.

— რას ამბობ!

— დიახ... და ისე ცხადად... თითქოს მართლა ჩამოხვედი.

ვგრძნობდი, რომ კატიას თვალები ჩემსას ეძებდა, მაგრამ მე სუფთა ქაღალდს ჩავჩერებოდი.

— საოცარია, — გავიმეორე მე.

— ჰო, — დამეთანხმა კატია. — აბა, ნახვამდის. — კატიამ კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. — გენა... ჩემთვის არაფერი გაქვს სათქმელი?

— აბა, რა უნდა გითხრა?

— რა ვიცი, რაიმე...

— რაღაცას გეტყვი. მთაზე იდგა ხრალის ხე.

კარი მიჯახუნდა, მერე ფანჯრის იქით ტალახის ჭყაპუნი გაისმა. წავიდა. მე ისევ მოვწიე ჩემკენ ქაღალდის ფურცელი და დავწერე: „სალამი, დედა!“ ფანჯარას მიკრული სახე ახლა უკვე ტიროდა. წვეთები პატარა ნაკადებად იქცა, ნელა ჩაცურდა ქვევით და ისე დაიკლაკნა, თითქოს სახის ნაოჭებში გაიხლართაო. ტრამვაიში ახლა წუნწუხია და ცივა. კატიამ მთელი გზა ტალახით დასვრილ ფანჯარას უნდა უყურო და მერე ორი საათი წვიმაში იაროს. რაღა თქმა უნდა, იგი მერხებისთვის არ ჩამოსულა.

სასწრაფოდ ჩავიცვი ლაბადა-კალოშები. ჩემი დაწყევლილი სუსტი ხასიათი! ხომ გადავწყვიტე... გადავწყვიტე. ნეტა რითი დამთავრდება ყოველივე ეს?

ქუჩაში წვიმა შხაპუნებდა.

კატია გაჩერებაზე მარტო იდგა. კაპიუშონიდან წვრილი ნაკადები ჩამოსდიოდა და სახეზე ბროლის მოციმციმე ლოლუებად ეკიდა.

— სულ დამავიწყდა, — ვუთხარი მე. — დედას გადაეცი, რომ კვირა დილას ჩამოვალ. სოკოს ღვეზელი გამომიცხოს.

— გენა...

— რა?

იგი ყინულის პრინცესასავით შემომყურებდა მოქანავე ლოლუებიდან.

— მე მეტი აღარ შემიძლია...

ტრამვაი მოვიდა. ფანჯრებს მიღმა ბეღურებივით მობუზული ადამიანები მოჩანდნენ.

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

კატია ჩემს ლოყას შეეხო.

— გაცივდები. ქუდი მაინც დაგეხურა.

ხელი ცხელი და მშრალი ჰქონდა.

ტრამვაი წავიდა, მე კი შინისკენ გავუყევი სრიალა ქვაფენილს. წყლის ჭაღლები ქვებს ეხეთქებოდა და, გეგონებოდათ, გზაზე პატარა კაცუნები დახტიანრ. მივდიოდი და ვფიქრობდი იმ იდიოტურ ამბავზე, რომელსაც არა და არ უჩანს ბოლო, წერილების სქელ დასტაზე, რომელიც ვერა და ვერ დაიწვა. რაღა მაინცდამაინც მე შემემთხვა ეს?

მოთხრობა იდიოტურ ამბავზე, რომელსაც ბოლო არ უჩანს და წერილების სქელ დასტაზე, რომელიც ვერა და ვერ დაიწვა

იგი საღამო ხანს მოიტანეს. პროფესორიეთ მაღალმა და ჭაღარა ფოსტალიონმა ძია კოსტიამ ჩანთიდან ცისფერი კონვერტი ამოაძრო და თქვა:

— გენადი იაკოვლევიჩ რიკოვს.

დედამ წინაფარზე ხელები შეიმშრალა.

— ვის? ვის? — გაიკვირვა მან და ხელი გაიწოდა.

— ე-ე, არა, — თქვა ძია კოსტიამ. — აქ წერია „პირადად“. — და ცისფერი კონვერტი გადმომცა.

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს წერილი არ მიმიღია, მითუმეტეს წარწერით „პირადად“. ვიცოდი ვისგანაც იყო ეს წერილი. გავწითლდი და ვთქვი:

— ჰო, ეს ალბათ ბორკამ გამოგზავნა. დიდი ხანი არ არის, რაც იაკუტიაში გაემგზავრნენ.

წერილი სათივეზე ასანთის შუქზე წავიკითხე.

მთელი ღამე ვკითხულობდი. თივაში დავბრრიალებდი, სახლში გავრბოდი ასანთისათვის, ფერფური მიმდიოდა, ჩემთვის ხმამაღლა ვლაპარაკობდი და ისევ და ისევ ვკითხულობდი.

ეს რვეულის ათ გვერდზე დაწერილი სიყვარულის ახსნა იყო, სიყვარულის ახსნა დაწვრილებით. აქ აღწერილი იყო ყველაფერი სულ თავიდან: როგორ დამინახა კატიამ პირველად,

როგორ უნდოდა ჩემთან ერთად ქვეყნის დასალიერამდე ევლო და როგორ უხაროდა ისიც კი, როდესაც ზურგში ქინძისთავით ვჩხვლეტდი. შემდეგ დაწვრილებით ლაპარაკობდა, რატომ ვიყავი მე სიყვარულის ღირსი.

დილას ყველაფერი უკვე ზეპირად ვიცოდი. ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საზიზღარი მეხსიერება მქონდა, წერილში კი უხვად იყო მიმღეობითი კონსტრუქციები და უამრავი სასვენი ნიშანი.

და აი, როდესაც ძილის წინ ლოცვასავით უკანასკნელად ვიმეორებდი კატიას წერილს, უეცრად ერთი ფრაზა არ მომეწონა: „როდესაც შენი წყლისფერი უწარბო თვალებით დამაშტერდებოდი, გულის ცემა მიჩერდებოდა, ჟრუანტელი მივლიდა და მინდოდა...“ ხუმრობითაც რომ ყოფილიყო ნათქვამი, განა შეიძლება საყვარელი ადამიანის თვალებისა და წარბების ასე აბუჩად აგდება?! მითუმეტეს, რომ ჩემი თვალებით ყოველთვის ვამაყობდი. ყველა მეუბნებოდა, მტკიცე, ნებისყოფიანი გამოხედვა გაქვსო. ამიტომ, მეორე დილას, როცა პასუხს ვწერდი (მოსწავლის რვეულის ოცი ფურცელი მიჯრით ნაწერი, უთვალავი რაოდენობის მიმღეობით), ასეთი მინაწერი გავაკეთე:

„P. S. რაც შეეხება ჩემს თვალებს, ძალიან სცდები, მილედი, ქალიშვილებს მეტად მოსწონთ ჩემი თვალები. ეს შენ გაქვს მრუდე ფეხები (გეხუმრები). გკოცნი, გენა“.

ერთმა კვირამ კოშმარებში განვლო. არც ჭამა შემეძლო, არც ძილი, არც მეცადინეობა. დავდიოდი და ერთთავად ვიმეორებდი კატიას წერილს.

ერთი კვირის შემდეგ პასუხი მივიღე. კატიას თითქმის მთლიანად „რომეო და ჯულიეტა“ გადმოეწერა, მხოლოდ სულ ბოლოს გამოთქვამდა საკუთარ აზრს:

„P. S. ჩემი ფეხების შესახებ შეგიძლია ჰკითხო შენს მეგობარს დიმას, მას არაერთგზის უთქვამს კომპლიმენტები. საერთოდ კი, თურმე ბოროტი ყოფილხარ. გაბრაზებული არასოდეს მომწონდი, — მაშინვე ფარშავანგს ემსგავსებოდი (ეხუმრობ). გკოცნი, კატია“.

ეს კი მეტისმეტი იყო — მეტოქისათვის მეკითხა ჩემი შეყვარებულის ფეხების შესახებ! თანაც „ფარშავანგიო“! აბა,

ახლა მიყურე! სასწრაფოდ გადავიწერე სამიოდე ციტატა „ოტელოდან“, ჟურნალიდან ამოვეერი ლექსი „ჩემო სიყვარულო!“ და დავჯექი პოსტსკრიპტუმის შესადგენად. კატიას მივწერე, რომ ტყუილად მოაქვს თავი. თუ მე შემიყვარდა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ყველაზე კარგი იყო სკოლაში. ცუდი აგებულება, შეთხელებული თმა, უგემოვნობა ჩაცმაში — აი, არასრული აღწერა ყინულის პრინცესას ნაკლოვანებებისა.

პასუხი ავიაფოსტით მოვიდა. წერილში მხოლოდ რაღაც ფორმალისტური ლექსი ეწერა ღამის ფარვანებზე, მოსწავლის რვეულის დანარჩენი შვიდი გვერდი პოსტსკრიპტუმს ეკავა. ეს პოსტსკრიპტუმი სულ იოლად გამოდგებოდა მახინჯი ადამიანის — ბოროტი, ტლანქი, ბრიყვი მტარვალის ანატომიის სახელმძღვანელოდ. ეს მახინჯი კი მე ვიყავი. ბოლოში ეწერა: „გკოცნი. კატია. წერილი ავიაფოსტით გამოგზავნე“.

რასაკვირველია, ავიაფოსტითვე ვუპასუხე. ვუპასუხე მთელი ჩემი ძალებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

შემდგომ ჩვენი მიმოწერა მეტად გამოცოცხლდა. პოსტსკრიპტუმებმა მთლიანად შეავიწროვა პირველი ნაწილი, რომელიც შექსპირის ციტატებისა და ფორმალისტური ლექსებისაგან შედგებოდა. გაოცებულები დავრწმუნდით, რომ სრულიად არ ვიცნობდით ერთმანეთს. თურმე ჩვენ მახინჯები, სულელები, ულამაზოები, დაუნდობლები, უსამართლოები ვყოფილვართ. ჩვენი წერილები სულ უფრო მკვახე და მოკლე ხდებოდა. საბოლოოდ ფოსტალიონმა ძია კოსტიამ ღამით დეპეშა მომიტანა (პირველად ჩემს ცხოვრებაში). დეპეშაში მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „მძულხარ“.

დილით გაკვეთილიდან დავეთხოვე და საპასუხო დეპეშა გავაგზავნე:

„მძულხარ კვადრატში“. საღამოს კი პასუხი მივიღე: „მძულხარ კუბში“.

სიძულვილის მეოთხე ხარისხი, ასე მეგონა, სათანადოდ ვერ გამოხატავდა ჩემს გრძნობებს. მთელი დღე ვფიქრობდი და ბოლოს შევთხზე: „მძულხარ კოსმოსამდე“. დეპეშამ, როგორც ჩანს, საჭირო შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ამის შემდეგ დუმილმა დაისადგურა. მაშასადამე, უკანასკნელი სიტყვა მაინც მე ვთქვი.

ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად დამშვიდებული გავემგზავრე. დიმკამ გადაწყვიტა დაუსწრებლად ესწავლა ინსტიტუტში. მან უცბად წაიწია წინ. ჩემი მეტოქე ჯერ ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირის თანაშემწედ დანიშნეს, შემდეგ კი ბრიგადირად. რა თქმა უნდა, მან გადაწყვიტა არ გაემრუდებინა თავისი კარიერა. ან იქნებ დიმკა მაშინვე რაღაცას წინასწარ გრძნობდა? ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, დიმკა დარჩა, მე კი წამოვედი და, როცა დავბრუნდი, უკვე გვიანი იყო. დიმკა კატიაზე დაქორწინებულიყო.

ეს სრული უაზრობა იყო, მთელი წელი ვერაფრით შევეგუე ამას, მერე კი, რასაკვირველია შევეჩვიე. ახლა უკვე სრულიად ნორმალურად ვგრძნობ თავს. ოღონდ ეს კია, ქარიან ღამეებში მეჩვენება, რომ ვიღაც მეძახის. თითქოს ვიღაც შორიდან მიხმობს, მაგრამ ვინ — ვერაფრით მივმხვდარვარ. ამ დროს სიხარული დამეუფლება ან სევდა შემომაწვება, მინდა ვიტირო კიდეც და ვიცინო, გავიქცე, ვიხოხო, ვიდრე ძალ-ღონე მეყოფა. და კიდევ, ერთი საოცარი თვისება შევიძინე — მთელი ჩემი არსებით თანავუგრძნობ ბუნებას. ვგრძნობ ფოთლის თრთოლას, ხის ქერქის ქვეშ წვენის მოძრაობას, ჩემს გვერდით გაფრენილი ჩიტის გამოხედვას. იქნებ ეს ყინულის პრინცესას ოინებია? ამბობენ, პაპამისს, ბოშას, ჰიპნოზის გაკეთება შეეძლოო. მაგრამ განა რა საჭიროა ეს ყველაფერი?

კვირა დილას მუჯლუგუნმა გამაღვიძა.

— ადექი! დროა! — წამიჩურჩულა კობზიკოვმა.

რიჟრაჟი იყო.

ფანჯრიდან სველი ბალახის სუნი შემოდიოდა, მარია ქვაბებს აჩხარუნებდა.

— ეგებ კიდევ დაგვეძინა...

შეშინებულმა კობზიკოვმა ხელები გაასავსავა:

— ისედაც გვიან გაგვეღვიძა. სრულიად არ გესმის მომენტის მთელი მნიშვნელობა! პაემანი სათესელას გამოგონება არ გეგონოს!

ვეტექიმი დაფაცურდა. საგულდაგულოდ იუთოვებდა, იპარსავდა, რაღაც მალამოებს ისვამდა და ყოველ თხუთმეტ

წუთში მაღაზიაში გარბოდა, რათა გამყიდველებისთვის დაემტკიცებინა, რომ კონიაკი არაყი არ არის და მისი გაყიდვა შეიძლება დღე-ღამის განმავლობაში.

მალე ამ გულმოდგინებამ შედეგი გამოიღო. ნამძინარევი, თმააბურძგნილი ვეტექიმი ფაბრიკანტის ვაჟს დაემსგავსა, ქალაქგარეთ გასასეირნებლად რომ ემზადება. ჩემი შესახედაობით კი ახალგაზრდა დენდი უკმაყოფილო დარჩა.

— შენ ეგვიპტის ფარაონის მუმიას გავხარ, — მითხრა მან. — რა იდიოტური ქოჩორი გაქვს! პერანგი? ნეტა რამ დაგიჭმუჭნა ასე? ღმერთო ჩემო, ან როგორ გაპარსულა! ერთი, ორი, სამი. სახეზე მთელი ტყე დაგიტოვებია! მოდი აქ, ძმაო.

ნახევარი 'აათის შემდეგ თვალებდაჭყეტილი სარკის წინ ვიდექი და საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. როგორი ზრდილი, პეწიანი გავხდი! გინდა, ახლავე გადაიღე სურათი ჟურნალ „ზდოროვიესა“ ან „რაბოტნიცას“ გარეკანისთვის.

კობზიკოვსაც მოვეწონე.

— არა უშავს, — თქვა მან, თან აქეთ-იქით მატრიალებდა. — გამოდგები. აი, ცხვირი რომ ოდნავ გრძელი გქონდეს...

— მე ჩემი ცხვირით კმაყოფილი ვარ. წავიდეთ?

— მოიცადე. კიდევ რაღაც უნდა.

ვაცლავმა ჩემოდანი გახსნა და იქიდან თეთრი ატლასის ნაჭერი ამოიღო.

— ჩალმის გაკეთება იცი?

— ჩალმის? — გავიოცე. — რა ეშმაკად გინდა?

— ყოველ ნორმალურ ადამიანს უნდა შეეძლოს ჩალმის გაკეთება.

— გეყოფა სისულელეები! წავიდეთ.

მაგრამ კობზიკოვმა თავზე ნაჭრის შემოხვევა დაიწყო.

— აბა, როგორია?

— წავალთ თუ არა?

— მოიცადე. ახლა შენ მოგარგებ.

თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი, რომ ვეტექიმმა თავზე ჩალმა დამახურა.

— შესანიშნავია! ნამდვილი არაბი ხარ! თავადური სისხლის ბედუინი!

ახლა კი ეჭვი შემეპარა.

— მე ხომ არ უნდა გავხდე არაბი?

— მერე რა მოხდა? — წაიბურტყუნა ვეტექიმმა, თან თვალს მარიდებდა. — ვინ მიხვდება?

— მე ეს საქმე არ მომწონს.

კობზიკოვი აღელდა.

— ნამდვილი ფარაონის მუმია ხარ! ეს ხომ გენიალურად არის მოფიქრებული. შენ მისატყუებელი იქნები. რომელი ქალი არ დაინტერესდება იმ მამაკაცით, რომელსაც მეგობარი არაბი ჰყავს? გაისეირნებ ნავით და გაქრები. დანარჩენი უკვე ჩემი საქმეა. სულ რაღაც ერთი საათი.

— ეს ამბავი არ მომწონს! შარს არ გადავეყაროთ!

— ნურაფრის გეშინია! არაბები ჩვენს ქალაქში არ არიან. ეს ზუსტად ვიცი. არც მათი ენა იცის ვინმემ. რას კარგავ? პირიქით, სასიამოვნოც არის: ყველას ყურადღების ცენტრში იქნები. თანაც, შენ ხომ პირობა მომეცი. გენადი რიკოვი სიტყვის კაცია. მაგრამ, აი, ცხვირს რა ვუყოთ... მისმინე, იქნებ მუყაოს ცხვირი გაგიკეთო? აბა, ცხვირპაპუა არაბი სად გაგონილა? ჰო, აი კიდევ რა... შენ ჩინგისხანის შთამომავალი ხარ.

— მისმინე, კობზიკოვ, — ვუთხარი მოთმინებადაკარგულმა. — გეყოფა. გეყოფა! ყელამდე ვარ შენი გამომგონებლობით. ისტორია მაინც იცოდე! ყოველმა მეხუთეკლასელმა იცის, რომ ჩინგიზხანი მონღოლი იყო.

— მაშინ შენ მონღოლი იქნები.

— მონღოლები ჩალმას არ ატარებენ. — ვუთხარი ნიშნის მოგებით. — მათ ბეწვის ქუდები ახურავთ.

კობზიკოვმა კეფა მოიფხანა.

— არა-ა... ბეწვის ქუდი არ გამოდგება. ჩალმაშია მთელი მულამი. იცი რა? გაარაბებული მონღოლი იქნები! ამგვარად, შენ ჩინგისხანის შთამომავალიც ხარ და ჩალმაც გახურავს! ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავ.

— ჩერჩეტო... — დავიწყე მე და უცებ შევნიშნე, რომ კიმს დიდი ხანია ღვიძავს და გაშტერებული შემოგვყურებს. იგი ისეთი გაოცებული სახით მოგვჩერებია, თითქოს თავისი გარდაცვლილი ბებია იხილაო.

— წავედით მასკარადზე...—ჩავიბურტყუნე მე, ჩალმა მოვიძრე და კიბეზე გავვარდი. კობზიკოვი უკან მომყვა.

ეტყობოდა, ცხელი დღე იქნებოდა. — ჯერ კიდევ ცხრა საათი იყო, მაგრამ მზე ისე აჭერდა, რომ მიწა სანდლებიან ფეხებს გვიწვავდა. „შეიარაღებული ძალებიც“, ჩანს, უქეიფოდ იყო. ქვიშაში შემძვრალიყო და ნისკარტი დაეღო.

ვაცლავი ქვიშის გროვასთან მივიდა და დაფიქრებულმა მამლის თავს თვალიერება დაუწყო.

— ქათმის წვნიანი ბუნების წიაღში, — თქვა მან. — რა შეიძლება იყოს ამქვეყნად ამაზე უკეთესი?

ვეტექიმი სწრაფად დაიხარა, ქვიშიდან მამალი დაითრია, თავი ფრთის ქვეშ ამოუდო და ზურგჩანთაში ჩატენა.

— ჩქარა წავიდეთ!

— უკადრისი საქციელია, — ვუთხარი მე. — ჩინგიზხანის შთამომავლის მეგობარს არ შეჰფერის.

— კარგი! ამ თემაზე მერე ვიმსჯელოთ.

ქალიშვილი ‹ახალხო მეურნეობის საბჭოდან მდინარის ნაპირზე შეგვხვდა.

— უჰ, — თქვა ვაცლავმა, თან ოფლს იწმენდდა. — ხომ ხედავ, მაინც მოვიდა, შენ კი ამბობ, რომ მე ქალებს არ ვიცნობ!

ქალიშვილი მაღალი იყო, ღონიერი, მსუბუქ ჩითის კაბაში გამოწყობილი, თეთრი კლიპსები თითქმის მხრებამდე სცემდა. იგი მოურიდებლად დამაშტერდა.

— იცნობდეთ, — თქვა დიდი ამბით კობზიკოვმა. — ჩემი კარგი ნაცნობი ადელი. ჩემი კარგი ნაცნობი...

— მაჰ... მაჰმუდი, — წავიბუტბუტე მე და გავწითლდი.

— და კიდევ რაღაცნაირად... — თქვა ბერძენმა.

— ელ-ჯუნდი...

— რუსული იცით? — მკითხა ადელმა.

— არა, არა, — სწრაფად დაარწმუნა ვაცლავმა. — მაგრამ იგი ტუჩების მოძრაობით ხვდება.

— რა სასაცილოა... — ადელმა უტიფრად დამიწყო თვალიერება თავიდან ფეხებამდე. — ჩალმა...

— ყველა არაბს ჩალმა ახურავს.

— აქ ‹აიდან გაჩნდა?

— ჩვენთან გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდა.

ნავში ჩავსხედით და დინებას ავუყევით. ადელმა კაბა მაშინვე გაიძრო და საცურაო კოსტიუმში გამოკვალთული ‹ხეუ-

ლი გამოაჩინა. მას უზადო ტანი ჰქონდა. ქალი თვალს ისევ არ მაშორებდა. საძაგელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

მთელი გზა ჩემი პიროვნების ირგვლივ ტრიალებდა საუბარი, არჩევდნენ ჩემი ტანსაცმლის დეტალებს, მსჯელობდნენ ჩემს აგებულებაზე. ადელს განსაკუთრებით ჩემი პაჭუა ცხვირი აღელვებდა. ნუთუ არაბებს ასეთი ცხვირებიც აქვთ? ვაცლავი ფაკირივით იძვრენდა თავს.

— ულექსიკონოდ ვკითხულობ ყველა მაგათ გაზეთს, — უტიფრად იცრუა კობზიკოვმა. — ქალაქში ერთადერთი ადამიანი ვარ, ზუსტად რომ ვიცნობ არაბების ზნე-ჩვეულებებს. ქალაქკომის მდივანი პირადად მესტუმრა და მთხოვა მისი თანმხლებობა მეკისრა. მეტი რა გზა მქონდა, მეც დავთანხმდი, თუმცა დრო სრულებით არა მაქვს. არა უშავს რა ყმაწვილია. სხვათა შორის, ჩინგისხანის შთამომავალია.

— ჩინგისხანის?!

— დიახ... პირდაპირი შტოა. მისი წინაპრები მონღოლეთიდან არაბეთში გადასახლდნენ ოჯახური მდგომარეობის გამო და იქ გაარაბდნენ.

— ჩინგისხანის... — ადელი მოჯადოებულივით მიყურებდა, როგორც ბავშვი, ზღაპარს რომ უსმენს, — საინტერესოა, როგორი ხასიათი აქვს? ალბათ, მებრძოლი, თავისი წინაპარივით.

— არა-ა, წყნარი ბიჭია.

ადელი პირდაღებული ისმენდა. მე უბედურად მცხელოდა ჩალმაში. ოფლის წვეთები შუბლზე ჩამომდიოდა და ქალს მუხლებზე ეცემოდა.

— პარდონ, მადამ, — ვბუტბუტებდი მე.

კობზიკოვი ლაჟლაქებდა, ნიჩბებს უსვამდა, მაგრამ გამანადგურებელ მზერას არ მაცილებდა: ეშინოდა, რუსულად ლაპარაკი არ დამეწყო. ფიჭვის ფიცრების, ქალის მხურვალე სხეულისა და შლამის სუნი ტრიალებდა, მდინარე მზეზე ისე ბრწყინავდა, როგორც გიგანტური თევზის გვერდი. შორიახლო მიმავალი მოტორიანი ნავებიდან თვალს არ გვაშორებდნენ. ერთმა ისე გვიყურა, რომ ნაპირს შეასკდა და მგზავრები წყალში ჩაცვივდნენ.

ბოლოს ვიგრძენი, რომ, თუ ახლა სადღაც არ გავჩერდე-

ბოდით, უთუოდ ბოლი ამივიდოდა. ვითომ წყალი მომწყურდა, ნავის კიჩოსკენ გავცოცდი და ვაცლავს ჩავჩურჩულე:

— აღარ შემიძლია... მოდი დაამთავრე...

— ცოტა შორს უნდა წავიყვანოთ, შე, მართლა მუმია! — წაისისინა ვაცლავმა.

— ახლავე მოვიძრობ ჩალმას.

— ერთი გაბედე! დაგახრჩობ?

ჩემს ადგილზე დაებრუნდი.

— ეს მაპმუდი, — თქვა კობზიკოვმა, — საშინლად შემეჩვია. სადაც წავალ, იქ მომყვება. დამპირდა, ნამდვილ არაბულ ტაიჭს გაჩუქებო.

— ო! — თქვა ადელმა.

— დიახ. მომავალ ზაფხულს თავისთან მეპატიჟება არაბეთში ცოლთან ერთად.

— თქვენ განა ცოლიანი ხართ?

— ვაპირებ. მაგრამ ვერაფრით ვერ ვიპოვე შესაფერისი ქალიშვილი!

— რას ბრძანებთ! ჩვენთან იმდენი კარგი ქალიშვილია!

— კარგები არიან, მაგრამ თითქმის ყველას ჰყავს საქმრო.

— საქმრო ჯერ კიდევ ქმარი არ არის.

გულმოსული ვუსმენდი დონჟუანის ყბედობას, ვწყევლიდი იმ წუთს, როდესაც ამ იდიოტურ საქმეზე დავეთანხმე.

მარჯვენა ნაპირზე განმარტოებული ტოტებგაშლილი მუხა გამოჩნდა. მის ირგვლივ შავი სქელი ჩრდილი გაწოლილიყო. მუხის ქვეშ თხა ბალახობდა. შორიდანაც კი იგრძნობდა კაცი, რომ იგი ნეტარებაში იყო.

ნერვებმა მიმტყუნა.

— ბირ-ბირ-ბირ, — ვთქვი მე და მუხაზე მიგუთითე.

კობზიკოვმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ არ ესმოდა.

— ბირ-ბირ-ბირ, — დაჟინებით გავიმეორე.

— რას ამბობს? — ჰკითხა ადელმა.

— ისეთს არაფერს, აღფრთოვანებულია რუსეთის ბუნებით.

— ბირ-ბირ-ბირ — მუხა, — ვთქვი მე მუქარით და ნიჩაბს ჩავებღაუჭე.

— მას, მგონია, მუხასთან მისვლა უნდა. მე არაბული ენა ცოტა უკვე მესმის.

— არა. იგი მთხოვს ნიჩბები მოვასმევინო. დიდი სიამოვნებით, ინებეთ, მამიჰედ.

ხმის ამოუღებლად ნავიდან გადავხტი და ნაპირისაკენ გავცურე.

— ეი, მაჰმუტინ! საით? — შეშინდა ვაცლავი. — დაბრუნდი!

ნაპირზე კობზიკოვი ხის უკან გავიხმე და ვუთხარი:

— გეყოფა! გესმის? თორემ ყველაფერს ვიტყვი!

დონჟუანი აწრიპინდა:

— გეხვეწები! ცოტა კიდევ! კიდევ ერთი ბეწო! შეიძლება მთელი საქმე ჩაიშალოს. დაჯექი რა! რას კარგავ? ახლა მამალს შევჭამთ.

მე საათს დავხედე.

— კარგი. ორმოც წუთს გაცლი.

— შენ ნამდვილი მეგობარი ხარ!

ჩვენ უკვე დავბრუნდით. ადელს ბალახზე ჭრელი მოსასხამი გაეშალა და ჟურნალს ათვალიერებდა.

— ჩემს მეგობარ მოჰამედს, — უტიფრად თქვა კობზიკოვმა, — ძალიან უყვარს ფრინველის ხორცი. ახლა ის არაბულ ყაიდაზე მოგვიმზადებს მამალს.

— ბირ-ბირ-ბირ, — წავიბურტყუნე უკმაყოფილოდ.

— უმჯობესია რუსულად? ჩინებულია! ახლავე მზად იქნება! თქვენ კი კოცონი გააჩაღეთ! მამალს შამფურზე შევწვამთ.

კობზიკოვი ნავისაკენ გაიქცა, სადაც ბარგი გველაგა.

ადელმა ჯიქურ შემომანათა თავისი ცისფერი თვალები. მეშინოდა, ქალს თავისდა სავალალოდ არ შევყვარებოდი. მაშინ კობზიკოვს ვერ გადავურჩებოდი.

— თქვენ არც ერთი სიტყვა არ იცით რუსულად? — მკითხა ადელმა.

— არა, — ვუპასუხე მე.

საბედნიეროდ, გამოჩნდა მეტად აღელვებული კობზიკოვი.

— მამალი მოიპარეს!

— რას როშავ!

— ღმერთმანი. ზურგჩანთა ცარიელია. მთელი ნავი გადავანგრიე, კვალი არ ჩანს.

— ალბათ მელიამ მოიტაცა.

— ეს უკვე სიმართლეს ჰგავდა.

მუხის ქვეშ საფენი გავშალეთ, ცენტრში ჩვენი ხორაგი დავალაგეთ.

კონიაკი ცივი იყო, ტყუილად კი არ ათრია კობზიკოვმა მთელი გზა თოკზე გამობმული.

ადელი უხმოდ სვამდა, არ იპრანჭებოდა. „ლამაზი გოგოა,— გავიფიქრე მე, თან ალმაცერად დავუწყე ყურება ჩემი მეზობლის მზით გარუჯულ მხრებს, — ქალაქის პარკში მდგარ თაბაშირის ქანდაკებას ჰგავს. მაინც კობზიკოვი თავზეხელაღებული ყმაწვილია, მის ცოლად შერთვას რომ ბედავს“.

როდესაც ყველაფერი შეიჭამა და შეისვა, ვაცლავი და ადელი წავიდნენ, რათა ბუნების სილამაზით დამტკბარიყვნენ. მე თავბრუ მეხვმოდა. მდინარე, ტყე, ცა რაღაც ბუნდოვანი, თითქმის არარეალური, მაგრამ ამავე დროს ახლობელი და გასაგები გახდა. ტანთ გავიხადე და საცურაო კოსტიუმის ამარა ქვიშაზე გულაღმა დავწექი.

„ჯანდაბას მისი თავი, რაც უნდა, ის იფიქროს. — გადავწყვიტე ჩემთვის, თავი რატომღაც განაწყენებულად ჩავთვალე.— ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს კოცნას დაუწყებენ, მე კი ლენჩივით ამ სულელურ ჩალმაში უნდა ვიჯდე!

ახლა, როცა ამ დღეს ვიხსენებ, ასე მგონია, რომ ის არც არასოდეს ყოფილა, რომ მე ეს ყველაფერი რომელიღაც წიგნში ამოვიკითხე დიდი ხნის წინ და უკვე თითქმის დავივიწყე. ჩემს ხსოვნაში ეს დღე ყვითელ ქვიშაზე მზის დიდ ლაქად დარჩა. აშკარაა, მაშინ ძალიან ბევრი დავლიე, რადგან ცხელი ქვიშისა და ცივი წყლის გარდა არავითარი შეგრძნება არ დამრჩა. მგონი, მოვიდა კობზიკოვი, რაღაცას მიყვიროდა, მაგინებდა, მერე ისევ მოვიდა, შემანჯღრია, მილოცავდა და ხმამაღლა იცინოდა.

— შენ ახლა სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარი ინჟინერი ხარ! — ჩამძახოდა ყურში...

ვიღაცის შეხებამ გამომაფხიზლა. უკვე საღამოვდებოდა. ტყიდან გრძელმა ჩრდილებმა გამოყვეს თავი და მდინარიდან წყლის სმა დაიწყეს. ჩემს ფეხებთან კოცონი ენთო. მისი კვამლი ტყისკენ მიიკვლევდა გზას და მეჩვენებოდა, თითქოს ხეები მუხლებამდე წყალში ჩამდგარანო.

ჩემ გვერდით კატია იჯდა და თმაზე ხელს მისვამდა.

იმას ვერ ამჩნევდა, რომ დიდი ხანია გამეღვიძა. ყინულის პრინცესა საცურაო კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ფუმფულა კუდად შეკრული თმა შავგვრემან ზურგზე ეშვებოდა.

კატია სადღაც ზემოთ იყურებოდა. იქ, უსაშველო სიმაღლეზე თვითმფრინავი მიფრინავდა. მზის სხივებით განათებული, ბრწყინვალე, როგორც გამდნარი ოქროს ნატეხი, ჩაქუფრულ ცასა და ვარსკვლავებს შორის გზას მიიკვლევდა. კომეტის კუდივით მეწამული ზოლი მიყვებოდა უკან. წყვდიადი თვითმფრინავს მისდევდა და მანათობელ კვალს ნთქავდა, ის კი იცინოდა, სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა და ფრთებით მზე მიჰქონდა.

ყინულის პრინცესას ჭკვიანი და ნაღვლიანი სახე ჰქონდა. არასოდეს შემხვედრია ასეთი სახის ქალები... ისინი ყოველთვის თამაშობენ.

— აქ საიდან გაჩნდი?

კატია შეკრთა და ჩემკენ მობრუნდა.

— გახსოვს ჰომეროსი? ოდისევსი ტალღებმა ნაპირზე გამორიყეს, და იგი ნავსიკაამ იპოვა... მერე მთელი სიცოცხლე ერთად იყვნენ.

— არ არის სწორი. იგი თავის მეუღლესთან გაემგზავრა.

— ჰო, — ნაღვლიანად თქვა კატიამ. — შენ ისტორიაში ყოველთვის „ფრიადი“ გყავდა.

მე ჩემს საცვლებს გადავწვდი.

— მიდიხარ?

— დიახ.

— იქნებ ცოტა გვეცურავა?

— არა.

მე უსიტყვოდ ჩავიცვი. საცვლები ნესტიანი და დაჭმუჭნილი იყო. კატია ჩემკენ ზურგშექცევით იჯდა.

— ნახვამდის! — ვუთხარი მე.

— მოიცა, გენა...

იგი წინ დამიდგა და ცდილობდა ჩემთვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ მეტად პატარა იყო, შუბლით ძლივს სწვდებოდა ჩემს ნიკაპს.

— მისმინე, გენა... მოდი ხვალ... დილიდანვე ერთად გავემ-

გზავროთ. მთელი დღით... შორს, შორს... ოღონდ მარტო ჩვენ... გესმის, ჰხოლოდ ჩვენ ორნი. მზე. ქვიშა, წყალი და ჩვენ... და თოლიები.

— ჩვენს მხარეში თოლიები არ არიან.

— მე კარტოფილს შეგიწვავ... იცი რა გემრიელი კარტოფილის შეწვა ვიცი! ვიბანავებთ, მერე შენ წამიკითხავ რომელიმე წიგნს. ერთ დღეში ხომ შეიძლება წიგნი წაიკითხო? მერე ერთად ვიცლით ფეხშიშველები მინდვრად, ცვრიანში... მთვარიან ღამეს. ხვალ უსათუოდ ძალიან ლამაზი მთვარე იქნება...

— ჰო-ო... ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ შენი ქმარი რას იტყვის?

მას ბაგე აუთრთოლდა. სწრაფად აიტაცა კაბა და ფეხსაცმელი და მდინარის გასწვრივ ბილიკს გაუყვა. მალე იგი ნისლს შეერწყა.

ეწყინა. რატომ ეწყინა? განა მე ტყუილი ვუთხარი? მას მართლაც ჰყავს ქმარი.

ქალიშვილი ეკითხელ ცდება

— ყი-ყლი-ყო!

საწოლიდან წამოვხტი და ფანჯრიდან გავიხედე. საქათმის სახურავზე „შეიარაღებული ძალები" შემომჯდარიყო და მთელი ხმით გაყვიროდა.

— ეს რაღა ეშმაკია? — საწოლიდან ხმა გაიღო ვაცლავმა.— ეგორიჩმა სხვა მამალი იყიდა?

— არა, მგონი ისევ ის არის.

კობზიკოვმა ფანჯრიდან თავი გაყო და სასწრაფოდ ჩაცმა დაიწყო.

—ვერ მოგართვი, — ვუთხარი მე. — მაგას ხელსაც ვერ ახლებ! გესმის? ეს იშვიათი ფრინველია.

— და ალბათ საოცრად გემრიელი. გამიშვი!

მაგრამ მე პირსახოცით ხელები შევუკარი მამლიჭერიას.

— ჩვენ მას სიცოცხლეს ვჩუქნით! გესმის? შემოგვფიცე, რომ თითსაც არ დააკარებ!

— ვფიცავ...—სწრაფად წარმოთქვა მიზანდასახულმა დონ-ჟუანმა, — თითს არ ვახლებ, მაგრამ ნაჯახს კი შევახებ.

მთელი დღე კარგ გუნებაზე ვიყავი: კობზიკოვის სიტყვები „ახლა შენ სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარი ინჟინერი ხარ“ არ დამსიზმრებია. ამჯერად ვეტექიმს ძალიან გაუმართლა ბედმა. ადელი სახალხო მეურნეობის საბჭოს კადრების განყოფილების გამგის ქალიშვილი აღმოჩნდა. გუშინ საღამოს კობზიკოვმა წინადადება მისცა, რაზედაც გაურკვეველი პასუხი მიიღო: „არ ვიცი... მამა რას იტყვის...“ ამ საქმეებში დიდად გარკვეული ვეტექიმის აზრით, მამა ამას სიხარულით შეხვდებოდა.

ვაცლავმა მამასთან წარდგენის საბაბით ათი მანეთი გამომტყუა და წავიდა, რათა ადელის გულზე იერიში გაეგრძელებინა.

— დროში ვიჭედები, — ასე ამიხსნა თავისი აჩქარება.

კობზიკოვის წასვლის შემდეგ ეგორ ეგორიჩი გამოგვეცხადა, თან „როშუ დე დესერტის“ ბოთლი და ძეხვი მოიტანა.

— მინდა მოგელაპარაკო, — მითხრა მან. — კარი დახურე.

მე კარი ჩავრაზე. ეგორ ეგორიჩმა ჭიქაში ღვინო დაასხა და ძეხვი წინ დამიდო.

— დანიშნულება მიიღე? — მკითხა მან.

— დიახ.

— საით?

— შორს.

— მომისმინე, შენთან რჩევისთვის მოვედი... შენ სასოფლო-სამეურნეოზე სწავლობდი... გაზეთში წავიკითხე: მართლა შეიძლება ბოსტნეულის წყალში მოყვანა?

— როგორ არა, — ვუპასუხე, თან ძეხვს შევექცეოდი. — ასეთი მეთოდი არსებობს. ჰიდროპონური ეწოდება. წყალი და რკინის ყუთები. მერე მთელი წელი პამიდორი არ მოგაკლდება. ისე, მაინც რატომ დაგაინტერესა ასე უცბად სოფლის მეურნეობამ?

— გადავწყვიტე მეც ასეთი რამ გავაკეთო. სახურავი ჩემს სახლს ას ოცი კვადრატული მეტრი აქვს. ვიყიდი თუთიის გეჯებს, წყალს გავიყვან, გავაკეთებ დღის სინათლეს, გათბობას. მობინადრეები მეცოდებიან, ზოგს წვრილშვილი ჰყავს, ბაზარზე კი ბევრს ვერაფერს იყიდი. აქ კი მთელი წელი გამოულევ-

ლად გვექნება კიტრიცა და პამიდორიც. ახრამუნეთ, პატარებო, ღმერთმა შეგარგოთ.

— მოფიქრებით, კარგად მოგიფიქრებია, მაგრამ საინჟინრო და აგრონომიული ცოდნის გარეშე, ეგორიჩ, ამას ვერ მოერევი. ჰიდროპონური მეთოდი — ფაქიზი საქმეა.

— ჰოდა, მეც ამისთვის მოვედი. მოდი, შენ ითავე.

— ჰა-ჰა-ჰა! სახურავის მექანიზაციის ინჟინერი.

— შენ ნუ იცინი. უკმაყოფილო არ იქნები. კარგ ხელფასს მოგცემ და იცხოვრე მზამზარეულზე... მთელი წელი ბოსტნეული არ მოგაკლდება. თანაც ქალაქში იქნები ჩაწერილი.

— არა, ეგორიჩ, თავი დამანებე. მადლობელი ვარ პატივისცემისათვის, ვწუხვარ, რომ ერთი ბოთლი გამოგიცალე, მაგრამ თავი დამანებე.

პრეზიდენტმა დარჩენილი ღვინო აიღო და კარიდან მომაძახა:

— სამწუხაროა. შენ სერიოზული ბიჭი ხარ, დადებითი, თავქარიან კობზიკოვს არ გავხარ. მე და შენ კარგად შევეწყობოდით.

— მორჩი, ეგორიჩ, გაათავე, სიცილისაგან მუცელი მტკივა.

პრეზიდენტი მოულოდნელად გაბრაზდა.

— შენ გგონია, ჩემთვის ვცდილობ? მათგან კაპიკსაც არ ავიღებ!

— ეჭვიც არ მეპარება, ეგორიჩ, მაგრამ გეყოფა, გეხვეწები.

— წვალობ ამათთვის, შრომობ და მაინც ცუდი ხარ, — ეგორ ეგორიჩმა გადააფურთხა და კარი გაიჯახუნა.

ერთი სული მქონდა, ვიდრე კიმი ინსტიტუტიდან დაბრუნდებოდა. ბოსტნეული ამბავი უნდა მეამბნა. კიმს გამგზავრების წინ უამრავი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი.

მაგრამ კაპიტანმა უყურადღებოდ მომისმინა.

— უჰკუო გაპუტული ინდაური, — შეიგინა მან უბოროტოდ. — მუქთახორა! დრო არა მაქვს, თორემ ქალაქიდან გავასახლებინებდი! იცი, რა ახალი ამბავი მოვიტანე?

— რა?

— აბა, მიხვდი.

— დაცვაზე დაგვიშვეს და ასპირანტურაშიც გვტოვებენ.

კიმი გაოცდა.

— საიდან გაიგე? მართალია, ასპირანტურაში არ გვტოვებენ, მაგრამ დიპლომის დაცვის უფლება მოგვცეს.

— რაო?! — ახლა კი მე გავოცდი.

— დიახ. დიახ. ყველაფერი კრეტოვმა გააკეთა, მაინც თავისი გაიტანა. „ზემოდან“ დაურეკეს. დეკანი კბილებს აკრაჭუნებდა, მაგრამ დათანხმდა, ისე კი, მგონი, სამარცხვინოდ ჩაფლავებას გვიპირებს. კრეტოვმა თქვა — კარგად მოემზადეთ, ანგარიშებში არც ერთი შეცდომა არ უნდა გქონდეთო. წადი, თინა მოიყვანე. დღე და ღამე უნდა გავასწოროთ.

იმ დღეს გამოთაყვანებამდე ვმეცადინეობდით. მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი ორზე გავამრავლე და ექვსი მივიღე, კიმმა თქვა:

— გვეყოფა. ხვალ ცოტა ადრე დავიწყოთ.

— თქვენ რა, გააფრინეთ? — იკითხა ოთახში შემოსულმა კობზიკოვმა. — ვერაფრით შეეშვით ამ სულელურ სათესელას.

— შენი საქმე არ არის, — წაიბურტყუნა კიმმა.

— ნუთუ არ შეიძლება სამკითხველო დარბაზში იმეცადინოთ? მე ახლა სასიძო ვარ და სრული სიმშვიდე და გაძლიერებული კვება მჭირდება. გასაგებია?

— მართლა სასიძო ხარ? — ვკითხე მე.

ვაცლავმა მხრები აიჩეჩა:

— რა სალაპარაკოა? გენა, ერთი წუთით გამოდი.

ჩვენ დერეფანში გავედით.

— დღეს შევიტანეთ განცხადება, — წამიჩურჩულა ვეტექიმმა.

— ნუთუ? — გავიკვირვე მე. — ასე სწრაფად?

— ჰო, სიმამრთან ვიყავი. მოველაპარაკე სამუშაოს შესახებ. მითხრა, ძალიან გვლანძღავენ სასოფლო-სამეურნეო განათლების გამო, მაგრამ თქვენთვის გამონაკლისს გავაკეთებო. მე მნიშნავს მსხვილი რქოსანი საქონლის რაღაც კონსულტანტად, შენ — ინსპექტორად.

— აკი მეუბნებოდი, მთავარ ინჟინრადო!

— ეს ჯერჯერობით. გესმის? მუმია შენა! ეს კიდევ უკმაყოფილოა. როგორ აგიყვანს ინჟინრად, როცა დიპლომი არა გაქვს?

— დიპლომიც გვექნება. ჩვენ დაცვის უფლება მოგვცეს.

— თუ დიპლომი იქნება, ადგილიც იქნება. გასაგებია? აი, ასე უნდა იმოქმედო. კიმი საით აპირებს?

— ტრაქტორისტად მიდის კრეტოვთან.

— სამწუხაროა. ტრაქტორისტს ზემდგომებთან არავითარი საქმე არა აქვს. აი, მექანიკოსად რომ წასულიყო, ყოველთვე გაუგზავნიდი ცირკულარებს შენი ხელმოწერით. აი ასე ხდება, ძმაო, ცხოვრებაში. ერთად დაამთავრებენ, მერე ერთი ჭაპანს ეწევა, მეორე ცირკულარებს უწერს... ისე იცოდე — ვაცლავ კობზიკოვმა ხალხში გაგიყვანა, და არ დაივიწყო...

ჩვენ ყველაზე ბოლოს გავედით დიპლომის დასაცავად. ფანჯრებში იისფერი ღამე იყურებოდა. კონსერვის მინის ქილაში, რომელზედაც ეკრა ეტიკეტი „წვრილი თევზი ტომატში“, ჟასმინი ჩამომჭკნარიყო. კომისიის წევრები მალულად საათზე იხედებოდნენ. მხოლოდ გლიბკა ვერ ისვენებდა. მოზუზუნე ბზიკივით თავს დაგვტრიალებდა და სულ კრიჭაში გვედგა. კიმს სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, თვალები ლოთივით გაუწითლდა.

ბოლოს, როგორც ჩანს, თვითონ გლიბკაც დაიღალა. მასს სიტყვა გაუწყდა და თავმჯდომარის სავარძელზე დაეშვა. ოთახში შვებით ამოისუნთქეს.

— ჩავწეროთ, ნაუმ ზახაროვიჩ? — იკითხა კოსარევსკიმ (უწყისს ის ავსებდა).

— „ჩავწეროთ“! „ჩავწეროთ“! მერედა, მე თქვენ გეკითხებით, სად არის გამომგონებლების დასკვნები „ჩქაროსნულ“ სათესელაზე?

— ჩვენთვის ტრაქტორი რომ მოგეცათ, დასკვნებიც იქნებოდა, — უტიფრად უპასუხა კიმმა.

— აჰა, ტრაქტორი! — დეკანს სუნთქვა შეეკრა. — თქვენ საუკეთესო ტრაქტორი გამიფუჭეთ და კიდევ ბედავთ მისაყვედურეთ! თქვენ პასუხისგებაში ხართ მისაცემი!

— ნებას მომცემთ? — ადგილიდან წამოდგა კრეტოვი. — ასეა თუ ისე, მე ვიყავი ამ ყმაწვილების სადიპლომო დაპროექტების ხელმძღვანელი... ვიტყვი უბრალოდ, ყოველგვარი ფორმულების გარეშე. მფრინავი ფარცხი ვერ იმუშავებს. მყვი-

რალა საფრთხობელაც არ გამოგვადგება. არც თხუნელები სჭირდება სოფელს. ჩქაროსნული სათესელა კი სჭირდება. თანაც როგორ! დასწრებიხართ როდისმე საგაზაფხულო თესვას, ნაუმ ზახაროვიჩ?

— გთხოვთ ილაპარაკოთ არსებითად საკითხის შესახებ!

— მაშ, ინებეთ, არსებითად... თქვენ მეცნიერი არა ხართ, ნაუმ ზახაროვიჩ!

კრეტოვი რატომღაც გვერდზე გადაიხარა და დაჯდა. ოთახში უჩვეულო სიჩუმე გამეფდა. სუნთქვაშეკრული ველოდი, რა მოხდებოდა. დეკანს კისერი წითელი ლაქებით დაეფარა, ლოყები კი გაუფითრდა.

— სტუდენტობას ვთხოვ დაგვტოვონ! — ამოიხრიალა გლიბკამ. დერეფანში ბნელოდა. მე და კიმი რაფაზე ჩამოვსხედით, თინა ფანჯრისაკენ მიბრუნდა და ეზოში დაიწყო ყურება. ნახევარი საათის განმავლობაში კრინტი არ დაგვიძრავს.

ბოლოს კარი გაიღო და გლიბკამ ჩაგვირბინა სქელი პორტფელით ხელში. უკან კომისიის წევრები მიყვნენ. კრეტოვი მოგვიახლოვდა.

— გილოცავთ, ინჟინრებო, — თქვა მან.

მხოლოდ ახლაღა შევნიშნე, რომ ჟრუანტელი მიელიდა და კბილს კბილზე მაცემინებდა.

— აბა, წავიდეთ, რაღას უდგეხართ, — თქვა კრეტოვმა.

ინსტიტუტის დერეფნები დაცარიელებულიყო. წინ თვალებანთებულმა კატამ ჩაგვიქროლა. შესასვლელში მაგიდაზე თავჩაქინდრულ მორიგეს ეძინა. ქალს მხრებზე მთვარის სხივებისაგან მოქსოვილი შალი ეხურა. ცა ვარსკვლავებს მოეფარდაგებინა.

— რა შესანიშნავი ღამეა, — ვთქვი მე, — მორიგეს კი სძინავს.

გზაჯვარედინზე შევჩერდით.

— შენ საით? — ვკითხე კიმს.

— დიმიტრი ალექსეევიჩს მივეხმარები ბარგის ჩალაგებაში. ხვალ მივემგზავრებით.

შევამჩნიე, რომ კიმი თვალს არ აცილებდა თინას.

— გამაცილებ? — ჰკითხა კიმმა.

— არა... დეიდა გამიხდა ავად.

— მაშინ... კარგად იყავი.

— ნახვამდის.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— მოიწერეთ, როგორ მოეწყობით, — გვითხრა კრეტოვმა.

— კარგი, დიმიტრი ალექსეევიჩ...

ის და კიმი წავიდნენ.

მე და თინა მდინარისაკენ დავეშვით.

თბილი ნიავი პიჯაკში ატანდა, თმას მიწეწავდა. ისევ ქარიანი ღამე იყო... სოსნოვკაში ახლა ბაღები შრიალებენ და დროდადრო, შორეული კანონადასავით, ბაყაყების ყიყინი ისმის.

თინა გვერდით მომყვებოდა. შავი ვიწრო კაბა უფრო მაღალსა და მოხდენილს აჩენდა. წითური თმა მჭიდროდ ჰქონდა გამოკრული, როგორც თავთავის ძნა.

ფარდულში ერთი ბოთლი ღვინო და მაგარი, დაშაქრებული კანფეტები ვიყიდე.

— ეგორ ეგორიჩმა შემომთავაზა, — ვთქვი მე. — სახურავზე ბოსტნეული მოვიყვანოთო. ხელფასი კარგია.

თინა დუმდა.

— რატომ არ იცინი?

— არ მეცინება.

ამის შემდეგ უხმოდ გავაგრძელეთ გზა. სამგზავრო მატარებელმა გრუხუნით გზა გადაგვიჭრა და ჩაიქროლა.

მდინარეს აღმა ავყევით და მორყეული კიბით ათმეტრიან კოშკურაზე ავედით. ნაგებობა მუხლებამდე წყალში ჩამდგარ გათოშილ გოლიათს წააგავდა. იგი ირხეოდა და გულსაკლავად ჭრაჭუნებდა. აქედან გაჩირაღდნებული ქალაქის შესანიშნავი ხედი იშლებოდა. მილიონობით სინათლე ფანტასტიკურ ნაუშებად გადახლართოდა ერთმანეთს.

ღვინო პირდაპირ ბოთლიდან მოვსვით, ცარიელი ბოთლი კი წყალში გადავუძახეთ. მდინარემ ხმაურით ხარბად შთანთქა იგი.

— შენს მომავალს გაუმარჯოს, — თქვა თინამ, — ეგებ რამდენიმე წლის შემდეგ მოოქრული თასებიდანაც დალიო. შენ ყველაფერს მიაღწევ, რასაც მოისურვებ. მამაკაცებს ყველაფრის უფლება გაქვთ. თქვენ ბავშვობიდანვე გამზადებენ საგმირო საქმეებისათვის.

— თქვენ?

— ჩვენ — გასათხოვრად. ეს ჩვენი ერთადერთი კოზირია იმ თამაშში, რომელსაც ცხოვრება ეწოდება. შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ძნელი ხელოვნებაა — ეძებო ქმარი. ცეკვებზე თქვენ ხედავთ მხიარულ არსებებს, რომლებიც დაფარფატებენ, თვალებს ნაბავენ, გულუბრყვილოდ ისულელებენ თავს, მაგრამ არც ის იცით, რად გვიღირს ყოველივე ამის გაკეთება უთვალავჯერ. ერთი შეცდომა და დაიღუპა მთელი ცხოვრება. იმ ათი წუთის განმავლობაში, როცა მამაკაცთან ცეკვავ, უნდა შეიცნო მთელი მისი არსება, ყოველმხრივ განჭვრიტო... ამბობენ, მენაღმე ერთხელ ცდებაო, ქალიშვილი...

მე რატომღაც არ მესიამოვნა თინას გულახდილობა.

— გაჩუმდი, — ვუთხარი მე.

მაგრამ ღვინომ თავისი ქნა.

— დიახ. გამოგიჭერს რომელიმე აფთარი, შენი თითის ფრჩხილადაც რომ არ ღირს, შენ კი მას ღვთაებად წარმოიდგენ. ენანობ, ხელიდან რომ გაგიშვი. ახლა კი... გესმის, ცოლად მითხოვე — თორემ ახლავე ამ კოშკურიდან გადავვარდები!

თინა კიდესთან მივიდა და ქვევით ჩაიხედა. ქარმა გამოკვეთა მისი სხეული. ჭრაჭუნებდა და ირწეოდა ხის ჩალანგარი.

— არ გადავარდები, — ჩავიცინე მე.

— შენ ასე გგონია?

თინა კიდევ უფრო გადაიხარა შავი უფსკრულისაკენ.

— შენ ასე გგონია? — გაიმეორა ჩურჩულით, თან უფრო მეტად იხრებოდა წინ, თითქოს მდინარე თავისკენ იზიდავსო.

მე ხელზე ხელი ვტაცე.

— ნუ სულელობ! შენ მთვრალი ხარ.

— გამიშვი!

თინამ ნაბიჯი გადადგა და შეჰკივლა. მის ამ სხეულმა ჩემ თვალწინ გაიელვა. ქვევიდან ყრუ შხაპუნის ხმა გაისმა.

გულსაკლავად ჭრაჭუნებდა კოშკურა. ყურთან კოღო მიბზუოდა. მდინარე დუმდა. უეცრად სიბრალული ვიგრძენი საკუთარი თავისადმი, ამავე დროს უჩვეულო აღტაცებაც, ადგილს მოვწყდი და თავით გადავეშვი უფსკრულში.

თხუთმეტი წუთის შემდეგ, ერთიანად დასველებულები, ნაპირზე ვიდექით. თინა ერთდროულად ტიროდა და იცინოდა კიდეც.

— უბრალოდ წავიბორძიკე, უბრალოდ წავიბორძიკე, — იმეორებდა იგი.

მერე ცუდად გახდა.

შარვალი გავიხადე და გავწურე. თბილი ქარი ქროდა, ქარი, რომელსაც ყოველთვის შორეული ძახილის ხმა მოჰქონდა. ციმციმებდნენ ქალაქის ჩირაღდნები და თითქოს ვარსკვლავებში ირეოდნენ. გვერდით მოუსვენრად მიჩუხჩუხებდა მდინარე.

როდესაც ჩავიცვი, თინა მომიახლოვდა და მხრებზე ხელები დამადო.

— ახლა როგორ მოვიქცეთ? — მკითხა მან და თან თვალებში მაცქერდებოდა.

— არაფერი არ შეცვლილა, თინა, — ვუთხარი მე. — შენ ხომ... წაიბორძიკე.

თინამ ხელები მომაცილა.

— წავიდეთ, — უეცრად მკვახე და ჩახლეჩილი ხმით მითხრა. — მცივა.

პირველსავე ფარანთან გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მე ვიცოდი, რომ ვეღარასოდეს ვნახავდი ჩემი მეგობრის საცოლეს.

— ნახვამდის, თინა, — შვებით ვუთხარი, — ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა...

— ნახვამდის, გენა. გისურვებ წარმატებას. — თინამ ფეხის წვერებზე აიწია და ფრთხილად მაკოცა შუბლზე. — შენც დამლოცე.

— გისურვებ დიდ, დიდ წარმატებას, ცამდე...

შინ რომ დავბრუნდი, უკვე თენდებოდა. ვეტექიმის საწოლი ცარიელი იყო — რაც დიპლომი დაიცვა სამი დღის წინ, მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. მთელ ოთახში საოცრად ძლიერი და მძაფრი სუნი იდგა. ნათურა ავანთე და ტუმბოზე, საწოლის თავთან, შავი ვარდების თაიგული დავინახე.

ნაწილი მეორე

ქსო

ხმა მინისქვეშეთიდან

მატარებელი საღამოს ჩამოვიდა. ჩემოდანი ავიღე და პერონზე გავედი. ჩემოდანი მძიმე იყო. დედამ იყოჩაღა და მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ქილებით, პარკებითა და ბოხჩებით გამოტენა. სახურავს მიაკრა მამაჩემის დიდი ფოტოსურათი და ნოხი. ეს ახალი ბინისთვის — განა შეიძლებოდა სახალხო მეურნეობის საბჭოს უფროს ინჟინერს დიდხანს ეცხოვრა საერთო საცხოვრებელში! საინტერესოა, რასა იქმს კობზიკოვი? ორი თვის განმავლობაში ალბათ შეეჩვია კიდევაც ახალ ადგილს. კონსულტაციას უწევს ყველას. როდესაც დედასთან მივემგზავრებოდი, ვეტექიმის საქმე ჩინებულად მიდიოდა. მომავალ სიმამრთან, მგონი საერთო ენაც გამონახა. მშენებლობასაც დავხედო. ნეტა რა დღეშია სახლი, რომელშიც ბინა უნდა მომცენ? ან იქნებ ჯერ კობზიკოვთან წავსულიყავი? იგი მეუბნებოდა, რომ დროებით სიმამრთან დასახლდებოდა...

არა, პირველ რიგში სახლი უნდა მოვინახულო.

წვიმა სულ ახლოს იწყებოდა: სადღაც სამი მეტრის სიმაღლეზე ჩემ თავს ზემოთ. ჩანჩქერის მტვერივით წმინდა, ნისლად გაწვა ტროტუარზე, გამჭვირვალე ბლონდივით შემოეხვია ადრიანად ანთებულ ფანჯრებს. ზოგჯერ ქარი მოსწყდებოდა მრავალსართულიანი სახლების სახურავებს და თეთრი ქარაშოტი უკან დაედევნებოდა გაქცეულ ტრამვაის.

ქუჩები მოქუფრული და უკაცური იყო. ურიკებზე, რომლებზეც „ცხელი ღვეზელები“ დაეწერათ, ჩამოკონწიალებულიყო გაბერილი ტენტები. წყალგაუმტარ ლაბადაში გამოწყობილი მილიციონერი ნაფლეთებად ქცეულ გაზეთს კითხულობდა. ქუჩის მეორე მხარეს, ხის ტოტებზე ჩამომსხდარი ჩიტები ძალიან წააგავდნენ ტალახის გუნდებს.

ფეხსაცმელი დამისველდა. წყალი თმიდან საყელოს ქვეშ მიწანწკარებდა. სადღაც, ძალიან შორს, ქვაზე იჯდა თეთრპანამიანი ქალიშვილი და მხურვალე მზისაგან თვალებმოწუტული ოკეანის შორეთს გაჰყურებდა. მარილიანი, იოდის სუნით გაჟღენთილი ქარი ზღვის ქაფს აშხეფებდა სახესა და ხელებზე, აშოლტილ, გარუჯულ სხეულს ელამუნებოდა. ჰორიზონტზე ძლივს მოჩანდა გემის სილუეტი. „შემსალაროში ფული დაუგროვებია...“ ქალიშვილი მე მელოდა.

მალე, მალე მოვალ. მოითმინე. მეც აუცილებლად გიპოვი!.. ღიმილით მივაჭყლაპუნებდი გუბეებში.

კანალიზაციის ღია ლიუკიდან ვიღაცამ თავი ამოყო. მოთხუპნულმა ყმაწვილმა წვიმიანი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა.

— ჰეი, ძმობილო, ვერ მომაწევინებ?

— არ ვეწევი.

უცბად ყმაწვილმა მხიარულად შესძახა.

— ბიჭოს, ეს ხომ რიკოვია!

დაბნეული დავაცქერდი.

— ვერა მცნობ? ერიჰა! ჩემო ძმაო, ძალიან მალე კი გაყოყოჩებულხარ! კოლმეურნეობის მექანიკოსი გახდი? ან იქნებ კოლმეურნეობის თავმჯდომარეც?

თითქოს ვიცანი და თან ვერც ვცნობდი. ნუთუ კობზიკოვია? რასაკვირველია, ის არის! ჭუჭყიან კომბინეზონში გამოწყობილი ვეტექიმი საქანჩე გასაღებს ატრიალებდა და მხიარულად იკრიჭებოდა საკანალიზაციო ლიუკიდან.

— აქ რას აკეთებ? — ვკითხე მე, როდესაც გაოცებისაგან გონს მოვეგე.

— განა ვერ ხედავ? კანალიზაციას ვარემონტებ. მილი გასკდა.

— გეყოფა ლაქლაქი. რატომ ჩაძვერი აქ? რატომ სამუშაოზე არ ხარ?

— ახლავე ყველაფერს მოგიყვები. — კობზიკოვი დაიხარა და ლიუკში ჩასძახა: — პახომიჩ! მარტო იმუშავე! მეგობარს შევხვდი! ოცდაათი წელია არ მინახავს!

— აბა, მიამბე, რა მოხდა? — ზოოტექნიკოსს შეშფოთებით შევხედე.

— სახლში. სახლში. გრძელი ამბავია.

— ახლა სად ცხოვრობ?

— ეგორიჩთან.

— კი მაგრამ...

— მოითმინე. ყველაფერს გაიგებ.

ჩვენს ქუჩაზე უწინდებურად ისეთივე გაუვალი ტალახი იყო. მდინარისაკენ რაკრაკით მიქროდა ყვითელი თიხის ნაკადები. იმ ადგილას, სადაც ეგორ ეგორიჩი'ს ქოხი უნდა მდგარიყო, განცვიფრებული შევდექი. იგი აღარ იყო. ჩემგან სამ ნაბიჯზე უზარმაზარი ახალი, ჯერ კიდევ შეუღებავი ყავრის ორმეტრიანი ღობე აღმართულიყო. ფიცრები ისე წაეწვეტებინათ, როგორც რომელიღაც ციხე-კოშკის გალავნის ქონგურები. ზევით შემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთული.

მე გავოცდი. ან პრეზიდენტი ჭკუიდან შეიშალა, ან „ნოეს კიდობნის" ადგილას სამხედრო ობიექტი ააგეს.

კობზიკოვმა ახალ ჭიშკარს ფეხი მიარტყა. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ნაბიჯები'ს ხმას გავიგონებდით. ჭიშკარი ჭრიალით გაიღო.

— ვინ არის?

— სტუმრები მიიღე, ხელმწიფევ!

— ბიჭოს! ვის ვხედავ! — აფუსფუსდა ეგორ ეგორიჩი.

მამლის რეზიდენციიდან ლეკვმა გამოყო თავი და აწკმუტუნდა. მაშასადამე, ეგორ ეგორიჩმა ძაღლი გაიჩინა.

კიბეც ახალი ფიცრის იყო. რაღაც მოხდა.

მაგრამ უფრო დიდი საკვირველება „ჩვენს" ოთახში მელოდა. მოულოდნელობისაგან უცებ გავქვავდი ერთ ადგილზე. მე ვიდექი გრაფინიას ბუდუარში. ცისფრად შეღებილი კედლები ოქროსფერი ნაყშებით იყო მოხატული, ფანჯრებზე გამჭვირვალე ფარდები ეკიდა, იატაკი სარკესავით ბზინავდა. მაქმანშემოვლებულ საბანზე ივან-და-მარია იწვა და გაყვითლებულ გაზეთს კითხულობდა.

— რა ქარმა გადმოგაგდო, დასწყევლოს ღმერთმა!

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩვენ ოთხივე „კუბანსკაია ლიუბიტელსკაიას" შევექცეოდით. ვაცლავი თავის სევდიან თავგადასავალს გვიყვებოდა.

— კოსტიუმი მიყიდეს. ფეტრის შლაპაც მიყიდეს. ეჰ, გენა, რომ იცოდე, რა შლაპა იყო: რბილი, მხურვალე, ალერსიანი,

როგორც კატა! დავიხურავ ხოლმე და მივდივარ, ის კი ისე მეფერება, ისე მესიყვარულება და თითქოს კრუტუნებს კიდეც. კიდევ ნეილონის პერანგი მიყიდეს. შენ, გენა, არასოდეს გცმია ნეილონის პერანგი? მე კი მთელი ოთხი დღე მეცვა. ჰო, კიდევ შალი'ს ყელსახვევი მიყიდეს, სამხრეთელი ქალივით მხურვალე და პორტფელივით სქელი. კიდევ, გენა, მიყიდეს კოვბოური შკარები და კორტები კაუჩუკის სქელ ძირზე. ინგლისური კორტები. მიდიხარ და ისინი „უჩუ-უჩუ-უჩუს“ ბუტბუტებენ თავისებურად, ესე იგი ინგლისურად. კიდევ, ძმებო, ცხვირს იაპონური ბატისტის ცხვირსახოცით ვიწმენდავდი. ეჰ, განა ყველაფერს ჩამოთვლი, რაც იმათ მიყიდეს!

კობზიკოვი თავით ხელებს დაეყრდნო და ჩაფიქრდა. ჩვენ ვდუმდით. ოთახში მხოლოდ ტუჩების წკლაპაწკლუპი ისმოდა.

— საქმეზე ილაპარაკე, — ვუთხარი მე.

— „თქვენობით“ მომმართავდნენ, ვაცლავ ტიმოფეევიჩს მეძახდნენ, — ვეტექიმმა თავი ასწია, ცრემლი მორეოდა. — ჭნავზე დაყენებულ კონიაკს მასმევდნენ. ყოველდღე, გენა, ბატს ვჭამდი, როსტოვის „კაზბეკს“ ვეწეოდი, საღამოობით კ „მოსკვიჩით“ პროსპექტზე დავქროდი. მთელი ეს ნუგბარი ცხოვრება ორშაბათიდან ხუთშაბათამდე გაგრძელდა. ხუთშაბათს კი, გენა, წამართვეს შლაპაც, ნეილონის პერანგიც და დავრჩი ისევ ცარიელ-ტარიელი.

ცუდი წინათგრძნობისაგან უცებ გული გადამიქანდა.

— მაშასადამე, არ დაქორწინებულხარ? — ვკითხე ნირწამხდარმა.

— არა.

— და არც სახალხო მეურნეობის საბჭოში მუშაობ?

— არა.

— მერე რატომ, რატომ? განა რა ჩაიდინე? — დავიყვირე მე.

— ასე მოხდა, გენა. ნუ მიყვირი, თუ შეიძლება, ისედაც ცუდ გუნებაზე ვარ.

— მიმიფურთხებია შენი ცუდი გუნებისათვის!

— ჰოდა... მაშინ მისმინე...

ვაცლავ კობზიკოვის ნაამბობი იმის შესახებ, როგორ წაართვეს ფეტრის რბილი შლაპა, ნეილონის პერანგი, კაუჩუკის სქელლანჩებიანი ინგლისურად მოლაპარაკე ფეხსაცმელი, იაპონური ბატისტის ცხვირსახოცები და მამაკაცის ტუალეტის სხვა საგნები

ვაცლავ კობზიკოვის აზრით, ამ საქმეშიც მისი არანორმალური ბედისწერა ჩაერია. იმიტომ, რომ მთელი ეს ამბავი იდიოტურად აეწყო.

ჩხუბი მმაჩში, რეგისტრაციის წინა დღეს მოხდა. ხუთშაბათს დილას ვაცლავსა და ადელს ხელი უნდა მოეწერათ, ოთხშაბათ საღამოს კი წაიჩხუბნენ.

ისე კი სისულელეზე იჩხუბეს. წინადღით ადელის დედამ, როზალია იოსიფოვნამ, ახალდაქორწინებულთა საძინებლის მოწყობა დაამთავრა. საძინებელი მოდერნის სტილზე მოაწყვეს. რა სტილი იყო ეს, ვაცლავ კობზიკოვმა დღემდე ვერ გაარკვია.

მაგალითად, კატას კუდი გაუკრიჭეს, კისერზე რაღაც მედალი ჩამოკიდეს და კატა მოდერნის სტილისა გახდა. ამიერიდან მისი არც ხელში აყვანა შეიძლებოდა, არც საჭმლის ნარჩენებით კვება; თაგვების დაჭერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ან ასეთი მაგალითი. სადილმა მოდერნის სტილზე რომ ჩაიაროს, სუფრაზე, რაც შეიძლება, უცერემონიოდ უნდა მოიქცე, ხმაურით ღეჭო, მოყვე ანეკდოტები, ხოლო სიტყვები კბილებში გამოსცრა.

თუმცა კობზიკოვს ძვირფასი პეწიანი უცხოური ტანსაცმელი ჩააცვეს, იგი მაინც არ იყო მოდერნის სტილისა, ვინაიდან მარცხენა ხელის ნეკი არასწორად ეჭირა. იმის მაგივრად, რომ 30—35 გრადუსით მოხრილიყო, ვაცლავის ნეკი მხოლოდ და მხოლოდ 10—15 გრადუსიან კუთხეს ქმნიდა.

ისაენკოების მთელი ოჯახი მოდერნის სტილზე იყო გაგიჟებული. მთავარ კანონმდებლად როზალია იოსიფოვნა ითვლებოდა. იგი მთელი დღეები მაღაზიებში დარბოდა და „მოდერნულ“ ნივთებს ეძებდა. მისი თქმით, ეს ნივთები მას სრულია-

დაც არ სჭირდებოდა, ამას მხოლოდ და მხოლოდ ლევ ბორისოვიჩისა და ქალიშვილის გულისათვის აკეთებდა, რათა მათ „ადამიანებისათვის თვალებში შეხედვა არ შერცხვენოდათ“.

ამ სტილით ლევ ბორისოვიჩიც იყო გატაცებული. თურმე მოდერნი ვრცელდებოდა არა მარტო ნივთებზე, არამედ ხელმძღვანელობის მეთოდებსა და საწარმოო საქმიანობაზეც. ლევ ბორისოვიჩი ბინაზე მოსულ ადამიანებთან უბრალოდ და ცოტა უცერემონიოდაც იქცეოდა, არყით უმასპინძლდებოდა და ასე მიმართავდა: „ჩემო ძამიკო... ტყავში გაძვერი, მაგრამ გააკეთე“.

საძინებლის მოწყობამ ისაენკოების ოჯახს ქანცი გამოაცალა. დაუსრულებლად შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ავეჯი, ხსნიდნენ და ჰკიდებდნენ სურათებს. ოთახში არათუ დასაძინებელი, დასაჯდომი ადგილიც კი არ მოიძებნებოდა. კობზიკოვი უკვე დაოსტატდა და იქ ტარზანისებურად ხტოდა, მაგრამ შემდეგ ყველა ნივთი გაიტანეს, სურათები ჩამოხსნეს. დარჩა საწოლი, ორი სკამი და მაგიდა. როზალია იოსიფოვნამ განაცხადა, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს მოდერნის სტილის საძინებელი, მაგრამ მას რაღაც აკლიაო.

— რაღაც, იცით... ამდაგვარი... — როზალია იოსიფოვნა გაურკვეველ ჟესტს აკეთებდა. — დასრულებული, უჩვეულო, მგრძნობიარე.

ვაცლავ კობზიკოვი თვლიდა, რომ საძინებელს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ, როგორც გონიერმა ადამიანმა, დუმილი არჩია, რადგან ეშინოდა, არ გაბითურებულიყო ამ მოდერნის სტილის გამო. ვეტექიმმა გადაწყვიტა ყველაფერი აეტანა დაპირებული მსხვილი რქოსანი საქონლის კონსულტანტის ადგილის გულისათვის.

ისაენკოების ოჯახი გულმოდგინედ შეუდგა ამ „რაღაცის“ ძებნას. როზალია იოსიფოვნამ წონაში ორას ოცდაათი გრამი დაიკლო. ახლა სახლში გაუთავებლად მიდი-მოდიოდა უცხო ხალხი. ისინი ათვალიერებდნენ საძინებელს, ნეფე-სადედოფლოს და უხვად არიგებდნენ რჩევა-დარიგებებს. ლევ ბორისოვიჩსაც მოჰყავდა საქმის მცოდნეები, მაგრამ იდუმალი „რაღაც“ ძველებურად გაურკვეველი რჩებოდა.

ბოლოს, ოთხშაბათს, ვახშამზე როზალია იოსიფოვნამ იდუ-

მალი გამომეტყველებით განაცხადა, რომ საძინებლის მოწყობა დასრულდა. დღეს, სრულიად შემთხვევით, ერთ ნაცნობთან საზღვარგარეთული მწებავი ბუზიჭერიები იყიდა საშინლად ძვირად. მაგიდაზე უწესრიგოდ მიმობნეული, ისინი მეტად დიდ ეფექტს ახდენენ და მოდერნულ საძინებელს დასრულებულ იერს აძლევენო.

ყველა, რასაკვირველია, აქოთქოთდა, მაშინვე სუფრიდან წამოხტნენ და საძინებელში გაცვივდნენ მწებავი ბუზიჭერიების სანახავად. მხოლოდ ვაცლავ კობზიკოვი დარჩა შიშისაგან სკამზე მიჯაჭვული. საქმე ის იყო, რომ ხუთი წუთის წინ მან სწორედ ეს მწებავი ბუზიჭერიები შეჭამა. საღამოს შინ დაბრუნებულმა ვეტექიმმა მაგიდაზე ლამაზი ფერადი ფილები დაინახა. რადგან კობზიკოვი მეხუთე კლასის დონეზე კარგად ფლობდა ინგლისურ ენას, ბუნებრივია, წარწერა ვერ გაარკვია, გადაწყვიტა, რომ ადელმა მას საზღვარგარეთული კანფეტები უყიდა და ბუზიჭერიები შეჭამა.

როზალია იოსიფოვნა სასადილოში კრუხივით აფოფრილი დაბრუნდა.

— ეს თქვენ ჩაიდინეთ, ვაცლავ ტიმოფეევიჩ? — იკითხა მან აკანკალებული ხმით.

— ისინი საერთო ჰარმონიას არღვევდნენ, — წაიბუტბუტა ვაცლავმა, — ამიტომაც შევჭამე.

— შეჭამეთ?! — თავზარი დაეცა როზალია იოსიფოვნას.— ბუზიჭერიები!

— ისინი არც საალოსკენ იყვნენ, არც საიქიოსკენ, — თავს იმართლებდა კობზიკოვი, — ოთახში დისჰარმონიას ქმნიდნენ.

— ბუზიჭერიები — დისჰარმონიას?! — დაიყვირა როზალია იოსიფოვნამ. — თქვენ არაფერი გაგეგებათ! ლოვა! შენი სიძე...

საძინებლიდან ლევ ბორისოვიჩი გამოვიდა და როგორც მხეცს, ისე მიაჩერდა კობზიკოვს.

— მართლაც, ჩემო ძმაო, ასე... არ ვარგა... — თქვა მან.

— თქვენც ვითომ ბევრი გესმით, — სიტყვა შეაწყვეტინა კობზიკოვმა. — რაღაც სისულელე მოიგონეს და გადაყვნენ მას, თითქოს ეგვიპტის ფარაონის მუმია იყოს!

ვაცლავს ეს არ უნდა ეთქვა. როზალია იოსიფოვნას

მკვდრისფერი დაედო. როდესაც საქმე მის გემოვნებას ეხებოდა, ოჯახის დედის გული ქვავდებოდა.

— თურმე თქვენ უზრდელი და უხეშიც ყოფილხართ, — დაასკვნა მან.

მაგრამ ვაცლავმა უკვე თავი აიწყვიტა.

— არიან კი ზრდილობიანი უხეშები?

— თქვენ თურმე უწმაწური ოხუნჯობაც გცოდნიათ!

— თქვენ კი უმოწყალო მოდერნისტი ხართ. დაუყოვნებლივ „სასწრაფო დახმარებაში“ უნდა მაგზავნიდეთ, თქვენ კი აქ სისულელეებზე მედავებით!

— ლოვა! ლოვა! შენი სიძე ნამდვილი ხეპრეა!

— ჰმ... შენ, ძმაო, ისა... მართლაც მეტის-მეტად უტიფარი...

— თქვენ კი ჩვარი ხართ!

როზალია იოსიფოვნას ისტერიკა დაემართა. ადელსაც. ვაცლავს შეეშინდა. იგი ბოდიშს იხდიდა, მუხლებზე დაჩოქვაც კი სცადა, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. მას ნაჩუქარი ნივთები წაართვეს და კარზე მიუთითეს.

— მართალი რომ ითქვას, — თქვა კობზიკოვმა, როცა ისაენკოების ოჯახს ტოვებდა, — თქვენი ოჯახი თავიდანვე არ მომეწონა. წყეული მოდერნისტები. უბრალოდ, მე სამსახურში მინდოდა მოწყობა.

ამ უკანასკნელი სიტყვების გამო ვაცლავი ახლა ნანობდა. ეგებ როგორმე მაინც შერიგებულიყვნენ? ბოლოს და ბოლოს, სადმე იყიდიდა ამ იდიოტურ ბუზიკერიებს...

— გამოუსწორებელო ღორმუცელა. — ვუთხარი მე, როცა ვეტექიმმა თხრობა დაამთავრა. — რა ეშმაკი ჩაგიძვრა მუცელში, ბუზიკერიები რომ ჩახეთქე! რა გიყო ახლა? თავი გაგიხეთქო? სად წავიდე? შენ ცხოვრება გამიმრუდე!

— რას იზამ, ისევ ვაცლავ კობზიკოვის იმედი გქონდეს. სულ რამდენიმე დღეში ჩარხსაშენებელ ქარხანაში დაგაწყებინებ მუშაობას. ახლა საქმეს გაუძღვება ივან-და-მარია, ესე იგი ივან-და-გლორია. იგი ამ დღეებში ცოლად ირთავს ქარხნის დირექტორის ქალიშვილს.

— შენ რა, სულ გადაირიე? მარია სადღაა?

— მარია ფაფუ. გავაგდეთ. რად უნდა მარია, თუკი კუდში დასდევს გლორია? თავბრუდამხვევი კარიერა ელოდება. ახლა ვანიუშკა უკვე ოსტატია. გასაგებია?

— ეს სულ შენი ოინებია? — მივუხვდი მე.

— ის მღალატობდა, — თქვა ივან-და-გლორიამ.

კობზიკოვმა შეუმჩნევლად თვალი ჩამიკრა.

— დღესავით ნათელია — ღალატობდა. ჭრა-კერვის კურსები.

— დავლიოთ კიდევ! — თქვა მოღუშულმა ახალგამომცხვარმა ოსტატმა.

— გენა... — კობზიკოვმა ნდობით აღსავსე ცისფერი თვალებით შემომხედა.

ჩემი ხელი თავისით გაცურდა ჯიბისკენ და მაგიდაზე თუმნიანი დააგდო. კობზიკოვმა დაუდევრად ჩაუდო იგი პრეზიდენტს.

— ამ ფულით რაც მოგივა, ეგორიჩ.

პრეზიდენტი კარისაკენ გაეშურა. მხოლოდ ახლაღა მივაქციე ყურადღება მის გარეგნობაში მომხდარ ცვლილებას. ეგორიჩი უკანასკნელ მოდაზე იყო ჩაცმული. ვიწრო შარვალი, წითელი ხალათი, ჭვინტიანი შავი ფეხსაცმელი. თმა „კანადურად“ შეეკრიჭა.

— ეს რას ნიშნავს? — ვკითხე კობზიკოვს. — ღობე, ძაღლი, ეგორ ეგორიჩის მოდური ჩაცმა? ყველა ერთბაშად ხომ არ გადაირიეთ?

— ცი-ვი-ლი-ზა-ცი-ა! — თქვა ვეტექიმმა ორაზროვნად. — დროის ქროლვა. მისიონერები ხალხში გადიან.

— მან ჯერ კიდევ არ იცის? — შეშფოთდა ივან-და-გლორია.

— არა. ნუ ეტყვი. სიურპრიზი მოვუწყოთ. მეშინია მხოლოდ, ენაბლუობა არ დასჩემდეს.

ყურადღებით შევხედე ჩემს თანამოსაუბრეებს. წითელი და იდუმალებით მოცული სახეები ჰქონდათ.

— კარგი, ჯანდაბას თქვენი თავი! თუ სიურპრიზია, სიურპრიზი იყოს. მომიყევი, სად მუშაობ, როგორ ცხოვრობ.

— ვმუშაობ ზეინკლის მოწაფედ კანალიზაციის რემონტზე.

— რაზე, რაზე? — გადავიხარხარე მე.

— ზეინკლის მოწაფედ, — ცოტა არ იყოს, იწყინა კობზიკოვმა. — რას ხედავ ამაში ურიგოს?

— თავი ღაანებე სისულელეებს, — ვუთხარი მე. — დიპლომს რას უშვრები?

ვეტექიმი მომაშტერდა:

— შენ რა, ნეპტუნიდან ჩამოვარდი? არავითარი დიპლომი არა მაქვს. არა გჯერა? წადი, იკითხე კადრების განყოფილებაში. დაწყებითი სკოლის ექვსი კლასი! კომკავშირის ორგანიზატორი ყოველდღე აგიტაციის მიწევს, სწავლა გააგრძელეო. ახლა მე გაძლიერებულად ვმეცადინეობ — მინდა თანრიგზე ჩავაბარო. აი ასეა, ჩემო ძმაო!

მე ფარ-ხმალი დავყარე.

— კარგი, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ზეინკლის მოწაფეობა გადაწყვიტე და თანაც კანალიზაციისა? შენ რა, ტვინი ხომ არ იღრძე? სხვა სამუშაო აღარ მოიძებნება?

კობზიკოვმა თავი გადააქნია.

— ეჰ, გენა, გენა. როგორც ვხედავ, შენ არაფერი გაგეგება ამისა. ჩვენი დიპლომებით ვერსად მოეწყობი. ყველგან ერთ პასუხს გაგცემენ: „ჩვენ კი მიგიღებდით, მაგრამ თქვენი ვალია აამაღლოთ სოფლის მეურნეობა“. კომკავშირის ქალაქკომი ატარებს რეიდებს შემდეგი ლოზუნგით: „იმუშავე სპეციალობის მიხედვით“. ვისაც მოიხელთებენ — დაამუშავებენ. არ წავა — მაინც დაამუშავებენ.

ნამუსზე გაგდებენ. და აი, უკვე ნანობ კიდევაც, ცრემლებს ღვრი... მე ყველაზე კარგად მოვეწყვე. მიწის ქვეშ. არც ისე ადვილია ჩემი მოგნება. ქალაქში ჩემისთანები საკმაოდ მოიძებნება. ადგილები იშოვეს — ზოგი ოფიციანტად, ზოგი კონდუქტორად, ზოგიც მეკარედ მუშაობს. სულ ოცდათორმეტი კაცია ჩვენი გამოშვებიდან.

— ასეთი ზუსტი ცნობები საიდანა გაქვს?

— გესმის... ოღონდ არავის უთხრა! შემომფიცე!

— ჰო, კარგი, კარგი!

— თუმცა, შენთან შეიძლება. ერთი საზოგადოება ჩამოვაყალიბეთ. „ქალაქელი სოკოების ორგანიზაცია“ ეწოდება. შემოკლებით ქ ს ო. ამას წინათ გაზეთში გამოქვეყნდა ფელე-

ტონი „ქალაქელი სოკოები“, იმათ შესახებ, ვინც ქალაქში დარჩა. მაგარი ფელეტონია. წარმოგიდგენია, სუფთა ასფალტი, ზედ კი იზრდება „ქალაქელი სოკოების“ ოჯახი. ასფალტზე იზრდებიან, წყეულები, იმის მაგიერ, რომ გაპოხიერებულ შავ-მიწაზე გამრავლდნენ. ისე კარგად იყო დაწერილი, რომ მე მართლაც სოკოდ წარმოვიდგინე თავი. საერთოდ კი ცუდად იყო ჩვენი საქმე. ფული არ გვიჭყავის, ყოველი მხრიდან გვე-რეკებიან. ზოგჯერ ქამარს მაგრად მოიჭერ, ხუთ ჭიქა სუფთა გაზიან წყალს დალევ, მუცელმა რომ არ იბუყბუყოს, პარკში მერხზე წამოწვები და წათვლემ. გაიღვიძებ და დღე უკვე გასუ-ლია. ერთმა სოკომ შიმშილს ველარ გაუძლო და მათხოვრობა დაიწყო.

მერე კი ბედი გვეწია. ერთ-ერთი სოკო ქალაქელზე დაქორ-წინდა. მდიდარი ქალი შეხვდა, მაღაზიაში გამყიდველად მუშა-ობდა. აი, მაშინ კი დაგვეცა დორანი! შევძვრებოდით ზოგჯერ ადრიანად მის ბოსტანში და კომბოსტოს შევექცეოდით კურ-დღელივით. ის კი, როგორც კი ცოლს სამსახურში გაისტუმ-რებდა, ჩანთით ჩვენთან მორბოდა, ნაირნაირი ნარჩენებით გვიმასპინძლდებოდა. ზოგჯერ გემრიელი რაღაცეებიც მოჰქონ-და. ერთხელ, მახსოვს, შაშხის ძვალი შეგვხვდა. კარგი დრო იყო...

აი, ამ ცოლიანმა სოკომ მაფიქრებინა შემექმნა საქმროების ორგანიზაცია. ჯერ ყველა ეძებს ცოლს ერთისთვის, მერე კი ის გარკვეული დროის განმავლობაში საზოგადოებას გადასახადს უხდის. ამგვარად რამდენიმე კაცი დავაბინავეთ. ვხედავთ — საქმე შეიძლება სოლიდურად წარიმართოს, თუ მხოლოდ უფ-როსობის ქალიშვილებზე ვიქორწინებთ. უფროსი თავის სიძეს უთუოდ სამუშაოზე მოაწყობს, ის კი სხვებს ამოქაჩავს, ხომ კარგად მოვიფიქრეთ?

— ჰო, ურიგო არ არის.

— აი, ასეა. ამჯერად ივანს გაუღიმა ბედმა. იგი ჩვენთან სამრეწველო განყოფილების გამგეა.

— განა თქვენ განყოფილებებიც გაქვთ?

— აბა, როგორ! განყოფილებებიც. საწევრო გადასახადე-ბიც. გამგეობაც.

— ვინ არის გამგეობის თავმჯდომარე?

კობზიკოვმა დაიმორცხვა.

— მომილოცია, — ვუთხარი მე. — შენ თავბრუდამხვევი კარიერა გაგიკეთებია.

მაგრამ ვეტექიმმა ირონია ვერ იგრძნო.

— ერთხმად ამირჩიეს, — თქვა კმაყოფილმა. — ხელფასი თვეში ოცი მანეთი მაქვს.

— ხელფასიცა გაქვთ?!

— იმათ, ვინც გამგეობის აპარატშია.

— საქმე სოლიდურად წარმართულა.

— თუ გინდა, მე კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში აგიყვან. სწორედ იქ ინსტრუქტორი გვჭირდება. სამუშაოზე მოგაწყობთ. ჩემთან ერთად კანალიზაციას გაარემონტებ. ინსტრუქტორის მოვალეობა რთული არ არის: უნდა შეკრიბო ინფორმაცია კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახებზე და კიდევ ზოგიერთი დავალება გექნება. გადაწყვიტე. ხელფასი — ხუთია.

— არა, გმადლობთ.

— გინდა, მარტომ იმუშავო? იმათ, ვინც ჩვენი ორგანიზაციის წევრი არ არის, უმოწყალოდ ვიცილებთ გზიდან. — ვეტექიმის ხმა მკაცრად გაისმა.

— ნუ მემუქრები, თუ შეიძლება. მე ხვალ მივემგზავრები.

კობზიკოვი მიხვდა, რომ შორს შეტოპა.

— არსადაც არ გაგიშვებ! — მითხრა მან. — ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

გამოჩნდა ეგორ ეგორიჩი. მისი მოდური კოსტიუმის ჯიბეებიდან ბოთლებს ამოეყოთ თავი.

— უკვე დაკეტეს. ძლივს მომცეს.

— პრეზიდენტო, თქვენ ძლიერ შეცვლილხართ, — კომპლიმენტი ვუთხარი ჩემს ყოფილ სახლის პატრონს.

— ჩუ! — წაისისინა კობზიკოვმა, თან აქეთ-იქით იყურებოდა. — მაგას პრეზიდენტს ნუ ეძახი! ჩვენ მონარქია გვაქვს. მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ძალაუფლება დედოფალმა აიღო ხელში.

— რაებს როშავ?

— ეგორ ეგორიჩი დამხობილია. მიღებულია კანონებიც, მაგალითად: დაწესებულია მტკიცე მიწის ქირა — სულზე

თხუთმეტი მანეთი; თორმეტი საათის შემდეგ აკრძალულია ელექტროსინათლით სარგებლობა; აკრძალულია ოთახში ქალების მოყვანა, თვითნებურად კიტრების მოკრეფა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე კოლექტიური ღვინის სმა; არ შეიძლება გრძნობების გამოხატვა უცენზურო სიტყვებით და ასე შემდეგ. ყველაფერს ვერ გაიხსენებ. სწორია, ბატონო ხელმწიფევ?

— ზუსტად ასეა, — დაუდასტურა ეგორიჩმა. ტუჩები ფართო ღიმილმა გაუპო, თვალები კი სულ დაეკარგა ნაოჭებში.

გვერდით ოთახში, სადაც ადრე ივან-და-მარია ცხოვრობდა, რაღაც ამოძრავდა.

— დაიჩოქეთ! — აყვირდა კობზიკოვი. — მისი უდიდებულესობა!

კარებში, კაშკაშა სინათლისაგან თვალებმოჭუტული, თინა იდგა.

— დედილო! — აღრიალდა ვეტექიმი და მუხლებზე დაეცა. — არ დაგვსაჯო, მოგვიტევე! მეგობრის ჩამოსვლის გამო მოხდა!

— ნუ გლახაობ, — დაიწყო თინამ და უცებ მე დამინახა.

მან არც შეჰყვირა, არც განძრეულა, მხოლოდ მისი ყვითელი თვალები თოვლზე დავარდნილი ფოთლებივით უსიცოცხლო გახდა. ულმობელი დროისგან დაღარული ძველი ქალღმერთის ფართო სახე ნიღაბივით გაქვავდა.

რამდენიმე წამს ერთმანეთს ვუყურებდით. მე პირველმა ვერ გავუძელი. სულელურად გავიკრიჭე და ჩანგალი კიტრს ჩავურჭე. როდესაც კვლავ თინასკენ გავიხედე, იგი იქ აღარ იყო. უცებ გამოფხიზლებულმა ეგორიჩმა სწრაფად შეინახა ბოთლები მაგიდის ქვეშ. ვაცლავი უხმოდ იცინოდა.

— ტყუიხარ, — ვუთხარი მე. — ტყუიხარ, შე არამზადა!

შეურაცხყოფილმა კობზიკოვმა მხრები აიჩეჩა:

— სისულელეა.

— იგი ამას არ გააკეთებდა!

ივან-და-გლორიამ ჭიქა არყით აავსო.

— დალიე, — ამოიოხრა მან. — ქალები ფლიდები არიან.

— მე კი თინასი მესმის, — თქვა ვაცლავმა. — ის უარეს მდგომარეობაში იყო. გოგოს ფული უფრო სჭირდება, ვიდრე ბიუს! წარბები ხომ უნდა შეიღებოს? უნდა შეიღებოს. ფრჩხი-

ლებში გაიპრიალოს, ფრთები გაიწმინდოს, ესაო, ისაო. წუწურაქი ეგორიჩი კი მხოლოდ აჭმევდა. ერთი მათლაფა ბორშჩის საფასურად სათბურის მთელი ნახაზები და ანგარიშები გააკეთებინა. მართალს ვამბობ, ეგორიჩ?

სახლის პატრონმა ჩაიქირქილა.

— აბა, ფული სად ვიშოვო? ამ წყეულმა დანადგარმა მთელი წიგნაკი შემიჭამა.

— ჰო... და ისიც ჯახირობდა, საცოდავი. სულ საქმროს ძებნაში იყო. გამომართმევდა ოცდაათ კაპიკს, გარბოდა საცეკვაო მოედანზე და შუაღამისას ბრუნდებოდა. ეტყობა, ვერაფერს სახეიროს ვერ გადაეყარა. თინა ხომ დიდი არაფერი მზეთუნახავია. რომ მოგეწონოს, უფრო ახლო უნდა გაიცნო, დღევანდელი ახალგაზრდობა კი ისეთია, რომ სიარულისთვის არ სცალია, სულწასულები არიან. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა ეგორიჩიც. ხუმრობა საქმეა — მუქთი მუშა იშოვა. თანაც უმაღლესი ცოდნით! ეს უბირი ხოჭო ხომ ვერასოდეს ვერ გამოიჭერდა ინჟინერს. მართალს ვამბობ, ეგორიჩ?

— ყველაფერი მართალია.

— მასში თავმოყვარეობამ იფეთქა. მობეზრდა ცეკვებზე თავის გასაღებლად სიარული. აქ კი ეგორიჩი თავს ევლებოდა, კეთილი, მორცხვი, ფულიანი, ანუგეშებდა, არიგებდა... ჰოდა, მაშასადამე, ხელიც მოაწერეს... ჩუმად მოაწერეს ხელი. ეგორიჩმა, დამწვარმა, ერთი ბოთლიც არ იკისრა. ხომ ასე იყო?

— ყველაფერი მართალია, ვაცლავ ტიმოფეიჩ.

— ხომ ხედავ! უკვე ვაცლავ ტიმოფეევიჩიც გავხდი. იცის ხოჭომ, ჩემთან საქმის დაჭერა სასარგებლოა. მე ახლა მაგასთან ნახევრად საზოგადოებრივ საწყისებზე ზოოტექნიკოსად ვმუშაობ.

— როგორ ზოოტექნიკოსად?

— ჩვეულებრივად. აი, მოუსმინე.

ჩვენ ღეჭვა შევწყვიტეთ. ჭრაჭუნებდა, წუწუნებდა, ბედს ემდუროდა ძველი სახლი. კედლებში რაკრაკებდა სხვენზე მიმავალი წყალი. უეცრად ძირიდან უცნაური ხმაური და ჩოჩქოლი შემომესმა. კობზიკოვი ივანის საწოლთან მივიდა, პატარა ლიუკი გაალო და თითი დამიქნია. ორმოში ჩავიხედე. იქ ბნელოდა. ზოოტექნიკოსმა ჩაიცინა და კედელზე ღილაკს

დააჭირა თითი. გაისმა ელექტროზარის გამაყრუებელი ხმა და უცბად იატაკი შეტორტმანდა. ვაცლავმა მეორე ღილაკს დააჭირა თითი. იატაკის ქვეშ ნათურა აინთო. მე გავშეშდი... ქვემოდან ათეულობით ბოცვერის ცნობისმოყვარე თვალები მომჩერებოდა.

— ზარი ჩემი იდეაა, — ამაყად თქვა კობზიკოვმა. — და საერთოდ... ეგორიჩმა მხოლოდ აზრი მომაწოდა. ამ არიფს უნდოდა რკინის გალიების გაკეთება იატაკქვეშ. წარმოგიდგენია, რამდენი წვალება დასჭირდებოდა! მე კი წინადადება მივეცი ბოცვერები ისე გაგვეშვა. სოროები თავისით გაიკეთეს. ასე ვთქვათ, თვითმმსახურებაზე გადავიყვანეთ. კვება — ზარის ხმაზე. საიმედოა, ხელსაყრელია, მოსახერხებელი. მწვანე საკვები მთელი წლის განმავლობაში თავზე გადაგვდის. ახლა დაახლოებით ხუთასი ცალი გვყავს. უკვე სახბანკამდე გაიყვანეს სოროები, სახბანკი კი ჩვენგან ნახევარკილომეტრზეა. წარმოგიდგენია, რა პანიკა ატყდა, როდესაც დაცვას მიწის ქვეშიდან ხმაური შემოესმა? ამბობენ, მთელი მილიცია ფეხზე დააყენესო... და ყოველივე ამას მხოლოდ ბოცვერის ხორცის გულისათვის ჩავდივარ. მართალია, უზომოდაც ვტყვრებით. ეგორიჩმა მდგმურებისათვის სასადილოც კი გახსნა.

მთვრალმა „ხელმწიფემ“ გაიღიმა.

— ცუდია განა? ბოსტნეული და ხორცი მთელი წელიწადი თითქმის მუქთად აქვთ!

— წყეული კაპიტალისტი! ახლა შვიდ სოკოს ამუშავებს. ყველა უმაღლესი ცოდნითაა. აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ერთი არქიტექტორიც კია, მიწისქვეშა სასტუმროს პროექტს ადგენს ამ მძარცველისათვის.

ძლიერმა თავის ტკივილმა გამაღვიძა. კვირა დღე იყო. კედელზე, ჩემ თავს ზემოთ მზის კვადრატი ელავდა. მაგიდა აელაგებინათ და თეთრი სუფრა გადაეფარებინათ. შუაში ღვინის დიდი ბოთლი იდგა. მაგიდას ივან-და-გლორია უჯდა და გაზეთს კითხულობდა.

შემოვიდა კობზიკოვი. ხელში აშიშხინებული ერბოკვერცხიანი ტაფა ეკავა.

— ადექი! ნაბახურებზე დავლიოთ, — მხიარულად შემოძახა მან. — თავი გისკდება?

„გუშინ რაღაც მოხდა, — გავიფიქრე მე. — ჰო, თინა...“

ჩავიცვი, დავიბანე და მაგიდას მივუჯექი.

ოთახი ნათელი იყო და სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა. გარეთ ფანჯრის რაფაზე გათოშილი ბეღურები დახტოდნენ. ქარი ალუბლის შიშველ ტოტებს ახლიდა ფანჯრებს. იატაკქვეშ ბოცვერები ფხაჭუნებდნენ.

„საძაგლობაა, ო, რა საძაგლობაა, — ვფიქრობდი მე და შავი ღვინით სავსე ჭიქას შევყურებდი. — თუმცა ცხოვრება ფლავის ჭამა არ გეგონოს; ყველა შემთხვევისათვის არის ანდაზა, თითქმის ყველა შემთხვევისათვის არსებობს რეცეპტი. ადამიანები მეტისმეტად დიდხანს ცხოვრობენ. ყველაფერი, რაც მათ გადახდათ ადრე სხვასაც გადახდენია. ქალიშვილი ანგარიშით გათხოვდა. განა ასე იშვიათია? განა ღირს ამის გამო გაბრაზება? განა ამაზე უარესიც არ ხდება? ქალიშვილი ქალღმერთის სახით... სისულელეა და სასაცილოც ამაზე გაბრაზება. ყველაფერს იოლად უნდა შეხედო. ახლავე წავალ მასთან, დავსხდებით ერთად და უწინდებურად დიდხანს ვილაპარაკებთ...“

მე თავზე ხელები შემოვიჭირე. ვაცლავმა თანაგრძნობით შემომხედა.

— ერთი ცეცხლმქრობით სამ ასეთ შუბლს, რასაკვირველია, ვერ განკურნავ, — მითხრა მან. — ფული კიდევ გაქვს?

მე უკანასკნელი თუმნიანი ამოვიღე, ესღა გადამრჩა იმ ფულიდან, დედამ რომ მომცა პირველი ხელფასის აღებამდე.

თავი მიბრუოდა. დიდი ხანია, ამდენი ღვინო აღარ დამელია. ძველი ქალღმერთის სახის ქალიშვილმა მონახა თავისი იდეალი. ძველი სახლი. ეზოში ძაღლი წკავწკავებდა...

— მამალი სადღაა? — ვკითხე მე.

კობზიკოვმა გაიცინა.

— ქხ... — ხელი ყელზე მიიდო. — ქორწილზე... ეგორიჩს კურტუმი ერგო... კიმს ბუმბული — ნუ გამოიგონებ სათესელასო! ეჰ, რა მამალი იყო!

რაც უფრო ცარიელდებოდა მეორე „ცეცხლმქრობი“, ვეტექიმიც უფრო სანტიმენტალური ხდებოდა.

— გენა, ჩემი იმედი გქონდეს! გესმის? შენც, ივან. მე მენდეთ, ბიჭებო! ხალხში გამოგიყვანთ! ვინ იყო ივანი? არავინ! ერთი ცინგლიანი ბიჭი. ახლა კი განყოფილების გამგეა... ბუ...

ოცისაც არ არის და უკვე განყ... ბყ... მოვინდომებ, გენა'ს და შენც გამგედ გაგხდი... გესმის? ერთი თვე ინსტრუქტორად იქნები და...

— მე დღეს მივემგზავრები.

— სად?

— შეიძლება აფრიკისკენ გავწიო. ამბობენ, ახლა იქით ახალგაზრდა 'სპეციალისტებს აგზავნიანო.

— ეს მართლაც იდეაა! — გამოცოცხლდა კობზიკოვი, —. შენთან ერთად წამოვალ, ეშმაკმაც დალახვროს! აფრიკაში ცუდად არ მოეწყობა კაცი! იქ შეიძლება ცოლად ითხოვო... ბყ... რომელიმე ჩაწოლილი დედოფალი... პრინცესა... მაშ, 'სამგზავროდ გავემზადოთ!

ვეტექიმი ჩემოდნისთვის საწოლქვეშ შეძვრა, მე კი სრულიადაც არ გამკვირვებია, თანამგზავრი რომ ვიშოვე და მშვიდად გავედი ოთახიდან.

დერეფანში თინას შევეჩეხე. მას ცხელი წყალი მოჰქონდა ქვაბით, რომელზედაც ჩვარი შემოეხვია.

— ფრთხილად!

მხიარული ხმა, შეფაკლული ლოყები.

— რატომღაც ასე არ წარმომედგინა ჩვენი შეხვედრა, — წყნარად ვთქვი მე.

— ფრთხილად-მეთქი, შე დათვო, შენა! მერე ვილაპარაკოთ.

მოცინარი, დედაკაცივით თეთრთავსაფარწაკრული თინა მიტევდა. ეტყობა, დღეს კარგ გუნებაზე იყო.

კედლისკენ დავიხიე და, როდესაც გამი'ყორდა, ვარდისფერ ლოყაზე გავარტყი. ქვაბი იატაკზე დაგორდა. დერეფანი ორთქლით აივ'სო.

თინა დუმდა, მხოლოდ სახეზე ხელები აეფარებინა. თითები დარტყმისაგან მიბჟუოდა.

ხმაურზე ვაცლავმა მოირბინა და ოთახში შემათრია.

— დამშვიდდი, — მიმეორებდა იგი. — ნერვებს გაუფრთხილდი! ჩვენ ხომ აფრიკაში მივემგზავრებით, იქ კი ნიანგები...

შემდეგ ჩვენ კობზიკოვის მეგობრებს ვემშვიდობებოდით. ქსო-ს წევრები ხელს გვართმევდნენ, გვკოცნიდნენ, „ვაშას“ ყვიროდნენ, მისამართებს გვაჩეჩებდნენ.

— ერთი წლის შემდეგ ყველას წაგიყვანთ ჩემს სახელმწიფოში!.. — ყვიროდა ვაცლავი.

ჩვენ ვსვამდით, ვჭამდით, სადღაც მივემგზავრებოდით, ისევ ვსვამდით, ვჭამდით და ძალიან გვებრალებოდა საკუთარი თავი.

— შეგვჭამენ ნიანგები, — სლუკუნებდა ვეტექიმი, თან ცრემლებს იწმენდდა. — მოხუც დედას მაინც დავმშვიდობებოდი.

უკანასკნელი, რაც იმ დღეს დამამახსოვრდა, ვაგზალი იყო. თმაგაბურძგნილი, გაფითრებული ვაცლავი მოლარეს დახეულ მანეთიანს აჩეჩებდა და ბილეთს ითხოვდა ელიზაბეტვილამდე.

მერე კი მილიციონერს გავურბოდით, მაგრამ ფეხებს ძლივს ვიმორჩილებდით.

ახლა ჩიჯი გამოუჩინდება

— მივიღებ ხელფასს და წახვალ, — მითხრა მეორე დღეს კობზიკოვმა.

ხელფასის მოლოდინში მთელი დღეები ქალაქში დავეხეტებოდი ან, თუ ივან-და-გლორია ფულს მასესხებდა, ლუდს ვსვამდი დაცარიელებულ პარკში, სადაც პირდაპირ მაგიდებზე ყვითელი დამძიმებული ფოთლები ეყარა. ჩემ გარდა ლუდის დასალევად კიდევ ორნი მოდიოდნენ: მეეზოვე დეიდა კლავა, კეთილი, სახედანაოჭებული სქელ-სქელი ქალი, და სათვალიანი გამხდარი ჭაბუკი.

დეიდა კლავა პარკში ხეივნებს გვიდა. უფრო სწორად, ერთ ხეივანს. მოიქნევდა ცოცხს და ჩაფიქრდებოდა, მიწას ჩაჰყურებდა, ისევ მოიქნევდა და ისევ გარინდდებოდა. ვიდრე დეიდა კლავა ხეივნის ბოლოს მიაღწევდა, ბილიკზე კვლავ ცვიოდა ფოთლები და დეიდა კლავა თავიდან იწყებდა დაგვას. თავის ლუდს იგი აჩქარებით სვამდა, ტუჩებს ჭრელი წინსაფრით იწმენდავდა და სულ იმის შიშში იყო, გამგე ხომ არ მოდის. გამგე არც ერთხელ არ მინახავს, მაგრამ ალბათ მკაცრი ადამიანი იყო, ვინაიდან დეიდა კლავას მისი ძალიან ეშინოდა.

გამხდარი ჭაბუკი პოეტი უნდა ყოფილიყო. იგი ყველაზე ადრე მოდიოდა, მაგიდიდან სახელოთი გადაწმენდავდა მსხვილი თეთრი თრთვილით დაცვარულ ფოთლებს, მუშამბაგა-

დაკრულ უბის წიგნაკს ამოიღებდა და მოყვებოდა ტუჩების ცმაცუნს. იგი არც ერთ სტრიქონს არ წერდა, ერთთავად მხოლოდ ბუტბუტებდა ან სივრცეს გაჰყურებდა.

მაგიდები ბორცვზე იდგა, თითქმის პარკის ბოლოში, საიდანაც შუა რუსეთის მასივი იწყებოდა. შორეთი ძალიან წაგავდა ფერადი ლაქებით ნაქსოვ ხალიჩას. პოეტი ალბათ ამაზე თხზავდა ლექსებს.

პირქუში, ქოჩორშეთხელებული და შემპარავხმიანი შუახნის მებუფეტე, მიუხედავად თავისი გარეგნობისა, მეტად კეთილსინდისიერი კაცი იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არც ერთი კაპიკით არ მოვუტყუებივარ, ხოლო კათხას პირამდე მივსებდა. შეიძლება მებუფეტეს ჩვენი, როგორც მუშტრების, დაკარგვისა ეშინოდა. მთელი დღის განმავლობაში მასთან მხოლოდ რამდენიმე კაცი მიდიოდა, მათ შორის მილიციონერიც იყო. იგი სრულ თორმეტის ნახევარზე მოდიოდა. ლუდს სულმოუთქმელად სვამდა და მიდიოდა. ალბათ, საგუშაგოზე ყოფნის დროს ლუდის დალევა არ შეიძლებოდა, რადგან მილიციონერს აშკარად რცხვენოდა ჩვენი: თვალს გვარიდებდა და მაგიდებს შორის გვერდულად გადიოდა.

პოეტმა თავისი მუშამბის წიგნაკით მაფიქრებინა აქვე, პარკში, დამეწერა მოთხრობა. ეს მეტად კარგი აზრი იყო. წარმატების შემთხვევაში საკმაო ჰონორარს მივიღებდი. მაგრამ შემდეგ ერთი ჰონორარი მეცოტავა და გადავწყვიტე ორი მოთხრობა დამეწერა.

პირველ მოთხრობას ეწოდებოდა „ოთხნი შემოდგომის პარკში“. ყოველდღე პარკში მოდიან ოთხნი, ლუდს სვამენ და შემოდგომის ბურუსით დაფარულ შორეთს გასცქერიან. შრიალით ეცემა ბილიკზე ფოთლები და მეეზოვე დეიდა კლავა მათ ცოცხით გვის. მოუსვამს ერთხელ — და დაფიქრდება, მოუსვამს მეორედ — ისევ გარინდდება. პარკში სიჩუმე და სიცარიელეა. მხოლოდ ხანდახან თუ შემოირბენს ლუდის დასალევად მილიციონერი (ლუდის სმა სადარაჯოზე აკრძალულია, ამიტომაც მილიციონერი ყოველთვის დარცხვენილია), და შუა რუსეთის მასივის მიმართულებით შეყვარებულთა წყვილი გაივლის.

ოთხი ადამიანი ლუდს სვამს და დუმს. დუმს ქოჩორშეთხელებული მებუფეტე (მეტად პატიოსანი მებუფეტე), დუმს

ცოცხზე დაყრდნობილი მეეზოვე დეიდა კლავა, დუმს ტყე, მომავალი ზამთრით შეფიქრიანებული. დუმს გაცრეცილი მაღალი ცა, რეაქტიული თვითმფრინავის თეთრი ნაკვალევი იარასავით რომ აჩნევია. აი, სულ ეს არის. მერე სამნი დარჩნენ, შემდეგ კიდევ ერთი არ მოვიდა. დასასრულ, მხოლოდ მეეზოვე დეიდა კლავა სვამს ლუდს ქოჩორშეთხელებულ პატიოსან მებუფეტესთან. და ვეღარასოდეს ვერავინ გაიგებს, რატომ მოდიოდნენ და ისხდნენ შუა რუსეთის მასივის ყველაზე განაპირა მხარეს ეს ოთხნი.

მეორე მოთხრობას „მზის კუ" ვუწოდე. ასეთი შინაარსისა იყო: არდადეგებზე მშობლიურ სოფელში სტუდენტი მხატვარი ჩამოდის. ეს სტუდენტი, ცოტა არ იყოს, მოწყდა მიწას, ბუნებას. და აი, იგი ხვდება ახალგაზრდა ქალს, რომელიც ბავშვობაში უყვარდა. ეს ახალგაზრდა ქალი გათხოვილია მის ყოფილ მეგობარზე. სტუდენტი დიდად არ განაწყენებულა, მისთვის სულ ერთია ყველაფერი, მაგრამ როცა მეორე დღეს სასეირნოდ წავიდა, წარმოუდგენელი რამ მოხდა: პირველად, ბავშვობის შემდეგ, იგი ატირდა. შორს, მინდორში, ერთ ბორცვზე განმარტოებული მუხა იდგა. სტუდენტს ყოველთვის მისკენ მიუწევდა ხოლმე გული, როცა სასეირნოდ მიდიოდა. ქარი აშრიალებდა გამხმარ ბალახს და მიწაზე, მუხის ქვეშ, პატარ-პატარა კუებივით მზის ჩრდილები დახოხავდნენ, ხოლო დაცარიელებული მინდვრების ზემოთ, ლურჯ ბურუსში ძერა დაქროდა. სტუდენტი ფოთლის ასაღებად დაიხარა და უცებ შემოდგომის ფოთლების მომწარო სუნი იგრძნო. ეს სუნი ისეთივე მშობლიური იყო, როგორც ბავშვობაში დედის შალა ჰქონდა. მან სახე ფოთლებში ჩარგო და აქვითინდა.

გადავწყვიტე მოთხრობები ჟურნალ „ბორბაში" წამეღო. რედაქციის შენობა ძლიერ მაგონებდა სკას, სულ ცოტა ხნის წინ ფუტკრებმა რომ მიატოვეს. მთელი ნახევარი საათი დავბორიალებდი მრავალრიცხოვან დაცარიელებულ ოთახებში და როგორც იქნა, მდივან-მემანქანეს მივაგენი. იგი გახსნილ ხელჩანთას მიჯდომოდა და პომიდორს შეექცეოდა.

— ვის შეიძლება ვაჩვენო აქ მოთხრობა? — ვკითხე მე.

მდივანმა პომიდორის ჭამა დაამთავრა და ნაზად გამიღიმა.

— პროზის რედაქტორს.

— სად არის?

— მივლინებაშია.

— მთავარი რედაქტორი ხომ შეიძლება ვნახო?

შემანქანემ სარკე ამოიღო და კვლავ ნაზად გამიღიმა.

— რასაკვირველია, მაგრამ ისინი ახლა მოსკოვში არიან თათბირზე.

— პასუხისმგებელი მდივანი?

— ისინი მთელი დღე სტამბაში არიან.

— მაშინ მე რამდენიმე დღის შემდეგ შემოვიელი. ვიღაც ხომ დაბრუნდება?

— რასაკვირველია, რასაკვირველია! შემოიარეთ, გეთაყვა.

— დიდი მადლობა, — ვუთხარი მე, თან გაოცებას ვერ ვფარავდი, რომ ასე თავაზიანად ექცევიან დამწყებთ.

ორი დღის შემდეგ კვლავ მივედი „ბორბაში". მდივანი იმავე პოზაში იჯდა გახსნილ ხელჩანთასთან, მაგრამ ამჯერად უკვე ვაშლს შეექცეოდა.

— პროზის რედაქტორის ნახვა შეიძლება? — ვკითხე მე.

— შემოიარეთ ასე სამი დღის შემდეგ, — გაიღიმა ახალგაზრდა ქალმა. — ისინი ახლა მოსკოვში არიან თათბირზე.

— მთავარი რედაქტორი, ალბათ, მივლინებაშია?

— დიახ, მივლინებაშია.

— მდივანი სტამბაში, ხომ?

— დიახ, — ქალმა, ცოტა არ იყოს, გაოცებით შემომხედა.

— მაშინ მე სამი დღის შემდეგ შემოვიელი.

— კეთილინებეთ.

სამი დღის შემდეგ მთავარი რედაქტორი თათბირზე იყო წასული, პროზის რედაქტორი მივლინებაში, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი ძველებურად სტამბიდან ცხვირს არ ყოფდა. სამი დღის შემდეგ რედაქტორებმა ადგილები შეიცვალეს; მხოლოდ მდივანს არაფრით არ უნდოდა სტამბის დატოვება.

ამ ჯადოსნური წრიდან თავის დაღწევას შემთხვევას უნდა ვუმადლოდე. ერთხელ, ერთ ჩვეულებრივ კარს რომ ჩავუარე, რომელსაც ჩემთვის გაუგებარი წარწერა ჰქონდა: „მეტრანპაჟი. უცხო პირდა შესვლა აკრძალულია", უცბად ასეთ საუბარს მოვკარი ყური:

— პროზის რედაქტორს ყელში წავუჭერთ ხელს...

— აბა, ერთი სინჯე... საიდანაც შეხვალ, იქიდანვე გამოხვალ!

ბრძოლის ხმა თითქოს არ ისმოდა. უცნაური წარწერის წინაშე მორიდება დავძლიე და კარი გავაღე.

თვალწინ ერთიანად ხალხით გაჭედილი პატარა ოთახი წარმომიდგა. „მეტრანპაჟეები“ ფანჯრის რაფებზე, მაგიდებზე, იატაკზედაც კი ისხდნენ და დომინოს თამაშობდნენ. ოთახში პაპიროსის სქელი ბოლქვები დაცურავდა.

ასე აღმოვაჩინე ჟურნალ „ბორბას“ რედაქციის ადგილსამყოფელი. პროზის რედაქტორი მხიარული, თავაზიანი, სვიტერში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. ჩემი მოთხრობები მოეწონა. ცოტაოდენი შენიშვნები მომცა და მითხრა:

— დაამუშავე, როგორც საჭიროა, და მოიტანე. გაძლევთ სამი თვის ვადას. მიმიხვდი?

— მიგიხვდით, — ვუთხარი მე.

ხტუნვა-ხტუნვით ვბრუნდებოდი სახლში. ვაშა! მე შემიძლია მოთხრობების წერა! ნაკლი ორ დღეში გავასწორე, მოთხრობები სუფთად გადავწერე და რედაქციაში წავიღე.

ჩემმა დანახვამ რედაქტორს უსიამოვნო გაოცება მოჰგვარა.

— გაასწორე? — მკითხა მან.

— გავასწორე.

— აბა, მომეცი აქ.

ამჯერად შეცდომები ორჯერ მეტი აღმოჩნდა.

— ნახევარი წლის ვადას გაძლევ, — გაიღიმა რედაქტორმა, — სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი. იმუშავე. მიმიხვდი?

ნახევარწლიანი ნაკლოვანებები ერთ დღეში გამოვასწორე. ჩემმა შრომისუნარიანობამ სვიტერიანი ახალგაზრდა კაცი მეტად დაანაღვლიანა. როცა მესამედ მოვწყვიტე დომინოს თამაშს, რედაქტორმა ერთ-ერთ ცარიელ ოთახში შემიყვანა და მითხრა:

— მოდი გულახდილად მოვილაპარაკოთ.

— მოვილაპარაკოთ, — ვუთხარი ნირწამხდარმა. წიგნებიდან და კინოდან ვიცოდი რითი მთავრდებოდა, აი, ასეთი გულახდილი საუბარი ახალბედებთან.

— ყმაწვილო, შენ, უდავოდ, ნიჭიერი ხარ, არც ურიგო მოთხრობებს წერ, მაგრამ უმჯობესია, თუ მათ... აღარ მოიტან.

ასეთები ხუთას ცალამდე გვიწყვია — რომლებიც უკვე მოწონებული და მიღებულია. წარმოგიდგენია? ყოველ ნომერში ხუთ-ხუთი მოთხრობაც რომ დავბეჭდოთ, ცხრა წელიწადს გვეყოფა. მაგრამ ჩვენ ხუთ-ხუთს, რასაკვირველია, არ დავბეჭდავთ. მიხვდი, რატომ?

— დიახ, — ვთქვი მე, — რომანები გაქვთ.

— სწორია! რომანები მთელი თხუთმეტი წელი გვეყოფა, მოთხრობები — ჩვიდმეტი, იმ შემთხვევაში თუ ყოველ ორ ნომერში ერთნახევარ მოთხრობასა და ნახევარ რომანს დავბეჭდავთ. მაგრამ შენ თავადაც გესმის, რომ ეს ყოველთვის არ ხერხდება. მიმიხვდი?

— დიახ, — ვთქვი მე.

რედაქტორმა ხმას დაუწია:

— საიდუმლოს გაგანდობ, ჩვენი „ბორბა" ორი წლით ადრე წინასწარ უკვე აწყობილი, შეკრული და დაბეჭდილია. ყდას გაუკეთებ და გაუშვებ გასაყიდად. მიმიხვდი?

— კი.

— რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია რიგში ჩაგაყენოთ, მაგრამ ხომ გესმის...

— გასაგებია, — ვუთხარი მე.

რედაქტორმა მაგრად ჩამომართვა ხელი.

— მაგრამ შენ სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდები, იმუშავე. ნიჭი გაქვს. მორცხვი მილიციონერი მართლაც კარგად მოგიფიქრებია. დეიდა კლავაც კარგია. გამიგე?

შინისკენ მიმავალი ვფიქრობდი, „ბორბას" რედაქციას უცებ რაიმე რომ დაემართოს, ჟურნალი, სულ ერთია, თხუთმეტი წლის განმავლობაში მაინც გამოვა მისი მონაწილეობის გარეშეც, ისევე, როგორც ჩვენამდე აღწევს უკვე არარსებული ვარსკვლავების სინათლე.

ვერც საოლქო გაზეთის რედაქციაში მოვახერხე ჩემი მოთხრობების დატოვება. მართალია იქ აღტაცებაში მოვიდნენ, მაგრამ ხელნაწერების გამორთმევა რატომღაც დაავიწყდათ.

ბოლოს და ბოლოს ჩემი ქმნილებები „მაღაზიებში მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის" კედლის გაზეთის რედაქტორს გადავეცი, რომელიც სწორედ რომ გაოგნებული იყო ცით მოვლენილი ბედნიერებით. ორი წლის მანძილზე

ჩემი მოთხრობები დროდადრო ამ კედლის გაზეთში იბეჭდებოდა.

კობზიკოვმა, როგორც იქნა, ხელფასი მიიღო. გარდა ამი'სა, მას რატომღაც ათი მანეთი პრემია მისცეს.

— თუ იმუშავებ, უნდა იმუშავო დამკვრელურად, — აზრი გამოთქვა ვეტექიმმა ამის თაობაზე. — მუქთახორობა არ მიყვარს. იმ კვირაში საპატიო დაფაზე გამომაკრავენ.

პრემიის „დასასველებლად" კობზიკოვმა მე და ივანი რესტორანში წაგვათრია.

— შენ დამპირდი, რომ გზის ფულს მომცემდი, — გავახსენე მე.

— მუმია ხარ ნამდვილი! — იწყინა ქ'ალ-ს თავმჯდომარემ.— გგონია, ჩემი სიტყვის პატრონი არა ვარ? დალევით არ დაველევთ. გასაგებია? თუ მაინცდამაინც გინდათ, შეიძლება თითო ბოთლი ლუდი. მუსიკას მოვისმენთ, ვილაპარაკებთ ამ მთისას, იმ მთისა'ს. თქვენ მხოლოდ ერთი რამ გახსოვთ. დროა თავი დავანებოთ სისხლის დაბინძურება'ს ყოველგვარი სისაძაგლით. გინახავთ, როგორი ღვიძლი აქვს ალკოჰოლიკს? თუ ძალიან შევტოპავ, მაგიდის ქვეშ ფეხი გამკარით.

გულის კანკალით დავეთანხმე...

რესტორანში მსუბუქი გუგუნი იდგა. ოხშივარი რბილად შემოგვეხვია, როგორც კი ზღურბლს გადავაბიჯეთ. კობზიკოვმა ყინვი'ვან გაწითლებული ხელები დაისრისა და ოფიციანტს უთხრა:

— 'სამი ლუდი, სამი ბუტერბროდი... და სამი ასგრამიანი.

მე მაგიდის ქვეშ ფეხი გავკარი.

— რამდენ-რამდენი? — იკითხა ოფიციანტმა.

— სამი ასორმოცდაათიანი, — თქვა ვაცლავმა და მუდარით შემომხედა.

მე გამალებით ავამოძრავე ფეხები. ივან-და-გლორიამაც.

— და ორი პორტვეინიც! — დაადევნა ოფიციანტს კობზიკოვმა.

მისი სახე ტანჯვას გამოხატავდა.

მალე მე და ივანს მაგიდის ქვეშ ტლინკების სროლა მოგვ-

ბეზრდა და დავაწექით საჭმელ-სასმელ'ს, რომელსაც განუწყვეტლივ უკვეთავდა ვეტექიმი. მართლა და მართლა, ტყუილად ხომ არ უნდა დაკარგულიყო ყოველივე ეს!

— მე თქვენი კეთილისმყოფელი ვარ! — ყვიროდა ვაცლავი და თან თვალებს გვიბრიალებდა. — მე ქალაქის ბატონ-პატრონი ვარ, თუ გინდათ იცოდეთ. მალე ორგანიზაციაში ასი კაცი მეყოლება! ორასი! ხუთასი! თუ მოვინდომებ, ყოველდღე ას გრამს დავლევ და ერბოკვერცხს დავაყოლებ!

რესტორნიდან ფეხით წამოვედით, ვინაიდან ტრამვაი'ს ფული აღარ გვქონდა. „ქალაქის ბატონ-პატრონს" ლამის ყოველ შემხვედრ სკამზე ჩამოეძინა.

მე რომ ვაცლავისთვის მეცადა, ფულს ისევ როდის იშოვიდა, აზრი არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ამ ამბავსაც ისევ რესტორანში მოუწევდა აღნიშვნა. ამიტომ, ბილეთი'ს ფული რომ მეშოვნა, გადავწყვიტე დროებით სადმე დამეწყო მუშაობა. ვეტექიმმა აღფრთოვანებით მომისმინა.

— სწორი გადაწყვეტილებაა, — დამკრა მხარზე ხელი. — ერთად ვიშრომოთ. ისე მოგაწყობ, რომ ვერავინ მოგაგნებს. ჩვენთან კანალიზაციაში წამოხვალ?

მე შევიშმუშნე. კობზიკოვმა იწყინა:

— ჩვენ საზოგადოებაში არავითარი შრომა არ ითვლება სათაკილოდ. თანამდებობა კი არ ამშვენებს ადამიანს, ადამიანი ამშვენებს თანამდებობას. სსრ კავშირის მოქალაქეებს ყველანაირი შრომის უფლება აქვთ. ას მანეთს ასი მეგობარი გერჩიოს. საქმე უფეხოა, არსად გაგექცევა. თუმცა ეს უკვე სხვაა.

— კარგი, — ვთქვი მე. — სამი თვე შეიძლება ვიმუშაო. როგორც კი ფულ'ს მოვაგროვებ, მაშინვე გავემგზავრები.

— ჰოდა, მაშინ ვნახოთ.

კადრების განყოფილების დერეფანში ჩოჩქოლი იყო. კობზიკოვმა კუთხეში გამიხმო.

— მთავარია, — მითხრა მან, — უტიფრად და გამომწვეევად გეჭიროს თავი. უფროსს ეს უყვარს. მერე კიდევ შენი განათლების შესახებ არაფერი წამოაყრანტალო. დიპლომი დაივიწყე.

რაც ნაკლები განათლება გექნება, უკეთესია. შრომა აქ არაკვალიფიცირებულად ითვლება. ჰო, კიდევ რა გითხრა? ილაპარაკე შენი განათლების შესაბამისად. სავარძელში დაუპატიჟებლად ჩაჯექი. იმას ესეც უყვარს. აბა, კარგად იყავი. ჩაცმით, რასაკვირველია, ჯობდა, უბრალოდ ჩაგეცვა, მაგრამ ასეც არა უშავს. ჩემი კეპი დაიხურე.

ვაცლავმა თავისი გაზინთული ქუდი ჩამომაფხატა და მიბიძგა კარისკენ, რომელზედაც გაკრული იყო წარწერა „კადრების განყოფილების გამგე".

ახლა უფრო მეტად ვღელავდი, ვიდრე დიპლომის დაცვის დროს.

— აბა, მიდი, რაღას უდგახარ! — მითხრა ვეტექიმმა და კარს მუშტი დაარტყა.

— შემოდით, — ბოხი ხმა შემომესმა.

მე შევედი და ჩემ უკან კარი სათაგურის კარივით დაიხურა.

კადრების განყოფილების გამგე, ბრგე, მელოტი კაცი, პლუშის სავარძელში გამოჭიმულიყო. მის ზურგს უკან მთელი კედლის სიგრძეზე უზარმაზარი სარკე ეკიდა. სარკეში ჩემმა უტიფარმა ცხვირ-პირმა გაიელვა.

— ვინ ხარ? საიდან? საბუთები.

მე უხმოდ გავიარე მთელი ოთახი და სავარძელში გავიშხლართე.

— ზეინკლის მოწაფე. აქაური ვარ, აი ქაღალდებიც.

— ცოლიანი ხარ?

— მეზობელი მყავს ცოლიანი.

უფროსმა კმაყოფილებით ჩაიქირქილა: ეტყობა, დასაწყისი მოეწონა.

— ადრე სად მუშაობდი? — მკითხა მან, თან ჩემს საბუთებს ათვალიერებდა.

— რაკეტებში სანიტარულ კვანძებს ვაყენებდი. კანალიზაცია ჩემი მოწოდებაა.

— შრომის წიგნაკი?

— საქშენში დამეწვა.

— ჰო? კარგი. განათლება?

— ერთი კლასი, — ვთქვი მე.

— რამდენი, რამდენი? — გაოცდა მელოტი უფროსი.

— ერთი კლასი, — ამაყად გავიმეორე მე.

— შენ, ჩემო ძმაო, მართლაც კაი ბრიყვი ყოფილხარ.

მე თავმდაბლად დავხარე თავი.

— გამრავლების ტაბულა მაინც თუ იცი?

— ვიცი.

— რამდენია ექვსჯერ შვიდი?

თვალები ჭერს მივაპყარი და ტუჩები ავაცმაცუნე:

— ექვსჯერ ერთი — ერთი...

— საკმარისია, — თქვა უფროსმა აშკარა სიბრალულით. — არა, ძმაო, შენ არ გამოგვადგები. შენ მთელი ექვსი წელი უნდა ისწავლო, შვიდი კლასის განათლება მაინც რომ მიიღო. ასე განათლების პროცენტსაც ჩამოგვაჭრი. ისედაც არა გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა... უკან წაიღე შენი ქაღალდები.

— მუმია, — წაისისინა ვაცლავმა, როცა უნდილად მოვუყევი ყველაფერი, — ზომა ხომ უნდა იცოდე! „ერთი კლასი“! ვისა აქვს ახლა ერთი კლასის განათლება? ო, შე უმეცარო! რა გიყო ახლა? რა_თბილი ადგილი გაუშვი ხელიდან. მთავარია, მიწის ქვეშ იქნებოდი, შენს კვალს ვერავინ მიაგნებდა.

მე დამნაშავესავით ვდუმდი.

— კარგი, კარგი, — შეარბილა ტონი კობზიკოვმა. — შემდეგში უფრო ჭკვიანად მოიქცევი. კოჭლობა შეგიძლია?

— როგორ თუ კოჭლობა? — ვერ გავიგე მე.

— „როგორ“, „როგორ“ და... ჩვეულებრივად! დავუშვათ, ერთ ფეხს ვერ ხრი. აბა, სინჯე.

მე შევიჭმუხნე და დერეფანში კოჭლობით გავიარე.

— არა უშავს. ოღონდ ნუ იჯღანები. შენ დაბადებიდან კოჭლი ხარ. გაიგე?

— გავიგე. — ვუთხარი მე, თუმცა არაფერი მესმოდა.

— ვნახოთ, ეგებ ინვალიდების არტელში ფოტოგრაფად მოგაწყოთ. ფოტოაპარატზე წარმოდგენა გაქვს?

— არა.

— ეს არაფერია. ისწავლი. კარგად დაიხსომე: ოთხი კლასის განათლება გაქვს, დაბადებიდან კოჭლობ, ბავშვობიდან გიტაცებს ფოტოგრაფია. მთავარია გახსოვდეს მათი პროფესიული გამოთქმა: „ყურადღება! ახლა ჩიტი გამოფრინდება!“.

— ახლა ჩიტი გამოფრინდება, — უხალისოდ გავიმეორე მე.

— ყოჩაღ! ახლავე გეტყობა, რომ ამ საქმეში ფხას გაშოიჩენ.

სამუშაოზე მოსაწყობად სამნი წავედით: მე, კობზიკოვი და ქსო-ს საპარიკმახეროებისა და ფოტოსამხატვრო სამუშაოების განყოფილების გამგე, პირქუში, სახედამუწუკებული კაცი, რომელსაც უცნაური გვარი უმოისია[1] ჰქონდა. ამ წამოწყების წარმატების შემთხვევაში მე მისი ინსტრუქტორი უნდა გავმხდარიყავი. ქსო-ში არსებული ცნობების მიხედვით, ამ ფოტოგრაფიის მდივნად საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორის ქალიშვილი მუშაობდა. ჩემი განყოფილების გამგე მის ცოლად შერთვას აპირებდა, ვინაიდან ქალიშვილი „ქორფა“ იყო, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორის მომავალი სიძე თვალწარმტაცი გარეგნობითა და გალანტური საქციელით ვერ დაიკვეხნიდა, მე მისატყუებლის როლი უნდა მეთამაშა. ესე იგი დღედაღამ უნდა მექო და მედიდებინა ჩემი განყოფილების გამგის ადამიანური თვისებები.

ინვალიდების არტელის № 39 ფოტოატელიე ბაზართან, ფიცრულ შენობაში იყო მოთავსებული, რომელიც გაზიანი წყლების გასაყიდ ფარდულს მოგაგონებდათ. კარზე ფრიალებდა ფურცელი: „გვესაჭიროება გამოცდილი ფოტოგრაფი-ინვალიდი“.

ჩვენ ყურადღებით წავიკითხეთ განცხადება, ფეხები მავთულის ფეხსაწმენდზე გავიწმინდეთ და შევედით. მაგიდასთან ახალგაზრდა ცხვირპაჭუა ქალიშვილი იჯდა და რაღაცას წერდა. „მთვრალ კლიენტებს არ ვემსახურებით“. — ეკიდა . მის თავს ზემოთ განცხადება.

— იკოჭლე, — წამჩურჩულა კობზიკოვმა.

მე კოჭლობა დავიწყე და მაგიდას დავეჯახე. გოგონამ თავი ასწია და შემოგვხედა.

— სავიზიტო? პორტრეტი? — გვკითხა მან.

— გამგე, — თავაზიანად გაუღიმა ვაცლავმა.

ქალიშვილი შავი ფარდის იქით გაუჩინარდა.

---

[1] რუსული: „Умойся“ — პირი დაიბანე.

— იღბლიანი ყოფილხარ, — წაიჩურჩულა ვეტექიმმა. — ქალიშვილი კი არა, ვარდისფერი ოცნებაა.

— მეტისმეტად გამხდარია, — ამოშაქრა უმოისიამ.

— აჭმევ და გასუქდება.

გამოვიდა გამგე — დაბალი, კაფანდარა, თვალი შავი ნაჭრით ჰქონდა ახვეული.

— რაშია საქმე, ახალგაზრდებო? — იკითხა მან, თან ხელებს ბამბით იწმენდავდა.

— აი, ამ ყმაწვილს თქვენთან მუშაობა უნდა, — უთხრა ვაცლავმა.

— ინვალიდია?

— დაბადებიდან კოჭლობს.

— ადრე სად მუშაობდა?

კობზიკოვმა იწყინა.

— განა ნამდვილი ფოტოგრაფი სადმე მუშაობს? ნამდვილი მოყვარული სახლში ექსპერიმენტებს ატარებს. ჩემი მეგობარი ბავშვობიდან ფოტოგრაფიით არის გატაცებული. 1957 წელს მისმა სურათმა „ბელურა ღობეზე" პრემიაც კი მიიღო. არ გინახავთ „სოვეტსკოე ფოტოში"?

— არა, — თქვა გამგემ. — შრომის წიგნაკი მომეცით.

მე დავიბენი.

— იცით რა... — დაიწყო ვაცლავმა.

— ნამდვილ მოყვარულს შრომის წიგნაკი არა აქვს, — დაამთავრა თვალახვეულმა მამაკაცმა, — კარგი, თქვენი მეგობარი აქ შემოვიდეს.

მე მივყევი უცნაურ გამგეს. ოთახში, სადაც მან შემიყვანა, წითელი სინათლე ენთო. აბსოლუტურად ვერაფერს ვარჩევდი. შემდეგ თვალები შეეჩვია და დავინახე, რომ ჩემი მომავალი უფროსი გვერდით მედგა. მისი ცხვირკეხიანი და თვალახვეული სახე მტაცებელივით მომჩერებოდა. უკვე ვნანობდი, ვაცლავს რომ დავუჯერე. ხომ შეიძლება ახლა ამ ტიპმა მილიციასაც კი დაურეკოს.

ჩვენ უხმოდ ვათვალიერებდით ერთმანეთს წითელ სინათლეზე.

— რისთვის არის ფოტოაპარატზე ჩამკეტი? — მოულოდნელად მკითხა გამგემ.

— ჩასაკეტად.

— ᲡᲬᲝᲠᲘᲐ...

მამაკაცი მოსხლეტით ჩაჯდა და სწრაფი მოძრაობით ფეხი შომიხარა. ყურები მიხურდა. ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მალე გავსულიყავი ამ პირქუში ოთახიდან.

— რა დაამთავრე?

— ოთხი კლასი, — წავიბუტბუტე მე.

— სინუსი რომ კოსინუსზე გავყოთ, რა იქნება? სწრაფად!

— ტანგენსი, — მექანიკურად ვუპასუხე მე.

— ტრიგონომეტრიას მეოთხე კლასში არ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ. მასწავლებელი ხარ?

— არა...

— ნუ გეშინია, არ გაგცემ. ჩემს ხელში ბევრმა შენისთანამ გაიარა! ყველა კმაყოფილი დარჩა. აგრონომი ხარ?

— ინჟინერი...

გამგე გამოცოცხლდა.

— კარგია. ჰუმანიტარებს ფოტოაპარატთან საქმე არ გამოუდით. ერთ თვეში სამი გავათავისუფლე: არავითარი მხატვრული გემოვნება არა აქვთ. მაგრამ შენ მეტისმეტად ნუ გაყოყოჩდები. შენც გამოსაცდელი ვადით აგიყვან. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ოფიციალურად ჩაგრიცხავ შტატში და შრომის წიგნაკსაც მოგცემ. ხვალვე შეგიძლია სამუშაოზე გამოცხადდე. ორი პირობა მექნება: მე შენთვის ღმერთი ვარ და ნახევარ ხელფასს შემოქმედებითი კვლევისათვის მომცემ.

— როგორი კვლევისათვის?

— „როგორი“, „როგორი“ ... შენი ჭკუის საქმე არ არის. მე ფოტომხატვრული მეცნიერების კანდიდატი ვარ და ჩვენი ატელიე მჭიდროდ არის დაკავშირებული კოსმოსურ ლაბორატორიასთან. გასაგებია? ოღონდ ენას კბილი უნდა დააჭირო.

გზაში უხალისოდ მოვუყევი ჩვენი საუბრის შესახებ ვაცლავს.

— ნახევარი ხელფასი ეს, რასაკვირველია, მთელი ხელფასი არ არის, — თქვა ქსო-ს თავმჯდომარემ, — ეს ხელფასის სამი მეოთხედიც კი არ არის. მაგრამ რას იზამ, თუკი სოკო ხარ? ზოგიერთები ეგორიჩთან მარტო ერთ ჯერზე დებენ ამდენს. საერთოდ, შეიძლება ითქვას, ბედმა გაგიღიმა: უშრომისწიგნა-

კოდ ახლა თითქმის შეუძლებელია სამსახურში მოწყობა. და მერე, ფოტოგრაფიას რაღაც საერთო აქვს ხელოვნებასთან, ის კი არ არის, მე რომ ნეხვ... ვიქექები.

ერთი კვირის შემდეგ მე უკვე გავთამამდი, ვკოჭლობდი, ცალთვალა ყუთის ირგვლივ დავბორიალებდი, რვაფეხას რომ წააგავდა. მართალია, თავდაპირველად ბევრი გაუგებრობაც ხდებოდა. ხან სინათლის მგრძნობიარე ფირფიტის ჩადგმა დამავიწყდებოდა, ხან ობიექტივის გახსნა, ხანაც სიმკვეთრეზე დაყენება. ორჯერ ფოტოაპარატი თავისი შტატივიანად კლიენტს თავზე დაემხო იმ მომენტში, როცა ვამბობდი: „წყნარად იჯექით. ახლა ჩიტი გამოფრინდება“.

ერთმა დაზარალებულმა კლიენტმა ჩემზე საჩივარი გააშანშალა:

„ა. წ. 25 ნოემბერს, № 39 ფოტოატელიეში პასპორტისათვის პირადი გამოსახულების ასაღებად ყოფნის დროს, კეფის ზედა ნაწილში მივიღე დაჟეჟილობა ფოტოგრაფის ამხ. რიკოვის უმარიფათობის გამო, რომელმაც ფეხის დარტყმით წამომაქცია შტატივი. საინტერესოა, ჩაუტარდა თუ არა უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი ამხანაგ რიკოვს?“

მეორე დაზარალებულმა მხოლოდ ირონიული შენიშვნა მაკმარა:

— თქვენ იუმორის გრძნობაც გქონიათ, ყმაწვილო.

მას მხედველობაში ჰქონდა ჩემი სიტყვები: ჩიტი გამოფრინდება-მეთქი.

მაგრამ მერე ყველაფერი გამოსწორდა. გამგე კმაყოფილი იყო.

— თუ საქმე შემდგომშიც ასე წავა, — ამბობდა იგი, — მაშინ სურათის უკანა მხარეს პატრონის გვარის დაწერა აღარ დაგვჭირდება.

გამგეს ივან ხრისტოფოროვიჩს ეძახდნენ. მას ხმელ-ხმელი, ნავარჯიშევი სხეული და მკვეთრი, უეცარი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ჩვეულებრივ ივან ხრისტოფოროვიჩი ოთახში უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა: ცალ ფეხზე ბუქნავდა, გზადაგზა სკამებზე ყირას ჭიმავდა, ხან ორანგუტანგივით ეკიდებოდა ჭერზე

სპეციალურად გაკეთებულ რგოლებს. ჩემთან საუბრისას არ ჩერდებოდა, ვარჯიშობდა. სურათების ბეჭდვის დროსაც კი კისრის წრიულ მოძრაობებს აკეთებდა. პირველად ვხედავდი ადამიანს, რომელსაც ასე თავდავიწყებით უყვარდა ფიზკულტურა.

ივან ხრისტოფოროვიჩს კიდევ ერთი საუსტი მხარე ჰქონდა — ემხილებინა ქალაქში დარჩენილი ახალგაზრდა სპეციალისტები. როდესაც გამგე კარგ ხასიათზე იყო, იგი დამრიგებლური ტონით მორალს მიკითხავდა იმის შესახებ, რომ არ ვარგა სახელმწიფოს მოტყუება, რომელმაც დიდძალი თანხა დაგახარჯა.

— ყველამ თავის მხრივ მაქსიმალური სარგებლობა უნდა მოუტანოს ხალხს, — მარიგებდა იგი.

ივან ხრისტოფოროვიჩს ყოველთვის თავისი თავი მოჰყავდა მაგალითად — აი, მე ჯერ ოცდათხუთმეტი წლისაც არა ვარ და უკვე ფოტომხატვრული მეცნიერების კანდიდატი ვარ, კოსმოსურ ლაბორატორიასთან ვთანამშრომლობო. ეს თანამშრომლობა, როგორც ჩანს, ივან ხრისტოფოროვიჩს ძალიან ბევრ დროს ართმევდა, რადგან ფოტოატელიეში იშვიათად თუ შემოიცლიდა.

საპარიკმახეროებისა და ფოტომხატვრული სამუშაოების განყოფილების გამგე თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან. მისი გამოჩენისთანავე სახე სიხარულისაგან უნდა გამბადროდა. უმოისიას მხრებზე ხელს ვხვევდი, საავარძელთან მიმყავდა და სურათებს ვუღებდი. მაგრამ ყველაზე უსიამოვნო ჩემთვის მისი მუწუკებიანი, სავსე პირისახის ქება იყო.

— ოდნავ შემობრუნდი, ალიკ, — ვეუბნებოდი მე. — შენ ძალიან ლამაზი პროფილი გაქვს. ნიკაპი მაღლა ასწიე, აი, ასე, ცოტა უფრო მედიდურად, შენ ეს გიხდება. ტონია, მოდი აქ. ხომ ძალიან ჰგავს ნაპოლეონს?

ტონია მოვიდოდა და კარებში ჩერდებოდა.

— ისევ ამას უღებ სურათს, გენადი იაკოვლევიჩ? აღარ მოგბეზრდათ?

— მე ვაკეთებ სურათს გამოფენისათვის „შვიდწლედი მოქმედებაში". ეს ბოტანიკის საუკეთესო მასწავლებელია...

— ჰმ... ჰმ... — თქვა ნაპოლეონმა.

— ესე იგი, რა ვარ მე!.. საპარიკმახეროებისა და ფოტოსამ-ხატვრო სამუშაოების კომბინატის საუკეთესო პარიკმახერი.

რასაკვირველია, უმოისიას უფიროდ „ვუღებდი“ სურათებ'ს. ისღა მაკლდა, მისი ცხვირ-პირი სახელმწიფოსათვის ფასად დამესვა.

— ვერ გამიგია, რატომ მეგობრობთ მასთან? — მეკითხებოდა ტონია, როცა ჩემი უფროსი წავიდოდა. — რა უსიამოვნო ტიპია!

— მა'ს კეთილი გული აქვს, — ვბუტბუტებდი მე.

ტონია გულწრფელად ბრაზობდა:

— მე, ალბათ, ძალიან ცუდი ვარ, გენადი იაკოვლევიჩ! არ შეიძლება ადამიანზე იმსჯელო მხოლოდ მისი გარეგნობი'ს მიხედვით, ხომ მართალია? ვეცდები მეტი აღარ ვილაპარაკო მასზე ცუდი, ეგ ხომ თქვენი მეგობარია, არა?

ტონიამ წელს დაამთავრა ათი კლასი. იგი გამხდარი, ცხვირ-პაჭუა, მხიარული გოგოა. მას ყველაფერი მოსწონს, ყველაფერი აცვიფრებს. იგი ისეთი მზრუნველობით მექცევა, როგორც გოგონა, რომელმაც ქუჩაში ფრთამოტეხილი ჩიტი დაინახა. როდესაც რადიოში გადმოსცემდნენ სიმღერებ'ს 'იყვარულზე, იგი მიმღებს თიშავდა, რატომღაც ფიქრობდა, რომ მათი მოსმენა მიმძიმდა.

საღამოობით ხშირად გვიხდებოდა ცივ, დაცარიელებულ ფოტოატელიეში მარტო დარჩენა. მისაღებიდან უცნაური ხმები მესმოდა, თითქოს იქ ფრთხილად რეცხავდნენ ბატისტი'ს ცხვირსახოცს. ე'ს ტონია ტიროდა. მაშინ მე გავიდოდი და იგი ჩემთან ლაბორატორიაში შემომყავდა — ჩვენი ბუდრუგანა'ს ერთადერთ თბილ ადგილას. აქ იგი მალე მშვიდდებოდა და ჩუმად იცინოდა, როცა სურათებს ათვალიერებდა.

ტონია სრულიად მოულოდნელი მიზეზების გამო ტიროდა. ზოგჯერ ჩემი გულისთვის („კოჭლი ხართ, გენადი იაკოვლევიჩ. თქვენ არავინ შეგიყვარებთ“), ხან უცბად გაუელვებდა აზრი, რომ შეიძლება ტრამვაიმ გადაუაროს და დაიღუპოს.

ორი კვირის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში პირველი ხელფასი მივიღე. ქუჩაში სველი თოვლი მოდიოდა. ფოსტაში შევედი და

დედა'ს ათი მანეთი გავუგზავნე. შემდეგ უაზროდ დავიწყე ქალაქში ხეტიალი: შინ წასვლა არ მინდოდა. თუ ვაცლავი იქ დამხვდებოდა, ხელფასი უნდა „დამესველებინა“.

სახლებმა თეთრი ბერეტები დაიხურეს. თითქოს გაზაფხულდაო, თბილი და მოღრუბლული დღე იდგა. წყალსადენ მილებში ხმამაღალი რაკრაკით წყალი მოქროდა. ფეხები ფაფუკ თოვლში მეფლობოდა.

მე ვფიქრობდი, როგორ გადამეხადა თინასათვის ბინის ქირა. ჩუმად მიმეგდო, თუ პირდაპირ ხელში მიმეცა? საინტერესოა, როგორი თვალები ექნებოდა ამ დროს?

ჩვენ'ს ოთახში არავინ არ იყო. მე ეგორიჩთან დავაკაკუნე.

— დიახ, — მიპასუხა ქალის ხმამ.

„დედოფალი“ სქელ საბუხჰალტრო წიგნში რაღაცას წერდა. იგი მარტო იყო. ელექტრონის ყვითელ სინათლეზე მისი სპილენძის'ფერი თმა მკრთალად ბზინავდა.

— აი, — ვთქვი მე და ჯიბიდან მუჭით ხურდა ფული ამოვიღე. ამ შემთხვევისათვის შავი ფული სპეციალურად ვიშოვე.

— რა არის ეს? — თავი ასწია მან.

— ბინის ქირა.

— დადე კომოდზე.

— დავითვალოთ? — რაც შეიძლება გესლიანად ვკითხე მე.

— არა.

მე ერთ ადგილზე ვწრიალებდი. სასურველ ეფექტს ვერ მივაღწიე.

— ღამე მშვიდობისა, დიასახლისო! ხელ'ს არ შეგიშლი შემოსავლის თვლაში.

— გენა, — ჩუმად დამიძახა მან.

მე შემოვტრიალდი.

— მოდი, ვილაპარაკოთ, გენა...

სკამის კიდეზე ჩამოვჯექი.

— გენა, უნდა გამიგო, შენ ხომ ჭკვიანი ხარ. სხვა რა გზა მქონდა? განა ცუდი რა ჩავიდინე? მე მჭირდებოდა სიმყუდროვე და საკუთარი კუთხე. ამისაკენ ისწრაფვის ყველა ქალი. მე მხოლოდ ქალი ვარ! ეგორ ეგორიჩი ცუდი ადამიანი არ არის. იგი ომის მონაწილეა, ბევრი ჯილდოები აქვს მიღებული...

თინა წყნარად ლაპარაკობდა, თან სევდიანად, არაგამომწვე-

ბად მიყურებდა დაჭრილი ფრინველის ყვითელი თვალებით.

მე მინდოდა მეთქვა რაღაც მწარე, შეურაცხმყოფელი, მაგრამ საჭირო სიტყვები ვერ მოვნახე.

წამოვდექი და დასაძინებლად წავედი.

ფანჯრის იქით თეთრად ბარდნიდა.

ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲝᲑᲐ

ჩვენი ორგანიზაცია იზრდებოდა როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. მომწიფდა ახალი განყოფილებების შექმნისა და ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების გატარების აუცილებლობა.

ვაცლავმა გადაწყვიტა „ქალაქელი სოკოების“ მეორე ყრილობა მოეწვია.

ყრილობა მუშაობას შეუდგა დეკემბრის ერთ-ერთ საღამოს, „ნოეს კიდობანში“. დასაწყისში ყველამ სამი ბალალაიკისაგან შემდგარი ორკესტრის თანხლებით (სხვა მუსიკალური ინსტრუმენტი ჩვენს სახლში არ იყო) ჩემ მიერ შეთხზული ქსო-ს ჰიმნი შეასრულა. ჰიმნი ასე იწყებოდა:

ჰერი-ჰერი, ჰერი-ჰერი!
ვაცას შევრთოთ დედაბერი!
მისი დახმარებით ყველამ
სამუშაო ვპოვოთ ჩვენი!
მ ი ს ა მ ღ ე რ ი:
ჰერი-ჰერი, ჰერი-ჰერი!

ჰიმნი ყველას მოეწონა, თუმცა მისამღერი ცოტა არ გამომივიდა: ყრილობის მონაწილეების შესრულებით იგი ორი ათეული სანაშენე ცხენის საბრძოლო ყიჟინას წააგავდა.

შემდეგ ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ქსო-ს ორგანიზატორი და თავმჯდომარე ვაცლავ კობზიკოვი ავიდა. მან ხელი დაგვიქნია და თქვა:

— ამხანაგებო! პირველ ყოვლისა ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ კოლმეურნეობაში უდროოდ წასული ჩვენი ამხანაგის ხსოვნას. მე ვლაპარაკობ კომუნალური მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორზე ანდრეი ველიჩკოზე.

ყველა ფეხზე წამოდგა.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — ხელი დაიქნია ვაცლავმა. —

მაგრამ ამ შემთხვევამ გული არ უნდა გაგიტეხოთ. ველიჩკო საკუთარი წინდაუხედაობის მსხვერპლი გახდა. მას, ეტყობა, მოუნდა იმ ინსტიტუტის სამკერდე ნიშნის მიღება, რომელიც დაამთავრა. ველიჩკო შტერივით გავარდა კადრების განყოფილებაში, სადაც კომკავშირის ქალაქკომი საზეიმო ვითარებაში გადასცემდა ამ ნიშნებს. დაიწყო დაკითხვა. ვინა ხარ, საიდან, რატომ? შეშინებულმა ველიჩკომ ყველაფერი დაფქვა. იქ კი ხელი სტაცეს სულიკოს და აღარ გამოუშვეს. ისე, რომ, ამხანაგებო, გაფრთხილებთ, — არავითარი სამკერდე ნიშნები! არაფრის გულისათვის არ გაეკაროთ თქვენს ინსტიტუტებს!

ამხანაგებო! დღის წესრიგში ორი საკითხი დგას: ჩემი მოხსენება „ქსო-ს ამოცანები" და ორგანიზაციის გაფართოებასთან დაკავშირებით გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევნები. დღის წესრიგის წინააღმდეგი ხომ არავინაა?

წინააღმდეგი არავინ იყო და ვაცლავ კობზიკოვი შეუდგა მოხსენების კითხვას.

— ჩვენი რიგები იზრდება, — თქვა მან. — ფინანსური საქმეებიც კარგად მიდის. ქსო-ს ხუთმა წევრმა უკვე გააჩაღა თავიანთი ოჯახური კერა და ჩვენი წესდების თანახმად წლის განმავლობაში სალაროში გადმოგვირიცხავენ თავიანთი ხელფასის მესამედს. ათამდე კაცი, სადაცაა, დაქორწინდება. გარდა ამისა, გვაქვს შემოსასვლელი და საწევრო გადასახადები.

— ამხანაგებო! — ხმას აუმაღლა ვაცლავმა. — დადგა დრო, როცა საჭიროებამ მოითხოვა გვყავდეს განთავისუფლებული თავმჯდომარე, რომელსაც ექნება საკადრისი კაბინეტი, ტელეფონი, ეყოლება მდივანი-მემანქანე. დროა წერტილი დავუსვათ კუსტარულობას! (ტაში). ვფიქრობ, შემდგომში, გამგეობის ყველა წევრს გადავიყვანთ პროფესიულ მდგომარეობაზე, ვუყიდით ავტომობილს და დავიკავებთ ცალკე შენობას (ტაში).

ჩვენი ხალხი სხვა ქალაქებში უნდა გავაგზავნოთ, დაე, იქაც ჩაატარონ შესაბამისი მუშაობა. ჩვენ შევქმნით საკავშირო ქსო-ს! მთელ საბჭოთა კავშირში გაუთხოვარს არ დავტოვებთ არც ერთი ხელმძღვანელი მუშაკის ქალიშვილს! (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. შეძახილები: „გაუმარჯოს ვაცლავ კობზიკოვს! დიდება ქსო-ს!"). აი, ასეთია ჩვენი ამოცანები. ახლა კი გადავიდეთ კამათზე.

კამათი ვაცლავ კობზიკოვის სადიდებელ ზეიმად გადაიქცა. ყველამ ერთხმად აღიარა ვეტექიმის დიდი ორგანიზატორული ნიჭი, საქმის ერთგულება და უანგარობა. სხვა ვინ, თუ არა იგი, უნდა იყოს ქსო-ს განთავისუფლებული თავმჯდომარე.

მხოლოდ უმოისიამ შორს დაიჭირა თავი და დანარჩენებს მხარი არ დაუჭირა. ტრიბუნაზე ავიდა თუ არა, აწრიპინდა:

— არავის ენაღვლება სხვისი საქმე! მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ... ინსტრუქტორები გაზარმაცდნენ, თავიანთი მოვალეობები დაივიწყეს... სამი თვეა, ვერ დავქორწინებულვარ... ინსტრუქტორი რიკოვი სრულიად არ მემორჩილება... ჩემს ობიექტს თავბრუს ასხამს... გგონია, ვერაფერს ვამჩნევ? მე ყველაფერს ვხედავ. გუშინ ლაბორატორიაში მასთან ერთად ჩაკეტილი ვინ იჯდა? მიპასუხე.

— რაშია საქმე, რიკოვ? — კობზიკოვმა მკაცრად დააკაკუნა ფანქრით გრაფინზე.

მე მხრები ავიჩეჩე.

— განა ჩემი ბრალია, მას რომ ეგ არ მოსწონს?

— ვინა თქვა, რომ არ მოვწონვარ? — აწუწუნდა უმოისია. — რიკოვმა თქვა... რიკოვი კი დაინტერესებული პირია... მას სურს გაეთამაშოს და მიატოვოს... მე კი ცოლი უნდა ვითხოვო!

— ბუსავით კი არ უნდა გაიფხორო. ქალიშვილებს უყვართ, როცა მათ უღიმიან, — ადგილიდან ვესროლე რეპლიკა.

— აი, რას გეტყვი, უმოისია, — თქვა ვაცლავმა. — ჩვენ შენს საკითხს საქმის მსვლელობისას განვიხილავთ. სასიძოდ ყოფნის ვადა მართლაც, კარგა ხანია, გაგივიდა. თუ რიკოვია დამნაშავე, რიკოვს დავსჯით. ქსო-ს ყოველი წევრის პირველი მცნებაა — ამხანაგი დააქორწინოს, შემდეგ კი უკვე თავის თავზე იფიქროს. კიდევ გამოვა ვინმე მოხსენებით?

— მინდა სიტყვა ვთქვა, — წამოდგა ეგორ ეგორიჩი. — მე განა არარაობა ვარ? ბოცველი მოგინდებათ თუ ბოსტნეული— ინებეთ, უარს არ გეუბნებით. მე მარტო ჩემთვის როდი ვცდილობ. სახელმწიფომ ხომ ფული დაგახარჯათ, ექვსი წელი გასწავლათ, სპეციალობა მოგცათ. რატომ იქცევით ასე, ჰა? გუშინ ინჟინერს ჩემი ძრავის დაზეთვა დაავიწყდა, მერედა, რა მოჰყვა ამას? წყალი მეექვსე სხვენზე არ ავიდა — მთელი ბოსტნეული

დაჭკნა. აბა, რა ინჟინერია, თუ დაზეთვა დაავიწყდება? კიდევ, აი, რას გეტყვით. თქვენ მოგმართავთ, ვაცლავ ტიმოფეევიჩ, როგორც მთავარ სოკოს. თინა ალექსეევნას თქვენი სოკოები არ უჯერებენ, კადნიერად ელაპარაკებიან. დღეს ბოცვერებს არ აჭამეს, იმათ კი ოთახში იატაკი გამოხრეს.

— გეყოფა, ეგორიჩ, — თავიდან მოიშორა კობზიკოვმა. — აქ ყრილობაა, საწარმოო თათბირი კი არა. საქმის მსვლელობისას მოვილაპარაკოთ. საერთოდ კი, ძალიან გათავხედდი, ექსპლუატატორო. რამდენ ადამიანს ამუშავებ! პროფკავშირი ხომ არ შევქმნათ შენს წარმოებაში?..

— რას ამბობ! — შეშინდა „ხელმწიფე". — ისინი გაუთავებელ სხდომებს გამართავენ. მარტო საანგარიშო-საარჩევნო — ორი დღე გაგრძელდება. ვიცი, მე თვითონ პროფკავშირში ვიყავი.

— ვის უნდა კიდევ გამოსვლა? მხოლოდ რეგლამენტი დავიცვათ. გამოვა ვინმე? თუ საკითხი ნათელია?

— გამოვა, — თქვა ბეჭხარგიდამ, რომელიც ყრილობას ესწრებოდა, როგორც საპატიო სტუმარი.

— გთხოვთ, — ვაცლავმა ხელი გაუწოდა. — ეს, ძმებო, ქალაქის ჩემპიონია კლასიკური ჭიდაობაში, ბორის დრიკინი. ახლა ცირკში მუშაობს. ჩვენ მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს.

— გიწევდით! მეყოფა! — ბეჭხარგიდამ ქოჩორი აიჩეჩა. — თქვენი გულისათვის ციხეში ჩაჯდომას არ ვაპირებ. გუშინ ორ კაცს ისევ ნეკნები დაემტვრა, მესამე კი კინაღამ დათვმა დაგლიჯა. რა უნდოდა მტაცებლის გალიაში — არ ვიცი. დირექტორმა უკვე საყვედური მომცა. „საიდან მოგყავს, დრიკინ, ეს გუდურებიო", მეკითხება. უნდა მეთქვა მისთვის, რომ ეს გუდურები უმაღლესი განათლებით არიან. საერთოდ, ბიჭებო, როგორც ვხედავთ, სისულელეს სჩადიხართ. თქვენი ვერაფერი გამიგია. ნუთუ გირჩევნიათ თუთიყუშებს სკლინტი უწმინდოთ, ვიდრე თქვენი სპეციალობით იმუშაოთ? არც ერთ ქსოელს ცირკში აღარ მივიღებ. სადაც გინდათ, იქ წადით.

ბეჭხარგიდას გამოსვლამ ყრილობის მონაწილეებზე უსია-

მოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ამის გასაქარწყლებლად კობზიკოვმა ნიშანი მისცა მუსიკოსებს და მათაც დააგუგუნეს:

ჰერი-ჰერი! ჰერი-ჰერი!
ვაცას შევრთოთ დედაბერი!
მისი დახმარებით ყველამ
სამუშაო ვპოვოთ ჩვენი!

— ჰერი-ჰერი! ჰერი-ჰერი! ჰერი-ჰერი! — ცხენებივით დაიჭიხვინეს ყრილობის მონაწილეებმა.

გაიღო მეზობელი ოთახის კარი და სამმა ბრგე ვაჟკაცმა ლანგრებით შემწვარი ბოცვერები და ახალი ბოსტნეული შემოიტანა — „ხელმწიფის“ საჩუქარი ყრილობას.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა: აირჩიონ ვაცლავ კობზიკოვი განთავისუფლებულ თავმჯდომარედ, მისცენ ხელფასი ასოცი მანეთის ოდენობით და მოუწყონ კაბინეტი რბილი სავარძლით, ტელეფონითა და მდივან-მემანქანით.

სამუშაოდან დაბრუნებულმა ხელების დაბანა ძლივს მოვასწარი, რომ კარზე დააკაკუნეს. შემოვიდა პირთეთრი, ბატკანივით ხუჭუჭთმიანი ქალიშვილი და დაიკიკინა:

— რიკოვი თქვენა ხართ?

— დიახ.

— კობზიკოვი გიბარებთ.

— როგორ თუ მიბარებს? თუ უნდა, თვითონ მოვიდეს.

— იგი თავის კაბინეტში იღებს. — ბატკანამ გამქირდავად შემომხედა.

პირი დავიბანე და ქსო-ს თავმჯდომარის კაბინეტის საძებნელად წავედი. იგი ეგორიჩის მიერ ახალმიშენებული ორი მომიჯნავე ოთახი აღმოჩნდა. პირველ ოთახში ტრიუმო და კარადა იდგა, კედელზე ცხენის სისხლის მიმოქცევის სქემა ეკიდა. საბეჭდ მანქანას ბატკანა უჯდა.

— ვაცლავ ტიმოფეევიჩი დაკავებულია, — დაიკიკინა მან.

მდივანი ქალის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე და კარისკენ გავემართე. ბატკანამ გზა გადამიღობა.

— მასთან მთხოვნელია!

გაიმართა ჭიდაობა. ფრენბურთის ბურთივით მოქნილი და სწრაფი მდივანი ქალი იერიშზე გადმოვიდა. ხმაურზე კაბინეტიდან თავმჯდომარემ გამოიხედა.

— გამოუშვით, ვარია. შემოდი, რიკოვ. ახლავე დავამთავრებ.

ჩემი შესვლისთანავე სკამიდან წამოდგა კბილის ექიმი, რომელსაც არალეგალურად ჰქონდა ბორმანქანა.

— მაშასადამე, შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

ქსო-ს თავმჯდომარის კაბინეტი მდიდრულად იყო მოწყობილი: ფიკუსი, ფარდები, სურათების რეპროდუქციები. მაგიდაზე მასიური სამელნე, საწერ-კალამი და ზარი იდო, კუთხეში დივანი იდგა.

ქათქათა თეთრ პერანგსა და კარგად დაუთოებულ შავ კოსტიუმში გამოწყობილმა ვაცლავმა კმაყოფილებით მოათვალიერა იქაურობა:

— აბა, რას იტყვი? ჰა?

— არა უშავს. მოდერნის სტილშია.

— იცი, აქ კიდევ რა აკლია?

— მწებავი ბუზიჭერიები.

— გეყოფა ოხუნჯობა. გატყობ, ანგლობას ძალიან მიეჩვიე. დიდი ხანია, გიჩივიან კიდეც. აქ კი ბორმანქანა გვაკლია.

— ბორმანქანა? — გავიოცე მე.

— დიახ. კბილის ექიმს უკვე მოველაპარაკე. ჩვენს ორგანიზაციას თითქმის მუქთად აძლევს მას. აი, აქ დავიდგამ, სავარძლის გვერდით.

— მშვენიერი დივან-საწოლი გამოვა. მხოლოდ ყველა კბილის მოწყობილობა უნდა დავაგლიჯოთ.

— კარგი, გეყოფა! — შემაწყვეტინა სიტყვა კობზიკოვმა.— აი, რისთვის გამოგიძახე. მაშინვე რატომ არ გამოცხადდი? რახან ჩვენს ორგანიზაციაში შემოხვედი, კეთილინებე და დაიცავი დისციპლინა.

— შენ ავად ხომ არა ხარ?

კობზიკოვმა შუბლი შეიკრა.

— მოსახვევში ფრთხილად იყავი, რიკოვ. რაც არ უნდა იყოს, მე შენი უფროსი ვარ. დღემდე რატომ არ დააქორწინე უმოისია?

— ტონიას არ მოსწონს და, გულახდილად რომ გითხრა, ეს უგერგილო სულაც არ არის მისი შესაფერისი.

ჩემი სიტყვები არ ეპრიანა თავმჯდომარეს. ხელები ზურგს უკან შემოიწყო და კაბინეტში სიარულს მოჰყვა.

— შესაფერისია თუ არა, შენი საქმე არ არის. ნუ გავიწყდება, რიკოვ, რომ შენ მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუქტორი ხარ. მართალს ამბობს უმოისია — თავი აიშვით ყველამ. დროა, დისციპლინას მივხედო. შენგან ჯერჯერობით ქსო-ს არავითარი ხეირი არ უნახავს. უმოისიას ქორწინება ჩაშალე, დღემდე შენთვისაც ვერ გიშოვია ობიექტი. იძულებული ვარ, უკანასკნელი გამოსაცდელი დავალება მოგცე.

— მართლა რა დაგემართა, ვაცა?

— შენ გგონია, ჩვენ იწილო-ბიწილოს ვთამაშობთ? გეტყობა, ბარკლის ძვლები ჯერ არ გიღრღნია. მე კი მიღრღნია. თუ ვიზარმაცებთ, ყველა შიმშილით დავიხოცებით. ყოველ წუთს ყურები დაცქვეტილი უნდა გქონდეს. ქალაქკომის საქმეებსაც უნდა ვიცნობდეთ.

— შეხედე, რას წაეპოტინა!

— ჰო... იქ ჩვენი კაცი უნდა გვყავდეს. შენ, მგონია, იცნობ, აი, იმ... რა ჰქვია... ინსტრუქტორს... ყოველთვის რაღაც წვრილმანებზე გაწუხებდათ.

— ივანი ხომ არა?

— ჩემი აზრით, ბიჭი ამ საქმისათვის გამოდგება. უეშმაკოცაა. ადვილად გამოვიჭერთ.

— მე მას კარგად არ ვიცნობ და თანაც...

— ისევ ყოყმანობ? მე შენ არ გეკითხები: გამოგვადგება, თუ არა. მე იდეას გაწვდი, შენ კი უნდა განახორციელო.

— რა იდეას?

— მანკაზე უნდა დავაქორწინოთ. მაშინ უკვე ის ჩვენს ხელთ იქნება.

— მანკაზე? ჰა-ჰა!

— რა გაცინებს? შენი საქმეა ჩემი ბრძანება შეასრულო. და საერთოდ, რა არის აქ სასაცილო? თუ ადამიანს განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებ, იგი ბოლოს და ბოლოს დაიჯერებს კიდევაც.

მაშა სოლოუხინა — სოკო — ცხვირპაჭუა ჩასუქებული გო-

გო იყო. ქსო-ში მას სერიოზულად არავინ უყურებდა, რადგან მაშა ყველა თავის გრძნობას ხითხითით გამოხატავდა. გარდა ამისა, იგი ლექსებს წერდა. ლექსები ძირითადად ომს ეხებოდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მაშას დეკლამაციის დროს ტოროლასავით აკისკისებულიყო. ივანი და მაშა... მხოლოდ კობზიკოვს შეეძლო მოეფიქრებინა ეს კომბინაცია.

ქსო-ს თავმჯდომარემ ღილაკს თითი დააჭირა და შემოსულ მდივანს უთხრა:

— გააფორმეთ ბრძანება. რიკოვს ვაკისრებ ივან ბერეზკინისა და მარია სოლოუხინას, ფრჩხილებში — მანკას, საქორწინო აქტს. გადაწყვეტილია. ვადა — ათი დღე, დღევანდელი დღის ჩათვლით. და გახსოვდეს: შენს ხელშია ორგანიზაციის ბედი!

ბრძანება № 06321

ვაკისრებ რიკოვს ივან ბერეზკინისა და მარია სოლოუხინას (მანკას) საქორწინო აქტს.

ვადა — ათი დღე.

ქსო-ს განთავისუფლებული თავმჯდომარე

(ვ. კ ო ბ ზ ი კ ო ვ ი)

მეორე დღეს კომკავშირის ქალაქკომში წავჩანჩალდი ივან ბერეზკინის მოსახელთებლად. მტვრიანი და ქარიანი დღე იყო. რესტორან „დონის" სამზარეულოს ფანჯრებში დაჭერილი თევზივით მარლის ფარდები ფართხალებდნენ და ქუჩაში შემწვარი ხორცის მომაკვდინებელ სუნს დენიდნენ.

ივან ივანოვიჩი ქალაქკომის კიბეზე სრულ ხუთ საათზე გამოჩნდა. მან ღრმად ჩაისუნთქა თავისი დიდი ნესტოებით ხორცის სუნი და ცოტა ხნით რაღაცაზე დაფიქრდა. მაგრამ უეცრად მოვარდნილმა ქარიშხალმა კაფანდარა ბერეზკინი ქუჩის გასწვრივ გააქროლა. ინსტრუქტორი იმასღა ახერხებდა, რომ უზარმაზარი პორტფელით, როგორც საჭით, წონასწორობას იცავდა.

მე ორი კვარტლის შემდეგ დავეწიე ბერეზკინს. ივანს არ გაკვირვებია ჩემი დანახვა.

— ‘ალამი, პრიახინ! — მომაწვდინა ხმა ყავისფერი ქარიშხლის სტვენაში. — როგორა ხარ?

— ნორმალურად. მივლინებით ჩამოვედი. შენ რასა იქმ? გაასახლე ინსტიტუტი კოლმეურნეობაში?

ივან ივანოვიჩმა უიმედოდ ჩაიქნია პორტფელი და ქარმა ადგილიდან მოსხლიტა. მე სახელოში ვტაცე ხელი ინსტრუქტორს.

— იქნებ თითო ჭიქა დაგველია?

ბერეზკინი ყოყმანობდა, მაგრამ გულის ნადების გამხელის სურვილმა სძლია.

ქუჩის აჩქარებით გავუყევით. ერთ-ერთ სასაუზმესთან, პრეტენზიული სახელწოდება „აღმოსავლეთის განთიადი“ რომ ჰქონდა, ბერეზკინს ვანიშნე და მანაც თავისი პორტფელი ქარის საპირისპიროდ დააყენა. ჩვენ გრძელსა და დაბალჭერიან დარბაზში აღმოვჩნდით, რომელშიც მარმარილო-ბეტონის მაგიდები იდგა, ფორმით ატომური აფეთქების მაკეტებს რომ წაგავდა.

კაფეში, ჩვეულებისამებრ, შეზარხოშებულ ადამიანთა ხმაური ისმოდა. მაგრამ მაგიდებზე მხოლოდ სიტროს ბოთლები იდგა. მყუდრო ადგილი მოვნახეთ ფიკუსის უკან. თითო ბიფშტექსი და კრემ-სოდის ბოთლი ავიღეთ თვალის ასახვევად. „პერცოვკა“ წინასწარ მოვიმარაგე.

— ბიუროკრატები სხედან თქვენს ინსტიტუტში, — თქვა ივან ივანოვიჩმა, თან ბიფშტექსს მიაჩერდა ნაღვლიანად. — ყველაფერზე თითქოს უკვე მოვილაპარაკეთ, საკითხი მოვაგვარეთ, ისიც დავუმტკიცე, რომ მიზანშეწონილი იყო... ჰოდა... მერე კი ყველა კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ერთი ადგა და წამოაყრანტალა: „კოლმეურნეობაში მაგიდების ადგილი სადა გვაქვს? ათას ოცდაათ ცალ მაგიდას სად დავდგამთო“. მე გავიცინე, იმათ კი მუშტი მომიღერეს და სერიოზულად დაიწყეს ამ პრობლემაზე მსჯელობა. აი, ასე ჩაიშალა ყველაფერი ამ მაგიდების გამო. ყველა რაღაცნაირად მოეშვა, მოდუნდა, ვერ შეანჯღრევ, თავს ვეღარ მოუყრი.

— გულს ნუ გაიტეხ, — თანაგრძნობით ვუთხარი ბერეზკინს და ბიფშტექსი მივაწოდე. — ჭამე. ისედაც მიცვალებულს დაემგვანე.

— ჯანდაბას მაგათი თავი! ახლა მე სხვა დავალება მომცეს. ვინც თავის სპეციალობით არ მუშაობს, იმათი საქმე მომანდეს.

ისე შევხედე, თითქოს ეს ამბავი სრულებითაც არ მაღელვებდა.

— მერე?

— მოსაწყენი საქმეა. თითოეულს უნდა კუდში სდიო, უნდა ეხვეწო, დაიყოლიო... ისინი კი თავპატიჟს იდებენ, ტირიან, თითქოს კატორღაში აგზავნიდნენ. დილიდან საღამომდე ქალაქში დავეთრევი. კატათაგვობანას ვთამაშობთ. დავაბამ ერთს საპარიკმახეროში — გაიხედავ, მეორე დღეს უკვე კინოთეატრში მუშაობს დამხმარე მუშად. ფეხები დამაწყდა ამდენი სიარულით!

ივან ივანოვიჩმა ჩანგალი ისე ძლიერად მოიქნია, რომ ბიფშტექსის ნაჭერი მოწყდა და პირდაპირ მეზობელ მაგიდაზე, ვილაც ლოთის თეფშზე მოადინა ტყაპანი. ლოთმა, ვითომ აქ არაფერიაო, ისე შეჭამა იგი.

— დროა დავამთავრო! ინსტიტუტის უკანასკნელი ხუთი წლის არქივებს მოვუყრი თავს, შევადგენ სიებს, შევკრებ ფოტოსურათებს და დავივლი ყველა დაწესებულებას. ჰო... ოღონდ მარტო ვერ მოვერევი. უშტატო კომისია უნდა შეიქმნას.

სიტყვა „კომისიაზე“ ბერეზკინი მოწყდა. ჭიქას ხელი სტაცა და გადაჰკრა. „პერცოვკა“ გულზე დაადგა და მან სევდიანად ჩაქინდრა თავი.

ბერეზკინი შემებრალა. იმ წუთში აზრადაც არ მომსვლია, რომ ასეთი აქტიური მოღვაწეობა სოკოებისთვის სავალალოდ დამთავრდებოდა.

— იქნებ უკომისიოდაც შეიძლება?

ივან ივანოვიჩმა თავი გააქნია.

— არა, პრიახინ... კომისიის გარეშე არ შეიძლება.

— რომელი დაწესებულებებიდან გინდა დაიწყო? — ვკითხე მე და ქსო გამახსენდა.

ბერეზკინის პასუხი აღარ გამიგია. კატია დავინახე.

ყინულის პრინცესა ორი მამაკაცის თანხლებით შემოვიდა კაფეში. მას თეთრი ქუდი ეხურა და შავი, წელში გამოყვანილი პალტო ეცვა.

— აი, კარგი ადგილი.

ფიკუსს მოვეფარე.

— რას მიირთმევთ, კატერინა დენისოვნა?

— სალათას, ბიფშტექსს და ბლინებს. საშინლად მომშივდა.

ფულიანი, სოლიდური ადამიანებისთვის დამახასიათებელი საქმიანი იერით დაახვავეს თეფშები მაგიდაზე. საიდანღაც „სტოლიჩნაიას“ ბოთლიც გაჩნდა. კატიას ერთ-ერთმა თანამგზავრმა, სქელმა, ლოყაწითელმა კაცმა, არაყი ჩამოასხა. როგორც მათი საუბრიდან გავიგე, ისინი სოსნოვკაში ახალი სკოლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებას „ასველებდნენ“. სქელი კაცი, ეტყობოდა, ოლქიდან ჩამოსული ამხანაგი იყო. მეორე, გამხდარი, მაღალი, ჭაღარა, არტისტს რომ წააგავდა — სკოლის დირექტორი. იგი მაშინვე რატომღაც არ მომეწონა.

სამივენი მალე შეთვრნენ, ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ და ხარჯთაღრიცხვის „გატანის“ ამბის სასაცილო ეპიზოდებს იგონებდნენ. კატია ყველაზე ხმამაღლა ხარხარებდა. ლოყები გაუწითლდა, ქუდიდან წამდაუწუმ თმა ეჩეჩებოდა და იგი ზანტი, ლამაზი მოძრაობით ისწორებდა კულულებს.

შევამჩნიე, რომ სკოლის დირექტორი კატიას თვალს არ აშორებდა.

— სამსონ ფროიმოვიჩმა კი ფეხი დაუბრახუნა და უყვირა, მაგრამ ბანის მაგიერ მამალივით ყივილი გამოუვიდა! — კისკისებდა თვალებგაბრწყინებული კატია.

— ჰა-ჰა-ჰა! მე ვეუბნები: „ხელი მოაწერე-მეთქი“, ის კი: „არ მოვაწერო“, — ბოხი ხმით ყვებოდა სქელო.

სკოლის დირექტორი თავშეკავებით იღიმებოდა და თვალებში ჩასცქეროდა კატიას.

— მე ვეუბნები: „ხელი მოაწერე-მეთქი“, ის კი: „არ მოვაწერო“. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! მაშინ ვუთხარი: „თავად ბეზრუჩკოსთან წავალ-მეთქი!“

როგორც ჩანს, ეს იყო ყველაზე სასაცილო ეპიზოდი, რადგან სამივე სიცილისაგან გადაფიჩინდა. კატია ჩაბჟირდა. ჭაღარამ ჭიქით სიტრო გაუწოდა და ერთი წამით მისი ხელი თავის ხელში შეაჩერა.

ამ დროს ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ძალიან შეეცადე, რამდენადაც შემეძლო მრავალმნიშვნელოვნად ჩამეცინა. ყინულის პრინცესამ ცივად ამარიდა თვალი, თითქოს ვერც მიცნო. ჭაღარამ მხიარულად რაღაცის მოყოლა დაიწყო, თან კატიას სახეში შესცინებდა.

— ვანია, — ვუთხარი მე, — აი, იმ მაგიდასთან ქალს ხომ ხედავ? გინდა, გაგაცნობ? საინტერესო ადამიანია. ოლქში ცნობილი გეოგრაფია. მთელი კარპატები, ყაზბეგი, ჰიმალაი მოვლილი აქვს.

— ჰიმალაი, — გაიმეორა ბერეზკინმა, თან ენა ებმებოდა. — კარგი იქნებოდა, იქ შრომითი გამაჯანსაღებელი სემინარი მოგვეწყო...

კატიას კომპანიამ წასვლა დააპირა. (ჭაღარა წარამარა საათს უყურებდა). კატიას ჩემკენ არც კი გამოუხედავს. როდესაც გვერდით ჩამიარეს, ვუთხარი:

— ეკატერინა დენისოვნა, შეიძლება ერთი წუთით?

— რაშია საქმე?

მან ზემოდან გადმომხედა.

— ამხანაგს კომკავშირის ქალაქკომიდან თქვენი გაცნობა სურს.

— გამარჯობათ! კატია.

— ივან ივანოვიჩი.

ბერეზკინმა უცბად დიდკაცური იერი მიიღო. კოსტიუმიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა, სახე ცივი გაუხდა, ხელი მაგიდის ქვეშ გააპარა და პორტფელს ჩაებღაუჭა.

— აბა, ჩვენ წავედით, ეკატერინა დენისოვნა, თორემ დავაგვიანებთ, — თქვა ჭაღარამ.

— წადით, წადით... ზეგ გნახავთ.

— ნახვამდის!

ისინი თბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მეტად თბილად. მე ვიტყოდი, მეტისმეტად თბილადაც.

— როგორ ცხოვრობთ, ეკატერინა დენისოვნა? — ვკითხე მე.

— გმადლობთ.

— არაფერს. სკოლას აშენებთ?

— დიახ.

— ახალი დირექტორია?

— ჰო.

— კარგია?

— მე მომწონს.

— ძალიან?

— თითქმის.

— ბუნდოვანი ფორმულირებაა.

— შენ ხომ ასე გიყვარს.

— მიმიხვდი.

— ზუსტად ვიცი. შენ მოგწონს ყოველგვარი გაურკვევლობა.

— კონკრეტული გაურკვევლობა სჯობია აბსტრაქტულ გარკვეულობას.

ძირითადად უკვე „ქვეტექსტებით“ ვსაუბრობდით. ივან ივანოვიჩმა მოიწყინა. მან ჩაახველა და წარმოთქვა:

— ხუთ კომისიას ექვსი სჯობია.

კატია შეკრთა.

— მე წავედი.

— კარგად იყავი. გაგაცილო?

— არ მინდა.

მე ჩავიცინე. ჩაცინება მეხერხება. ისიც კარგია, რომ მან თვალის არიდება ვერ მოასწრო. ახია ჩემზე, გაცილება რომ შევთავაზე.

ჩემოდანი თოვლით ახალდაფიფქულ ბალახზე დავდგი. გაჩერებაზე მხოლოდ ერთი მგზავრი იდგა — შუახნის, უღიმღამო გარეგნობის მამაკაცი, რომელსაც თბილი ჯუბა და ახალი კალოშები ეცვა.

— რა ვქნა, დავლიე, — მითხრა მან. — რა, არ შეიძლება?

პარკს იქით, ციცაბო მარჯვენა ნაპირზე, ქალაქი თეთრად ქათქათებდა. მე აღარაფერი დამრჩენია ამ ქალაქში. ყამირზე მივემგზავრები. გაზეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყამირი კარგი მხარეა, მხიარული... შეიძლება კავკასიაშიც წავიდე. ვენახში ვიმუშავებ. ან არხანგელსკში — თევზს დავიჭერ. სულ ერთია. რომელი მატარებელიც პირველი მოვა, იმას გავყვები. მე თავისუფალი კაზაკი ვარ. ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ როცა არავის აღარ უნდიხარ — მაინც ძალიან კარგია.

— არა, შენ მითხარი: არ შეიძლება?.. არ შეიძლება შენი შრომით აღებული გროშებით? — ცხარობდა უღიმღამო გარეგნობის მამაკაცი, თან მე მიტევდა.

ზურგი შევაქციე და შევკრთი. ტელეფონის ბოძს ის მიყუდებოდა, იდგა და დაჟინებით მიყურებდა. ის, რომელიც მიხმობდა თავისთან ქარიან ღამეებში.

— არ შეიძლება, მაშ, წამიყვანე! ჰო, წამიყვანე. აქ არა ვარ? რაზმეულს ჩააბარე ჩემი თავი!

...მას ნაცრისფერი ქურქი ეცვა, ბოძს მიყუდებული იდგა, ამიტომაც უცებ ვერ შევნიშნე.

ტრამვაი მოვიდა. იგი ტრამვაიში ავიდა.

— არ წამიყვან, მაშინ მე თვითონ წაგიყვან! — განაცხადა ახალკალოშებიანმა მამაკაცმა და სახელოში ჩამებღაუჭა.

ძლივს მოვიშორე იგი თავიდან.

— ამოდით ვაგონში, — მკაცრად თქვა კონდუქტორმა ქალმა და ჩანთაში ხურდა ფული ააჩხრიალა.

მე ავედი და მის პირდაპირ აღმოვჩნდი — ზღაპრული ფიფქიას წინ. მხრებზე ღუნღულა საყელოსავით თოვლი შემოვლებოდა. ნაცრისფერი ქურქი, თეთრი მაღალყელიანი ფეხსაცმელი, წითელი ხელთათმანები ეცვა. გახურებულ ავარდისფერებულ სახეზე თოვლის ფიფქები ადნებოდა. ქუდიდან ჩამოშლილი თმის კულული, თითქოს წვრილი მძივებიაო, წყლის წვეთებით იყო დაფარული. შავი თვალები ცნობისმოყვარეობით მომჩერებოდა.

— მოქალაქე, შემოდით ტრამვაიში. თქვენ ხელს მიშლით მუშაობაში! — დაიყვირა კონდუქტორმა ქალმა.

ტრამვაის კონდუქტორებს რატომღაც არ ვუყვარვარ. ისინი ყოველთვის მიაწერენ ჩემს პიროვნებას ყველა იმ ცოდვას, რაც კი შეიძლება ჰქონდეს მგზავრს. რატომ ავიწროებ მგზავრებს (თუმცა ისინი მე მავიწროებენ)? რატომ მგზავრობ უბილეთოდ (თუმცა ბილეთი შემოსვლისთანავე ავიღე)? მთვრალი რატომ ამოხვედი ტრამვაიში (თუმცა თევზივით ფხიზელი ვარ)?!

ყველა ამ შეურაცხყოფას ჩვეულებრივ დუმილით ვხვდები, ვინაიდან ყოველი ჩემი შეპასუხება კონდუქტორებს აცოფებს.

ამჯერად კი ვეღარ მოვითმინე. წავიდე — ნიშნავს დავკარგო იგი, რამეთუ ტრამვაი უკვე ხალხით გაიტენა.

— მე აქაც კარგადა ვარ, — ვთქვი მე.

ეს ფრაზა საბედისწერო აღმოჩნდა. კონდუქტორ ქალს, რო-

გორც საბრძოლო ცხენს საყვირის ხმაზე, ისე დაებერა ნესტო-ები. ჩხუბის მოლოდინში ვაგონი გამოცოცხლდა.

— აბა, გაიარე, ვის ვეუბნები! — განზრახ მშვიდი ხმით წაისისინა კონდუქტორმა.

— თქვენს საქმეს მიხედეთ. მე ვიცი, რაც...

კონდუქტორსაც ეს უნდოდა. დოინჯშემოყრილმა გამყივანი ხმით დაიყვირა:

— შლაპა მაინც არ გეხუროს! ან ეგ უსირცხვილო თვალები რას გიგავს! ამ ხალხისა მაინც შეგრცხვეს!

— თავსაფარი მაინც არ გეხუროს, — მეც მხარი ავუბი. — თქვენს ნერვებს მთელ ტრამვაის ნუ მოსდებთ!

— ხეპრე! უბილეთო ნაძირალა! გადი, თორემ ახლავე ტრამვაის გავაჩერებ!

იგი მომვარდა და ხელი ისე მტაცა, თითქოს გაქცევას ვაპირებდი.

— ამხანაგო მილიციელო! ამხანაგო მილიციელო!

— რაშია საქმე? — იკითხა შემთხვევით ვაგონში მყოფმა მილიციის ზემდეგმა, მსახიობ ფილიპოვს რომ წააგავდა.

— მთვრალია, ხულიგნობს, ბილეთების შეძენაში მგზავრებს ხელს უშლის, ბილეთს არ იღებს! — ჩამოთვალა კონდუქტორმა ნიშნის მოგებით.

— გააჩერეთ ტრამვაი! — ბრძანა მილიციელმა.

ნაცრისფერქურქიანი ქალიშვილი თანაგრძნობით მიყურებდა. გვერდით რომ ჩავუარე, ფორთოხლის სუნი მეცა. ფორთოხლისსუნიანი ქალიშვილი!

— მე არაფერი დამიშავებია! — უკან დავიხიე. — ჰკითხეთ ამ ხალხს!

ქუჩაში თოვდა და ისეთი სიცარიელე გამეფებულიყო, როგორც მინდორში. თეთრ მოფრიალე ფარდაში ბუნდოვნად მოჩანდა ხეებისა და რაღაც ნაგებობების კონტურები.

— ტრამვაის თუ შეახტები — წაგიყვან, — მითხრა მილიციელმა, თან ხელისგულებს შორის პაპიროსს მოუკიდა.

შემდეგ იგი საფეხურს შეახტა.

მინის იქით მისი მზერა დავიჭირე. ისე მიყურებდა, თითქოს რაღაცას ნანობსო. ამიტომ და შეიძლება იმიტომაც, რომ აღარაფერს ვკარგავდი, დავუყვირე:

— შაბათს რვა საათზე მოდით „სპარტაკთან!“

— აუცილებლად მოვალ, — მომიბრუნდა მილიციელი.

ამგვარად, ალბათ, ჯერ არავის დაუნიშნავს პაემანი, მაგრამ მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მოვიდოდა. განა შეეძლო არ მოსულიყო, თუკი მე მთელი სიცოცხლე მას ვეძებდი?

საიდანღაც უღიმღამო გარეგნობის მამაკაცი გამოჩნდა და ჩამაცივდა:

— რა ვქნა, დავლიე. რა, არ შეიძლება?

მაგრამ ახლა რატომღაც გრძელი პალტო ეცვა და უკალოშოდ იყო.

— როგორც იქნა, გიპოვე... — ვთქვი ხმამაღლა.

— აი, მეც მაგას ვამბობ! — გაუხარდა მამაკაცს.

არის თუ არა სიცოცხლე ელექტრონზე?

დადგა შაბათი. კინოთეატრ „სპარტაკთან“ დანიშნულ დროზე ერთი საათით ადრე მივედი. ცივი ქარი ქროდა, აფიშებს აფრიალებდა, ზედ გამოხატული ადამიანები კი თითქოს ციებცხელებიანივით კანკალებდნენ. დახურულ კარებთან რამდენიმე მობუზული კაცი იდგა და დასცქეროდა წარწერას — „ყველა ბილეთი გაყიდულია“.

სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. სად წავიდეთ, თუკი ის მოვა? ასეთ ქარში დიდხანს ვერ გაძლებ, თუნდაც გულში სიყვარული გენთოს.

ერთადერთი იმედი ცეკვები იყო. უახლოესი ავტომატიდან ყველა კლუბსა და კულტურის სასახლეში დავრეკე. არსად არც ცეკვები, არც კონცერტი.

დანაღვლიანებული კინოთეატრის წინ ბოლთას ვცემდი და სასწაულს ველოდი. შეხვედრამდე დარჩენილი ოცდათხუთმეტი წუთი სრულიად საკმარისი იყო სასწაულის მოსახდენად. ასფალტზე გუბეები შუბლს იკრავდნენ. პირდაპირ პოეტის ძეგლი ატუზულიყო. ხეები ოხრავდნენ და ტკრციალებდნენ, როგორც სასეირნოდ გამოსული დედაბრები.

კუბოკრულთავსაფრიანმა ორმა ქალიშვილმა ჩამიარა და მძაფრი სუნამოს სუნი დატოვა. იღლიაში ორივეს რაღაც შეკ-

რულები ამოეჩარა. გული ამიჩქროლდა: ცეკვები სადღაც მაინც უნდა იყოს! ქალიშვილებს ფეხდაფეხ გავყევი. ოღონდაც ახლოს აღმოჩნდეს, რვა საათისათვის რომ მოვასწრო.

მეგობრებს ერთნაირი, ღუნღულასაყელოიანი მწვანე პალტოები ეცვათ. მხიარული მუსაიფით, ჩემდა გასაოცრად, ისინი № 14 სასადილოს კარებში გაუჩინარდნენ. შესასვლელთან ასფალტი ნაფეხურებით იყო გადაქექილი. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ვესტიბიულში შევედი. იქ აუარებელ ახალგაზრდას მოეყარა თავი, ისინი მდუმარედ ტკეპნიდნენ ერთ ადგილს, ყურს უგდებდნენ ტანგოს მათრობელა ხმასა და ფეხების ფრატუნს, ზევიდან რომ მოისმოდა. სამოთხისაკენ მიმავალ კართან ორი წარმოსადეგი ყმაწვილი იდგა წითელი სამკლავურებით.

— კვების მუშაკთა საღამოა? — ვკითხე მე უზარმაზარბოხოხიან ჯეილს.

— კომკავშირული ქორწილია, — ჩაიბურტყუნა მან. — მზარეული კოლია ცოლად ირთავს მზარეულ მაშას. შენ სამზარეულოდან არ გიცდია?

— არა. შენ?

— ეს არის, სხვენიდან ჩამომაგდეს.

— აა... — ვთქვი მე.

ჩემი თანამოსაუბრის პალტო მტვრითა და ობობას ქსელით იყო დასვრილი.

ქუჩაში გამოვედი. თითქოს უფრო აცივდა. შეხვედრამდე სრული ათი წუთი დარჩა. ნუთუ არ მოვა?

გვერდით ჩავლილ მამაკაცს პაპიროსი ვთხოვე და გავაბოლე. ბოლმა ცოტა გამათბო. თამბაქოს შეუჩვეველს თავბრუ დამეხვა. მოვწიო თუ არა მისი თანდასწრებით? ვიხუმრო, თუ დაფიქრებული კაცის როლი გავითამაშო? იქნებ ჯობდეს, რაცა ვარ, ისეთი ვიყო? თუმცა არა, ეს მეტისმეტად ძნელია და, საერთოდ, რას წარმოადგენს იგი, ჩემი მომავალი მეუღლე?

იგი ზუსტად რვა საათზე მოვიდა. ცოტა დავიბენი კიდეც, რადგან გულის სიღრმეში მაინც არ მჯეროდა, რომ მოვიდოდა. მას იგივე ქურქი ეცვა და ღუნღულა თავსაფარი ეკეთა.

— გამარჯობათ. ხომ არ დავაგვიანე?

ხმა სუფთა, წკრიალა ჰქონდა, სრულიად არ მორცხვობდა.

— თქვენ ზუსტი ყოფილხართ.

პაპიროსი ურნაში ვისროლე, მაგრამ ვერ ჩავაგდე და იგი ქარმა გაიტაცა.

— დღეს თქვენი დაბადების დღეა?

— ვინ გითხრათ? — გავოცდი მე.

— საერთოდ, ბიჭებს უყვართ ამგვარად ნაცნობობის დაწყება. მოაწყობენ საღამოს და „მედღეობეს“ ფსონით ნაყიდ თავისივე საათს ჩუქნიან.

— სამწუხაროდ თქვენ შეცდით.

— საბედნიეროდ. მოდით, ვეცადოთ ისეთები არ ვიყოთ, როგორიც ყველაა. ეს უფრო რომანტიკულია. კარგი? ახლა რა ვქნათ?

— ვისეირნოთ.

ქალიშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მან ხელები ქურქის ჯიბეებში ჩაიყო და მამაკაცური ფართო ნაბიჯებით წავიდა. მე გვერდით გავყევი. ხელმკლავის გაკეთება ვერ გავბედე, რამეთუ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ეს რომანტიკული იყო.

გუბეებს ყინულის ქერქი ედებოდა. იშვიათი გამვლელები გარბოდნენ, ქარს მხარს უშვერდნენ და ცხვირს საყელოში მალავდნენ.

„ჩემს ცოლს ხასიათი, მგონი, კარგი არ უნდა ჰქონდეს, — ვფიქრობდი და თან ვცდილობდი ფეხები მაგრად დამედგა ტროტუარზე, რათა არ გამყინვოდა. თუმცა, როცა ახალგაზრდა ხარ, სრულიადაც არ გინდა, სხვებს ჰგავდე. მეტი უნდა ვიოხუნჯო, ქალებს ეს ძალიან მოსწონთ“.

— სტუდენტი ხართ? — მკითხა ქალიშვილმა ისე, რომ ჩემკენ არც მობრუნებულა.

— არა, ვმუშაობ.

— სად?

— მფრინავი-გამომცდელი ვარ.

ეს არ იყო ოხუნჯობა, მაგრამ ეფექტი მოახდინა. ჩემი თანამგზავრი შეჩერდა და დამაკვირდა, თითქოს პირველად მხედავდა. მერე ხელთათმანი გაიძრო.

— ლილია, თქვენ?

— გენა... გენადი იაკოვლევიჩ.

— დედამიწა გინახავთ?

— როგორც ახლა თქვენ გიყურებთ.

— როგორია?

— ბრტყელი.

— მე სერიოზულად გეკითხებით.

— მეც. ბლინივით ბრტყელია და გვერდებზე ყურები აქვს.

— რა ყურები?

— სპილოებისა, რომელთაც იგი უკავიათ.

— თქვენთან სერიოზულად...

ლილია გაიბუტა. ხუთი წუთი მდუმარედ მივდიოდით.

— მხოლოდ ეს ჯერჯერობით საიდუმლოა, — ვთქვი მე. — შეცნიერები ისე არიან გაოცებული ამ ჭეშმარიტების აღმოჩენით, რომ ვერ ახერხებენ მის გაცნობიერებას. მფრინავებმა კი ყველაფერი იციან. ახლა კიდევ თქვენც იცით.

— არა, მართლა?

ლილიას ხმაში ყოყმანი იგრძნობოდა.

— მართლა. საშინელებაა, არა?

— პირიქით... შესანიშნავია. მაგრამ თქვენ სულ ტყუიხართ.

თითქოს ვარსკვლავებს სწყდებაო, მაღლიდან თოვლის ფანტელები ცვიოდა, სახეზე გვიღუტუნებდა და მხოლოდ ფარნების მჭრქალ შუქზე მოჩანდა. ფიფქები უაზროდ ტრიალებდნენ და ფარნის მინებს აწყდებოდნენ.

— დაიცათ, — თქვა უცებ ლილიამ, — მუსიკის ხმა გესმით?

ჩვენ შევჩერდით. ვალსის ნაზი მელოდია თოვლთან ერთად ეშვებოდა მაღლიდან.

— მესმის. ეს აელიტა უკრავს.

— მე კი მგონია, აი, იმ სახლიდან ისმის.

ჩვენ № 14 სასადილოს წინ ვიდექით. მისი მეორე სართული ერთიანად განათებული იყო, ფანჯრებში ჩრდილები დაბორიალებდნენ. უცბად გათოშილი ფეხები ამტკივდა.

— იცით, — ვუთხარი მე, — იქ ახლა ჩემი მეგობრის ქორწილია. გინდათ, წამოდით?

— და თქვენ მხოლოდ ახლა გაგახსენდათ ეს?

— არა. უბრალოდ, არ მინდოდა ბანალური ვყოფილიყავი.

ლილიამ გამომცდელად შემომხედა. მეც ვაქკაცურად გავუძელი მის მზერას.

— მაგრამ საჩუქარი რომ არა გვაქვს, — თქვა მან გაუბედავად.

— სისულელეა! ახლავე რაღაცას ვიყიდით! — ვთქვი მე, თან გონებაში ვიანგარიშე, რამდენი ფული მქონდა.

„გასტრონომში“ ორი კოლოფი პასტილა და ერთი ბოთლი შამპანური ვიყიდე. „უკიდურეს შემთხვევაში, თუ არაფერი გამოვა, მე და კობზიკოვი გავანადგურებთ ყველაფერს“, — გავიფიქრე მე, როდესაც ლილია'თან ერთად ვესტიბიულში შევდიოდი.

აქ ისევ ბევრი ხალხი ირეოდა. ბრბო გავარღვიე და გულადად გავემართე სამკლავურებიანი ყარაულები'საკენ. ისინი ერთ ადგილს ტკეპნიდნენ და აშკარად მოწყენილები ჩანდნენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — ვუთხარი მე. — ხომ არ დავაგვიანეთ?

— დააგვიანეთ, — ჩაიბურტყუნა ერთმა რაზმელმა და ეჭვით დაუწყო ყურება ჩემს შეკრულას. მეორემაც შეხედა ქაღალდის პაკეტს.

— აგურებია? — გულგრილად მკითხა მან.

— აბა რა, — ვთქვი მე და გამოვაჩინე ბოთლის ვერცხლისფერი ყელი. — ასეთ აგურს მიეკარები და კარგადაც იქნები. აბა, რასა იქმს ნიკოლაი? ფეხზე კიდევ დგას? თუ მაშამ პირის გა'ველების უფლება არ მისცა?

ყარაულებმა გაიღიმეს:

— ბოდიშს ვიხდით, ამხანაგებო... მობრძანდით, გაიარეთ. იძულებული ვართ ზომები მივიღოთ. ვინ არ მოძვრება. სულ ახლახან ერთი ჭკუის კოლოფი აღმოვაჩინეთ. აგურები გაახვია ქაღალდში — ვითომდა საჩუქარიაო...

დარბაზში დახუთული ჰაერი და მათრობელა სითბო იდგა. ირგვლივ ხმაურობდნენ, ფეხებს აფრატუნებდნენ, რადიოლა შიშინებდა, ჩხარუნებდნენ თეფშები. ლილია სარკესთან მივიდა. მე მის გვერდით შევჩერდი და შეუმჩნევლად დავუწყე თვალიერება. სარკიდან შემომცქეროდა ნორჩი, შავთმიანი, მკაცრთვალებიანი გოგონა. ფერმკრთალ სახეს თმა გვირგვინივით შემოსდგომოდა. მკლავები გამხდარი ჰქონდა. წითელი შალის კაბა ცოტა ხალვათად ადგა, ალბათ სხვისთვის იყო შეკერილი. მეტად გულამოღებული და მოკლე, ოდნავ გამხდარ

მოხდენილ ფეხებს მუხლებამდე უფარავდა, ხორკლიანი კანით დაფარულ თითქმის მთელ ზურგს აჩენდა. ორი სქელი ნაწნავი პატარა მკერდზე ეშვებოდა და ქამრამდე აღწევდა.

— თქვენ ალბათ შეგრცხვებათ ჩემი ნაწნავების გამო, — მითხრა ლილიამ, როდესაც სარკეში ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, — ეს ხომ ახლა არამოდურია.

— რას ამბობთ! — შევედავე მე. — ნაწნავებს თავისებური მომხიბვლელობა აქვს. რაღაცით პუშკინის ლუდმილას მაგონებთ.

— მადლობელი ვარ კომპლიმენტისთვის. ყველა მეუბნება, რომ მე თანამედროვე გოგო არა ვარ.

— თქვენ სწორად ვერ გამიგეთ. პირიქით...

— თქვენ მხედველობაში გაქვთ ჩემი კაბა? ეს ხომ ჩემი დისაა.

— წავიდეთ, ვიცეკვოთ? თქვენთან ჩვეულებრივი საუბარი ძნელია.

— მე არ ვცეკვავ.

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— იმიტომ, რომ საძაგლობად მიმაჩნია. დიდი ხანია, ცეკვებისაგან მხოლოდ სახელწოდებაღა დარჩა. ახლა მხოლოდ იმიტომ ცეკვავენ, რომ ყველას დასანახად მოეხვიონ ერთმანეთს. მე კი ეს სრულიად არ მჭირდება.

— მაშინ მაგიდასთან დავსხდეთ.

— მე არ ვსვამ.

— არც ჭამთ?

— ზოგჯერ.

ჩვენ უხერხულად ვიდექით დარბაზის შუაგულში.

— ეი, თქვენ გეუბნებით, წყვილო, აქ მოდით! — დაგვიძახეს სუფრიდან.

ვიღაც შავკოსტიუმიანი, პეპელა-ჰალსტუხი რომ ეკეთა, მოიკრა ჩვენთან და მთვრალი კაცის თავაზიანობით სუფრასთან დაგვსხა. მე ნეფესთან წავედი მისალოცად. იგი მაგიდის თავში იჯდა, ლოყებღაჟღაჟა, კმაყოფილი და ცდილობდა რკინის სავარცხლით დაემორჩილებინა თავისი ქოჩორი. გაცხარებული გაშმაგებით იქნევდა სავარცხელს, მაგრამ უშედეგოდ: როგორც

კი საავარცხელს თმას მოაცილებდა, ქოჩორი მაშინვე იშლებოდა და თვალებზე ეფარებოდა.

— რამდენი ხანია, აღარ მინახიხარ, მეგობარო! — ვთქვი მე და გულაჩუყებულმა ნეფეს წინ შამპანურის ბოთლი დავუდგი.

— ეყოფა მაგას უკვე! — გაცხარდა ჩასუქებული პატარძალი. — დედა, ამას კიდევ უნდა დაალევინონ!

ნეფემ თვალებიდან თმა მოიშორა და მოულოდნელად დაიყვირა:

— საშკა!!! შენა ხარ???

— აბა, რა!

— მეგობარო! რა ქარმა გადმოგაგდო? ჭიქები მომეცით!

პატარძლის ნათესავების აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად ჩვენ გადავკარით.

— მაშასადამე, დაქორწინდი, ხომ?

— როგორც ხედავ. შენ?

— ჯერ არა.

— ითხოვე ქალი, ჩემო ძმაო. კარგია ქორწილში ქეიფი, საკუთარ ქორწილში. ეი, მოდით, რუსული ვიცეკვოთ! რუსული საცეკვაო! გახსოვს, როგორც მაშინ?.. მიშკა, მოიტა ბაიანი!

ქოჩორი ისევ ჩამოეშალა ნეფეს თვალებზე და მან გამწარებით მოიქნია თავი.

მეც ამით ვისარგებლე და ნელ-ნელა უკან დავიხიე ჩემი ადგილისკენ. ლილია ჩანგლით ვინეგრეტს ჩიჩქნიდა.

— ისიც მფრინავია?

— არა, მზარეული.

— საოცარია — ერთი ლამის ხელით მისწვდეს ვარსკვლავებს, მეორე კი მლაშე ვინეგრეტებს ამზადებს.

— იქნებ ცოლის დამზადებულია?

— თქვენ ახლა ალბათ მეტყვით, რომ ადამიანებს ყველა პროფესია ესაჭიროებათ. ამას არც უარვყოფ. მაგრამ მაინც არსებობს ძლიერთა პროფესიები. აი, მაგალითად, თქვენი. რატომ ვიცრუო, პირდაპირ გეტყვით: მე ვამაყობ, რომ შემთხვევამ თქვენთან შემახვედრა.

მან ეს ისე გულწრფელად თქვა, რომ უცებ შემეშინდა ჩემი მომავლისა. რა იქნება, როცა ყველაფერი გაირკვევა?

— ჰო... რასაკვირველია. მაგრამ თქვენ მეტისმეტ'ს მოითხოვთ ადამიანებისაგან. ყველა ხომ ვერ იქნება მამაცი და გამბედავი. კაცობრიობა ძირითადად გულჩვილია, კეთილი, უყვარ'ს ჭამა და დროს ტარება.

ლილია ჩემკენ მობრუნდა:

— აი, სწორედ მაგიტომაც მძულს ეგ თქვენი „კაცობრიობა"! ეს ყბადაღებული „საშუალო მოქალაქე", რომელიც სვამს ღვინოს, მიირთმევს ბორშჩს, დაეთრევა მეზობლი'ს ცოლთან, დანარჩენ დროს კი „მომავლის ნათელ შენობას აგებს". აბა, ე'ს რა გმირია? გმირი ის არის, ვინც რაღაც უჩვეულოს ქმნის, მთელი არსებით ეძლევა თავის 'საქმეს. მაგრამ გმირიც არარაობაა. იგი გმირია იმიტომ, რომ მის ირგვლივ ყველა ცხვარია. ხომ გაგიგონიათ ანდაზა: უძაღლო ქვეყანაში კატებს აჩხავლებენო. თუ იცხოვრებ ამქვეყნად, მხოლოდ გენიო'ი უნდა იყო.

— ოჰო! — ვთქვი მე. — რამხელა პატივმოყვარეობაა! მაშ, თქვენ რატომღა ცხოვრობთ? ან იქნებ თქვენ გენიოსი ხართ?

— მერედა, რატომ იცინით? თქვენ ხომ სულ არ მიცნობთ. იქნებ რაღაც ისეთი აღმოვაჩინე, რაზედაც კაცობრიობას ჯერ არც კი უფიქრია?

— რა აღმოაჩინეთ? — დავინტერესდი მე.

— ჯერჯერობით საიდუმლოა.

— გემუდარებით, მითხარით. არავის არ ვეტყვი.

ლილია ყოყმანობდა:

— დაიფიცეთ.

— ვფიცავ.

— არა, ასე არა. თვალებში მიყურეთ და გაიმეორეთ: „ვფიცავ, თუ ვიტყვი თუნდაც ერთ სიტყვა'ს..."

მე მოვბრუნდი და შავ თვალებში ჩავაცქერდი, რომლებიც უეცრად სერიოზული და საოცრად ღრმა გაუხდა.

— ვფიცავ, თუ ვიტყვი თუნდაც ერთ სიტყვას...

— დაე, დაიმ'ხვრეს მაშინ ჩემი თვითმფრინავი, ხოლო ჩემი სხეული ვერ შეიცნოს ვერც საკუთარმა დედამ.

მე მორჩილად გავიმეორე ფიცი. ჩემი თვითმფრინავი არასოდეს არ დაიმსხვრეოდა.

— მაშ ასე, თქვენ პირველი ადამიანი ხართ, რომელიც შეიტყობ'ს ამას. ჩვენ ელექტრონზე ვცხოვრობთ.

— სად? — გავოცდი მე.

— ელექტრონზე. მზე კი პროტონია.

ჩემდა უნებურად გამეცინა. ლილიამ მშვიდად აიღო ვაშლი და ჩაკბიჩა.

— იცინეთ, იცინეთ. თქვენს ადგილს ყველა ასე მოიქცეოდა.

— მაგრამ საიდან დაასკვენით ეს? — ვკითხე მე, როცა სიცილით გული ვიჯერე; ამის უფლებაც ხომ უკვე მიღებული მქონდა.

— ეს უკვე წვრილმანებია. სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენი მზის სისტემა არის ატომი, რომელიც შედის 'საფერფლი'ს შემადგენლობაში. იმ საფერფლისა, რომელიმე გოლიათის მაგიდაზე რომ დგას. ეს გოლიათი კი რბილ 'საავარძელში ზის, გაზეთს კითხულობ'ს, ნამწვავს საფერფლეში აფერფლებს და წარმოდგენაც არა აქვს, რომ ამ საფერფლეში ირევა მილიარდობით მზე და პლანეტა, რომელთაგან ერთ-ერთზე მე და თქვენ ვიმყოფებით. ჩვენ კი ვერასოდეს ვერ დავინახავთ ვერც ამ გოლიათს და ვერც მის საფერფლე'ს, რამეთუ ადამიანის თვალი ვერ ამჩნევს ვერც მცირეს და ვერც დიდს. სხვათა შორის, „დიდი“ და „მცირე“ შეფარდებითი ცნებებია, რომელთა შეცნობა მხოლოდ შედარების გზით ხდება. ზუსტად ასევე შეიძლება იყოს სიცოცხლე ნეიტრონებზეც, რომელთაც ჩვენ ვდენით. რატომ არ შეიძლება დავუშვათ ასეთი შე'საძლებლობა? თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ყველა მოაზროვნე არსება უნდა იყოს მეტრ-ნახევარი სიმაღლისა და ჰქონდეს ოცდაჩვიდმეტი გრადუსი ტემპერატურა? თქვენ ნამდვილად იცით, რომ მიკრობები არ აზროვნებენ?

— თქვენთან საუბრის შემდეგ — არა.

— ირონიული ტონი საჭირო არ არის. მე ეს არ მიყვარს.

— არც მიფიქრია. ეს აღმოჩენა ათამდე გენიოსს ეყოფა.

— ისევ? სახლში წავიდეთ.

კიბეზე აურზაური იდგა. სამი გამარჯვებული რაზმელი გაჯიუტებულ ბოხოხიან ჯეილს ქუჩაში მიათრევდა. ზანგივით შავი პირისახე ჰქონდა, თურმე სამოთხეში 'აქვაბიდან უნდოდა შეძვრომა.

ლილია შორს ცხოვრობდა და მე უკანასკნელი ტრამვაით

ვბრუნდებოდი. მთელი გზა ფანჯარაში უაზროდ ვიყურებოდი და ვიღიმებოდი. ასეთ ქალიშვილს არასოდეს შევხვედრივარ. სიცოცხლის აღმოჩენა ელექტრონზე! სასაცილოა... და ხელებიც ისეთი მოქნილი აქვს, როგორც ტანმოვარჯიშე'ს. ჩაბნელებულ სადარბაზოში მაინც ვაკოცე მას. სწრაფად და ტლანქად მომივიდა, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ლილია წინააღმდეგობა'ს გამიწევდა. მაგრამ მან ესღა თქვა:

— ვერაფერს სასიამოვნოს ვერ ვხედავ ამაში. საძაგლობაა.

— მაგრამ გენიოსებსაც უყვარდათ კოცნა, — 'სიტყვა შევუბრუნე მე.

— სამწუხაროდ.

ფანჯრის იქით ლურჯად მოციმციმე ხეები იზნიქებოდნენ. კონდუქტორი ქალი, დაბამბულ ქურთუკსა და ლაბადაში გამოწყობილი, კომბოსტოს თავს წააგავდა, ეჭვით მიყურებდა, ალბათ მთვრალი ვეგონე. მე კი მინდოდა რაღაცით მესიამოვნებინა, ქალი გამეხარებინა. იქნებ ბილეთი ამეღო?

— მაშასადამე, თვალები ცისფერი აქვს, როგორც დენატურატის ალი?

— კი.

— და სახით კრამ'სკოი'ს „უცნობს" ჰგავს?

— კი.

— ჰმ... — კობზიკოვი ჩაფიქრდა, — მისი სოციალური მდგომარეობა თუ გაარკვიე?

— არა.

— სოციალური მდგომარეობის გარეშე არ შემიძლია.

— მას ძვირფასი ქურქი ეცვა და ორმოცდაათმანეთიანი თავსაფარი ეკეთა.

— ბევრს დამლაგებელი დედის მეტი არავინა ჰყავს, მაგრამ ძვირფასი ქურქი კი აცვია.

— ახალ სახლში ცხოვრობ'ს. კარზე წარწერა აქვთ.

— ბევრი ცხოვრობ'ს ახალ სახლში და კარზედაც წარწერა აქვთ. არა, რიკოვ, ფულს ვერ მოგცემ. რას იტყვის სარეკვიზიო კომისია? გამოარკვიე სოციალური მდგომარეობა და მაშინ ვნახოთ.

— როგორღა გამოვარკვიო სოციალური მდგომარეობა,

თუკი არც ერთი კაპიკი არა მაქვს? კინოში ხომ უნდა წავიყვანო.

— რასაკვირველია.

— ნაყინიო, ათასნაირი ნამცხვარიო. პუშკინი გადამიხდის?

— მუმია! კარზე დაწერილი გვარი მაინც დაგეხსომებინა! სემინარებზე ბუზებს ხომ არ ყლაპავ: რას გვასწავლის ქსო-ს წესდება? ქსო-ს წესდება გვასწავლის, რომ სოციალური მდგომარეობა უნდა გაირკვეს პირველსავე საღამოს. მხოლოდ მაშინ მექნება უფლება ხელი მოვაწერო განცხადებას ავანსის გაცემის თაობაზე. გაიგე?

— გვარი კი დავიხსომე. სემიონოვა. მაგრამ სემიონოვები ათასობითაა...

— მოდი ვნახოთ, — ვაცლავმა ტელეფონების ცნობარის სპეციალური ეგზემპლარი ამოიღო, სადაც ბინის ტელეფონების გვერდით მიწერილი ჰქონდა აბონენტის თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ოჯახური მდგომარეობა. — თუ ის დიდი კაცია, ტელეფონი აუცილებლად ექნება. ს... ს... ს... სეპელნიკოვი... სემოჩკინი... სემიონოვი. როგორი ინიციალები აქვს?

— მგონი, ი. ვ.

— როგორ? როგორ? — კობზიკოვს სახე შეეცვალა.

— ი. ვ. ახლა ზუსტად გამახსენდა.

— ქალიშვილს რა ჰქვია?

— ლილია.

— მაშ, მისმინე, — მითხრა აკანკალებული ხმით ვაცლავმა. — სემიონოვი ივან ვასილიევიჩი, 1915 წელს დაბადებული, ჰყავს ვაჟი იგორი, დაბადებული 1936 წელს და ქალიშვილი ლილია, დაბადებული 1945 წელს. მუშაობს ატომური ელექტროსადგურის დირექტორად. გაიგე?

— გავიგე.

— შესანიშნავია! დიდებულია! გრანდიოზულია! მუმიოზულია! ფარაოზულია! — დაიწყო ოთახში სირბილი ვაცლავმა.

მე სწრაფად ავიღე ხუფთა ფურცელი და დავწერე:

ქსო-ს გამგეობის თავმჯდომარეს
ვ. კობზიკოვს
საპარიკმახეროებისა და ფოტოსამხატვრო
სამუშაოების განყოფილების ინსტრუქტორის
გ. ი. რიკოვის

გთხოვთ გამომიყოთ ოცი მანეთი ატომური ელექტროსადგურის დირექტორის ქალიშვილთან ლ. ი. სემიონოვასთან დასაახლოებლად.

ეაცლავმა ქაღალდი ხელიდან გამომგლიჯა.

— რა ინსტრუქტორი? ეშმაკმა დალახვროს, რის ინსტრუქტორი? შენ ახლა ატომური ელექტროსადგურის განყოფილების გამგე ხარ! გესმის?

თამაკრ ლეღოფალი

მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში დადგა ნამდვილი ზამთარი. ცივმა ქარმა ჩრდილოეთიდან დიდი თოვლი მოიტანა, რომელიც თეთრი დათვებივით ჩაწვა პარკებსა და ეზოებში. ნათელი დღეები იდგა. სტუდენტები ქუჩებში უქუდოდ დაშლიგინებდნენ. წითელლოყება ჩასკვნილ გოგოებს თოვლი ქალაქგარეთ გაჰქონდათ. ხის ნიჩბების ნაკვალევისაგან ტროტუარებს ზოლები დააჩნდა. ღრისით სახურავებიდან წვეთავდა, ღამით კი სახლებს შორის მშიერი ძაღლივით დაძრწოდა ქარაშოტი და ხორკლიანი ენით ტროტუარებს ლოკავდა.

მიუხედავად მკაცრი კლიმატური პირობებისა, სოკოების რიცხვი კვლავ იზრდებოდა. ივან ივანოვიჩ ბერეზკინი თავისი უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატითურთ აბსოლუტურად უვნებელი ადამიანი აღმოჩნდა ქსო-სათვის.

ნაცნობობის მესამე დღეს (მე მაინც შევასრულე კობზიკოვის დავალება) მანკამ მოახერხა ფოტოასლი გადაეღო „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდა სპეციალისტებით დასაკომპლექტებელ კომისიათა მოძრაობის გრაფიკისათვის იმ უმაღლესდამთავრებულთათვის, ვინც არ გაემგზავრა დანიშნულებისამებრ სოფლის მეურნეობის რაიონებში“.

თავისი უნდა მივაგოთ ბერეზკინს: კომისიები მკაცრად იცავდნენ გრაფიკს. ეს ჩვენთვისაც ხელსაყრელი იყო. გარკვეულ დღესა და საათს, გარკვეულ დაწესებულებაში სოკოები სასწრაფოდ მიდიოდნენ მივლინებაში ან უბრალოდ დროებით ქრებოდნენ.

ბერეზკინი მკვდარივით დადიოდა. ორი თვის ტიტანური შრომა და არც ერთი მოწყვეტილი სოკო. ჩემთან შეხვედრისას გაურკვევლად ბუტბუტებდა:

— კომისიები არ გვყოფნის, პრიახინ... ვერ ვასწრებთ...

ზოგჯერ, პირიქით, ივან ივანოვიჩი მეტად აგზნებული იყო.

— საქმე კარგად მიდის! — მიყვიროდა შორიდანვე. — გენიალური იდეა მომივიდა! ვქმნით კოორდინაციონალურ საბჭოს!

ყოველთვის მხიარული მანკა ახლა თვალცრემლიანი შესჩიოდა კობზიკოვს:

— მეტი აღარ შემიძლია! თავს ვანებებ. ძალიან მიჭირს. პაემანი სხდომების დროს. ღამის პირველ საათამდე ვყურყუტებ!

— და არც ერთხელ არ გიკოცნიათ ერთმანეთისთვის? — შუბლშეკრული ამბობს ქსო-ს თავმჯდომარე.

— არა...

— მიდი და შენ თვითონ აკოცე, ნუ ელოდები!

— ქალიშვილმა არ შეიძლება პირველმა...

— ცრურწმენაა! მახსოვს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, ერთ გოგოსთან მივედი ღორის ნაწლავების სქემის გადასახატავად, ცუდი არაფერი მიფიქრია, შტერივით მივენდე, მან კი არც აცია, არც აცხელა, ადგა და მაკოცა!

— მე მეშინია...

— დაგეხმარებით! რიკოვ, ოპერაციის გეგმა შეიმუშავე! ეს შენი დაუდევრობის ბრალია. გოგოსთვის აქამდე არ უკოცნიათ.

ოპერაცია „კოცნა“ ძალიან გამიძნელდა. სამი დღე ჩავჩიჩინებდი ბერეზკინს გასულიყო ქალაქგარეთ (ევარჯიშა, ტყე-ღრე ეხეტიალა „მორალურგამაჯანსაღებელი“ ღონისძიების წინ). ბოლოს და ბოლოს, გულის კანკალით დამთანხმდა. მანკამ თავისი საუკეთესო კაბა ჩაიცვა, ყველაზე ძვირფასი სუნამო დაისხა. ქსო-ს თავმჯდომარემ პირადად ჩაუტარა ინსტრუქტაჟი. იმ დღეს შესანიშნავი ამინდი იყო და ყველაფერი წარმატებას გვიქადდა. მოუთმენლად ველოდით მანკას.

საღამოს იგი თვალცრემლიანი დაბრუნდა.

— აკოცეთ ერთმანეთს? — მკაცრად ჰკითხა ვაცლავ კობზიკოვმა...

— არა...

— რატომ?

— ფერმაში შევედით რძის დასალევად. მან კი, როგორც კი ძროხები დაინახა...

— შეეშინდა თუ?

— წველა დაიწყო. საღამომდე წველიდა. ტირის და წველის. წველის და ტირის. მეც ვღრიალებ. შემეცოდა ვანეჩკა. უბედურია ცხოვრებაში. ყველა მას ლანძღავს. მომიყვა, მალე მის საქმეს თურმე ბიუროზე განიხილავენ. ჩვენ გამო. ვერც ერთი რომ ვერ დაგვიჭირა. ის კი, ისეთი კარგია, ისეთი კეთილი! ძროხები უყვარს... გამხდარია, სულ სხდომები და სხდომები... შეიძლება მოხსნან... ცოდოა! შეიძლება...

— რაო?! მე შენ!.. მე შენ... — სული ვეღარ მოითქვა ქსო-ს თავმჯდომარემ.

კობზიკოვმა შეცდომა დაუშვა. მას ყური უნდა დაეგდო მანკას ტიტინისათვის. მესამე დღეს ბერეზკინი მართლა მოხსნეს. ჩვენ თამამად შეგვეძლო გაგვეწირა ორი-სამი სოკო, რათა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი შეგვენარჩუნებინა.

ივან ივანოვიჩი მოხსნეს საქმის ჩაშლისა და გადახრისათვის. „გადახრა“ იმაში მდგომარეობდა, რომ გამწარებული ბერეზკინი ჩასაფრდა ერთი ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, სადაც ყოფილ კურსდამთავრებულებს „რომბებს“ აძლევდნენ, და ყველას ერთიანად ხვეტავდა. პატიოსანმა სპეციალისტებმა (სოკოებს „რომბები“ არ ესაჭიროებოდათ), რასაკვირველია, ჩხუბი ატეხეს.

ბიუროს დაწყებამდე მანკამ თავი გასწირა და ბერეზკინს გამოუტყდა. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა. ივანმა აკოცა მანკას. ჭეშმარიტად — ვერასოდეს გაუგებ ქალებს და ხელმძღვანელ მუშაკებს...

საღამოს ისინი ჩვენთან მოვიდნენ. შორიდანვე მომესმა მათი სიცილი. ეს მეტადრე უჩვეულო იყო, რამეთუ „ნოეს კიდობანში“ სერიოზული და დაფიქრებული ადამიანები ცხოვრობდნენ. კისკისა მანკას გვერდში მოჰყვებოდა სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი ტანადი, ლოყებლაჟღაჟა ჭაბუკი,

რომელიც ძალიან ჰგავდა ბერეზკინს. ეს ივანი იყო და ამავე დროს თითქოს არც თუ გვჯეროდა, რომ მართლაც მას ვხედავ-დით. ბერეზკინი თითქოს შეცვალესო. მაგრამ ყველაზე საკვირ-ველი ის იყო, რომ იგი იცინოდა. მე ჯერ არასოდეს მენახა, როგორ იცინოდა ბერეზკინი.

— სალამი! — შორიდანვე დამიყვირა მან. — ჩვენ გამოსამ-შვიდობებლად მოვედით! მივემგზავრებით!

— საით?

— სახლში.

— დღეს განცხადება შევიტანეთ, — გვითხრა მანკამ.

სხვისი ბედნიერება ყოველთვის შურს იწვევს. ყველა ფან-ჯრიდან სოკოები იხედებოდნენ. ქსო-ს თავმჯდომარე მუშტმო-ღერებული ემუქრებოდა მანკას თავისი კაბინეტიდან. კობზი-კოვს ეშინოდა, რომ ბედნიერი საპატარძლო ორგანიზაციას გასცემდა. მაგრამ მანკას ამისათვის არ ეცალა. მე მგონია, მან საერთოდ დაგვივიწყა ჩვენცა და თავმჯდომარეც.

— ძალიან გაგლანძღეს ბიუროზე? — ვკითხე ბერეზკინს.

— არა-ა... კარგი ბიჭები გვყვანან. რადგან არ შემიძლია ხელმძღვანელობა, ესე იგი არ შემიძლია, ვერაფერს გააწყობ. იცი, რა გამოვტყუე?

ივანმა ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო. მე წავი-კითხე:

ცნობა

ეძლევა ივან ივანოვიჩ ბერეზკინს მასზედ, რომ თავისი ხასიათის სპე-ციფიკურობის გამო არ შეუძლია იყოს ხელმძღვანელ სამუშაოზე.

კომკავშირის ქალაქკომის მდივანი

ტ. ტიჩინინა.

— მოგწონს, ხომ? — გაიცინა ივანმა. — მოინდომებენ ჩემს არჩევას რომელიმე კომისიაში, მე კი ამ ცნობას ვაჩვენებ. აი! წაიკითხეთ, გშურდეთ! ბიჭი ძროხების წველას დავიწყებ. მიყ-ვარს ეს საქმე.

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ როგორ განვითარდება ახლა მოვლენები? ვის ჩააბარებენ ბერეზკინის მაგიერ სოკოების საქ-

მეს? კობზიკოვის ბრძანებით ორი სოკო ყოველდღე ქალაქკომში იყო დარჭობილი — იქაურობას ყნოსავდნენ.

მაგრამ, ალბათ ბედის დაცინვა იყო, რომ „მესოკოვეს“ ვინაობა კობზიკოვის დაბადების დღეს გავიგეთ.

ათ დეკემბერს კობზიკოვს ოცდახუთმა წელმა მიუკაკუნა. ეს დღე მთელი ქსო-ს დღესასწაულად გამოცხადდა. გოგოებმა მოზიდეს თოჯინები, ჰალსტუხის დასამაგრებლები, ოდეკოლონი, პორტსიგარები, სავარცხლები და სხვა ხარახურა — „მედღეობე“ მთელი საგალანტერიო მაღაზიის მფლობელი გახდა.

ბიჭები უფრო მეტად კონიაკს აწვებოდნენ.

მაგრამ ყველას კოკობზიკა თავზარამ აჯობა. მან საიდანღაც ნამდვილი ადამიანის ჩონჩხი მოათრია. ჩონჩხის გამოჩენამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია. გოგოებმა წივილ-კივილი ატეხეს. მამრობითი სქესის წარმომადგენლები ვიღაცის ნეშტს ჭიქებს უჭახუნებდნენ.

ვაცლავი ბედნიერებამ სწორედ რომ გადარია. აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა მორთმეული საჩუქრისათვის; დასდევდა ოთახში როგორც თაგვს, ბორმანქანის სავარძელში სვამდა.

ერთი სიტყვით, დიდი მხიარულება იყო. მაგრამ როდესაც მაგიდას მიუსხდნენ, გუნება ისევ იმ კოკობზიკა თავზარამ გაუფუჭათ: ორი დღის წინ ერთი შემთხვევა გადახდენია თავს. მის მიერ მონაყოლი ამბავი იქ მყოფთ ავბედითად ენიშნათ. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავზარა ქარხანაში გასამხედროებული დაცვის გუშაგად მუშაობდა. იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, შესასვლელში იდგა. საქმე არაფერი ჰქონდა და მოწყენილობისაგან ამთქნარებდა. უცბად, სად იყო და სად არა, მასთან ერთი გოგონა მოფრთხიალდა. ლოყაწითელი გოგონა იყო, მოკლე კაბაში გამოწყობილი, ნაწნავებზე ბაფთები ეკეთა. წარმოგიდგენიათ, სასწრაფოდ უნდა შესულიყო ქარხანაში, პირადობის მოწმობა კი შინ დარჩა.

კოკობზიკა გამოცოცხლდა.

— ვაი, რომ ჯაშუშებსაც აქვთ ხოლმე ცისფერი თვალები, — პირველად ამის თქმაღა მოახერხა.

გაიბა მეტად გონებამახვილური, თუმცა უშედეგო საუბარი. გოგონა მეტად გაოცებული იყო, ჩვეულებრივი გუშაგი ასეთი ნაკითხი, განათლებული ადამიანი რომ აღმოჩნდა.

— თქვენ ალბათ ტექნიკუმი დაამთავრეთ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა მან.

თავზარამ შეურაცხყოფილად ჩათვალა თავი.

— სამედიცინო ინსტიტუტი, — წამოაყრანტალა მან და სულ დაავიწყდა კონსპირაცია.

ამას მოჰყვა ვაი-ვაში, უამრავი შეკითხვა, დაუფარავი ცნობისმოყვარეობა.

მოკლედ, ისინი შეთანხმდნენ, რომ პეტროვსკის სკვერში შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

მთელ ამ ამბავს თავზარა დონჟუანივით ჰყვებოდა, რომელიც მორიგ გამარჯვებას ზეიმობს.

— ერთი ნახვით შევუყვარდი! — ქაქანებდა იგი. — რა'საკვირველია, დიდი ბედენა არ არის, მაგრამ არა უშავს, საკმაოდ ნორჩია, თექვსმეტი წლის ასაკისთვის კარგადაც შენახული.

— მარჯვენა ლოყაზე დიდი ხალი ხომ არ ჰქონდა? — უცბად ჰკითხა ვაცლავმა.

— ჰქონდა. შენ რა, იცნობ? — გაიკვირვა გუშაგმა.

სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ უკვე შეხვდით ერთმანეთს? — დავინტერესდი მე.

— არა. კვირა'ს უნდა შევხვდეთ...

— დაუყოვნებლივ დაწერე სამუშაოდან განთავისუფლების განცხადება. ეს კომკავშირის ქალაქკომის მდივანია.

— ვინ? — წაილუღლუღა კოკობზიკამ და გულზე ხელი იტაცა. — ეს გოგო...

— ახლა ყველანაირ მდივნებს შეხვდები, — დამრიგებლურად თქვა კობზიკოვმა. — უცბად ვერც გაარჩევ ჩვეულებრივი ადამიანისაგან. წინანდებურად კი აღარ არის: რახან გალიფე და ჩექმები აცვია, უკვე ყველაფერი ნათელია. ამას კი ვერ უყურებ? შენ მის ნაწნავებზე დაგრჩა თვალი, მან კი უცებ გამოგიჭირა!

— ბაფთები... ანგელოზის სიცილი... და მდივანი, — ამოიკვნეს'ა თავზარამ.

— აჰა, დალიე, — თანაგრძნობით მივაწოდე დარეტიანებულ სოკოს ღვინით სავსე ჭიქა. თავზარამ სულმოუთქმელად გამოცალა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე მთვრალი იყო და ცრემლებს აღვარღვარებდა.

— ის ასეთი... ასეთი... და მდივანი... შაშხანით თავს მოვიკლავ! — უცბად აღრიალდა გუშაგი, თან თვალებს აბრიალებდა.

საბრალო სოკო 'საწოლზე დავაწვინეთ. დამწუხრებულმა ჩაიძინა, ცრემლები ღაპაღუპით ჰდიოდა.

— ცუდადაა საქმე, — თქვა ვაცლავმა. — თვით თამარ დედოფალმა ჩაგვავლო...

შემდეგ კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა. ჩვენ დავკარგეთ სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ივან-და-გლორია, მასთან ერთად დაიმსხვრა ჩარხსაშენებელ ქარხანასთან დაკავშირებული ყველა იმედი.

ეს ამბავი ასე მოხდა. ერთხელ მე და ვაცლავი ქვაბების ჩხრიალმა და მათრობელა გემრიელმა სურნელებამ გაგვაღვიძა (ჩვენ, დიდი ხანია, უცხო ხმაური აღარ გვაღვიძებდა, ვინაიდან ბეჭხარგიდამ ცირკიდან ახალი ბინა მიიღო, ხოლო ბორმანქანა კობზიკოვის კაბინეტში იდგა).

— ბატია, — გადაჭრით თქვა ვეტექიმმა, როცა ოთახში მოფარფატე მტრედისფერი კვამლი იყნოსა. — ფარაონის მუმიას ვფიცავ, ბატია!

— მე კი მგონია, ხახვში ჩათუშული ცხვრის ხორცია, — ვთქვი მე.

— წყეულიმც ვიყო, თუ ბატი არ იყოს!

ჩვენ წავკინკლავდით. მაშინ ფეხაკრეფით მივედი დერეფნის კართან და გამოვაღე — დავინახე მარია. იგი, თითქოს არაფერი მომხდარაო, ნავთქურასთან ფუსფუსებდა, ის ისეთი ფუნთუშა, ლოყაწითელი, სუფთა კუბოკრულ წინსაფარაფარებული. აკვანში ბავშვს ეძინა. იქვე, 'კამზე, სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე იჯდა და ჩაფიქრებული თავის პიჟონურ ულვაშებს იწიწკნიდა.

— მოდი აქ, — ჩურჩულით ვუთხარი კობზიკოვს.

ვაცლავმა ღრიჭოში გაიხედა და 'ახე დაეღრიჯა.

— გაგვყიდა... ჩვარი! ძაღლის ლეკვი! — წაისისინა მან.

იმ დღეს შემთხვევით შევესწარი თავმჯდომარისა და მისი ხელქვეითის 'საუბარს.

— თავიდან მოიშორე. გასაგებია? — აწყნარებდა ვეტექიმი.

— არ შემიძლია... დასწყევლოს ეშმაკმა.

— გეშინია?

— არ-რა. უბრალოდ არ შემიძლია...

— აბა, მაშინ მე გავაგდებ. ჩემთვის ეს არაფერია. რას იტყვი? თანახმა ხარ?

— შენ რაღაში გჭირდება ეს, დასწყევლოს ეშმაკმა? — ლამის ტიროდა ივანი.

— როგორ თუ რაში? — ავიშვიშდა ვეტექიმი. — რა პასუხს აძლევ გლორიას? ან იმ ათ კაცს, ქარხანაში რომ უნდა მოაწყო. თუ იფიქრე იმათზე, შე მუმიავ! შენ შიმშილით სიკვდილისთვის გასწირე ისინი. მათი სიკვდილი ცოდვად დაგედება!

— არ შემიძლია... დასწყევლოს ეშმაკმა. — ამოღერღა, როგორც იქნა, სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგემ. — იგი ისეთ გემრიელ საჭმელებს ამზადებს... და საერთოდაც...

— მაშინ მე თვითონ გავაკეთებ ამას!

ამ საუბრიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ „სახელმწიფოს“ ბინადარნი ფეხზე დააყენა ივანის ოთახში ატეხილმა საშინელმა ხმაურმა. მე შემთხვევის ადგილზე პირველი გავჩნდი და სწორედ რომ თავზარი დამცა ჩემ თვალწინ გადაშლილმა სურათმა.

გააფთრებული მარია ცომის გასაბრტყელებელ ჯოხს ურტყამდა კობზიკოვს. „ქალაქელი სოკოების ორგანიზაციის“ გამგეობის თავმჯდომარე კატასავით აფოფრილი წყევლა-კრულვით აწყდებოდა აქეთ-იქით და ოთახში თავშესაფარ კუთხეს ეძებდა. იატაკზე ეყარა დამტვრეული ყვავილის ქოთნები, ბალიშები, ლითონის ჭურჭელი და ვეტექიმის ყელსახვევი. მოკრივესავით მიყენებულ დარტყმებს კი ბოლო აღარ უჩანდა.

— მიშველე, რიკოვ! — შემევედრა ვეტექიმი.

მე სრულიადაც არ ვაპირებდი ჩავბმულიყავი ცემა-ტყეპაში და ბრძოლის ველზე მხოლოდ პარლამენტიორის როლში გამოვედი. მაგრამ იმავე წუთს ძლიერმა დარტყმამ ოთახიდან გამომტყორცნა. გზად სავსე ვედრო გადავაყირავე და წყლის გუბეში აღმოვჩნდი. მალე ჩემ გვერდით კობზიკოვიც დაეშვა. ივანის ოთახის კარი ჯახუნით დაიხურა.

— წყეულო პარაზიტებო! სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფთ!

— სულ ერთია, გავაგდებ ამ მუმიას! — იმუქრებოდა ვაც-

ლავი, თან ნატკენ ფეხს ისრესავდა. — წყეულიმც ვიყო, თუ არ გავაგდო!

ქსო-ს თავმჯდომარემ სველი ტანსაცმელი გამოიცვალა და ოთახებში ჩამოიარა, რათა მოხალისეები შეეკრიბა. მაგრამ მარიას წინააღმდეგ ბრძოლა, მიუხედავად შეგონებისა და ფულადი ჯილდოსიც კი, „სახელმწიფოს“ ბინადართაგან ვერავინ გაბედა.

კობზიკოვმა ჯავრი ივანზე იყარა. სასწრაფოდ მოწვეულ გამგეობის სხდომაზე ერთგული ქმარი გაათავისუფლეს სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის თანამდებობიდან ხმის უმრავლესობით — ოთხმა ხმა მისცა, ერთმა თავი შეიკავა. თავი მე შევიკავე, რამეთუ, მიუხედავად ცივ წყალში ჭყუმპალაობისა, თვითონაც არ ვიცი, რატომ, ივანის მეორე ნახევრის მხარეზე ვიყავი.

— ეშმაკსაც წაუღიხართ! — თქვა ივანმა თავის საბოლოო სიტყვაში. — სოფლის მეურნეობის მავნებლებო!

ამის შემდეგ ქსო-ს თავმჯდომარესა და ახალგაზრდა დედას შორის დამყარდა ურთიერთობა, რომელიც ძალიან წააგავდა კატისა და ძაღლის მეგობრობას. შეხვედრისას ისინი ერთმანეთს წაუსისინებდნენ ხოლმე — ჩასუქებული მარია და კაფანდარა, წვერგაუპარსავი კობზიკოვი — მათი ყურება მართლაც რომ ღირდა!

— როგორ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ქალს შევიძულებდი, — წუწუნებდა ვეტექიმი.

— საკმაოდ გემრიელი ქალი კია, — ჩავურთავდი ხოლმე მე.

— ფუი! — შეუკურთხებდა კობზიკოვი. — მუმია!

სწორედ ახალი წლის წინ ხაფანგში გაება ყველაზე ლამაზი ქალაქელი სოკო — კოკობზიკა თავზარა.

ქალაქკომის მდივანთან შეხვედრამ დაცვის ყოფილ გუშაგს გონება აურია. იგი სულ სხვა ადამიანად გადაიქცა. შეშინებული იყურებოდა, ჩურჩულით ლაპარაკობდა, თუ ვინმე დაჟინებით დააცქერდებოდა, კრთებოდა. მისი მზერა, ადრე ყველა ქალიშვილს რომ გმირავდა, ახლა ჩაიფერფლა, სახე ჩამოუტკნა, ვაჟკაცური მხარბეჭი მოეხარა, ყოველთვის კარგად მორგებული პიჯაკი უფორმო ჩვარივით დაეკიდა.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ თავზარა ქალაქკომში გამოცხადდა და დანაშაული აღიარა.

თავზარა სამუშაოდ სოფლის საავადმყოფოში გააგზავნეს.

სადგურზე ჩვენ გავაცილეთ. უცნაური სანახავი იყო ჩვეულებრივ კოსტიუმში გამოწყობილი. ყველას აფორიაქებული, ნაღვლიანი განწყობილება გვქონდა, თითქოს მიცვალებულს ვასაფლავებდით. თოვდა. ახალგამომცხვარი ექიმი ვაგონის ფანჯრიდან დაჭრილი ქურციკის თვალებით შემოგვყურებდა. ჩვენ თავს უხერხულად ვგრძნობდით.

— როკ-ნ-როლ! — შესძახა გამოთხოვებისას კობზიკოვმა ყოფილი სოკოს საყვარელი მისალმება.

მაგრამ თავზარამ უხმოდ ზურგი შეგვაქცია.

შემდეგ კიდევ ორი სოკო „მოწყვიტეს“ — ფილოლოგები რიტა და მილა, ტანდაბალი და არასიმპათიური ქალიშვილები. ისინი დიდი სიხარულით გაემგზავრნენ სოფელში. ქალაქში ისედაც ბევრი ლამაზი ქალიშვილი გაჩნდა და გათხოვება მათთვის თითქმის გადაუჭრელი პრობლემა შეიქნა.

კობზიკოვი შეშფოთდა.

— ქუჩა-ქუჩა ხეტიალს თავი უნდა დაანებოთ, — თქვა მან. — და, საერთოდ, ურიგო არ იქნება, თუ გარეგნობას შეიცვლით.

ქსო-ს თავმჯდომარემ ამის შემდეგ წვერ-ულვაში მოუშვა. მეც აღარ ვიპარსავდი და დილდილობით სარკიდან შემომყურებდა წითურბალნიანი ველური. ეს მით უფრო საოცარი იყო, რომ თმა კუნაპეტივით შავი მქონდა.

— ადრეული პერიოდის ნეანდერტალელს ჰგავხარ, — მეუბნებოდა ვაცლავი. — ფარაონის მუმიას გეფიცები, მშობელი დედა ვეღარ გიცნობს!

დანარჩენებმაც ჩვენ მოგვბაძეს და გარეგნობა შეიცვალეს. სამმა ფრანტმა თავი გადაიხოტრა, ორმა ქალიშვილმა სასწრაფოდ გადაიღება თმა, ერთმა კოქებამდე ჩამოუშვა ნაწნავები, ხოლო ინჟინერ-გამყიდველი მოულოდნელად დაელმდა.

ჩვენ თითქმის აღარ გამოვდიოდით ქუჩაში, ვიდრე „სოკოს სეზონი“ არ გაივლიდა. თავად გამგეობის თავმჯდომარე კინაღამ ხაფანგში გაება, როცა მაღაზიაში თავის მასწავლებელს გადაეყარა. კობზიკოვი წვერმა იხსნა. მასწავლებელმა ვეღარ

იცნო იგი. შეშინებულ მთავარ სოკოს მთელი კვირა წვეთიც არ დაულევია და არც ქუჩისკენ გაუხედავ'ს.

ხმები გავრცელდა, ტიჩინინამ კოსარევსკი გადაიბირაო. აი, მაშინ კი მართლაც ყველა დაფრთხა: უფროსი ლაბორანტი ყველას გვცნობდა სახეზე.

კიდევ სამი სოკო „მოწყვიტეს".

ქსო-ს თავმჯდომარეს დანა პირს არ უხსნიდა.

— ე'ს სულ მისი ბრალია! — ბუტბუტებდა კობზიკოვი. — თავს სულელად გვაჩვენებს და ყველაფერს გვცინცლავს. დროა, ბოლო მოვუღოთ.

— რა ჩაიფიქრე? — შეშფოთებულმა ვკითხე მე.

— ახლავე ნახავ, — პირქუშად მიპასუხა სოკოების ბელადმა.

— ვარიას! ყველაზე ლამაზი სოკოები გამომიძახე!

ნახევარი საათის შემდეგ ქ'სო-ს თავმჯდომარის წინაშე ხუთი მოხდენილი, ერთიანად წვერგაბურძგნილი ჭაბუკი იდგა. ვაცლავი დიდხანს სიყვარულით ათვალიერებდა თითოეულს, მერე ღრმად ამოიოხრა.

— ბიჭებო, საზოგადოება უნდა გადავარჩინოთ. ქსო დაღუპვის პირასაა.

— რა გავაკეთოთ?

— საჭიროა კომკავშირის ქალაქკომის მდივნის ს'აწრაფო ლიკვიდაცია.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორ?

— თავგზა ავუბნიოთ, გავათხოვოთ და კოლმეურნეობაში წავიყვანოთ. ეს ლიკვიდაციის ყველაზე საიმედო ხერხია. ამას პირადი მაგალითი ეწოდება. — კობზიკოვი გამოცოცხლდა. — ისინი ჩვენზე ისე ნადირობდნენ, როგორც პაიკებზე, ჩვენ კი უცბად დედოფალ'ს მოვტაცებთ! მოხალისეები არიან? ერთი ნაბიჯით წინ!

ხუთივემ ერთდროულად წინ გადადგა ნაბიჯი. კობზიკოვმა ყველაზე მაღალ და ლამაზ სოკოს დაადო მხარზე ხელი.

— მტკიცედ გადაწყვიტე, პანტიუხინ? არ გვიღალატებ?

— არ გიღალატებთ.

კობზიკოვი ჭაბუკს გადაეხვია, სამჯერ გადაკოცნა და შეუმჩნევლად მოიწმინდა ცრემლი.

— აბა, წადი... გაიპარსე... დრო არ იცდის. ქსო არასოდეს დაგვიწყებს.

ჭაბუკი მხედრულად შებრუნდა და ოთახიდან მწყობრი ნაბიჯით გავიდა. დანარჩენები ერთ ადგილს ტკეპნიდნენ.

— თუ ის დაიღუპება — მეორე შეცვლის. მეორე დაიღუპება — მესამე წავა...

ხუთივე გმირულად დაიღუპა. მათ ყველაფერი იღონეს, რაც კი შეეძლოთ. ტიჩინინას ყვავილებს მიართმევდნენ, ცეკვებზე დაჰყავდათ, ქება-დიდებას ასხამდნენ მის ორგანიზატორულ ნიჭს. მაგრამ შედეგი სრულიად საწინააღმდეგო იყო: სოკოებს თვითონ უყვარდებოდათ ქალიშვილი. დასასრული კი ყოველთვის ერთნაირი იყო: გულწრფელად აღიარებდნენ ყველაფერს. სიყვარულით გულანთებულის გადმობირება ხომ იოლი საქმეა. შეყვარებული ხომ იმუნიტეტდაკარგული ადამიანივითაა.

ჭაბუკები ისე გაემგზავრნენ სოფლად, ერთი საყვედური არ წამოსცდენიათ.

ერთმა მოქანდაკე-სოკომ, ეგორიჩთან მლესავად რომ მუშაობდა, მოხალისეებს ძეგლი აუგო. მაღალ კლდეზე თამარ დედოფლის მიუწვდომელი ციხესიმაგრე დგას. ხუთი მხარბეჭიანი ჭაბუკი მიბობღავს კლდეზე. ქვევით ოქრო'ს ასოებით აწერია: „გმირ პანტიუხინელებს“ — პირველი მოხალისის გვარის მიხედვით...

მეტი ლამაზი სოკო აღარ გვყავდა — წვრილფეხობაღა იყო. მართალია, კიდევ თავმჯდომარე იყო დარჩენილი, მაგრამ იგი თავს მინისტრის ქალიშვილისთვის ინახავდა.

შემთხვევამ გვიხსნა. ერთხელ ტრამვაით ვმგზავრობდი. უცებ ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი და შემოვბრუნდი. კოსარევსკი შემომყურებდა ჯიქურ. თავი მხრებში ჩავმალე და გასასვლელისკენ გავიკვლიე გზა. მიცნო, თუ ვერა? მთელ იმედს ჩემს წვერზე ვამყარებდი.

გასასვლელთან უკან მოვიხედე. კოსარევსკი ფეხდაფეხ მომყვებოდა.

— რიკოვ! — დამიყვირა მან. — რიკოვ, დაიცადე!

უფროს ლაბორანტ'ს გზა გადაუღობა მანდილოსანმა, რო-

მელსაც ხელში გრძელი პრიალა ჯოხი ეჭირა. კოსარევსკის ამ ჯოხმა გზა ჩაუკეტა.

ტრამვაი დიდი სისწრაფით მიქროდა, ჭრიალებდა და ქშინავდა. ბოძები გარბოდა... თუ გადახტები — დაიმტვრევი. გონებაში გავიაზრე, ჯოხი რამდენ ხანს შეაკავებდა კოსარევსკის და ზედ კართან დავდექი, რათა ტრამვაის გაჩერებისთანავე ჩავმხტარიყავი.

— მოაშორეთ აქედან ეს წყეული, ჯოხია თუ რა არის! — ბრაზობდა უფროსი ლაბორანტი. — რიკოვ, მინდა მოგელაპარაკო!

ჯოხი იღუნებოდა. კოსარევსკი მთელი სხეულით აწვებოდა. გაჩერება უკვე ახლოს იყო. გაუძლებს თუ არა?

გაისმა ჭახანი.

მე გადავხტი.

— გატეხა! გატეხა! — ვაგონში ღრიანცელი ატყდა. — ბაგეტი გატეხა! დაიჭირეთ! არ გაუშვათ!

პირდაპირ ნამქერში ამოვყავი თავი. ყურები, პირი, ცხვირი თოვლით ამევსო. ვიფურთხებოდი და თან გზას მივიკვლევდი. ჩემ გვერდით ვიღაც მოფათურობდა.

ეს კოსარევსკი იყო.

— რიკოვ, მომიცადე რა!

უფროსი ლაბორანტი, როგორც ბულდოზერი, მკერდით თოვლს ფანტავდა და ჩემკენ მოიწევდა. და, აი, სწორედ მაშინ შემებრალა კურდღელი. და საერთოდ ყველა ცხოველი, რომლებზედაც ნადირობენ. მათი დიდი სიკვდილიანობა გულის გახეთქვით უნდა იყოს გამოწვეული.

ნამქერს თავი დავაღწიე და გავიქეცი, დროდადრო უკან ვიხედებოდი. კოსარევსკი ფეხდაფეხ მომყვებოდა. გადახტომის შემდეგ ძალიან მტკიოდა ფეხი, გარდა ამისა, თბილადაც მეცვა. უფროსი ლაბორანტი მეწეოდა. ბოლოს ვიგრძენი, რომ თუ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამდი, სულიც გამძვრებოდა. მაშინ შევჩერდი. კოსარევსკი მაგრად ჩამებღაუჭა სახელოში. ორივენი მძიმედ ვსუნთქავდით.

— სულელო... რას გარბიხარ? მინდა... მოგელაპარაკო!..

მე თითქოს შევეცადე კიდევ გავსხლტომოდი ხელიდან, მაგრამ კოსარევსკი მთელი სხეულით დამაწვა და ყურში ქშენით ჩამძახა:

— მიმიღეთ თქვენთან, ბიჭებო. მეორე დღეა, არაფერი მიჭამია.

მე ისევ ვფართხალებდი.

— სინდისს გეფიცები! კათედრიდან გამომაგდეს. იქ ახლა ახალი გამგე მძვინვარებს. ყველანი გარეკა. ფული გამითავდა. მეორე დღეა, არაფერი მიჭამია. სულ შენ დაგეძებ.

— ტყუი, — ვუთხარი მე და იდაყვი გავკარი.

— მიწამ ჩამიტანოს. აი, შეხედე! — კოსარევსკიმ ერთი ხელით (მეორეთი ისევ მაგრად მებღაუჭებოდა) უბიდან შრომის წიგნაკი ამოიღო.

„განთავისუფლებულია უფროსი ლაბორანტის თანამდებობიდან თვალის აბმისათვის. (მფრინავი ფარცხი)...“ — წავიკითხე მე.

— მაგარია.

— ოღონდაც! — ჩაიფრუტუნა კოსარევსკიმ. — ის ე გამაფუჭეს, რომ ახლა აღარსად მიმიღებენ. მხოლოდ თქვენ თუ მიხსნით.

— საიდან იცი?

— ხმები დადის. ახლა კიდევ ქალაქკომის დავალებით განაწილების მიხედვით ვინც არ გაემგზავრა, იმათ სიებზე ვმუშაობდი. როგორც კი დავხედე საერთო სურათს, მაშინვე ყველაფერს მივხვდი. შეუძლებელია, გავიფიქრე, რომ ა'ეთ ბიჭებს ურთიერთდახმარება არ დაეწესებინოთ.

— სიები შეადგინე?

— ვერ მოვასწარი. ახლა ამას კიმი აკეთებს.

— კიმი?! საიდან გაჩნდა?

— კიმიც და კრეტოვიც. კრეტოვი ახლა სახელოსნოების გამგეა. ახალმა დეკანმა მოათრია ისინი ამ სულელურ სათეატელასთან ერთად.

— სათესელა, დავუშვათ, სულელური არ არის.

— პარდონ. დამავიწყდა, რომ შენც მიგიძღვის ღვაწლი.

— სად არის ახლა გლიბკა?

— გლიბკა არ დაიკარგება! პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში ჩალიჩობს...

...ა'ე გაჩნდა ქსო-ში კოსარევსკი.

თავისი ერუდიციითა და ზრდილობიანი მანერებით მან კობზიკოვზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამდენიმე დღის შემდეგ მთავარმა სოკომ დაიბარა უფროსი ლაბორანტი საიდუმლო მოლაპარაკებისათვის.

იშვა ორგანიზაციის გადარჩენის ახალი გეგმა.

სიყვარულზე იმედებს უკვე აღარ ამყარებდნენ. გადაწყდა ენერგია სხვა კალაპოტით წარემართათ. კოსარევსკი ტიჩინინა'თან უნდა გამოცხადებულიყო (არავითარი რისკი — ხალიანი ქალიშვილი მას სცნობდა როგორც უფრო'ს ლაბორანტს) და შეეთავაზებინა ქალაქის გარეუბანში კომკავშირულ-ახალგაზრდული ტბის შექმნის გრანდიოზული პროექტი, სადაც იქნებოდა გედები, ნავები, თევზები, ტირიფები და კაფე-სასაუზმეები. ხარჯი — მინიმალური, ვინაიდან ტბი'ს გაშენება შეიძლება საზოგადოებრივ საწყისებზე.

რომელი კომკავშირის მდივანი გაუძლებს ცდუნება'ს — ააგოს საზოგადოებრივ საწყისებზე რაღაც გრანდიოზული? კობზიკოვის აზრით, ტიჩინინას ტბის გაშენების იდეა გაიტაცებდა და სოკოებ'საც მოეშვებოდა.

რასაკვირველია, თამარი შეიძლება არც კი დაინტერესდეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ტბის იდეით. მაშინ კოსარევსკიმ უნდა მიაწოდოს კიდევ რამდენიმე შესანიშნავი აზრი. ამას კობზიკოვი უფროსი ლაბორანტისაგან ბრძანების წესით მოითხოვდა.

გეგმა ცუდი არ იყო და უფრო'სი ლაბორანტიც გზას გაუდგა. ქ'ალ-ს თავმჯდომარემ გამომშვიდობებისას დაარიგა:

— ფრთხილად იყავი, არ შეგიყვარდეს. ამ საქმეში სხვებმა უკვე იგემეს მარცხი. თავი ხელში აიყვანე.

კოსარევსკიმ ზიზღით აიჩეჩა მხრები:

— მე ისეთი გოგოები...

— აი, ეს მომწონს! — გაუხარდა ვაცლავს. — როგორც იქნა, ვიპოვეთ საქმიანი კაცი!

შვიდ მანეთად დედამიწის გაჩშემო

გულში მოუსვენრობა და შიში შემეპარა. აქამდე არხეინად დავსეირნობდი ყველგან, ადამიანებ'ს პირდაპირ ვუსწორებდი თვალს, ახლა კი ამის გაკეთება აღარ შემეძლო. ყოველ შემხვედრში ვხედავდი ადამიანს, რომელსაც შეეძლო ჩემთვის მხარში ჩაევლო ხელი და ეკითხა:

— რიკოვ, შენ აქ რა გინდა?

განსაკუთრებით ეს გრძნობა რატომღაც ტრამვაიში მიძ-ლიერდებოდა და მე ინსტინქტურად უფრო მეტად ფეხით დავ-დიოდი, მაგრამ თუ მაინც მოვხვდებოდი ტრამვაიში, თავს საყელოში ვმალავდი და კონდუქტორის კითხვებზე ჩურჩულით ვპასუხობდი.

ლილიასთან შეხვედრა ცოტა გართულდა. იგი ხალხმრავალ ადგილებში მექაჩებოდა, მე კი, როგორც ყველა სოკოს, უკა-ცური და ჩაბნელებული ადგილები მერჩივნა.

კობზიკოვი მაჩქარებდა.

— სოკოები ძალიან უკმაყოფილოები არიან შენით, — მე-ეუბნებოდა იგი.—ხელფასს იღებ, შედეგი კი არ ჩანს. უმოისიას ქორწინება ჩაშალე, ბერეზკინი ხელიდან გაუშვი. სემიონოვასთანაც თუ არაფერი გამოგივა, აღარ ვიცი, რა გიყო. ისედაც სულ იმას ლაპარაკობენ, რომ მფარველობას გიწევ.

— მე მალე...

მაგრამ ჩემი დაქორწინების საქმე ყოვნდებოდა.

ლილია მეტად დიდი წარმოდგენისა იყო საკუთარ თავზე და ვერავითარ შეპასუხებას ვერ იტანდა. მხოლოდ კოსმოსის საკი-თხებში მოწყალედ მაძლევდა უფლებას რაღაც ავტორიტეტი ვყოფილიყავი.

ერთხელ სერიოზულად წავიჩხუბეთ. სუსხიანი დღე იყო და სადმე თავი რომ შეგვეფარებინა, მე და ლილია სალექციო დარბაზში შევედით. ორივეს დიდი სურვილი გვქონდა მოგვეს-მინა ნებისმიერი ლექცია, რა თემაზედაც არ უნდა ყოფილიყო.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ტრი-ბუნაზე მიკროლომონოსოვი დავინახე.

შავ გრძელ პიჯაკსა და გვერდზე ჩაღილულ პერანგში გამო-წყობილი ნაუმ ზახაროვიჩ გლიბკა გააფთრებული ანადგურებ-და ტრიბუნიდან სოფლის მეურნეობის მავნებლებს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს თმა გასჩეჩოდა, სახე-ლოები მხრებამდე ცარცით ჰქონდა დასვრილი, სახე მღელვა-რებისაგან გაოფლიანებოდა. ყოფილი დეკანის ხმა დიდი დარ-ბაზის ყველა კუთხე-კუნჭულს ავსებდა.

— ერთი წლის განმავლობაში თრია ანადგურებს ათობით კილოგრამ მარცვლეულს, ჩალას, თელავს ნათესებს, მისი სო-

როები შლის ნიადაგის სტრუქტურას! უფრო მსხვილი მავნებლები სოროები კი, როგორიცაა, მაგალითად, თხუნელა, აფერხებს ტრაქტორების მოძრაობას და ზოგჯერ წყობიდანაც გამოჰყავს ისინი! მღრღნელები — უდიდესი უბედურებაა! საზღვარგარეთ ამ სახის მავნებლებთან საბრძოლველად კოლოსალური სახსრები იხარჯება! ასეულობით ადამიანი დაკავებულია იმით, რომ მთელი წლის განმავლობაში ამ მტაცებლებს იჭერენ... ჩვენში ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება რატომღაც არ ექცევა. სულ რაღაცას ველოდებით და ჯერჯერობით არხეინად ვართ. მღრღნელები კი ამ დროს კატასტროფულად მრავლდებიან. მალე, მე ვიტყოდი, ამ მუქთახორების უზარმაზარი ურდო მოსავალს ძირშივე გაგვიჩანაგებს. ამხანაგებო! ჩემი არასრული აღრიცხვის მიხედვით საბჭოთა კავშირში დაახლოებით თხუთმეტი მილიონი მღრღნელი ცხოვრობს!

ამის გაგონებაზე დარბაზი აღელდა. აქა-იქ აღშფოთებული ჩურჩული გაისმოდა.

— რა თემაზეა ლექცია? — ჩუმად ვკითხე მეზობელს.

მან თავისი უბის წიგნაკი გადადო, რომელშიც რაღაცას ინიშნავდა და უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა:

— „მივიწყებული საფრთხე“.

უკანიდან გაგვაჩუმეს.

— მაშ, რა უნდა ვქნათ? — დარბაზიდან დაუყვირა ლექტორს ვილაცამ.

გლიბკამ თავი აიქნია და ქოჩორი უკან გადაიგდო.

— ისინი, ვინც ჩემი შრომები წაიკითხა, მაშინვე იპოვიან პასუხს ამ კითხვაზე. მხოლოდ მრავალწლიანი მცენარეები გვიხსნიან ყოველგვარი უბედურებისაგან. მხოლოდ პურის ხეებს შეუძლიათ გაუძლონ მღრღნელების შემოტევას. ახლისა არ უნდა გვეშინოდეს, ამხანაგებო! მომავალი მრავალწლიან მცენარეებს ეკუთვნის!

დარბაზში ტაშმა იქუხა.

თავმჯდომარემ ზარი ააწკრიალა.

— კითხვები თუ გაქვთ, ამხანაგებო!

— შენი კოლეგა, — ვუთხარი ლილიას, — დიდი გენიოსია.

მაგრამ ლილია ხუმრობის გუნებაზე არ იყო. ეტყობა, ლექციამ გაიტაცა. თავდაჯერებული, გულგრილი მიკროლომონოსოვი თამამად დადიოდა სცენაზე და ბარათებს კრებდა.

დაფაზე ცარცით გამოხატული იყო რაღაც სქემები და დიაგრამები.

— ეს ხომ რევოლუციაა სოფლის მეურნეობაში, — წამიჩურჩულა აღტაცებულმა ლილიამ, თან დაფის კუთხეს აკვირდებოდა, სადაც რაღაც ხის მაგვარი ეხატა, რომელსაც საზამთროსნაირი ნაყოფი ესხა. ქვემოთ უკანა ფეხებზე თრია იდგა.

ბლოკნოტი ამოვიღე და ფურცელზე ფანქრის ნატეხით დავწერე: „პატივცემულო ნაუმ ზახაროვიჩ! რა ეშველება მაშინ მფრინავ ფარცხს?“

ბარათმა რიგებს გადაუარა.

— რა დაწერე? — მკითხა ლილიამ.

— ჩემთვის გაუგებარია, რითი იკვებება თრია.

— საზამთროებით. ნუთუ ვერ ხედავ დაფაზე?

— ამაში დარწმუნებული არა ვარ.

— ნეტა რა გაგეგება სოფლის მეურნეობისა! შენ ხომ ჭვავის ხორბლისაგან ვერ გაარჩევ.

— შენ?

— ჭვავი შავია, ხორბალი თეთრი.

— ეს ცნობები პურის მაღაზიაში მიიღე?

— თავი დამანებე!

გლიბკამ ბარათი წაიკითხა თუ არა, რიგებს შორის თვალებით ავტორს დაუწყო ძებნა. მთელი მისი თავდაჯერებულობა უცბად გაქრა. მე ვიღაცის ზურგს ამოვეფარე. მეტი არაფერი შინდა, ამ კაცს ჩაშხამდეს დღევანდელი საღამო!

გლიბკამ დანარჩენი ლექცია შეკვეცა. ნაუმ ზახაროვიჩი კითხვებზე უხალისოდ და უინტერესოდ პასუხობდა. მერე რაღაც უჩურჩულა თავმჯდომარეს.

— ნება მომეცით მადლობა გადავუხადო ამხანაგ გლიბკას. — მაშინვე თქვა თავმჯდომარემ, — იგი თავს შეუძლოდ გრძნობს.

მიკროლომონოსოვი წავიდა, თან დარბაზს ათვალიერებდა.

შინ რომ ვბრუნდებოდით, მე და ლილიამ ვიჩხუბეთ. მიზეზი სოფლის მეურნეობა იყო. ჩემი საცოლე კატეგორიულად იცავდა ხისებრ მარცვლოვნებს.

— ნამდვილი გენიოსია! ეს ხომ რევოლუციაა! შენ კი დასცინოდი! დიდ აღმოჩენებს უბირი ადამიანები ყოველთვის დას-

ცინოდნენ! რაც უფრო ნაკლებად ერკვევა ადამიანი საკითხ-ში, მით უფრო დიდი რიხით მსჯელობს მა'ზე.

— მაშ კარგი, მეც მინდა გავხდე გენიოსი. მე წინადადება შემომაქვს, ძროხები წიწილებივით ინკუბატორებში გამოვიყ-ვანოთ.

— თავი დამანებე შენი გაუთავებელი ირონიით!

— რატომ ირონია?

— რაღაც სისულელეა!

— კი მაგრამ, რატომ? რატომ? იმისთვის რატომ არ არის სისულელე, ჩემთვის კი სი'ულელეა?

— იმიტომ, რომ ის მეცნიერებათა კანდიდატია, შენ კი ამ საკითხში პაიკი ხარ.

— აი, თურმე რა ყოფილა! სულ ეს არის?

— დიახ, სულ ეს არის.

— მაშასადამე, გენიო'ი მხოლოდ მეცნიერებათა კანდიდა-ტი შეიძლება გახდეს? მაშ, შენ რაღა გეშველება?

— თავი დამანებე! სახლში მარტო წავალ.

— სიამოვნებით! როგორც გენებოთ!

— ნახვამდის!

— კარგად ბრძანდებოდეთ!

მაგრამ ჩვენ მალე შევრიგდით. ამ კომპრომისზე მე მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ ახალი წელი ახლოვდებოდა, ახალ წელ'ს კი ჩვენი ნიშნობა უნდა შემდგარიყო; ესე იგი მე უნდა მეყიდა ჩემთვის და ლილიასთვის ოქროს ბეჭდები და მივსულიყავი მი'ს მშობლებთან — დასანიშნად.

გამოსავლის ძებნაში გონება გამალებით მიმუშავებდა. მფრინავად ჩემი დარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ადრე თუ გვიან ყველაფერი გამოაშკარავდებოდა და სკანდალიც გარდა-უვალი იქნებოდა. სიმართლის თქმა კი ნიშნავდა, რომ ქორწი-ლი აუცილებლად ჩაიშლებოდა. მესამე გზა არ იყო.

დიდ იმედს ვამყარებდი შემთხვევაზე. ხომ შეიძლება, მაგა-ლითად, ლილიას მამა ბრძენი, შორ'მჭვრეტელი ადამიანი აღმოჩნდეს, რომელიც შვილივით შემიყვარებს, მაპატიებს ტყუილს და მეცა და ჩემს ამხანაგებს ელექტროსადგურში მო-გვაწყობს სამუშაოდ.

ასე იყო თუ ისე, ჯერ ოქროს ბეჭედი უნდა მეყიდა.

გადავწყვიტე ფული ივან ხრისტოფოროვიჩისგან მესესხა ხელფასის ანგარიშში. ძალიან არ მინდოდა შეფთან მისვლა, მაგრამ ამას ლილიას გულისათვის ვაკეთებდი...

გამგემ რგოლებზე თავდაყირა დაკიდებულმა მომისმინა.

— ფული მანდვე, ფეხებთან გიყრია, — მითხრა მან.

ფეხებზე დავიხედე. იატაკზე მხოლოდ ფოტოფირის გაჟყლეტილი კოლოფი ეგდო.

— ვერ ვხედავ.

— მაშასადამე, ბრმა ხარ.

ერთხელ კიდევ ყურადღებით მოვათვალიერე იატაკი, მაგრამ იქ ერთი კაპიკიც ვერ აღმოვაჩინე.

— ფული ყველგანაა. ყოველი წვრილმანით შეიძლება ფულის გაკეთება. ოღონდ უნდა შეგეძლოს. გინდა ოლქში მივლინებით გაგაგზავნო?

— არა.

— ცდები. შეიძლება კარგი ფული იშოვო.

— რა უნდა გავაკეთო?

გამგე მკვირცხლად ჩამოხტა იატაკზე.

— გაყიდი ფოტომონტაჟს „შვიდ მანეთად დედამიწის გარშემო“.

— რაღაც მეიაფება.

— ნუ გავიწყდება, რომ ჩვენ ჩვენთვის კი არა, არამედ კოსმოსური ლაბორატორიისათვის ვმუშაობთ.

— მერე მე რა მესაქმება კოსმოსურ ლაბორატორიასთან? მე ფული მჭირდება.

— შენ ეგოისტი ხარ. ხუთი წელი გასწავლეს, შენ კი გამოიქეცი და კიდევ ფულს თხოულობ. გრცხვენოდეს!

— კარგი. თუ არ გინდათ, ნუ მომცემთ.

— მოიცა. ასე გადავწყვიტოთ: ნახევარი შენ, ნახევარი — კოსმოსურ ლაბორატორიას.

რაკი საქმე მოვაგვარეთ, ექსპოზიციის მომზადებას შევუდექით. ჩემი უფროსის ჩანაფიქრი ასეთი იყო: თითქმის ნახევარმეტრიანი სურათის ძირითადი ნაწილი უნდა დაეკავებინა დედამიწას, რომლის ცენტრში მსხვილი ასოებით ჩაიწერებოდა შემკვეთი სოფლის სახელწოდება. სოფლის თავზე მიქროდა რაკეტა, რომელშიც ექსპოზიციის მფლობელის გამოსახულება

იქნებოდა. დანარჩენი ივან ხრისტოფოროვიჩმა ჩემს წარმოსახვას მიანდო. მე შევიარაღდი ტუშით, კალმით და სამუშაოს ჩავუჯექი. პირველ მგზავრად ჩემი გამგე ავირჩიე. იგი იჯდა რაკეტაზე, ფეხები შემოეჭდო და ცეცხლოვან ფაფარს ჩასჭიდებოდა. გვერდით მივუხატე ფოცხი, ფიწალი და ტრაქტორი. მერე მოვიფიქრე და ქვედა მარჯვენა კუთხეში ვარსკვლავებისკენ მზერამიპყრობილი ქალის ფერმკრთალი სახე დავხატე.

აი, ამ სახით წარვუდგინე დასამტკიცებლად ფოტოკომპოზიცია „შვიდ მანეთად დედამიწის გარშემო“ ივან ხრისტოფოროვიჩს.

უფროსს ჩემი შემოქმედება მოეწონა. მან კმაყოფილებით ჩაიფრუტუნა.

— ცუდი არ არის. ეს რაღაა?

— ქალის სახე.

— რისთვის?

— განყენებული. აბე ვთქვათ, სიმბოლო.

ივან ხრისტოფოროვიჩმა უკმაყოფილოდ შეხედა სიმბოლოს, მაგრამ მითხრა:

— კარგი, ჯანდაბას. მომეცი აქ.

ექსპოზიცია ზურგს უკან დავმალე.

— შვიდი მანეთი.

— რა შვიდი მანეთი?

— აბა, როგორ! დედამიწის გარშემო ხომ იფრინეთ?

— ჰო! — გაიცინა ივან ხრისტოფოროვიჩმა და გამოსამჟღავნებლისაგან დასველებული ხელი მხარზე დამარტყა. ეს ნიშნავდა, რომ იგი მიმიხვდა და ჩემი ხუმრობაც მოეწონა. გამოსამჟღავნებელი ტანსაცმელზე ყოველთვის ყვითელ ლაქებს ტოვებს, რომელთაც ვერასგზით ვერ ამოიყვან. ამიტომ მეც ჩავყავი ხელი ხსნარში და გამგეს მხარზე დავარტყი.

ამან აღტაცებაში მოიყვანა ივან ხრისტოფოროვიჩი და გრძნობამოჭარბებულმა ფეხზე ფეხი დამადგა. მეც არ დავაყოვნე და იგივე გავიმეორე.

— მიყვარს კარგი ხუმრობა, — მითხრა გამგემ და მაგრად მომიჭირა ხელი მხრებზე.

— მეც.

ესა ვთქვი და ფრანგული ჭიდაობის ილეთი ჩავატარე. მა-

შინვე ძირს დაცვივდა შუშები და მენზურები. გამგემ გადაიხარხარა.

— ყოჩაღ! რაც კარგია, კარგია.

მაგრამ მე ისიც შევნიშნე, რომ იგი ნახტომისათვის მოემზადა. არ ვიცი, რითი დამთავრდებოდა ჩვენი ურთიერთმოფერება, ოთახში ტონია რომ არ შემოსულიყო.

— ივან ხრისტოფოროვიჩ, — თქვა მან, — ვიღაც გკითხულობთ.

გამგეს ფეხდაფეხ მივყევი და გავშეშდი. ჩვენ წინაშე ხალიანი ქალიშვილი იდგა.

— ივან ხრისტოფოროვიჩ კრუგლოვი ხართ?

— დიახ...

— ორი წლის წინ ფიზკულტურული დაამთავრეთ?

მე უკან დავიხიე, მაგრამ ფარდას ვეღარ ამოვეფარე.

— ეს თქვენი თანაშემწეა? მგონია, სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს.

— შეუძლებელია... — წავილუღლუღე მე.

— მაგრამ, მე მგონი, თქვენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრეთ.

საბედისწერო განსაცდელის ჟამს ადამიანი გონებას იკრებს.

— მ-მე ოთხწლედი მაქვს დამთავრებული.

— რატომ ასე ცოტა? ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა...

— სულ ახლახან პატიმრობიდან გამათავისუფლეს...

ალბათ ამან გადამარჩინა. ტიჩინინამ თავი შეიკავა და მეტი აღარაფერი მკითხა.

— ხვალ ქალაქკომში შემოიარეთ. — მითხრა მან. — საღამოს სკოლაში მოგაწყობთ. კარგი?

— კარ-გი-ი... — ვუპასუხე მე, თან კბილზე კბილს ვაცემინებდი.

ქალიშვილმა გამოთხოვებისას ორივეს გაგვიღიმა, ნაწნავები შეარხია და ოთახიდან გაცქრიალდა.

ივან ხრისტოფოროვიჩმა თავზე ხელი იტაცა.

— საოცარია, — ბუტბუტებდა იგი. — სწორედ რომ საოცარია! საიდან იცის?.. საიდან იცის, რომ ორი წლის წინ?..

— თქვენ?

— დიახ! ორი წლის წინ ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე.

მუხლები მომეკვეთა და პირდაპირ გამოსამჟღავნებლის ქილაზე დავჯექი, დარეტიანებულმა თვალები დავაჭყიტე.

ესეც სოკო ყოფილა!

— აი, ასე, ჩემო გენა...

გამგე საცოდავი სანახავი იყო. ტუჩები უთრთოდა და თვალებში უსაზღვრო სევდა ჩასდგომოდა.

და მაშინ დიდის ამბით მოვუყევი ამ „ბაფთებიანი ფისუნიას“ ოინების შესახებ. „ადამიანისადმი რწმენის“ მისეულ მეთოდზე. კობზიკოვზე ჩატარებულ ექსპერიმენტზე. თავზარას დაღუპვაზე. ბერეზკინის კარიერის ტრაგიკულ დასასრულზე.

ივან ხრისტოფოროვიჩი მდუმარედ მისმენდა. გეგონებოდათ, არც კი სუნთქავსო.

— რა უნდა ვქნა ახლა?..

— კარგად კი უმუშავია, — ვთქვი თითქმის აღტაცებულმა. — რასაც არ უნდა მიადგე — მოჯადოებული წრეა. ერთადერთი გამოსავალი — აღსარებაა.

— ქალაქკომში?! არ წავალ!

ორი საათი ივან ხრისტოფოროვიჩი რგოლებზე ტრიალებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ხტოდა, ბრდღვინავდა; დაჭრილ ორანგუტანგს ჰგავდა. შემდეგ კი მიყუჩდა, დაფიქრდა, სახიდან შავი ასაკრავი მოიგლიჯა — სრულიად ჯანმრთელმა თვალმა შეშინებულმა შემომანათა — და შეფი გაუჩინარდა.

საღამოს დაბრუნდა, მელანქოლიური და ოდნავ გამხდარი.

— აბა, როგორ არის საქმე?

— ნოვოდევიჩის რაიონის სოფელ ვერხნიე დერგუნებში მგზავნიან.

ასე გავხდი ინვალიდების არტელის ფოტოატელიეს გამგე.

გადატანილ შიშს უკვალოდ არ ჩაუვლია. მე ვკრთებოდი იატაკის ჭრაჭუნზე, ტელეფონის ზარის ხმაზე. აწეწილი ნერვები რომ დამეშოშმინებინა, გადავწყვიტე შევდგომოდი ფოტომონტაჟის „შვიდ მანეთად დედამიწის გარშემო“ რეალიზაციას.

კოლმეურნეობებში ფოტოკომპოზიციას ხელიდან მტაცებდნენ. ხუთ სოფელში ვიყავი და დიდძალი შეკვეთაც მივიღე.

ვაგზლისაკენ მიმავალი ქარბუქში მოვხვდი. გზა ამებნა და

სამი საათი წელამდე თოვლში უგზო-უკვლოდ ვიარე. ჩემ წინ ვიღაც დიდსა და ბანჯგვლიანს ვხედავდი. იგი უაზროდ იქნევდა ხელებს და ბუტბუტებდა: „ბუ-უ-უ-უ... უფ... უფ-უ-უ-უ“. მივრბოდი, მივხოხავდი, მივდევდი ამ თეთრსა და ბანჯგვლიან არსებას, იგი კი სულ გამირბოდა და ნაღვლიანი ბებრული თვალებით შემომყურებდა.

უკვე ვიყინებოდი, როდესაც ფერმას მივადექი. ეს იმდენად ფანტასტიკური იყო, რომ უცბად ვერც კი დავიჯერე, რომ ფერმას ცხადში ვხედავდი.

კაკუნზე ლოყაწითელმა თავსაფრიანმა ქალიშვილმა გამოიხედა და შეჰყვირა:

— ღმერთო ჩემო! ეს რა საოცრებაა?

ქალიშვილებს საღამოს წველა უკვე დაემთავრებინათ და ისვენებდნენ. გოგონები აფუსფუსდნენ, ერბოკვერცხი შემიწვეს და ახალმოწველილი რძე დამალევინეს. მერხზე ვიჯექი, ჩემს თავს ზემოთ კედელზე დაკიდებული პლაკატიდან მშვიდი, ნაპატივები ძროხა იცქირებოდა, მე კი უაზროდ, სულელურად ვიღიმებოდი. ჩემი სხეული ნელ-ნელა ლღვებოდა, თითქოს თბილ წყალში ჩაუშვიათო. ძალიან, ძალიან კარგი იყო. ქალიშვილები ლამაზები და სანდომიანები მეჩვენებოდნენ, ძროხებისა ბღავილი მშვენიერ მუსიკად ჩამესმოდა. ახლა რომ სასწაული მომხდარიყო, სულაც არ გამიკვირდებოდა. მე დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ სასწაული მოხდებოდა.

და სასწაული მოხდა.

შემოვიდა კატია.

მან ზღურბლიდანვე დამინახა და გახევდა. მისი ფეხებიდან ცივი ჰაერი ტალღებად ადიოდა, იატაკზე მიგორავდა და ლღვებოდა. კატია ზღვის ქაფიდან ამოსულ აფროდიტეს მაგონებდა. თექისჩექმებიან, თბილთავსაფრიან აფროდიტეს.

— დახურეთ კარი, კატერინა დენისოვნა! — დაუყვირეს გოგოებმა.

კატია შემოვიდა, ჯუბაჩა სკამზე მოისროლა და ზურგშექცეულმა ხელები ღუმელს მიუშვირა.

— ჩვენთან გზააბნეული ფოტოგრაფია! — დაიყვირეს გოგოებმა. — კინალამ გაიყინა ფანჯრებთან. ძლივს გავათბეთ.

— ჰო? — კატია შემობრუნდა. — აქ რას აკეთებ... გენა? —

ღუმელს აკრული გაწითლებული ხელები შესამჩნევად უკანკალებდა, ალბათ ყინვისაგან.

— მივლინებაში ვარ, — ვუთხარი მე. — ჩქაროსნულ სათეულას სურათი გადავუღე, დისერტაციისათვის მჭირდება.

— მაშასადამე, საქმე წინ მიიწევს?

— წინ მიიწევს... შენ რაღა გინდა აქ?

— კონსულტაციებს ვუტარებ. ქალიშვილები ინსტიტუტში აპირებენ შესვლას... და, აი, მთხოვეს...

— ხელს აღარ შეგიშლით. ჩემი წასვლის დროა.

— დამიცადე. ერთად წავიდეთ.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიარეთ თოვლში, ფეხქვეშ სახამებელივით რომ ხრაშუნობდა. ქარბუქი ჩადგა. აქ გამეფებული სიჩუმე ვარსკვლავებამდე აღწევდა. სახლები, დიდი ხანია, თვალს მიეფარა.

— გენა, — თქვა ყინულის პრინცესამ ყრუ ხმით. — უნდა მაპატიო, აი, მაშინ, იქ, კაფეში... თავქარიანი გოგოსავით ვიქცეოდი... და საერთოდაც... მეტად თავს აღარ მოგაბეზრებ. ბევრი ვიფიქრე ამ ხნის მანძილზე. შენ ძალიან კარგი ხარ. ძალიან... მე მიხარია კიდეც, ცოლად რომ არ გამოგყევი, მაშინ ვერ გავიგებდი, როგორი ხარ. თუ შვილი მეყოლა, გენას დავარქმევ... დაე, შენს მოსაგონებლად იყოს. ზოგჯერ გული ისე დამიმძიმდება, ისე დამიმძიმდება... და მაშინ შენზე ვფიქრობ, რომ ამქვეყნად ხარ შენ, ასეთი სამართლიანი... შენ რასაც აკეთებდი, ყველაფერი სწორი იყო... მე საზიზღარი ვარ...

პირველივე სახლთან კატია შეჩერდა.

— მეტს ნუღარ გამაცილებ... ნახვამდის... მოდი გაკოცებ, გენოჩკა... სინდისს გეფიცები, უკანასკნელად! ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის არასოდეს გვიკოცნია... მხოლოდ მაშინ, პლატფორმაზე...

მან ლოყა ლოყაზე მომადო.

— ნახვამდის, გენოჩკა!.. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის.

უსაზღვროდ შემრცხვა საკუთარი თავისა, სხეულისა, ხელებისა, ტანსაცმლისა, ამ სულელური ფოტოაპარატისა, იმისა, რომ ჩემ გამო მოკრიფეს შავი ვარდები...

როდესაც სახლის კუთხეს მივეფარე, სირცხვილი იმდენად

აუტანელი და მწველი გახდა, რომ თავი ველარ შევიკავე და ხრაშუნა თოვლში შორს მოციმციმე ქალაქის სინათლეებისაკენ გავიქეცი.

სულ მალე მოხდა ამბები, რამაც ძირფესვიანად შეურყია საფუძველი „სახელმწიფოს“.

აქამდე ჩუმი, ერთგული ბინადარნი ახლა ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩურჩულებდნენ. ისმოდა კრამოლური სიტყვები. „ნოეს კიდობანში“ ხალხის მღელვარება დაიწყო.

ეს ყველაფერი კი იმას მოჰყვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან ეგორ ეგორიჩი შემოვიდა და გაუბედავი ხმით, ისე, რომ თავიც არ აუწევია, მოგვთხოვა მე და კობზიკოვს ბინის განთავისუფლება.

— როცა ბევრს დავლევ, ვცდილობ ხშირად არ დავაღო ხახა, რამეთუ ამ დროს ჩემი ენა სისულელეებს როშავს, — მაღალფარდოვნად უპასუხა ამაზე ვაცლავმა.

მაგრამ „ნოეს კიდობნის“ პატრონი თავისას არ იშლიდა. როდესაც მე და ვაცლავი დავრწმუნდით, რომ იგი სრულიად ფხიზელი იყო, ვკითხეთ:

— მაინც რატომ?

ეგორ ეგორიჩი დიდხანს ბუტბუტებდა, რომ ძმისშვილი უნდა ჩამოსვლოდა, რომ საჭირო იყო კაპიტალური რემონტის ჩატარება (ზამთარში!). იმასაც ამბობდა, რომ ოდესღაც აქ უცხოვრია ვიღაც სტუდენტ-ქიმიკოსს, რომელიც ცდებს ატარებდა, და, შესაძლოა, ოთახი მოწამლულია რადიოაქტიური ნივთიერებებითო.

ყოველივე ამან, რასაკვირველია, არ დაგვაკმაყოფილა და კობზიკოვი თვით „დედოფალთან“ გაემართა მოსალაპარაკებლად. დაბრუნდა მეტად შეფიქრიანებული.

— საქმე წასულია. ძუ ვეფხვი განრისხებულია, დაუყოვნებლივ აიბარგეთ აქედანო. ამბობს, რომ თავის სახლში ვერ მოითმენს მორალურ გახრწნას. განსაკუთრებით შენ ამოგიჩემა.

— ჯანდაბაშიც წასულა! — ვთქვი მე.

საღამოს მონტიორი მოვიდა და სინათლე გამოგვირთო. რადიოგაყვანილობას სახლის პატრონმა თავად გაართვა თავი.

ჩვენ რთული მოწყობილობა დავამზადეთ და მეზობელ ბოძთან ჩავრთეთ. შემდეგ ფანჯრებს მაგარი ურდულები გავუკეთეთ, კარზე — კილოგრამიანი კლიტე დავაყენეთ და დიდის ამბით გამოვაცხადეთ, რომ უარს ვამბობთ ბინის ქირის გადახდაზე.

მეორე დღეს პარლამენტიორად ეგორ ეგორიჩი მოვიდა.

— მშვიდობიანად გაგვეცალეთ, — თქვა მან.

— რის საფუძველზე? — ვკითხეთ ჩვენ.

— ჩემს ცოლზეა გადაკიდებული, — „ხელმწიფემ“ ჭუჭყიანი თითი ჩემკენ გამოიშვირა.

— ეს მან გითხრა?

— მე თვითონ ვხედავ.

— ჩვარი ყოფილხარ, ეგორიჩ!

— ბიჭებო, — ლამის ატირდა „ხელმწიფე“. — წადით რა, რა იქნება?!

— არ წავალთ!

მაშინ ომი გამოგვიცხადეს. ფანჯრებიდან მინები ამოიღეს. ჩვენ ფანერი ავაკარით. ღუმელს აღარ ანთებდნენ. ნავთქურა შევიძინეთ. წყალი გამოგვირთეს. ლუდზე გადავედით.

„ნოეს კიდობნის“ ბინადარნი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ამ ბრძოლას. ისინი აშკარად ჩვენს მხარეზე იყვნენ. სახლის პატრონებს პირშიც ლანძღავდნენ და ზურგს უკანაც. ვიღაცამ კიდეც შემოგვთავაზა, გაზეთში საჩივარი დაწერეთო, მაგრამ ჩვენ არ მოვინდომეთ ამ ამბის გახმაურება.

მაშინ თინამ ბინის ქირა ხუთი მანეთით გაზარდა. ეს იყო მოულოდნელი დარტყმა. აღნიშნული ღონისძიებით „დედოფალს“ სურდა ჩვენ წინააღმდეგ აემხედრებინა საზოგადოებრივი აზრი.

საღამოს ივან-და-მარია დიდხანს დადიოდა კარდაკარ მეზობლებში, რაღაცაზე ეჩურჩულებოდა, მერე კი მითხრა:

— ჯერჯერობით ენას კბილი დააჭირე. ყველამ გადავწყვიტეთ სახლიდან წასვლა.

ყველაფერი კი ანანასებით დაიწყო.

ერთხელ მე და კობზიკოვი ანანასებს წავაწყდით. ტროპიკული ტკბილეულის გარეშეც წავიდოდით იოლად, მაგრამ მაღაზიაში ისეთი გემრიელი ზედახოცვა იყო, ყველა ისე გადამდე-

ბად იგინებოდა და ჩხუბობდა, რომ კობზიკოვმა ვეღარ მოითშინა.

— უნდა ავიღოთ, გენა, — თქვა მან. — რა უნდა ვქამოთ ახალ წელს?

ვაცლავმა კეპი თვალებზე ჩამოიფხატა და კოქლაკოქლაობით გამყიდველისაკენ გაქანდა.

— სამამულო ომის ინვალიდები ურიგოდ! — ყვიროდა იგი. — გამატარეთ! გზა მომეცით! შენ რაღას დაგიღია პირი! აბა, დეიდა, გზიდან ჩამომეცალე.

ჩვენ უკვე მიზანს ვუახლოვდებოდით, როცა გამყიდველმა გამოაცხადა:

— ანანასები გათავდა! ტყუილად ნუღარ დგახართ, მოქალაქენო!

ხალხი აყაყანდა.

— როგორ თუ გათავდა? რატომ აძლევდით ათ-ათ კილოს? შეხედეთ ერთი ამას, რამდენი აუღია! მთელი ბადე!

— თქვენი რა საქმეა? — მოულოდნელად ჩაერია ლაპარაკში ნაცნობი ხმა.

ფეხის წვერებზე შევდექი და თინა დავინახე. კობზიკოვმაც შენიშნა, იგი და წინ გაიჭრა, თან მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას.

— სალამი, თინა! რა ხანია, აღარ მინახიხარ! რასა იქმ? მომავალ ახალ წელს გილოცავ!

— თქვენც, — ჩაიბურტყუნა თინამ.

— ღმერთო, როგორი სურნელებაა! — ამოიკვნესა ვეტექიმმა. — რა საოცარი სურნელებაა!

— განა თქვენ არ შეგხვდათ? — შეარბილა ხმა თინამ.

— სამწუხაროდ, არა!

— შემიძლია ცოტაოდენი დაგითმოთ.

— არა, ეს სიზმარია. სინამდვილეში ასე არ ხდება, — წაიჩურჩულა კობზიკოვმა.

დიასახლისმა ჩანთაში რამდენიმე ანანასი ჩაგვიდო და თქვა:

— გუშინ აქ ბანანი იყიდებოდა. მე სამი კილოგრამი ავიღე.

— და ერთი, რასაკვირველია, ჩვენთვის?

— დიდი სიამოვნებით, თუკი გინდათ...

— არა, ეს სამეცნიერო-ფანტასტიკური მოთხრობაა, — თა-

ვი გააქნია ვეტექიმმა. — გენა, შენ სახლში წადი, მე კი აქვე, მეზობელ „გასტრონომში“ შევირბენ. პოლონური კარამელი უნდა გამოიტანონ.

კობზიკოვი გაქრა. მე და თინა მარტო დავრჩით. ჩემი მეგობრის ყოფილ საცოლეს მუქი ყავისფერი, წელში გამოყვანილი ბეწვშემოვლებული პალტო ეცვა და წითელი ქუდი ეხურა, რომელიც მას ახალგაზრდულ და ქარაფშუტულ იერს აძლევდა. მე შეუმჩნევლად უკან დავიხიე, მინდოდა ხალხში გავუჩინარებულიყავი, მაგრამ თინამ მკლავში ხელი ჩამავლო.

— შენ ხომ ბანანის წასაღებად უნდა წამომყოლოდი.

ქუჩაში კოკისპირულად წვიმდა. თოვლი ტროტუარებზე ატალახდა და ფეხქვეშ ჭყაპუნებდა. გადაგდებული ცოცხივით გაშიშვლებული ხის ქვეშ ფორანში შებმული ცხენი ცქმუტავდა და ნაღვლიანად ჩაცქეროდა მის წინ მდგარი „მოსკვიჩის“ ნომერს.

თინამ მანქანის კარი გააღო:

— დაჯექი.

მე რბილ სავარძელზე მოვკალათდი.

ავტომობილი „სახელმწიფოში“ სულ ახლახან გაჩნდა — ავტომობილი, მაცივარი, სერვანტი და კიდევ ბევრი სხვა ნივთი. კიმი მართალი იყო, ეგორ ეგორიჩი არც ისეთი უფულო აღმოჩნდა. თინამ სწორი სვლა გააკეთა.

ჩემი დიასახლისი მანქანას თავდაჯერებით მართავდა. ისიც კი გავიფიქრე, რომ მას მხოლოდ სიგარეტიღა აკლდა, მაშინ უთუოდ დაემსგავსებოდა სარეკლამო სურათს საზღვარგარეთულ ჟურნალში.

— ეს ნაკლებად ანჯღრევს, ვიდრე „მფრინავი ჰოლანდიელი“, — შევნიშნე მე.

— გენა, რა საჭიროა. მე ხომ ვიცი, შენ კეთილი ხარ.

ეგორიჩი შინ არ დაგვხვდა. თინამ კარი თავისი გასაღებით გააღო.

ზღურბლზე შევჩერდი და ლამაზად მოწყობილი ოთახის თვალიერება დავიწყე. შპალიერისა და ახალშეღებილი იატაკის სუნი იდგა.

— გაიხადე, შემოდი, — მითხრა თინამ და ოთახის ჩუსტები დამიყარა.

— რა საჭიროა. მომეცი ბანანი და წავალ.

— ეჰ, გენა, გენა! როდის ისწავლი კარგ მანერებს? თუ ქალი ოთახში გეპატიჟება, უარის თქმა არ შეიძლება. გშია?

— არა.

— ვიცი, გშია. შენ და კობზიკოვი ყოველთვის მშივრები ხართ.

თინამ პალტო გაიხადა, წინსაფარი აიფარა და მაგიდასთან აფუსფუსდა. ერთ წუთში მაგიდაზე გაჩნდა ყველი, ძეხვი, კონიაკის ბოთლი და დაშაქრული ლიმონი.

— ნახვამდის, — ვთქვი მე.

თინამ ნაღვლიანად შემომხედა.

— ნუ წახვალ, გენა.

— კობზიკოვი მელოდება. ნახვამდის. — გავიმეორე მე, თან თვალს არ ვაშორებდი მაგიდაზე დალაგებულ ნუგბარ საჭმელს.

თინა მომიახლოვდა და პალტო ძალით გამხადა.

— არ გაგიშვებ. შეგიძლია იყვირო.

„წყეული კუჭი, — გავიფიქრე მე და კალოშები გავიხადე. — იგი ყოველთვის მოღალატესავით იქცევა“.

„დედოფალი“ მეზობელ ოთახში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ლამაზ კაბაში გამოწყობილი დაბრუნდა, ოდნავ ათრთოლებული და მხიარული.

— მოდი, ფილოსოფიური პრობლემები გადავწყვიტოთ, როგორც მაშინ, გახსოვს? საიდან დავიწყოთ?

თინამ რადიომიმღები ჩართო და წინ დამიჯდა.

— ერთი ნაცნობი მარწმუნებს, რომ კაცობრიობა მატერიარქატისაკენ მიდის. ასი წლის შემდეგ ყველა საქმეს სათავეში ქალი ჩაუდგება, კაცები კი ბავშვებს გაზრდიან. თავის თეორიას იგი საკუთარ ქმარზე სცდის.

— შენც ამ პრობლემაზე მუშაობ ახლა?

— ჰო, — გაიცინა თინამ. — კარგი, თავი დავანებოთ ქმრებს. დავლიოთ ძველი მეგობრობის სადღეგრძელო.

— ძველი მეგობრობისა შეიძლება.

— ახლისაც.

— ორ სადღეგრძელოს ერთად არ სვამენ.

თინამ სირჩა მაგიდაზე დადგა. სირჩა ოქროს თასის მსგავსად იყო ნაკეთები. მე ჩავიცინე.

— აი, შენი წინასწარმეტყველებაც ახდა. ოქრო'ს თასიდან ვსვამთ.

— გენა, — თქვა თინამ, — ერთმანეთი რატომ უნდა გავამწაროთ? შენ ხომ იცი, რომ მე... გენა, რა ჩვენი ბრალია, რომ ასე წარიმართა ჩვენი ბედი? როგორც იქნა, ჩვენ შეგვიძლია ერთად ვიყოთ. გენა! ჩვენ ხომ მხოლოდ ერთხელ ვცოცხლობთ! გენა, ნუ იქნები მკაცრი ჩემ მიმართ. მე შენ მიყვარხარ...

ვუყურებდი მას და ვფიქრობდი: „თინამ თავისას მიაღწია და ბედნიერია. ნუთუ მეც ამისაკენ ვისწრაფოდი? ფული, ავტომობილი... ქალაქში ცხოვრება... ახლა შეიძლება ცოტა გაინავარდოს. ესეც ხომ კომფორტში შედის“.

თინამ თვალი თვალში გამიყარა.

— გენა, ყველაფერი კიმის ბრალია. მე ვიცი, იგი ყოველთვის ჩვენ შორის იდგა. იდეალი'სტი! ო, რა სულელი ვიყავი მაშინ!

მე წამოვდექი.

— რატომ მიდიხარ?.. გენოჩკა, დარჩი. მე... გესმის? ეს ხომ ყველაზე მთავარია!

მე კი უკვე კიბეზე ჩავრბოდი.

— შენ მართლაც უიღბლო ხარ! შენ გშურს ჩემი! — მომაძახა თინამ. — ტრაქტორს საცობი მე მოვხსენი მაშინ.

— სულელი ხარ, — დაასკვნა კობზიკოვმა, როდესაც შეიტყო ტროპიკულ ტკბილეულზე ჩემი ლაშქრობის შედეგები.— ქალზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ხელიდან ბანანი გაუშვი.

მაგრამ ბანანისა და თინას დაკარგვამ გული არ დამწყვიტა. მე ხომ ცოლს ვირთავდი. ამ მხრივ 'საქმე საკმაოდ წარმატებით მიიწევდა წინ. ლილიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა „წინათაობასთან წარსადგენად“ სახლში მივეპატიჟებინე.

ერთხელ ფოტოატელიეში გვიანობამდე შევრჩი. ეს ახალ წლამდე ორი დღით ადრე იყო. მეზობელ ოთახში ტონია-ბუტბუტებდა:

— მაშასადამე, მყარ ნივთიერებებზე ხსნარის ადსორბციის ექ'სპერიმენტული შესწავლა უპირველეს ყოვლისა მდგომარე-

ობს დაწყებითი და წონასწორობითი კონცენტრაციის ცვლილებაში...

ამგვარად, ტონია უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა. მდივანი სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ერთი სული ჰქონდა, დროზე ესწავლა ადსორბციის განსაზღვრება. ის იც ვიცოდი, მომავალი სტუდენტი ასე ხარბად რატომ ეწაფებოდა ცოდნას, წუთი წუთზე მასთან უნდა მოსულიყო საპარიკმახეროებისა და ფოტოსამხატვრო სამუშაოების განყოფილების ახალი გამგე დინინი, თავმდაბალი, მაგრამ მეტად პრეტენზიული სოკო.

დინინის წარმატება ჩემთვის მოულოდნელი იყო. ტონია ბედნიერებისაგან ფრთაშესხმული დადიოდა. იგი სამუშაოზე ყველაზე საუკეთესო კაბებს იცვამდა, წარამარა საპარიკმახეროში დარბოდა თმის დასახვევად და ერუდიციის ასამაღლებლად გაძლიერებით იზეპირებდა კლასიკოსებს.

დინინმა უკვე წინადადება მისცა, სასურველი პასუხი მიიღო და მალე ყველაფერი ჩვეულებრივი წესით უნდა დამთავრებულიყო.

კარი გაჯახუნდა. ალბათ დინინი მოვიდა.

— სამუშაო დღე დამთავრებულია, — გაისმა ჩვენი მდივნის ხმა. — ხვალ შემოიარეთ.

მოსული რაღაცას მხურვალედ უმტკიცებდა. კარგა ხანი მესმოდა მათი ხმები. შემდეგ ტონიამ დამიძახა:

— გენადი იაკოვლევიჩ! ერთი წუთით გამოიხედეთ.

მე სურათი ფიქსაჟში ჩავდე და კარი გავაღე.

შუა ოთახში ლილია იდგა.

— გენადი იაკოვლევიჩ, — მითხრა ტონიამ, თან თვალებით რაღაცას მანიშნებდა. — თქვენთან კლიენტია. უნდა რაკეტაზე სურათი გადაიღოს. ვეუბნები, სამუშაო დღე დამთავრდა-მეთქი. ეს კი მარწმუნებს, რომ ახალი წლისათვის მას აუცილებლად სჭირდება სურათი. საქმროს სიურპრიზი უნდა გაუკეთოს.

მაგრამ არაფერი აღარ მეყურებოდა. ლილიას შევყურებდი. მის სახეზე ერთდროულად განცვიფრება, შიში და ზიზღი აისახა.

— ლილია, — წავილუღლუღე, თან მექანიკურად ბამბით

ხელებს ვიწმენდდი. — ლილია, ახლავე ყველაფერს აგიხსნი. ეს ყველაფერი სისულელეა... გესმის, აქ მოხდა...

ქალიშვილს, ფორთოხლის სურნელება რომ ჰქონდა, სიმწრისგან ცრემლები წასკდა.

— ცრუპენტელა, — ჩაიჩურჩულა მან და ოთახიდან გავარდა.

გაოცებისაგან პირდაღებული ტონია იქვე მივატოვე და, როგორც ვიყავი, ხალათისა და ქეჩის ჩუსტების ამარა, ლილიას უკან დავედევნე. ქუჩაში ძლიერ ყინავდა. ფიფქი თოვლი მოდიოდა.

ლილიას ტრამვაის გაჩერებასთან დავეწიე.

— მომისმინე, ბოლოს და ბოლოს! — სულს ძლივს ვითქვამდი. — საშინელი გაუგებრობა მოხდა: ეს სასაცილო უფროა... ახლავე ყველაფერს მოგიყვები...

ლილიამ მხარი აიქნია და ჩემი ხელი მოიშორა.

— საჭირო არ არის! მატყუარავ! გამეცალე!

— მოიცა... მომისმინე!

ლილია უკანმოუხედავად წავიდა.

ღალატი

ღალატი თავად კობზიკოვმა აღმოაჩინა. ერთხელ, როდესაც ბოცვერებს საჭმელს უყრიდა, იატაკის ქვეშ დაჭმუჭნილი წერილის შავი პირი იპოვა. ვეტექიმმა, რომელსაც სირცხვილი მაინცდამაინც პირს არ სწვავდა, წერილი წაიკითხა და თმა ყალყზე დაუდგა.

აი, რა ეწერა იქ:

„ძვირფასო ტამარა! გაცნობებ კიდევ ხუთი სოკოს გვარსა და სამუშაო ადგილს (ამას მოჰყვებოდა გვარების ჩამოთვლა). ყველაფერი შესანიშნავად მიდის! ჩემში ეჭვი არავის ეპარება. ველი მითითებებს“.

სასწრაფოდ გამოძახებულმა ქსდკ-ს უფროსმა („ქალაქელი სოკოების“ დაცვის კომიტეტი) არაფერი იცოდა. განრისხებულმა თავმჯდომარემ მაგრად გათათხა იგი და დაავალა სამი საათის განმავლობაში ეპოვა გამცემი. თამარ დედოფლის აგენ-

ტის ხელში ჩასაგდებად შინაგანი უშიშროების მთელი ძალები აამოქმედეს. საღამოს ქსო-ს მოღალატე დაიჭირეს.

იგი კოსარევსკი აღმოჩნდა.

უფროსი ლაბორანტი ეგორიჩის ჯურღმულში დაამწყვდიეს. ქსო-ს თავმჯდომარე საპყრობილედან ფეხს არ იცვლიდა და მოღალატის დაკითხვას აწარმოებდა. კოსარევსკი ჯიუტად დუმდა.

რამდენიმე დღემ განვლო. კოსარევსკის წყალსაც კი აღარ აძლევდნენ. კოსარევსკი არ ნებდებოდა.

მაშინ მისი წამება დაიწყეს. საკანში დადგმულ მაგიდას ოთხი ჯალათი შემოუსხდა. ხრამუნითა და წკლაპუნით ისინი ნუგბარ საჭმელებს შეექცეოდნენ და შამპანურს აყოლებდნენ (ასეთი საქმისათვის კობზიკოვმა ფული არ დაიშურა). კოსარევსკი ნერწყვს ყლაპავდა, იმანჭებოდა, მაგრამ უწინდებურად დუმდა. მალე ჯალათები ეშხში შევიდნენ და ისეთი წკლაპუნი ატეხეს, რომ კობზიკოვმაც კი ვეღარ მოითმინა, „დაკითხვის ოქმი“ მიატოვა და სუფრას მიაშურა.

კოსარევსკიმ მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როდესაც ერთ-ერთმა ჯალათმა მასთან მიირბინა, გაიკრიჭა და ძეხვის ცხელ-ცხელი ნაჭერი, ქონი რომ გასდიოდა, მოღალატეს ტუჩებთან მიუტანა. უფროსმა ლაბორანტმა კბილები გააკრაჭუნა.

— ჯანდაბას თქვენი თავი... საზიზღრებო! დაწერეთ... ოღონდ მერე ძეხვი მაჭამეთ.

ოქმს მე ვწერდი და კარგად მახსოვს მისი შინაარსი.

ოქმი № 1

მ ო ღ ა ლ ა ტ ე გ რ ი გ ო რ ი ს ა მ უ ი ლ ო ვ ი ჩ კ ო ს ა რ ე ვ ს კ ი ს დ ა კ ი თ ხ ვ ი ს ა, რ ო მ ე ლ მ ა ც ქ ს ო-ს რ ვ ი წ ე ვ რ ი გ ა ს ცა

კ ი თ ხ ვ ა:

— დაწვრილებით მოუყევით საგანგებო კოლეგიას, როდის და რა გეთარებაში დაადექით ღალატის გზას?

პ ა ს უ ხ ი:

— რა ღალატი, რის ღალატი?! ნუ სულელობთ, ბიჭებო. მე არაფერ შუაში ვარ. მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ეს წყეული ტბა, როგორც სამოთხე, ისე მოვხატე. ვატმანზეც კი ფერადი ტუშით დავხატე, სამი დღე და ღამე თავი არ ამიწევია.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე:
— საკითხს ნუ გადაუხვევთ.
კ ო ს ა რ ე ვ ს კ ი:
— კი, ბატონო. საკითხს არ გადავუხვევ — ძეხვი ჩემი იქნება. რაღა გავაგრძელო, ქალი დავაინტერესე ამ ტბორით. ერთად დავიწყეთ იქაურობის დათვალიერება. იგი ქოთქოთებს, აღტაცებულია რაღაც ბალახბულახით, მაგრამ მე მაგრად ვდგავარ: პანტიუხინელების ამბავი მახსოვს. მან სულ სხვა რამეში გამომიჭირა. ერთთავად სამართლიანობაზე მელაპარაკებოდა, ეს კი ჩემი სუსტი ადგილია. ჰოდა, ერთხელაც წამომცდა: „აბა, რა სამართალია, ზოგი მთელი სიცოცხლე სოფლად რომ ცხოვრობს, ზოგი კი ქალაქში?“ აი, მაშინ კი ტიჩინინა მოიმართა და ისეთი სწორი, გონივრული აზრები გამოთქვა, რომ მთელი ეს ჩვენი საქმიანობა საოცრად სულელურად მომეჩვენა.

კ ი თ ხ ვ ა:
— თქვენ ახლაც სულელურ ორგანიზაციად მიგაჩნიათ ქსო?

პ ა ს უ ხ ი:
— არც მთლად ეგრეა, მაგრამ მაინც... მომაჯადოვა, ბიჭებო. რასაკვირველია, ყველაფერი მოვუყევი, მხიარულად, ასე ვთქვათ, იუმორით. იგი გულიანად იცინოდა, მე არასოდეს მინახავს, რომ გოგოები ასე გულიანად იცინოდნენ.

კ ი თ ხ ვ ა:
— შენც იცინოდი?

პ ა ს უ ხ ი:
— ვიცინოდი... და დახმარებაც აღვუთქვი... იგი კარგი გოგოა, საქმეც ესაა, ბიჭებო, და, მე მგონია, პირველად სიცოცხლეში...

კ ი თ ხ ვ ა:
— რაში უნდა დახმარებოდი ტიჩინინას?

პ ა ს უ ხ ი:
— მე ვადგენდი თქვენი ორგანიზაციის სიებს და ტამარას გადავცემდი. (წამოძახილი მაგიდიდან: „იუდა!“).

კ ი თ ხ ვ ა:
— სინდისს არასოდეს შეუწუხებიხარ?

პ ა ს უ ხ ი:
— არა. გეყოფათ თამაში, ბიჭებო. სულ ერთია, დღეს იქნება თუ ხვალ, კოლმეურნეობა მაინც არ აგცდებათ. ჩახეთქვა მინდა.

ქსდკ-მ გრიგორი სამუილოვიჩ კოსარევსკის სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა. განაჩენის სისრულეში მოყვანა დაევალათ თავად კობზიკოვს, მე და ერთ-ერთ ჯალათს.

უფროსი ლაბორანტი გარიჟრაჟზე გავიყვანეთ, როდესაც ბნელოდა და კაციშვილი არ ჭაჭანებდა. კოსარევსკი წინ მიდიოდა და ერთთავად უკან იხედებოდა. იგი ვერაფერს ხვდებოდა ჯერჯერობით, მაგრამ ჩინებულად ეჭირა თავი. „თქვენ შეგიძლიათ მომკლათ კიდეც, — ეწერა სახეზე, — მაგრამ ვერ შემაშინებთ". დამნაშავეს უკან კობზიკოვი მისდევდა და ხელი გამობერილ მარჯვენა ჯიბეზე ედო.

როდესაც ვაგზალში მივედით, კოსარევსკი შეშფოთდა.

— რას მიპირებთ?

კობზიკოვს ხმა არ ამოუღია. მხოლოდ სახეზე მეფისტოფელის ღიმილი გაუკრთა.

პერონზე გავედით. პირველ ლიანდაგზე პრიალა მწვანე ექსპრესი „N. — სოჩი" იდგა. კობზიკოვმა ჯიბიდან ხელი ამოიღო, ქაღალდის დასტა ეჭირა.

— გრიგორი სამუილოვიჩ კოსარევსკი, — თქვა ქსო-ს თავმჯდომარემ. — ქსდკ საგანგებო კოლეგიამ მოგისაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა: ქალაქ სოჩის ერთ-ერთ სანატორიუმში ერთი თვის პატიმრობა. საკურორტო რუკა, რკინიგზის ბილეთი და დღიური ფული გადმოგეცემათ მატარებლის გასვლამდე. კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სასჯელი ადამიანის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედებას ითვალისწინებდა. ვინ გაუძლებს უფასო საკურორტო რუკისა და ზღვისპირეთის სანატორიუმის ცთუნებას? კოსარევსკიმ თავი ჩაქინდრა. იგი ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ამას არა.

— რისთვის? — იკითხა ყოფილმა უფროსმა ლაბორანტმა.

— დაიმსახურე, მიიღე კიდეც, — მკაცრად თქვა კობზიკოვმა.

ჯალათმა კოსარევსკის ჩემოდანი გადასცა, ვაცლავმა საბუთები ჩააბარა. მატარებელი დაიძრა.

— სხვათა შორის, შეგიძლია არც წახვიდე, თუ არ გინდა, — უთხრა კობზიკოვმა დამცინავად.

მატარებელი ნელა შეირხა. კოსარევსკი ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ კი საფეხურს შეახტა.

— საზიზღრებო! ინკვიზიტორებო! — დაიყვირა მან, თან ხელით ცრემლებს იწმენდდა. — ამასაც გაგიხსენებთ, ჯერ დავბრუნდე.

მოღალატის ლიკვიდაციამ ქსო-ს მდგომარეობა არ გააუმჯობესა. კოსარევსკის უკვე ისედაც ბევრი რამის დაფქვა მოესწრო. ადამიანები სანთლებივით დნებოდნენ. ბოლოს ჯერი კობზიკოვზე მიდგა: იგი ქალაქკომში გამოიძახეს.

„გასაუბრებაზე" ჩვენ ორნი წავედით. გული ისე მქონდა დამძიმებული, რომ აღარც კი ვღელავდი: ძალა აღარ მქონდა. ვაცლავი ცდილობდა ეოხუნჯა.

— მთავარია, არ შემიყვარდეს. თუ მისი კაბინეტიდან გამოსვლისას ვიტყვი: „ისე, არა უშავს გოგოა", სილა გამარტყი.

ტიჩინინას კაბინეტიდან კობზიკოვი ზუსტად საათისა და ათი წუთის შემდეგ გამოვიდა. ქსო-ს თავმჯდომარე საოცრად შეცვლილი მომეჩვენა. კობზიკოვი ამწუთას მერინოსის ცხვარს წააგავდა და მე მაინცდამაინც არ გავოცებულვარ, როდესაც ჩემს კითხვაზე „აბა, როგორ არის საქმე?" — ზოოტექნიკოსმა კიკინით მიპასუხა.

— ე-ე-ე... — გააჭიანურა მან სევდიანად და დერეფანში წაჩანჩალდა.

კართან დავეწიე.

— კოლმეურნეობაში გაგზავნიან?

— არ-რა... საქმეც ეს არის. ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

— მაშ, რაზე ლაპარაკობდით? — გავოცდი მე.

— ისე... საერთოდ, ცხოვრებაზე. ჩემს ორგანიზატორულ ნიჭზე. მაშინვე ამიყვანა.

— მაინც კოლმეურნეობაზე რა გითხრა?

— ისე, გაკვრით მითხრა... წადი, თავს უშველე, სულ ერთია, თქვენი წირვა უკვე გამოსულიაო. მაგრამ ეს არ არის მთავარი, გენა. საქმე ისაა, რომ ძალიან მოვტყუვდი. არც კი მეგონა... ეს სულ ჩემი საზიზღარი ბედისწერის ბრალია.

— მაინც რა მოხდა?

— იგი მინისტრის ძმისშვილია, გენა...

— რაო?!

— ჰო... გენა. და ისიც მითხრა, რომ მას ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის დროს მოვწონდი...

იმ ღამეს ვაცლავს ცუდად ეძინა. ძილში ლაპარაკობდა, ბორგავდა, გათენებისას კი წამოიძახა: „გესმის, ისე, არა უშავს, გოგოა“. მაგრამ მისთვის სილა არ გამიწნავს: ბიჭს ისედაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა.

განსაკუთრებულმა ვითარებამ მოითხოვა ქსო-ს მესამე ყრილობა მოგვეწვია.

მესამე ყრილობამ მუშაობა კვირას, დილაადრიან დაიწყო. მას ორჯერ უფრო ნაკლები დელეგატი ესწრებოდა, ვიდრე მეორე ყრილობას. ჰიმნი „ვაცას შევრთოთ დედაბერი“ არ გვიმღერია. კობზიკოვის მოხსენება ქსო-ში საქმის ვითარების შესახებ დელეგატებმა სამარისებურ სიჩუმეში მოისმინეს. შემდეგ კამათი დაიწყო.

— ეს სულ კობზიკოვისა და ზოგიერთი მლიქვნელის ბრალია, რომელთაც ამჯერად არ ვასახელებ. — აწრიპინდა უმოისია. — კაბინეტი. რად უნდოდა კობზიკოვს კაბინეტი? დივანი? რად უნდოდა დივანი? რად უნდოდა მდივანი? კობზიკოვი გაბიუროკრატდა. ვერასოდეს ვერ ნახავ თავის ადგილას. მან თავისი კულტი შექმნა. თავის გარშემო მლიქვნელები შემოიკრიბა, გვარებს არ დავასახელებ. მლიქვნელები პასუხსაგებ თანამდებობებზე გაძვრნენ, ფასეულობას ანიავებენ, არაფერს აკეთებენ, სხვებს ობიექტებს ართმევენ. ატომური ელექტროსადგურების განყოფილება. გეკითხებით, რა საჭიროა ატომური ელექტროსადგურების განყოფილება? ყველაფერი გასაგებია, რიკოვი. რას აკეთებს რიკოვი? ჭამს, სვამს, ფასეულობას ანიავებს. რატომ აქამდე არ დაქორწინდა?

ყრილობა აჩოჩქოლდა. კობზიკოვმა სიფხიზლე ვერ გამოიჩინაო, ერთხმად ყვიროდნენ. ხალხი დასტა-დასტად იღუპება, ის კი არხეინად ჩაის მიირთმევს! თავმჯდომარესთან რომ შეხვიდე, მთელი დღე უნდა დაკარგო! გუშინ სპორტული ორგანიზაციების განყოფილების გამგეს სილა გააწნა! თავის თავს დიდ სტრატეგს უწოდებს, ხალიანი გოგოს წინაშე კი დაფრთხაო!

ყრილობა ფრაქციებად დაიშალა. ერთნი ამბობდნენ, რომ ორგანიზაციას სათავეში ტრიუმვირატი უნდა ჩაუდგესო, მეორენი მოულოდნელად დინინს მიემხრნენ, რომელიც ახლა

უმოისიას მაგიერ იყო საპარიკმახეროებისა და ფოტოსამხატვრო სამუშაოების განყოფილების გამგე. უნდა გავემგზავროთ რაიონულ ცენტრებში, განაცხადა მან, იქ უფრო იოლია ცხოვრება, უფრო ადვილად და სწრაფადაც დაქორწინდები, სამუშაოსაც იშოვი. „მერაიონეების“ მემარცხენე ფრთა მოუწოდებდათ კიდეც გამგზავრებულიყვნენ დიდ სოფლებში, რომლებიც რკინიგზასთან ახლოს მდებარეობდნენ და ქალაქიდან არაუმეტეს 50—100 კილომეტრით იყვნენ დაცილებული. ისეთიც გამოჩნდა, ვინც ურჩევდათ ტიჩინინასთან წასულიყვნენ და მუხლი მოეყარათ.

— მოღალატეებო! გამცემებო! — პრეზიდიუმიდან ყვიროდა კობზიკოვი. — ქსდკ-ს უფროსო, ყველანი სარდაფში ჩაყარე!

შეურაცხყოფილმა „მერაიონეებმა“ ყრილობა დატოვეს. ოთახში საცოდავი, დამფრთხალი დელეგატებიღა დარჩნენ. ეს იყო ქსო-ს კრახი. მე ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს თავმჯდომარეს. ახლა კი ნამდვილად მოუღო ბოლო ბედისწერამ, ვფიქრობდი მე.

კობზიკოვის დასკვნითი სიტყვა მოკლე და მოულოდნელი იყო.

— რასაკვირველია, მე დამნაშავე ვარ, — თქვა მან. — გთხოვთ მომცეთ საშუალება, გამოვისყიდო ჩემი შეცდომები. მოსკოვში გამაგზავნეთ მივლინებით. მე მინისტრის ქალიშვილს შევირთავ! ენდეთ კობზიკოვის სიტყვას! მაშინ გადარჩენილი ვიქნებით.

ერთი ხმის უპირატესობით ყრილობამ ვაცლავი მიავლინა მოსკოვში, მე კი დამაკისრეს ერთ კვირაში დავქორწინებულიყავი ლილიაზე.

ხანძარი

მე მეხუთე „ბ“ კლასში ჩამრიცხეს. პირველად ეს სასაცილოდაც მეჩვენებოდა. ისეთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, როგორიცაა „a“ პლუს „b“ უდრის „b“ პლუს „a“, აღტაცებაში მოვყავდი. ირონიულად ვაკვირდებოდი, მათემატიკის მასწავლებელი, კაფანდარა, ნერვული, სათვალიანი ახალგაზრდა, რო-

მელმაც წელს დაამთავრა პედინსტიტუტი, როგორ ახრჩობდა ბრმა კნუტებივით ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცებს აუზში, რომელშიც წყალი ორი მილით შემოდიოდა და ერთიდან გადიოდა.

მაგრამ მერე მოვიწყინე და ვბრაზობდი კიდეც. ჩახუთულ, ვიწრო შენობაში ძილი მერეოდა. ყველაზე შორეულ კუთხეში, „კამჩატკაზე" ვჯდებოდი და გაკვეთილების განმავლობაში ერთთავად ვყვინთავდი. მასწავლებლები ამაზე თვალს ხუჭავდნენ, გარდა ზემოხსენებული მათემატიკოსისა, სერგეი სერგეევიჩ კატალოგისა. იმ ფაქტს, რომ მის გაკვეთილებზე ერთთავად მორფევსს ვყავდი გულში ჩაკრული, იგი პირად შეურაცხყოფად თვლიდა. თავის მოვალეობად მიაჩნდა გავეღვიძებინე სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე საინტერესო სიზმარს ვხედავდი.

— ძვირფასო ამხანაგო!—ძილ-ღვიძილში უეცრად ჩამესმოდა მისი მქირდავი ხმა. — თვალდახუჭული რატომ ზიხართ? ან იქნებ ფიქრობთ, რომ ასე უკეთ აითვისებთ მასალას? ადექით.

მე ვდგებოდი, თან გუნებაში ვწყევლიდი შტერ მასწავლებელს.

— გაიმეორეთ, ძვირფასო ამხანაგო, ეს წესი.

მე შემეძლო წაუბორძიკებლად მილიონჯერ გამემეორებინა წესი, მაგრამ კონსპირაციის მიზნით პირქუშად ვდუმდი.

— აი, ხომ ხედავთ, ძვირფასო ამხანაგო, — გესლიანად ამბობდა სერგეი სერგეევიჩ კატალოგი, — რა მოჰყვება მათემატიკის გაკვეთილზე თვალების დახუჭვას. „ერთიანს" გიწერთ. თუმცა, თუ თქვენ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, „ორიანზეც" თანახმა ვარ.

ვინაიდან საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მათემატიკის მასწავლებელი დიდის ამბით ჟურნალში ერთიანს მიწერდა.

სულ მალე სკოლაში ყველაზე ჩერჩეტ მოსწავლედ ვითვლებოდი. ჟურნალში ჩემი გვარის გასწვრივ მრავლად იყო ორიანები და ერთიანები. თუ ვინმეს თვის შეურაცხყოფის მიყენება სურდათ, მასწავლებლები ამბობდნენ: რიკოვივით ზარმაციაო. წყალწაღებული ოროსანი, მძღოლი სენკინიც კი უკვე არაფრად მაგდებდა. კედლის გაზეთშიც დამხატეს: ორ ერთიანს შორის გაკრულს მუხლმოყრილი ოროსნები მყავდა გარშემორტყმული.

სინამდვილეში კი ეჭვიც არავის ჰქონდა, რომ მე დიფერენციული გამოთვლა ვიცოდი.

მარტის დამდეგს ქალაქში მინდვრებიდან ბურუსი შემოიჭრა. იგი ბოლქვებად მოედო ქუჩებს, ვიტრინებსა და ფანჯრებს აეკრა, წვრილი ცივი წვეთებით დაფარა შიშველი ხეები. სითბო და ნესტი იგრძნობოდა ყველგან. სკვერებში დატკეპნილი, მაკე ძროხის ჯიქანივით გაჯირჯვებული თოვლიდან მწვანე ბალახმა ამოყო თავი.

ერთხელ ფოტოატელიედან გამოსულმა სახე სამხრეთის ქარს მივუშვირე. ტიტების სუნი შევიგრძენი. სადღაც შორს მთის მწვერვალები ყვაოდა. თვითონაც არ ვიცი, რატომ, პარკისკენ გავწიე, შემოდგომით რომ მიყვარდა ხეტიალი. აქ ყველაფერი გაშიშვლებული და უკაცური იყო. აჭედილ ბუფეტთან მდგარ მერხზე ჩამოვჯექი. სწრაფად ღამდებოდა. შორიახლოს, ხეზე, მჩხავანა ფრინველების გუნდი ღამის გასათევად ემზადებოდა.

და უცბად თვალნათლივ დავინახე ჩემი თავი შორიდან. მობუზული კაცი, თვალებზე ჩამოფხატული კეპითა და გაქუცული პალტოთი. მსოფლიოს მეუფე. მატერიის განვითარების უმაღლესი პროდუქტი. იმისათვის, რომ მე ახლა, აი, ასე ვზივარ ამ მერხზე, ბუნება მილიონობით წელი ამუშავებდა უბრალო ქვას და სულს შთაბერავდა. ჩემი თავი ქვის სახით წარმოვიდგინე. იგი მარადიული ოკეანის ნაპირზე ძევს, რუხი, გაპრიალებული. მომავალი გენადი რიკოვი. კაცობრიობის მომავალი. საკმარისია, ერთი ზვავი წამოვიდეს და თითქოს არც აღარაფერი ყოფილა: არც ეს პარკი, არც ბურუსში მოციმციმე ქალაქის ჩირაღდნები. უკუნი სიბნელე. ქარის მსუბუქი ქროლა მკვდარ დედამიწაზე.

მაგრამ ზვავი არ ყოფილა... და ბუნება კიდევ მრავალი მილიონი წელი იმუშავებს გენადი რიკოვზე, რათა შექმნას თავისი იდეალი. ალბათ ამაშია ცხოვრების არსი. რამდენად შორსა ვარ მე იდეალისაგან?

— მოქალაქე!

მე შევკრთი. დეიდა კლავა წამომდგომოდა თავს, შალში

გახვეული, ხის ნიჩბით ხელში, ნამდვილი თოვლის ბებია.

— რა თოვლში ჩამჯდარხარ? აბა, გავხვეტო ერთი.

— გმადლობთ, ასეც არა მიშავს.

— ასე ქათამიც არ დებს კვერცხს, — ბუზღუნით თქვა დეიდა კლავამ. — უცაბედად უფროსები თავს რომ წამოგვადგნენ, აურზაურს ატეხავენ: „რატომ გისხედან კლიენტები თოვლშიო?“

— რატომ დებს, დეიდა კლავა, ქათამი კვერცხს?

— ცხადია, კვერცხისათვის.

— მერედა, თქვენი აზრით, ჩვენ რატომ ვცხოვრობთ ამქვეყნად?

— ჩვენ, ჩემო კარგო, ჩვენთვის კი არ ვცხოვრობთ, არამედ შვილებისათვის. რომ არ სციოდეთ და არც შიოდეთ. უპატრონოდ რომ არ იხოცებოდნენ...

დეიდა კლავას ლოყაზე დიდი გამჭვირვალე ცრემლი ჩამოუგორდა. მეეზოვემ არ მოიწმინდა და იგი თოვლში ჩავარდა.

— უპატრონოდ რომ არ იხოცებოდნენ, — ბუტბუტებდა დეიდა კლავა და ჩემი არსებობა აღარ ახსოვდა, — ბავშვები... კანფეტი რომ ჰქონდეთ.

წამოვდექი და ბილიკს გავუყევი. შემდეგ მოვიხედე. დეიდა კლავა ნიჩაბზე დაყრდნობილი გაუნძრევლად იდგა. იგი საოცრად წააგავდა მარტის გაშავებული თოვლისაგან გამოძერწილ თოვლის ბებიას.

პარკში ნესტი, სიცარიელე და ნაღვლიანი განწყობილება სუფევდა. თეთრ მინდვრებზე მუქი ლოდივით გაწოლილიყო შუა რუსეთის მასივი.

ერთ-ერთ მერხზე ყვითელპალტოიანი და შლაპიანი კაცი იჯდა. გაოცებულმა ბეჭხარგიდა შევიცანი.

ბორის დრიკინმა დუნედ ჩამომართვა ხელი.

— აქ რას აკეთებ? — შემეკითხა იგი.

— ვეძებ ცხოვრების აზრს.

— იპოვე?

— თითქოს. დეიდა კლავას შემწეობით.

— რაში მდგომარეობს?

მე ჩემპიონის გვერდით ჩამოვჯექი.

— გესმის, ბორია, მილიონი წლის წინათ ზღვის ნაპირზე

იდო ქვა... და, აი, ბუნებამ განიზრახა შეექმნა მისგან თავისი იდეალი. ქვას ქარი უბერავდა, მზე აცხუნებდა, წვიმა რეცხავდა და საბოლოოდ გაჩნდი შენ. რთული, საოცარი მექანიზმი. მსოფლიოს მეუფე. იდეალისაკენ მიმავალი ჯაჭვის რგოლი. გესმის, ჩვენ ვჭამთ, ვსვამთ, გვიყვარს და ვერც კი ვხვდებით, რომ გამუდმებით ვიხვეწებით. ყოველი თაობა ეს ჯაჭვის რგოლია და ყოველი ახალი რგოლი წინაზე უკეთესი და უფრო ლამაზია. გესმის ახლა, ბორია, რატომ ვკვდებით? იმიტომ, რომ ბუნება ვერ იტანს არასრულყოფილებას. იდეალი მუდამ იცოცხლებს. შეიძლება ისევ ქვის სახით...

— მე უვარგისი რგოლი ვარ, — ამოიოხრა ბეჭხარგიდამ.— დღეს მე ორივე ბეჭით გამაკრეს.

— ახლა უკვე ვიცი, რატომ მოდიან აქ ადამიანები. იმისთვის მოდიან, რათა განიკურნონ.

— ჰო, გული მტკივა. საერთაშორისო შეხვედრა იყო. მაგრამ მე თვითონა ვარ დამნაშავე. არ ვვარჯიშობდი. თაფლობის თვე ხომ იცი, რა არის... ახია ჩემზე.

— შენი ცოლი ლამაზია?

— გინდა ნახო? ჯერჯერობით არავის ვაჩვენებ... მაგრამ შენ შეიძლება გაჩვენო. შენ ხომ, მგონია, შეყვარებული ხარ. შეყვარებულებს ვენდობი.

ბეჭხარგიდას ცოლი ისე ძალიან ჰგავდა ლილიას, რომ პირველად დავიბენი კიდეც. ოღონდ იგი უფრო ქალური იყო, რბილი, მსუბუქი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ეს ლილია იყო, მხოლოდ ლილია მოწიფული, ლილია-ქალი.

— ანეჩკა, — უთხრა ჩემპიონმა. — საინტერესო ტიპი მოგიყვანე. იგი ღამით ტყეში ცხოვრების აზრს ეძებდა. და მარწმუნებს, რომ იპოვა კიდეც. აბა, ნახე.

მე ხელი ჩამოვართვი. თხელი, ძლიერი ხელისგული ჰქონდა. უძირო თვალები მკაცრად, გამომცდელად მიყურებდნენ.

— თქვენ, ალბათ, ძალიან დაუნდობელი ხართ იმათ მიმართ, ვინც ცხოვრების აზრს ეძებს? თვალებმა გაგცათ.

— ოღონდ, გეთაყვა, კომპლიმენტები არ არის საჭირო, — თქვა ბეჭხარგიდამ, თან ქვაბებში ჩაიხედა.

— ო, არა! მე მხოლოდ სულელების მიმართ ვარ დაუნდობელი.

— მრისხანე შესაეალია.

— მომიყევით, არ მიყვარს, როცა მამაკაცები თავს იპატიჟებენ.

ღრმა ჭკვიანურ თვალებში შევყურებდი და ვუყვებოდი რუხი ქვის ამბავს. ანეჩკა ყურადღებით მისმენდა. როდესაც დავამთავრე, მითხრა:

— მე არ გეთანხმებით. არავითარი ცხოვრების აზრი არ არსებობს, ვინაიდან ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რა არის სრულყოფილება. ბუნებამ შემთხვევით შეგვქმნა და ახლა, ვინ იცის, ალბათ თავადაც ნანობს კიდეც. ჩვენ მეტისმეტად ცნობისმოყვარენი ვართ.

— აი, ხედავ? — მითხრა ბორისმა. — რას გეუბნებოდი? არავითარი აზრი არ არსებობს.

— მე სულელი ვარ?

ანეჩკამ ტუჩები მოკუმა.

— არა.

— მე? — ჰკითხა ჩემპიონმა.

— შენ მოჭიდავე ხარ.

ყველამ გავიცინეთ. სამზარეულოში მაგიდას შემოვუსხედით. ბორისმა ერთი ბოთლი ღვინო გამოიღო. მე თავს კარგად ვგრძნობდი.

— ახლა ვწერ „რუხი ქვის ავტობიოგრაფიას", — ჩემდა უნებურად ვთქვი მე. — მის აზრებს საკუთარ თავზე. თქვენ მაინც ვერ დამარწმუნეთ.

— ის არც გარწმუნებდა, — მითხრა ბეჭხარგიდამ. — მაგრამ თუკი დარწმუნება დაგიწყო, ისე აგიბნევს თავგზას, აი, მე რომ დამემართა.

შემდეგ მათ ტრამვაიმდე გამომაცილეს. მივდიოდით ბურუსით მოცულ ქუჩებში. ფეხქვეშ სველი თოვლი ჭყაპუნებდა. ჰაერში რატომღაც წიწვის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ბეჭხარგიდა და ანეჩკა ხელიხელგაყრილი მიდიოდნენ, ერთმანეთზე მაგრად მიხუტებულები.

— აბა, როგორი ცოლი მყავს? — მკითხა ბორისმა. — მხოლოდ, ძალიანა გთხოვ, კომპლიმენტები არ იყოს.

— უკომპლიმენტოდ შეუძლებელია.

— ჰო, მართლა! ჩემთან შენი ძველი მეგობარი, კიმი, იყო.

— მერე რაო? — ეკითხე შეშფოთებულმა.

— შენი ასავალ-დასავალი უნდოდა გაეგო. მაპატიე, მაგრამ მე ყველაფერი ვუთხარი. იცი, იმ დღეს საშინელ გუნებაზე ვიყავი ამ საერთაშორისო შეხვედრის გამო. ახლა კიდევ ი'იც ჩამაცივდა, სად, რა, როგორო? უნდა მაპატიო, თქვენი სათამაშოებისათვის არ მეცალა. ერთი სიტყვით, მე მგონია, ბეჭებზე დაგდე, არა?

— არაფერი მესმის, — თქვა ანეჩკამ.

— ო, შენი ახალი მეგობარი სასიძოების საზოგადოები'ს წევრია და, მგონია, დიდი თანამდებობაც კი უკავია იქ.

— ნუ მოყვები, — ვთხოვე მე.

— არა, მოყევი! — ფეხი დააბაკუნა ანეჩკამ ზუსტად ისე, როგორც ლილიამ იცოდა ხოლმე.

— კარგი... ერთი სიტყვით, გენამ და მისმა მეგობრებმა არ მოინდომეს სოფელში სამუშაოდ წასვლა და გადაწყვიტეს დიდი კაცების ქალიშვილებზე დაქორწინება. ა'ეა, მგონი, არა?

— სასიძოების საზოგადოება? ჰა-ჰა-ჰა!

— სწორედ რომ. მათი უფროსი კობზიკოვია. მან გადაწყვიტა მინისტრის ქალიშვილის გამოჭერა.

— ჰა-ჰა-ჰა!

მე სამარცხვინო გაქცევა ვამჯობინე. დაცარიელებულ ღამის ქუჩაში კიდევ დიდხანს ფეხდაფეხ მომდევდა ანეჩკას კი'კისი.

როგორც ვვარაუდობდი, სახლში კიმი დამხვდა. დამალვა უკვე უაზრობა იყო. ჩემი ყოფილი მეგობრის ხასიათი კარგად ვიცოდი: მთელი ღამე შეეძლო ლოდინი. კიმს ახალი, ბაფთიანი ფეტრის შლაპა ეხურა და, ეტყობოდა, საშინლად ეჩოთირებოდა. კაპიტანს ყოველთვის ეშინოდა შლაპებისა. თავისი რუხი კეპი კიმმა, ალბათ, საზოგადოებრივი აზრის გავლენით დათმო: ჩვენი ინ'ტიტუტის სამეცნიერო სამყარო მხოლოდ შლაპებს აღიარებდა. ისე კი კაპიტნის ტანსაცმელს ცვლილებები არ განუცდია.

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— აი, შენს სანახავად მოვედი, გაპუტულო ინდაურო, — თქვა კიმმა, თან კუთხისკენ იხედებოდა. შემდეგ მაგიდაზე ბოთლით ღვინო დადგა. ეს იყო ძვირფასი, მაგრამ საძაგელი გემო'ს ლიქიორი. კიმს მაინც ვერ უსწავლია ღვინოების გარჩევა.

ჭიქა ვიპოვე და შიგ ჩარჩენილ ნამცეცებს შევუბერე.

— მაპატიე, დასაყოლებელი არაფერი მაქვს.

— მე ყველაფერი მოვიტანე, — დაფაცურდა კაპიტანი და მეორე ჯიბიდან ძეხვი, ხახვის თავი და დამარილებული ქაშაყი ამოალაგა.

— გაიხადე რა.

კიმმა პალტო გაიხადა. პიჯაკზე გაიელვა ჩვენი ინსტიტუტის სამკერდე ნიშანმა. კაპიტანმა ჩემი მზერა დაიჭირა.

— ხომ ლამაზია? ოქროსფერი და მწვანე. შენ არ აგიღია? ჰო, მართლა... მაპატიე.

— ახლა ასპირანტურაში ხარ?

— ჰო.

ჩვენ რიგრიგობით ვსვამდით თბილ მწკლარტე ლიქიორს და თევზს ვაყოლებდით. სმას შეუჩვეველი კიმი მალე დათვრა. განიერი ბრტყელი შუბლი ოფლით დაეცვარა.

— ჰო... ისევ „ჰოლანდიელზე“ ვმუშაობ. იცი, ძალიან საინტერესო რაღაც გამოდის!

— კრეტოვს არ ვუკითხივარ?

— მან ყველაფერი იცის.

— რა „ყველაფერი“?

— აი... თქვენი ქსო-ს შესახებ. ჩვენ უკვე მზადა გვაქვს ყველა კურსდამთავრებულის სია, რომლებიც სპეციალობით არ მუშაობენ. მათ შორის შენცა ხარ.

— თქვენი სიების...

— მოიცადე, ნუ ცხარობ. შეუძლიათ ჩამოგართვან დიპლომი, კომკავშირული ბილეთი და ასე შემდეგ... ჰოდა, მე და კრეტოვმა გადავწყვიტეთ, შენთვის რჩევა მოგვეცა. მოითხოვე სადმე გაგაგზავნონ... მაშინ სიიდანაც ამოგშლიან.

— სერიოზულად? არ ხუმრობ?

— არ ვხუმრობ.

— მართლა?

კიმმა თევზის ჭამას თავი დაანება და შემომხედა.

— შენ ისევ ისეთი ხარ, გენკა.

— აი, შენ კი — არა. ბაფთიანი შლაპა შეგიძენია.

კიმი მოიღუშა.

— მხედველობაში მიიღე, შემეძლო არც მოვსულიყავი.

— ო, რასაკვირველია! შენი მხრივ ეს საოცარი სულგრძელობაა. მე კი მაინც არ მესმის, ასპირანტურაში რატომ არ მიმიღეთ. ასეა თუ ისე, „ჰოლანდიელთან“ მეც ხომ რაღაცით დაკავშირებული ვარ.

— კრეტოვმა მითხრა, რომ ასპირანტურაში შენც აგიყვანს, მაგრამ ახლა, ხომ გესმის... ერთი-ორი წელი უნდა წაიმუშაო...

— დანაშაული გამოვისყიდო?

— ჰო, თუნდაც.

ბრაზი მომერია. დამჯდარა აქ გაკრიალებული, უცოდველი, ბაფთიანი ანგელოზი და სულგრძელად მარიგებს. ვერ ვიტან ცხოვრებაში აღზევებულ ადამიანებს.

ნაძალადევად გავიცინე.

— ტყუილად ირჯები. შეასრულე შენი მოვალეობა. შემიტანე სიაში. მაგრამ იცოდეთ, პირჩალაგამოვლებულები თქვენ დარჩებით. ამ დღეებში ცოლს ვირთავ. ატომური ელექტროსადგურის დირექტორის ქალიშვილს.

— მართლა? — გულწრფელად გაიოცა კიმმა. — და ეს... ყოველგვარი მაქინაციის გარეშე?

— რაღა თქმა უნდა!

— შენ მოგწონს იგი?

— დიახაც რომ! ისეთი გოგოა, არც დაგსიზმრებია!

— რადგან ასეა, მომილოცავს, — თქვა კაპიტანმა უხალისოდ.

მომინდა საბოლოოდ გამენადგურებინა თავდაჯერებული ფრანტი.

— სხვათა შორის, იქ, ელექტროსადგურზე რაღაც რაციონალიზატორული ცვლილება შევიტანე რეაქტორში. მალე შვიდ ათასსაც მივიღებ. „ჰოლანდიელი“ კი... ეს ხომ განვლილი ეტაპია. თავდაპირველად საპამართლოშიც მინდოდა მეჩივლა თქვენთვის გამოგონების მითვისებისათვის, მაგრამ ჯანდაბას...

კიმმა ცალყბად ჩაიცინა:

— მაშ, ასეა?

— დიახ, ასეა, მაგრამ გიმეორებ, თქვენ ნუ შეგეშინდებათ. მე გადავიფიქრე.

კაპიტანი სუფრიდან წამოდგა.

— შენ ძალიან შეცვლილხარ, — თქვა მან. — თავდაპირველად ვერც კი მივხვდი.

ბნელ დერეფანში ცოტა ხანს შევჩერდით.

— სიას ოთხშაბათს გადავცემთ, — მითხრა კიმმა. — ორი დღე კიდევ გაქვს.

— ამაოდ ირჯებით. ამ საქმის გადადება არ შეიძლება.

კიმი ერთ ადგილს ტკეპნიდა.

— თინა როგორ არის?

— ბედნიერია. შენ არც კი აგონდები.

— აბა, ნახვამდის.

თქვა და წავიდა. ნამდვილი, ერთგული მეგობარი, როგორიც მე არასოდეს აღარ მეყოლება.

ბრიყვი ვარ, ბრიყვი...

კობზიკოვის მოსკოვში გამგზავრებიდან მესამე დღეს შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღეთ:

კვალს მივაგენი წრტ იმედია წრტ სასწრაფოდ გამომიგზავნეთ ოცდაათი მანეთი

ჭსო-ს რესურსები უწინდებური აღარ იყო. გამგეობა დიდხანს თათბირობდა და გულის ფანცქალით გამოუყო თავის თავმჯდომარეს ოცი მანეთი. გზავნილის ბლანკზე დაწერეს: „ვაცლავ! მეტისმეტ ფლანგვას შეეშვი. ფული ცოტაღა დაგვრჩა. კიდევ ორი სოკო მოწყვიტეს. განწყობილება მაინცდამაინც კარგი არა გვაქვს“.

კობზიკოვი მთელი კვირა დუმდა, ერთხელ, შუაღამისას კი საწოლიდან ფოსტალიონმა წამომაგდო.

ვაკოცე წრტ გამომიგზავნეთ ორმოცდაათი

დილით გამგეობის ყველა წევრს დავურეკე. ვაცლავმა მინისტრის ქალიშვილს აკოცა! ეს ცნობა ელვისსისწრაფით გავრცელდა. ყველა ურწმუნოდ აქნევდა თავს, მაგრამ ფული სწრაფად შევაგროვეთ.

ორი საათის შემდეგ უკმაყოფილო ფოსტალიონმა კიდევ ერთი დეპეშა მოიტანა. „განცხადება შევიტანეთ წრტ გამოვიყარ 12.30“.

ერთ-ერთ სოკოს ნერვული შეტევა დაემართა. „მინისტრის სიძე!“, „მინისტრის სიძე!“ — იმეორებდა იგი, თან ხარხარებდა და ტიროდა კიდეც.

იმ დღეს არც ერთი სოკო სამუშაოზე არ წასულა. ყველამ ჩვენთან მოიყარა თავი და მხოლოდ დეპეშაღა ეკერათ პირზე. განწყობილება ყოველ ხუთ წუთში იცვლებოდა. „ქალაქელი სოკოები“ ხან ლანძღავდნენ თავიანთ თავმჯდომარეს, ხან აქებდნენ. მხოლოდ უმოისია წუწუნებდა ერთთავად:

— მინისტრის ქალიშვილი. კარგია. მაგრამ რაღა საჭიროა ოცი მანეთი? აკოცა. კარგია. მაგრამ რაღა საჭიროა ორმოცდაათი მანეთი? განცხადება შეიტანა. კარგია. მაგრამ რაღაზე დახარჯა ფული დეპეშისათვის?

მოსკოვის მატარებლის დასახვედრად ერთი საათით ადრე მივედით. კობზიკოვს კარგად ვიცნობდი და ეჭვი მქონდა, რომ ეს მორიგი სტრატეგიული სვლა უნდა ყოფილიყო ქსო-სათვის ფული გამოტყუების მიზნით. ამიტომ მეტად გავოცდი, როდესაც ვეტექიმის გვერდით გამხდარი, ბრტყელცხვირა გოგო დავინახე.

ქსო-ს თავმჯდომარე თავმდაბალი და საქმიანი იყო.

— ბიჭებო, ტაქსი, — თქვა მან.

დაახლოებით ხუთი კაცი გავარდა ტაქსის დასაჭერად. ვერც გზაში და ვერც შინ ვერ დავიმარტოხელეთ ვაცლავი სალაპარაკოდ.

— მერე, მერე, — გვეუბნებოდა და თან თვალს გვიკრავდა. — ახალგაზრდა ცოლი ყურადღებას მოითხოვს.

ვიდრე ახალდაქორწინებულები თავმჯდომარის კაბინეტში დასაძინებლად ეწყობოდნენ, ჩვენ სახლში დავბორიალებდით და ხმაურის ამტეხთ ვაჩუმებდით. მაგრამ სახლი ისედაც დუმდა, საოცრად დათრგუნული და დაბნეული. წარმოგიდგენიათ — ეგორიჩის ძველ ქოხს მინისტრის ქალიშვილი ესტუმრა!

სახლის პატრონმა ცოლის იქ არყოფნით ისარგებლა, თავის ოთახში ბუფეტი გამოაღო და ყველას გვიმასპინძლდებოდა. იგი სასწრაფოდ ეძებდა მეგობრებს მინისტრის ამალიდან. მაგრამ ჩვენ ამაყად დავიარებოდით.

მინისტრი, მაგრამ რისი? ეს კითხვა საშინლად გვაღელვებ-

და ყველას. ხომ შეიძლება იგი სოფლის მეურნეობის მინისტრი აღმოჩნდეს?

ბოლოს, როგორც იქნა, გამგეობის ორმა წევრმა მოახერხა ქსო-ს თავმჯდომარე საძინებელი ოთახიდან გამოეტყუებინა. ვიწრო ბნელ დერეფანში აქოშინებული, აღელვებული სოკოებით გარშემორტყმულმა ვაცლავმა მოგვცა ინტერვიუ.

— დაწვრილებით ხვალ, — სხაპასხუპით თქვა მან. — რასაკვირველია, ბევრი ვიჯახირე. ხედავთ, როგორი მაიმახია? მხოლოდ თქვენი გულისათვის. რისი მინისტრია? ერთი ავტონომიური რესპუბლიკის მძიმე მანქანათმშენებლობის. თავი როგორც დიდმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ისე გავაცანი. ისე, ხომ იცით...

— კი მაგრამ, როგორ მოახერხე?

— სისწრაფე, შეტევა, ერუდიცია. ხვალ ყველაფერს გიამბობთ. ჩემოდნები ჩაალაგეთ, ბიჭებო, სამუშაოდანაც განთავისუფლდით: ამ დღეებში ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში გავემგზავრებით. მთელი ვაგონი აეიღოთ. იქ ყველას სამინისტროებში მიმოგაბნევთ.

— აბურთავეთ! — ჩურჩულით თქვა ვიღაცამ.

— არ გინდათ, ბიჭებო! კოსტიუმს დამიჭმუჭნით!

— აბურთავეთ! აბურთავეთ!

ოცი წუთის განმავლობაში ჩვენ გარს ვეხვეოდით და არ ვუშვებდით თავმჯდომარეს. ბოლოს ვეტექიმი გაგვისხლტა და კაბინეტში შევარდა. კლიტემ გაიჩხაკუნა.

— ღამე მშვიდობისა! ჩემოდნები მოამზადეთ! — გაისმა კარსუკან.

— ჰოპ-ჰოპ-ვაშა! — ვთქვით აღელვებულებმა ჩურჩულით.

ამ ღამეს ქსოელებს არ გვძინებია.

რესპუბლიკა ჩვენია! დედაქალაქი ჩვენია!

მე აბსოლუტურად არაფერი მესაქმებოდა დედაქალაქთან, მაგრამ საერთო აღფრთოვანებამ მეც ამიყოლია. მხოლოდ გათენებისას ჩამთვლიმა.

გულგახეთქილს გამომეღვიძა. პირველად მომეჩვენა, რომ ჩვენს ბინაში რამდენიმე ვეფხვი შემოვარდნილა და მსხვერპლის ძებნაში ღრიალით აწყდებიან ოთახებს. შეშინებული წამოვხტი და დავინახე, რომ ბობოქრობდა და იღრინებოდა

კობზიკოვი. იგი საშინელი შეხახედავი იყო. აბურძგნილი თმა, გაშმაგებული გაოფლილი სახე. ქსო-ს თავმჯდომარე ტრუსების ამარა იყო.

— რა მოხდა? — ვკითხე მე. — ხანძარია?

— ხანძარია!.. (არ დაიწერება) საზიზღარი მუმია... (არ დაიწერება). მოვკლავ საძაგელს! გავგლეჯავ! — ღრიალებდა კობზიკოვი.

თავმჯდომარეს წყალი მივაწოდე. კობზიკოვი ხარბად დაეწაფა, თან კბილებს აღრჭიალებდა.

— ყველაფერი დაიღუპა... ყველაფერი, — თქვა ვეტექიმმა და ასლუკუნდა. — გამაცურა, მუმიამ, გამაბრიყვა...

— ეს შენ მომატყუე, არამზადა! — მოისმა წინკარიდან და ოთახში მინისტრის ქალიშვილი შემოვიდა. — „ბინა, მანქანა, სამასი მანეთი ხელფასიო", წყეულო მტაცებელო! არ დაგინდობ! — ქსო-ს თავმჯდომარის მეუღლე აქვითინდა. — რა მეშვე-ლე-ბა-ა-ა! — მოთქვამდა იგი უსიამო ხმით. — დე-და-ა, დე-დი-კო!

— დაიღუპა... ყველაფერი დაიღუპა, — სლუკუნით იმეორებდა ვაცლავი.

ისინი ჩემს საწოლზე ისხდნენ და ტიროდნენ. როგორც მერე გავიგე, მინისტრის ქალიშვილი სრულიადაც არ იყო მინისტრის ქალიშვილი, თურმე მხოლოდ და მხოლოდ მანქანის მძღოლის გოგო ყოფილა. შარშან აგრონომიული სკოლა დაუმთავრებია, დანიშნულების ადგილზე წასვლა აღარ მოუსურვებია და საქმროს ძებნა დაუწყია. და აი, ისიც გამოჩნდა, გულუხვი, მანქანიანი და თანამდებობის პირი.

— ბედისწერაა, — ვუთხარი ვეტექიმს. — ეს სულ შენი გადარეული ბედისწერაა!

კობზიკოვი წამოხტა და მაღვიძარას შეხედა.

— ისინი მალე მოვლენ, — წაიბუტბუტა მან. — ისინი ხომ მომკლავენ!

მივხვდი, რომ „ქალაქელ სოკოებს" გულისხმობდა.

— ჰო, — ამოვიოხრე მე. — ხეირი არ დაგეყრება.

— გენა, მეგობარო, მიხსენი, არასოდეს დაგივიწყებ! როგორმე შეაჩერე, ვიდრე მოვემზადები. თავს უნდა ვუშველო.

— არ გაგიშვებ! — უცბად წამოიყვირა „მინისტრის ქალი-

შვილმა“ და ვეტექიმს ბალნიან ფეხზე სტაცა ხელი.--ჯერჯერობით ჩემი კანონიერი ქმარი ხარ!

— გამიშვი, სულელო! — წაისისინა ქსო-ს თავმჯდომარემ.

— არ გაგიშვებ! თავი შეიქციე და ახლა აღარ გინდივარ? არ გაგიშვებ!

— კარგი... კარგი... ერთად გავემგზავროთ... მერე გავარკვიოთ...

ვიდრე ისინი ემზადებოდნენ, სულწასული ქსოელებს შემოტევას ვიგერიებდი. ჩემოდნებითა და ფუთებით ხელში ალიონზე გამომეცხადნენ, ყველა მზად იყო გასამგზავრებლად.

— ვაცალოთ... ცოტა ხანი კიდევ იძინონ, — ვცდილობდი სოკოების დაყოლიებას.

ბოლოს ვაცლავმა ოთახში გამომიძახა.

— აბა, ნახვამდის! — მითხრა მან და წვერწამოზრდილი ნიკაპი მატაკა ლოყაზე. — თავმჯდომარედ გნიშნავ. გაძლევ ბორმანქანასა და ყველაფერ დანარჩენს. სულით ნუ დაეცემი... ჩვენ კიდევ ვიტყვით ჩვენს სიტყვას... ჩვენ კიდევ შევქმნით მსოფლიო მასშტაბის საზოგადოებას!

— მე შენ გიჩვენებ საზოგადოებას! — თქვა „მინისტრის ქალიშვილმა“.

— აბა, აბა... ცოტა ჩუმად! კართან ხალხია.

— ახლა საით აპირებთ? — ვკითხე მე.

— თვითონაც არ ვიცი... პირველ რიგში, მე და ჩემმა ცოლმა ჩვენი ურთიერთობა უნდა გავარკვიოთ... აბა, გენა... შენ იცი!.. ჩემი იმედი გქონდეს — არ დაიღუპები! მოვა დრო და მოგძებნი...

და იგი სამუდამოდ გაქრა.

რა მოხდა შემდეგ, უბრალოდ დაწერაც არ ღირს. რასაკვირველია, საშინელი აურზაური ატყდა. ქსოელები იგინებოდნენ, გვწყევლიდნენ, მემუდარებოდნენ, მაგრამ მე რაღა შემეძლო?

ჩვენ მარტონი დავრჩით უზარმაზარ დაცარიელებულ სახლში. მე, თინა და ეგორ ეგორიჩი. უჩვეულო, გულისგამაწვრილებელი სიჩუმე იდგა. განსაკუთრებით აუტანელი იყო ღამით. ადამიანებს შეჩვეული ძველი სახლი ოხრავდა, კვნესოდა, წუ-

წუნებდა მთელი ხმით. ახალი მდგმურები დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ. ერთ-ორ ღამეს თუ გაათევდნენ და შემდეგ სადღაც ქრებოდნენ სახლის ყრუ კვნესით გაწამებულნი. ან, შეიძლება, მათ ფსიქიკაზე მოქმედებდა პარადოქსი: რატომაა, რომ ჩვენ ირგვლივ არც ერთი თავისუფალი ბინა არ არის, ჩვენი სახლი კი ცარიელი დგას? ეტყობა, აქ ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს, ფიქრობდა გამობრძმედილი მდგმური და სასწრაფოდ ტოვებდა უცნაურ ადგილს.

ჩვენ გულმოდგინედ გავურბოდით ერთმანეთს. როგორც კი გავიგონებდი თინას ან ეგორიჩის ფეხის ხმას, მაშინვე რომელიმე ცარიელ ოთახში ვიმალებოდი. ისინიც ასე იქცეოდნენ.

ასეთი ცხოვრება საოცრად მომბეზრდა. სადმე უნდა გავმგზავრებულიყავი. მაგრამ რაღაც მაკავებდა ამ პირქუშ ქალაქში. აი, უკვე რამდენი ღამეა, აღარავინ მეძახის. რატომ?

ერთხელ ქუჩაში ლილიას შევხვდი. იგი მამამისს მიჰყვებოდა ხელგაყრილი. დიდებული ჭაღარა თოვლის პაპა და ლოყაწითელი ფიფქია. ზამთრის სამოსელში იგი მეტად მომხიბლავი იყო...

— ბოდიშს ვიხდი, — ვთქვი გულის ფანცქალით. — ლილია, შეიძლება ერთი წუთით?

ფიფქიამ ამაყად დამიკრა თავი. ჩვენ განზე გავდექით.

— ლილია, მაპატიე. — ვუთხარი და მის პალტოზე დაკერებულ ფუმფულა ღილს დავაშტერდი.

ფიფქია დუმდა.

— მე აღარასოდეს მოგატყუებ. მოდი, მე და შენ სადმე გავიპაროთ. თუნდაც ჩრდილოეთში? გათხრების დროს იქ ყოველთვის პოულობენ მამონტებს. წარმოგიდგენია, შენი თვალით ნახავ მამონტს!

სახალხო მეურნეობის საბჭოს შენობის წვეტიდან მზის სხივი გამოიჭრა, მაგრამ ღრუბლებში ვერ გამოატანა და ჰაერში ხმლის ნატეხივით დაეკიდა. ფიფქიას ცივი გამომეტყველება ჰქონდა. იგი თვალს მარიდებდა.

— ლილია... ასეთი წვრილმანისათვის ღირს განა?

საძაგელ გუნებაზე ვიყავი. დედამიწა ფეხქვეშ მეცლებოდა და ახლა ლილია ერთადერთი იმედიღა იყო, რომელსაც შეიძ-

ლებოდა ჩავბღაუჭებოდი. ყოველ შემთხვევაში, იმ წუთას ასე მეჩვენებოდა.

ვიღაც ბიჭუნა მოგვიახლოვდა, პირში თითი ჩაიდო და შემომაჩერდა.

— ერთადერთი, რასაც ვერ ვაპატიებ ადამიანებს — სიცრუეა, — თქვა ლილიამ. — სიცრუე — სულმდაბლობაა.

ბიჭმა პირიდან თითი გამოიღო და წავიდა. მას მოსწყინდა.

— ლილია! საქმე ჩვენს ბედ-იღბალს ეხება! სადმე წავიდეთ და ყველაფერს მოგიყვები... დიდხანს არ დაგაყოვნებ, სინდიოს გეფიცები. მე არც მფრინავი ვარ და არც ფოტოგრაფი. წელს დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი...

— ოჰო?

— სულელური, სასაცილო ამბავი მოხდა...

— კარგი... გაპატიებ პირველად და უკანასკნელად, — წყნარად თქვა მან. — მაგრამ ყველაფერი მამას უნდა ვუამბო...

სწორედ ამ დროს გესლიანი ხმა შემომესმა.

— ძვირფასო ამხანაგო, რატომ არა ხართ მეცადინეობაზე?

მე შემოვბრუნდი. ჩემ წინ სათვალიანი, დიდყურა მათემატიკის მასწავლებელი სერგეი კატალოგი იდგა, იღლიაში მომწვანო-ყვითელი საქაღალდე ამოეჩარა.

თავი ისე დავიჭირე, თითქოს ეს სიტყვები მე არ მეხებოდა.

— უნდა გითხრათ, ძვირფასო ამხანაგო, თქვენი მეუღლის თანდასწრებით, ან ვინც არ უნდა იყოს იგი თქვენი, არასერიოზულად ეკიდებით ისეთ მნიშვნელოვან საგანს, როგორიცაა არითმეტიკა. თუ არ გამოსწორდებით, იძულებული ვიქნები დირექტორის წინაშე დავაყენო საკითხი თქვენი მეხუთე კლასში დატოვების შესახებ.

— ხმა ჩაიკმინდე! — წავუსისინე მე, მაგრამ გვიანღა იყო.

ლილიას სახე ზიზღით დაემანჭა.

— შენ საშინელი ადამიანი ხარ! — წაიჩურჩულა შეძრწუნებულმა.

ფიფქია იდგა ჩემ გვერდით — პაწაწინა, ბუთხუზა, ლოყაწითელი, გაბრაზებულ ბელურას რომ წააგავდა, და ბრალს

მდებდა. მივხვდი, რომ ხსნა აღარსაიდან იყო. რაღაც ჩამწყდა გულის სიღრმეში და შორეულ კივილად გადაიარა...

უკან მოუხედავად გავეცალე იქაურობას.

სკოლას რომ მივუახლოვდი, მაშინღა გამოვფხიზლდი. ჩემდა უნებურად მოვსულვარ აქ. სწორედ ამ დროს ზარიც დაირეკა. განა სულ ერთი არ არის, სად წავალ ახლა? ყოველ შემთხვევაში, სკოლაში ადამიანები მაინც არიან...

გარდერობისკენ წავლასლასდი.

კლასში აურზაური იდგა. გაცხარებით კამათობდნენ რაღაც ამოუხსნელი ამოცანის შესახებ.

— ალბათ რიკოვმა ამოხსნა, — თქვა ვიღაცამ.

ატყდა ხარხარი.

— რიკოვ, რამდენი იქნება ორჯერ ორი?

მძღოლ სენკინის გვერდით დავჯექი.

— ხომ არ გადამაწერინებდი? — მკითხა მან, თან პურისა და ხახვის სუნი შემომაფრქვია. მკითხა ისე, სხვათა შორის.

— დღეისთვის რა გვქონდა მოცემული?

— რაღაც სამკუთხედები, წასულია ჩვენი საქმე.

მერხზე გაზეთი იდო. კითხვა დავიწყე, არაფერი გამეგებოდა. თავში თითქოს ზარები რეკდნენ: ძინ... ძინ... ძინ...

— ძვირფასო ამხანაგო! რატომ კითხულობთ გაზეთს მათემატიკის გაკვეთილზე? — ჩამყვირა ვიღაცამ ყურში. თურმე გაკვეთილი დაწყებულიყო. — ადექით, როცა მასწავლებელი გელაპარაკებათ. დაფასთან გამოდით!

წამოვდექი და დაფისკენ გავემართე, თან იატაკს თვალს არ ვაშორებდი, ვცდილობდი ბოღმა არ გამემჟღავნებინა, გულში რომ მიდუღდა.

— ძვირფასო ამხანაგო ე-ე-ე, რიკოვ, — თქვა სერგეი სერგეევიჩმა გესლიანად. — რას ხედავთ თქვენ წინაშე?

— თქვენ.

— მე გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგო, ნუ იოხუნჯებთ მათე-

მატიკის გაკვეთილზე. ოხუნჯობა აქვეითებს დიდი ნახევარსფეროების ქერქის ათვისების უნარს. მობრუნდით ოთხმოცდათორმეტი გრადუსით. აბა, ახლა?

— გეომეტრიულ ფიგურას.

— რა ფიგურაა?

მე იატაკს მივჩერებოდი და ვდუმდი.

— სამ... ხედი, სამ... უთხ... ედი, — გაისმა კლასში ჩურჩული. მძღოლმა სენკინმა კი წამოაყრანტალა:

— რუმბი.

— ეს ტოლფიერდა სამკუთხედია, — ვთქვი მე.

— მოაშორეთ „ი“.

— მოვაშორე.

— ახლა რა მივიღეთ?

— ტოლფერდა.

— აშკარად წარმატებებს აღწევთ, რიკოვ. ჰოდა, ძვირფასო ამხანაგო, თქვენ უნდა გამოიანგარიშოთ ამ სამკუთხედის ფართობი.

კლასი სეირის მოლოდინში გამოცოცხლდა.

— რამდენ ხანში?

— თქვენს განკარგულებაში, რიკოვ, მარადისობაა, ეს ე იგი მთელი გაკვეთილი.

კლასმა გაიცინა. მაშა, სქელი, გულკეთილი გოგო, გაჭირვებიდან რომ ვეხსენი, ფაშფაშა მკერდით მერხს დააწვა და წაიჩურჩულა:

— ჯერ თხუთმეტი ოცდა თხუთმეტზე, მერე...

დაფისაკენ მივბრუნდი, ცარცი ავიღე და უმალ გამოვიანგარიშე ფართობი ინტეგრალური განტოლების საშუალებით.

სერგეი სერგეევიჩს სახე დაუგრძელდა და სულელური გამომეტყველება მიიღო. ოთახში საშარისებური სიჩუმე ჩამო-

ვარდა. მაშა პირდაღებული იჯდა. მხოლოდ მძღოლი სენკინი გულგრილად ღეჭავდა ღვეზელს.

— ქვემოდან მეორე სტრიქონში შეცდომაა, — თქვა მან.

„ესეც ასე", — ვფიქრობდი მე და რაღაც შვებასაც კი ვგრძნობდი.

...გაზაფხულის პირველი ყინული ჩემ ფეხქვეშ ხრაშუნებდა და ირგვლივ ყველაფერი მინისებურად ნაზი მეჩვენებოდა: ჰაერი, ვარსკვლავები, ხეები, თოვლი... საოცარი სიჩუმე გამეფებულიყო და ჩემი ფეხის ხმა მიძინებულ ქუჩებს ახმაურებდა.

შორიდანვე დავინახე, რომ ჩვენს ქუჩაზე ხანძარი იყო.

„ნოეს კიდობანი" იწვოდა.

ცეცხლის გრძელი ენები სახურავზე აქეთ-იქით აწყდებოდა. სახლის ფანჯრები გაჩახჩახებული იყო, თითქოს იქ წვეულება გამართესო.

წარმოუდგენელი აურზაური იდგა. მეზობლები ეზოში დამფრთხალ ბოცვერებს დასდევდნენ. ვიღაც სულელს ქუდით სილა დაჰქონდა და ცეცხლს აყრიდა.

ეგორ ეგორიჩი ფეხშიშველა, ზოლებიანი მაისურის ამარა ეზოში დაქროდა და განკარგულებებს იძლეოდა. თინა, როგორც ძუ ვეფხვი, ხან ცეცხლში შეიჭრებოდა, ხან კი ისევ გამოჩნდებოდა რაიმე ნივთით ხელში. წითური თმა აქა-იქ შეტრუსოდა.

— რამ გააჩინა ხანძარი? — ვკითხე ერთ-ერთ უსაქმურს.

— სადღაც მოკლე შერთვა მოხდა.

ჩემოდნების, ბოხჩების, სკამების, ჭურჭლის გროვაში ჩემი ნივთები ვერ აღმოვაჩინე. ჩვენი ოთახის ადგილას უკვე თეთრი ალი მძვინვარებდა. ცეცხლში შეჭრა გვიანი იყო.

მე მოვბრუნდი და ხანძრისაგან გალღობილ მიწას გავუყევი. ირგვლივ გუბეები ჩამდგარიყო, მეზობელი სახლების სახუ-

რავებიდან, თითქოს გაზაფხულიაო, წვეთავდა.

მალე ხმაური მიწყდა და უკაცურ ქუჩაზე აღმოვჩნდი. თუ პირდაპირ წავიდოდი, ბალებსა და ბოსტნებს გადავივლიდი, მაშინ ნახევარ საათში ქალაქსაც გავცდებოდი. ცა ჯერ კიდევ ნათელი იყო, ორი პირველი ფერმკრთალი ვარსკვლავი ახალმოსახლეობას დღესასწაულობდა. იქიდან ზომიერი თბილი ქარი ქროდა.

ქარი, რომელიც შორიდან მიხმობდა.

1960—1965 წწ.
ვორონეჟი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ს. მიხალკოვი. ზრუნვა სულისათვის 3

ავტორისაგან 5

ექსპერიმენტი „იდეალური ადამიანი“ 7

ჩოკოები ასფალტზე 184

რედაქტორი ზ. თურქია
მხატვარი ა. თევზაძე
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ნ. მაზნიაშვილი
გამომშვები ა. ხაჟაძე

ს. ბ. 2789
გადაეცა წარმოებას 3/VIII-82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I-83. საბეჭდი ქაღალდი № 2, 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,42. პირობ. საღ. გატ. 21,47. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 18,92. ტირაჟი 20000. შეკვ. № 2677.
ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო",
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.

Евгений Пантелеевич Дубровин

ЭКСПЕРИМЕНТ «ИДЕАЛЬНЫЙ ЧЕЛОВЕК»

ПОВЕСТИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1983